ალ. ბენდიანიშვილი

საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1982

~~9(с 41)~~
9(47.922)
~~ბ 482~~

ნაშრომში შესწავლილია საქალაქო თვითმმართველობის არსი, საქართველოს პროგრესული საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა მუნიციპალიტეტების დემოკრატიზაციისათვის, აგრეთვე თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის თვითმმართველობათა პრაქტიკული საქმიანობა კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლების, სამედიცინო მომსახურების სფეროში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აპ. სურგულაძე,
პროფესორი შ. ლომსაძე.

10601—065
5————————43.82
М 601 (08).82

შესავალი

ფეოდალიზმის ეპოქის ქალაქებში არისტოკრატია ბატონობდა, მაგრამ ქალაქის მცხოვრებლები იმთავითვე მეტი თავისუფლებით სარგებლობდნენ, ვიდრე სოფლის მკვიდრი უმა გლეხები. ქალაქელები სრული დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ფეოდალური არისტოკრატია კი ყველა საშუალებით ცდილობდა თავისი ბატონობის შენარჩუნებას. ეს ბრძოლა რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. ზოგი ქალაქი მეტ-ნაკლები ხნით მართლაც ახერხებდა დამოუკიდებლობის მოპოვებას. ფეოდალური ფორმაციის რღვევის ხანაში ქალაქები თანდათან ივსებოდა სოფლებიდან მოსული გლეხებითა და ხელოსნებით. უფრო ადრე ქალაქებში ჩაისახა და განვითარდა კაპიტალისტური წარმოების წესი, ეკონომიკურად მომძლავრდა ახალი კლასი — ბურჟუაზია, რომლის ინტერესები აშკარად დაუპირისპირდა თავადაზნაურობის ინტერესებს.

ბურჟუაზიული რევოლუციების გამარჯვების შედეგად მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზია პოლიტიკურად გაბატონდა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ახალი კლასის ინტერესთა სამსახურში ჩადგა. ბურჟუაზიამ მმართველობის ცენტრალურ ორგანოებთან ერთად შექმნა თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოებიც.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა თავისებური თვითმმართველობის უფლებებით უკვე შუა ფეოდალურ ხანაში სარგებლობდა. ქალაქთა თვითმოქმედი მოსახლეობის დიდი ნაწილი გაერთიანებული იყო ამქრებში, რომელნიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსანთა პროფესიულ-ეკონომიკურ ორგანიზაციებს. გვიან ფეოდალურ ხანაში თბილისი და სხვა მოზრდილი ქალაქები ცალკე ადმინისტრაციული ერთეულები იყვნენ. ქალაქებს განაგებდნენ მეფისაგან დანიშნული მოურავები, რომლებსაც ემორჩილებოდნენ ქალაქის სხვა ხელისუფალნი — მელიქი,

მამასახლისი და ნაცვალი. კანონმდებლობით იყო განსაზღვრული ქალაქის ხელისუფალთა ურთიერთობა ამჭრულ ორგანიზაციებთან.

XIX ს. დასაწყისში საქართველო რუსეთს შეუერთდა. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ახალი საზოგადოებრივი ძალები გამოვიდნენ შრომისა და ბრძოლის ასპარეზზე. რუს ხალხთან ერთად ქართველი ხალხიც ჩაება გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

კაპიტალიზმის განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები ქალაქებში არსებობდა. იქ გაცილებით დიდი მასშტაბით ხდებოდა კაპიტალის პირველადი დაგროვება, უფრო ფართო იყო სამუშაო ძალის ბაზარი. საქართველოს კაპიტალისტურ განვითარებას თბილისი აძლევდა ტონს. დედაქალაქის კვალს მიჰყვებოდნენ ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ახალციხე, გორი, სიღნაღი, თელავი და სხვ. დაბა-ქალაქები.

1821 წელს საქართველოს ქალაქებში ითვლებოდა 50 ათასამდე მცხოვრები. 1865 წლისათვის ქალაქების მკვიდრმა მოსახლეობამ მიაღწია 121 ათასს, ქალაქის წიგნებში ჯერ კიდევ გაუტარებელ ახალმოსულ მცხოვრებლებთან ერთად კი გადააჭარბა 200 ათასს. უკვე ამ პერიოდში ცხადად გამომჟღავნდა ქალაქის მოსახლეობის სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ზრდის ტენდენცია. აღნიშნულ წლებში საქართველოს მთელი მოსახლეობა 165%-ით, ხოლო ქალაქების მოსახლეობა 310%-ით გაიზარდა. მარტო 1850—1860 წლებში სოფლიდან საცხოვრებლად გადმოსულნი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში შეადგენდნენ მოსახლეობის 15%, დროებით მოსულთა ჩათვლით კი — 30—40%., თბილისში, მაგალითად, XIX ს. 50—60-იანი წლების მიჯნაზე აღირიცხებოდა 40—50 ათასი სამუშაოდ დროებით მოსული პირი.

გარკვეულ დრომდე ქალაქების თავისუფალ მოსახლეობას მხოლოდ პრივილეგიურ წოდებათა წარმომადგენელნი — თავად-აზნაურები, საპატიო მოქალაქენი და მოხელეები შეადგენდნენ. XIX ს. 50-იანი წლებისათვის სურათი საგრძნობლად შეიცვალა. თავისუფალ მოქალაქეებად აღიარეს ე. წ. მეშჩანები და სახაზინო გლეხები, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობის თავისუფალი ფენების ხვედრითი წონა 80%-მდე გაიზარდა. ყმურ მდგომარეობაში რჩებოდნენ მხოლოდ საბატონო და საეკლესიო გლეხები. ფეოდალური ექსპლუატაციის მასშტაბი ძალიან შეიზღუდა. ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების ურთიერთობის ძირი-

თადი ფორმა გახდა მყიდველისა და გამყიდველის, დამქირავებლისა და დაქირავებულის ურთიერთობა.

1865 წელს თბილისში ითვლებოდა 3200 ხელოსანი ოსტატი, რომელთაც ჰყავდათ 2 ათასზე მეტი ქარგალი, შეგირდი და მუშა. ხელოსანი ოსტატები კიდევ მეტი რაოდენობით იყენებდნენ სეზონურ მუშებს. თბილისელი მეაგურეები (30 ოსტატი), მაგალითად, ზაფხულობით ქირაობდნენ 2500 მუშას. მრავლად იყენენ გამდიდრებული ოსტატი ხელოსნები, რომელნიც ექსპლუატაციას უწევდნენ 6—10. 11—20 და კიდევ მეტ დაქირავებულ მუშას.

ზემოთ მოყვანილი ცნობები ცხადყოფს, რომ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც თანდათან ღრმავდებოდა ხელოსანთა სოციალური დიფერენციაციის პროცესი. დიდი ნაწილი ღატაკდებოდა, მცირე ნაწილი კი აღერეზებდა წარმოების გაფართოებას, კაპიტალისტად იქცეოდა.

XIX ს. რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქებში თანდათან იზრდებოდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა. 1865 წელს საქართველოში აღირიცხა 500-ზდე ასეთი საწარმო, რომელთა 3 ათასამდე მუშა წლიურად აძზადებდა 2 მლნ მან. პროდუქციას. კაპიტალისტური საწარმოების 80—90% ქალაქებში არსებობდა, აქედან 60—70% მარტო თბილისზე მოდიოდა.

XIX ს. პირველ ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქების, როგორც საკაპრო ცენტრების მნიშვნელობა. საქართველოსა და ამიერკავკასიის საკაპრო ცენტრად თბილისი გადაიქცა. 60-იან წლებში თბილისიდან ყოველწლიურად გადიოდა 3,5 მლნ, ხოლო თბილისში შემოდიოდა 6,5 მლნ მან. საქონელი. დიდად გაიზარდა თბილისის შინაგანი ვაჭრობის ბრუნვა. ქალაქური ყოფა-ცხოვრების აუცილებელ კომპონენტად აზიური ბაზრებისა და ქარავასლების გვერდით ევროპულ-კაპიტალისტური მაღაზიებიც გახდა. თბილისის საგარეო და საშინაო ვაჭრობის მთელი ბრუნვა 18 მლნ მან. აღწევდა. ამ მხრივ, საქართველოს სხვა ქალაქები დედაქალაქს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ, მაგრამ თბილისელ ვაჭრებთან ერთად დასავლეთ ევროპისა და რუსეთის „იარმარკებზე" ქუთაისელი, ფოთელი, გორელი და ახალციხელი ვაჭრებიც დადიოდნენ. შინაგანი ვაჭრობის ქსელი ამ ქალაქებშიც ფართოვდებოდა.

კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პარალელურად არსები-

თი ცვლილებები ხდებოდა მოსახლეობის სოციალურ შედგენილობასა და საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში. 1865 წელს თბილისში აღირიცხა 71 ათასი მუდმივი მცხოვრები, საიდანაც თავადაზნაურობა იყო 6%, სამღვდელოება — 1%, მოხელეები — 3,3%, საპატიო მოქალაქეები — 0,8%, ქალაქელები — 16,7% — გლეხობა — 44,2%, სხვები — 23,3%.

ცარიზმის ოფიციალური სტატისტიკა ვერ ასახავდა მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს. ძველი წოდებები — თავადაზნაურობა და გლეხობა, უკვე იმ დროს განიცდიდნენ დიფერენციაცია-დაშლის პროცესს. საგრძნობი ცვლილებები ხდებოდა აგრეთვე ე. წ. მოქალაქეებისა და ვაჭრების სოციალურ ბუნებაში.

ქალაქელ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი არსებობა-საქმიანობას განაგრძობდა როგორც მიწისა და სახლის მფლობელი, მეორე ნაწილი მოხელეობით ირჩენდა თავს, ზოგი ვაჭრობა-მრეწველობაში სცდიდა ბედს.

საქართველოს ქალაქებში ეკონომიკურად ყველაზე მძლავრი იყო ვაჭართა ფენა. XIX ს. 60-იანი წლების თბილისში 5000-მდე ვაჭარი ითვლებოდა, მათგან ასი იყო მსხვილი ვაჭარი, რომელნიც თითოეულად 30—300 ათასი მან. კაპიტალს ატრიალებდა. ვაჭართა ერთი ნაწილი უკვე იწყებდა თავისი კაპიტალის წარმოებაში დაბანდებას.

ქალაქელი გლეხობის სულ მცირე ნაწილი აგრძელებდა მიწათმოქმედებას, მეორე ნაწილი მისდევდა ხელოსნობა-ვაჭრობას, უმრავლესობა კი დაქირავებული შრომით ცხოვრობდა.

ამრიგად, XIX ს. 50—60-იანი წლების საქართველოში, კერძოდ ქალაქებში, სოციალური ცხოვრების მთავარი ტენდენცია იყო ახალი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირება. მცირერიცხოვანი ბურჟუაზიული ელემენტები ქალაქებში ეკონომიკურად ბატონობდნენ, დაქირავებული მუშების ექსპლუატაციით მდიდრდებოდნენ. რეფორმის წინ მარტო თბილისში ითვლებოდა 10—15 ათასი მუდმივი და სეზონური მუშა, რომლებიც დასაქმებულები იყვნენ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებში, ქალაქის მშენებლობებზე, მდიდართა ოჯახებში და სხვ.

ქალაქები სწავლა-განათლებისა და კულტურის ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. ამ სფეროშიც თბილისი იყო წამყვანი არა მარ-

ტო საქართველოში, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. XIX ს. 50 — 60-იანი წლების თბილისში არსებობდა რუსული და ქართული თეატრები, იტალიური ოპერა, თანდათან მრავლდებოდა ბიბლიოთეკები, კლუბები, სკოლები, იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთები.

კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება, ქალაქების ზრდა და მესამე წოდების გაძლიერება, პროგრესული საზოგადოებრივი ძალების გამოსვლა სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე ცარიზმს აიძულებდა დროის მოთხოვნების შესაბამისად გადაეკეთებინა იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური შენობა, გარკვეული უფლებები მიეცა ეკონომიკურად მომძლავრებული ბურჟუაზიისათვის. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით საქართველო დიდად როდი ჩამორჩებოდა რუსეთს. XIX ს. 60-იან წლებში თბილისი მესამე ადგილზე იყო მოსახლეობის რაოდენობით, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით იმპერიის დიდ ქალაქთა ათეულში შედიოდა. ამის გამო, რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში გატარებული თითქმის ყველა რეფორმა მეტ-ნაკლები სისრულით საქართველოშიც ტარდებოდა.

პირველად მთავარმმართველმა გოლოვინმა ცნო საჭიროდ თბილისის მართვა-გამგეობის ზოგიერთ სფეროში მოქალაქეების მონაწილეობა. მის დროს შემუშავდა დებულება „თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ“, რომელიც გატარდა 1840 წლის აგვისტოში. ამ დებულების ძალით თბილისის მოსახლეობის ზედაფენას უფლება მიეცა ჩამოეყალიბებინა საქალაქო სათათბირო ქალაქის თავისა და 6 ხმოსნის შემადგენლობით. ქალაქის თავს ფორმალურად მთელი მოსახლეობა ირჩევდა, ხმოსნებს კი — სახლთმფლობელები, ვაჭრები და ხელოსნები. ამასთან ერთად, ყოველი დასახელებული წოდება ირჩევდა 10 წარმომადგენელს. რომელთა მონაწილეობით ხდებოდა ვალდებულება-გადასახადების ქალაქის მოსახლეობაზე გაწერა. ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობის დადგენილება-განკარგულებანი სისრულეში მოჰყავდათ წოდებათა მამასახლისებს.

1840 წლის დებულების საფუძველზე ჩამოყალიბებული თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის უფლება-კომპეტენცია მეტად შეზღუდული იყო. მას ევალებოდა ქალაქში გადასახადების გაწერა-აკრეფა და სამხედრო-საბინაო ვალდებულების ახა-

ლი წესის პრაქტიკული გატარება. ამდენად, თბილისის მოსახლეობა ღებულობდა არა თვითმმართველობას, არამედ თვითდაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის უფლებას. მაგრამ ამასაც ჰქონდა ერთგვარი დადებითი მნიშვნელობა, ქალაქის მოსახლეობა რამდენადმე განთავისუფლდა პოლიციის თვითნებობისა და ბოროტმოქმედებისაგან.

XIX ს. 40—50-იან წლებში თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის წლიური შემოსავალი 80—120 ათას მან. შორის მერყეობდა. 1851 წლის ბიუჯეტიდან (106 095 მან.) ჯარსა და პოლიციაზე დაიხარჯა 96 ათასი მან., ქალაქის უშუალო საჭიროებას კი მოხმარდა მხოლოდ 10 ათასი მან., თითქმის ასეთივე შეფარდებით დაიხარჯა თბილისის 1861 წლის ბიუჯეტი — 292 ათასი მანეთი.

კავკასიის ადმინისტრაცია ჯარისა და პოლიციისათვის გამოთხოვილი თანხის შემცირების ნებას არ იძლეოდა. ბუნებრივია, ქალაქის მზარდ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის საზოგადოებრივ მმართველობას შემოსავლის ახალი წყაროები უნდა გამოენახა. 1865 წელს ქალაქის თავმა შერმაზან ვართანოვმა მთავრობის ნებართვით თბილისის მოსახლეობას დამატებით 10 ათასი მან. გადასახადი შეაწერა. ვაჭარ-ხელოსნები და მათი საქონლის მომხმარებელი დაბალი მასა პროტესტით შეხვდა ახალ გადასახადს და მოითხოვა მისი გაუქმება. მაგრამ ქალაქის თავმა ანგარიში არ გაუწია ხალხის განწყობილებას და ბრძანება გასცა გადასახადების აკრეფის შესახებ. საპასუხოდ ვაჭარ-ხელოსნებმა დაკეტეს დუქნები და აჯანყდნენ, დაარბიეს ქალაქის თავის ვართანოვის სახლი, მოკლეს გადასახადთა ამკრეფი. გამოძახებულმა ჯარის ნაწილმა იარაღი გამოიყენა. შეტაკებისას 4 აჯანყებული მოკვდა, 9 კი დაიჭრა. აჯანყება ჩახშობილ იქნა.

ჯერ კიდევ 1862 წელს მეფისნაცვალმა კავკასიაში — მიხეილ რომანოვმა აღძრა საკითხი თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის მოქმედების სფეროს გაფართოების შესახებ. მაგრამ ამ მიმართულებით პრაქტიკული მუშაობა მხოლოდ ამქართა და თბილისის ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყების შემდეგ დაიწყო. მეფისნაცვალმა ჩამოაყალიბა კომისია, რომელშიც შეიყვანენ თბილისის გუბერნატორი (თავმჯდომარე), საქალაქო საქმეების მცოდნე რამდენიმე მოხელე და ქალაქის წოდებათა წარმომადგენლები. კომისიამ გამოიყენა პეტერბურგისა და ოდესის საქალაქო

დებულებები და მათ საფუძველზე, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით, შეადგინა დებულება თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ, რაც დასამტკიცებლად მეფისნაცვალს წარუდგინა.

დებულების მიხედვით თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა ორად იყოფოდა: საერთო — ქალაქის მთელი მოსახლეობისათვის და კერძო — მცხოვრებთა ცალკეული წოდებრივი თანრიგებისათვის.

საზოგადოებრივი მმართველობის საერთო-საქალაქო კრებას ამა თუ იმ საკითხზე დადგენილებები გამოჰქონდა, განმკარგულებელი სამმართველო კი ამ დადგენილებებს ასრულებდა.

საერთო-საქალაქო კრებას, რომელშიც შედიოდნენ წოდებათა მამასახლისები და ხმოსნები, ქალაქის თავი თავმჯდომარეობდა. ქალაქის თავი იყო მოქალაქეთა მთავარი ხელისუფალი და ძირითადად მას ევალებოდა საქალაქო საქმეთა მართვა-გამგეობა.

ქალაქის ყოველ მცხოვრებს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, თუ იგი მიღწეული იყო 21 წლის ასაკს, ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას ან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებას. რომელთა წლიური სუფთა შემოსავალი აღემატებოდა 100 მანეთს და თუ, ყოველივე ამასთან ერთად, ჩაწერილი იყო ქალაქის წიგნში.

ეს წესი და იქ ჩამოთვლილი პირობები ბევრ თბილისელს ართმევდა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. მუშა მოსახლეობას არავითარი ქონება არ გააჩნდა და არც საკმარისი შემოსავალი ჰქონდა. ბევრი ახლად მოსული ჯერ კიდევ არ იყო ჩაწერილი ქალაქის წიგნში. ამდენად, დებულება ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობაში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენებს აძლევდა.

ამომრჩევლები იყოფოდნენ ოთხ თანრიგად: 1) მემკვიდრეობითი აზნაურები, 2) პირადი აზნაურები და საპატიო მოქალაქენი, 3) საკუთრების მქონე მოქალაქენი და ქალაქზე მიწერილი ახლად მოსულნი, 4) უძრავ ქონებას მოკლებული ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც იხდიდნენ საქალაქო გადასახადებს. ყოველი თანრიგის მოქალაქენი თავიანთ წრიდან ირჩევდნენ 100 რწმუნებულს, რომელნიც თავის მხრივ ირჩევდნენ ხმოსნებს. სულ საერთო-საქალაქო კრებაში აირჩეოდა 100 ხმოსანი და 35 ხმოსნობის კანდიდატი. ორსაფეხურიანი არჩევნები აძნელებდა ამომრჩეველთა ძირითადი

მასის კავშირს ხმოსნებთან და ამცირებდა ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობის გრძნობას.

ქალაქის თავად შეიძლება არჩეულიყო ყოველი წოდების პირი, რომელიც მიღწეული იყო 25 წლის ასაკს და ქალაქში ფლობდა არა ნაკლებ 10 ათას ვერცხლის მანეთად ღირებულ საკუთრებას. არჩეულ ქალაქის თავს თანამდებობაზე მეფისნაცვალი ამტკიცებდა.

ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოში ყოველი წოდებრივი თანრიგი ირჩევდა ორ წევრს. განმკარგულებელი სამმართველო შედგებოდა ქალაქის თავის (თავმჯდომარე), წოდებათა მიერ არჩეული 8 წევრისა და მთავრობის მიერ დანიშნული ერთი წევრისაგან.

წოდებრივ კრებებს ქმნიდნენ მამასახლისები და ამომრჩევლები. ისინი იხილავდნენ ამა თუ იმ წოდების მიმდინარე საკითხებს და თავის წრიდან არჩეულ ხმოსნებს საერთო კრებაზე გზავნიდნენ. წოდებრივ გამგეობებს აყალიბებდნენ მხოლოდ მესამე-მეოთხე თანრიგის ამომრჩევლები. მათ ფუნქციებში შედიოდა წოდებრივი კრებების დადგენილებათა შესრულება, წოდების შინაგანი წყობის საკითხების გარჩევა, წოდების მიერ სახელმწიფო, საქალაქო და საზოგადოებრივ გადასახადთა გაღების წესების შემუშავება, წოდების წევრთა შორის ატეხილი მცირე დავის ზეპირი გარჩევა. წოდებრივი გამგეობები და მათი მამასახლისები ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოს ემორჩილებოდნენ.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის უფლება-კომპეტენცია შეზღუდული იყო. თუ განმკარგულებელი სამმართველო კანონით მისთვის გამოყოფილ სფეროს ოდნავ გასცდებოდა, მთავრობისაგან დანიშნული წევრი ჯერ შენიშვნას გააკეთებდა, შემდეგ კი, საჭიროების შემთხვევაში, წერილობით პროტესტს გუბერნატორს გადასცემდა. გუბერნატორს შეეძლო სამმართველოს დადგენილება-განკარგულებათა გაუქმება [1].

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის საქმიანობაზე ადმინისტრაციის გადამეტებული კონტროლის დაწესება მეფისნაცვალს საჭიროდ მიაჩნდა თითქოსდა ქალაქის მოსახლეობის თვით-

---

[1] Ш. Чхетия. Тбилиси в XIX столетии, 1942, Приложения, стр. 439—493.

მმართველობის პრინციპებისადმი მიუჩვეველობის გამო. სინამდვილეში კი დებულების ავტორები უნდობლად ეკიდებოდნენ განაპირა ქვეყნის დედაქალაქის მოსახლეობას, მხოლოდ მოჩვენებით თვითმმართველობას აძლევდნენ მას.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის დებულების პროექტი პეტერბურგს გაიგზავნა დასამტკიცებლად. პროექტის განხილვის შემდეგ კავკასიის კომიტეტისა და იმპერატორის საკუთარი კანცელარიის მოხელეებმა დაასკვნეს, რომ საჭირო არ იყო მისი საკანონმდებლო წესით დამტკიცება. მეფისნაცვალს უფლება მიეცა ადმინისტრაციული ღონისძიებებით მოეწესრიგებინა თბილისის მართვა-გამგეობა, ძირეული გარდაქმნები კი გადაედო საერთო-საქალაქო დებულების დამტკიცებამდე. კავკასიის კომიტეტის სათანადო დადგენილება იმპერატორმა 1866 წლის 11 აგვისტოს დაამტკიცა.

ამდენად, თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის დებულება საკანონმდებლო წესით არ ყოფილა დამტკიცებული, იგი არ შესულა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. მაგრამ ამ დებულების საფუძველზე ორგანიზებული თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა მოქმედებდა 1867 წლის 1 იანვრიდან 1875 წლის 1 იანვრამდე.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის საერთო კრების ხმოსანთა არჩევნები 1866 წლის ბოლოს ჩატარდა. პირველი თანრიგის რწმუნებულებმა ხმოსნებად გაიყვანეს გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ერეკლე გრუზინსკი, რევაზ ანდრონიკაშვილი, ივანე ორბელიანი, ნიკოლოზ ღოღობერიძე, ვახტანგ თულაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დავით სუმბათაშვილი, პლატონ გურგენბეგოვი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ივანე ზუბალაშვილი და სხვ. მეორე, მესამე და მეოთხე თანრიგის ხმოსნებად არჩეულ იქნენ არტემ იოანესიანი, მიხეილ ალიხანოვი, გაბრიელ ტერ-მელიქოვი, ნიკოლოზ მირიმანოვი, იაგორ ფრიდონოვი, ზაქარია სარაჯიშვილი და სხვ.

თბილისელმა ცენზიანებმა ქალაქის თავად აირჩიეს სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი ერემია არწრუნი. ქალაქის თავობის კანდიდატად — მიხეილ ბებუთოვი. განმკარგულებელ სამმართველოში შევიდნენ ნ. ზუბალაშვილი, ა. ონიკოვი, მ. შადინოვი, ზ. ნარიმანოვი და სხვ., სულ 8 კაცი. მოხდა აგრეთვე

წოდებრივ თანრიგთა მამასახლისებისა და გამგეობის წევრთა არჩევნები.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის გახსნის დღეს, 1866 წლის 31 დეკემბერს ქალაქის თავმა არწრუნმა მეფისნაცვალს მ. რომანოვს განუცხადა: „თქვენმა დიდსულოვანმა ზრუნვამ უკვე მისცა თბილისს ბევრი სიკეთე. დღეს, თქვენ ანიჭებთ მას უფლებას თვით მართოს თავის საქმენი და განავითაროს თავის ზნეობრივი, გონებრივი და მატერიალური ძალები. ხვალ თქვენი ბრძანების თანახმად თბილისი რკინიგზით დაუკავშირდება შავ და კასპიის ზღვებს და თქვენ ვითარცა უძლიერესი წინასწარმეტყველი თბილისს ნიშნავთ ოქროს სავაჭრო ჯაჭვის რგოლად, რომელიც პირდაპირი და უმოკლესი გზით დააკავშირებს ტემზისა და სენის ნაპირებს ინდისა და მალაბარის ველებთან“ [1].

1867 წლის 27 თებერვალს ჩატარდა თბილისის საერთო-საქალაქო კრების პირველი სხდომა. ქალაქის თავმა მოკლედ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი მმართველობის მოქმედების პროგრამა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ პირველ რიგში მთავრობის სურვილი უნდა ავასრულოთ, შემდეგ კი ვიზრუნოთ თბილისის საქალქო მეურნეობის გაუმჯობესებისათვისო. სხდომამ დაამტკიცა ქალაქის განმკარგულებელ სამმართველოსათვის შენობის დაქირავების ხარჯი და განსაზღვრა ქალაქის თანამდებობის პირთა ჯამაგირები.

თბილისის საერთო-საქალაქო კრების სხდომებზე ბევრი საკითხი განიხილეს და შესაფერისი დადგენილებებიც მიიღეს, მაგრამ მათი პრაქტიკული შესრულება დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. თბილისის საზოგადოებრიობა პრესის მეშვეობით აშკარა უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ქალაქის თავის, განმკარგულებელი სამმართველოს წევრებისა და ხმოსნების მიმართ, რომელნიც ვერ ახერხებდნენ საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებას.

1869 წელს არწრუნის ნაცვლად ქალაქის თავად იასონ თუმანიშვილი აირჩიეს. მნიშვნელოვნად განახლდა საერთო კრებისა და განმკარგულებელი სამმართველოს შემადგენლობაც. მაგრამ თანამდებობის პირთა შეცვლა როდი კმაროდა. თბილისის საზოგადოებრივმა მმართველობამ ვერ მოახერხა კომუნალური მეურნეო-

[1] Весь Кавказ, 1903, часть первая, стр. 57.

ბის გაუმჯობესება, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სათანადო დონეზე დაყენება. ქალაქის მესვეურები საშეურნეო საქმიანობაში თავიანთ ჩავარდნებს სახსრების ნაკლებობით ხსნიდნენ და განსაკუთრებულ ყურადღებას შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვას აქცევდნენ.

დასაბეგრი ობიექტების გამრავლებისა და გადასახადების მომატების შედეგად თბილისის შემოსავალი თანდათან იზრდებოდა, 1874 წელს მან 317 ათას მან. გადააჭარბა. საშემოსავლო ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი მუხლი იყო მოქალაქეთა უძრავ ქონებაზე შეწერილი შეფასებითი გამოსაღები, რამაც აღნიშნულ წელს შეადგინა 98 600 მან., ვაჭრობის სანებართვო მოწმობების გაცემით მიღებულ იქნა 60 729 მან., ქალაქის კუთვნილი ქონების შემოსავალმა კი საზოგადოებრივი მმართველობის სალაროს 23 634 მან. შემატა. ბიუჯეტის ოთხი მეხუთედი ჯარსა და პოლიციაზე იხარჯებოდა, ქალაქის არსებით საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კი შედარებით მცირე თანხა რჩებოდა.

ამგვარად, 1866 წლის დებულება და მის საფუძველზე ორგანიზებული თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა გამოხატავდა და იცავდა დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქალაქელი თავადაზნაურობისა და ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის ინტერესებს, შესაფერის ადგილს აძლევდა მათ საქალაქო მეურნეობის ზოგიერთ სფეროს გამგებლობაში. მაგრამ ადმინისტრაციის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა არსებითად კავკასიის სამეფისნაცვლოს ბიუროკრატიულ აპარატის დამატებას წარმოადგენდა და მას იყენებდნენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის.

* *

რუსეთისა და განაპირა ქვეყნების ეკონომიკურად აღზევებული ბურჟუაზია და ლიბერალური ინტელიგენცია არ კმაყოფილდებოდა ზოგიერთი ქალაქისათვის მინიჭებული საზოგადოებრივი მმართველობის ვიწრო ფარგლებით. ისინი მეფის მთავრობისაგან მეტ დათმობებს მოითხოვდნენ. ცარიზმი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მზარდი კაპიტალისტური საზოგადოებისათვის.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ახალი საქალაქო დებუ-

ლების შემუშავება ჯერ კიდევ 1862 წელს დაიწყო. საქმე რამდენიმე წელი გაჭიანურდა და მხოლოდ 1870 წლის 16 ივნისს ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა უმაღლეს ბრძანებას საქალაქო რეფორმის გატარებაზე.

1870 წლის საქალაქო დებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. იგი მხედველობაში არ ღებულობდა მოსახლეობის წოდებრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიურ მდგომარეობას. მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა კანონის შემდეგ მოთხოვნებს: 1) იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2) შესრულებული ჰქონდა 25 წელი; 3) ქალაქში ფლობდა უძრავ ქონებას და იხდიდა შესაფერის გადასახადს, ან ჰქონდა საკუთრო, სამრეწველო დაწესებულება და იღებდა ფასიან სანებართვო მოწმობას; 4) მასზე არ ითვლებოდა გადასახადთა ნარჩენები.

მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ქალაქებში ყალიბდებოდა სამი თანრიგი, სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრენი (სახლთმფლობელები და ვაჭარ-მრეწველები), მეორეში — საშუალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში — ის წვრილი მესაკუთრენი, რომელნიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადებს. ყოველი თანრიგი ხმოსანთა მესამედს ირჩევდა.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა ქალაქთა სიდიდის შესაბამისად 42-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა: თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ჯამაგირების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება, ქალაქის სახელით სესხების აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხებზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობების აღძვრა და სხვა.

სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე წევრი შედიოდა და იგი ქალაქის თავის თავმჯდომარეობით მოქმედებდა. სათათბირო გამოჰყოფდა აგრეთვე მუდმივ და დროებით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ ქალაქის მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა, ან განსაკუთრე-

ბით რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. სათათბიროს ხმოსნები, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები აირჩეოდნენ ოთხი წლის ვადით.

საქალაქო თვითმმართველობის მთავარ ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებანი.

საქალაქო თვითმმართველობა დებულებით განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედებდა დამოუკიდებლად (მუხლი 5). ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას თვითმმართველობის უფლება ეძლეოდა, მაგრამ იმავე დებულების სხვა მუხლები მნიშვნელოვნად ზღუდავდა თვითმმართველობას, ადმინისტრაციის კონტროლს ამყარებდა მის საქმიანობაზე. საქალაქო თვითმმართველობასა და საგუბერნიო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა და თვითმმართველობათა მუშაობის კონტროლისათვის ყალიბდებოდა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო (მუხლი 11). საქალაქო თვითმმართველობას უმაღლეს მთავრობასთან მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა გუბერნატორის მეშვეობით (მუხლი 13). საქალაქო სათათბიროს ყველა დადგენილებათა ასლები დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა გუბერნატორს (მუხლი 64) [1].

ცარისტული რეჟიმის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობების ფართო ქსელის შექმნას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მეფის მთავრობამ, მართალია, საერობო და საქალაქო თვითმმართველობას იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის მეხუთე თვალის ფუნქცია დააკისრა, მაგრამ არჩევით პრინციპზე დამყარებული კონსტიტუციური ხასიათის თვითმმართველობის ეს ორგანოები მკვეთრად დაუპირისპირდნენ აბსოლუტური მონარქიის საბელმწიფო ორგანოებს. რამდენადმე აილაგმა მეფის მთავრობის მოხელეთა თვითნებობა, შეიქმნა პროგრესული საზოგადოებრივი ძალების სამოქმედო ასპარეზი.

ადგილობრივი თვითმმართველობა ორგზის აუცილებელი და სასარგებლო იყო იმპერიის განაპირა ქვეყნების დაჩაგრული ხალხებისათვის. მაგრამ ცარიზმმა საქართველოს სოფელი ერობისათ-

---

[1] Городовое положение, С-Петербург, 1873, стр. 7—138.

კის მოუმზადებლად მიიჩნია. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას კი შეზღუდული თვითმმართველობა უბოძა.

საქართველოში საქალაქო რეფორმა შედარებით გვიან, მაგრამ თითქვის ისეთივე ფორმით და მოცულობით გატარდა, როგორც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში. თვითმმართველობა მიიღო საქართველოს ექვსმა ქალაქმა — თბილისმა, ქუთაისმა, ფოთმა, ბათუმმა, გორმა და ახალციხემ. მიუხედავად უფლება-კომპეტენციის სივიწროვისა, საქალაქო თვითმმართველობები საქართველოში პროგრესულ როლს ასრულებდნენ. მაგრამ 1870 წლის დებულება, საშწუხაროდ, საქართველოს ყველა ქალაქში როდი გატარდა. XIX ს. 90-იან წლებამდე საპოლიციო მმართველობაში დარჩა თელავი, სიღნაღი, ახალქალაქი, დუშეთი, სოხუმი და ოზურგეთი. სხვა უფრო მცირე ქალაქებმა კი თვითმმართველობა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიიღეს

* *

საქალაქო რეფორმისა და საქალაქო თვითმმართველობის არსის განსაზღვრის დროს ჩვენ ვეყრდნობით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა თვალსაზრისს, კერძოდ, ვ. ი. ლენინის შეხედულებას საერობო თვითმმართველობაზე, რომელსაც ბევრი რამ საერთო ჰქონდა საქალაქო თვითმმართველობასთან. ვ. ი. ლენინის განცხადებით „ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ისეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ იმდენად ითმენდა, რამდენადაც მისი ყოვლისშემძლებლობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დეპუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოოდენ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალო ტექნიკური ასრულებით, რომლებიც იმავე მოხელეებმა დასახეს. ერობებს არ გააჩნდათ თავიანთი აღმასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედნათ პოლიციის საშუალებით; ერობები არ იყვნენ ურთიერთშორის დაკავშირებული და ერთბაშად დაექვემდებარნენ ადმინისტრაციულ კონტროლს. და თავისთვის ასეთი უვნებელი დათმობის შემდეგ მთავრობა ერობის შემოღების მეორე დღესვე შეუდგა მის სისტემატურად შევიწროებასა და

შეზღუდვას: ყოვლისშემძლე მოხელეთა ხროვას ა რ შ ე ე ძ ლ ო შეგუებოდა ყველა წოდებათაგან არჩეულ წარმომადგენლობას და ყოველნაირად სდევნიდა მას“ [1].

ვ. ი. ლენინის შეხედულება ერობაზე, როგორც არჩევით პრინციპზე მოწყობილ წარმომადგენლობით დაწესებულების შესახებ, თითქმის მთლიანად საქალაქო თვითმმართველობაზეც ვრცელდება. თუ საერობო რეფორმა ძირითადად თავადაზნაურობისადმი დათმობას მოასწავებდა, საქალაქო რეფორმა ახლად აღორძინებული ბურჟუაზიის დასაკმაყოფილებლად იყო ნავარაუდევი. ერობების მსგავსად არჩევით პრინციპზე მოწყობილი საქალაქო თვითმმართველობები თავიდანვე დაუპირისპირდნენ მეფის მთავრობის ბიუროკრატიული ხასიათის დაწესებულებებს. ამიტომ ცარიზმის მოხელეთა ნაწილი თავიდანვე ცდილობდა საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის ვიწრო სფერო კიდევ უფრო შეეკვეცა. ერობელების მსგავსად მთავრობას ოპოზიციაში მუნიციპალური მოღვაწეებიც ჩაუდგნენ, ისინიც იბრძოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის.

ვ. ი. ლენინი დადებითად აფასებდა ერობის როლს რუსეთის ცხოვრებაში, თანაც საერობო ოპოზიციას პროგრესულ-რევოლუციური ძალების მიერ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამართული ბრძოლის დამხმარე ფაქტორად თვლიდა. ეს შეფასება შეიძლება გავრცელდეს საქალაქო თვითმმართველობებზე და მუნიციპალურ-ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე, რომელიც აგრეთვე დამატებით სიძნელეებს უქმნიდა მეფის მთავრობას და ამდენად ხელს უწყობდა პროგრესულ ძალთა წარმატებას.

ამ ნაშრომის მიზანია ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში არსებული ხარვეზის ნაწილობრივ შევსება. მასში შესწავლილია საქალაქო თვითმმართველობის არსი, ამ კონსტიტუციურ-წარმომადგენლობით დაწესებულების გარსშემოკრებილი პროგრესული საზოგადოებრივი ძალების მოღვაწეობა და ოთხი ქალაქის — თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის ბურჟუაზიული თვითმმართველობების პრაქტიკული საქმიანობა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 42—43.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობა

ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შემდეგ თბილისი სწრაფად წავიდა წინ კაპიტალისტური განვითარების გზაზე. ქალაქის ეკონომიკაში არსებითი ძვრები მოხდა.

შეიცვალა თბილისის მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაშეფარდება. XIX ს. 60-იან წლებში წარმოებული პროდუქციის ოდენობით პირველ ადგილზე ისევ სახელოსნოებია. მომდევნო ხანაში ხელოსანთა რიცხვი და ხელოსნური წარმოების პროდუქცია აბსოლუტურ ციფრებში, მართალია, იზრდებოდა, მაგრამ გაცილებით სწრაფი იყო კაპიტალისტურ საწარმოთა (მანუფაქტურები, ფაბრიკა-ქარხნები) ზრდის ტემპი. XIX ს. 80-იანი წლებიდან თბილისის მრეწველობაში გაბატონებული ადგილი ფაბრიკა-ქარხნებმა დაიკავეს.

1880 წელს თბილისში მოქმედებდა 210 მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ტიპის სახელოსნო, მანუფაქტურა და ფაბრიკა-ქარხანა, რომლებმაც წლის განმავლობაში გამოუშვეს 5,7 მლნ მანეთის საქონელი. 1896 წელს თბილისის კაპიტალისტურმა საწარმოებმა დაამზადეს 6,4 მლნ მან. პროდუქცია. აღნიშნულ წელს თბილისზე მოდიოდა გუბერნიაში არსებული საწარმოების 26%, მუშათა რაოდენობის 69% და პროდუქციის 92%. მომდევნო წლებში თბილისის მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოს მრეწველობაში თანდათან იზრდებოდა.

XIX—XX სს. მიჯნაზე გაძლიერდა მრეწველობის კონცენტრაციის პროცესი. 1900 წელს თბილისის 262 კაპიტალისტურმა საწარმომ, რომლებშიც დასაქმებული იყო 6220 მუშა, დაამზადა 10,7 მლნ მან. პროდუქცია. მუშათა აღნიშნული რაოდენობიდან 9 მსხვილ საწარმოში დასაქმებული იყო 2670 კაცი. თბილისშივე მოქმედებდა ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა (იგი როგორც სახელმწიფო საწარმო კერძო საწარმოთა სტატისტიკაში არ

შეჰქონდათ) 3,5 ათასი მუშით. როგორც ვხედავთ, კაპიტალისა და მუშახელის კონცენტრაციამ თბილისის . მრეწველობაში საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. 1900 წელს თბილისის 10 მსხვილ ფაბრიკა-ქარხანაში (2,6%) ჩაბმული იყო თბილისის სამრეწველო-პროლეტარიატის 50—60%.

ცენტრალურმა მდებარეობამ მთავარ გზაჯვარედინზე, მრეწველობის განვითარებამ და მოსახლეობის სწრაფმა მატებამ განაპირობა თბილისის სავაჭრო ბრუნვის ზრდა. 1885 წელს თბილისის სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 30 მლნ მან., რაც 1890 წლისათვის 37 მლნ მან-მდე გაიზარდა. 1900 წელს თბილისში იყო 2282 სავაჭრო დაწესებულება, რომლებშიც 6872 მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა. ამ დაწესებულებათა წლიური ბრუნვა 45 მლნ მან. შეადგენდა. 500 ათას მან-ზე მეტი ბრუნვა ჰქონდა 3 სავაჭრო დაწესებულებას, 100—500 ათასამდე — 58 დაწესებულებას, 50—100 ათას მან-მდე — 82 დაწესებულებას.

თბილისის ვაჭარი და მრეწველი კაპიტალისტები მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით. საწარმოო ბრუნვისა და ვაჭრობის დაჩქარების მიზნით ისინი ხშირად მიმართავდნენ ყიდვა-გაყიდვას კრედიტის ფორმით. მაგრამ კომერციული კრედიტი საკმარისი არ იყო. თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება საბანკო კრედიტზე.

1872 წელს მოქმედება დაიწყო თბილისის კომერციულმა ბანკმა, რომლის ძირითადი კაპიტალი შედგენილ იქნა 2500 ცალი 200-მანეთიანი აქციების გავრცელების გზით. 80-იან წლებში ბანკის ძირითადი კაპიტალი 1 მლნ მან-მდე გაიზარდა. 1873 წელს თბილისში გაიხსნა საურთიერთო კრედიტის საზოგადოება, 1874 წელს კი თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკი. 1883 წლისათვის ამ სამი ბანკის ბრუნვამ 100 მლნ მან. გადააჭარბა. იმავე წელს თბილისში მოქმედებდა 7 სავაჭრო სახლი და 5 საექსილო ბიურო, რომელთა ბრუნვა 17 მლნ მან. შეადგენდა. სახელმწიფო ბანკის ოპერაციები გამოიხატებოდა 49 მლნ მან-ში. დასახელებული საკრედიტო დაწესებულებანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კაპიტალისტური მეურნეობის სისტემაში, საშუამავლო ოპერაციებს აწარმოებდნენ კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

თბილისის მრეწველი, ვაჭარი და საბანკო კაპიტალისტთა ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, ყველანი ერთად ეწეოდნენ პრო-

ლეტარიატის ექსპლუატაციას და ერთმანეთს შორის იყოფდნენ მუშების აუნაზღაურებელი შრომით შექმნილ ზედმეტ ღირებულებას. XX ს. დასაწყისში მრეწველი კაპიტალისტების უშუალო ექსპლუატაციას განიცდიდა 10 ათასამდე საფაბრიკო-საქარხნო მუშა. ვაჭარ კაპიტალისტთა დაწესებულებებში შრომობდა 7 ათასამდე კაცი. განსაკუთრებით ბევრი იყო თბილისში დღიური და სეზონური მუშა (მშენებელი, ტვირთის მზიდავი, შინამოსამსახურე და სხვ.), რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ყველა ჯურის დამქირავებელი იყენებდა. ქ. თბილისი კაპიტალისტებისა და მოსახლეობის სხვა შეძლებული ფენებისათვის ამქვეყნიურ სამოთხეს წარმოადგენდა, პროლეტართა 30-ათასიანი არმიისათვის კი მძიმე შრომითი საქმიანობის სარბიელს.

1897 წელს საყოველთაო აღწერამ თბილისში 160 ათასამდე მცხოვრები აღრიცხა. აქედან 25 048 — იყო თავად-აზნაური, 5572 — ვაჭარი და საპატიო მოქალაქე, 59 458 — მეშჩანი, 54 981 — გლეხი და სხვ.

მეფის მთავრობის ოფიციალური სტატისტიკა დიდად ჩამორჩა ეპოქას და ამიტომ, 1897 წლის აღწერამ თბილისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის ნათელი და ნამდვილი სურათი ვერ მოგვცა. კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ძველი წოდებები დაიშალა, გამოჩნდნენ სხვა შინაარსის სოციალური ფენები, მაგრამ სტატისტიკოსები ამ ცვლილებებს თითქოს ვერ ამჩნევდნენ და ახლად ფორმირებულ კლასებს ძალით ათავსებდნენ წოდებრივი ნომენკლატურის შინაარსისაგან დაცლილ ჩარჩოებში. საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ აღწერაში ნაჩვენები მეშჩანთა წოდება აერთიანებდა წვრილ ვაჭრებს, ხელოსნებს, მოხელეთა ნაწილს და სხვ. სტატისტიკაში სულ არ ჩანს მუშა მოსახლეობა. სხვა წყაროებიდან კი ვიცით, რომ მუშები ამ დროისათვის ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენდნენ. მუშათა კლასი ძირითადად გლეხობიდან ივსებოდა. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დოკუმენტში აღწერილი გლეხების დიდი უმრავლესობა ფაქტიურად მუშები იყვნენ.

თბილისის მოსახლეობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა XX ს. პირველ მეხუთედში. 1908 წელს თბილისში აღირიცხა 234 ათასი სული მცხოვრები, 1910 წელს — 305 ათასი, 1914 წელს — 344 ათასი, 1916 წელს — 400 ათასი. 86 წლის განმავლო-

ბაში, 1830-დან 1916 წლამდე თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 25 ათასიდან 400 ათასამდე, ე. ი. 16-ჯერ. შედარებისათვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში პეტერბურგის, მოსკოვისა და ოდესის მოსახლეობა გაიზარდა 7-ჯერ.

1897 წელს თბილისში დაბადებული მოქალაქენი შეადგენდნენ 97 217 კაცს, ახლადმოსულნი კი 48 939. 1914 წლის აღწერით კი თბილისში აღმოჩნდა 200 754 მკვიდრი მცხოვრები და 143 196 ახლადმოსული. ამდენად თბილისი ძირითადად იზრდებოდა მოსულთა ხარჯზე.

ასეთი იყო აღებულ პერიოდში თბილისის განვითარების ტენდენცია, მისი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა. ასეთ გარემოში უხდებოდა საქმიანობა თბილისის საქალაქო თვითმმართველობას. იგი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზედნაშენი იყო და მას ემსახურებოდა.

I. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

თბილისში საქალაქო რეფორმის გატარების სამზადისი 1874 წლის დამდეგს დაიწყო. შედგა ამომრჩეველთა სიები და თვით არჩევნები აღნიშნული წლის ნოემბრისათვის დაინიშნა. თბილისის საზოგადოებრიობა საქალაქო რეფორმას დიდი იმედით მოელოდა. გაზ. „დროების" რედაქტორი ს. მესხი წერდა: „ახალი წესდების ძალით ქალაქის გამგეობა ბევრ შემთხვევაში თითქმის განუკითხავი გამგებელია ქალაქის შემოსავალ-გასავლისა და საკუთრებისა, იმას შეუძლია ყოველგვარი წარმატება მისცეს ქალაქს, შეუძლია ისეთი დაწესებანი შემოიღოს, რომელიც ქალაქის საჭიროებას დააკმაყოფილებს, გაამშვენიერებს და თვით მცხოვრებთაც კეთილდღეობას შემატებს.

აი ამისთანა გამგეობის წევრების ამორჩევა, — აცნობებდა ს. მესხი გაზეთის მკითხველებს, — მომავალს 18 ნოემბერს არის დანიშნული... აირჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადო საგებლობისათვის გული შესტკივათ, ისეთი კაცები რომელთაც გაეგებათ თუ რით და როგორ შეიძლება საზოგადო საჭიროების დახმარება და ხელის მომართვა" [1].

[1] „დროება", 1874, № 449.

ს. მესხი თბილისის მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებსა და სურვილებს გამოხატავდა, მაგრამ მცხოვრებთა ყველა სოციალურ ფენას საქალაქო სათათბიროს შემადგენლობის განსაზღვრასა და თვითმმართველობის მუშაობაზე თანაბარი გავლენის მოხდენა როდი შეეძლო. საქალაქო დებულება არჩევნებში გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებსა და ვაჭარ-მრეწველებს, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ პირველ და მეორე საარჩევნო თანრიგში. რეფორმის გატარების პირველ წლებში ხმის უფლებით სარგებლობდა 4500-მდე მოქალაქე (მოსახლეობის 4%). პირველი თანრიგის ამომრჩეველთა სიაში იყო 45, მეორეში — 227, ხოლო მესამეში — 4228 კაცი. პირველი-მეორე თანრიგის ამომრჩევლები, რომელნიც შეადგენდნენ ცენზიან მოქალაქეთა 6%. სათათბიროში ირჩევდნენ 48 ხმოსანს, მესამე თანრიგის ამომრჩევლები (94%) კი — 24 ხმოსანს.

1874 წლის ნოემბერში ხმის უფლების მქონე თბილისის მცხოვრებლებმა აირჩიეს საქალაქო სათათბიროს 72 ხმოსანი. 1875 — 1878 წლებში თბილისის სათათბიროში შედიოდნენ: გ. აბესალომოვი, ა. ავერკიევი, ნ. არღუთინსკი, ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, ი. გრუზინსკი, ი. ჯაყელი, ს. ზუბალაშვილი, ნ. ზუბალაშვილი, ა. მატინოვი, იზმიროვი, მანთაშევი, ჩითახოვი და სხვ.

თბილისის სათაბიროს ხმოსნებმა ქალაქის თავად აირჩიეს ი. თუმანიშვილი, მაგრამ ავადმყოფობის გამო იგი მალე გადადგა. 1875 წლის 14 დეკემბერს ჩატარდა ახალი არჩევნები. ხმოსანმა ამიროვმა ქალაქის თავის თანამდებობაზე წამოაყენა დიმიტრი ყიფიანის კანდიდატურა და თანაც განაცხადა, რომ საქალაქო საქმეების მოგვარებას, დახლართული მდგომარეობიდან მის გამოყვანას დ. ყიფიანზე უკეთ ვერავინ შეძლებსო. ხმოსანმა დოლუხანოვმა წამოაყენა ე. არწრუნის კანდიდატურა.

ქალაქის თავის თანამდებობაზე ორივე წამოყენებულმა კანდიდატმა იყარა კენჭი. ყიფიანმა მიიღო 36 თეთრი და 28 შავი. არწრუნმა 34 თეთრი და 29 შავი[1]. ამგვარად, მართვა-გამგეობას მიუჩვეველმა ბურჟუაზიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, პრივილეგიური წოდების ამომრჩევლებთან ერთად, ნდობა გამოუცხადა თა-

[1] „დროება", 1875, № 142 და 144.

ეადაზნაურობის ცნობილ წარმომადგენელს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს დ. ყიფიანს და იგი ქალაქის თავად აირჩია.

სათათბიროს აირჩია აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ორგანოს — გამგეობის წევრები. ჩამოყალიბდა თბილისის მოსახლეობის ცალკეულ სოციალურ ჯგუფთა სამმართველოები. ვაჭართა, მეშჩანთა და ხელოსანთა გამგეობის ფუნქციებში შედიოდა ამ ფენების შინაგანი წყობის საკითხი, მათ მიერ სახელმწიფო, საქალაქო და საზოგადოებრივი ვალდებულებების შესრულების მეთვალყურეობა, მცირე მნიშვნელობის სადავო საკითხების სიტყვიერი გარჩევა და სხვ.

1875—1878 წლები თბილისის საქალაქო მმართველობის ისტორიაში იყო გარდამავალი პერიოდი. მიმდინარეობდა საქალაქო მმართველობის ძველი ფორმების გაუქმება და ახლის შემოღება. ხდებოდა თბილისის თვითმმართველობის თვითორგანიზაცია.

გ. თუმანიშვილის გადმოცემით თბილისის თვითმმართველობის არსებობის პირველსავე წელს საქალაქო სათათბიროში გამოიკვეთა ორი მიმართულება — აზიური და ევროპული. პირველს ტონს აძლევდნენ ძველი ყაიდის ვაჭრები, ხოლო მეორეს — ახალგაზრდა მოხელეები, მრეწველები, ექიმები და ინჟინრები. აზიური მიმართულების ხმოსნები ეხლაუკეთოდნენ ძველს, მათ აშინებდათ სიახლის შეტანა საქალაქო მეურნეობის მართვის წესებში. ევროპული მიმართულების ინტელიგენტი ხმოსნები კი მოითხოვდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებას ქალაქის კეთილმოწყობისათვის. პირველ ოთხწლეულში ამ ორი მიმართულების ძალთა შორის ერთგვარი წონასწორობა არსებობდა, შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ თბილისის თვითმმართველობაში იმარჯვებდა ევროპული მიმართულება [1].

თბილისის თვითმმართველობის პირველი მოწვევის სათათბიროს შემადგენლობის უფრო კოლორიტული სურათი ნ. ნიკოლაძემ დაგვიტოვა. მისი მახვილგონივრული შედარებით, მსგავსად მოლიერის გაზნაურებული მდაბიოსი, რომელიც, თავისდაუნებურად, შეუგნებლად წერდა პროზას, თბილისის სათათბირო წარმომადგენლობითი მმართველობის, პარლამენტის როლს ასრულებდა ისე, რომ ამას ვერ ხვდებოდა. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით თბილისის

[1] «Новое обозрение», 1897, № 4595.

თვითმმართველობას ჰყავდა პასუხისმგებელი სამინისტრო, ოპოზიცია და მთავრობაში (გამგეობაში) უმრავლესობა. იგი ახასიათებს ქალაქის თავს, გამგეობის ოთხ წევრს და სათათბიროს ხმოსნების უმრავლესობას. დახასიათებას საფუძვლად უდევს გარეგნობა, მათი სხდომებზე გამოსვლის მანერა, პრაქტიკული საქმიანობის უნარი. მაღალ შეფასებას ნ. ნიკოლაძე მხოლოდ ხმოსან ა. ზუბალაშვილს აძლევს. „აი ვის ვერ დავწამებთ, — წერს იგი, — ბიუროკრატიზმს, დადგენილი ნორმებისა და წესებისადმი მონობას. ხშირად ისეთი წინადადებები შემოაქვს, რომლებიც გამსჭვალულია მგზნებარე, გააზრებული სურვილით მოუტანოს ხალხს სარგებლობა ... მის სიტყვებში მუდამ იგრძნობა რაღაც ახალი მიმართულება, ახალი სამყარო. მართალია, — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — არ ივარგებდა, რომ ყველა მისი წინადადება განუსჯელად მიგვეღო, მაგრამ ყოველ წარმომადგენლობით დაწესებულებას უნდა ჰქონდეს უკიდურესი ოპოზიცია, რომელიც მიისწრაფვის... წმინდა იდეალებისა და თეორიების სამყაროსაკენ. უმეტესობა მოუსმენს მას, დაინახავს თუ რა არის მის სიტყვაში გონივრული და უშუალოდ შესაძლებელი, შეიმუშავებს პრაქტიკულ გზას ... ამის შემდეგ ადამიანის სული... შვებას იგრძნობს — თითქოს ახალმა სიომ დაუბერა“.

ა. ზუბალაშვილი და ორიოდე ხმოსანი, რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ სათათბიროში ამინდს ვერ ქმნიდა და ამიტომ საერთოდ სათათბიროს შემადგენლობას წერილის ავტორი მკვეთრად უარყოფით შეფასებას აძლევს: „ვამთავრებ ჩემს დახასიათებას, — დაასკვნის ნ .ნიკოლაძე, — და თავს ნებას ვაძლევ ვკითხო მკითხველს: ნუთუ ჩვენი ქალაქი და ჩვენი ასი ათასიანი მოსახლეობა სწორად და პროპორციულადაა წარმოდგენილი ახლანდელ საბჭოში? დადიხარ ქუჩაში და ხედავ ისეთ პირებს, რომელნიც საბჭოს ჩინებული წევრები იქნებოდნენ ... შედიხარ საბჭოში და გაოცებს ეს კოლექცია — ლამის მთქნარებით მოკვდნენ. ალბათ უმძიმთ დაკისრებული როლის შესრულება. ნუთუ მუდამ ასე იქნება“ [1].

ნ. ნიკოლაძე და სხვა მოწინავე მოღვაწეები მხარს არ უჭერდნენ „სტატუს-კვოს“, ისინი სათათბიროს შემადგენლობის განახლებისა

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 3, გვ. 328.

და თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის იბრძოდნენ. ამიტომ ჩვენი პროგრესული მოღვაწეები აქტიურად ჩაებნენ 1878 წელს გაჩაღებულ წინასაარჩევნო საქმიანობაში. ს. მესხმა „დროებაში“ გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, რომელშიც საქალაქო თვითმმართველობის ცუდი მუშაობის მიზეზად გამოაცხადა ხალხის მოტყუებით გამდიდრებული და სათათბიროში ხმოსნად გასული მოქალაქეები, „რომელთაც საზოგადოების ინტერესი თავის ჯიბის ინტერესად მიაჩნდათ“. იგი ამომრჩევლებს მოუწოდებდა სათათბიროში გაეყვანათ „საქმისათვის გულშემატკივარი და უანგაროთ ქალაქისათვის მზრუნველი ადამიანები“ [1].

1878 წლის არჩევნებმა არ გაამართლა მოწინავე მოღვაწეთა მოლოდინი. სათათბიროს შემადგენლობაში ვნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ძირითადად კვლავ ძველი ხმოსნები აირჩიეს. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა ხმოსნებად გაიყვანეს რამდენიმე პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტიც. თბილისის მოწინავე საზოგადოება მიესალმა სათათბიროს შემადგენლობაში პერიოდული პრესის ცნობილი ორგანოების — „ობზორის“, „დროებისა“ და „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორთა (ნ. ნიკოლაძის, ს. მესხისა და კ. ბებუთოვის) არჩევას. მაგრამ მათ არ შეეძლოთ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული სათათბიროს პოლიტიკაში არსებითი ცვლილებების შეტანა.

1879 წლის 21 იანვარს შედგა ქალაქის მეორე მოწვევის სათათბიროს სხდომა. დღის წესრიგში იდგა ქალაქის თავის არჩევა. გამოვლინდა აზრთა სხვადასხვაობა, ჩამოყალიბდა რამდენიმე დაჯგუფება. წამოაყენეს 17 კანდიდატი. აქედან თორმეტმა ღარი თქვა კენჭის ყრაზე. ქალაქის თავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს სათათბიროს პროგრესული უმცირესობის მიერ წამოყენებულმა ნ. ზუბალაშვილმა და კ. ბებუთოვმა, აგრეთვე უმრავლესობის კანდიდატებმა — დ. ყიფიანმა, ხოჯმინასოვმა და თამამშევმა. არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.

28 იანვარს ჩატარდა ქალაქის თავის არჩევნების მეორე ტური. ხმის უმრავლესობით გავიდა სათათბიროს მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი ა. ყორღანოვი. ნ. ნიკოლაძემ დაგმო არჩევნების შე-

[1] „დროება“, 1878, № 254.

დეგი და მოტივად ის წამოაყენა, რომ მოიჯარე ყორღანოვს რაიმე დანაშაული ექნება ჩადენილი, რაც ალბათ, მალე გამოაშკარავდება და სათათბიროსათვის დიდი სირცხვილი იქნება მისი რჩეული სასამართლოს წინაშე რომ წარსდგესო. ასეთმა განცხადებამ აღაშფოთა ვაჭარ-მრეწველთა წრიდან გამოსული ხმოსნები. მათ ნ. ნიკოლაძეს სიტყვის უკან წაღება მოსთხოვეს [1].

შექმნილ სიტუაციაში ყორღანოვმა უარი თქვა ქალაქის თავის თანამდებობის დაკავებაზე. საქალაქო სათათბიროში კვლავ გაჩაღდა საარჩევნო ბრძოლა. არჩევნების მესამე ტურიც უშედეგოდ დამთავრდა.

ქალაქის თავის არჩევნების მეოთხე ტური 11 მარტს ჩატარდა. ხმოსნებმა 14 კანდიდატი დაასახელეს, მაგრამ ა. მატინოვის გარდა ყველამ უარი თქვა კენჭის ყრაზე. მემარცხენე უმცირესობამ მხარი დაუჭირა ნეიტრალურ პიროვნებას ა. მატინოვს და ამით ქალაქის თავის სავარძლისაკენ გზა გადაუღობა მემარჯვენეთა წარმომადგენელს. ა. მატინოვი ქალაქის თავად არჩეულ იქნა 30 ხმით 23 წინააღმდეგ და ამით ბოლო მოეღო გამგეობის კრიზისს [2].

1879—1882 წლებში თბილისის სათათბირომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი დასვა და განიხილა. გამგეობამაც რამდენადმე გააფართოვა პრაქტიკული საქმიანობის სფერო. ამ პერიოდში აგებულ იქნა ბნაცაკანოვის ხიდი, დაიწყო ვერის დაღმართზე გზის გაყვანა და ვერის ხიდისათვის მასალების შეძენა, შედგა წყალსადენის პროექტი. სწრაფი ტემპით დაიწყო კონკის ლიანდაგების გაყვანა. თვითმმართველობამ გააძლიერა ზრუნვა სახალხო განათლებაზე. გახსნა სახელოსნო სასწავლებელი და დაწყებითი სკოლები.

პროგრესული ინტელიგენცია თბილისის თვითმმართველობისაგან მეტს მოითხოვდა. რეაქციონერები კი ღვარძლიანად მიუთითებდნენ სათათბიროსა და გამგეობის მუშაობის სუსტ მხარეებზე. იყენებდნენ მას თვითმმართველობის პრინციპის სახელის გატეხისათვის. კონსერვატორები მარჯვნიდან აკრიტიკებდნენ თბილისის თვითმმართველობას, აღნიშნავდნენ, რომ საქალაქო მეურნეობის მოწესრიგების საქმეში საზოგადოებრივ წარმომადგენლობაზე უფ-

---

[1] „დროება“, 1878, № 262.

[2] «Новое обозрение», 1891, № 2476.

რო მეტი და უკეთესი როლის შესრულება შეუძლიაო მთავრობის ადმინისტრაციას.

საქალაქო თვითმმართველობას რეაქციონერთა შემოტევისაგან ჩვენი მოწინავე მოღვაწეები იცავდნენ. „იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ მემარჯვენე პუბლიცისტებიდან კამათის დროს ნ. ნიკოლაძე, პირველ რიგში, საქალაქო თვითმმართველობის მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებდა, მაგრამ ამის მიზეზად აცხადებდა მეფის მთავრობასა და არსებულ კანონებს.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ საქალაქო თვითმმართველობა წმინდა ადმინისტრაციული მიზნითაა დაარსებული და მას ითმენენ როგორც მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის დამატებას და დამხმარე ორგანოს. ბევრმა არ იცის, რომ ქალაქის შემოსავლის დიდი ნაწილი აუცილებლად უნდა დაიხარჯოს ჯარის, პოლიციის, საპყრობილისა და სხვ. საჭიროებისათვის. 1875 წელს ამ ხარჯებმა შთანთქა თბილისის ფინანსების 72%, ქალაქის უშუალო საჭიროებაზე კი მხოლოდ 28% დაიხარჯა. ამდენად, დაასკვნიდა ნ. ნიკოლაძე, თვითმმართველობის ბიუჯეტისა და მუნიციპალურ მოღვაწეთა შრომის ორი მესამედი მიდის არა ქალაქის კეთილმოწყობაზე, ორამედ იხარჯება მთავრობის ადმინისტრაციის საჭიროებისათვის [1].

ნ. ნიკოლაძე არ კმაყოფილდებოდა საქალაქო თვითმმართველობის ნაკლოვანებათა ობიექტურ მიზეზებზე მითითებით. იგი თავგამოდებით იცავდა ადგილობრივი თვითმმართველობის იდეას. მემარჯვენე კრიტიკოსთა მისამართით ნ. ნიკოლაძე აცხადებდა: „ზოგიერთი პირები თავს ესხმიან თვითმმართველობის პრინციპს, ცდილობენ სახელი გაუტეხონ მას მთავრობისა და საზოგადოების თვალში. მე კი მგონია, რომ მთელი ჩვენი მომავალი დაკავშირებულია ამ პრინციპის განვითარება-სრულყოფასთან და როცა მას მოსახლეობის თვალში უსამართლოდ სვრიან, ჩემს პირდაპირ მოვალეობად მიმაჩნია თვითმმართველობის პრინციპის დაცვა“ [2].

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე და საერთოდ პროგრესული ინტელიგენცია კარგად ამჩნევდა საქალაქო თვითმმართველობის ნაკლოვანებებს, მაგრამ ამისათვის თვითმმართველობის უარყოფა და პოლი-

---

[1] «Юридическое обозрение», 1881, № 22, стр. 839—873.

[2] Там же.

ციურ მმართველობისაკენ დაბრუნება, რასაც რეაქციონერები მოითხოვდნენ, დიდ ბოროტებად, პროგრესის ღალატად მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძის და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ ხელი შეეწყოთ „თვითმმართველობის პრინციპის განვითარებისათვის“, თბილისის საქალაქო თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, რადგან „სრულყოფილი თვითმმართველობა“ იყო, მათი აზრით, უკეთესი მომავლის საწინდარი.

პროგრესული ინტელიგენცია კარგად ხედავდა, რომ თბილისის საქალაქო სათათბიროში შეძლებული კლასები (თავადაზნაურობა, მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია) იყვნენ გაბატონებული, რომელნიც თავისი კლასობრივი ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ატარებდნენ. თვითმმართველობის ორგანოებში დემოკრატიის წარმომადგენლთა გაყვანა და თვითმმართველობის ორგანოების ამაღლება ქალაქის მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა მთავარი მიზანი იყო. 1879 წელს არჩეულ პროგრესისტ ხმოსანთა უპირველეს მოვალეობად ნ. ნიკოლაძე სთვლიდა სათათბიროს რეაქციული უმრავლესობისათვის ფრთების შეკვეცას და ისეთი გამგეობის შექმნას, რომელიც განახორციელებდა სათათბიროს პროგრესული უმცირესობის მიერ შემუშავებულ პროგრამას [1].

სათათბიროს მემარცხენე ფრთამ ნაწილობრივ შეასრულა თავისი მიზანდასახულობა. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო — გამგეობა ზოგჯერ პროგრესისტ ხმოსნებს ეყრდნობოდა, მათი მხარდაჭერით ახორციელებდა შედარებით ფართო საზოგადოებრივ სამუშაოებს.

1882 წლის არჩევნების შემდეგ სათათბიროსა და გამგეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილება არ მომხდარა. ამიტომ თბილისის თვითმმართველობა აგრძელებდა ადრე აღებულ კურსს. არც 1886 წლის არჩევნებს გამოუწვევია არსებითი ცვლილებები სათათბიროს შემადგენლობასა და პოლიტიკაში, მაგრამ მემარჯვენე ხმოსნები ამ პერიოდში უფრო გააქტიურდნენ და თავის გავლენის ქვეშ მოაქციეს გამგეობა, რომელიც ადრე ძირითადად მემარცხენე ფრთას ეყრდნობოდა. გამგეობის პარტიის მეთაურები — ქალაქის თავი ა. მატინოვი და გამგეობის წევრი პ. იზმაილოვი მარჯვნივ

[1] «Юридическое обозрение», 1881, № 19, стр. 732—746.

გადაიხარნენ. ამიტომ მემარცხენე ფრთა ოპოზიციაში ჩაუდგა გამგეობას და პარტიების ბრძოლამ თანდათან მწვავე ხასიათი მიიღო.

1883—1890 წლებში თბილისის თვითმმართველობის სამეურნეო საქმიანობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამ პერიოდში ამუშავდა კონკა, დამთავრდა ვერის ხიდის მშენებლობა, მოეწყო ავჭალის წყალსადენი, აშენდა მუნიციპალური სასახლე, მოიკირწყლა ქალაქის ბევრი ქუჩა. ამ ხანაში თბილისის თვითმმართველობა შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სახალხო განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვას. საქმის ასეთ წარმართვაში დიდი დამსახურება მიუძღოდა სათათბიროს მემარცხენე ფრთას. კონსერვატიული ხმოსნები კი თავის პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა და ამიტომ ხშირად სათათბიროს დადგენილებანი ატარებდა ვიწრო კლასობრივ ხასიათს. მეტ ყურადღებას აქცევდნენ ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობას, განაპირა მუშური უბნები ბედისანაბარა იყო მიტოვებული. სათათბიროს ვიწრო კლასობრივი პოლიტიკა ხშირად პროგრესული პრესის კრიტიკის საგანი ხდებოდა.

1884 წელს სათათბიროს დადგენილებით ბაზრები ქალაქის ცენტრიდან ვერაზე გადაიტანეს. ამან ძველი ბაზრის მიდამოთა სახლთმფლობელების უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან დუქნებისა და ტრაქტირების ქირა შემცირდა. „დაზარალებულთა“ ინტერესების დამცველმა ხმოსანმა გ. ევანგულოვმა წინადადება შეიტანა სათათბიროში ბაზრების ძველ ადგილზე დაბრუნების თაობაზე. ხმოსანი ცდილობდა დაეფარა თავისი წინადადების ნამდვილი მოტივი, მაგრამ იგი ამხილა „ნოვოე ობოზრენიეს“ პუბლიცისტმა. პირველ თანრიგში არჩეული ხმოსნები, წერდა იგი, მხოლოდ ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობაზე ზრუნავდნენ, რადგან ეს ზრდიდა მათი უძრავი ქონების ფასსა და შემოსავალს. ვინც გაბედავს ბურჟუა ხმოსნების ინტერესთა შელახვას, მას თავს ესხმიან შეუბრალებლად. მათ არ მოეწონათ ბაზრის ცენტრიდან განაპირა უბანში გადატანა და მოითხოვენ მის უკანვე დაბრუნებას. ეს კი არ შეესაბამება ქალაქის ინტერესებსო. წერილის ავტორი, ამასთან ერთად, სიამოვნებით აღნიშნავს, რომ თბილისის სათათბიროში ქალაქის ცენტრი ყოველთვის როდი იმარჯვებს განაპირა უბნებზე. ზოგი რამ განაპირა უბნების მცხოვრებთათვისაც კეთდება. კიდევ მეტის გაკეთება შე-

იძლება თუ გასაქანს არ მივცემთ უმცირესობის ეგოისტურ ზრახვებს უმრავლესობის საზარალოდო [1].

საქალაქო თვითმმართველობა თანდათან მეტ როლს ასრულებდა თბილისის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მოსახლეობა მზარდი ინტერესით ადევნებდა თვალს მის საქმიანობას. თბილისის თვითმმართველობის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად თანდათან მწვავდებოდა წინააღმდეგობა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია მთელი ძალით ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. არც ქალაქში მცხოვრები თავადაზნაურობა აპირებდა თავისი პოზიციების დათმობას და წერილი ბურჟუაზიის ახალი ტალღაც შესაფერის ადგილს მოითხოვდა თვითმმართველობის ორგანოებში. ბრძოლაში აქტიურად ებმებოდა თბილისის პროგრესული ინტელიგენცია, რომელიც მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესებს გამოხატავდა.

მოსახლეობის ზედა ფენას ხელს უწყობდა კანონმდებლობა. ქონებრივი ცენზი და დაწესებული საარჩევნო თანრიგები თვითმმართველობაში მის უპირატესობას უზრუნველყოფდა. იგივე საარჩევნო სისტემა დაბალ ფენებს და ინტელიგენციის საგრძნობ ნაწილს თვითმმართველობის მიღმა სტოვებდა. ამიტომ პრესაში ხშირად გამოითქმოდა უკმაყოფილება მაღალი საარჩევნო ცენზის წინააღმდეგ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია სურვილს გამოთქვამდა პასიური საარჩევნო უფლების პირობად დადებულიყო არა ქონებრივი, არამედ განათლების ცენზი, გაუნათლებელ მდიდარ მოქალაქეებს ქალაქის მართვა-გამგეობაში ადგილი არ უნდა ეძლეოდესო. მაგრამ რედაქცია იქვე შენიშნავს, რომ თვითმმართველობისა და საარჩევნო სისტემის რეფორმა მომავლის საქმეა. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ საკითხები წყდებოდეს მოსახლეობის ინტერესთა შესაბამისადო [2]. ასეთი პოლიტიკის გატარების წინა პირობად წერილის ავტორს მიაჩნდა საქალაქო სათათბიროს განთავისუფლება ბანკებისა და აქციონერული საზოგადოებების გავლენისაგან, მის შემადგენლობაში ისეთი პირების შეყვანა, რომელნიც მეტს იზრუნებდნენ მოსახლეობის დაბალ კლასებზე [3].

---

[1] «Новое обозрение», 1885, № 640.

[2] Там же, 1887, № 1142.

[3] Там же, 1886, № 1003.

1890 წელს თბილისში წინასაარჩევნო ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ბრძოლის ასპარეზზე სამი დაჯგუფება გამოვიდა. პირველს თანამედროვენი უწოდებდნენ „გამგეობის პარტიას“, რადგან მას მეთაურობდნენ გამგეობის თავმჯდომარე, იგივე ქალაქის თავი ა. მატინოვი და გამგეობის ყველაზე გავლენიანი წევრი პ. იზმაილოვი. მეორე დაჯგუფება მონათლეს „დვორცოვი ნომრების“ პარტიის სახელწოდებით. მესამე დაჯგუფებას ქმნიდა სათათბიროს მემარცხენე ფრთა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი „დვორცოვი ნომრებისადმი“ და უკანასკნელ ხანს ოპოზიციაში ჩაუდგა გამგეობას. ამიტომ იმდროინდელ პრესაში იგი „ოპოზიციის“ სახელწოდებით იხსენიება. ზოგიერთი პუბლიცისტი კი ამ დაჯგუფებას „ქართველთა პარტიას“ უწოდებდა.

„დვორცოვი ნომრებისა“ და „გამგეობის პარტიის“ სამოქმედო პროგრამები ერთმანეთისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა. ამ დაჯგუფებათა სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა თბილისის მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო შეძლების ბურჟუაზია, რომელიც ეროვნული შემადგენლობით ძირითადად სომხური იყო. ამ ფენას ქალაქის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და თბილისის მართვა-გამგეობაშიც პირველობას იჩემებდა.

როცა ქართველი ეროვნული ბურჟუაზია რამდენადმე მომაგრდა და მისმა დიდმა ნაწილმა თბილისი გაიხადა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის ასპარეზად, იგი ყოველი ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგობას. XIX ს. 70—80-იან წლებში სომეხი და ქართველი ბურჟუაზია ერთმანეთს ებრძოდა ქალაქის ეკონომიკაში უპირატესი მდგომარეობის შენარჩუნება-მოპოვებისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა ცხოვრების ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა. 1890 წლიდან მდგომარეობა უფრო დაიძაბა. თბილისის ბურჟუაზიის ეს ორი რაზმი მტრულად დაუპირისპირდა ერთმანეთს საქალაქო თვითმმართველობაშიც.

„ნაციონალური ბრძოლა აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში წარმოადგენს ბურჟუაზიული კლასების ბრძოლას ურთიერთშორის“ [1]. სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია საკუთარი კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე აწარმოებს ურთიერთშორის ბრძოლას. მითუმეტეს კლასობრივ და შინაკლასობრივ ხასიათს ატარებ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 331.

და ერთი სახელმწიფოს, ერთი ქალაქის ფარგლებში მოქმედი სომეხი და ქართველი ბურჟუაზიის ბრძოლა. ისინი თავის ვიწრო კლასობრივ ინტერესებს თავიანთ ეროვნულ ინტერესად აცხადებდნენ და ცდილობდნენ ამ ბრძოლაში ერის სხვა სოციალური ძალების ჩაბმასაც.

ახლად აღორძინებული ქართველი ბურჟუაზია კარგად გრძნობდა თავის სისუსტეს. იგი დახმარებისათვის მოუწოდებდა არა მარტო მოსახლეობის დაბალ ფენებს, საიდანაც იგი იყო გამოსული, არამედ გაბურჟუების გზაზე დამდგარ ქართველ თავადაზნაურობასაც.

ქართველი თავადაზნაურული და რაზნოჩინცული ინტელიგენცია, რომლის ერთი ნაწილი აშკარა აღმავალი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, ხოლო მეორე ნაწილი საერთოდ, ხალხის ინტერესთა დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა, მხარს უჭერდა და ხელმძღვანელობდა კიდეც ქართველ ცენზიან მოქალაქეებს წინასაარჩევნო ბრძოლაში.

პარტიებმა აქტიურად დაიწყეს ამომრჩეველთა „დამუშავება". „დეორცოვი ნომრებისა" და „გამგეობის პარტიის" მეთაურები უშუალოდ ამომრჩეველთა შორის ტრიალებდნენ, ოპოზიცია კი თავის პროგრამის პროპაგანდას პრესის საშუალებით ეწეოდა. იგი მოითხოვდა თბილისის სათათბიროს შემადგენლობის არსებით შეცვლას, მის გადახალისებას ინტელიგენტური ძალებით. ოპოზიციის წარმომადგენელმა „ნოვოე ობოზრენიეში" გამოაქვეყნა წერილების სერია საერთო სათაურით „Обновление Тифлисской думы" [1]. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის ბოლოს არჩევნები დაძაბულ ხასიათს მიიღებს, წამოყენებული იქნება დიდი რაოდენობით ხმოსნობის ახალი კანდიდატები. 1882 და 1886 წლების არჩევნების პაროლი — შივცეთ არსებულ სათათბიროსა და გამგეობის შემადგენლობას დაწყებულ მშენებლობათა დამთავრების საშუალება — ამ არჩევნებში ვერ შეინარჩუნებს თავის ძალას. საზოგადოებაში გამოჩნდნენ ადამიანები აგიტაციას რომ ეწევიან სათათბიროს განახლების საჭიროებაზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ერთი ჭეშმარიტება: ქალაქის თავის, გამგეობისა და სათათბიროს შემადგენლობის შეცვლა ხდება არა უშუალოდ

---

[1] «Новое обозрение», 1890, № 2284, № 2285.

კენჭის ყრის დროს (ამ დროს სრულდება ადრე დაწყებული პროცესი), არამედ დიდი ხნით ადრე არჩევნებამდე. ამიტომ ჩვენ აქტიურად უნდა ვმონაწილეობდეთო ამომრჩეველთა სიების შედგენასა და წინასაარჩევნო საქმიანობაში.

წერილის ავტორი შემდეგ მკითხველებს შეახსენებს, რომ სამ თვეზე ნაკლები დარჩა საქალაქო არჩევნებამდე, რომელზეც მიპყრობილია თბილისის მთელი მოსახლეობის გულისყური. საქალაქო თვითმმართველობის მოქმედების სფერო, მართალია, შეზღუდულია, მაგრამ თუ სურვილი იქნება ამ ვიწრო ჩარჩოებშიც შეიძლება სასარგებლო მოღვაწეობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება. ახალი არჩევნების შედეგად, განაგრძობს ავტორი, საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის წინაშე იხსნება მშობლიური ქალაქის სასარგებლოდ მოღვაწეობის ასპარეზი: ქალაქის ბიუჯეტის წონასწორობაში მოყვანა, ბაზრებზე კონტროლის გაძლიერება, წყლით მომარაგების გაუმჯობესება, სკოლების რიცხვის გადიდება, ქალაქის გარეგან სახეზე ზრუნვა, ელექტრული ან გაზით განათების დანერგვა და სხვ. ასეთი უნდა იყოს ახალი შემადგენლობის სათათბიროს უახლოესი ამოცანები.

ინტელიგენციამ უნდა სცადოს, დაასკვნის ავტორი, სათათბიროში გაიყვანოს ენერგიული, მოწინავე საზოგადოებრივი იდეალების მქონე ადამიანები. ადგილი არ უნდა დაეთმოს საეჭვო პირებს, რომელნიც საკუთარი ინტერესების პრიზმაში ხედავენო ქალაქის საქმეებს.

აქტიურად ჩაება წინასაარჩევნო აგიტაციაში გაზეთი „ივერია", რომელიც აქამდე თავის ფურცლებზე საქალაქო თვითმმართველობის მუშაობას მეტად მცირე ადგილს უთმობდა. ერთ-ერთ საგაზეთო წერილში გულისწყრომაა გამოთქმული იმის გამო, რომ ხმოსნობის კანდიდატთა წამოყენების უფლების მონოპოლია ხელთ აქვს თბილისის ორასიოდე მდიდარ მოქალაქეს, სამი ათასი კაცი კი ფაქტიურად მოკლებულია ამ უფლებას. „შეძლებულს, — წერს ავტორი, — იარაღად კლუბი აქვს, შეუძლებელს მოედანზე თათბირიც კი არ შეუძლია". შემდეგ წერილში მოყვანილია ამომრჩეველთა აბსენტეიზმის საილუსტრაციო ფაქტები, საიდანაც ჩანს, რომ წინა არჩევნებში მონაწილეობდა მხოლოდ ცენზიანთა 15—20%, ყველაზე მეტად კი პასიურობდნენ ქართველები. ეს გარე-

მოება, წერს კორესპონდენტი, „მახვილივით უნდა მოხვდეს ყოველ იმ ქართველის გულს, ვისაც შეუძლია საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღება, ხელის განძრევა და არას კი აკეთებს“. იგი ამხელს ქართველთა დაუდევრობას, რომელნიც თითქოს საჭიროდ არ თვლიდნენ „ამისთანა იწიმაწა საქმეში გარევას“. წერილის ავტორი იმედოვნებს, რომ ქართველი ცენზიანები შეიგნებენ საქალაქო თვითმმართველობის დიდ მნიშვნელობას და ამჯერად აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში, რათა სათათბიროში გაიყვანონ თავის ინტერესთა დამცველი ხმოსნები [1].

1890 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიების ბრძოლამ ეროვნული ელფერი მიიღო. გამგეობის პარტიამ პ. იზმაილოვის პირით თავი მთელი სომეხი ერის ინტერესების დამცველად გამოაცხადა და მოუწოდა თბილისელ ცენზიან სომხებს ხმა მიეცათ ამ პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატებისათვის. ოპოზიციის ლიდერებმაც შესაფერისად მოიმარჯვეს აგიტაციის ეს მეთოდი და დარაზმეს ქართველი ამომრჩევლები.

არჩევნები დეკემბერში ჩატარდა. პირველი ორი თანრიგის ამომრჩევლებმა ხმა მისცეს „დვორცოვი ნომრებისა“ და „გამგეობის პარტიის“ მიერ წამოყენებულ კანდიდატებს. ოპოზიციას ამ თანრიგებში ძალიან ცოტა მომხრენი ჰყავდა და ამიტომაც ორიოდე ხმოსნის გაყვანა მოახერხა მხოლოდ.

განსაკუთრებით მწვავე ვითარებაში ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები მესამე თანრიგში. აქ გაერთიანებული იყო ამომრჩეველთა 94%. ამდენად, თუ რომელი პარტია სარგებლობდა ამომრჩეველთა მასაში მეტი ნდობითა და გავლენით, ეს მესამე თანრიგის კრებაზე უნდა გამომჟღავნებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ გამგეობის პარტია დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდა, ხოლო ოპოზიციას ორგანიზებული აგიტაციის წარმოების საშუალება არ ჰქონდა, მესამე თანრიგის არჩევნებში ოპოზიციამ გაიმარჯვა. ამგვარად, ოპოზიციური დაჯგუფების მიერ წამოყენებული კანდიდატები სათათბიროში გავიდნენ მესამე თანრიგის ამომრჩეველთა (წვრილი ბურჟუაზიის) ხმებით. ოპოზიცია მოსახლეობის შედარებით ფართო ფენის ინტერესებს გამოხატავდა და სათათბიროში მემარცხენე პოზიცია ეკავა.

---

[1] „ივერია“, 1890, № 215.

ხმოსანთა არჩევნების დამთავრებისთანავე „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ ასე დაახასიათა სათათბიროს ახალი შემადგენლობა: „ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ახალი სათათბიროსი ძველისაგან მდგომარეობს ადგილობრივი ფინანსური ტუზების გავლენის საგრძნობ შემცირებაში. ინტელიგენცია, რომელსაც მდიდრები აქამდე თითქოს სამოწყალოდ ითმენდნენ, ამ დროიდან სათათბიროში ყალიბდება დამოუკიდებელი ჯგუფის სახით. ახალ სათათბიროში უდაოდ მას ეკუთვნის პირველობა. ინტელიგენციას შეუძლია მოიპოვოს 45 ხმოსნის მხარდაჭერა და იმოღვაწეოს საქალაქო მეურნეობისა და მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“ [1].

წერილის ავტორი, რა თქმა უნდა, აჭარბებს. 1890 წელს არჩეულ სათათბიროშიც უმრავლესობა არა ინტელიგენციას, არამედ ვაჭარ-მრეწველებსა და ბანკირებს ეკუთვნოდა. სათათბიროში შედიოდნენ: ხმოსანი ადელხანოვი — ტყავის ქარხნის მეპატრონე და თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე: ა. ანანოვი — ცნობილი მილიონერი, ვარციხის მამულის მფლობელი; ბარათაშვილი — ქართველი მემამულე, სოფლის მეურნეობის რაციონალიზატორი; გ. ევანგულოვი — ბანკირი; გ. ქართველიშვილი — მოიჯარე, მრეწველი და ცნობილი მეცენატი; ა. მანთაშევი — მსხვილი ნავთის მრეწველი და ექსპორტიორი, თბილისის კომერციული ბანკის გამგეობის თავმჯდომარე: ა. იოანესიანი — ბანკირი და ჟურნალისტი; ა. ფრიდონოვი — საბანკო კანტორის პატრონი: დ. სარაჯიშვილი — მსხვილი მრეწველი და სახლთმფლობელი: მ. თამამშევი — ბანკირი; ი. ყორღანოვი — მრეწველი. იმავე სათათბიროში შედიოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ნ. ნიკოლაძე, ი. მაჩაბელი, ვ. მიქელაძე, ნ. ცხვედაძე და სხვ. [2].

სათათბიროს მემარცხენე ფრთა ყოველნაირად ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი პოზიციები საქალაქო გამგეობაში. მან ქალაქის თავის თანამდებობაზე კანდიდატად წამოაყენა ნ. ზუბალაშვილი. გამგეობის პარტიამ კი ძველი ქალაქის თავი ა. მატინოვი. არჩევნებში 68 ხმოსანმა მიიღო მონაწილეობა. ა. მატინოვმა მიიღო 35 ხმა, ა. ზუბალაშვილმა — 34. ესოდენ მცირე უპირატესობით გამარჯვება „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ მატინოვის მდგო-

[1] «Новое обозрение», 1890, № 2401.

[2] «Новое обозрение», 1891, №№ 2423, 2425.

ბარეობის საფუძვლიანად შერყევის მომასწავებლად მიიჩნია და ამიტომ გაზეთში მოთავსებულ ქალაქის თავის არჩევისადმი მიძღვნილ წერილს „დასასრულის დასაწყისი“ უწოდა [1].

გამგეობის წევრთა არჩევის დროსაც მემარცხენე ოპოზიციამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მატინოვ-იზმაილოვის მემარჯვენე უმრავლესობას. მაგრამ ხმების მცირე უმეტესობით გამგეობაში კვლავ ძველი წევრები გავიდნენ. მიუხედავად ამისა, ოპოზიციის მდგომარეობა საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებში მტკიცე ჩანდა. იგი სარგებლობდა თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილის მორალური მხარდაჭერით.

მემარცხენე ფრთამ თავიდანვე შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ქალაქის თავისა და გამგეობის მიმართ. ოპოზიცია საყოველთაო გასაცნობად აქვეყნებდა თავის განზრახვებსა და გეგმებს. გამგეობის პარტიის წარმომადგენლები კი სხვაგვარად მოქმედებდნენ. ნაცელად იმისა, რომ მემარცხენე ფრთის პროგრამისათვის აშკარად დაეპირისპირებინათ თავისი სამოქმედო გეგმა, ემხილებინათ ოპოზიციის შეცდომები, თუ ასეთი მას გააჩნდა, ისინი კულისებში ლაპარაკობდნენ თითქოს ოპოზიციას ჰქონდა ბნელი ზრახვები. მაგრამ გამგეობას ამან ვერ უშველა. მემარცხენე ფრთის პოზიცია თანდათან მტკიცდებოდა. ხმოსანთა ნახევრის მხარდაჭერას მოკლებული ა. მატინოვი იძულებული გახდა არჩევიდან 5 კვირის თავზე ქალაქის თავის თანამდებობიდან გადამდგარიყო.

მაგრამ გამგეობის პარტია არ აპირებდა ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის დათმობას. მას სურდა ეს პოსტი თავის მეორე ლიდერის პ. იზმაილოვისათვის ჩაებარებინა. ფართოდ გაიშალა წინასაარჩევნო აგიტაცია. გამგეობის პარტიის წარმომადგენლები თავს იქებდნენ წარსული საქმიანობით, მომავალი მოქმედების პროგრამას კი არ აქვეყნებდნენ. სომხურმა გაზეთმა „არძაგანკმაც“ კი მკაცრად გააკრიტიკა პ. იზმაილოვი, რომელიც ყოველგვარ საშუალებას იყენებდა მატინოვისაგან დატოვებულ ქალაქის თავის სავარძლის დასაკავებლად. დასახელებული გაზეთის რედაქცია მოითხოვდა პ. იზმაილოვს უკან წაეღო თავისი კანდიდატურა და ხელი არ შეეშალა თბილისის სათათბიროსათვის შესაფერისი ქალაქის თავის არჩევაში [2].

---

[1] «Новое обозрение», 1891, № 2431.
[2] «Новое обозрение», 1891, № 1491.

პ. იზმაილოვს თავისი კანდიდატურა უკან არ წაუღია, კენჭი იყარა. სათათბიროს 1891 წლის 4 მარტის სხდომაზე მან 64-დან 31 ხმა მიიღო და ამდენად გაშავდა. პ. იზმაილოვი იმავე ხმოსნებმა გააშავეს, რომლებმაც უფრო ადრე შატინოვი აიძულეს გადადგარიყო. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია მიესალმა ამ ფაქტს, რადგან, მისი აზრით, საქალაქო თვითმმართველობის სათავეში შეუცვლელად ერთი და იგივე პირების ყოფნა საზარალო იყო საქმისათვის. ეს იწვევდა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შემცირებას, იძლეოდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, აფერხებდა ახალგაზრდა საზოგადო მოღვაწეთა მომზადებას და სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლას. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი აზრი იზმაილოვის შესახებ, დაასკვნიდა რედაქცია, არ შეგვიძლია მიზანშეწონილად არ ვცნოთ ის ნამდვილი და კაპიტალური გადახალისება, რასაც ამჟამად განიცდის საქალაქო გამგეობაო [1].

25 მარტს ჩატარდა ქალაქის თავის არჩევნების მეორე ტური. რის შედეგად ქალაქის თავის თანამდებობა ნ. არღუთაშვილმა დაიკავა. ქალაქის თავად ოპოზიციის მიერ დასახელებული პირის არჩევა მემარცხენე ფრთის მნიშვნელოვან გამარჯვებას მოასწავებდა. ნ. არღუთაშვილის ქალაქის თავად არჩევის შემდეგ ოპოზიცია მმართველ პარტიად უნდა გადაქცეულიყო. მაგრამ ნ. არღუთაშვილი ყველა საქმეში როდი იზიარებდა მემარცხენე ფრთის პროგრამას. შესაძლებელია ახალ ქალაქის თავზე ზეგავლენას ახდენდნენ მემარჯვენე დაჯგუფებანი, რომელთაც ჯერ კიდევ ძლიერი პოზიციები ეკავათ სათათბიროსა და გამგეობაში. თბილისის პროგრესული პრესა იმედს გამოთქვამდა, რომ დროთა ვითარებაში მოხდებოდა გამგეობის გადახალისება, მის შემადგენლობაში მოწინავე პირების შეყვანა, რის შემდეგ საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობა მიიღებდა მოსახლეობისათვის სასურველ მიმართულებას [2].

1890 წლის ბოლოს არჩეული სათათბირო თავის შემადგენლობით მრავალპარტიული იყო, რის გამო სხდომებზე თითქმის ყოველთვის ცხარე კამათი იმართებოდა. აზრთა ბრძოლა ხელს

---

[1] «Новое обозрение», 1891, № 2478.

[2] Там же, № 2498.

ულყობდა საკითხების ამომწურავად განხილვას და შედარებით სწორი დადგენილების მიღებას. მაგრამ ზოგიერთ პირს სათათბიროს სხდომებზე ატეხილი დებატები საქმისათვის საზარალოდ მიაჩნდა და მრავალპარტიულთან შედარებით უპირატესობას ერთპარტიულ სათათბიროს ანიჭებდა. ასეთ კრიტიკოსებს შესაფერისი პასუხი გასცა სათათბიროს მემარცხენე ფრთის ერთ-ერთმა ლიდერმა ნ. ნიკოლაძემ. იგი წერდა, რომ თბილისის სათათბიროს ყველა შემადგენლობიდან მხოლოდ ორი გამოირჩეოდაო შემადგენლობის მრავალფეროვნებით და პარტიათა ბრძოლის ინტენსივობით. ასეთი იყო, ნიკოლაძის გადმოცემით, 1879 და 1891 წლების შემადგენლობები. მხოლოდ ამ შემადგენლობების სათათბიროში დუღდა პარტიების ბრძოლა და იყო ცხარე კამათი. რაც კი თბილისის თვითმმართველობამ კარგი გააკეთა უნდა ვუმადლოდეთ ამ შემადგენლობების სათათბიროს, ხოლო რაც გაკეთდა 1883—1890 წლებში იგი ადრე დაწყებულის გაგრძელება იყოო.

1886 წელს არჩეულ სათათბიროს, განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, თითქმის არაფერი გაუკეთებია. შეადარეთ მისი მოღვაწეობა ახლანდელ მრავალპარტიული შემადგენლობის სათათბიროს საქმიანობას და თქვენ დარწმუნდებით, რომ ახლანდელმა სათათბირომ ორ წელიწადში გააკეთა ათჯერ მეტი იმაზე, რაც წინანდელმა ქალაქს შემატა ოთხ წელიწადში. ბოლოს წერილის ავტორი ასკვნიდა, რომ სათათბიროს მრავალპარტიულობა და კამათი საქმისათვის სასარგებლოაო [1].

ნ. ნიკოლაძე თუმცა ქებას არ იშურებდა 1890 წელს არჩეული სათათბიროსადმი, მაგრამ მას საქალაქო თვითმმართველობის მუშაობაში არსებითი გარდატეხა არ მოუხდენია. ამის შესაძლებლობა არც ჰქონდა ცარიზმის კანონმდებლობის მიერ უფლება-კომპეტენცია შეზღუდულ თვითმმართველობას, რომელიც ყოველთვის განიცდიდა ფინანსური სახსრების ნაკლებობას.

თბილისის თვითმმართველობაში დემოკრატიისა და ინტელიგენციის წარმომადგენლობის გაძლიერება თითქოს იმედს იძლეოდა, რომ ქალაქში უახლოეს მომავალში გაიშლებოდა შედარებით ფართო საზოგადოებრივი სამუშაოები, გაუმჯობესდებოდა თბილისის კომუნალური მეურნეობა და ამდენად მოქალაქეთა მდგომა-

---

[1] «Новое обозрение», 1893, № 3133.

რეობაც. მაგრამ 1892 წლის ახალმა საქალაქო დებულებამ ფრთა შეაკვეცა დემოკრატიის წარმომადგენლობას და საქალაქო თვითმმართველობა თითქმის განუყოფლად ხელში ჩაუგდო ვაჭარ-მრეწველებს და უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებს.

* *

ნაროდოვოლცების მიერ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა განსაკუთრებით გაძლიერდა. მეფემ და მისი ბიუროკრატიული აპარატის დიდმოხელეებმა 60-იანი წლების რეფორმები შეცდომად გამოაცხადეს და დაიწყეს კონტრრეფორმების გატარება.

1892 წლის საქალაქო კონტრრეფორმის გატარებას შედეგად მოჰყვა საქალაქო თვითმმართველობაზე ადმინისტრაციის კონტროლის გაძლიერება, რამაც არსებითად მოსპო თვითმმართველობა. მაღალი საარჩევნო ცენზის დაწესების გამო ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობა დაკარგა მრავალრიცხოვანმა წვრილბურჟუაზიულმა ფენამ. იქ თითქმის განუყოფლად გაბატონდა მსხვილი და საშუალო შეძლების ბურჟუაზია.

ახალი საქალაქო დებულების საფუძველზე თბილისის თვითმმართველობის რეორგანიზაცია 1893 წელს მოხდა. დებულების თანახმად საქალაქო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყოველ თბილისელს თუ იგი იყო რუსეთის ქვეშევრდომი და ქალაქის ტერიტორიაზე ფლობდა 1500 მან. ღირებულების უძრავ ქონებას. ასეთივე უფლება ჰქონდათ პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს.

შეიკვეცა სათათბიროსა და გამგეობის უფლებები. საქალაქო თვითმმართველობის დადგენილება-განკარგულებანი ძალაში შედიოდა მხოლოდ გუბერნატორისაგან დამტკიცების შემდეგ. თვითმმართველობის თანამდებობებზე არჩეულ პირებს ამტკიცებდა შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო არჩეული პირი თანამდებობაზე არ იქნებოდა დამტკიცებული, მაშინ ამ ადგილს იკავებდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის და გუბერნატორისაგან დანიშნული პირები [1].

---

[1] Городовое положение 1892 года.

1892 წლის დებულება ყველა ქალაქთა თვითმმართველობებს თანაბრად ავიწროებდა. მაგრამ სავალალო ისიც იყო, რომ ამიერკავკასიის ქალაქებისათვის 1899 წელს საგანგებო წესები შემოიღეს. ამ მხარის მთავარმმართველს უფლება ეძლეოდა თავის შეხედულებისამებრ საქალაქო სათათბიროდან გამოეყვანა არასაიმედო ხმოსანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაეუქმებია ქალაქის თავის არჩევითობა და ამ თანამდებობაზე თვით დაენიშნა საიმედო პირი[1]. საგანგებო კანონი ამიერკავკასიის მიმართ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

1892 წლის დებულებისა და 1899 წლის საგანგებო კანონის მთავარ მიზანს საქალაქო თვითმმართველობაზე მთავრობის ადმინისტრაციის კონტროლის გაძლიერება შეადგენდა. ეს მიზანი ამიერკავკასიაში მთელი სისრულით იქნა მიღწეული. აქ მეტად ხშირი იყო სათათბიროს დადგენილებათა დაუმტკიცებლობის შემთხვევები საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მიერ, კიდევ უფრო ხშირი თვითმმართველობის დადგენილება-განკარგულებათა გუბერნატორისაგან შეჩერების ფაქტები. არაიშვიათად მთავრობა უარს ამბობდა სათათბიროს მიერ არჩეული ქალაქის თავის დამტკიცებაზე.

1892 წლის დებულების საფუძველზე შემუშავებულ იქნა თბილისის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნების ახალი წესი, შედგენილ იქნა ამომრჩეველთა ახალი სია. გაუქმდა თანრიგები, თბილისის ცენზიანი მოქალაქენი გაერთიანდნენ ერთ საარჩევნო კრებაში.

1893 წლის მარტში გაჩაღდა წინასაარჩევნო აგიტაცია. განსაკუთრებით აქტიურობდა სომეხი ბურჟუაზია, რომელსაც ახალი საქალაქო დებულება შესაძლებლობას აძლევდა დაებრუნებია 1890 წელს დათმობილი პოზიციები. სომეხმა ბურჟუაზიამ ამჯერადაც ფართოდ გამოიყენა წინასაარჩევნო მანევრი, თავისი ვიწრო კლასობრივი ინტერესები საერთო ეროვნულ ინტერესად გამოაცხადა. ბურჟუებმა კარგად იცოდნენ, რომ მათსა და სომეხი მოსახლეობის დაბალ ფენებს შორის ძალიან ცოტა რამ იყო საერთო, მაგრამ მაინც ცდილობდნენ ემოქმედათ დაბალი ფენების ეროვნულ გრძნობებზე, ყველა სომეხს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდნენ.

[1] Г. Гуманишвили. Заметки о городском Самоуправлении на Кавказе, 1902, стр. 23—36.

1893 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა „ახალგაზრდა სომეხთა პარტია“, რომელიც გამოხატავდა თბილისის სომეხი მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესებს. ახალგაზრდა სომხები წინააღმდეგი იყვნენ ეროვნული განკერძოებულობისა და მოითხოვდნენ თბილისის თვითმმართველობაში ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შეთანხმებულ მუშაობას. მაგრამ სომეხ ცენზიანთა დიდი ნაწილი გაჰყვა არა ახალგაზრდა სომხებს, არამედ ბურჟუაზიულ დაჯგუფებებს.

დამოუკიდებელი პროგრამით გამოდიოდა წინასაარჩევნო კამპანიაში ქართველთა პარტია, რომელიც ძირითადად აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. ამ დაჯგუფების ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ ახალი საქალაქო დებულება თვითმმართველობაში გადამწყვეტ უპირატესობას აძლევდა მსხვილ ბურჟუაზიას (რომელიც უმეტეს წილად სომხური იყო), წვრილი ბურჟუაზიის დიდ ნაწილს კი არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც ართმევდა. ამიტომ მათ სცადეს როგორმე შემოეღლოთ კანონისათვის. ნ. ნიკოლაძემ წამოაყენა წინადადება სათათბიროში პროპორციულ ეროვნულ წარმომადგენლობათა დაწესების თაობაზე. პროპორციულ თანაშეფარდებას საფუძვლად უნდა დადებოდა არა ცენზიანი მოქალაქენი მხოლოდ, არამედ მთელი მოსახლეობა. თუ ეს პრინციპი პრაქტიკაში დაინერგებოდა. სომეხი ბურჟუაზია გადამწყვეტ უპირატესობას დაკარგავდა, ქართველობა კი საკმაო რაოდენობის ხმოსნებს გაიყვანდა სათათბიროში. მაგრამ ნ. ნიკოლაძის თეორია ეწინააღმდეგებოდა საქალაქო დებულებას და, ბუნებრივია, მეფის მთავრობის კავკასიელმა მოხელეებმა იგი უარყვეს.

თბილისის პრესის პუბლიცისტებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ წინასაარჩევნო აგიტაციაში. მათ შეადგინეს და „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოაქვეყნეს ხმოსნობის კანდიდატთა სია. გაზეთის რედაქცია მებრძოლ პარტიებს ურჩევდა დაეძლიათ კლასობრივი შეზღუდულობა და სათათბიროში გაეყვანათ ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესთა დამცველი ხმოსნები. ამ წინადადებას სიტყვით თითქოს ყველა ეთანხმებოდა, მაგრამ ფაქტიურად მებრძოლმა პარტიებმა ხმოსნობის კანდიდატთა სიების შედგენის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეროვნულ კუთვნილებას მიაქციეს. „დეორცოვი ნომრების“ სიაში თითქმის მხოლოდ სომხები

აღმოჩნდნენ. ოპოზიციის სიაში კი ქართველები. ამდენად, ცენზიანთა შინაკლასობრივი ბრძოლა ეროვნული ელფერით იმოსებოდა.

„დვორცოვი ნომრების“ წარმომადგენლები და ძველი გამგეობის მომხრეები ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ ცილისწამებასაც კი მიმართავდნენ. მათ გაავრცელეს ხმები ნ. ნიკოლაძის შესახებ, რომ იგი თითქოს თბილისელ სომხებს ამოწყვეტით ემუქრებოდა თუ ისინი ხმას არ მისცემდნენ ხმოსნობის ქართველ კანდიდატებს. მე იქამდე არ დავმდაბლდები, წერდა საპასუხოდ ნიკოლაძე, რომ დავიწყო ასეთი სულელური ცილისწამების უარყოფა. მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ჩემს შიზანს შეადგენდა ჩვენი მხარის ყველა მეგობართა გაერთიანება განურჩევლად რწმენისა და ეროვნებისა საერთო შრომაში კავკასიის მოსახლეობის მატერიალური, გონებრივი, ზნეობრივი აღმავლობისა და კეთილდღეობისათვის.

მტკიცება იმისა, განაგრძობდა ნიკოლაძე, რომ „სტაროუპრაველები“ გამოხატავენ მთელი სომეხი ერის ინტერესებს, უსუსური გამონაგონია. თვით სომეხთა დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ამ პარტიის საქმიანობით. ჩვენ ხმას მივცემთ სომეხთა ისეთ კანდიდატებს, რომელნიც ემსახურებიან საზოგადოების საერთო ინტერესებს და არა ძალადობისა და ხალხის ექსპლოატაციის „გმირებს“. სომეხი საზოგადოების საუკეთესო ნაწილთან ერთად ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, რომ იბრძოლონ საერთო კეთილდღეობისათვის. ამომრჩევლებისაგან ჩვენ მოველით არა ერთი ან მეორე ეროვნების გამარჯვებისათვის ხელის შეწყობას, არამედ ისეთი ხმოსნების არჩევას, რომლებიც მაგარი ხელით შეძლებენ პროგრესული მიმართულებით შემოაბრუნონ საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობა. ასეთი მიზნის მიღწევა მხოლოდ ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მეგობრული თანამშრომლობით შეიძლება. ოპოზიციას, დაასკვნის ნიკოლაძე, არ დაუკარგავს მოელენათა შეფასების უნარი. იგი იბრძვის არა განკერძოების, არამედ თანასწორუფლებიანობისათვის. ამ იდეის წინააღმდეგ გალაშქრება შეუძლია არა ერს, არამედ მხოლოდ ადამიანთა მცირე ჯგუფს, პარტიას, რომელიც საერთო-სახალხო საქმეში ებმება არაეროვნული, არამედ ვიწრო ეგოისტური მიზნისათვის [1].

1893 წლის 30 მაისის არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი

---

[1] «Новое обозрение», 1893, № 3226.

იყო, მსხვილმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვა. მოსახლეობის დემოკრატიული ფენების წარმომადგენლობა თითქმის სრულიად გამოიდევნა საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებიდან. ამ არჩევნების შედეგებისადმი მიძღვნილ წერილში „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ძველი გამგეობის პარტია გამოხატავს ამომრჩეველთა უმცირესი ნაწილის, მსხვილი კაპიტალისტების ინტერესებს და ამდენად არჩევნებში გაიმარჯვა ორგანიზებულმა პატარა ჯგუფმა. ასეთ სიტუაციაში ოპოზიციას არ მართებს პანიკაში ჩავარდნა. მან უნდა მოიკრიბოს მორალური და რეალური ძალები არცთუ ისე ძლიერი მოწინააღმდეგის დასამარცხებლადო [1].

არჩევნებში დამარცხების ძირითად მიზეზად ნ. ნიკოლაძე თვით მემარცხენე ოპოზიციის შეცდომებს თვლიდა, რამაც თითქოს ამ დაჯგუფებას დაუკარგა ამომრჩეველთა ნდობა. შესაძლებელია ოპოზიციის ხმოსნებმა დაუშვეს სერიოზული შეცდომები, საქმიანობით ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა მხარდაჭერა, მაგრამ სათათბიროს პროგრესული ფრთის დამარცხება 1893 წლის არჩევნებში ამით როდი აიხსნება. იმის გამო, რომ ახლად აღორძინებული ქართველი ბურჟუაზიის საგრძნობმა ნაწილმა 1892 წლის დებულების გატარების შედეგად საარჩევნო უფლება დაკარგა. მემარცხენე ოპოზიციას სოციალური საყრდენი გამოეცალა და, ამდენად, გამგეობის პარტიის, მსხვილი ბურჟუაზიის არჩევნებში გამარჯვება ობიექტური პირობებით განსაზღვრულ მოვლენას წარმოადგენდა.

ახალი შემადგენლობის სათათბიროს მიერ მუშაობის დაწყებისთანავე ქალაქის თავი ნ. არლუთაშვილი გადადგა. მისი ადგილი პ. იზმაილოვმა დაიკავა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ქალაქის ახალი თავის საქმიანობა თბილისის მსხვილი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. 1895 წლის მარტში პ. იზმაილოვი მოულოდნელად გარდაიცვალა. 1895 წლის 24 აპრილს ქალაქის თავად განმეორებით იქნა არჩეული ნ. არლუთაშვილი. იგი მხოლოდ ერთ წელს მუშაობდა ამ თანამდებობაზე, შემდეგ გადადგა. ქალაქის თავის მოვალეობის შესრულება დაეკისრა გამგეობის წევრს ივანენკოს.

1893—1897 წლებში თბილისის თვითმმართველობა მოქმედებდა

---

[1] «Новое обозрение», 1893, № 3250.

როგორც მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობის ორგანო, რაც იწვევდა ქალაქის მოსახლეობის სხვა სოციალური ფენების უკმაყოფილებას. გაისმოდა 1892 წლის დებულების კრიტიკა, ადგენდნენ გეგმებს, რათა როგორმე შემოეცალოთ კანონმდებლობისათვის და თვითმმართველობისაკენ გზა გაეწალდათ თბილისის მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის. ნ. ნიკოლაძის თეორიას სათათბიროში პროპორციულ-ეროვნულ წარმომადგენლობის დაწესების შესახებ მომხრენი მიემატა. ეს პრინციპი მიჩნეულ იქნა სხვადასხვა დაჯგუფებათა გამწვავებული ურთიერთობის მოწესრიგების საუკეთესო საშუალებად [1].

1897 წლის წინასაარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად ჩაება თბილისის პრესა. გაზ. „ივერიის" რედაქცია უკმაყოფილებას გამოთქვამდა მსხვილი ბურჟუაზიის მისამართით, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებში არ უშვებდა მოსახლეობის დემოკრატიული ფენების წარმომადგენლებს [2]. ქალაქის მომავალ არჩევნებს შედარებით ვრცელი წერილი მიუძღვნა ნ. ხიზანიშვილმა. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „მსხვილი ბურჟუაზია გაბატონდა საბჭოში". თბილისის საბჭო — ეს სოლოლაკელი „კრეზების" „პარლამენტი" მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურება, საქვეყნოს და სასიკეთოს კი არას აკეთებსო; თბილისის ბურჟუაზიას ქალაქის მოვლის უნარი არ აქვს, „გონებითი და ზნეობითი ძალა არ შესწევს" ამ დიდი საქმის გასაძღოლად. ნ. ხიზანიშვილს საჭიროდ მიაჩნია ღირსეული მოღვაწეების გამონახვა. „საერთო და საზოგადო საქმისათვის ყველანი უნდა გაისარჯონ... მარტო ერთი ბურჟუაზია ვერას იზამს და მხოლოდ სახელსა და პატივს ახდის თვითმმართველობას... დროა, — დაასკვნის ავტორი, — ეხლა უფრო გულშემატკივარნი გამოვიდნენ ქალაქის პატრონობისა და გამგეობის სარბიელზე" [3].

ზოგიერთი პუბლიცისტი პირდაპირ ლაპარაკობდა საარჩევნო ცენზის გადიდების უარყოფით შედეგებზე. ერთი მათგანი, მაგალითად, წერდა: „ახალი დებულების ძალით ქალაქს მდიდარნი განაგებენ და მაძღარს მშიერისა თავის დღეში არა ეყურება რა...

---

[1] Я. Гогебашвили. Правда о Тифлисе, 1897, стр. 31—32.
[2] „ივერია", 1897, № 53.
[3] იქვე, № 95.

ქალაქის გამგენი შეუძლებელთათვის და შეუძლებელთა უბნებისათვის ისე არასა ზრუნავენ, თითქოს მათი არსებობაც კი არ ახსოვთო... ცენზის გადიდებას ის მოსდევს, რომ ამომრჩეველთა შორის ნაკლებად არიან უმაღლესად განათლებულნი, რადგან ამ განათლების პატრონთ უფრო მესამე ხარისხის ამომრჩეველნი ირჩევდნენ.

ამ ნაკლოვანებათა ასაცილებლად, — განაგრძობს წერილის ავტორი, — საჭიროა შემცირებულ იქნას საჭირო ცენზი, რომ მკვიდრთა უმრავლესობამ შეიძლოს მონაწილეობა მიიღოს ქალაქის გამგეობაში“ [1].

მაგრამ მთავრობა და გაბატონებული კლასები დემოკრატიის მიმართ დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. თბილისის მსხვილი ბურჟუაზია ყოველნაირად ცდილობდა საქალაქო თვითმმართველობაში განუყოფელი ბატონობის შენარჩუნებას. „დვორცოვი ნომრების“ პარტიამ ხმოსნობის კანდიდატთა სიას 1897 წელსაც ეროვნული ნიშანი დაუდო საფუძვლად, რამდენადაც მასში თითქმის მხოლოდ სომხური წარმოშობის პირები შეიტანა. სომეხი მსხვილი ბურჟუაზიის ამ წარმომადგენლობას ოპოზიციაში ედგა ახალგაზრდა სომეხთა პარტია. ეს უკანასკნელი წინაალმდეგი იყო ეროვნული განკერძოებულობისა და თავისი პოლიტიკური მრწამსით უფრო ახლოს იდგა ქართველთა ოპოზიციურ პარტიასთან, მაგრამ ზოგიერთ საკითხში პროგრამული უთანხმოების გამო ამ დაჯგუფებებმა საარჩევნო ბლოკის შექმნა ვერ მოახერხეს.

1897 წლის არჩევნების შედეგად თბილისის სათათბიროში გავიდა: ბანკირი და საბანკო მოხელე — 10, ვაჭარი — 11, რანტიე — 6, ექიმი — 8, ინჟინერი — 7, სასამართლოს მოხელე — 8, პედაგოგი — 2 და სხვ. უმრავლესობა მსხვილ ბურჟუაზიას და მოხელეებს ეკუთვნოდა. ქალაქის თავად არჩეულ იქნა „დვორცოვი ნომრების“ ტიპური წარმომადგენელი გ. ევანგულოვი [2].

საქალაქო სათათბიროში გაბატონებული ვაჭარ-მრეწველები და ბანკირები აშკარად იცავდნენ თავის ვიწრო კლასობრივ ინტერესებს. მაგალითად, იხილებოდა საკითხი პურზე ტაქსას დაწესების შესახებ. გამოირკვა, რომ უფრო ადრე არჩეული კომისიის ერთი

---

[1] „მოამბე“, 1897, V, განყ. 2, გვ. 99—104.

[2] «Новое обозрение», 1897, №№ 4611, 4730.

წევრი ყოფილა პურით მოვაჭრე, მეორეს ახლო ურთიერთობა ჰქონია პურით ვაჭრობასთან, ხოლო მესამე იღებდა სხვადასხვა იჯარას. სხდომაზე კომისიის პირველმა წევრმა განაცხადა, რომ მე თვით ვეწევი პურით ვაჭრობას და დაგროვილი მაქვს 350 ათასი ფუთი პური. მთავაზობენ ფუთში 1,20 მან. მაგრამ არ გავყიდი 1,40 მან. ნაკლებ. მეორე ამტკიცებდა პურის ფასები გაიზარდა ერევანში, შუშაში და სხვ. ქალაქებში, ფასები თბილისშიც უნდა გაიზარდოსო [1]. ასეთი გამოსვლები ცხადყოფდა, რომ სათათბიროში გაბატონებული ბურჟუები არ დაუშვებდნენ თბილისის ბაზრებზე ფასების შემცირებას თავის საზიანოდ და ქალაქის ღარიბი მოსახლეობის სასარგებლოდ.

ოპოზიციონერი ხმოსნების რიცხვი სათათბიროში, მართალია, შემცირდა, მაგრამ ოპოზიცია მაინც განაგრძობდა არსებობას და გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდა გაბატონებულ უმრავლესობას. ერთ-ერთი პუბლიცისტი წერდა, რომ ქალაქის თავს არ ეშინია ცენტრისა და მარჯვენა ფრთისა, მისი თავი ხშირად შებრუნდება ხოლმე მარცხენა ფრთისაკენ, საიდანაც იგი მოელის საშიშროებას. სათათბირო ორ მტრულ ბანაკადაა გაყოფილი. ქალაქის თავი ტენდენციურად თავმჯდომარეობს სათათბიროს სხდომებზე. იგი ხშირად ემუქრება თავისთვის არასასურველ ხმოსნებს სიტყვის წართმევით, რაც, ბუნებრივია, აღიზიანებს მემარცხენეებს და სათათბიროში დაძაბულ ატმოსფეროს ქმნისო [2].

მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე ოპოზიცია სათათბიროში მცირერიცხოვანი იყო, მის კრიტიკულ გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სათათბიროს უმრავლესობა იძულებული იყო ნაწილობრივ მაინც ყურადღება ოპოზიციის შენიშვნები და აღეძრა საქალაქო მეურნეობასთან დაკავშირებული მომწიფებული საკითხები, რათა მომავლისათვის ასე თუ ისე პირნათლად წარმდგარიყო ქალაქის საზოგადოების სამსჯავროს წინაშე.

თბილისის მოწინავე საზოგადოება თავის მთავარ ამოცანად სთვლიდა სათათბიროში დემოკრატიული ფენების წარმომადგენლობის გაძლიერებას. საარჩევნო ცენზის შემცირების მოთხოვნას მთავრობა არ იწყნარებდა. ამიტომ მემარცხენეები თავის მიზნის

---

[1] «Новое обозрение», 1897, № 4783.

[2] «Новое обозрение», 1898, № 6065.

მიღწევას სხვა გზით ცდილობდნენ. 1897 წელს საქალაქო არჩევნები ერთ კრებაზე ჩატარდა, რამაც უზრუნველყო მსხვილი ბურჟუაზიის გადამწყვეტი გამარჯვება. 1901 წლისათვის ოპოზიციური ელემენტები მოითხოვდნენ თბილისის გაყოფას რამდენიმე საარჩევნო უბნად. მათი რწმენით არჩევნების საუბნო სისტემა ხელს შეუწყობდა მრავალპარტიული სათათბიროს ჩამოყალიბებას [1].

ქალაქი მართლაც გაიყო სამ საარჩევნო უბნად. გამოიყო განმკარგულებელი კომიტეტები, რომლებმაც შეცვალეს ძველი კერძო თათბირები, შეავიწროვეს ძველი „პარტიები". აღნიშნულმა კომიტეტებმა შეადგინეს ხმოსნობის კანდიდატთა სიები და გაშალეს ფართო აგიტაცია მათ სასარგებლოდ.

XIX—XX სს. მიჯნა ის ხანაა, როცა ქართველი და სომეხი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური დიფერენციაციის საფუძველზე იქმნება ნამდვილი პარტიები და მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. ბურჟუაზიას უკვე აღარ შეუძლია მთელი ერის სახელით გამოსვლა. მის იდეოლოგებს მეტი მოქნილობა, ზოგჯერ დემაგოგიაც სჭირდებათ უკვე დაწყებული ანტიკაპიტალისტური ბრძოლის შესაფერხებლად. ასეთ ვითარებაში ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის იდეოლოგი არჩილ ჯორჯაძე გამოდის „საერთო მოქმედების ნიადაგის" თეორიით. „ჩვენი საზოგადოება, — წერდა იგი, — ჯგუფებად დაიყო... მიწისმფლობელი და მიწისმოქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ ვუარყოფთ. მხოლოდ ამისდა მიუხედავად, ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არა თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკული მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოებისა და ხალხის დაყოფა-დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ მისი გამრთელება" [2]. არ. ჯორჯაძე ასახელებს ხუთ საკითხს, რომელთა გარკვევა-გადაწყვეტის დროს ქართველთა მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედების ნიადაგზე ყოფნა მოეთხოვებოდათ. მათ შორის დასახელებულია საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში ერთიანი ძალით გამოსვლა [3].

---

[1] «Новое обозрение», 1900, № 5524.
[2] „ცნობის ფურცელი", 1901, № 1427.
[3] იქვე.

ამგვარად, სომეხი და ქართველი ბურჟუაზია, მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები ყოველნაირად ცდილობდნენ მიეჩქმალათ ერის შიგნით სხვადასხვა კლასთა შორის არსებული წინააღმდეგობანი, ხელი შეეშალათ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებისათვის. მაგრამ „საერთო ნიადაგისა“ და მის მსგავს თეორიებს უკვე არ შეეძლო მშრომელი ხალხის შეცდომაში შეყვანა. ქართველ და სომეხ მშრომელ მასაში თანდათან მტკიცდებოდა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობა, ექსპლუატატორული წყობილების დასამხობად იჭედებოდა მათი საბრძოლო თანამეგობრობა.

არაფრის მქონე დაბალი მასა საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული იყო. ქართველ ცენზიანთა (ბურჟუაზია, თავადაზნაურობა) გაერთიანება კი ამ პერიოდშიც შესაძლებელი ჩანდა. სწორედ იმიტომ, რომ მუშა მოსახლეობა საქალაქო თვითმმართველობის მიღმა იდგა, ქართველ ცენზიანთა და სომეხი ბურჟუაზიის ბრძოლა გარეგნულად მაინც ეროვნულ ნიადაგზე იშლებოდა. საყოველთაო-საარჩევნო სისტემის შემოღება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში მნიშვნელოვან ცვლილებას გამოიწვევდა. თვითმმართველობის ორგანოთა დასაუფლებლად მშრომელთა ერთიანი ძალით გამოსვლა სომეხ და ქართველ ბურჟუებს აიძულებდა გვერდზე გადაედოთ შინაკლასობრივი უთანხმოებანი და საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე გამოსული პროლეტარიატისათვის კაპიტალისტთა გაერთიანებული ძალა დაეპირისპირებინათ.

ცარისტული რეჟიმის დროს საყოველთაო-საარჩევნო სისტემა შემოღებული არ ყოფილა. მაგრამ XX ს. პირველ ოცწლეულში, პროლეტარიატის ანტიკაპიტალისტური ბრძოლის თანდათან გაძლიერების პირობებში, ბურჟუაზიის სხვადასხვა ფენების შინაკლასობრივი წინააღმდეგობა საერთოდ და სათათბიროშიც საგრძნობლად შესუსტდა. მათ გარკვეული კომპრომისული კავშირი შეჰკრეს საერთო მტრის პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოველად.

1902 წლის არჩევნების შემდეგ სათათბიროს მემარცხენე ფრთა რამდენადმე გაძლიერდა. მაგრამ თბილისის საქალაქო თვითმმართველობა ისევ მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიის კლასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენდა და ამის შესაფერის პოლიტიკასაც

ატარებდა. მხოლოდ წინა პერიოდისაგან განსხვავებით თბილისის პროლეტარიატი რევოლუციური გამოსვლებით თანდათან მეტ გავლენას ახდენდა საქალაქო თვითმმართველობაზე, აიძულებდა მას ზოგჯერ კორექტივი შეეტანა თავის ტრადიციულ პოლიტიკაში და ამაღლებულიყო მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე.

მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის გავლენა აისახებოდა თვითმმართველობის საგასავლო ბიუჯეტზე. თანდათან მეტი თანხა გამოიყოფოდა ქალაქის განაპირა მუშური უბნების მოწყობისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა დაფინანსებისათვის. 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ბურჟუაზიული თვითმმართველობა იძულებული გახდა კიდევ უფრო გაედიდებინა საგასავლო ბიუჯეტის ის მუხლები, მოსახლეობის ფართო მასის საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე რომ იხარჯებოდა.

1905 წლის რევოლუციური ქარიშხლის დროს თბილისის სათათბიროს ხმოსნებმა გაბედეს თვითმპყრობელური წყობილების კრიტიკა, მოითხოვეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები, მაგრამ უახლოეს მიზნად დაისახეს საქალაქო თვითმმართველობის უფლებათა გაფართოება.

თბილისის სათათბიროს 1905 წლის 7 თებერვლის სხდომაზე ხმოსნებმა განიხილეს გ. თუმანიშვილის წინადადება 1899 წლის საგანგებო კანონის გაუქმების თაობაზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ, ილაპარაკეს იმ უარყოფით როლზე, რომელიც საგანგებო კანონით აღჭურვილმა კავკასიის ადმინისტრაციამ შეასრულა საქალაქო თვითმმართველობის მიმართ. მაგრამ ამ წესების გაუქმებაც არ მიიჩნიეს საკმარისად. ხმოსანმა არლუთაშვილმა განაცხადა: „ბიუროკრატია, რომელსაც ასე შეზღუდული ყავს რუსეთი და რომელიც დღეს საჯაროდ უარყოფილია რუსეთის საზოგადოებისაგან, აქ ჩვენში კიდევ უფრო საგრძნობელია და ამიტომ ამ ბიუროკრატიული წესწყობილების შეცვლა უნდა მოვითხოვოთ რუსეთის საუკეთესო ნაწილთან ერთად“. ხმოსანმა შეიტანა სათათბიროს დადგენილების ასეთი პროექტი: „ტფილისის ქალაქის საბჭო, თანამოაზრე, რუსეთის დანარჩენ საზოგადოებრივ ორგანოებისა, მოვალეთ თვლის თავის თავს განაცხადოს, რომ ერთად ერთი ხსნა ქვეყნის გამოყვანისა ეხლანდელ მძიმე მდგომარეობიდან არის ხალხის მონაწილეობა კანონ-

მდებლობაში. მთელი საბჭო, — დასძენდა „ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი, — აღტაცებულის, ხანგრძლივის ტაშის ცემით მიეგება ხმოსნის წინადადებას. ასეთი მომენტი თბილისის საბჭოს დარბაზს არ ახსოვს“ [1].

სათათბიროს ხმოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილის სურვილი იყო ბურჟუაზიულ-პარლამენტური წყობილების დამყარება და ამის წინაპირობად სთვლიდა მოსახლეობის ყველა ფენის გაერთიანებას. საქალაქო თვითმმართველობის ბურჟუაზიულ მოღვაწეებს არ მოსწონდათ პროლეტარიატის გამთავისუფლებელი ბრძოლა ანტიმონარქიულ მიზანდასახულებასთან ერთად ანტიკაპიტალისტურ ხასიათსაც რომ ატარებდა. ხმოსნებმა მიზნად დაისახეს მუშებისა და კაპიტალისტების შერიგება, რევოლუციის ბურჟუაზიული ამოცანების შესასრულებლად მათი ძალების გაერთიანება. მათ ქალაქის თავს წარუდგინეს განცხადება, სადაც ლაპარაკია თბილისში გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლებზე და აქედან გამომდინარე საქალაქო თვითმმართველობის ახალ ფუნქციაზე. „უპირველეს ყოვლისა, — ნათქვამია განცხადებაში, — ჩვენმა საზოგადოებრივმა მმართველობამ გაფიცულთა და მეპატრონეთა შორის შუამავლობა უნდა იკისროს;. ამით ის გამოარკვევს მუშათა მოთხოვნებსა და მეპატრონეთა წინადადებებს და შეიძლება ამ რიგად მოსპოს მათ შორის არსებული უთანხმოება ისე, რომ არცერთი მხარის ინტერესი არ დაიჩრდილოს“ [2]. სათათბიროს ხმოსნებმა, რა თქმა უნდა, ვერ შეასრულეს მომრიგებელი მისია. წინააღმდეგ მათი სურვილისა, პროლეტარიატის ანტიკაპიტალისტური ბრძოლა თანდათან ფართოვდებოდა.

1905 წლის რევოლუციის განვითარების კულმინაციურ წერტილზე ბურჟუაზიის „რევოლუციური“ აღტყინება დაცხრა. მან ამჯობინა შერიგებოდა ცარიზმს და მისი მაგარი მუშტებით გასწორებოდა პროლეტარიატს, ესოდენ დიდ საფრთხეს რომ უქმნიდა მის კლასობრივ ბატონობას. სათათბიროს ხმოსნებმა უკან წაიღეს თავიანთი მოთხოვნები საზოგადოებრივი მმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოების შესახებ და დასჯერდნენ მთავრობის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებულ უფლებაშეკვეცილ საქალაქო თვითმმართველობას.

---

[1] „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2793.

[2] იქვე, № 2939.

* *

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ საქალაქო თვითმმართველობა ჩვეულებრივ, მთავრობის მიერ ვიწროდ შემოსაზღვრულ, ჩარჩოებში ჩადგა.

1907 წელს თბილისში საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა 2581 კაცი, ამომრჩეველთა რიცხვი 1902 წელთან შედარებით 20%-ით შემცირდა, რადგან გადასახადების დროზე შეუტანლობის გამო თბილისელ ცენზიანთა საგრძნობი ნაწილი საარჩევნო სიებიდან ამოშალეს [1].

1907 წელს საქალაქო სათათბიროს ხმოსნებად არჩეულ იქნენ მ. ავთანდილოვი, ა. არღუთინსკი, პ. დოლუხანოვი, ქ. ვერმიშევი, ს. ვაწაძე, გ. თუმანიშვილი, კ. კუჩენბახი, ა. ფიშერი, გ. მახარაძე, ვ. მიქელაძე, ს. მირზოევი, ა. ბაბოვი, ნ. ქართველიშვილი, პ. ქობულაშვილი, ვ. ხომასურიძე, ა. ხატისოვი, ვ. ჩერქეზიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, კ. ჩხეიძე, გ. შადინოვი, ნ. ელიავა, ი. მიხაილოვსკი, ი. ჯაბადარი და სხვ. [2].

სათათბიროს 29 ოქტომბრის სხდომაზე ქალაქის თავად, 52 ხმით 9 ხმის წინააღმდეგ, არჩეულ იქნა ვ. ჩერქეზიშვილი. მან მადლობა გადაუხადა ხმოსნებს ნდობისათვის და პირობა დადო, რომ მთელი შესაძლებლობით იმუშავებდა საქალაქო თვითმმართველობის ყველა კარგ წამოწყებათა ბოლომდე მიყვანისათვის [3].

თბილისის თვითმმართველობის მდივნად 1889 — 1907 წლებში პოპულარული მუნიციპალური მოღვაწე სტ. ჭრელაშვილი მუშაობდა. 1907 წელს მან თავი გაითავისუფლა ამ დამქანცველი თანამდებობისაგან. მისი ადგილი მ. ჯაბარამ დაიკავა.

1907 წელს არჩეულ სათათბიროს და გამგეობას ბევრი არაფერი გაუკეთებია. 1909 წლის 15 მაისს თბილისის თვითმმართველობამ გახსნა შრომის ბირჟა, რომლის ოფიციალურ მიზნად გამოცხადებული იყო უმუშევართათვის დახმარების გაწევა სამუშაოს გამოძებნის საქმეში. მუშათა გარკვეული ნაწილი მართლაც სარგებლობდა შრომის ბირჟის შუამავლობით. 1909—1914 წლებში შრომის ბირჟამ რეგისტრაციაში გაატარა სამუშაოს 23 481

---

[1] «Известия Тифлисской городской думы», 1910, № 12.
[2] «Известия...», 1909, № 1, отд. I, стр. 63.
[3] «Известия...», 1907, № 11, стр. 200—203.

მძებნელი. ამავე ხნის განმავლობაში დამქირავებელთაგან შესულა მოთხოვნა 16 390 მუშაზე. ჩანს, თბილისის პირობებში მუშახელის რაოდენობა აჭარბებდა მასზე მოთხოვნილებას და ამიტომ უმუშევრობა თითქმის ქრონიკულ ხასიათს ატარებდა. შრომის ბირჟა ძირითადად უმუშევრობის ფაქტის კონსტატაციას ახდენდა. ეპოქის ამ სოციალური სენის მკურნალობა კი მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

თბილისის თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო იყო, რის გამო ბევრი გეგმა და განზრახვა განუხორციელებელი რჩებოდა. მუნიციპალურ მოღვაწეებს ბიუჯეტის დეფიციტურობის აღმოსაფხვრელად რადიკალური საშუალება ვერ გამოენახათ.

1910 წლის დამდეგს თბილისის ქალაქის თავი ვ. ჩერქეზიშვილი გარდაიცვალა და მისი შემცვლელის არჩევისათვის ჩვეულებრივი ბრძოლა გაჩაღდა. ხმოსნებმა წამოაყენეს ხატისოვის, არღუთინსკის და ფიშერის კანდიდატურები. სათათბიროს სომეხი ბურჟუაზიის ფრაქცია მხარს უჭერდა ხატისოვს, ქართველი ბურჟუაზიის ფრაქცია — არღუთინსკის. მემარცხენე ოპოზიციის როლში ამ მომენტთან დაკავშირებით პირველად გამოვიდა სოციალ-დემოკრატია, რომელმაც 1907 წლის არჩევნების დროს მოახერხა სათათბიროში ორიოდე ხმოსნის გაყვანა.

მემარცხენე ოპოზიციას ქალაქის თავის ადგილზე საკუთარი კანდიდატი არ წამოუყენებია. ამიტომ, ბუნებრივია, მის წინაშე დაისვა საკითხი — ვისთვის დაეჭირა მხარი. სიტუაციის გარკვევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ. გაზ. „საქმეს“ რედაქცია მოწინავეში წერდა, რომ ქალაქის თავის პოსტზე დასაბელებული კანდიდატების მიზანია „დემოკრატიის ალაგმვა და ბურჟუაზიის გაძლიერება“, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება.

რედაქციის აზრით, არღუთინსკის ამორჩევა კიდევ უფრო გააძლიერებდა ეროვნულ ბრძოლას, რაც ხელს შეუშლიდა ხალხის გათვითცნობიერებას და ამდენად დემოკრატიის დასუსტებას გამოიწვევდა. ფიშერი, მათივე აზრით, არღუთინსკის გაგრძელება იყო. ხატისოვის მიზანს, მართალია, ბურჟუაზიის კეთილდღეობა წარმოადგენდა და ამდენად იგი სოლოლაკელთა იარაღის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ რევოლუციის წყალობით სო-

ლოლაკელთა ძველ პოლიტიკას ნიადაგი გამოეცალა და „საპირო შეიქმნა დემოკრატიის დასატუქსავად ყველა ეროვნებათა ბურჟუაზიის დამეგობრება ... ამიტომაც ის ცდილობს ნაციონალური ბრძოლის შესუსტებას და კულტურულ ნიადაგზე ეროვნებათა დაძმობილებას. ამიტომაც ოპოზიციამ ის „ნაკლებ ბოროტებად“ გამოაცხადა, მის გათეთრებას მხარს უჭერს, რომ ამ გზით უკიდურეს ნაციონალისტთა დამარცხება გამოიწვიოს“ [1].

არჩევნების დაწყების წინ არლუთინსკიმ და ფიშერმა თავისი კანდიდატურები მოხსნეს. კენჭი მარტო ა. ხატისოვმა იყარა და ხმების დიდი უმრავლესობით იგი იქნა არჩეული ქალაქის თავად. მან მადლობა გადაუხადა ხმოსნებს და ჩამოაყალიბა ახალი გამგეობის პროგრამა. ხატისოვმა განაცხადა, ვეცდები ყველა ეროვნებას თანასწორად ვემსახურო, სხვადასხვა კლასების დავა-უთანხმოების გარჩევის დროს მიკერძოება არ გამოვიჩინო და ანგარიში გავუწიო იმათ ხმას, ვისაც საქალაქო დებულება საშუალებას არ აძლევს საქალაქო სათათბიროში თავისი ინტერესი უშუალოდ დაიცვას. ვეცდები არა მხოლოდ ერთი მუჭა ამომრჩეველთა, არამედ მთელი ქალაქის წარმომადგენელი ვიყოო. ხმოსნების ერთ ნაწილს და გარეშე დამსწრეთა უმრავლესობას ეჭვი ეპარებოდა ხატისოვის გულწრფელობაში, არარეალურად მიიჩნია მისი დაპირებანი მემარცხენე ოპოზიციამაც. „მართლმორწმუნენი, — წერდა ამ ამბის დამსწრე გაზ. „საქმეს“ კორესპონდენტი, — გულდამშვიდებით დაბრუნდნენ სახლში, მარა რაც შეგვეხება ჩვენ, ვითარცა „ურწმუნო თომას“, ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ხატისოვი „სანამ მამალი იყივლებდეს“ სამჯერ მაინც მოაჩვრებს უარის თქმას თავის აღთქმა-დაპირებაზე“ [2].

ა. ხატისოვმა და გამგეობის წევრებმა მართლაც არ შეასრულეს დაპირება. სრულიად მიივიწყეს, კერძოდ, დაპირების ის ნაწილი, რომელიც ღარიბი მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობდა. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესთა დამცველი პარტიის უკმაყოფილებას, ბურჟუაზიული თვითმმართველობის საქმიანობის კრიტიკას. გაზ. „საქმეს“ პუბლიცისტი წერდა, რომ ქალაქის მოსახლეობა ძალიან გაიზარდა და არსებითად შეიცვალა მისი სოციალური

---

[1] „საქმე“, 1910, № 16.

[2] იქვე, № 17.

სტრუქტურა — ქალაქის მკვიდრად იქცნენ პროლეტარები, წვრილი მესაკუთრენი, კანტორის წვრილი მოხელეები და სხვ. მაგრამ რეაქციული საქალაქო დებულების წყალობით ისინი თვითმმართველობაში ვერ მონაწილეობენ. „მთელი ქალაქის თვითმმართველობის ინსტიტუცია შეძლებული ხალხის ინტერესების დამცველია“, ღარიბებს კი საშუალება არ აქვთ მდიდრებს წინაღუდგნენ და თვითმმართველობაში თავისი ინტერესები დაიცვან. ქალაქის მამებს პრინციპია, „ვისაც აქვს მიეცეს და მიემატოს, ვისაც არა წაერთვას“. ხალხის ფულით ქალაქის ცენტრალური უბნები შენდება, სახლის ქირა მატულობს, ხალხის ცხოვრების პირობები უარესდება. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს საგადასახადო ტვირთის მცხოვრებლებზე შეძლების მიხედვით განაწილებას, იაფი კომუნალური სახლების მშენებლობას. მაგრამ ვაჭარ-მრეწველებისა და სახლთმფლობელების მიერ არჩეული ქალაქის მამები არ მოისურვებენო ასეთი პროგრამის შედგენა-განხორციელებას [1].

თბილისის მოსახლეობის დემოკრატიული ფენები, მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები აქტიურად ჩაებნენ 1911 წლის წინასაარჩევნო აგიტაციაში, რათა ახალი შემადგენლობის სათათბიროში მეტი ხმოსნები გაეყვანათ. გულხელდაკრეფილი, რა თქმა უნდა, არც მსხვილი ბურჟუაზია იყო. „თბილისი, — წერდა სოციალ-დემოკრატიული „მნათობის“ კორესპონდენტი, — დიდ ფაცაფუცშია. მოახლოვდა არჩევნები თბილისის თვითმმართველობაში. ერი, პარტია, ჯგუფი, კამარილა, ვინ გინდა რომ საარჩევნო ასპარეზზე არ ირეოდეს... ქართველები და სომხები, ებრაელები და რუსები, მუსულმანები და ქრისტიანები, დემოკრატები და ბურჟუები... ერთი მეორეში ირევა და გაურკვეველ ამალგამას ქმნის. მაგრამ მათ საერთო ხოროში მხოლოდ ორი ძალაა მთავარი... — დემოკრატია და ბურჟუაზია, ნაძალადევი და სოლოლაკი. დიახ, ხმის უფლებას თითქმის მოკლებული ნაძალადევი ეომება სოლოლაკს... თვითმმართველობა, — განაგრძობს ავტორი, — უპირველეს ყოვლისა, კლასიური დაწესებულებაა და მხოლოდ მერე იღებს ეროვნულ თუ ინტერნაციონალურ ელფერს. ეს უკანასკნელი მხოლოდ სოციალური შინაარსის საფუძველია ... აქ ორი ძლიერი ელემენტი ეჯახება ერთმანეთს... პირველი ერთი მუჭა უძირო

[1] „საქმე“, 1910, № 43.

ჯიბის წარმომადგენელია, მეორე თვით ხალხია ... ყველა ერის დემოკრატები ბურჟუების წინააღმდეგ. ესაა ბრძოლა კლასობრივი და თან ეროვნული, რადგან იგი იძლევა პასუხს როგორც ერთზე, ისე მეორეზე“ [1].

„ვნათობის“ პუბლიცისტმა იცოდა, რომ ცარისტული რეჟიმის დროს თვითმმართველობაში გაბატონების რეალური ძალა თითქმის მხოლოდ მსხვილ ბურჟუაზიას ჰქონდა. მაგრამ ამ გარემოებამ დემოკრატია არ უნდა შეაშინოს. მან ეროვნული საფარის ქვეშ საარჩევნო ბრძოლის კლასობრივი შინაარსი უნდა გამოააშკარაოს და ბრძოლაში მორალური გამარჯვება მოიპოვოსო. რეალური გამარჯვება, ე. ი. სათათბიროში საკუთარი ხმოსნების გაყვანა, უფრო საეჭვოა, მაგრამ უიმედობამ მაინც არ უნდა შეგვიპყროს. შევეცადოთ არჩევნები შენჩემობიდან იდეურ ნიადაგზე გადავიყვანოთ, სათათბიროში დემოკრატიის წარმომადგენლობა გავზარდოთ და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის იმედიანი ბრძოლა გავაჩაღოთო [2].

რამდენიმე დღის შემდეგ „ვნათობის“ რედაქციამ კვლავ ვრცელი წერილი დაუთმო თბილისის სათათბიროს მოახლოებულ არჩევნებს. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მეფის მთავრობამ და ძალებულმა კანონმდებლობამ ქალაქის მმართველობის სადავეები მსხვილ მესაკუთრეებს გადასცა, თბილისის ბედ-იღბალი ერთი მუჭა პლუტოკრატების ხელშიაო. მათი მიზანია რაც შეიძლება მეტი პირადი სარგებლობა ნახონ. ქალაქის სალარო თავის სასარგებლოდ გამოიყენონ, საქალაქო მეურნეობის რაციონალური წარმოებისა და ღარიბების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის თავს არ იწუხებენო. დღევანდელ პირობებში დემოკრატიულ თვითმმართველობაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, მაგრამ დემოკრატიამ იარაღი რადი უნდა დაჰყაროს. „მას სწორედ ეხლა მართებს ენერგიის გამოჩენა, რომ არჩევნებს თავის კვალი დაჩნიოს და ქალაქის ახლანდელ მესვეურთა პლანები ერთიანად ჩაშალოს. ტფილისის წლიური ბიუჯეტი ორ მილიონამდე ადის. ამ ფულებს რომ ქალაქი წესიერად და უმრავლესობის სასარგებლოთ ხარჯავდეს, იგი ბევრს რასმე გააკეთებდა. მარა დღევანდელ ძისი ბა-

---

[1] „ვნათობი“, 1911, № 2.
[2] იქვე.

ტონ-პატრონები მხოლოდ ვიწრო კლასიური ინტერესებით ხელმძღვანელობენ. იაფფასიანი ბინები, სახალხო სკოლები, საავადმყოფოები, განათება, მუნიციპალურ დაწესებულებებში მუშათა საკითხის მოგვარება და სხვ. აი, რა მოვალეობანი აწევს ქალაქის თვითმმართველობას. არჩევნებში ჩარევით დემოკრატია უნდა შეეცადოს ამ კითხვების წამოყენებას" [1].

შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ საქალაქო თვითმმართველობაში ამჟამად სომეხი ბურჟუაზია, ე. წ. სოლოლაკელთა პარტია, ბატონობს. სხვა ერების გაბატონებული კლასები ოპოზიციაში უდგანან. „მაგრამ მას ებრძვიან არა იმისათვის, რომ ქალაქის მეურნეობა უკეთ დააყენონ, მისი სიმდიდრე მის მკვიდრთ მოახმარონ, არამედ იმიტომ, რომ თვითონ გაბატონდნენ. ამ თავის საკუთარ საქმეს ისინი ეროვნულ მანტიაში ხვევენ, თავის ხალხს სხვა ეროვნებებს უსისინებენ. აი ამ ეროვნებათა ბრძოლას აი ამ ნაციონალისტურ პრინციპს, — განაგრძობს რედაქცია, — დემოკრატიამ არჩევნებზე უნდა დაუპირისპიროს საკუთარი პრინციპი ... პრინციპი კლასიური. იგი ერთად ერთი საშუალებაა, რომელიც გამოაშკარავებს... შოვინისტ-ნაციონალისტთა ნამდვილ სულისკვეთებას და თვალს აუხელს ყველა ერის მშრომელ მასას. ეროვნული ბრძოლის მაგიერ კლასიური ბრძოლა, ეროვნული განხეთქილების მაგიერ ყველა ერის მშრომელი მასის ერთიანობა — აი დემოკრატიის მიზანი, მისი დროშა" [2].

„მნათობის" სტატიებმა აღაშფოთა „სახალხო გაზეთის", „კოლხიდასა" და სხვ. ბურჟუაზიული გაზეთების რედაქციები. ისინი სოციალ-დემოკრატიულ „მნათობს" ბრალს სდებდნენ არამკითხაობაში. საქალაქო თვითმმართველობა ბურჟუაზიული კლასის დაწესებულებაა და სოციალისტები მის საქმეში არ უნდა ერეოდნენო. „მნათობის" რედაქცია აღიარებს, რომ „ეს საბუთი არც ისე ყბად ასაღებია". თვით სოციალ-დემოკრატთა ერთ ნაწილსაც მიაჩნია, რომ „სანამ საყოველთაო საარჩევნო უფლება არ იქნება შემოღებული, მანამდის ჩვენ ნუ ვერევით ქალაქის არჩევნებშიო". მაგრამ „მნათობის" თანამშრომლები არ ვეთანხმებით ჩაურევლობის ტაქტიკას, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატია პრო-

---

[1] „მნათობი", 1911, № 6.

[2] იქვე.

ლეტარიატს გარდა ქალაქის წვრილბურჟუაზიასაც უნდა ემსახუროსო. „მნათობის“ პუბლიცისტები ასე მსჯელობენ: „ბურჟუაზია თვით ნაწილდება რამდენიმე ჯგუფად ... მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობაა ... ისტორიაში ხშირია მაგალითი, როცა წვრილი ბურჟუაზია აუჯანყდა მსხვილს და რევოლუცია მოახდინა (1848 წლის რევოლუცია საფრანგეთში). ამის გარდა ფაქტია ის, რომ პროლეტარიატის ბრძოლას რამდენადმე თანაუგრძნობს წვრილი ბურჟუაზია ... იქ სადაც პროლეტარიატი თვითცნობიერებაშია მოსული და საკმაო ძალას წარმოადგენს, ის სარგებლობს ბურჟუაზიის შიგნით არსებული ბრძოლით, ერევა შიგ, მის უღარიბეს ნაწილს აშორებს უმდიდრესს და თავის გავლენის ქვეშ აყენებს. აქაური ცენზიანები, — განაგრძობს რედაქცია, — იმავე სამი კატეგორიის ბურჟუაზიისაგან შედგებიან. მაშასადამე შესაძლოა წვრილი ცენზიანები არ გაყვენ მსხვილთ და სხვაგან მოძებნონ მოკავშირენი და ხელმძღვანელნი. და ეს მით უფრო, რომ მუნიციპალურ ცხოვრებაში მუშასა და წვრილ ბურჟუებს შორის ბევრი რამ არის საერთო. დემოკრატიული მოთხოვნა შეიცავს როგორც მუშის, ისე წვრილ ცენზიანთა მოთხოვნასაც ... ამნაირად, — დაასკვნის ავტორი, — წვრილი ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის კავშირი საქალაქო არჩევნებში არა თუ შესაძლებელია, ხშირად აუცილებელიც არის. ასეთი კავშირი შეიძლება გამოიხატოს ზნეობრივ გავლენაშიც“.

შემდეგ „მნათობის“ რედაქცია აღნიშნავს, რომ ეროვნების განურჩევლად თბილისის პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის საერთო მუნიციპალური პროგრამით აღჭურვა გამარჯვების ერთადერთი გზაა. სოციალ-დემოკრატიის ვალია ყველა ერის წვრილი ბურჟუაზია მსხვილს ჩამოაცილოს, მათგან ერთი საარჩევნო პარტია შექმნას. ასეთ პარტიას საფუძველი ჯერ კიდევ 1907 წელს ჩავუყარეთ. ახლა კი გვინდა ამ საფუძველზე შენობა ავაგოთ და სომეხ და ქართველ ნაციონალისტთა სიმაგრეები დავარღვიოთო [1].

სოციალ-დემოკრატიის ანტინაციონალისტურმა და საერთო დემოკრატიულმა პოზიციამ გარკვეული გავლენა მოახდინა ბურჟუაზიულ პარტიებზე. ისინი იძულებული გახდნენ შეეზღუდათ თავისი ვიწროკლასობრივი და ნაციონალისტური შეხედულებანი,

---

[1] „მნათობი“, 1911, № 33.

დემოკრატიულ ფრაზებს ამოფარებოდნენ და დაეწყოთ ერთმანეთთან მოლაპარაკება ბლოკის შეკვრის თაობაზე, რათა ამ გზით მოეგერიებინათ ახლად მოვლენილი საერთო მოწინააღმდეგის შემოტევა. სომეხი ცენზიანების ცენტრალურმა ჯგუფმა მოლაპარაკება გამართა „ეშმარიტ რუსებთან". ქართველ ცენზიანთა ეროვნული ჯგუფიც აგრეთვე ცდილობდა სომეხ და რუს ბურჟუებთან მორიგებას სათათბიროში ადგილების განაწილების თაობაზე. სოციალ-დემოკრატიული „მნათობი" მოუწოდებდა ყველას, ვისაც კი საზოგადო ინტერესები ამოძრავებდა, დაეგმოთ ბურჟუაზიული ბლოკების პოლიტიკა და სათათბიროს არჩევნებში ხმა მიეცათ „ახალი ჯგუფის" მიერ წამოყენებული ხმოსნობის კანდიდატებისათვის [1].

1911 წელს ამომრჩეველთა სიაში 3564 კაცი შეიყვანეს. თბილისი გაიყო 7 საარჩევნო უბნად. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ჩამოყალიბებული ჯგუფები თავიანთ პროგრამა-მოწოდებებს პრესაში აქვეყნებდნენ. ყოველი დაჯგუფება მოქალაქეებს მოუწოდებდა ხმოსნებად აერჩიათ მუნიციპალური მოღვაწეობისათვის შესაფერისი, ღირსეული ადამიანები, რომელნიც ენერგიას არ დაიშურებდნენ საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. . ამ ზოგადი თეზისის შემდეგ ეს დაჯგუფებანი ერთმანეთს სცილდებოდნენ, რადგან ყოველ მათგანს თავისი ღირსეული ადამიანები ჰყავდა შერჩეული სათათბიროში გასაყვანად.

ამომრჩეველთა „ახალი ჯგუფის" მოწოდებაში ნათქვამია: ქალაქის წარმომადგენლობას ამჟამად საფუძვლად უდევს ქონებრივი ცენზი, რაც მოსახლეობის ფართო ფენებს ართმევს საარჩევნო ხმის უფლებას. ამიტომ საქალაქო რეფორმის ჩატარებამდე ძალიან ბნელია ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესთა გამომხატველი სათათბიროს ჩამოყალიბება. ასეთი ვითარება კიდევ უფრო ავალდებულებს პროგრესულ-დემოკრატიულ ელემენტებს ხელი შეუშალონ მსხვილი ბურჟუაზიის კანდიდატთა გამარჯვებას. დაე, სათათბიროში შევიდნენ ახალი ადამიანები, რომელნიც მზად არიან უანგაროდ და ენერგიულად იმუშაონ ქალაქის მთელი მოსახლეობის სასარგებლოდ.

ამავე მოწოდებაში ჩამოყალიბებულია „ახალი ადამიანებისა-

---

[1] „მნათობი", 1911, № 48.

გან“ შემდგარი თვითმმართველობის საქმიანობის კონკრეტული პროგრამა: ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, ღარიბი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აგება, ქალაქის მიწების რაციონალური ექსპლუატაცია, საყოველთაო და უფასო დაწყებითი განათლების განხორციელება და სხვ... ახალი ჯგუფი იმედს გამოთქვამდა, რომ მოქალაქეები დაეხმარებოდნენ მას უფრო ღირსეული კანდიდატების ხმოსნებად არჩევაში [1].

საკუთარი, დამოუკიდებელი პროგრამით გამოვიდა „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფი“. სახელწოდება ეროვნული ელფერისაა და ამიტომ ჯგუფის ორგანიზატორები გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავენ: ქართველ ამომრჩეველთა ცალკე ჯგუფად ორგანიზება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვინდა ადრე დაწყებული ეროვნული შუღლის გაღვივება. პირიქით, ჩვენი სურვილია ისეთი პირობების შექმნა, რაც შეესაძლებელს გახდის ეროვნული ანტაგონიზმის მოსპობას და ერთიანობა-მეგობრობის დანერგვას. მოწოდებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ არსებულ კანონმდებლობის პირობებში ქალაქის მართვა-გამგეობა მოექცა მდიდარი კლასის ხელში, რომელიც ძირითადად სომეხი წარმოშობისაა. სხვა ერების წარმომადგენლები, აგრეთვე სომეხთა დემოკრატიული ფენები სათათბიროში დაიშვებიან მეტად მცირე რაოდენობით. ასეთი ვითარება ყოველთვის იწვევდა ეროვნულ და კლასობრივ წინააღმდეგობათა გაჩწვავებას. ამიტომ ახლა აუცილებელია სათათბიროს განახლება მოსახლეობის დემოკრატიული უმრავლესობის მისწრაფებათა შესაბამისად. ხოლო ეროვნული შუღლის მოსასპობად საჭიროა წინასწარ შეთანხმებით განისაზღვროსო ხმოსანთა რაოდენობა ყოველი ეროვნებისაგან.

„ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფის“ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა ბევრ რამეში „ახალი ჯგუფის“ პროგრამას ემთხვეოდა. ჯგუფმა წამოაყენა ხმოსნების 25 კანდიდატი ქართველთაგან და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მიეცათ მათთვის. „დაე ქალაქის მოსახლეობის ყველა ფენები, განურჩევლად ეროვნებისა, გაერთიანდეთ ერთიან ოჯახად. მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან, რათა რეალურად განვახორციელოთ ჩვენი კარგი ადამიანების მისწრა-

---

[1] «Известия...», 1911, № 12, стр. 51—53.

ფება; ჩამოვაყალიბოთ შრომისუნარიანი, დემოკრატიზებული, ეროვნული შემადგენლობით დამაკმაყოფილებელი საქალაქო სათათბირო“ [1].

„ქართველთა ჯგუფის“ ენერგიულ საქმიანობას უნდა მიეწეროს, რომ ქართველი ცენზიანები გააქტიურდნენ. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 332 კაცმა, ხმის უფლების მქონე ქართველთა 51%-მა. მაშინ, როცა სომეხთაგან არჩევნებში მონაწილეობდა 670 კაცი (ხმის უფლების მქონეთა 39,6%), რუსთა და სხვა ეროვნებათაგან 375 კაცი (30,6%).

მართალია, 1911 წლის არჩევნების დროს „ქართველ ამომრჩეველთა ჯგუფმა“ და „ახალი ჯგუფის“ მესვეურებმა სათათბიროში ხმოსანთა 30% გაიყვანეს, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას. საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებში ბატონობა მსხვილმა ბურჟუაზიამ შეინარჩუნა. ქალაქის თავად ისევ ა. ხატისოვი აირჩიეს. გამგეობაში გავიდნენ ა. არღუთინსკი, მ. ათაბეგოვი, გ. ყურული, მ. ჯაბარა და ს. დანდურაოვი [2].

ახალმა სათათბირომ და გამგეობამ ორნახევარი წელი ჩვეულებრივ პირობებში თავის ტრადიციული, ბურჟუაზიული პოლიტიკის განხორციელების საქმეს მოახმარა, უფლებამოსილების დამთავრებამდე განვლილი დრო კი ომით გამოწვეულ სიძნელეთა ვითარებაში იმოღვაწა. 1914 წელს საქალაქო თვითმმართველობამ ომის საჭიროებისათვის 200 ათასი მან. გადადო. მუნიციპალურ მოღვაწეებს მეტი ენერგია დასჭირდათ ჯარის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ქოლერისა და ტიფის ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქალაქო თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობდა თურქეთის ფრონტზე კავკასიის არმიის სურსათით მომარაგების, დაჭრილთა ზურგში გადმოყვანის, მათი მკურნალობის და სხვ. საქმეში. მეტად რთული აღმოჩნდა ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგების პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მთავრობამ მნიშვნელოვანწილად საქალაქო თვითმმართველობას დააკისრა.

ამდენად, ომის პირობებში საქალაქო თვითმმართველობის

---

[1] «Известия...», 1911, № 12, стр. 53—59.
[2] Кавказский Календарь, 1916, отд. стат., стр. 127.

ფუნქციები საკმაოდ გაფართოვდა. გამგეობა შუამავლობას ეწეოდა ვაჭრებსა და რკინიგზის სამმართველოს შორის ვაგონების გამოყოფის თაობაზე, ცდილობდა ნავთობპროდუქტების მარაგის შექმნას, რაც აუცილებელი იყო თბოელექტროსადგურისა და ტრამვაის ნორმალური მუშაობისათვის. მოსახლეობის ფართო ფენების მოთხოვნით მუნიციპალური მოღვაწეები გარკვეულ ბრძოლას აწარმოებდნენ ვაჭარ-სპეკულანტებთან, რომლებიც განგებ მალავდნენ სურსათ-სანოვაგეს, რათა ამით კიდევ უფრო აეწიათ ფასები.

თბილისის თვითმმართველობის მესვეურებს დიდი შედეგების მომტანად მიაჩნდათ მუნიციპალური ვაჭრობის ფართო ბაზაზე დაყენება. მათი აზრით, ქალაქის შინაგანი ვაჭრობის მუნიციპალიზაცია ხელს შეუწყობდა ფასების რეგულირებას, ბაზრებიდან სპეკულანტების გაძევებას. დიდ როლს აკისრებდნენ აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციას, რომელიც თვითმმართველობის კონტრაჰენტი უნდა გამხდარიყო სურსათ-სანოვაგით ვაჭრობის სფეროში.

1915 წელს თბილისის თვითმმართველობამ გახსნა კოოპერაციის კურსები, მოამზადა კადრები და გარკვეულ წარმატებას მიაღწია მუნიციპალური ვაჭრობის დანერგვის საქმეში. 1916 წელს თბილისში უკვე მოქმედებდა 12 მუნიციპალური მაღაზია, ცენტრალური პურსაცხობი და სხვა [1]. მაგრამ გატარებული ღონისძიებანი არასაკმარისი აღმოჩნდა სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის. 1916 წლის 5 ივლისს თბილისის დამშეულმა მცხოვრებლებმა დაარბიეს კერძო ვაჭრების 10-ოდე მაღაზია, დაიტაცეს სურსათი და სხვა საქონელი. ამასთან დაკავშირებით საქალაქო სათათბირომ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას დასაჯოს დამნაშავენი და აღკვეთოს დარბევები [2].

ომით გამოწვეულ სიძნელეთა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში ჩატარდა საქალაქო სათათბიროს ახალი შემადგენლობის არჩევნები 1916 წელს. წინასაარჩევნო აგიტაციაში აქტიურად მონაწილეობდნენ „გაერთიანებული“, „ახალსათათბიროსა“ და „პროგრესული“ ჯგუფები, რომლებიც კრებებს მართავდნენ საზოგადოებრივ კლუბში, ქალაქის ბირჟის შენობასა და

---

[1] «Известия...», 1916, №№ 10, 11, 12, стр. 3—7.
[2] Там же, №№ 7, 8, 9, стр. 31—48.

სათათბიროს დარბაზში. 10 მარტიდან გამგეობის პირველ (განმკარგულებელ) განყოფილებაში შემოსვლა იწყო ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ შედგენილმა ხმოსნობის კანდიდატთა სიებმა. თბილისის 7 საარჩევნო უბანში კანდიდატად დასახელებულ იქნა 237 კაცი [1].

არჩევნები 20—22 მარტს ჩატარდა. ამასთან დაკავშირებით ხუთ რუსულ, სამ ქართულ და ორ სომხურ გაზეთში 300-მდე სტატია დაიბეჭდა. რედაქციები ამომრჩევლებს აქტიურობისაკენ მოუწოდებდნენ, ურჩევდნენ მათ ხმა მიეცათ კანდიდატთა ამა თუ იმ სიისათვის. პირველ უბანში 500 ცენზიანიდან არჩევნებზე გამოცხადდა 283 კაცი. არჩევნებში, კერძოდ, მონაწილეობა მიიღო რუს ცენზიანთა 30%, სომეხთა — 50% და ქართველთა 75%. 11 არჩეული ხმოსნიდან 6 იყო ქართველი და 1 რუსი. ეს შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა სომეხი და რუსი ბურჟუებისათვის. ისინი ქართველ ცენზიანებს ბრალს დებდნენ შეთანხმების დარღვევასა და ბლოკის ღალატში. უკანასკნელნი თავს იმართლებდნენ, არავითარი ბლოკი არ ყოფილა შექმნილიო. საგაზეთო პოლემიკამ საკითხი ვერ გაარკვია. მეოთხე საარჩევნო უბანში აელბრელი ამომრჩევლები შეუთანხმდნენ „გაერთიანებულ“ ჯგუფს, რის შედეგად მოახერხეს ყველა თავისი კანდიდატის არჩევა და „პროგრესული“ ჯგუფის კანდიდატთა გაშვება [2].

1916 წლის არჩევნებმა თბილისის სათათბიროში რამდენადმე გააძლიერა მემარცხენე ფრთა. მაგრამ უმრავლესობა კვლავ მსხვილმა ბურჟუაზიამ შეინარჩუნა. ახალ სათათბიროში, კერძოდ, შევიდნენ: გ. ავთანდილოვი, ს. ალადანოვი, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ალიხანოვი, ა. არღუთაშვილი, მ. ათაბეგოვი, ვ. ახმეტელი, მ. ბერბერიანი, ლ. ვაჩნაძე, მ. ვესელოვზოროვი, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. გოთუა, მ. ჯაბარა, ე. ჯანაგოვი, ნ. ძიძიშვილი, ლ. ევანგულოვი, გ. ჟურული, ზ. ზორიანი, ბ. კოვალენსკი, დ. ყორღანოვი, ს. კსავრიევი, ა. ლომთათიძე, ვ. მამულოვი, მ. მარტიროსიანცი, ვ. მუსხელიშვილი, მ. ნეპრინცევი, ნ. რამიშვილი, კ. სარქისოვი, ს. სულხანიშვილი, გ. თამამშევი, გ. თუმანიშვილი, ა. ხატისოვი, ა. ჩერნიშევი, ს. ჭრელაშვილი, გ. შადინოვი, ა. ენფანჯიანცი, გ. იარალოვი, კ. ცინცაძე და სხვ. [3].

---

[1] «Известия...», 1916, №№ 4, 5, 6, стр. 42—43.
[2] Там же, стр. 51.
[3] Там же, стр. 56—58.

ახალ სათათბიროში მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლობა ცდილობდა მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესების დაცვას, მაგრამ მემარჯვენე უმრავლესობა მაინც ახერხებდა თავისი პოლიტიკის გატარებას, ბურჟუაზიის დაკვეთის შესრულებას.

II. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა

1. თბილისის ბიუჯეტი

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის შედეგიანობა კომუნალური მეურნეობის, სწავლა-განათლების, კულტურის, სამედიცინო მომსახურების და სხვ. სფეროში ძირითადად განპირობებული იყო მის განკარგულებაში არსებულ ფინანსურ სახსრებზე. 1870 წლის დებულება კი საქალაქო თვითმმართველობების საბიუჯეტო-ფინანსურ უფლებებს ძალიან კვეცავდა. ქალაქის მოსახლეობაზე შეწერილი გადასახადების მცირე ნაწილი შედიოდა თვითმმართველობის სალაროში, დიდი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტს ავსებდა.

დებულების 128-ე მუხლის თანახმად საქალაქო თვითმმართველობას უფლება ჰქონდა დაეწესებინა გადასახადები: 1) უძრავ ქონებაზე, 2) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, 3) ტრანსპორტის სხვადასხვა სახეებზე.

შეფასებითი გამოსაღებით იბეგრებოდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება სამეფო საგვარეულოს საკუთრებისა და სახაზინო შენობების, სკოლების, სასულიერო უწყების ქონების გამოკლებით. შეფასებითი გამოსაღების ოდენობას განსაზღვრავდა საქალაქო სათათბირო, მაგრამ იგი არ უნდა ასცილებოდა დასაბეგრი ობიექტის ღირებულების 1% და სუფთა შემოსავლის 10%. სათათბირო მონაწილეობდა აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა გამოსაღების განსაზღვრაში. საქალაქო გამოსაღებები სახელმწიფო გადასახადებთან ერთად იკრიფებოდა. არსებული გადასახადების გაზრდა და ახალი საქალაქო გადასახადების დაწესება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ საკანონმდებლო წესით, უმაღლესი მთავრობის ნებართვით.

ქალაქის ბიუჯეტი იხარჯებოდა თვითმმართველობის მოსამსახუ-

რეთა ჯამაგირებზე, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე, საზოგადოებრივ დაწესებულებათა, სკოლებსა და საავადმყოფოებზე. ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები უნდა გამოყოფილიყო ქალაქში მდგარი ჯარებისათვის ბინების მოწყობა-დასაქირავებლად, პოლიციისა და სახანძრო რაზმის შესანახად, აღებული ვალების დასაფარავად და სხვ.

საქალაქო რეფორმის გატარების პირველ წელს თბილისის შემოსავალმა შეადგინა 279 037 მან., 1877 წელს — 309 081 მან., 1879 წელს — 348 976 მან., 1881 წელს — 431 435 მან.[1]. 1887 წელს თბილისის თვითმმართველობის საშემოსავლო ბიუჯეტი მუხლობრივად ასე გამოიყურებოდა: უძრავი ქონების შეფასებითმა გამოსალებმა შეადგინა 162 691 მან., თვითმმართველობის უძრავი ქონებისა და დაწესებულებების შემოსავალმა — 65 664 მან., მოქალაქეთა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა გადასახადებმა — 49 000 მან., არაპირდაპირმა გადასახადებმა — 9712 მან. და სხვ.

საქალაქო თვითმმართველობა, ბუნებრივია, ცდილობდა თავისი ქონების ექსპლუატაციის რაციონალური მეთოდების დანერგვით გაეზარდა შემოსავალი.

თვითმმართველობის კუთვნილი (ავლაბრის, კუკიის და ნავთლუღის) ნავთის საბადოები იჯარით იცემოდა. მაგრამ XIX ს. 70-იანი წლებიდან, ბაქოს ნავთობის თანდათან მზარდი რაოდენობით შემოტანის გამო, ადგილობრივ საბადოთა ექსპლუატაცია არარენტაბელური გახდა, რამაც თბილისის ნავთის ჭების საიჯარო ფასის შემცირება გამოიწვია.

ქალაქის საზღვრებში შემოდიოდა ავლაბრის, კუკიის და ნავთლუღის მიდამოთა თავისუფალი მიწები, ძირითადად საძოვრები 3672 ჰა ფართობით. საძოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იჯარით გაიცემოდა და თვითმმართველობას წლიურად 4—5 ათას მან. შემოსავალს აძლევდა.

ქალაქის საკუთრებაში შევიდა ორი სახლი — ერთი ერევნის მოედანზე და ერთიც მესანგრეთა ქუჩაზე, რომელთა გაქირავებით თვითმმართველობა ყოველწლიურად 3 ათას მან. ღებულობდა.

---

[1] «Известия Тифлисского общественного управления», 1885, приложение № 1, стр. 3—8.

1880 წელს თბილისის თვითმმართველობამ ავლაბრის მოედანსა და სალდათის ბაზარში ააგო 4 დუქანი. ეს დუქნები ისე მაღალ ფასად ქირავდებოდა, რომ აშენების ხარჯი (5756 მან.) დაფარეს 10 თვეში და შემდეგ იძლეოდნენ წლიურად 7 ათას მან. სუფთა შემოსავალს.

ქალაქის საზღვრებში ხე-ტყის შემოტანაზე დაწესებული იყო ბაჟი. თავდაპირველად ამ მუხლით ქალაქის სალაროში ყოველწლიურად შემოდიოდა 7000 მან-მდე. 1881 წლიდან ერთ ხეზე ბაჟი გაიზარდა 10-დან 20—30 კაპ-მდე, რის შედეგად წლიურმა შემოსავალმა 22 ათას მან. მიაღწია.

ქალაქის სასაკლაოს ადმინისტრაცია ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვის დაკვლაში იღებდა 60 კაპ. უშობელზე — 20 კაპ., ღორზე — 8 კაპ., თხასა და ცხვარზე — 3 კაპ. 1875 წელს სასაკლაომ ქალაქის სალაროს შემატა 20 ათასი მან., 1881 წელს — 24 750 მან. [1].

საამშენებლო მასალის დროებითი საწყობები და დროებითი სავაჭრო ადგილები საქალაქო თვითმმართველობას ყოველწლიურად აძლევდა 10 ათას მან-მდე შემოსავალს.

საქალაქო რეფორმის გატარების შემდეგ, პირველ ათწლეულში თვითმმართველობის შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა მოქალაქეთა უძრავ ქონებაზე (მიწა, შენობები) შეწერილი შეფასებითი გამოსაღები, რაც ავსებდა ბიუჯეტის 50%-ს. საქალაქო თვითმმართველობის უძრავ-მოძრავი ქონება იძლეოდა შემოსავლის 20%, მოქალაქეთა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები კი დაახლოებით — 15% [2].

საგადასახადო ტვირთი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებზე არათანაბრად იყო განაწილებული. საქალაქო თვითმმართველობას საშემოსავლო გადასახადი არ შემოუღია. ვაჭარ-მრეწველები, მაგალითად, მხოლოდ სანებართვო მოწმობებში იხდიდნენ გარკვეულ ფასს. სხვა მხრივ ისინი თითქმის არ იბეგრებოდნენ. 10 მილიონი კაპიტალის მფლობელი ვაჭარიც კი, როგორც ა. ხატისოვი გადმოგვცემს, ქალაქის სასარგებლოდ მხოლოდ საკუთარი სახლის შეფასებით გამოსაღებს იხდიდა, ხოლო თუ ასეთ ვაჭარს

---

[1] «Известия...», 1878, стр. 201—211.
[2] «Известия...», 1885, приложение № 1, стр. 3—8.

საკუთარი სახლი არ გააჩნდა, იგი სრულიად თავისუფალი იყო გადასახადისაგან. ასევე ითქმის მრეწველი კაპიტალისტის მიმართ, რომელსაც ბეგრავდნენ არა საწარმოო ბრუნვისა და შემოსავლის შესაბამისად, არამედ მხოლოდ ფაბრიკის შენობის ღირებულების მიხედვით [1].

საქალაქო თვითმმართველობის საგადასახადო პოლიტიკის ბურჟუაზიულ-კლასობრივ ბუნებას უფრო ცხადად ფ. გოგიჩაიშვილი აშკარავებდა. იგი მიუთითებდა თბილისის საშემოსავლო ბიუჯეტის სამ მთავარ წყაროზე და აღნიშნავდა, რომ გარეგნულად გადასახადებს თითქოს იხდიან სახლის პატრონები, ვაჭარ-მრეწველები და მოიჯარადრენი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდიაო. „სახლის პატრონის მიერ გადასახადის გაღება არ ნიშნავს იმას, რომ ნამდვილად იგი არის გადამხდელი. თავისი გადასახადი მას სახლის ქირაში შეაქვს და მდგმურებისაგან იღებს ... ასევეა საქმე სამრეწველო და სავაჭრო გადასახადის შესახებაც. მართალია, აქ გადასახადი ვაჭრებსა და მრეწველებს შეაქვთ, მაგრამ ამას ისინი შემდეგ საქონელს ადებენ და ფასს უმატებენ. მუშტრები, როცა რაიმეს ყიდულობენ ვაჭრისა თუ მრეწველისაგან, იხდიან საქალაქო გადასახადსაც, რომელიც გამყიდველს საქონლის ფასში აქვს შეტანილი“ [2].

რუსეთის საქალაქო თვითმმართველობების საფინანსო პოლიტიკის ერთ მთავარ ნაკლად ფ. გოგიჩაიშვილს საშემოსავლო გადასახადის დაუწესებლობა მიაჩნდა. უძრავი ქონებისა და ვაჭრობა-მრეწველობის მოჩვენებითი დაბეკვრით ეს არ ხერხდება. „წარმოიდგინეთ ისეთი შეძლებული კაცი, — წერდა იგი, — რომელიც არც სახლის პატრონია, არც ვაჭარი და არც მრეწველი. ის არის მხოლოდ „რანტიე“, კაპიტალისაგან სარგებლის ამღები. ასეთ ადამიანს, თუნდაც მას რამდენიმე ასი ათასი თუმანი ჰქონდეს, სრულიად თავისუფლად სტოვებს ქალაქში არსებული სისტემა გადასახადისა და მერე სამართალია ეს? განა ასეთი ბურჟუა არ სარგებლობს ქალაქის მოწყობილობით. არ დადის ქალაქის საერთო ძალღონით მოფენილ ქუჩებზე ... არ ინათებს გზას ქალაქის მიერ დადგმული ფარნებით? ... თავისუფლად დატოვება კი არა, სწო-

---

[1] А. Хатисов. Муниципальное хозяйство г. Тифлиса. Тифлис, 1908, стр. 1—24.

[2] „ივერია“, 1902, № 15, გვ. 233—239.

რედ ასეთ აღამიანებს უნდა კიდებდეს ხელს მაგრათ ფისკალური მმართველობა ... მართალია, — აღნიშნავს ფ. გოგიჩაიშვილი, — ქალაქის თვითმმართველობას შუამდგომლობა დასჭირდება უმაღლეს მთავრობასთან, რომ მას ნებართვა მისცენ ასეთი გადასახადის შემოღებისა. მაგრამ საქმის სიძნელე საფუძველი არაა იმისი, რომ მან მეცადინეობაზე ხელი აიღოს და ქალაქის ფინანსების გაუმჯობესებაზე არ იზრუნოს". ბოლოს წერილის ავტორი სინანულით შენიშნავს, რომ თბილისის თვითმმართველობის საქმიანობაში სულაც არ ჩანს საგადასახადო ტვირთის მცხოვრებლებზე სამართლიანად განაწილების სურვილი, არავინ არ ცდილობს ღარიბებს ეს ტვირთი შეუმსუბუქოს და მდიდრებს გაუდიდოსო[1]. ამდენად, ფ. გოგიჩაიშვილი მართებულად ასკვნიდა, რომ საქალაქო თვითმმართველობის საგადასახადო პოლიტიკა ნათლად ამჟღავნებდა ამ დაწესებულების ვიწროკლასობრივ, ბურჟუაზიულ ბუნებას.

საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტის საგასავლო მუხლები ორ კატეგორიად იყოფოდა. მთავრობის ადმინისტრაცია ღარისა და პოლიციისათვის საჭირო თანხას, რაც მის მიერვე განისაზღვრებოდა, საგასავლო ბიუჯეტის აუცილებელ მუხლებად თვლიდა. ქალაქის კეთილმოწყობისათვის თანხის გამოყოფა კი, მთავრობის თვალსაზრისით, არ იყო აუცილებელი და ამ მიზნისათვის გადადებული სახსრები გასავლის არა აუცილებელ მუხლებში შეჰქონდათ. თბილისის თვითმმართველობის შემოსავლის დიდ ნაწილს აუცილებელი, საერთო სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულება ნთქავდა.

1875 წელს თბილისის თვითმმართველობის შემოსავალი უდრიდა 279 037 მან. აქედან ჯარის ბინების დაქირავებაზე დაიხარჯა 122 462 მან., დიდი თანხა გამოიყო აგრეთვე პოლიციისა და საპყრობილის დასაფინანსებლად. ქალაქის კეთილმოწყობისათვის კი ბიუჯეტის უმნიშვნელო ნაწილი დარჩა. ბიუჯეტის ასეთი არაპროპორციული განაწილება ღრმად აფერხებდა თბილისის თვითმმართველობის საქმიანობას კომუნალური მეურნეობის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. საერთო სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შემცირება მუნიციპალური მოღვა-

---

[1] „კავალი", 1902, № 15, გვ. 238—239.

წეების მიერ საქალაქო თვითმმართველობის ნაყოფიერი მუშაობის ერთ მთავარ წინაპირობად იქნა მიჩნეული.

თბილისის საქალაქო სათათბიროს 1878 წლის 2 ივნისის სხდომაზე განიხილეს სამხედრო-საბინაო ვალდებულების შემცირების საკითხი. კამათში გამოსულმა ხმოსნებმა აღნიშნეს, რომ კანონი თვითმმართველობებს ავალდებულებს ბინის ქირა გაიღონ საგარნიზონო ჯარების რაოდენობის შესაბამისად, კავკასიის ადმინისტრაცია კი თბილისის თვითმმართველობას ქალაქში მყოფი და გზად გავლილი ყველა ჯარის ნაწილების ბინებით უზრუნველყოფას ავალებს, რაც თბილისის ბიუჯეტის მესამედ ნაწილს მოითხოვს. სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ გასავლის იგივე მუხლის ძალით ოდესა ხარჯავდა ბიუჯეტის $^1/_{15}$, ხოლო კიევი $^1/_{40}$ ნაწილს. ასეთი უთანაბრობა საფუძველს აძლევდა თბილისის სათათბიროს შუამდგომლობა აღეძრა მთავრობის წინაშე, მოეთხოვა თბილისის თვითმმართველობის სამხედრო-საბინაო ვალდებულების 22 275 მანეთამდე შემცირება[1]. მაგრამ მთავრობამ ეს სამართლიანი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ქალაქის საგანგებო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე თვითმმართველობის აპარატის შენახვის ხარჯები. საქალაქო გამგეობის მოსამსახურეებს წლიურად ეძლეოდათ ხელფასი: ქალაქის თავს — 7000 მან., მდივანს — 1666 მან., საქმის მწარმოებელს — 700 მან., გამგეობის სამ წევრს — 9185 მან., მთავარ ინჟინერს — 3500 მან., მთავარ ბუღალტერს — 1800 მან., სამ უმცროს ბუღალტერს — 1800 მან., სამ ტექნიკსა და მხატვარს — 4729 მან., გადასახადების ამკრეფთა ბიუროს თანამშრომლებს — 13 268 მან., სავაჭრო პოლიციას — 7733 მან., შემფასებელი კომისიის წევრებს — 2916 მან., გამგეობის მწერლებს — 4333 მან. და სხვ. 1883 წელს თვითმმართველობის თანამშრომელთა ხელფასების სახით გაიცა 80 393 მან.[1]. XIX ს. 80-იან წლებში ერევნის მოედანზე აშენდა მუნიციპალური სასახლე (დაჯდა 300 ათასი მან.), რომელშიც მოთავსდა საქალაქო თვითმმართველობის აპარატი და პოლიცმეისტერი თავის ქვეშევრდომ მოხელეებთან ერთად.

თბილისის ეკონომიკური აღმავლობის პარალელურად საქალაქო თვითმმართველობის შემოსავალი თანდათან იზრდებოდა. ახალი

---

[1] «Известия...», 1876, стр. 16—17.

[2] «Отчет Тифлисской городской управы за 1883 г., стр. 4—5, 45—47.

ნაგებობებისა და საცხოვრებელი სახლების აგების შედეგად მატულობდა შეფასებითი გამოსაღების სახით მიღებული თანხა. ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოებას მოსდევდა შემოსავლის ზრდა ბიუჯეტის შესაბამისი მუხლების ხაზით. იზრდებოდა აგრეთვე თვითმმართველობის საკუთარი ქონების ღირებულება და შემოსავალი.

1883 წლის ბიუჯეტით თბილისის თვითმმართველობის შემოსავალი გათვალისწინებული იყო 594 555 მან. ოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 531 733 მან. მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღების სახით ბიუჯეტში შევიდა 229 ათასი მან., საკაბრო-საჭრეწველო დაწესებულებებიდან — 58 ათასი მან., ქალაქის საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან და ქონებიდან — 116 ათასი მან. და სხვ. ამავე წელს საგანსავლო ბიუჯეტი ნაკლებად იყო 596 ათასი მან. ოდენობით. 1884 წლის 1 იანვრამდე ათვისებულ იქნა 519 ათასი მან., საიდანაც დაიხარჯა: თვითმმართველობის თანამშრომელთა ხელფასზე — 80 ათასი მან., პოლიციაზე — 78 ათასი მან., ჯარის ბინებზე — 129 ათასი მან., ქალაქის კეთილმოწყობაზე — 100 ათასი მან., სწავლა-განათლებაზე — 42 845 მან., ვალების დაფარვაზე — 36 ათასი მან. და სხვ. [1].

აუცილებელი არამწარმოებლური ხარჯების (ჯარის ბინების დაქირავება და პოლიციის შენახვა) სიდიდის გამო ქალაქის არსებით მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მცირე თანხა რჩებოდა. საქალაქო თვითმმართველობა იძულებული იყო სესხები აეღო, 1881 წელს მთავრობის ნებართვით თბილისის თვითმმართველობამ გამოუშვა პირველი საობლიგაციო სესხი 750 ათასი მან. ოდენობით. მეორე, 800 ათას მანეთიანი საობლიგაციო სესხი გამოშვებულ იქნა 1886 წელს. საობლიგაციო სესხების რეალიზაცია საკმაოდ სწრაფად ხდებოდა და მიღებული თანხა ავსებდა ქალაქის ბიუჯეტს.

1886 წლის თბილისის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში უდრიდა 1116 ათას მანეთს, საიდანაც 696 ათასი მან. მიღებული იყო საობლიგაციო სესხების რეალიზაციის შედეგად. 1887 წლის ბიუჯეტს (852 724 მან.) საობლიგაციო სესხმა შემატა 203 ათასი მან. [2].

---

[1] «Отчет Тифлисской городской управы за 1883 г.», стр. 4—5.

[2] «Известия...», 1885, приложение № 4, стр. 1—3, 26; «Известия...», 1886, стр. 1—3.

სესხების აღება დროებით აჯანსაღებდა ქალაქის ბიუჯეტს. მისი დაფარვა და საკმაოდ მაღალი პროცენტის გადახდა ბიუჯეტის საგანგებო ნაწილს აწვებოდა. ამიტომ თბილისის თვითმმართველობა ცდილობდა სესხებით მიღებული თანხა უპირატესად შემოსავლიან წარმოება-დაწესებულების მოწყობისათვის გამოეყენებია და მათი მოგებით დაეფარა ვალები. XIX ს. 80-იან წლებში თბილისის თვითმმართველობამ ააგო ვერისა და მნაცაკანოვის ხიდები. მოაწყო აგენტის წყალსადენი, ააშენა მუნიციპალური სასახლე, რომლის ქვედა სართული მაღაზიების სახით გაქირავდა. 1891 წელს ვერისა და მნაცაკანოვის ხიდებმა ქალაქის ბიუჯეტს შემატეს 17 ათასი მან. (ხიდებზე ტრანსპორტის გავლისათვის ახდევინებდნენ გარკვეულ თანხას), ხოლო წყალსადენმა — 118 ათასი მან. [1].

მუნიციპალური მოღვაწეები თბილისის თვითმმართველობის შემოსავლის გაზრდას საზოგადოებრივი ბანკის დაარსებითაც ეარაუდობდნენ. ჯერ კიდევ 1879 წელს საქალაქო სათათბირომ დაადგინა გაეხსნა საზოგადოებრივი ბანკი, რომელიც მოახდენდა: ანაბრების გაღებას და ვექსილების განაღდებას; სესხების გაცემას საქონლისა და უძრავი ქონების გირაოს ქვეშ; სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების, ობლიგაციებისა და აქციების ყიდვა-გაყიდვას. სათათბირო ეარაუდობდა ბანკის მოგების 80% ბიუჯეტში შეეტანა და ქალაქის საჭიროებისათვის გამოეყენებინა, მაგრამ თბილისის თვითმმართველობამ მთავრობისაგან საზოგადოებრივი ბანკის დაარსების ნებართვა ვერ მიიღო.

თბილისის თვითმმართველობამ 1887 წელს მოახერხა სასესხო სალარო გახსნა. ეს დაწესებულება, რომლის ძირითადი კაპიტალი 80 ათას მან. შეადგენდა, სესხებს გასცემდა ძვირფასი ლითონების გირაოს ქვეშ და იღებდა 12% სარგებელს. მოგების მეტი წილი ბიუჯეტში ირიცხებოდა.

1896 წელს სასესხო სალარო ლომბარდად გადაკეთდა. ქალაქის ლომბარდი საოპერაციო თანხების ნაკლებობას განიცდიდა, მაგრამ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სხვადასხვა ნივთების გირაოს ქვეშ აძლევდა მოკლევადიან (2—10 თვით) სესხებს 10%-იანი სარ-

---

[1] «Отчет Тифлисской городской управы за 1891 г.», стр. 18—33.

გებლით. აღნიშნულ წელს ლომბარდის საერთო ბრუნვამ 3,3 მლნ მან. შეადგინა [1].

XIX—XX სს. მიჯნაზე თბილისის ბიუჯეტი თანდათან იზრდებოდა. 1894 წელს ქალაქის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში გათვალისწინებული იყო 1069 ათასი მან. ოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 1059 ათასი მან. გასავალი ნავარაუდევი იყო 1073 ათასი მან., წლის განმავლობაში ათვისებულ იქნა 945 ათასი მან. 1900 წელს თბილისის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში ნავარაუდევი იყო 1506 ათასი მან. ოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 1361 ათასი მან. გასავალი გათვალისწინებული იყო 1506 ათასი მან., ფაქტიურად დაიხარჯა 1278 ათასი მან. დარჩენილი თანხა აითვისეს მომდევნო წელს.

1900 წელს თბილისის თვითმმართველობის აპარატზე დაიხარჯა 127 ათასი მან., ქალაქის გარნიზონზე — 118 ათასი მან., პოლიციაზე — 95 ათასი მან., ქალაქის კეთილმოწყობაზე — 203 ათასი მან., სახალხო განათლებაზე — 116 ათასი მან., სამედიცინო, სანიტარიულ და ვეტერინარულ მომსახურებაზე — 104 ათასი მან., ხეხების დაფარვაზე — 117 ათასი მან [2]. მოტანილი ცნობები ცხადყოფს, რომ თბილისის თვითმმართველობის გასავალში კვლავ დიდი იყო არამწარმოებლური ხარჯები, მაგრამ სჭარბობდა კომუნალური შეურნეობის, სახალხო განათლებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ზრდის ტენდენცია.

პირველი რევოლუციის წლებში თბილისის თვითმმართველობის საბიუჯეტო ვარაუდები არ ხორციელდებოდა. 1905 წელს ქალაქის შემოსავალმა შეადგინა 995 ათასი მან., ნაცვლად ბიუჯეტით ნავარაუდევი 1583 ათასი მან-სა. 1906 წელს ფაქტიური შემოსავალი უდრიდა 1337 ათას მან., 1907 წელს კი — 1466 ათას მან. ამის შემდეგ საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა. მისი შემოსავალი — 1908 წელს შეადგენდა 1 607 ათას მან., 1909 წელს — 1996 ათას მან., 1911 წელს — 2121 ათას მან. [3].

თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტის ყველა საშემოსავლო

---

[1] «Краткий очерк о деятельности Тифлисской городской ссудной кассы», Тифлис, 1897, стр. 2—3.
[2] «Отчет Тифлисской городской управы за 1900 г.», стр. 4—5.
[3] «Известия...», 1910, № 10, отд. I, стр. 56—67.

მუხლი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა, მაგრამ თანდათან იცვლებოდა შემოსავლის სხვადასხვა წყაროების მნიშვნელობა ქალაქის ფინანსებში. საილუსტრაციოდ მივმართოთ ციფრობრივ მონაცემებს [1].

წლები	საქალაქო თვითმმართველობის მთელი შემოსავალი მანეთებში	საქალაქო თვითმმართველობის ქონების ზეშემოსავალი	%	საქალაქო თვითმმართველობის საწარმო-დაწესებულებათა შემოსავალი	%	მოქალაქეთა უძრავი ქონების ზეფასებითი გამოსაღები	%	შემოსავალი ეპარრობა — ეპარეწველობის მოწმობებიდან	%
1882	436 156	63 488	14,67	28 888	6,42	199 426	45,70	58 916	13,15
1887	591 511	87 230	14,74	43 175	7,29	251 237	42,41	65 525	11,07
1892	866 194	107 039	12,36	212 632	24,55	270 954	31,28	71 120	8,21
1897	1 042 748	127 507	12,22	310 448	29,77	328 689	31.52	100 771	9,55
1902	1 303 472	111 482	8,55	448 926	34,44	396 517	30,42	121 848	9,35
1907	1 466 784	88 726	6,65	549 206	38,12	453 156	35,15	116 391	7,98
1910	2 133 063	158 289	7,32	680 892	31,91	786 933	38,84	134 000	6,28

როგორც ვხედავთ, 1882 წლიდან 1910 წლამდე თბილისის ბიუჯეტი 400%-ით გაიზარდა. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღების ხვედრითი წონა შემცირდა 45,7%-დან 36,84%-მდე, შემცირების ტენდენციას ამჟღავნებდა აგრეთვე იჯარით გაცემული ქალაქის ბინებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებისაგან მიღებული შემოსავლის წილი. საქალაქო თვითმმართველობის საწარმოთა (წყალსადენი, ტრამვაი, სასაკლაო და სხვ.) შემოსავლის წილი კი გაიზარდა 6,42-დან 31—38%-მდე.

საქალაქო თვითმმართველობის უძრავი ქონების შემოსავლის ნელი ზრდა და ბიუჯეტში მისი ხვედრითი წონის შემცირება განპირობებული იყო მიწის ფონდის ირაციონალური ექსპლუატაციით. მიწის დიდ ნაწილს საძოვრები შეადგენდა, რომლის რენტა არ ამჟღავნებდა სწრაფი ზრდის ტენდენციას. საძოვრების შემოსავლიან ნაკვეთებად გადაქცევისათვის საირიგაციო სამუშაოების

[1] «Известия...», 1909, № 11, отд. II, стр. 16—19.

ჩატარება რომ იყო აუცილებელი, ეს კარგად ჰქონდათ შეგნებული მუნიციპალურ მოღვაწეებს, მაგრამ ამ ძვირად ღირებული საქმის დასაფინანსებლად საქალაქო თვითმმართველობამ სახსრები ვერ გამონახა.

თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტი იზრდებოდა, მაგრამ იგი მაინც არასაკმარისი იყო ქალაქის უფრო სწრაფად მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. XX ს. პირველ ოცწლეულში ქალაქის ბიუჯეტს კვლავ მძიმე ტვირთად აწვა საერთო სახელმწიფო ვალდებულებანი. თანდათან მეტი თანხა იხარჯებოდა თვითმმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირებზე.

XIX—XX სს. მიჯნაზე საქალაქო გამგეობის საამშენებლო ნაწილი შეივსო ინჟინერ-ტექნიკოსთა ახალი კადრებით. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სავაჭრო პოლიცია. 1891 წლიდან სავაჭრო პოლიციაში (რომელსაც შეუერთეს გადასახადების ამკრეფთა ბიურო) შედიოდა უფროსი სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველი, ექვსი საუბნო ზედამხედველი და ექვსი მათი მოადგილე, ერთი საქმის მწარმოებელი, 34 გადასახადთა ამკრეფი და შიკრიკი. სავაჭრო პოლიციის მოვალეობას შეადგენდა საქალაქო გადასახადების აკრეფა, სავაჭრო-სამრეწველო სანებართვო მოწმობების გაცემა, კონტროლი სავაჭრო მაღაზიებსა და ბაზრებზე [1].

1910 წელს თბილისის თვითმმართველობამ ჯარისა და პოლიციის საჭიროებისათვის გაიღო 469 ათასი მან., რაც შეადგენდა საბიუჯეტო გასავლის 22%. თვითმმართველობამ თავის მოსამსახურეებზე ხელფასის სახით გასცა 211 ათასი მან. (10,7%), სესხების დასაფარავად გაიცა 194 ათასი მან. (9,8%), ქალაქის კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 228 949 მან. (10,8%), მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე — 273 ათასი მან. (13,1%), სანიტარიულ და ვეტერინარულ ნაწილზე — 57 ათასი მან. (2,7%), სახალხო განათლებაზე — 272 ათასი მან. (13%) [2].

1905—1907 წლების რევოლუციის ხანაში, როგორც აღნიშნული იყო, თბილისის თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირებისა და ხარჯების გაზრდის გამო ბიუჯეტი დეფიციტური გახდა. 1904—

---

[1] «Отчет о деятельности городской управы за 1899 г.», стр. 84—85.
[2] «Известия...», 1909, № 11, отд. II, стр. 26—36.

1909 წლებში წარმოშობილი დეფიციტი 1 950 ათას მან. შეადგენდა[1].

თბილისის თვითმმართველობა იძულებული იყო ზოგი მიმდინარე ხარჯის დასაფარავად მოკლევადიანი სესხები აეღო, რაც პროცენტის მაღალი ნორმის გამო მძიმე ტვირთად აწვებოდა ქალაქის ბიუჯეტს. 1907 წლისათვის საქალაქო თვითმმართველობის ვალმა 2 მლნ მან. გადააჭარბა[2].

ქალაქის ფინანსების რეგულირებისა და მსხვილი ობიექტების მშენებლობისათვის სათათბიროს საჭიროდ მიაჩნდა გრძელვადიანი დიდი სესხის აღება. აღიძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე 3 მლნ მან.-იანი საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვის თაობაზე, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკმაყოფილა. 1910 წლის აპრილში გაფორმებული ხელშეკრულებით თბილისის საქალაქო გამგეობამ გამოშვებული საობლიგაციო სესხის რეალიზაცია მიანდო თბილისის ტრამვაის მფლობელ ბელგიელთა ანონიმურ საზოგადოებას. ბელგიელ კაპიტალისტებს უფლება ეძლეოდათ სესხის გავრცელება მოეხდინათ ყველგან (რუსეთში, საზღვარგარეთ), სადაც კი ამას მიზანშეწონილად ჩათვლიდნენ. გამოიცა 187 მანიანი 16 ათასი ცალი ობლიგაცია, რომელსაც ჰქონდა თბილისის ქალაქის თავის, გამგეობის ორი წევრის და ბუღალტერის ხელმოწერა. ობლიგაციის მფლობელები იღებდნენ 5% წლიურ სარგებელს. 27 წლის ვადით გამოშვებული ამ ობლიგაციების დაფარვა სწარმოებდა ნომინალურ ფასებში ყოველწლიურად ორი ტირაჟის ჩატარებით. კუპონებისა და ტირაჟში გასული ობლიგაციების ანაზღაურება ხდებოდა რუსეთში მანეთებით, ხოლო ბელგია-საფრანგეთში — ფრანკებით[3].

სამმილიონიანი საობლიგაციო სესხის რეალიზაციამ თბილისის თვითმმართველობას საშუალება მისცა გაეშალა შედარებით ფართო მასშტაბის სამუშაოები. მაგრამ საერთოდ სესხებით როდი შეიძლებოდა ქალაქის ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება.

---

[1] «Известия...», Сентябрь 1908 г., стр. 29—32.
[2] «Отчет Тиф. гор. общественного управления за 1906 г.», стр. 160—161.
[3] «Известия...», 1910, № 4, отд. I, стр. 88—95.

1913 წელს თბილისის თვითმმართველობის ფაქტიური შემოსავალი შეადგენდა 2681 ათას მან.[1], 1915 წელს კი — 6496 ათას მან.[2]. 1915 წელს ბიუჯეტის მკვეთრი გაზრდა განაპირობა დიდშემოსავლიანი ტრამვაის საქალაქო თვითმმართველობის ხელში გადასვლამ, მაგრამ ომის პირობებში თვითმმართველობის შემოსავალს მნიშვნელოვნად სჭარბობდა გასავალი, რის გამო ბიუჯეტის დეფიციტი თანდათან მატულობდა. თუ 1914 წლის 1 იანვრისათვის იგი 1030 ათას მან. შეადგენდა, 1917 წლის 1 იანვრისათვის 2600 ათას მან-მდე გაიზარდა[3].

თბილისის ბურჟუაზიულმა თვითმმართველობამ ისე დალია თავისი დღენი, რომ დეფიციტის აღმოფხვრა და ვალების გადახდა ვერ მოახერხა.

2. თბილისის ზრდა-გაშენება და საქალაქო თვითმმართველობა

XIX ს. პირველ ნახევარში იწყება ფეოდალური თბილისის ბურჟუაზიულ ქალაქად გადაქცევა. მოკლე ხანში თბილისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და მსხვილი სავაჭრო-საშრეწველო ცენტრი გახდა, რამაც განაპირობა მისი ტერიტორიისა და მოსახლეობის სწრაფი ზრდა.

XIX ს. 60-იანი წლებისათვის თბილისის ფართობი 737 ჰექტარს შეადგენდა. მტკვრის მარჯვენა მხარეს განლაგებული იყო ქალაქის ძველი და ახალი უბნები — სეიდაბადი, ხარფუხი, აბანოების უბანი, ორთაჭალა, გოლოვინის პროსპექტი და ერევნის მოედანი მომიჯნავე ქუჩებით. სოლოლაკი, ზენელი, ვერა. მარცხენა მხარეს გაშენებული იყო კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი და რიყე[4].

1876 წელს თბილისში ითვლებოდა 8172 საცხოვრებელი სახლი, საიდანაც 24 იყო ოთხსართულიანი და 431 სამსართულიანი. ამ სახლებიდან 6970 მთლიანად ან ნაწილობრივ გაქირავებული იყო. დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა 64 684 სული, თბილისის მოსახლეობის ორი მესამედი. სახლთმფლობელებმა 1876 წელს

---

[1] «Кавказский Календарь», 1915, стр. 338—345.
[2] «Известия...», 1915, № 11—12, стр. 6—7.
[3] «Известия...», 1915, № 11—12, стр. 24.
[4] Ш. Чхетия, Тбилиси XIX столетия, 1942, стр. 454—455.

საცხოვრებელი ბინების, დუქნების, მაღაზიებისა და საწყობების ქირის სახით მიიღეს 2 მლნ მან. [1].

ქალაქის მოსახლეობის ზრდის კვალდაკვალ ბინის ქირა სწრაფად მატულობდა. სახლი თბილისში შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა და ამიტომ სახლთმშენებლობაში კაპიტალის დაბანდება მომგებიან საქმეს წარმოადგენდა. მდიდარი მოქალაქეები სახლებს ძირითადად გაქირავების მიზნით აგებდნენ.

1876 წელს თბილისის საამშენებლო ნაწილი საგუბერნიო მმართველობის უწყებიდან საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციაში გადავიდა. საქალაქო გამგეობის საამშენებლო განყოფილებას დაევალა თბილისის საზოგადოებრივი მნიშვნელობის საწარმო-დაწესებულებათა მოწყობა-ექსპლუატაცია და კერძო მშენებლობათა კონტროლი. ამ განყოფილებაში მტკიცდებოდა ნაგებობათა პროექტები, იცემოდა მშენებლობათა წარმოების ნებართვები.

XIX ს. 80—90-იან წლებში თბილისის ტერიტორიის გაფართოებისა და მოსახლეობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაჩქარდა. საქალაქო თვითმმართველობა ცდილობდა რეალურად განეხორციელებინა კონტროლი მშენებლობებზე, აეძულებინა კერძო პირები, რომ მათ მიერ აგებული სახლების ფასადი დროის მოთხოვნის შესაფერისი ყოფილიყო. 1886 წელს საქალაქო სათათბირომ ახლად შეიმუშავა და გამოსცა თბილისის მცხოვრებთათვის სავალდებულო დადგენილება, სადაც ჩამოყალიბებული იყო ახალი სახლების აგების, ძველის გადაკეთებისა და კაპიტალური შეკეთების ჩატარების წესები.

თბილისის ინტელიგენციის ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა მშენებლობათა შესახებ სავალდებულო დადგენილებას, შექმნილ პირობებში მისი განხორციელება შეუძლებლად სცნო და ივარაუდა, რომ იგი ქაღალდზე დარჩებოდა. გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია მოწინავე სტატიაში მიუთითებდა თბილისის დიდი ნაწილის მოუწყობლობაზე, ლაპარაკობდა ღარიბთა უბნებზე, სადაც ისე ვიწროდ ცხოვრობდნენ ადამიანები, როგორც თევზები კასრში. ღარიბ მოქალაქეებს არ შეუძლიათ თავიანთი ბინების გადაკეთება, მით უმეტეს ახალი სახლების აგება. სავალდებულო დადგენილება

---

[1] «Тифлис по однодневной переписи 25 марта 1876 г.», стр. 152—178.

არ ითვალისწინებს, ხოლო სათათბირო არც კი ფიქრობსო მათთვის დახმარების გაწევას [1].

თბილისის თვითმმართველობის აღმშენებლობით საქმიანობას, ქალაქის კეთილმოწყობას საგრძნობლად აფერხებდა ის გარემოება. რომ ქალაქის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები კერძო პირთა საკუთრებას შეადგენდა და ძალიან ძვირად ფასობდა. ასეთი ვითარების შექმნაში საზოგადოებრივი აზრი ბრალს ქალაქის ადრინდელ მმართველებს სდებდა. „ვიდრე ქალაქი ნაკლებ იყო დასახლებული, — წერდა „ივერიის" კორესპონდენტი, — მანამდე მისი მაშინდელი წარმომადგენელნი უფრო იმის ზრუნვაში იყვნენ, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი დასახლებულიყო ტფილისში. ოლონდ ვისმე გამოეცხადებინა სურვილი სახლის აგებისა, თორემ ქალაქის ადგილს მუქთადაც უთმობდნენ. ასე იარა საქმემ და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ქალაქის შუაგულს მიწაზე სულ კერძო კაცებმა გადაეზიმეს სახლები, დაიტაცეს მამულები, და როცა ქალაქის თვითმმართველობა შემოვიდა, ქალაქს აღარა ჰქონდა მიწები, რომ რიგიანი მოედანი გაემართა ან შესაფერი ბაზრები. ან სასეირნო ადგილები და ბაღები". წერილის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ მეტად მჭიდროდ არისო დასახლებული სოლოლაკი, მთაწმინდა, შუაბაზრის მიდამო. აქ არაა ბაღები, მოედნები. ადვილად ვრცელდება გადამდები სნეულებანი... ამ ბოროტების გამოსწორებას სჭირდება მიწა, მაგრამ ნაკვეთები აქ ძალიან ძვირია და საქალაქო თვითმმართველობას ძალიან გაუჭირდებაო დაშვებული შეცდომის გამოსწორება. კორესპონდენტი ორ შესაძლო გამოსავალს ხედავს: ქალაქის ცენტრში არსებული მოედნები ან ერთი ათად უნდა გაფართოვდეს, ან განაპირა ადგილებში უნდა იქნეს გადატანილი. „პირველი უფრო სასურველია, მაგრამ მისი სახსარი თვითმმართველობას არ გააჩნია. აუცილებელია მეორე ღონისძიების გატარება". წერილის ავტორი ახალ საბაზრო ადგილებად ასახელებდა მადათოვის კუნძულს და ორთაჭალას, სადაც თავისუფალი ნაკვეთები ბლომად იყო დარჩენილი და არც ისე ძვირად ფასობდა. ვიდრე ფართო ბაზრები არ გამართულა, სოფლებიდან ჩამოსული შეშითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული ურმები კერძო პირთა ეზოებში, ბაკებსა და ქარვასლებში დგე-

---

[1] «Новое обозрение», 1886, № 774.

ბიან, ქირას მათ აძლევენ, რითაც თვითმმართველობა ყოველწლიურად ასი ათასობით მან. ჰკარგავსო. ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თვითმმართველობის სალაროს შევსების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა ახალი ბაზრების, საწყობებისა და სასტუმროების მოწყობა არისო [1].

თბილისის თვითმმართველობაში გაბატონებული ბურჟუაზია გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობის, ბაზრების, საწყობების და მაღაზიების ქსელის გაფართოებისათვის, რადგან ეს შეესაბამებოდა მის კლასობრივ ინტერესებს. განაპირა უბნების კეთილმოწყობისა და ღარიბი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის კი თავს არ იწუხებდა. ქალაქის მამებს მუშებისათვის არ აუგიათ არც ერთი იაფი კომუნალური სახლი.

სამაგიეროდ ბინათმშენებლობაში აქტიურად ჩაებნენ სხვადასხვა ჯურის მდიდარი და საშუალო შეძლების საქმოსნები. მათი სურვილი იყო მუშების ხარჯზე გამდიდრება. ამ ახლად გამომცხვარმა კაპიტალისტებმა კრედიტები მიიღეს ბანკებიდან და დიდუბეში გაჩაღდა მშენებლობის ციებ-ცხელება. XIX ს. 80—90-იან წლებში დიდუბე დაიფარა დიდი სახლებით, რომლებშიც ბლომად იყო მუშებზე გასაქირავებლად მოწყობილი მცირე ბინები. ამ დიდი სახლების გარდა აშენდა საშუალო სიდიდის და პატარა სახლები, რომლის ოთახების თვიური ქირა 6—7 მან. შეადგენდა [2]. მაგრამ მუშების დიდი უმრავლესობისათვის ასეთი იაფფასიანი ბინები და ოთახებიც ხელმიუწვდომელი იყო.

თბილისის მოსახლეობის ქვედაფენა წელზე ფეხს იდგამდა და თვითონვე ცდილობდა საბინაო პრობლემების გადაწყვეტას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალაქში ახალმოსულნი, რომელთაც ძალიან უჭირდათ ბინის ქირის გაღება და თანაც სარდაფებში ცხოვრება. მათი ერთი ნაწილი ახერხებდა მიწის ნაკვეთის ყიდვას ან იჯარით აღებას და მშენებლობის დაწყებას. მაგრამ იმის გამო, რომ ქალაქის ფარგლებში სამოსახლო მიწის რენტა ძალიან სწრაფად იზრდებოდა, საამშენებლო მასალა ძვირდებოდა, ღარიბთა ოცნება საკუთარი კარ-მიდამოს მოწყობის შესახებ, უმეტესწილად, განუხორციელებელი რჩებოდა.

---

[1] „ივერია“, 1891, № 115.

[2] «Известия...», 1911, № 2, отд. II, стр. 3.

შექმნილ პირობებში უბინაო პროლეტარებმა სხვა გზა გამონახეს. თავი რომ დაეღწიათ საიჯარო ქირის გაღების ვალდებულებისაგან, ისინი საქალაქო გამგეობის ნებართვის გარეშე იწყებენ დასახლებას ქალაქის კუთვნილ ცარიელ მიწებზე, რკინიგზის ზედა მხარეს. მუშები ცოლ-შვილის დახმარებით ანგრევდნენ კლდეებს, ასწორებდნენ სამოსახლო ადგილს, თვითონვე ამზადებდნენ აგურს და სწრაფი ტემპით აგებდნენ ქოხმახებს. XIX ს. 80—90-იან წლებში საკმაოდ ვრცელი ტერიტორია დაიფარა ფარდულებითა და პატარა სახლებით. იმის გამო, რომ მუშები უნებართვოდ დასახლდნენ, ახალმა უბანმა „ნაძალადევის“ სახელწოდება მიიღო.

ქალაქის მიწების „მიტაცების“ ფართო მასშტაბმა შეაშფოთა ბურჟუაზიული თვითმმართველობა. ნაძალადევში გაძლიერდა საპოლიციო დაცვა, აიკრძალა მიტაცებელ ნაკვეთებზე სახლების მშენებლობა. მაგრამ პოლიციისათვის თვალის ახვევის მიზნით მუშებმა ასეთ ხერხს მიმართეს: სამოსახლო ნაკვეთზე აგებდნენ დროებით ფარდულს, რომელშიც ღამღამობით შემოჰქონდათ საამშენებლო მასალა. რამდენიმე ხანში მშენებლობა მთავრდებოდა და ფარდულის ალების შემდეგ ყველა ხედავდა სოკოსავით უცბად გაჩენილ ახალ სახლს. 1893 წელს „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი პუბლიცისტი წერდა, ნაძალადევში ახლაც ბევრს ნახავთ ისეთ ფარდულს, რომლის შიგნით გაცხოველებული მშენებლობა მიმდინარეობსო [1].

1894 წელს საქალაქო თვითმმართველობისა და მუშების კონფლიქტში მთავრობა ჩაერია. სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ნაძალადეველთა აყრის შესახებ, ხოლო პოლიცია სწრაფად შეუდგა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანას. რამდენიმე დღეში „მრავალი ქოხი და პატარა სახლი მიწასთან იქნა გასწორებული.

ქალაქის ღარიბთა მიმართ გამოჩენილმა ასეთმა სიმკაცრემ აღაშფოთა პროგრესული ინტელიგენცია. ზოგიერთმა პუბლიცისტმა გაბედა მუშების ინტერესების დაცვა და ქალაქის მამების კრიტიკა. საქალაქო თვითმმართველობას მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ეკალება და არა ღარიბთა ქოხმახების დანგრევაო.

---

[1] «Новое обозрение», 1893, № 3373.

XX ს. დამდეგიდან თბილისის განაშენიანების ტემპი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1902—1909 წლებში საქალაქო გამგეობამ 2983 სახლის პროექტი დაამტკიცა. ბევრი სახლი კი თვითნებურად, დამტკიცებული პროექტის გარეშე შენდებოდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში თბილისის მუშა მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო სარდაფების მიტოვება და მიწის ზევით საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ყველაზე მასობრივი ხასიათი ამ მოძრაობამ ნაძალადევსა და დიდუბეში მიიღო. 1904—1908 წლებში ნაძალადევში, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე, ყოველგვარი ნებართვის გარეშე 1000-ზე მეტი სახლი აშენდა [1].

მუშათა სადასახლებო მოძრაობის მასობრიობის წინაშე საქალაქო თვითმმართველობამ ბოლოს და ბოლოს კაპიტულაცია მოახდინა. მან ცნო მიწის ნაკვეთების დაკავების ფაქტი და ნაძალადეველები მოიჯარეებად გამოაცხადა. სამოსახლო ნაკვეთის ყოველ კვადრატულ საჟენზე მუშებს შეაწერეს 10—40 კაპ. საიჯარო ქირა. მაგრამ საიჯარო ურთიერთობის დაწესებულმა ნორმებმა არ დააკმაყოფილა ახალმოსახლენი, ბევრმა მათგანმა დაკავებული ნაკვეთის გამოსყიდვის უფლება მოითხოვა.

ბურჟუაზიულ მუნიციპალურ მოღვაწეთა ერთი ნაწილი მოიჯარეებზე მიწის გაყიდვის წინააღმდეგი იყო, ქალაქის მიწების განუსხვისებლობის პრინციპს იცავდა, იგი მიაჩნდა საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად. მეორე ნაწილის აზრით, საიჯარო ურთიერთობა კერძო ინიციატივას ბოჭავდა და ამდენად, ქალაქის ზრდა-განვითარებისათვის მას საზარალოდ თვლიდა. ისინი თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის, კერძო ინიციატივის შეუზღუდველობის პრინციპს იცავდნენ და რაკი ნაძალადეველთა თხოვნა ამ პრინციპში თავსდებოდა, მიზანშეწონილად მიაჩნდათ მათი დაკმაყოფილება. 1906 წელს თბილისის საქალაქო სათათბიროში ამ უკანასკნელმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. ნაძალადეველებს მიეცა მათ მიერ დაკავებული ნაკვეთების შესყიდვის უფლება. მაგრამ ამ უბნის მოსახლეობის მხოლოდ შედარებით შეძლებულმა ნაწილმა მოახერხა მიწის ნაკვეთების შესყიდ-

---

[1] А. Хатисов. Обозрение новых рабочих кварталов в Тифлисе, стр. 3—11.

ვა. ძირითადად კი საქალაქო თვითმმართველობისა და ახალმოსახლეთა ურთიერთობა საიჯარო ხელშეკრულებებით განისაზღვრა. მუშები და ხელოსნები უმეტესწილად ვერ ახერხებდნენ საიჯარო ქირის გადახდას, გადასახადთა ნარჩენები თანდათან იზრდებოდა, რაც განაპირობებდა მოიჯარეთა და ქალაქის ხელისუფალთა ურთიერთობის გამწვავებას.

ასეთ წინააღმდეგობრივ ვითარებაში მოხდა ნაძალადევის გაშენება, სადაც ძირითადად მუშა მოსახლეობა დაფუძნდა. იმდროინდელი დამკვირვებელი ასე აგვიწერს ღარიბ ნაძალადეველთა კარმიდამოს: აგერ საწყალი გარეგნობის ქოხი. იგი მიწის იატაკიან მცირე ხუხულას წარმოადგენს. იქვე ჩანს მეორე ქოხი, რომლის მფლობელი ყოფილი რკინიგზელია. მას ქოხის ასაგებად გამოუყენებია ყოველგვარი მასალა (ქვა, აგური, მუყაო, ლინოლეუმი და სხვ.). სახლს აქვს მინიატურული ფანჯარა. შიგნით დგას ხის ტახტი, ზანდუკი, ორი სკამი. აი მისი მთელი მოწყობილობა. სახლის პატრონის სახეზე კი გულუბრყვილო ღიმილი ჩანს, იგი ხომ სახლის მფლობელია [1].

ნაძალადეველთა ბინების მოწყობილობა, როგორც წესი, ღარიბული იყო. მაგრამ დამკვირვებელი ყველგან ამჩნევდა მისწრაფებას სისუფთავე-სიკოხტავისაკენ. ბინძურ ბინებს იშვიათად შეხვდებოდა კაცი. ყველა თავისებურად მოეწყო. უმეტეს მათგანს ჰქონდა პატარა ბალი, მათ ოთახებში შესვლისას შეიმჩნეოდა წესრიგი, ჩანდა გარკვეული სახის ავეჯი, სამკაულები, სურათები, ფანჯრებზე ფარდები იყო ჩამოფარებული, ფანჯრის რაფებზე დაედგათ ყვავილებიანი ქოთნები. ლოგინი ღარიბული, მაგრამ სუფთა იყო. ბევრ სახლში ნავთის ლამპა იდგა. ზოგიერთს სამოვარიც კი გაჰქონდა. საერთოდ კი მეტად ღარიბული ქოხების პანორამა სჯარბობდა. ერთ მიწის იატაკიან ქოხში, რომელსაც ფარღალალა ჭერი და გვერდები ჰქონდა, შეამჩნევდით დიდ ტახტს, რომელზეც ისხდნენ ჩაყვითლებული ნახევრად მშიერი ბავშვები. იქ ცხოვრობდა ქართველი ქალი, რომელსაც ქმარი გარდაეცვალა და ექვსი ბავშვი ბედის ანაბარა დარჩა.

ვასრულებ რა შემფასებლის ფუნქციას, დაასკვნიდა ნაძალადევის დათვალიერების შემდეგ წერილის ავტორი, მიხდება ისეთი

---

[1] «Известия...», 1911, № 2, от. II, стр. 6.

მოკლენების ნახვა, რომელსაც მშვიდად ვერ ჩაუვლი. ეს უსიხარულო ცხოვრების სურათები თავისდაუნებურად აიძულებს ადამიანს ბევრ რამეზე დაფიქრდეს. ასეთ მომენტებში გრცხვენია შენი კეთილდღეობისა და უმწეო მშიერ ბავშვებიანი ქალის დანახვაზე სინდისის ქენჯნას განიცდიო [1]. მაგრამ მდიდართა სინდისის ქენჯნა და ქველმოქმედებაც კი, რა თქმა უნდა, არ კმაროდა ქალაქის ღარიბი მოსახლეობის შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ნაძალადევის ფონზე სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა გოლოვინის პროსპექტის, სოლოლაკის და კუკიის კვარტალები. მცირე სახლებისა და ქოხების ნაცვლად იქ მნახველის თვალწინ იშლებოდა 2 — 3 და 4-სართულიანი სახლები სადარბაზოებით, ყვავილებით მორთული მარმარილოს კიბეებით, ფართო პარკეტის იატაკიანი ოთახებით, რბილი საწოლებით, მარმარილოს აბაზანებით. „ჩვეულებრივი, უბრალო სახლები, დუქნები, ფარდულები და თორნეები, — წერს იგივე დამკვირვებელი, — შეიცვალა მდიდრული სახლებით, სასტუმროებით, საკონდიტროებით, მდიდრული მაღაზიებით, ბაღებით, კლუბებით, სინემატოგრაფებით და თანამედროვე კულტურული ადამიანისათვის აუცილებელი სხვა ატრიბუტებით“. ამ უბნებში ხალხი მდიდრულად ცხოვრობდა, მაგრამ იქაც იყო მოსაგვარებელი პრობლემები, ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამდა. გაისმოდა საჩივრები ბინის ქირის სიდიდეზე და სახლთმფლობელთა სიძუნწეზე. თვით ეს უკანასკნელნი წუწუნებდნენ ბინების გაზრდილ ხარჯებზე, კომუნალური მომსახურების სიძვირეზე. დასახელებულ უბნებში სახლთმფლობელები და დამქირავებელნი ორ მტრულ ბანაკს შეადგენდნენ. მიხაილოვის პროსპექტზე საუკეთესო, ელექტროგანათებიანი და აბაზანიანი ბინის წლიური ქირა 1000 — 1200 მან. უდრიდა. ნაკლებხარისხიანი 3 — 4-ოთახიანი ბინების თვიური ქირა კი 40—50 მან. შეადგენდა. განსაკუთრებით სწრაფი ზრდის ტენდენციას ამჟღავნებდა მაღაზიების ქირა, რის გამო სახლთმფლობელები მიმართავდნენ საცხოვრებელი ბინების მაღაზიებად გადაკეთებას [2].

XX ს. პირველ ათწლეულში ქალაქის ფარგლებში შევიდა ვაკე

---

[1] «Известия...», 1911, № 2, от. II, стр. 8—9.
[2] Там же. стр. 10—12.

და საბურთალო. 1913 წლისათვის თბილისის ფართობი 3 ათას ჰექტარამდე გაიზარდა. ქალაქში ბევრი საცხოვრებელი სახლი აშენდა, მაგრამ მოსახლეობის ზრდა ყოველთვის სჭარბობდა ბინათმშენებლობის ტემპს. 1897-დან 1910 წლამდე თბილისის მოსახლეობა 160 ათასიდან 305 ათასამდე გაიზარდა. განსაკუთრებით მომრავლდა მუშა მოსახლეობა, რომლის ცხოვრების მძიმე პირობების გაუმჯობესებისათვის ბურჟუაზიული მუნიციპალიტეტი თავს არ იწუხებდა. „დღეს რომ ქალაქის თვითმმართველობაში, — წერდა სოციალ-დემოკრატი პუბლიცისტი, — ერთი მუშა გაბატონებული კლასების მაგიერ, მცხოვრებთა ფართო მასა იღებდეს მონაწილეობას, მაშინ ეჭვგარეშეა, მიღებულ იქნებოდა ის აზრი, რომ ქალაქმა, თუკი უნდა, სერიოზული ზომები მიიღოს ბინების გაძვირების წინააღმდეგ, უნდა შეიძინოს სამოსახლო ადგილები და ზედ სისტემატურად ააშენოს კომუნალური ბინები. რა თქმა უნდა, სახლის პატრონების მიერ არჩეული ქალაქის მამები არ მოისურვებენ ასეთი ზომების მიღებას“ [1].

თბილისში საბინაო პრობლემა ყველაზე მწვავე სოციალურ პრობლემად ითვლებოდა. მისი გადაჭრა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ბურჟუაზიულ საქალაქო თვითმმართველობას.

3. თბილისის თვითმმართველობის საქმიანობა კომუნალური მეურნეობის სფეროში

საქალაქო თვითმმართველობის მთავარ ფუნქციას კომუნალური მეურნეობის (ქუჩები, მოედნები, განათება, ტრანსპორტი, წყალსადენი, კანალიზაცია და სხვ.) გამგებლობა შეადგენდა.

1875 წლისათვის თბილისის მოკირწყლული ქუჩების ფართობი 65 000 კვ. საჟენს არ აღემატებოდა. საქალაქო თვითმმართველობა შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა ცენტრალური ქუჩების კეთილმოწყობას. განაპირა უბნების ქუჩები ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. ბურჟუაზიული თვითმმართველობის ვიწრო კლასობრივი პოლიტიკის კრიტიკა ზოგჯერ სათათბიროს სხდომებზეც კი გაისმოდა. ხმოსანმა კ. მამაცაშვილმა, მაგალითად, 1877 წლის ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა, რომ საქალაქო გამგეობა მარტო

---

[1] გაზ. „საქმე“, 1910, № 43.

ლი ქუჩის (გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტები) კეთილმოწყობით არ უნდა იკვეხნიდეს, იგი განაპირა ქუჩებსაც სათანადო ყურადღებას უნდა აქცევდესო [1].

თბილისის საზღვრები სწრაფად ფართოვდებოდა. ახალ ქუჩამოედნების მშენებლობაზე კონტროლი საქალაქო თვითმმართველობას ევალებოდა. ჯერ კიდევ პირველი მოწვევის სათათბირომ შეადგინა და გამოაქვეყნა სავალდებულო დადგენილება, რომელიც მომდევნო ხანაში არაერთხელ შეივსო და გადაკეთდა. დადგენილება ავალებდა მიწათმფლობელებს, რომელთაც სურდათ თავიანთი ნაკვეთების სამოსახლოებად გაყიდვა, საქალაქო გამგეობაში წარედგინათ სათანადო გეგმები. ჩვეულებრივი ქუჩის სიგანე 6 საჟენზე, ხოლო მაგისტრალური ქუჩებისა 10 საჟენზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, თუ დაპროექტებული ნაკვეთის ფართობი 5 ჰექტარზე მეტი იყო, მოედნებისა და სკვერებისათვის აუცილებლად უნდა გამოყოფილიყო მისი 5% [2].

მიწათმფლობელები ვალდებული იყვნენ ქუჩების, მოედნებისა და სკვერებისათვის გამოყოფილ მიწაზე საკუთრების უფლება უსასყიდლოდ დაეთმოთ საქალაქო თვითმმართველობისათვის. მაგრამ დადგენილების ამ ნაწილის შესრულება თითქმის ყოველთვის კონფლიქტს იწვევდა. მიწათმფლობელებს ეძნელებოდათ ქუჩებისათვის 6 საჟენი ზოლის დათმობა, ხოლო მაგისტრალური ქუჩებისათვის 10-საჟენიანი ზოლის უსასყიდლოდ გამოყოფაზე კატეგორიულ უარს ამბობდნენ. საქალაქო თვითმმართველობა იძულებული იყო საკმაოდ დიდი თანხები გაეღო მიწათმფლობელთა სასარგებლოდ. მაგრამ ხშირად სახსარი არ ყოფნიდა და იძულებული იყო ვიწრო ქუჩების პროექტები დაემტკიცებინა [3].

XIX ს. 70—80-იან წლებში თბილისის თვითმმართველობას ბევრი არაფერი გაუკეთებია ქუჩების კეთილმოწყობისათვის. მუნიციპალიტეტმა მხოლოდ 1897 წელს შეადგინა ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა-მოასფალტების შედარებით ფართო გეგმა. მისი რეალიზაცია არსებითად დაიწყო 1901 წელს, როცა ბელგიელთა

---

[1] „დროება", 1875, № 27.

[2] Сборник обязательных постановлений Тифлисской городской думы, 1875—1912 гг.», 1913, стр. 30—31.

[3] სსცია, ფ. 13, ანაწ. 1, ს. 1330, ფურც. 2.

აქციონერულმა საზოგადოებამ თბილისის თვითმმართველობას სესხად მისცა 600 ათასი მანეთი.

თბილისის ქუჩების მოკირწყვლა-მოასფალტების სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის სათათბირომ სპეციალური კომისია გამოყო. როცა ეს კომისია მუშაობას შეუდგა, ქალაქის მოუკირწყლავი ქუჩების ფართობი 160 ათას საჟენს უდრიდა. საქალაქო თვითმმართველობას სურდა მოეხდინა ამ სამუშაოთა მუნიციპალიზაცია, ეწარმოებინა იგი მის სამსახურში მყოფი ინჟინერ-ტექნიკოსთა უშუალო ხელმძღვანელობით, მაგრამ სამუშაოთა მასშტაბის სიდიდისა და ქალაქის ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის სიმცირის გამო შეუძლებელი გახდა მთლიანად უარეყოთ სამუშაოთა წარმოების ძველი საიჯარო მეთოდი. სხვადასხვა დროს ქუჩების მოკირწყვლის სამუშაოებზე გამოყენებული იქნა 40 მოიჯარე.

საამშენებლო მასალებზე მოთხოვნილების ზრდა განაპირობებდა ქვის დამუშავების განვითარებას. სათათბიროს კომისიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად თბილისში თლილ ქვას გელათის (კურსების) კარიერიდან გზავნიდა იასე მეხუზლა. მანვე იკისრა კარიერის მოწყობა ბამბაკში. 1903—1907 წლებში თბილისი შეუფერხებლად მარაგდებოდა გელათისა და ბამბაკის კარიერებში დამზადებული ტეშენიტის ფილებით. ეს მაღალხარისხოვანი მასალა გამოიყენებოდა ცენტრალური ქუჩების მოკირწყვლისათვის, განაპირა ქუჩებს კი რიყის ქვით აგებდნენ.

1903—1904 წლებში ქვაფენილმა დაფარა თბილისის ქუჩები 88 ათას კვ. საჟენ ფართობზე. იმ დროის კვალობაზე სრულყოფილი ქვაფენილი გაკეთდა გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტებზე, ავჭალისა და მადათოვის ქუჩებზე, ნიკოლაევის მოედანზე. მოასფალტდა სასახლის ქუჩა და ერევნის მოედანი. ქუჩების მნიშვნელოვანი ნაწილი მოგებულ იქნა რიყის ქვით [1].

XIX ს. დამდეგისათვის მდ. მტკვრით ორად გაყოფილი ქალაქი მხოლოდ მეტეხის ვიწრო ხიდით იყო შეერთებული. 1830 წელს აიგო ავლაბრის ხიდი, 1852 წელს — ვორონცოვის ხიდი, რომლის რეკონსტრუქცია 1894 წელს განხორციელდა. XIX ს. 50-იან წლებში მოქალაქე მნაცაკანოვმა ავლაბრისა და ორთაჭალის

---

[1] «Отчет комиссии по мощению улиц и площадей г. Тифлиса 1903—1906 гг.», стр. 35—53.

დასაკავშირებლად ააგო ხის ხიდი, მაგრამ მან მხოლოდ ოცდაოდე წელი გაუძლო დროის გამოცდას, შემდეგ კი ჩაინგრა.

თბილისის თვითმმართველობამ თავიდანვე საკმაო ყურადღება მიაქცია ხიდების მშენებლობას. 1881 წელს გამოშვებული პირველი საობლიგაციო სესხის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა მნაკაკანოვის ხიდის აღდგენას და ვერის ხიდის მშენებლობას, რაც 1885 წელს დამთავრდა. 1913 წელს თბილისს შეემატა პატონის პროექტით აგებული მუხრანის ხიდი.

* *

XIX ს. 80-იან წლებამდე ქ. თბილისში საქალაქო ტრანსპორტის მთავარ სახეს ეტლი წარმოადგენდა, რომელიც სიძვირის გამო მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი.

მასობრივი საქალაქო ტრანსპორტის — ცხენის რკინიგზის (კონკა) მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ 1870 წელს დაისვა, მაგრამ 10 წლის განმავლობაში ეს წამოწყება თეორიულ სტადიას არ გასცილებია. საქალაქო თვითმმართველობამ საკუთარი სახსრებითა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალით ვერ შეძლო იმ დროისათვის საკმაოდ რთული საქმის განხორციელება. სათათბირომ მიიღო დადგენილება კონცესიონერთა მოწვევის თაობაზე. კონცესიის აღების მსურველი კი ბევრი აღმოჩნდა. თბილისის თვითმმართველობამ უპირატესობა მიანიჭა კ. დრეევაცკის წინადადებას.

1881 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად კონცესიონერი კ. დრეევაცკი ვალდებულებას კისრულობდა თბილისში გაეყვანა კონკის რამდენიმე ხაზი 16 კმ საერთო სიგრძისა და ეს სამუშაოები დაემთავრებინა 3 წელიწადში. მაგრამ კ. დრეევაცკიმ 1882 წლის 22 თებერვალს თავის საკონცესიო უფლება თბილისის თვითმმართველობის ნებართვით გადასცა ნ. მ. შევცოვს. მოკლე ხანში ნ. შევცოვის ინჟინერ-ტექნიკოსებმა დიდი სამუშაოები ჩაატარეს. კონკის პირველი რიგის მშენებლობა, რაც ნახევარი მლნ მან. დაჯდა, 1883 წლის მარტში დამთავრდა, 1884 წლის იანვრისათვის კონკის ვაგონები უკვე მოძრაობდა გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტებზე, რიყის უბანში, რკინიგზის სად-

გურიდან მიხეილის ქუჩამდე და ერევნის მოედნიდან სალდათის ბაზრამდე [1].

პირველ ხანებში კონკა არ იძლეოდა მოგებას. ალბათ ამან შეაშინა შევცოვი და მან ამჯობინა კონკა მთელი თავისი მოწყობილობითა და ცხენებით მიეყიდა ბელგიელთა კომპანიისათვის (1885 წ. ივლისი), რომელიც ამის შემდეგ მოქმედებდა „თბილისის ცხენის რკინიგზის საზოგადოების“ სახელწოდებით [2]. შევცოვის შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. ბელგიელ კაპიტალისტთა ხელში თბილისის კონკა მომგებიანი გახდა.

თბილისის ზრდა-გაფართოება განაპირობებდა კონკის ახალი ხაზების გაყვანის საჭიროებას. საკონცესიო ხელშეკრულება კონკის ახალი ხაზების მშენებლობის მონოპოლიას ბელგიელთა აქციონერულ საზოგადოებას ანიჭებდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბელგიელები არ მოისურვებდნენ თავის მონოპოლიური უფლების განხორციელებას, საქალაქო თვითმმართველობას შეეძლო კონკის ახალი ხაზების აგება სხვებისათვის მიენდო.

1889 წლის სექტემბერში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ყორღანოვმა და ალიბეგოვმა დაიწყეს კონკის ხაზის გაყვანა ავჭალის ქუჩაზე. კონცესიონერებმა ადგილობრივი ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალის გამოყენებით აღებული ვალდებულება შეასრულეს, მშენებლობა 1889 წლის ბოლოსათვის დაამთავრეს.

1895 წელს ბელგიელთა აქციონერული საზოგადოების კონკის ხაზებზე 76 ვაგონი მოძრაობდა. საქალაქო თვითმმართველობის სასარგებლოდ საზოგადოება ყოველწლიურად 3 ათას მან. იხდიდა. იმავე დროისათვის ყორღანოვ-ალიბეგოვის ავჭალის ხაზზე 10 სამგზავრო და ერთი საბარგო ვაგონი დადიოდა. კონცესიონერები მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად 750 მანეთს უხდიდნენ [3].

ბელგიელთა აქციონერული საზოგადოების ანგარიშებიდან ჩანს, რომ თბილისის კონკას ყოველწლიურად გადაყავდა 7—8 მლნ მგზავრი. მეტის შესაძლებლობას არ იძლეოდა მოძრავი შემადგენლობა. კონკით მგზავრობა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. სხვადასხვა ხაზებზე 3—5 კაპ. იყო დაწესებული. ბელგიელ კაპიტალისტთა

---

[1] «Известия...», 1884, стр. 113—117.
[2] «Конно-железно-дорожная концесия». стр. 9—15.
[3] «Известия...», 1894, приложение, стр. 35—37.

მთელი წლიური შემოსავალი 700—800 ათას ფრანკს, ხოლო სუფთა მოგება 200—300 ათას ფრანკს (80—120 ათას მან.) შეადგენდა[1].

ცხენის რკინიგზის მუშაობის საკონტროლოდ თბილისის საქალაქო სათათბირომ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც კონტროლთან ერთად კონკის გამოსყიდვის საკითხის შესწავლაც ევალებოდა.

1881 წლის 11 აპრილის ხელშეკრულება და მისი 1885 წლის 11 მაისის დამატება ქალაქისათვის არახელსაყრელად იქნა მიჩნეული. ხმოსანთა უმრავლესობა მოითხოვდა კონკის გამოსყიდვას, ქალაქის მოსახლეობის ბელგიელ კაპიტალისტთა თვითნებობისაგან გათავისუფლებას.

ხელშეკრულების თანახმად საქალაქო თვითმმართველობას უფლება ჰქონდა კონკა გამოესყიდა საკონცესიო ხელშეკრულების გაფორმების 14 წლის თავზე. ამ საკითხის შესწავლა საქალაქო გამგეობასა და საკონტროლო კომისიას მიენდო.

საქალაქო გამგეობამ საკონტროლო კომისიის წევრებთან ერთად შეისწავლა ბელგიელთა საზოგადოების ანგარიშები, გამოიყენა იგი მასალად და სათათბიროში წარადგინა ვრცელი მოხსენება, სადაც დასაბუთებული იყო კონკის გამოსყიდვის სარგებლობა. მოხსენებაში ბელგიელთა კომპანიის წლიური სუფთა მოგების (88 ათასი მან.) 5%-ის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით დადგენილი იყო კონკის გამოსასყიდი ფასი — 1 760 040 მან. იგი გადახდილი უნდა ყოფილიყო ან ერთდროულად, ან კონცესიის ვადის გასვლამდე ყოველწლიურად 88 ათასი მან. გაღებით[2].

ბელგიელთა აქციონერულ საზოგადოებას არ სურდა კონკა საქალაქო თვითმმართველობისათვის მიეყიდა, თბილისში მოპოვებული თავისი პოზიციები დაეთმო. საზოგადოებამ საქალაქო გამგეობას ახალი წინადადება შესთავაზა. იგი ვალდებულებას კისრულობდა კონკა ელექტრულ ტრამვაიდ გადაეკეთებია, მაგრამ მოითხოვდა გარკვეულ გარანტიებს.

ბელგიელთა ამ წინადადების განხილვისას საქალაქო სათათბიროში ცხარე კამათი გაიმართა. ხმოსანთა ერთი ნაწილი აღნიშნავდა, რომ თვითმმართველობას არ აქვს ფინანსური და ტექნიკუ-

---

[1] «Известия...», 1896, доклады, стр. 59—66.
[2] Там же.

რი საშუალებანი კონკის ,გამოსყიდვის, ელექტრულ წევაზე მისი გადაყვანისა და ექსპლუატაციისათვის და ამიტომ კონცესიის შემოთავაზებული პირობები უნდა მივიღოთო. ხმოსანთა მეორე ნაწილს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა ქალაქის ბელგიელ კაპიტალისტებისაგან განთავისუფლება. საქალაქო თვითმმართველობა ფინანსურ სახსრებსაც გამონახავს და ადგილობრივ ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალსაც, რომელსაც ტრამვაის მოწყობა და ექსპლუატაცია არ გაუჭირდებაო [1].

საკითხის განხილვაში თბილისელი პუბლიცისტებიც მონაწილეობდნენ. მათი უმრავლესობა კონკის გამოსყიდვას უჭერდა მხარს. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია წერდა, რომ თბილისის ყოველი მცხოვრები მიესალმება კონკის გამოსყიდვას, რადგან ამით თვითმმართველობა გაადიდებს თავის შემოსავალს და ნაკლებად დაბეგრავს მოქალაქეებს გადასახადებით, რამაც ამ ბოლო დროს მაქსიმუმს მიაღწიაო. წერილის ავტორი იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქალაქო თვითმმართველობა მეტს იზრუნებს მოსახლეობის წესიერი მომსახურებისათვის, ვიდრე ბელგიელთა საზოგადოება, რომელსაც მხოლოდ თავის ჯიბის გასქელება აინტერესებსო [2].

თბილისის პრესის აგიტაციას უკვალოდ არ ჩაუვლია. მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად. 1898 წელს საქალაქო სათათბირომ მაინც აღძრა სათანადო შუამდგომლობა, მთავრობას კონკის გამოსყიდვის უფლება გამოსთხოვა. მაგრამ ამიერკავკასიის მთავარმმართველმა გოლიცინმა საქალაქო თვითმმართველობას კონკის გამოსყიდვის ნებართვა არ მისცა.

ამის შემდეგ განახლდა მოლაპარაკება კონცესიის თაობაზე. 1900 წლის 14 მარტს თბილისის თვითმმართველობამ და ბელგიელთა საზოგადოებამ გააფორმეს ახალი საკონცესიო ხელშეკრულება. ბელგიელთა საზოგადოებამ ვალდებულება იკისრა თავის ხარჯით მოეწყო თბილისის ტრამვაი. კონცესიის ვადად დაწესდა 32 წელი. ამ ხნის განმავლობაში თბილისის თვითმმართველობას

---

[1] «Известия...», 1896, стр. 243—252.
[2] «Новое обозрение», 1898, № 5065.

მიეცემოდა ტრამვაის შემოსავლის გარკვეული ნაწილი.* ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 წლის შემდეგ საქალაქო თვითმმართველობა იღებდა ტრამვაის კონტროლის უფლებას, 15 წლის შემდეგ კი — გამოსყიდვის უფლებასაც. თუ საქალაქო თვითმმართველობა არ ისარგებლებდა გამოსყიდვის უფლებით, კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ მას უფასოდ გადაეცემოდა ბელგიელთა აქციონერული საზოგადოების ტრამვაი მთელი თავისი მოწყობილობით [1].

1900 წელს ბელგიელ კაპიტალისტთა საზოგადოებამ თბილისის კონკის ელექტრულ ტრამვაიდ გადაკეთების საჭიროებისათვის ბრიუსელში დამატებით გამოუშვა 5 მლნ ფრანკის 100 ათასი აქცია. 1901—1904 წლებში ძირითადად დამთავრდა ახალი ლიანდაგების დაგება, თბოელსადგურის მშენებლობა და ყველა მთავარ ხაზებზე ვაგონები ელექტრულ წევაზე იქნა გადაყვანილი [2]. იმავე ხანებში ბელგიელთა საზოგადოებამ ყორღანოვისა და ალიბეგოვისაგან შეისყიდა კონკის ხაზი ავჭალის ქუჩაზე, რის შემდეგ ბელგიელი კაპიტალისტები თბილისის ტრამვაის მონოპოლიურ მესაკუთრეებად გადაიქცნენ.

ტრამვაის მოწყობა-ექსპლუატაცია ადგილობრივ მეწარმეთა ერთ ნაწილს მომგებიან საქმედ მიაჩნდა. ისინი უკმაყოფილებას აცხადებდნენ ბელგიელთა მონოპოლიური უფლებების გამო და კონცესიებს მოითხოვდნენ. 1903 წელს, მაგალითად, ინჟ. ბასტამოვმა საქალაქო თვითმმართველობას ავლაბარსა და ნაძალადევში ტრამვაის ხაზების გაყვანის ნებართვა სთხოვა და სათანადო საკონცესიო ხელშეკრულების პროექტიც დასამტკიცებლად წარუდგინა. მაგრამ ბელგიელთა კომპანია არ აპირებდა თავის მონოპოლიური უფლების დათმობას. მალე მან თვით აიღო კონცესია [3] და ნაძალადევში ტრამვაის ხაზის მშენებლობა 1911 წელს დაამთავრა.

პირველი მსოფლიო ომის წინ თბილისის ტრამვაის ხაზების სიგრძე 33 კმ უდრიდა. ტრამვაის ვაგონები მოძრაობდა გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტებზე, სოლოლაკში, ვერაზე, რიყეში,

---

[1] А. Аргутинский. К выкупу Тифлисского трамвая, 1915, стр. 1—4.

[2] «Известия...», 1904, стр. 471.

[3] «Известия...», 1909, № 9, отд. I, стр. 48—50.

ავლაბარში, ნავთლუღში, ორთაჭალაში, დიდუბეში და ნაძალადევში. 1909 წელს ტრამვაის პარკში ითვლებოდა 109 ვაგონი, 1913 წელს — 124, 1914 წელს — 134 [1]. ტრამვაის საჭიროებისათვის მოეწყო დეპო (შემკეთებელი სახელოსნო). მაგრამ როგორც დეპო, ისე ვაგონების პარკი ტექნიკური აღჭურვილობით დროის მოთხოვნილებას ჩამორჩებოდა [2].

ტრამვაის მოძრავი შემადგენლობის რიცხვის გადიდების პარალელურად იზრდებოდა გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა. 1911 წელს გადაყვანილ იქნა 22,2 მლნ, 1912 წელს — 26 მლნ, 1913 წელს — 29 მლნ მგზავრი [3].

თბილისის ტრამვაის მთელი შემოსავალი და სუფთა მოგება თანდათან იზრდებოდა. საილუსტრაციოდ მიემართოთ ციფრებს [4].

წ ლ ე ბ ი	მთელი შემოსავალ (მანეთებში)	საექსპლუატაციო ხარჯები	სუფთა შემოსავალ	მოგების ნორმა % -ში
1905	605 183	335 467	269 716	44.57
1907	795 013	673 784	116 228	14,62
1910	1 032 686	686 312	346 373	33,55
1912	1 272 760	782 951	489 808	38,48

ტრამვაის საექსპლუატაციო ხარჯებში შედიოდა და ბელგიელ კაპიტალისტთა მოგებას რამდენადმე ამცირებდა საკონცესიო გადასახადი საქალაქო თვითმმართველობის სასარგებლოდ. ტრამვაის შემოსავლიდან თვითმმართველობის სალაროში შევიდა: 1910 წელს — 54 733 მან., 1912 წელს — 70 213 მან., 1914 წელს — 80 037 მან.

ჯერ კიდევ თბილისის კონკის ელექტრულ ტრამვაით რეკონსტრუქციამდე. 1900 წელს დაისვა მთაწმინდაზე ფუნიკულიორის მოწყობის საკითხი. ბელგიელმა ინჟ. რობიმ ქალაქს შესთავაზა ამ საქმეზე საკონცესიო ხელშეკრულების გაფორმება. წინადადების განხილვის შემდეგ საქალაქო სათათბირომ დაადგინა: 1) ფუნიკულიორის მოწყობა სასურველად ჩაითვალოს, 2) ფუნიკულიორის

[1] А. Аргутинский. К выкупку Тифлисского трамвая. 1915, стр. 44—56.
[2] Там же, стр. 36—43.
[3] Там же, стр. 1—11.
[4] А. Аргутинский. Выкуп Тифлисского трамвая, 1913, стр. 10—11.

მოწყობის კონცესია მიეცეს ინჟ. რობის, 3) მასვე ნება დაერთოს ამ საქმის შესასრულებლად ჩამოაყალიბოს აქციონერული საზოგადოება, 4) გამოიყოს სპეციალური კომისია და მას მიენდოს საკონცესიო ხელშეკრულების შედგენა [1].

1900 წლის 17 აპრილს გაფორმდა საკონცესიო ხელშეკრულება. ფუნიკულიორის მოწყობასთან ერთად რობიმ იკისრა ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან კოჯრამდე რკინიგზის გაყვანის ვალდებულებაც. კონცესიის ვადად 45 წელი დაწესდა. ამ ხნის განმავლობაში საქალაქო თვითმმართველობა მიიღებდა ფუნიკულიორის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, ხოლო კონცესიის ვადის გასვლის შემდეგ ამ ნაგებობას უფასოდ დაეუფლებოდა [2].

ფუნიკულიორის მოწყობა 1904 წელს დამთავრდა. ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან კოჯრამდე რკინიგზის გაყვანის ვალდებულება კი ინჟ. რობიმ ვერ შეასრულა.

ბელგიელ კაპიტალისტთა აქციონერული საზოგადოების ერთადერთი მიზანი მოგების მიღება იყო. იგი მინიმუმამდე კვეცავდა საექსპლუატაციო ხარჯებს, ეკონომიას აკეთებდა ტრამვაის ხაზებისა და ვაგონების ხარისხიანობაზე ნაკლები ზრუნვით, აგრეთვე მუშათა ხელფასის შემცირებით. 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ბელგიელ კაპიტალისტთა გამდიდრებისაკენ მისწრაფებას ფრთები ჰქონდა შეკვეცილი. ისინი იძულებული იყვნენ დაეთმოთ და რევოლუციური მუშებისათვის (ვატმან-კონდუქტორები, დეპოს მუშები) ხელფასი მოემატებინათ. რეაქციის წლებში მათ უკან წაიღეს დათმობები. რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის ხანაში კვლავ გაძლიერდა ტრამვაის მუშების საგაფიცვო ბრძოლა. 1913 წლის სექტემბერში მოხდა ტრამვაის მუშების საყოველთაო გაფიცვა. ისინი მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, უკეთესი ხარისხის ფორმის ტანსაცმელს და სხვ. ტრამვაის ადმინისტრაციისა და გაფიცულთა შორის არბიტრის როლში საქალაქო თვითმმართველობა გამოვიდა. შეთანხმების მიღწევა მხარეების ურთიერთდათმობის გზით გახდა შესაძლებელი [3].

მოგებას გამოდევნებული ბელგიელი კაპიტალისტების თვით-

---

[1] «Известия...», 1900, стр. 22—25.
[2] სსცია, ფ. 29, ს. 320, ფურც. 11—14.
[3] «Известия...», 1913, № 10—11, стр. 128—130.

ნებობა თბილისის მოსახლეობის ფართო ფენების უკმაყოფილებას იწვევდა, რაც ასახვას სოციალ-დემოკრატიული პრესის ფურცლებზე პოულობდა. „ბელგიის უსახელო საზოგადოებამ, — წერდა გაზ. „საქმეს“ პუბლიცისტი, — აბუჩად აიგდო ქალაქის ინტერესები; ის ყოველ დღე არღვევს ქალაქთან დადებულ ხელშეკრულებას, მან ვერის კატასტროფა გამოიწვია, ადმინისტრაციის დახმარებით მუშები დაიმორჩილა, მათ ბრძოლით მოპოვებული უფლებები აართვა. აქედან დასკვნა ერთია — ხალხის ინტერესია უსახელო საზოგადოების ჩამოშორება და ტრამვაის ქალაქის ხელში გადასვლა, ანუ ტრამვაის მუნიციპალიზაცია“. მაგრამ წერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ შემთანხმებლური პოლიტიკის გამტარებელ ქალაქის გამგეობას და ქალაქის თავ-ხატისოვს ტრამვაის მუნიციპალიზაციის უნარი არ შესწევთო. ხალხის ინტერესები, —. განაგრძობს ავტორი, — ემუქრება ბელგიელ კაპიტალისტთა ინტერესებს. ხატისოვი და მისი გამგეობა კი ორივეს ექომაგება — ასეთია მისი სახელმძღვანელო პროგრამა ... ქალაქის ინტერესი ახალი მუდმივი ფინანსიური წყაროს აღმოჩენაა. ამ მხრივ ტრამვაის მუნიციპალიზაცია საუკეთესო საშუალებაა ... მაგრამ ეს ხომ საფრთხეში ჩააგდებდა ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების საქმეს. ბელგიელთა გადაკიდება ააშფოთებდა უცხო ფინანსურ და სამრეწველო ბურჟუაზიას და თბილისს ბოიკოტით უპასუხებდნენ“. ასეთ პირობებში, დაასკვნის წერილის ავტორი, თბილისის ბურჟუაზიული თვითმმართველობა ვერ ამაღლდება ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესების დონემდე, ის ბელგიელებთან მორიგებას ამჯობინებს. გამოსავალი ერთია — სათათბიროს მემარცხენე ფრთამ და ქალაქის ფართო საზოგადოებამ კატეგორიულად უნდა მოითხოვოსო ტრამვაის მუნიციპალიზაცია [1].

მუნიციპალური მოღვაწეები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ პრესის ფურცლებზე გამოთქმული საზოგადოებრივი აზრისათვის და ტრამვაის გამოსყიდვის საკითხი დღის წესრიგში შეეტანათ. ჯერ კიდევ 1912 წელს თბილისის საქალაქო გამგეობამ ა. არღუთინსკის დაავალა ბელგიელთა აქციონერული საზოგადოების ანგარიშების შესწავლა და ტრამვაის გამოსასყიდი ფასის დადგენა.

---

[1] გაზ. „საქმე“, 1910, № 30.

ა. არღუთინსკიმ გამოიკვლია, რომ 1913 წლისათვის ტრამვაისა და მისი დამხმარე საწარმოების ღირებულება 3 505 134 მან. უდრიდა, ხოლო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში (1909—1913 წწ.) ბელგიელთა საზოგადოებისაგან მიღებული საშუალო წლიური მოგება 185 708 მან. შეადგენდა. მოგების ნორმის 5 პროცენტის საფუძველზე კაპიტალიზაცია იძლეოდა ტრამვაის გამოსასყიდ ფასს — 2 069 893 მან. გამოკვლევის ავტორს ტრამვაის მუნიციპალიზაცია ხელსაყრელად მიაჩნდა. მისი აზრით, ტრამვაის თანდათან მზარდი შემოსავალი მალე დაფარავდა გამოსასყიდ ფასს, შემდეგ კი საქალაქო თვითმმართველობას დიდი რაოდენობით სუფთა შემოსავალს მისცემდა [1].

ბელგიელ კაპიტალისტთა კომპანიამ ეს გაანგარიშებანი ტენდენციურად (შემცირებულად) გამოაცხადა და არ აპირებდა მისთვის ანგარიშის გაწევას. თავის მხრივ, თბილისის საქალაქო გამგეობამ გაანგარიშებათა საბოლოო ვარიანტის მიხედვით ბელგიელთა ტრამვაის საშუალო წლიურ მოგებად 74 380 მან. მიიჩნია, იგი მიიღო გამოსასყიდი ფასის განსაზღვრის საფუძვლად.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, როცა გერმანიამ მოახდინა ბელგიის ოკუპაცია, თბილისის ტრამვაის მუნიციპალიზაციის მომხრენი უფრო აქტიურად ამოქმედდნენ. 1915 წლის 2 მარტს საქალაქო სათათბირომ დაადგინა: 1915 წლის 15 მარტიდან ბელგიელთა ტრამვაი გადავიდეს თბილისის თვითმმართველობის განკარგულებაში. კონცესიის ვადის გასვლამდე ყოველწლიური გამოსასყიდი განისაზღვროს 77 380 მან-ით [2].

ბელგიელთა საზოგადოების რწმუნებულმა ვან-რუამ უარი თქვა ქალაქისათვის ტრამვაის გადაცემაზე. თბილისის თვითმმართველობამ საქმე სასამართლოში გადაიტანა. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებით, ტრამვაი ჩამოერთვა ბელგიელთა ანონიმურ საზოგადოებას და საექსპლუატაციოდ გადაეცა თბილისის თვითმმართველობას [3]. მაგრამ ომით გამოწვეული სიძნელეებისა და სხვა მიზეზების გამო საქალაქო გამგეობამ ტრამვაის (მისი ხაზების სიგრძე 53 კმ უდრიდა) მუშაობა არსებითად ვერ გააუმჯობესა.

---

[1] А. Аргутинский. К выкупу Тифлисского трамвая, 1915, стр. 22—27.

[2] «Известия...», 1915, № 3—4, стр. 76—79.

[3] Там же, стр. 120—122.

* *

თბილისის ქუჩა-მოედნების განათება საქალაქო თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვალეობას შეადგენდა.

1875 წელს ახლად ჩამოყალიბებულმა საქალაქო თვითმმართველობამ მემკვიდრეობით მიიღო 887 ნავთის ფარანი. მომდევნო წლებში ფარნების რიცხვი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ განათების გაუმჯობესებული სისტემების დანერგვა ძნელდებოდა. მოიჯარეები მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ განათების გაუარესების ხარჯზე ეკონომია გაეწიათ და დარჩენილი თანხა მიეთვისებინათ.

ქალაქის განათების გაუმჯობესების საკითხმა სათათბიროს მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა 1898 წელს. უარყოფილ იქნა განათების საიჯარო მეთოდი, მოხდა განათების საქმის მუნიციპალიზაცია. განათების წლიურ ხარჯად განისაზღვრა 31 ათასი მან. შტატში ჩაირიცხა ერთი აგენტი, ერთი აღმრიცხველი, ოთხი მუდმივი მუშა, 65 მუდმივი და 4 სარეზერვო მეფარნე. 1901 წლისათვის ქალაქის ქუჩებში იდგა 3189 ფარანი [1].

XX ს. პირველ ათწლეულში საქალაქო თვითმმართველობა ზრუნავდა გაუმჯობესებული სისტემის ნავთის ფარნების შეძენისათვის. 1904 წელს შეისყიდეს 147 ცალი ნავთვარვარა ფარანი „გალკინის“ და „ვაშინგტონის“ სისტემისა, რომლებიც დადგეს ტრამვაის ხაზების გაყოლებით. ძველი ფარნები განაპირა ქუჩებში გადაიტანეს.

თბილისის თვითმმართველობის მესვეურები კარგად გრძნობდნენ ქალაქის ქუჩების ნავთის ფარნებით განათების დრომოჭმულობას და საჭიროდ მიიჩნევდნენ განათების გაუმჯობესებული სახეების დანერგვას.

ჯერ კიდევ საქალაქო რეფორმამდე, 1867 წელს, დაისვა თბილისის ქუჩების გაზით განათების საკითხი. კაპიტალისტების ამ საქმით დაინტერესების მიზნით ქალაქის განმკარგულებელმა სამმართველომ გაზეთებში გამოაქვეყნა სათანადო განცხადება, სადაც, სხვათა შორის, ისიც იყო ნათქვამი, რომ ქალაქის კუთვნილი ნავთის ჭები იმ პირს გადაეცემოდა საექსპლუატაციოდ, რომელიც ქალაქის გაზით განათებას იკისრებდა. მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ საქმის გადაწყვეტა დიდხანს გაჭიანურდა. 1873

[1] Н. Е. Аргутинский. Освещение улиц г. Тифлиса, стр. 10—11.

წელს ქალაქის თავმა იაზონ თუმანიშვილმა თითქმის უცვლელად დაამტკიცა ვინმე რუკოს მიერ წარდგენილი კონცესიის პროექტი. მაგრამ მალე „დროების“ რედაქციამ გამოარკვია, რომ ლონდონში არ არსებობდა ისეთი აქციონერული საზოგადოება, რომლის წარმომადგენლადაც რუკო თავს ასაღებდა. ბუნებრივია, ამ ავანტიურისტთან დადებული ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა [1].

„დროების“ კორესპონდენტის ცნობით, 1878 წლის 2 მაისს სოლოლაკის ზოგიერთ ქუჩაზე მოეწყო გაზით საცდელი განათება. წერილში იმედი იყო გამოთქმული, რომ საქალაქო თვითმმართველობა დარწმუნდებოდა ამგვარი განათების უპირატესობაში და საქმეს უფრო ენერგიულად მოკიდებდა ხელს [2], მაგრამ რწმენა როდი კმარობდა. ამ საქმის მოგვარებას დიდი თანხა და გამოცდილი სპეციალისტები სჭირდებოდა. თბილისის თვითმმართველობას კი არც ერთი გააჩნდა და არც მეორე.

თეორიული ვარაუდების წამოყენება-განხილვაში გავიდა დიდი დრო. 1895 წელს თბილისის სათათბირომ გამოყო ორი კომისია. ერთს უნდა წარმოედგინა მასალა და მოსაზრებანი ქალაქის გაზით განათების, ხოლო მეორეს ამ საქმეში ელექტროენერგიის გამოყენების შესახებ. 1898 წელს საქალაქო გამგეობამ გადაწყვიტა თბილისში ერთდროულად აეგო გაზის ქარხანა და ელსადგური, ქალაქის გასანათებლად გამოუყენებიათ გაზიც და ელექტროენერგიაც. მართალია, გამგეობა აღიარებდა ელექტროენერგიის უპირატესობას, მაგრამ ითვალისწინებდა თბილისის პირობებში გაზის მიღების სიადვილეს (საამისოდ ვარაუდობდნენ ნავთლუღის ნავთის საბადოს გამოყენებას) და დაუშვებლად მიაჩნდა ამ იაფი სათბობის უგულებელყოფა [3].

დიდი ხნის განმავლობაში საქმე ამ დადგენილება-მოსაზრებებს იქით აღარ წასულა. მხოლოდ 1910 წლის ნოემბერში გაფორმდა ხელშეკრულება საქალაქო გამგეობასა და ნ. ა. ჩოლოყაშვილს შორის, ამ უკანასკნელის მიერ თბილისში გაზის ქარხნის აგებისა და განათების ქსელის მოწყობის თაობაზე. ნავთლუღში აგებულ ამ ქარხანას დღიურად უნდა გამოეშვა 15—30 ათასი კუბმეტრი გაზი

---

[1] „დროება“, 1873, № 42, 43.
[2] იქვე, 1878, № 86.
[3] სსცია, ფ. 29, ს. 290, ფურც. 79—105.

და გაენათებია 2 ათასი ლამპიონი. ხელშეკრულების თანახმად, კონცესიონერს ყოველ ათას კუბმეტრ გაზში უნდა მიეღო 3 მან. 30 წლის შემდეგ კი ყველა ნაგებობა-მოწყობილობა უფასოდ უნდა გადაეცა საქალაქო თვითმმართველობისათვის [1].

ნ. ჩოლოყაშვილმა შეადგინა გაზის ქარხნის ტექნიკური პროექტი, მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო მალე ამ საქმეზე ხელი აიღო. თბილისის გაზით განათება-გათბობის პრობლემა გადაუჭრელი დარჩა.

გარკვეულ წარმატებას მიაღწია თბილისის თვითმმართველობამ ქალაქის ელექტროენერგიით განათების საქმეში. ქალაქის გასანათებლად ელექტროენერგიის გამოყენების საკითხი თავდაპირველად ნ. ნიკოლაძემ დასვა. სათათბიროს 1885 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მან განაცხადა, რომ მტკვარზე ელსადგურის მშენებლობას საქალაქო გამგეობამ თვით უნდა მოკიდოს ხელი და ეს პერსპექტიული საქმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადასცესო კაპიტალისტებს. ამ წინადადებას დიდი ხნის განმავლობაში პრაქტიკული ნაბიჯი არ მოჰყოლია [2].

1900 წლის ივნისში თბილისის საქალაქო გამგეობამ ხელშეკრულება დადო აქციონერულ საზოგადოება „ჰელიოსთან" თბილისში ელექტროსადგურის აგებისა და ელექტროგაყვანილობის ქსელის მოწყობის თაობაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ხელშეკრულება განუხორციელებელი დარჩა [3].

თბილისში პირველი თბოელექტროსადგური 1902 წელს ააშენა კერძო პირმა და არა საზოგადოებრივმა თვითმმართველობამ. კაპიტალისტის მიზანს ელექტროენერგიის კერძო აბონენტებზე გაყიდვა და მოგების მიღება შეადგენდა. პირველ მაგალითს მრავალი მიმბაძველი აღმოუჩნდა. 1912 წელს თბილისში უკვე 22 თბოელექტროსადგური არსებობდა, რომელთა სიმძლავრე 1890 ცხენის ძალას უდრიდა.

თბოელექტროსადგურთა მფლობელები, როცა საქალაქო გამგეობისაგან ელექტროქსელის გაყვანის ნებართვას იღებდნენ, ვალდებულებას კისრულობდნენ უფასოდ დაედგათ ამა თუ იმ ქუჩაში გარკვეული რაოდენობის ელნათურები. 1911 წლის ბოლოსათვის თბილისის ქუჩებში 54 ელნათურა ითვლებოდა.

---

[1] «Известия...», 1910, № 11, отд. I, стр. 129—144.

[2] სსცია, ფ. 29, ს. 290, ფურც. 79—81.

[3] Н. Е. Аргутинский. Освещение улиц г. Тифлиса, стр. 15—22.

მალე ამის შემდეგ საქალაქო გამგეობამ გადაწყვიტა ნავთით განათება შეეკვირებინა და დაზოგილი თანხის საფუძველზე ხელშეკრულებები დაედო კერძო ელსადგურებთან ქალაქის ქუჩების განათების შესახებ. ამ წამოწყებას სასურველი ნაყოფი მოჰყვა. ელექტროსადგურების მფლობელთა შორის კონკურენციაც კი გაჩაღდა, რითაც კარგად ისარგებლა საქალაქო თვითმმართველობამ. 1911 წლის ბოლოსათვის თბილისის ქუჩებში უკვე იდგა 818 ცალი ელექტრონათურა. ნავთის ფარნების ნაწილი განაპირა ქუჩებში გადაიტანეს, უმრავლესობა კი სიძველეთა მუზეუმს ჩააბარეს [1].

თბოელექტროსადგური თბილისის პირობებში მომგებიან საწარმოდ იქცა. კერძო პირები და აქციონერული საზოგადოებანი თავგამოდებით იბრძოდნენ თბილისის თვითმმართველობისაგან ქალაქის განათების კონცესიის მიღებისათვის. მაგრამ მუნიციპალიტეტმა უარი თქვა განათების საიჯარო-კონცესიურ მეთოდზე. მან საკუთარი თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო და 1914 წელს წარმატებითაც დაამთავრა. (დაჯდა 650 ათასი მან.). 1915 წელს საქალაქო თვითმმართველობის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე 900 ცხენის ძალას უდრიდა. იგი ენერგიას აწვდიდა ქუჩის 300-მდე ელექტრონათურას და 750-მდე კერძო აბონენტს [2].

საქალაქო თვითმმართველობამ ვერ მოახერხა განათების საქმის მონოპოლიურად დაუფლება. ქუჩებისა და სახლების მნიშვნელოვან ნაწილს კერძო თბოელექტროსადგურები აწვდიდნენ ენერგიას. თვითმმართველობა ცდილობდა ნავთის ფარნები საბოლოოდ განედევნა და ქალაქის ყველა ქუჩა ელექტრულ განათებაზე გადაეყვანა, მაგრამ ეს ამოცანაც განუხორციელებელი დარჩა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაბარდა დავიწყების არქივს ნავთის ფარნები, დამთავრდა თბილისის ელექტრიფიკაცია.

* *

თბილისის თვითმმართველობა ფარკვეულ დროსა და თანხას ახმარდა ქალაქის წყლით მომარაგების საქმეს.

---

[1] Аргутинский. Освещение улиц г. Тифлиса, стр. 15—23.
[2] «Известия...», 1915, № 7, стр. 26—34.

XIX ს. 80-იან წლებამდე მოსახლეობა ძირითადად მტკვრის წყალს ხმარობდა და იყენებდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ მცირედებატიან წყაროებსაც. მტკვრიდან წყალი ამოჰქონდათ კასრებითა და თულუხებით (გუდებით). თულუხჩები ერთ ვედრო წყალს 1—3 კაპიკად ყიდდნენ. წყლის სიძვირე მოსახლეობას აიძულებდა მისი მოხმარება მინიმუმამდე შეეკვეცა.

XIX ს. 60-იანი წლებიდან წყლით მომარაგების ძველი წესი არც რაოდენობრივად და არც ხარისხობრივად თბილისის მოსახლეობას აღარ აკმაყოფილებდა.

ჯერ კიდევ 1861 წელს ყორღანოვმა მტკვარზე დადგა წყლის ამოსაქაჩი ორთქლის მანქანები და მოაწყო წყალსადენი ქსელი, რომლის სიგრძე 5,5 კმ უდრიდა. მილები გადიოდა გოლოვინის, გრიბოედოვისა და მათ მომიჯნავე ქუჩებზე. პირველ ხანებში ყორღანოვი წყლით ამარაგებდა მხოლოდ სახაზინო შენობებს, მაგრამ მალე მის წყალსადენს კერძო აბონენტებიც გაუჩნდნენ ქალაქის ბურჟუაზიისა და მოხელეების წრიდან.

ყორღანოვის წყალსადენი წლიურად იძლეოდა 16 მლნ ვედრო წყალს, რაც ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს აკმაყოფილებდა. თბილისის 50 ათასი მცხოვრები თულუხჩებისაგან ნაყიდი წყლით სარგებლობდა. 1876 წლისათვის თბილისში 300 თულუხჩი ითვლებოდა. 1886 წელს კი თულუხჩობას ეწეოდა 104 კაცი. 21 კაცი წყალს კასრებით ეზიდებოდა [1].

თბილისის თვითმმართველობამ ქალაქის წყლით მომარაგების პრობლემის გადაწყვეტა თავიდანვე გადაუდებელ საქმედ მიიჩნია. სათათბირომ გამოყო სპეციალური კომისია (თავმჯდომარე კ. მამაცაშვილი), რომელმაც შეისწავლა ეს საკითხი. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია წყალსადენის საზოგადოებრივ საწარმოს საწყისზე გამართვა, მაგრამ რაკი საქალაქო თვითმმართველობა ფინანსური სახსრებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების ნაკლებობას უჩიოდა, წამოაყენა კომპრომისული წინადადება — მოეწვიათ ისეთი მშენებელი კომპანია, რომელიც თავისი ხარჯითა და სპეციალისტებით გააკეთებდა ამ საქმეს. საქალაქო თვითმმართველობას კი რამდენიმე ხნის განმავლობაში უნდა გადაეხადა ამ კომპანიისათვის დახარჯული კაპიტალი და თავის უშუალო გამგებლობაში აეღო წყალსადენი [2].

---

[1] «Известия...», 1876, стр. 111—125; სსცა, ფ. 192, ს. 191, ფურც. 1—4.
[2] «Известия...», 1876, стр. 111—125.

მას შემდეგ რაც მშენებელ კომპანიებთან დადებული ორი ხელშეკრულება ჩაიშალა, საქალაქო თვითმმართველობამ გადაწყვიტა წყალსადენი საკუთარი ხარჯითა და ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალით გამოეყვანა. აღებულ იქნა სესხი, წყალსადენის სათავის გამონახვა მიენდო ქალაქის არქიტექტორ ოზეროვს. მან შეისწავლა ავჭალის წყაროები, დაადგინა მათი დებიტი და შემადგენლობა. შესაძლებელი გახდა წყაროებისათვის გაფილტრული მტკვრის წყლის მომატებაც. ავჭალის წყალსადენის პროექტი ინჟ. მასალემ შეადგინა.

წყალსადენის მოწყობის სამუშაოთა ხელმძღვანელებად დაინიშნენ ქალაქის ინჟინრები — კონრადი და ოზეროვი. მშენებლობა დაიწყო 1885 წლის მაისში და დამთავრდა 1887 წლის სექტემბერში. ავჭალიდან წყალსადენის გამოყვანა და შიგასაქალაქო მოწყობა პროექტით ნავარაუდევი 667 ათასი მან. ნაცვლად 731 572 მან. დაჯდა. თბილისის მოსახლეობამ საკმაოდ კარგი ხარისხის წყალი მიიღო [1].

პირველ ხანებში ავჭალის წყალსადენი მოგებას არ იძლეოდა. 1888 წელს მისმა შემოსავალმა შეადგინა 60 ათასი მან., რაც მარტო საექსპლუატაციო ხარჯებსაც ვერ ანაზღაურებდა, რომ არაფერი ვთქვათ სესხისა და მისი პროცენტის დაფარვაზე. ასეთ ვითარებაში, ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ხმოსანთა ერთ ნაწილს მიზანშეწონილად მიეჩნდა წყალსადენის საექსპლუატაციოდ უცხოელთა კომპანიისათვის გადაცემა. თბილისის საზოგადოებამ თითქმის ერთსულოვნად გაილაშქრა ამ აზრის წინააღმდეგ. უცხოელი კაპიტალისტები, წერდა ამასთან დაკავშირებით „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია, ქველმოქმედებას არასდროს არ ეწევიან. თბილისის წყალსადენი რომ მომგებიანი საწარმო არ იყოს, ბელგიელი კაპიტალისტები მისი იჯარით აღების სურვილს არ განაცხადებდნენ. ვიმედოვნებთ, რომ საქალაქო თვითმმართველობა უარს იტყვის წყალსადენის იჯარით გაცემაზე, დასძლევს დაბრკოლებებს და მომავლისათვის ხელს არ შეიკრავსო [2].

საქალაქო თვითმმართველობამ მართლაც უარყო წყალსადენის იჯარით გაცემის წინადადება და მოკლე ხანში გამოასწორა მისი

---

[1] А. Аргутинский. Водоснабжение гор. Тифлиса, 1912, стр. 34—84.
[2] «Новое обозрение», 1887, № 1375.

დეფექტები. XIX ს. 90-იან წლებში წყალსადენი მომგებიან საწარმოდ გადაიქცა.

მალე გამომჟღავნდა ავჭალის წყაროების დებეტის არასაკმარისობა. აუცილებელი გახდა წყალსადენში გაფილტრული მტკვრის წყლის გაშვება. მაგრამ სავალალო ისიც იყო, რომ არასაკმარისი აღმოჩნდა წყალსადენის მილების გამტარუნარიანობა. 1905—1906 წლებში ავჭალიდან თბილისისაკენ გამოყვანილ იქნა წყალსადენის მეორე მაგისტრალური ხაზი. ავჭალაში მოეწყო ფილტრები, დაიდგა დამატებითი ორთქლის ძრავები, თვით ქალაქში გაფართოვდა წყალსადენის ქსელი. ყოველივე ამის შედეგად ავჭალის წყალსადენის დებიტი თანდათან იზრდებოდა. 1886 წელს თბილისის მოსახლეობა ერთ დღე-ღამეში იღებდა 132 ათას ვედრო წყალს, 1911 წლისათვის წყლის სადღეღამისო მიწოდება 931 ათას ვედრომდე გაიზარდა.

1885—1909 წლებში წყალსადენის აგება-გაფართოებაზე დაიხარჯა 4 054 587 მან. ამავე პერიოდში წყალსადენის მთელმა შემოსავალმა შეადგინა 5 575 174 მან. სუფთა შემოსავლის სახით დარჩა 1 520 586 მან. [1].

ამგვარად, ავჭალის წყალსადენი ფრიად მომგებიანი საწარმო აღმოჩნდა. მალე მან დაფარა მოწყობის ხარჯები, ფარავდა ყოველწლიურ საექსპლუატაციო ხარჯებს და თბილისის თვითმმართველობას მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა ქალაქის სხვა საჭიროებათა დაფინანსებისათვის.

გაფართოების მიუხედავად ავჭალის წყალსადენი არასაკმარისი იყო სწრაფად მზარდი ქალაქისათვის. ამიტომ თბილისის თვითმმართველობის მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ახალი მძლავრი წყალსადენის მოწყობის საკითხს. ამ მიზნით სწარმოებდა ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროების შესწავლა. მაგრამ ბოლოს თვითმმართველობის მესვეურთა ყურადღება გადატანილ იქნა წალკის წყაროებზე.

წალკიდან წყალსადენის გამოყვანის აზრი ჯერ კიდევ 1895 წელს გამოთქვა ინჟ. ლინდლეიმ. თბილისის საქალაქო გამგეობის დავალებით 1904 წელს წალკის წყალსადენის პროექტი შეადგინა ინჟ. მეტცმა. პროექტის მიხედვით წყალსადენის სიგრძე განსა-

---

[1] А. Аргутинский. Водоснабжение гор. Тифлиса, стр. 149—177.

ზღვრული იყო 85 კმ-ით, საიდანაც 42 კმ-ზე გაითხრებოდა არხი, 9 კმ-ზე გვირაბები, 33 კმ-ზე ჩაიწყობოდა ლითონის მილები. პროექტი ითვალისწინებდა წყალსადენის ტრასაზე 12 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის რამდენიმე ელსადგურის მშენებლობას. ნავარაუდევი იყო აგრეთვე წყალსაცავის მოწყობა, რაც ესოდენ საჭირო იყო თბილისის საგარეუბნო მიწების მოსარწყავად.

წალკის წყალსადენის პროექტი სამ ვარიანტად იყო შედგენილი. პირველის განხორციელება ჯდებოდა 11 197 000 მან. მეორე ვარიანტისა — 6 144 000 მან., მესამე ვარიანტის — 4 951 000 მან. არჩევანი დამოკიდებული იყო საქალაქო თვითმმართველობის ფინანსურ მდგომარეობაზე [1].

მუნიციპალურ მოღვაწეთა უმრავლესობას წალკის წყალსადენის მოწყობის იდეა ახლო ხანისათვის განუხორციელებელ ოცნებად მიაჩნდა. მხოლოდ რამდენიმე ოპტიმისტი ფიქრობდა სხვაგვარად. საქალაქო სათათბიროს 1906 წლის ერთ-ერთ სხდომაზე ქალაქის მდივანმა სტ. ჭრელაშვილმა წამოაყენა მეტეცის პროექტის პირველი ვარიანტის განხორციელების წინადადება. მაგრამ წალკის გრანდიოზული წყალსადენის მოწყობის ძალა თბილისის ბურჟუაზიულ თვითმმართველობას არ აღმოაჩნდა.

მოსახლეობისა და სამრეწველო საწარმოების სწრაფი ზრდის პირობებში გადაუდებელ საჭიროებად იქცეოდა ქალაქში საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. მაგრამ თბილისის თვითმმართველობამ საჭირო თანხა ვერ გამონახა და ეს საქმე კერძო ინიციატივას იყო მინებებული. მხოლოდ მსხვილი ბურჟუები და სახლთმფლობელები ახერხებდნენ საკანალიზაციო მილების ჩაწყობას.

საქალაქო თვითმმართველობის მესვეურნი კარგად გრძნობდნენ ერთიანი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის გადაუდებელ საჭიროებას. საქალაქო სათათბიროს დავალებით 1895 წელს ინჟ. ლინდლეიმ შეადგინა თბილისის კანალიზაციის პროექტი. ლინდლეის შესაძლებლად მიაჩნდა საკანალიზაციო კოლექტორების გაშვება პირდაპირ მტკვარში, ჰიგიენური თვალსაზრისით ახლო ხანში ეს საშიშროებას არ შექმნისო. მაგრამ მომავლისათვის პროექტი ითვალისწინებდა მტკვრის სანაპიროს გაყოლებით მთავარი საკანალიზაციო შემკრები არხის გაყვანას, რომელიც ნავთლუღის ბოლოს შეუერთდებოდა მტკვარს და ამ გზით ქალაქის ფარგლებში მტკვა-

[1] А. Аргутинский. Водоснабжение гор. Тифлиса, стр. 220—224.

რი დაცული იქნებოდა გაბინძურების საფრთხისაგან. ლინდლეის გაანგარიშებით კანალიზაციის პროექტის განხორციელებას 4 600 000 მან. დასჭირდებოდა[1], რაც აღემატებოდა საქალაქო თვითმმართველობის ფინანსურ შესაძლებლობებს.

ურთიერთს მოწყვეტილი საკანალიზაციო მილების ქსელი კი თანდათან ფართოვდებოდა. 1900 წელს კანალიზაციის ქსელის სიგრძე 24 კმ შეადგენდა და იგი მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენას ეხსახურებოდა. ერთიანი საკანალიზაციო ქსელის არარსებობა რევოლუციამდელი თბილისის მოუწყობლობის ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციაში სასაკლაოს მოწყობაც შედიოდა. კარგად გამართული სასაკლაო საჭირო იყო არა მარტო ქალაქის ხორცით მომარაგებისათვის, იგი მნიშვნელოვან სანიტარიულ ღონისძიებადაც ითვლებოდა.

XIX ს. 60-იან წლებში თბილისში რამდენიმე სასაკლაო მოქმედებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებდა ტექნიკურ და სანიტარიულ მოთხოვნებს. 1878 წელს საქალაქო სათათბირომ სპეციალური კომისია შექმნა სასაკლაოს საკითხის მოსაგვარებლად. ქალაქში აიკრძალა პირუტყვის დაკვლა. 1880 წელს დროებითი სასაკლაო ფარდულები მოეწყო ნავთლუღში. მაგრამ ეს ნაგებობანი შეუფერებელი იყო საკმაოდ დიდი ქალაქისათვის.

1897 წელს თბილისის საქალაქო სათათბირომ დაამტკიცა შიმკევიჩის მიერ შედგენილი სასაკლაოს პროექტი და თანაც შეეცადა მისი განხორციელებისათვის საჭირო თანხა გამოენახა. მაგრამ საქმე ამჯერადაც გაჭიანურდა. ახალი სასაკლაოს აგება მხოლოდ 1912 წელს დაიწყო. ნავთლუღის სასაკლაო, რომლის აგება 1 მლნ მან. დაჯდა, საექსპლუატაციოდ გადაეცა 1914 წლის 25 აპრილს. ეს იმ დროისათვის სრულყოფილ ნაგებობად მიჩნეული სასაკლაო, სავსებით აკმაყოფილებდა ქალაქის მოთხოვნილებას.

4. საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სფეროში

ქ. თბილისი XIX ს. 60—70-იან წლებში სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით საშუალო მდგომარეობაში იყო. „დრო-

[1] «Известия...», 1896, Приложение № 1.

ების“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „კეთილგანწყობილება თბილისისათვის არ გაუჩენია ღმერთს. ქუჩები ბინძური, მაიდნები აყროლებული, ეზოები ნაგვითა და უწმინდურებით სავსე, ჰაერი გაფუჭებული, ადამიანის სიცოცხლის მომწამვლელი“ [1]. ალბათ მუნიციპალური მოღვაწეებიც კარგად ხედავდნენ ამ სამწუხარო სურათს და, ბუნებრივია, ცდილობდნენ მდგომარეობის რამდენადმე გამოსწორებას.

ექიმ ხმოსნების აზრით თვითმმართველობის ორგანოებს პირველ რიგში უნდა აღეკვეთათ დაავადებათა მიზეზები, რადგან იმ დროსაც კარგად იცოდნენ ის ჭეშმარიტება, რომ უფრო ადვილია დაავადების მიზეზთა აღმოფხვრა, ვიდრე ავადმყოფთა მკურნალობა და გამოჯანმრთელება.

XIX ს. 70—80-იან წლებში თბილისის თვითმმართველობასთან მუდმივი სანიტარიული დაწესებულება არ არსებობდა. თითქმის ყველა სანიტარიულ ღონისძიებას დროებითი ხასიათი ჰქონდა.

1889 წელს საქალაქო თვითმმართველობის შტატში ჩაირიცხა სანიტარიული ექიმი, რომლის მთავარ ფუნქციას სასმელ-საჭმელი პროდუქტების შემოწმება შეადგენდა. იმავე წლიდან მოწვეულ იქნა ვეტერინარი ექიმი. მას ევალებოდა სასაკლაოს კონტროლი. 1891 წელს თბილისის თვითმმართველობამ გახსნა ქიმიური ლაბორატორია, რომლის პროექტი პროფ. პ. მელიქიშვილის მიერ იყო შედგენილი. მალე დაარსდა სადეზინფექციო კამერაც [2].

1891 წლის ქოლერის ეპიდემიამ, რომელმაც თბილისში საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო, ერთგვარი ბიძგი მისცა სანიტარიულ-სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას. მეტი ყურადღება მიექცა სისუფთავის დაცვას. 1893 წელს საქალაქო თვითმმართველობამ ჩამოაყალიბა სანიტარიულ-საექიმო საბჭო, რომელშიც შევიდა სანიტარიულ-საექიმო ინსპექტორი, 7 უბნის ექიმი და 7 ფერშალი, ექიმი დეზინფექტორი და სადეზინფექციო კამერის გამგე, ქალაქის საავადმყოფოების ექიმები და ლაბორატორიის თანამშრომლები.

სანიტარიულ-საექიმო საბჭოს მიერ ჩატარებულმა აღწერებმა ცხადყო კანალიზაციის უქონლობის უარყოფითი შედეგები, ბინე-

---

[1] „დროება“, 1878, № 151.

[2] «Систематический сборник определений Тифлисской городской думы с 1875 года по 1907 год», стр. 88.

ბის დიდი ნაწილის ცუდი სანიტარიული მდგომარეობა, ქალაქიდან ნაგვის გატანის ცუდი ორგანიზაცია, ფაბრიკა-ქარხნებში გაბატონებული ანტისანიტარიული პირობები და სხვ. თბილისის თვითმმართველობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება არ მოჰყოლია.

საქალაქო თვითმმართველობა გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. 1885 წელს თბილისის მიხეილის სახელობის ცენტრალური სამკურნალო თვითმმართველობის სრულ კომპეტენციაში გადავიდა. იგი თანდათან აფართოებდა მუშაობას. 1899 წელს, მაგალითად, ცენტრალური სამკურნალოს განყოფილებებში გაიარა 38 ათასმა ავადმყოფმა [1].

1898 წელს თბილისის თვითმმართველობამ გახსნა გადამდებ სნეულებათა დაავადებულთათვის ორი სპეციალური პუნქტი, მოაწყო აგრეთვე სულით ავადმყოფთა თავშესაფარი-სამკურნალო 40 ადგილით. 1906 წელს გაიხსნა სამშობიარო სახლი, რომელშიც 1913 წლამდე 7281 ბავშვი დაიბადა.

1892 წელს ნ. ‘ე. ზუბალაშვილმა ერთი მოზრდილი სახლი და 284 ათასი მან. აჩუქა ქალაქს ღარიბთა და უპატრონო ავადმყოფთა თავშესაფრის მოწყობა-შენახვისათვის.

1903 წელს თბილისის მეფადარმა მოქალაქემ და ქველმოქმედმა მ. არამიანცმა ქალაქს შეწირა 100 ათასი მან. და თანაც სურვილი გამოთქვა, რომ თვითმმართველობას ამ თანხით მისი სახელობის საავადმყოფო აეგო. მილიონერის სურვილი შესრულდა. ავლაბარში, არამიანცის სახელობის საავადმყოფო 1909 წელს გაიხსნა. საავადმყოფოს ჰქონდა თერაპიული და ქირურგიული განყოფილებები 120 საწოლით. ამ დროს იმავე ავლაბარში უკვე სწარმოებდა მუშაობა ბავშვთა 80-საწოლიანი საავადმყოფოს მოსაწყობად, რომელსაც მატერიალური ბაზა შეუქმნეს ცნობილმა კაპიტალისტებმა და ქველმოქმედებმა ძმებმა ზუბალაშვილებმა 100 ათასი მან. შეწირვით [2].

1901 წლისათვის თბილისის თვითმმართველობის სანიტარიულ-

---

[1] «Отчет о деятельности Тифлисской городской управы за 1899 г.», стр. 60—61.

[2] «Известия...», 1910, № 5—6, стр. 17—30.

საექიმო ნაწილის შტატში 130 თანამშრომელი ირიცხებოდა. აქედან იყო 16 ექიმი, 4 ვეტერინარი, 2 ქიმიკოსი, 6 ფარმაცევტი, 29 ფერშალი და სხვ. [1].

საქალაქო თვითმმართველობა თანდათან მეტ თანხას გამოყოფდა ჯანმრთელობის დაცვისათვის. 1889 წელს სამედიცინო მომსახურებაზე დაიხარჯა 20 640 მან., 1899 წელს — 102 925 მან., 1909 წელს — 243 726 მან., რაც შეადგენდა საბიუჯეტო გასავლის 13,3%-ს.

ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში დიდ მომავალს უთვალისწინებდნენ თბილისის გოგირდოვან წყლებს.

ჯერ კიდევ 1879 წელს ნ. ნიკოლაძემ თბილისის სათათბიროში შეიტანა წინადადება გოგირდის აბანოების საქალაქო თვითმმართველობისაგან გამოსყიდვისა და ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობის შესახებ. ამ საკითხის შესასწავლად 1884 წელს გამოყოფილი კომისია (ნ. ნიკოლაძე, სტატკოვსკი, ანანოვი და სხვ.) თითქმის მხოლოდ ფორმალურად არსებობდა, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა მან ვერ მოახერხა.

1908 წელს შექმნილმა „ბალნეოლოგიურმა კომისიამ“ გარკვეული კვლევა-ძიება აწარმოვა, დაადგინა გამოსასყიდი ობიექტების ღირებულება, შეადგინა დაპროექტებული შენობა-დანადგარების ხარჯთაღრიცხვა და ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობის მთელი ღირებულება 7 მლნ მან-ით განსაზღვრა [2]. მაგრამ საქმე არ განხორციელებია ფინანსურ-ტექნიკურ ვარაუდებს. თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობის იდეა ვერ განახორციელა.

1910 წელს თბილისში კვლავ გავრცელდა ქოლერის ეპიდემია, რამაც საქალაქო თვითმმართველობის მესვეურები ძალიან შეაშფოთა. მათ შედარებით მეტი ყურადღება მიაქციეს სისუფთავის დაცვას, სცადეს ეპიდემიის შეჩერება. თბილისის ბურჟუაზიული თვითმმართველობის ამ საქმიანობის შესახებ გაზ. „ახალი გზის“ რედაქცია წერდა: „გასაჭირი მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“ ნათქვამია.

---

[1] Г. Н. Степанов. Краткий исторический очерк возникновения и развития санитарного дела и врачебных учреждений в гор. Тифлисе, 1910, стр. 59—65.

[2] «Известия...», 1911, № 7—8, стр. 1—10.

სწორედ ასე მოსდის ქალაქის მამებს. დღემდე ყურადღება არ მიუქცევიათ ქალაქის სისუფთავისათვის, განაპირა უბნები მაინც ხომ სულ ღვთის ანაბარა იყო მიტოვებული და დღეს კი, როცა ხოლერამ თავისი შავი კბილები გვიჩვენა, ერთ ფეცა-ფუცში არიან, არიქა უშველეთ გაწმინდეთ, გაასუფთავეთო. ყოველდღე თათბირები, კომისიათა კრებები, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევები და სხვ.". რედაქცია მიესალმება საქალაქო გამგეობის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ქოლერის გავრცელება მარტო ცხელი წყლის მიწოდებით და სანიტარიული კომისიის გააქტიურებით არ შეჩერდება, ავადმყოფობის სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების აღმოფხვრას უფრო ღრმა გარდაქმნები სჭირდებაო. „გადაათვალიერეთ ხოლერით ავათ გამხდართა სია, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ ხოლერა ერევა და მუსრს ავლებს უპირველეს ყოვლისა მათ, ვინც ეკონომიურათ ცუდ პირობებშია ჩაყენებული... იმათ ვინც ცხოვრების დუხჭირ პირობებს ბნელ სარდაფებში ჩაურეკია ... ვინც კარგ და სალ სანოვაგის ნაცვლად, ვინ იცის, რით ივსებს ცარიელ კუჭს.

მართალია, ახლა, — განაგრძობს რედაქცია, — მათ უბნებსაც მიაქცევენ ყურადღებას, მაგრამ განა ის კმარა, რომ სანაგვე ყუთი გააწმენდინო და ფეხსაცმელები გაასუფთავებინო? რასაკვირველია არა. ეს ვერ გააუმჯობესებს მუშის დასუსტებული ორგანიზმის მდგომარეობას. ამისათვის საჭიროა მთელი მისი ყოფა-ცხოვრების ძირიანად შეცვლა. აქამდეც საჭირო იყო მისთვის იაფ და სალი ბინის, იაფ და სალი სანოვაგის მიწოდებაზე ეზრუნათ ქალაქის სვე-ბედის გამგეთ, მაგრამ ჩვენი ქალაქის გამგე-მმართველნი ასეთ ზომებზე ფიქრით თავს აიტკივებენ? ... სადა აქვთ მათ ამის ინტერესი. მათ თვალი სოლოლაკისაკენ უჭირავთ. იქაურ შეძლებულებს ევლებიან თავს და მათ გარეშეც თუ არიან ქალაქის მცხოვრებნი, თუ მათზეც საჭიროა ზრუნვა — ეს ვერ წარმოუდგენიათ. ისინი იმ შეგნებამდეც კი ვერ ამაღლებულან, რომ ეს ვიწრო ეგოიზმი... ბოლოს და ბოლოს მათაც მისცემს ზარალს, ბოლოს და ბოლოს მთელ ქალაქს ჩააგდებს განსაცდელში. მაგრამ ამისათვის, — დაასკვნის რედაქცია, — საჭიროა ერთის მხრით მეტი კულტურიანობა, მეორეს მხრით კი იმათი მუჭლუგუნი, ვისი პირდაპირი ინტერესიც თხოულობს განაპირა უბნებისათვის ყურადღების მიქცევას. მაგრამ დღეს

ისინი დროთა უკუღმართობისა და მახინჯი საარჩევნო წესების წყალობით ორივესაგან თავისუფალი არიან“ [1].

სოციალ-დემოკრატიული გაზეთის რედაქცია სწორ შეფასებას აძლევდა ფაქტიურ მდგომარეობას. ცარისტული კანონმდებლობის ჩარჩოებში ჩაყენებულ ბურჟუაზიულ საქალაქო თვითმმართველობას მართლაც არ შეეძლო მთელი თბილისის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მთელი მოსახლეობის ინტერესების სამსახურში ჩაყენება.

* *

საქალაქო რეფორმის ჩატარებამდე თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა კულტურისა და სახალხო განათლების განვითარების საქმეში. საამისოდ მას არც უფლებები ჰქონდა და არც მატერიალური საშუალებანი გააჩნდა.

1872 წლის 23 ნოემბრის სხდომაზე ქალაქის თავმა იაზონ თუმანიშვილმა მოწოდებით მიმართა ხმოსნებს ნებაყოფლობის პრინციპის საფუძველზე მცხოვრებთაგან აეკრიფათ გარკვეული თანხა და თბილისში სახელოსნო სასწავლებელი გაეხსნათ. მიღებულ იქნა შესაფერისი დადგენილება, რასაც სიხარულით შეხვდა თბილისის ხელოსნური მოსახლეობა და გადაწყვიტა თავისი წვლილი შეეტანა სკოლის მშენებლობაში. ამის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში ხელმოწერით შეიკრიბა 23 615 მანეთი, სახელოსნო სასწავლებელს საფუძველი ჩაეყარა 1874 წელს. სახსრების სიმცირის გამო (მთავრობისაგან საქალაქო თვითმმართველობას დახმარება არ მიუღია) მშენებლობა 6 წელი გაჭიანურდა. სახელოსნო სასწავლებლის ოფიციალური გახსნა მოხდა 1880 წლის 28 სექტემბერს [2]. ასე დაიწყო თბილისის თვითმმართველობამ საქმიანობა სახალხო განათლების სფეროში.

1881 წელს თბილისის თვითმმართველობამ გახსნა 7 დაწყებითი სამწლიანი სკოლა — ორი რუსული, ორი ქართული და სამი სომხური. ყოველ მათგანში 50 მოსწავლე და თითო მასწავლებელი ითვლებოდა.

---

[1] „ახალი გზა“, 1910, № 15.

[2] «Краткий исторический очерк училищ содержимых на средства гор. Тифлиса», 1911, стр. 3—7.

სასწავლებელთა ხელმძღვანელობისათვის საქალაქო სათათბირომ ჩამოაყალიბა კოლეგიალური ორგანო — სასკოლო კომიტეტი. კომიტეტმა შეიმუშავა სასწავლო გეგმები და პროგრამები, რაც მთლიანად როდი ემთხვეოდა მთავრობის მიერ დამტკიცებულ პროგრამებს. ეს გადახვევა შეუმჩნეველი როდი დარჩა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს. მან განსაკუთრებით მკაცრად გაილაშქრა ქალაქის სკოლებში სწავლების ადგილობრივ ენებზე (ქართული, სომხური) წარმოების წინააღმდეგ. მუნიციპალურ მოღვაწეებს კი მშობლიურ ენაზე სწავლება მიაჩნდათ განათლების გავრცელების საწინდრად.

თბილისის თვითმმართველობასა და კავკასიის სასწავლო ოლქს შორის აღმოცენებული დავა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს საქმე გაირჩა თბილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში, რომელმაც სამართლიანად სცნო სასწავლო ოლქის მოთხოვნილებანი. საქალაქო თვითმმართველობამ საქმე სენატში გადაიტანა. სენატის მოწერილობაში ნათქვამი იყო, რომ არსებული კანონმდებლობა საქალაქო თვითმმართველობას ავალებს მონაწილეობა მიიღოს სკოლების დაფინანსებაში, რაც შეეხება სასწავლო გეგმებს და ადგილობრივ ენებზე სწავლების საკითხს, ამ სფეროში მთავარია სასწავლო ოლქი და საქალაქო თვითმმართველობა მას უნდა ემორჩილებოდესო [1].

1895 წელს სენატმა თბილისის სკოლების სასწავლო ნაწილი მთლიანად სასწავლო ოლქის კომპეტენციაში მოაქცია. თვითმმართველობის ფუნქციებში დარჩა სკოლების მატერიალური უზრუნველყოფის საქმე, სამეურნეო გამგებლობა. სასწავლო ოლქის მზრუნველმა გააუქმა თბილისის ქართულ-სომხური სასწავლებლები. ყველა სკოლაში მოსწავლეებს ეროვნული გარჩევის გარეშე იღებდნენ. სწავლება ერთიანი გეგმით რუსულ ენაზე სწარმოებდა.

თბილისის თვითმმართველობა თავის საქმიანობის მასშტაბს სახალხო განათლების სფეროში თანდათან აფართოებდა. 1896 წელს თვითმმართველობამ გახსნა ქალთა დაწყებითი სკოლები ვერასა და დიდუბეში. 1898 წელს გახსნა სამი, ხოლო 1899 წელს — ოთხი დაწყებითი სკოლა. 1907 წლისათვის თბილისის თვითმმართველობის სამეურნეო კომპეტენციაში მყოფ 22 დაწყებით სკოლაში 118 მასწავლებელი და 3176 მოსწავლე ითვლებოდა [2].

---

[1] «Известия...», 1894, доклады, стр. 8—10.
[2] «Известия...», 1908, отд. II, стр. 35—37.

1907 წელს თბილისის მუნიციპალურ მოღვაწეთა შორის აღმოცენდა საყოველთაო დაწყებითი განათლების განხორციელების იდეა. აღირიცხა 14 000 სასკოლო ასაკის ბავშვი, რომელთა სწავლებაში ჩასაბმელად საჭირო იყო 280 განყოფილება. არსებულ სკოლებში კი მხოლოდ 91 განყოფილება ითვლებოდა. შემუშავებული გეგმის თანახმად, მომდევნო ათ წელიწადში თანდათან უნდა გახსნილიყო 189 განყოფილება და გეგმის ავტორები იმედოვნებდნენ, რომ 1919 წლისათვის საყოველთაო დაწყებითი განათლების იდეა ხორცს შეისხამდა.

ამ მიმართულებით თბილისის თვითმმართველობამ პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა, მაგრამ დაწყებითი სკოლების ქსელი ნავარაუდევი სისწრაფით ვერ ფართოვდებოდა. 1910 წელს ქალაქის დაწყებით სკოლებში ითვლებოდა 4384 მოსწავლე, 1913 წელს კი ქალაქის 25 დაწყებით სკოლაში სწავლობდა 5000 ბავშვი [1]. თბილისის თვითმმართველობამ საყოველთაო დაწყებითი განათლების იდეა ვერ განახორციელა.

დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი შედიოდა სახელოსნო სასწავლებელში, სხვები ხვდებოდნენ საფერშლო, საბებიო სასწავლებლებში და ზოგიც გიმნაზიებში. ბევრი უსახსრობის გამო სწავლას ვერ აგრძელებდა.

XX ს. 10-იან წლებში თბილისის საქალაქო თვითმმართველობა სწავლა-განათლებაზე ყოველწლიურად საშუალოდ ხარჯავდა 450 ათას მან. 1916 წლისათვის მის უწყებაში ითვლებოდა 31 დაწყებითი სკოლა 145 განყოფილებით (5235 მოსწავლე). საქალაქო თვითმმართველობა კვლავ ინახავდა სახელოსნო სკოლას და ქალთა პროფესიულ სასწავლებელს (435 მოსწავლე). ამის გარდა თვითმმართველობა სახაზინო სკოლებს ყოველწლიურად აძლევდა 52 ათას მან. სუბსიდიას. 25 ათასი მან. ეძლეოდა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიას, 10 ათას მან. ქალთა უმაღლეს კურსებს, სტიპენდიების სახით თვითმმართველობა ყოველწლიურად გასცემდა 5 ათას მანეთს [2].

თბილისის საქალაქო თვითმმართველობას ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დაწყებითი სასწავლებლები სრულიადაც

---

[1] «Тифлис и его окрестности», стр. 128.

[2] «Тифлисский муниципальный календарь», 1917, стр. 110—112.

არ მიიჩნდა საკმარისად. მუნიციპალურ მოღვაწეებს შეგნებული ჰქონდათ დროის მოთხოვნილება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში აგრონომებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების დიდი მნიშვნელობა, მეცნიერების დიდი როლი საერთოდ ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომ ისინი ზრუნავდნენ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების გახსნისათვის.

თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების საკითხი დაისვა 1871 წელს. ამის შემდეგ საქალაქო თვითმმართველობა დიდი ხნის განმავლობაში გამოდიოდა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ინიციატორად. მომზადებული რომ შეხვედროდა ხელსაყრელ მომენტს, 1880 წელს თბილისის საქალაქო სათათბირომ დაადგინა 10 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის გახსნის საჭიროებისათვის ყოველწლიურად გადაედო 10 ათასი მან. 1890 წლისათვის საუნივერსიტეტო კაპიტალმა მიაღწია 100 ათას მან., მაგრამ ხელსაყრელი მომენტი არ ჩანდა. მეფის მთავრობა ყოველნაირად ზღუდავდა საქართველო-ამიერკავკასიის პროგრესულ საზოგადოებრივ ძალებს, არ იძლეოდა ამ მხარეში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ნებართვას.

1894 წელს, როცა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი კავკასიაში მოგზაურობდა, თბილისის საქალაქო სათათბირომ შუამდგომლობა აღძრა მის წინაშე თბილისში უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლის გახსნის თაობაზე. საქალაქო თვითმმართველობა ვალდებულებას კისრულობდა ამ სასწავლებლის საჭიროებისათვის გადაეცა საუნივერსიტეტო კაპიტალი — 100 ათასი მან. და 200 ჰა მიწა. მაგრამ ეს თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

1897 წელს საქალაქო თვითმმართველობამ კვლავ აღძრა შუამდგომლობა თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე.

თბილისის თვითმმართველობის ინიციატივას გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის სხვა ქალაქები, საზოგადოებები და კერძო პირები. უმაღლესი სასწავლებლის საჭიროებისათვის ერთდროულ შემოწირულებათა თანხამ მალე 280 ათასი მან. მიაღწია. ამის მიუხედავად მთავრობის წრეებშიც არც ეხლა თანაუგრძნეს თბილისში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების იდეას. 1903 წელს შინაგან

საქმეთა მინისტრმა პლეევემ თბილისის თვითმმართველობას შემოწირულებათა მიღებაც კი აუკრძალა.

შეფის მთავრობამ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის თაობაზე თბილისის თვითმმართველობის თხოვნას ყურადღება მხოლოდ 1905—1907 წლებში რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში მიაქცია. ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლის მომწყობი მთავარი კომიტეტი, რომელშიც შეეიდნენ მთავრობის მოხელეები, თბილისის ქალაქის თავი და რამდენიმე ხმოსანი. მთავრობის გადაწყვეტილებით თბილისის უმაღლეს სასწავლებელს მატერიალურ ბაზად კერძო შემოწირულებათა შედეგად მიღებული თანხა უნდა დადებოდა. სახელმწიფო ხაზინა ამ საქმისათვის ერთ კაპიკსაც არ იმეტებდა.

დავა გაიმართა უმაღლესი სასწავლებლის ტიპის საკითხზე. გადაწყდა დაარსებულიყო უნივერსიტეტი ტექნიკური განყოფილებით. მთავარმა კომიტეტმა გამოიანგარიშა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის აგება-მოწყობისათვის საჭირო იყო 455 ათასი მან., მუშაობისათვის კი ყოველწლიურად 384 ათასი მან.

1907 წელს თბილისის საქალაქო სათათბირომ დაადგინა უნივერსიტეტის საჭიროებისათვის სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებაში გადაერიცხა 100 ათასი მან., ხოლო საუნივერსიტეტოდ გამოყოფილი 200 ჰა მიწა ხელუხლებლად დაეცვა. ამასთან ერთად, თბილისის თვითმმართველობამ ივალდებულა უნივერსიტეტისათვის დაენიშნა ყოველწლიური 30 ათასი მან. სუბსიდია.

საქმის ხელმძღვანელთა ვარაუდით განზრახულ ერთდროულ შემოწირულებათა თანხას უნდა შეედგინა 1 მლნ მან., რაც საკმარისი იქნებოდა უნივერსიტეტის მოწყობისათვის. მთავარი კომიტეტის ერთ-ერთი აქტიური წევრი გ. თუმანიშვილი აღნიშნავდა, რუსეთის განაპირა მხარეში გახსნილი უნივერსიტეტი კერძო ქველმოქმედების საქმეს კი არა, არამედ სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ მთავრობა უარს ამბობს დახმარებაზე. ასეთ პირობებში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების ტვირთი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა იკისრონ და ამ დიდი ამოცანის შესრულებით თბილისის თვითმმართველობა უდიდეს დახმარებას გაუწევს ჩვენი მხარის

სულიერი და მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების საქმესო [1].

თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ დიდი წამოწყება ბოლომდე ვერ მიიყვანა, მაგრამ უდავოა, რომ მან მოამზადა ერთგვარი პირობები, რამაც შემდეგში ივ. ჯავახიშვილს და მის თანამებრძოლებს თბილისის უნივერსიტეტის გახსნა რამდენადმე გაუადვილა.

სკოლების ქსელის გაფართოებასთან ერთად თბილისის თვითმმართველობა ზრუნავდა სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამრავლებისათვისაც. მუნიციპალურ მოღვაწეებს შეგნებული ჰქონდათ ადამიანთა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროება. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, აცხადებდა: მარტო ჭამისათვის როდი ცხოვრობს ადამიანი, სოციალური საკითხი წარმოადგენს არა მარტო კუჭისა და მუშახელის საკითხს, იგი სულისა და მისი მოთხოვნილებების საკითხიც არისო [2].

ხალხის ფართო მასების სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვისას საქალაქო თვითმმართველობის მესვეურები ძირითადად კლასობრივი წინააღმდეგობების შესუსტების მოტივით ხელმძღვანელობდნენ. ნ. არღუთინსკი, მაგალითად, აცხადებდა, რომ ხალხს არ სიამოვნებს სიღატაკისა და მანკიერების ამსახველი სპექტაკლები, რადგან ასეთ რამეს რეალურ ცხოვრებაშიც ხშირად ხედავს. სახალხო თეატრში წარმოდგენილმა სპექტაკლებმა მაყურებელი უნდა გაართოს და დროებით მაინც დააივიწყოს მას ყოველდღიური ცხოვრების მძიმე საზრუნავიო [3].

ამდენად, ბურჟუაზიულ მუნიციპალურ მოღვაწეთა აზრით, სახალხო თეატრის დანიშნულება იყო მსუბუქი წარმოდგენებით მუშა მოსახლეობის გართობა და მისი ყურადღების მწვავე სოციალური საკითხებისაგან ჩამოშორება. ასეთივე მოტივით ხელმძღვანელობდნენ ხშირად კაპიტალისტი ქველმოქმედნიც.

1900 წელს თბილისის სათათბიროს ხმოსანთა შორის აღმოცენდა ნებაყოფლობით შემოწირულებათა ბაზაზე სახალხო სახლის დაარსების იდეა. გამოქვეყნდა სათანადო განცხადება და იმავე

---

[1] «Известия...», 1910, № 12, отд. II, стр. 1—17.
[2] «Городской народный дом имени К. Я. Зубалова», 1913, стр. 1.
[3] Там же, стр. 14—17.

წელს შემოწირულებათა თანხამ 9 ათასი მან. შეადგინა. ამ დროს თბილისში გარდაიცვალა ცნობილი კაპიტალისტი კ. ი. ზუბალაშვილი, რომლის შვილებმა გადაწყვიტეს მამის ხსოვნის უკვდავსაყოფად თავის ხარჯით მოეწყოთ სახალხო სახლი და იგი საჩუქრად გადაეცათ ქალაქისათვის.

1902 წელს ზუბალაშვილის ვაჟებმა სახალხო სახლის პროექტზე კონკურსიც გამოაცხადეს. პირველი პრემია მიიღო ინჟ. კრიჩინსკიმ, რომლის პროექტითაც დაწყებული მშენებლობა 1907 წელს დამთავრდა. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) შედგებოდა 630-ადგილიან სათეატრო დარბაზის. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ოთახებისა და საჩაიე დარბაზისაგან. სახალხო სახლის აგებამოწყობა ზუბალაშვილებს 300 ათასი მან. დაუჯდათ. თბილისის თვითმმართველობამ ესოდენ მდიდრული საჩუქარი დიდი მადლობით მიიღო, სახალხო სახლის საზეიმო გახსნის დღეს სიტყვა თვით ქალაქის თავმა ვ. ჩერქეზიშვილმა წარმოთქვა.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი მალე ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კულტურულ დაწესებულებად გადაიქცა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოში მუდამ ხალხი ტრიალებდა, ყოველთვის სავსე იყო აგრეთვე სათეატრო დარბაზი, სადაც რეგულარულად ტარდებოდა სპექტაკლები, კონცერტები და ლექციები. 1912 წელს, მაგალითად, სახალხო სახლში მუშაობდა 12 სექცია, რომელთა მიერ დაიდგა 233 სპექტაკლი 11 ენაზე (ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ და სხვ. ენებზე). იმავე წელს სახალხო სახლში ჩატარდა 73 კონცერტი და ლექცია. წარმოდგენა-კონცერტებზე შესასვლელი ფასი შედარებით მცირე იყო, რაც განაპირობებდა მაყურებელთა მრავალრიცხოვნობას. 1912 წელს სახალხო სახლში სპექტაკლებს, კონცერტებსა და ლექციებს დაესწრო 159 513 კაცი [1].

1909 წელს თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ გახსნა პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც 1916 წლისათვის 1892 აბონენტი ჰყავდა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 21 451 ერთეულს შეადგენდა.

---

[1] «Отчет о деятельности городского народного дома имени К. Я. Зубалова за 1912 г.», стр. 1—13.

1910 წელს გაიხსნა მუნიციპალური მუზეუმი[1].

ამგვარად, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა კარგად ითვალისწინებდა დროის მოთხოვნილებას და გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა ხალხის ფართო მასებში ელემენტარული ცოდნის შესატანად, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა მოსამზადებლად. მან გარკვეული, დადებითი როლი შეასრულა სწავლა-განათლების გავრცელებისა და კულტურის განვითარების საქმეში.

---

[1] «Тифлисский муниципальный календарь», 1917, стр. 120—130.

ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა

უძველესი ქალაქი, მრავალჭირნახული ქუთაისი XIX საუკუნეს ნახევრად დანგრეული და დაჩაჩანაკებული შეხვდა. საქართველოს რუსეთთან შეერთება და მშვიდობიანობის დამყარება სასიკეთოდ დაეტყო ქალაქს. XIX ს-ის 20-იან წლებში ქუთაისი მზარდი ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენდა. ამ დროს იქ უკვე აგებული იყო ჯარის ყაზარმები, მთავრობის დაწესებულებები და საეკლესიო უწყების მოზრდილი შენობები. მოხელეები და ახლად მოსული ვაჭრები თანდათანობით სახლდებოდნენ რიონისპირა ვაკეზე, ისახებოდა ქუთაისის ახალი უბნის კონტურები.

1810-დან 1840 წლამდე ქუთაისი იყო იმერეთის ოლქის ცენტრი, მალე ამის შემდეგ კი საგუბერნიო ცენტრი გახდა. ამ გარემოებამ რამდენადმე შეუწყო ხელი ქალაქის ზრდა-განვითარებას. ქუთაისში იყო თავმოყრილი საგუბერნიო დაწესებულებანი და, ბუნებრივია, მათი საჭიროებისათვის იგებოდა ახალ-ახალი შენობები. საგუბერნიო ცენტრი იზიდავდა ვაჭარ-მრეწველებს და სხვა ყაიდის საქმოსნებსაც. თანდათან მრავლდებოდა სახელოსნოები, სავაჭრო დუქნები და ბაზრები, ფართოვდებოდა სავაჭრო ბრუნვა.

1851 წელს მდინარე რიონზე გაკეთდა მეორე ხიდი (დღევანდელი თეთრი ხიდი), რომლითაც ქალაქი დაუკავშირდა რიონის მარჯვენა დაუსახლებელ ვაკეს, ე. წ. გაბაშვილების უბანს. ეს უკანასკნელი მალე ქალაქის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1851 წლისათვის ქუთაისს 444 ჰა ფართობი ეკავა, რომელზედაც გაშენებული იყო 9 ქუჩა, 681 საცხოვრებელი სახლი, 262 სავაჭრო დუქანი და 70 სახელოსნო.

1863 წელს ქუთაისის მოსახლეობა 11 807 სულს უდრიდა. ამ დროს ქალაქში უკვე 1500 შენობა ითვლებოდა. XIX ს-ის 70-იან წლებში ქუთაისში დაარსდა საადგილმამულო ბანკი და საურთიერ-

თო კრედიტის საზოგადოება. ქალაქში ამ დროს 800-მდე დუქანი, მაღაზია და სამრეწველო საწარმო მოქმედებდა. მათ შორის სიდიდით გამოირჩეოდა თამბაქოს სამი ფაბრიკა, რომელთა წლიური პროდუქციის ღირებულება 120 ათას მან. შეადგენდა. აგურისა და კრამიტის ქარხნების მწარმოებლურობა 30 ათას მანეთს აღწევდა.

ქუთაისის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ მას ასცდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალი. მართალია, 1877 წელს ქუთაისი რკინიგზის ხაზით დაუკავშირდა მთავარი მაგისტრალის სადგურ რიონს, ხოლო 1886 წელს ტყიბულს, მაგრამ იგი ეკონომიკურ-კომერციული თვალსაზრისით გაცილებით არახელსაყრელ მდგომარეობაში რჩებოდა ბათუმთან, ფოთთან, სამტრედიასთან და მთავარი მაგისტრალის პირზე მდებარე ბევრ დაბა-ქალაქთან შედარებით.

1886 წელს ქუთაისის მოსახლეობამ 22 ათას სულს გადააჭარბა, 1897 წლისათვის კი 32,5 ათასს მიაღწია. 80-იან წლებში პრინცმა ოლდენბურგმა ქუთაისში კონიაკისა და შამპანური ღვინის საკმაოდ დიდი ქარხანა ააგო. იმავე ხანებში ივანოვსკიმ ქუთაისში საფუძველი ჩაუყარა ხილეულის წყლების დამამზადებელ საწარმოს, რომელიც მალე მიტროფანე ლალიძის ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი, როგორც ხილეულის წყლების დამზადების საუკეთესო ოსტატი, მთელ რუსეთის იმპერიაში გახდა ცნობილი. XX ს-ის დამდეგს მ. ლალიძემ თავის ქარხანასთან ააგო პატარა თბოელსადგური, რომლის ენერგია გამოყენებული იყო ქალაქის რამდენიმე ქუჩისა და თეატრის გასანათებლადაც [1].

1904 წელს ქუთაისში ითვლებოდა 61 წვრილი კაპიტალისტური საწარმო 241 მუშით, რომელნიც წლიურად ამზადებდნენ 202 ათასი მან-ის პროდუქციას. 1913 წლისათვის ქუთაისის კაპიტალისტურ მრეწველობას შეადგენდა 62 წვრილი საწარმო, რომლებშიც დასაქმებული 311 მუშა წლიურად უშვებდა 290 ათასი მან. ნაწარმს. ამ საწარმოთა შორის გამოირჩეოდა თამბაქოს ფაბრიკა, ორი 110 ცხენის ძალიანი თბოელსადგური, აგურ-კრა-

---

[1] ს. ბოცვაძე, მ. ნიკოლეიშვილი, პ. ვაჭრიძე. ქუთაისი, 1960, 29—34.

მიტის, ტყავის, საპნის და ხე-ტყის სახერხი რამდენიმე ქარხანა[1].

ქუთაისში გაცილებით მეტი იყო სავაჭრო დაწესებულებანი. ქუთაისელ ვაჭრებს რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა ასორტიმენტის ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ფუფუნების საგნები, პარფიუმერია და სხვ., რითაც ამაოაგებდნენ არა მარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ დიდი რაოდენობით ასაღებდნენ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.

ქ. ქუთაისი ბოლო დრომდე ადმინისტრაციულ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. სამრეწველო განვითარების მხრივ იგი ძალიან ჩამორჩებოდა თბილისსა და ბათუმს. ამის მიუხედავად ქუთაისშიც შეიმჩნეოდა წარმოების კონცენტრაციის სუსტი პროცესი. კონკურენციაში დამარცხებული წვრილი საწარმოები იხურებოდა. წარმოების საშუალებანი და მუშახელი შედარებით მსხვილ საწარმოებში იყრიდა თავს. 1902 წელს, ბაზარზე მონოპოლიური ფასების დაწესების მიზნით, ქუთაისის 24 აგურის ქარხანა გაერთიანდა სინდიკატში. ამ მოვლენამ მაშინვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. „კვალის“ ერთ-ერთმა პუბლიცისტმა ამხილა სინდიკატში გაერთიანებული აგურის მრეწველთა ნაბდვილი. ზრახვანი. მისი აზრით, აგურის მრეწველთა მიზანი იყო მიეღწიათ ნედლეულზე (თიხა, შეშა) ფასების დაწევისათვის, გაეზარდათ მზა პროდუქციის ფასი და შეემცირებინათ მუშათა ხელფასი. წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესებაზე მრეწველები უკვე აღარ ზრუნავდნენ, რადგან ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა ჰქონდათ მოპოვებული. ამიტომ წერილის ანონიმი ავტორი კარტელიზაციას მრეწველობაში მავნე მოვლენად მიიჩნევდა. „საჭიროა გაწესრიგებული კაპიტალის ძალას წინ დაუყენონ გაერთიანებული და გათვითცნობიერებული ძალა მომხმარებელთა და შრომის წარმომადგენელთა“[2], დაასკვნიდა „კვალის“ პუბლიცისტი.

საქართველოს ეკონომიკაში ქუთაისის ხვედრითი წონა უმნიშვნელო იყო. გაცილებით დიდ როლს ასრულებდა იგი როგორც

---

[1] ნ. ტყეშელაშვილი. ნარკვევი საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958, გვ. 90—91.

[2] „კვალი“, 1904, № 3.

სწავლა-განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო კერა.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღეს სწავლა-განათლება ა. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ს. მესხმა და კ. ლორთქიფანიძემ, რომელთა ღვაწლი საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობასა და აზროვნებაში განუზომელია. დიდი როლი შეასრულა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის როლი ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდნენ ისეთი ნიჭიერი მსახიობები როგორიც იყვნენ: ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი, ეფრო კლდიაშვილი და სხვ.

საქართველოში დაწყებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა შესაფერის გამოძახილს პოულობდა ქუთაისში და მასაც თავის მხრივ დიდი წვლილი შეჰქონდა ამ მოძრაობაში. ქუთაისს ჰქონდა საკუთარი პრესა ნიჭიერი პუბლიცისტებით, ჰყავდა საკუთარი თერგდალეულები, საკუთარი ხალხოსნები. ქუთაისელი საზოგადო მოღვაწეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნისათვის ბრძოლაში.

1. ქუთაისის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

ბურჟუაზიული რეფორმების გატარებამდე რუსეთის იმპერიის ქალაქებს პოლიცია განაგებდა. მოსახლეობისაგან არჩეულ დეპუტატებს მხოლოდ გადასახადების გაწერა-აკრეფის საქმეში იყენებდნენ.

ქალაქი ქუთაისი საერთო წესიდან გამონაკლისი როდი იყო. მისი ბედ-ილბალი პოლიცმეისტერს ჰქონდა ჩაბარებული. დეპუტატების ფუნქციები კი არ იყო განსაზღვრული. 1874 წლის მაისში ქუთაისის მოქალაქეთა ერთ-ერთ სხდომაზე ანტონ ლორთქიფანიძემ განაცხადა: „ჩვენ ქალაქ ქუთაისის მცხოვრებნი ვირჩევთ დეპუტატებს, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ... არც ჩვენ ვიკით რა თანამდებობა არის დეპუტატობა და არც ჩვენგან ამორჩეულმა

დეპუტატებმა იციან მათი მოვალეობა ... არც ერთი საქმე, არც ერთი საგანი, რომელიც კი ქალაქს შეეხება, არ უნდა იყოს დაფარული ქალაქის დეპუტატისაგან ... მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ის, რომ არც ერთი კაპიკი ქალაქისა არ დაიხარჯოს მათ შეუტყობლად და გადაუწყვეტლად. მაგრამ საქმე სხვას გვიმტკიცებს. ჩვენი დეპუტატები იმას გვეუბნებიან, რომ არა ვიცით რაო, რა ჩაგვაბარეთ, რომ ისევ დაგიბრუნოთო და ანგარიში მოგცეთო. ამისათვის, მე საჭიროდ ვრაცხ, ვიდრე ჩვენ დეპუტატებს ამოვირჩევდეთ, მოვსთხოვოთ ჩვენ ძველ დეპუტატებს ანგარიშები. ამ ანგარიშების შეტყობის შემდეგ თუ ვსცნობთ, რომ ჩვენი ქალაქი შეძლებულია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ჩვენის ქალაქის სიმდიდრით ბევრნაირად ვისარგებლოთ და ჩვენი დაცემული მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ აღმოჩნდა, რომ ჩვენი ქალაქი ღარიბია, მაშინ საჭიროა, რომ ზოგიერთი არააუცილებელი საჭიროებანი დავთმოთ და მით ხარჯი შევამოკლოთ". თუ ჩვენი ამორჩეული დეპუტატები კარგად მუშაობენ, დასძენდა ბოლოს ანტონ ლორთქიფანიძე, მათ მადლობა უნდა გადავუხადოთ, ხოლო თუ მათ წაახდინეს ქალაქის საქმეები, მაშინ ისინი უნდა დაისაჯონ. ყოველივე რაც ითქვა არჩევნებამდე უნდა გაირკვეს, დეპუტატების ამორჩევას კი მოვესწრებითო [1].

ანტ. ლორთქიფანიძემ დეპუტატებისა და ქუთაისის მთელი საზოგადოების აზრი გამოხატა, სასურველი სინამდვილედ მიიჩნია, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დეპუტატობა თითქმის მხოლოდ პოლიციის თვითნებობის საფარად იყო გამოგონილი. იგივე ანტ. ლორთქიფანიძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „თურმე ახლანდელ დეპუტატებს არაფერი ანგარიშის მიცემა ვრცლად არ შეუძლიათ, რადგან არც ერთი კაპიკი არაა დახარჯული მათი გადაწყვეტილებით და არც ერთ დადგენილების ქაღალდზე არ აქვთ ხელი მოწერილი. ერთ დეპუტატს კი განუცხადებია, რომ კონტროლი ყოფილიყო დანიშნული ყოველს ქალაქის შემოსავალზე და ხარჯზე, მაგრამ მთავრობის მოხელემ თურმე განუცხადა „მე თვითონ ვარ კონტროლიო". გაჩუმდა ჩვენი დეპუტატი და გულში კი იფიქრა — შენ რომ ხარ კონტროლი, მისთვის ვართ ჩვენ კოტრიო" [2].

---

[1] „დროება", 1874, № 421.

[2] იქვე.

საპოლიციო მმართველობის ბოლო ხანებში ქ. ქუთაისის შემოსავალი 80 ათას მანეთს აღწევდა. მაგრამ ეს თანხა ქალაქის არსებითი საჭიროებისათვის როდი იხარჯებოდა. გასავლის ძირითადი მუხლი პოლიციისა და ქალაქში მდგომი ჯარის შენახვას ითვალისწინებდა. ბიუჯეტის საგრძნობ ნაწილს, როგორც ჩანს, პოლიცმეისტერი თვითნებურად განაგებდა, საკუთარ ჯიბეს ისქელებდა და ამ თვითნებობის დასაფარავად ეს „ხარჯები" სხვადასხვაში შეჰქონდა. 1873 წელს, მაგალითად, ამ „სხვადასხვაზე" დახარჯულა 28 ათასი მან. „შე დალოცვილო ქუთაისო, — ირონიულად შენიშნავდა „დროების" კორესპონდენტი, — თუ კი სხვადასხვა საჭიროებისათვის 28 ათას მანეთს ხარჯავ, არ გირჩევნია ჯერ ტალახიანი ქუჩები გააკეთო, ბულვარი ამოწმინდო, რომ ბაყაყებმა მოსვენება მოგვცენ, ტროტუარი გააკეთო, რომ კაცმა ფეხი არ მოიმტვრიოს" [1].

1874 წლის საარჩევნო კრებაზე ქუთაისის საზოგადოება უფრო აქტიურად გამოვიდა თავის უფლებათა დასაცავად და დეპუტატთა ფუნქციების გასაფართოებლად. ანტ. ლორთქიფანიძემ კრების თავმჯდომარეს, ქუთაისის პოლიცმეისტერს წერილობით მოსთხოვა ჩამოეყალიბებინა — რაში მდგომარეობდა დეპუტატების მოვალეობა ამომრჩევლებისა და ქალაქის წინაშე. თავმჯდომარეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო საჯაროდ ეღიარებინა დეპუტატთა კრების ფიქტიური ხასიათი და ამიტომ დემაგოგიას მიმართა, განაცხადა, რომ ყოველმა დეპუტატმა იცის თავის მოვალეობა და ამაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. მაშინ ანტ. ლორთქიფანიძე მიუბრუნდა ხალხს და ჰკითხა იცით რა მოვალეობა აწევს დეპუტატებს თქვენს წინაშე? „არა! არა! არაო ერთხმად შესძახა ყველამ". მიუხედავად ამისა თავმჯდომარემ მაინც პირველ რიგში კენჭის ყრა მოითხოვა. ამის საპასუხოდ ანტ. ლორთქიფანიძე პროტესტის ნიშნად კარისაკენ გაემართა, მას უკან გაჰყვნენ ძველი დეპუტატები და კრების სხვა მონაწილენი. ბოლოს მიღებულ იქნა კომპრომისული წინადადება — ჯერ დეპუტატები ამოვირჩიოთ და შემდეგ ქალაქის საჭიროებაზე ვილაპარაკოთო. საპოლიციო მმართველობისადმი ოპოზიციურად განწყობილმა ქუთაისის საზოგადოებამ დეპუტატად აირჩია ყველაზე აქტიური ოპოზიციონერი ანტ. ლორთქიფანიძე

[1] „დროება", 1874, № 421.

და სამი სხვა პირი. ამის შემდეგ ამომრჩევლებმა და დეპუტატებმა მოთხოვნილება წაუყენეს ქუთაისის პოლიცმეისტერს, რომ გაეუქმებინა ქალაქისათვის არასაჭირო ადვოკატის თანამდებობა და დაეთხოვა მოიჯარე. რომელიც ყოველწლიურად 5 ათას მან. კი ილებდა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოთა ჩასატარებლად, მაგრამ სინამდვილეში არაფერს აკეთებდა. ქალაქის მეურნეობას თვით საზოგადოებისაგან ამორჩეული დეპუტატები უხელმძღვანელებენო [1].

აღწერილი ინციდენტი იმის ცხადი მოწმობაა, რომ ქუთაისელი მოქალაქეებიც იმაღლებდნენ ხმას საპოლიციო მმართველობის თვითნებობათა წინააღმდეგ, მათაც შეჰქონდათ თავისი წვლილი თვითმმართველობისათვის ბრძოლის საქმეში.

ქუთაისში ახალი საქალაქო დებულების გატარებისათვის სამზადისი 1874 წელს დაიწყო. გუბერნატორმა ლევაშოვმა წინადადება მისცა მოქალაქეებს აერჩიათ 66 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც იმსჯელებდა ქალაქის საჭიროებაზე და თვითმმართველობის შემოღების გზებსაც დასახავდა. კომისიის მოქმედების ვადა ერთი წლით განისაზღვრა და მას ერთგვარი მოსამზადებელი სკოლის როლი დაეკისრა. მეველე (დ. მიქელაძე) ამასთან დაკავშირებით „დროებაში“ შენიშნავდა: „მაშ გაისად ეღირსება ქუთაისს თვითმმართველობა, ესეც კარგია. მანამდის კი, ამ თორმეტ თვეს, რეპეტიციებით შეიქცევენ თავს და იმედია მოქალაქეები ნამეტნავადაც განვითარდებიან თავის მომავალი ასპარეზისათვის“. კორესპონდენციის ავტორს ასეთი მოსამზადებელი პერიოდი ზედმეტად მიაჩნდა, ბუნებით ნიჭიერი ჩვენი ხალხი ამის გარეშეც ეხლავე შესძლებდა თვითმმართველობის ორგანიზაციას. მაგრამ არა უშავს, ეს დროც მალე გავა და „უფალ ღუბერნატორის შეპირებისამებრ ქუთაისს მიეცემა საკუთარი ხმა ... მაშინ მას ექნება სრული ნება, რომ ისეთი მხარეები ქალაქის გასავლისა, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ მცხოვრებთათვის, ღობეს გადაღმა გადაისროლოს. მას ადვილად შეეძლება იქონიოს საქალაქო სკოლა, ბანკი, საავადმყოფო, განათებული და სუფთა ქუჩები და სხვ. ერთი სიტყვით, მაშინ შეეძლება უკეთ მართოს თავისი

---

[1] „დროება“, 1874, № 417.

ცხოვრება და იმდენად გაინათლოს სიცოცხლე, რამდენადაც შესაძლებელია კვამლიანი სახლის გაჩაღება“ [1].

მართალია, ქუთაისმა მიიღო თვითმმართველობა, მაგრამ თვითმმართველობის უფლება ენიჭებოდა არა ქალაქის მთელ მოსახლეობას, არამედ მხოლოდ მის ზედაფენას. XIX ს. 80-იან წლებში ქუთაისში ხმის უფლებით სარგებლობდა 800—900 კაცი, მთელი მოსახლეობის მხოლოდ 3—4 პროცენტი. აქედან პირველ თანრიგში ითვლებოდა 25—30, მეორე თანრიგში — 60—70 და მესამე თანრიგში — 600—700 ამომრჩეველი. ყოველი თანრიგი ირჩევდა 17 ხმოსანს. ამდენად, პირველი თანრიგის ცენზიან მოქალაქეებს სათათბიროში გაჰყავდათ ყოველ ორ ამომრჩეველზე ერთი, მეორე თანრიგის მოქალაქეებს ყოველ ოთხ ამომრჩეველზე — ერთი, ხოლო მესამე თანრიგის მოქალაქეებს ყოველ 50—60 ამომრჩეველზე — ერთი ხმოსანი. როგორც ვხედავთ. ქუთაისის სათათბიროში და საერთოდ თვითმმართველობის ყველა ორგანოებში თავიდანვე გაბატონდა შეძლებულ მოქალაქეთა მცირე ჯგუფი, დაახლოებით 90—100 კაცი.

1875 წლის 16 სექტემბრისათვის დაინიშნა ქუთაისის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. ს. მესხი, ისევე როგორც უფრო ადრე თბილისის თვითმმართველობის გახსნას, ქუთაისის თვითმმართველობის დაბადებასაც სიხარულით მიესალმა და თავისი გაზეთის მეშვეობით შკითხველებს აცნობა: „თუმცა სრულად არა. მაგრამ ქუთაისსაც ეღირსა ბოლოს თავისათვის დიდი ხნის ნატვრის შესრულება: ქალაქს მიენიჭა უფლება, რომ თავის შინაგანი... საქმეები თვითონვე განაგოს ამორჩეული... პირების საშუალებით.

„თუმცა სრულად არაო“ იმიტომ ვამბობთ, რომ ქალაქის თავის არჩევა გამგეობაზე არ არის დამოკიდებული. იმას ჯერჯერობით მთავრობა ნიშნავს. მაგრამ თავის საქმეების გამგებლობაში ქალაქს ახლა უფრო მომეტებული მოეკითხება. ვიდრე დღემდი. როგორც კერძო მამული შემოსავალს იმატებს კარგი გამგებლის ხელში, აგრეთვე ქალაქიც შეიმატებს და გამდიდრდება კარგი, თავიანი გამგეობის წყალობით“. ს. მესხი მოუწოდებდა ქუთაისელებს ხმოსნებად აერჩიათ პატიოსანი, მცოდნე და საზოგადო ინტერესებისათვის თავდადებული პირები [2].

[1] „დროება“, 1874, № 406.

[2] „დროება“, 1875, № 104.

ქუთაისის სათათბიროს შემადგენლობა მთავრობამ 52 ხმოსნით განსაზღვრა. 1875 წლის 12 სექტემბერს ხმოსნებად არჩეულ იქნენ: ა. ფიფინაშვილი, გ. აბაშიძე, კ. ხაზაროვი, ი. დავიდოვი, კ. ნადირაძე, ნ. ღოღობერიძე, ი. სტეფანოვი, პ. თუმანიშვილი, ანტ. ლორთქიფანიძე, კ. ქვარიანი, გ. ბაინდუროვი, გ. ღოღობერიძე, ი. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, ლ. ასათიანი, ი. მესხი, ბ. ხელთუფლიშვილი, მ. რიჟინაშვილი, ს. ღულაძე, დ. ალავიძე, დ. ჩხეიძე, ა. ფირალოვი, კ. ერისთავი და სხვ. [1].

1875 წლის 1 დეკემბერს სასტუმრო ლივადიაში ჩატარდა ქუთაისის საქალაქო სათათბიროს პირველი სხდომა. ხმოსანთა მიერ ფიცის დადების შემდეგ თავმჯდომარემ — მთავრობისაგან დანიშნულმა ქალაქის თავმა ნ. ს. აბაშიძემ — განაცხადა, რომ დღეიდან ქუთაისის თვითმმართველობა იხსნება და ახლავე უნდა მოვახდინოთ გამგეობის წევრების და მდივნის არჩევნები. მაგრამ ხმოსანთა უმრავლესობამ მოითხოვა ჯერ გამორკვეულიყო რა შემოსავალი გააჩნდა ქალაქს, რადგან უამისოდ შეუძლებელია თანამდებობის პირთა ჯამაგირების განსაზღვრა. საკითხის შესასწავლად გამოიყო კომისია.

სათათბიროს მეორე სხდომაზე, რომელიც გაიმართა სტეფანე აკოფაშვილის სახლში 4 დეკემბერს, კომისიამ წარადგინა ცნობები და თავისი მოსაზრებანი თანამდებობის პირთა ჯამაგირების ოდენობის თაობაზე. გამგეობის წევრებად არჩეულ იქნენ ანტ. ლორთქიფანიძე და ივ. ჯაიანი, მათ კანდიდატებად — ბ. ხელთუფლიშვილი და სტ. აკოფოვი, მდივნად — უ. ღულაძე [2].

„ამ ორი კვირის წინათ, — წერდა ს. მესხი, — ქუთაისში პირველად იყო არჩევანი ახალის წესით, ქალაქის გამგეობის წევრთა. ... ვინც იცის თუ როგორ დახლართულია ქუთაისის საქალაქო საქმეები, ის დაგვეთანხმება, რომ ახალ გამგეობას წინდახედვითა და განსაკუთრებულის ანგარიშით მართებს ახლა საქმის დაჭერა. ქუთაისი, მართალია, პატარა ქალაქია და პატარა შემოსავალი აქვს, მაგრამ ამასთანავე არც გასავალი აქვს ბევრი, საუბედუროთ დღემდე ეს პატარა შემოსავალიც უხეიროთ და უანგარიშოთ იხარჯებოდა. თითქმის სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას ქალაქის

---

[1] „დროება", 1875, № 136.

[2] ი ქ ვ ე, № 143.

ნამდვილ საჭიროების დაკმაყოფილებას". აკრიტიკებდა რა ქალაქის საპოლიციო მმართველობის მახინჯ მხარეებს, ს. მესხი რწმენას გამოთქვამდა, რომ ქუთაისის თვითმმართველობის სათათბიროს ხმოსნები და გამგეობის წევრები „ხელიხელ ჩაკიდებული, ძმურად, თანხმობით" იმუშავებენ და ძველი უხეირო მმართველობის წყალობით ჩამორჩენილ საქალაქო მეურნეობას აღმავლობის გზაზე დააყენებენო [1].

ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენები, ცენზიანი მოქალაქეები მტრულად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანი ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებას და ამ დაწესებულების გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის.

ინტელიგენციას, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა და ამიტომ არ შეეძლო პრაქტიკული მონაწილეობა მიეღო საქალაქო თვითმმართველობების საქმიანობაში. პროგრესული საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ როგორმე შემოეკლოთ კანონისათვის და სათათბიროში გაეყვანათ ინტელიგენციის წარმომადგენლები. ქუთაისელებს ამისათვის გამოუყენებიათ საქალაქო დებულების ერთი მუხლი, რომლის თანახმად არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ნოქრებსაც. ნოქრის მოწმობა კი არც ისე ძვირი ღირდა. ქუთაისის მკვიდრ რამდენიმე განათლებულ კაცს სწორედ ნოქრის მოწმობის აღებით მოუპოვებია როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო ხმის უფლება. ეს მანევრი კანონის დამცველებს კარგა ხანს ვერ შეუმჩნევიათ, მაგრამ 1888 წელს გამოაშკარავებულა და საარჩევნო სიიდან ამოუშლიათ ცნობილი მოღვაწეები — კ. ლორთქიფანიძე, ივ. მესხი, დ. დადიანი, დ. ბაქრაძე, ივ. ჯაიანი, ნ. კანდელაკი, პ. ლორთქიფანიძე და სხვ. „ყველა ეს მოხსენებულნი კაცნი, — წერდა „ივერია", — ცნობილი არიან ქუთაისში... წარსულს ოთხი წლის განმავლობაში ხმოსნებად იყვნენ აქაურს საბჭოში იმავე უფლებით, რა უფლებითაც ახლა უნდოდათ ესარგებლათ, მაგრამ არ დასცალდათ ... ამათი გამორიცხვა, — გულისტკივილით დასძენს რედაქცია, — დიდათ დაემჩნევა ქუთაისის საქალაქო რჩევას" [2]. მართლაც, ამ განკარგულების წყალობით ქუთაისის საქალაქო სა-

---

[1] „დროება", 1875, № 136.

[2] „ივერია", 1888, № 10.

თათბიროში, რომელსაც აქამდე პირველი ადგილი ეკავა ინტელიგენტი ხმოსნების რაოდენობით, ვაჭარ-მრეწველები, მოხელეები და სხვა ჯურის საქმოსნები გაბატონდნენ.

1878 წლის დასასრულს ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მიეცა ქალაქის თავის არჩევის უფლება. საჭირო იყო სასწრაფოდ გამოენახათ შესაფერისი კანდიდატი. დროებაში დაიბეჭდა სატირული ხასიათის კორესპონდენციები, რომლებშიც გაკრიტიკებული იყო სათათბირო, გამგეობა და თვით ქალაქის თავობის შესაძლო კანდიდატებიც [1].

ქუთაისის ქალაქის თავის თანამდებობაზე დასახელებული ყოფილა სამი კანდიდატი — ლ. ასათიანი, ძველი ქალაქის თავი ნ. აბაშიძე და ს. მაჭავარიანი. ყველასათვის ცხადი გამხდარა, რომ ლ. ასათიანს უჭერდა მხარს ამომრჩეველთა და ხმოსნების დიდი უმრავლესობა. ალბათ, ამიტომ აბაშიძემ და მაჭავარიანმა თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს, უარი თქვეს კენჭის ყრაზე. ლ. ასათიანმა მიიღო 42 თეთრი და 5 შავი და დაიკავა ქალაქის თავის სავარძელი [2].

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერდა: „როდესაც დროებამ გამოაცხადა ლ. ასათიანის უპირატესობა ქუთაისის ქალაქის თაობაზე, იმას ძალიან კარგად ჰქონდა წარმოდგენილი თვალწინ ამ კაცის ღირსება. ლ. ასათიანმა თავის წარსულის ცხოვრებით ყველას დაუმტკიცა, რომ ის არის დაუღალავი მშრომელი, თავის მოვალეობის პატიოსნად ამსრულებელი და საზოგადო საქმის გულშემატკივარი ... უფ. ლ. ასათიანს არ მიუღია არც მაღალი სწავლა და არც მაღალი პრინციპები. მაგრამ მისთვის მიუცია ბუნებას კარგი გონება და კეთილი ზნე.

ეს ოთხი წელიწადი, — განაგრძობს კორესპონდენციის ავტორი, — იმის საცდელი წელიწადია, თუ ამ ოთხ წელიწადს ის გვიჩვენებს უმთავრეს თვისებას, რომელიც ქალაქის თავს უნდა ჰქონდეს — გამბედაობას და თავიანობას — მაშინ მომავალი ოთხი წელიწადიც მისია. თუ არა და, ნურას უკაცრავად, მაშინ ჩვენც უფრო ენერგიის და ფხის მქონე კაცის ძებნას შევუდგებით“ [3].

---

[1] „ივერია“, 1878, № 266.
[2] იქვე, № 268.
[3] „დროება“, 1878, № 268.

გ. წერეთელი შემდეგ ლაპარაკობს წარსულში საზოგადოებრივი ინტერესების უგულვებელყოფაზე და თვით საზოგადო მოღვაწეთა მიერ კერძო ინტერესების დაცვაზე. სკოლებიდან ქართული ენა განდევნილია, ქართველთა უმრავლესობა ამის გამო სწავლა-განათლებას ვერ ღებულობს, მაგრამ თავადაზნაურთა საგუბერნიო მარშლებს აზრადაც არ მოსვლიათ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად შუამდგომლობის აღძვრა. არც სასამართლოში ქართული ენის დაშვება მოუთხოვია ვისმესო. მაგრამ ახლა „დრო გამოიცვალა. საზოგადოება გამოფხიზლდა. ჩვენ ახლა ისეთი მოთავე ველარ გაგვაკვირვებს, რომელმაც ან წესიერად პროტოკოლების შედგენა იცის, ან სქელი ჯინჯილები აყრია მხრებზე. ჩვენ ვეძებთ მხნე, გამბედავ კაცს, რომ ამასთანავე საზოგადოების საჭიროება ნამდვილათ ესმოდეს და ამ საჭიროების გულისათვის იბრძოდეს.

ჩვენ, — დაასკვნის გ. წერეთელი, — დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ახალი თავის და ვნახოთ რამდენად გაამართლებს იგი ქალაქ ქუთაისის გულდანდობას“ [1].

1879 წლის დეკემბერში ჩატარდა ქუთაისის საქალაქო სათათბიროს მეორე შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები. პირველი თანრიგის ამომრჩევლებმა სათათბიროში გაიყვანეს: ნ. ღოღობერიძე, ლ. ასათიანი, გ. ღოღობერიძე, მ. ფაღავა, ანტ. ლორთქიფანიძე, ი. ჯაიანი, კ. ქვარიანი, გ. კიზირია, მ. რიჟინაშვილი, ნ. ზალინოვი, დ. ლორთქიფანიძე, მ. თურქია, ი. გველესიანი, ი. მესხი, ა. ფიფინოვი, დ. აბდუშელიშვილი, კ. გაგემეისტერი და დ. ბაქრაძე. მეორე თანრიგმა ხმოსნებად აირჩია: ლ. ავალიანი, ვ. აბულაძე, პ. თუმანოვი, ს. ღულაძე, ლ. თუმანოვი, ს. კურნოვი, ტ. იარალიანცი, ფ. ავსარქისოვი, დ. წურინოვი, დ. ალავიძე, შ. იაკობაშვილი, ე. ჩარექოვი, პ. ფირალოვი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ღოღობერიძე, ა. წერეთელი, კ. მარჯანოვი, ე. კაკიტელაშვილი. მესამე თანრიგის ამომრჩევლებმა კი ხმოსნებად გაიყვანეს: დ. ნაზაროვი, მ. კაშკოვი, ნ. ქურციკიძე, ბ. ლოსაბერიძე, ნ. ერისთავი, მ. ავალიანი, შ. რიჟინაშვილი, ზ. ბერუჩევი, ს. ქვარიანი, ი. პურადოვი, დ. სულავა, ი. კოკოჩოვი, ვ. გრიკნიაკი, დ. ჩიმაკაძე, მ. შნეიდერი, ზ. ბარძიმაშვილი და ი. გაბაშვილი [2].

---

[1] „დროება“, 1878, № 268.

[2] იქვე, 1881, № 3 და № 4.

„დროების“ ერთ-ერთი კორესპონდენტი მიესალმა სათათბიროს ახალ შემადგენლობას და კმაყოფილებით აუწყა საზოგადოებას, რომ სათათბიროში ძირითადად ახალგაზრდა და ნასწავლი ხალხი გავიდაო. „ჯერ ჩვენში არც ერთ საზოგადო საქმეში არ ყოფილა ამდენი ახალგაზრდობა ერთად. იმედია ესენი გაამართლებენ ჩვენს მოლოდინს. ერთგულათ და გონიერათ ემსახურებიან ქალაქს და ეცდებიან, რომ უაზრო კინკლაობა და პარტიობა მოსპონ“ [1].

პროგრესული ინტელიგენციის იმედი არ გამართლდა. ქუთაისის თვითმმართველობას ახალგაზრდულმა სათათბირომ ვერ უშველა. მართალია, გადაიდგა ზოგი ნაბიჯი ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ თითქმის არც ერთი ღონისძიება ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. პირადული „უაზრო კინკლაობა“ და პარტიული დაჯგუფებანი არა თუ აღმოიფხვრა, არამედ, პირიქით, გამომჟღავნდა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა წინააღმდეგობის გამწვავების ტენდენცია, რაც პარტიული დაჯგუფებების არსებობას აუცილებელ მოვლენად აქცევდა.

1884 წელს ქუთაისში ხმოსანთა მესამე არჩევნები ჩატარდა. მაგრამ მთავრობამ რატომღაც ამ წლიდან ქუთაისის სათათბიროს ხმოსანთა შემადგენლობა 54-დან 36-მდე შეამცირა. „ქუთაისის საბჭოს, — აუწყებდა „ივერია“ თავის მკითხველებს, — შეადგენს დღეს 36 ხმოსანი... ასე რიცხვით პატარა საბჭოში რომ ნახევარი ინტელიგენცია იყოს, ქუთაისს გარდა, სხვა რომელსამე ქალაქის საბჭოს ვერ დამისახელებთ. ქუთაისში კი 34 ხმოსნიდან (ორი ხმოსანი გარდაიცვალა) 16 ეკუთვნის ინტელიგენციის დასს. დიდი ბრძოლა და მეცადინეობა გასწიეს არჩევნის მოთავეებმა, რომ ამდენი „განათლებული“ კაცი გაეყვანათ ხმოსნებად, აუსრულდათ კიდეც გულის წადილი. იმედი გვქონდა, რომ ეს განათლებული და ახალგაზრდა ხმოსნები უფრო გულმტკივნეული იქნებოდნენ, უფრო გულდასმით, ბეჯითად და მომეტებულის ცოდნით მოეჭიდებოდნენ ქალაქის საქმეებს და სხვ. მაგრამ სამწუხაროდ გაგვიწბილდა ეს ჩვენი იმედი. საბჭოს სხდომების ბიულეტენი გვარწმუნებს, რომ ათი სხდომიდან განათლებული ხმოსანი ესწრება მხოლოდ სამს ამისთანა სხდომას, რომელზედაც უთუოდ გამგეობის წევრების არჩევანზე ან ჯამაგირის მომატებაზე არის ლაპა-

[1] „დროება“, 1880, № 3.

რაკი. სხვა რომელიმე საქმეები ქალაქისა, ვთქვათ ქალაქის გამშვენიერება, ქუჩების გაკეთება, განათება, ქალაქის პლანი, სასაფლაოს გამართვა, წყლის გაყვანა, სკოლის საქმე და სხვ. თითქოს მას სრულიად არ შეეხება. ამისთანა საქმეების განხილვას და გადაწყვეტას ის უთმობს თავის ამხანაგებს — სამსახურიდან გადამდგარ მოხელეებს, ან გასაკოტრებლად გამზადებულ ვაჭრებს, პრიკაზჩიკობიდან გუშინწინ თავდაღწეულს ახალმოდურს „კუპცებს“ და სხვ. ამისთანა ხმოსნებს, რომელსაც ჯერ კარგად ვერც კი შეუგნიათ „ხმოსნის“ მოვალეობა და მნიშვნელობა. ერთი განათლებული ხმოსანი იმისთანა გვყავს, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დასწრებია ქალაქის საბჭოს სხდომას ... ვურჩევთ იმათ, რომელთაც თავის გაბახება არ უნდათ და ამნაირად განათლებულთა დასის სახელის დამცირება, ნუ იკისრებენ საზოგადო საქმეში იმისთანა მოვალეობას, რომლის აღსრულებაც არ ძალუძთ“ [1].

„ივერიის“ კრიტიკაში, რა თქმა უნდა, სიმართლის საკმაოდ დიდი დოზა ერია. ფაქტი იყო, რომ თვითმმართველობის ინტელიგენტ მოღვაწეთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ქალაქის საერთო ინტერესების დონემდე ამაღლებას, ისინი ქალაქის მოსახლეობის ამა თუ იმ ფენის ინტერესებს გამოხატავდნენ და სწორედ ამიტომ ექცეოდნენ „ივერიის“ პუბლიცისტთა კრიტიკის ქარცეცხლში. „ივერია“, რომელიც ქართველი ერის სახელით გამოდიოდა და მთელი ხალხის ინტერესების სამსახური მიაჩნდა საზოგადო მოღვაწის დანიშნულებად, ბუნებრივია, საქალაქო თვითმმართველობათა მუშაობის, მის ცალკეულ მოღვაწეთა საქმიანობის შეფასების დროს თავის ამ პრინციპიდან გამოდიოდა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის ინტელიგენტ მოღვაწეებსაც საზოგადო ინტერესების სამსახურს სთხოვდა.

1887 წლის ბოლოს უნდა ჩატარებულიყო ქუთაისის საქალაქო სათათბიროს ახალი შემადგენლობის არჩევნები. ქართული პრესა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც აქტიურად ჩაება საარჩევნო კამპანიაში. „ივერიამ“ კვლავ საზოგადო ინტერესების დაცვის პრინციპი დაუდო საფუძვლად თავის გამოსვლას.

„ამ უკანასკნელ ხანებში, — წერდა მოწინავეში „ივერია“ —

---

[1] „ივერია“, 1887, № 202.

ქუთაისი მეტად შეშფოთებული და გაცხოველებულია მომავალ საქალაქო არჩევნების მოლოდინში ... რასაკვირველია, საზოგადოების სიფხიზლე და სიცხოველე სასიამოვნო და საგულისხმოა. მაგრამ თუ ამ სიფხიზლეს და სიცხოველეს ძირი და დასაბამი არ გაუსინჯეთ, შეცდომა ადვილად შესაძლებელია... მართლაც, ჩაუკვირდეთ იმ წერილებს, რომლებიც ჩვენ დავბეჭდეთ. როგორც ამ წერილებიდან სჩანს, ქუთათურების სიცხოველე ყალბი და ფშუტია... ქუთაისში, როგორც ჩვენი მოამბენი მოწმობენ, საზოგადო საქმე, ქალაქის საჭიროება, პატიოსნება და სხვ. ამგვარი სიტყვები მხოლოდ ფერუმარილია იმათთვის, ვისაც საზოგადო საქმე კიტრადაც არ მიაჩნია. ქუთათურები დანაწილებულან დას-დასად, თითოეული დასი ხმამაღლა გაიძახის, საჭიროა ქალაქისათვის ვიზრუნოთ. მაგრამ ქალაქად საკუთარი თავი მიიჩნია და არა მთელი კრებული მცხოვრებთა...

თუ არ ვცდებით, — განაგრძობს შემდეგ რედაქცია, — სარბიელზე არც ერთი ისეთი დასი არ გამოსულა, რომელსაც მხოლოდ ქალაქის საჭიროება ჰქონდეს მხედველობაში, რომელიც საზოგადო საქმეს უყურებდეს ვითარცა წმინდა საგანს, რომლის წინაშე ყველა ქვენა გრძნობა უნდა დადუმდეს ... ამით ის კი არ უნდა გვეთქვა, ვითომ ქუთაისში არ იყვნენ ისეთი მოღვაწენი, რომლებსაც გულს არ უკლავდეს იქაური გარემოება. არა ამგვარი მოღვაწენი იქ უსათუოდ უნდა იყვნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ თავი ვერ გამოუჩენიათ, რადგანაც პატიოსანი ადამიანი ზოგჯერ ვერ შეებრძოლება ანგარებას და ბინძურებას, რათა თვითონაც არ გაისვაროს“ [1].

„ივერიის“ საზოგადოებრივი მორალის შესახებ ქადაგობა საქმეს ვერ შველოდა. ქუთაისური წესი საარჩევნო კამპანიისა ძალაში რჩებოდა. ვინმე ბესიკი ატყობინებდა მკითხველებს, რომ ქუთაისის მეკენჭეები ცალ-ცალკე როდი მოქმედებენ, ისინი დასდასად არიან დაყოფილი და მოთავედ სამი კაცი ჰყავთო. „ეს სამი კაცი, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ „ქუთათური დოქები“, განაგებენ როგორც ქალაქის ყველა საქმეებს, აგრეთვე ჩვენსავე ორსავე ბანკების საქმეებსაც. ამათს სურვილსა და თავმოყვარეობას ვერც გამგეობა და ვერც სხვა ვინმე გადაეღობება წინ“ [2].

---

[1] „ივერია“, 1887, № 273.

[2] იქვე, № 257.

1888 წლის იანვარში ჩატარდა ქუთაისის მეოთხე მოწვევის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. სათათბიროში შეევიდნენ: თავადი პ. თუმანოვი (ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე), ი. გველესიანი (მემამულე), გ. კემულარია (ვაჭარი), მ. შნეიდერი, ი. ელიგულაშვილი, ს. კურცოვი, ა. ხანანაშვილი, ანტ. ვიტუშინსკი (აფთიაქარი), ნ. ერისთავი (სათავადაზნაურო ბანკის დირექტორი), ედ. კაკიტელაშვილი (ვაჭარი), კ. ადანაია (ვაჭარი), ვ. აკოფოვი (მემამულე), ს. ლორთქიფანიძე (სამხედრო ექიმი), მ. ქუთათელაძე (საურთიერთო ბანკის დირექტორი), ლ. ასათიანი (ქალაქის თავი), მ. ლორთქიფანიძე (მომრიგებელი შუამავალი), ლ. ლოლუა (ადვოკატი), ლ. კოკოჩოვი (აფთიაქარი), მ. ნიკოლაძე, მ. კიზირია, მ. რიჟინაშვილი, ი. ალიბეგოვი, კ. ქვარიანი, ი. ოგანეზოვი, გრ. ჭილაძე (ვაჭრები), ი. აბზიანიძე (კანცელარიის მწერალი), ი. მურადოვი (ვაჭარი), დ. მიქიაშვილი (მემამულე), ბ. კანდელაკი, დ. აბდუშელიშვილი (ნოტარიუსი), დ. ლორთქიფანიძე (ნაფიცი ვექილი), ს. მხეიძე (ბოქაული), პ. ფირალოვი (მემამულე), ბ. ლოსაბერიძე (საადგილმამულო ბანკის მდივანი), დ. ბახტაძე (ვაჭარი) [1]. „აი ამათ ჩაბარა, — წერდა „ივერიის "კორესპონდენტი, — ამ მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქალაქმა თავის ბედ-იღბალი. ჯერჯერობით არცერთ მათგანზე არა ითქმის რა. ზემოთ მოყვანილ სიაში ბევრი ძველი ხმოსანი ურევია, წინათ ნამსახური; თუმცა გულზე ხელი უნდა დავიდოთ და ვსთქვათ, რომ არც ერთს იმათგანს დიდი ღვაწლი არ გაუწევია და მაინცდამაინც თავი არ შეუწუხებია. მაგრამ ვინ იცის, ახალმა ამხანაგებმა ეგება ამათაც შეუნგრიონ დამდგარი სისხლი, შემატონ ძალ-ღონე და მეტი ხალისი და მეცადინეობა გაუღვიძონ ქალაქის სამსახურისათვის. ღმერთმა ქნას!" [2].

ქალაქის თავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს ძველმა ქალაქის თავმა ასათიანმა და ყაითმაზოვმა. პირველმა 18 თეთრი და 16 შავი, მეორემ 18 თეთრი და 17 შავი მიიღო. მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა ლ. ასათიანმა და კვლავ ჩაჯდა ქალაქის თავის სავარძელში. გამგეობის ვადაგასული წევრის ი. მესხის ნაცვლად (რომელიც განმეორებით არჩევნებში გაშავდა) არჩეულ იქნა

---

[1] „ივერია", 1889, № 19.

[2] იქვე.

ვ. აკოფაშვილი. ლ. ასათიანის მიერ მიღებული მინიმალური უპირატესობა და ი. მესხის გაშავება „ივერიის“ კორესპონდენტმა შეაფასა როგორც ძველი საქალაქო გამგეობის გაკიცხვა. „თავის უსაქმურობისა და უსუსურობის გამო, გამგეობას განაჩენი წაუკითხეს და ეს არასოდეს არ უნდა დაივიწყონ ქალაქის მმართველებმა“ [1].

1888 წლის ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებს წერილები მიუძღვნა „ნოვოე ობოზრენიემაც“. ამ გაზეთის კორესპონდენტი აცნობდა მკითხველებს, რომ ქალაქის მთელი ყურადღება არჩევნებისადმია მიძღვნილი. მთელი ინტერესი თავმოყრილია საკითხებში თუ ვინ იქნებიან არჩეული ხმოსნებად და ვის აირჩევენ ხმოსნები ქალაქის თავად. ბრძოლაში იყენებენ ყველა შესაძლებელ იარაღს — ჭორებს, საჩივარს, ხრიკებს, ცილისწამებას და სხვ. ქალაქის თავის კანდიდატებად დასახელებულია ლ. ასათიანი და 4 კიდევ სხვა. ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო არც ესოდენ ბევრი კანდიდატების წამოყენებისა და არც გაცხარებული ბრძოლისა. ამ მოვლენებს ვთვლით საქალაქო თვითმმართველობის მოწესრიგების და ქალაქის ამომრჩეველთა საზოგადოებრივი აღზრდის საუკეთესო გარანტიად, მაგრამ საჭიროა თვით ამ ბრძოლის მოწესრიგება, მისი რაციონალურ გზაზე დაყენება. საარჩევნო ბრძოლაში მოწინააღმდეგეები ძალიან ხშირად მიმართავენ ერთმანეთის გათახსირებას, ცდილობენ ქალაქის თავის არასასურველი კანდიდატებისათვის სახელის გატეხვას არასაკადრისი ხერხებით. მაგრამ პრინციპების შესახებ არავინ ლაპარაკობსო.

თუ ქალაქის თავობის კანდიდატები, განაგრძობს შემდეგ გაზეთი, ქალაქის თავის სავარძლის დაკავებას არ ცდილობენ ჯამაგირისა და წვრილმანი თავმოყვარეობისათვის, არამედ მიზნად აქვთ დასახული პატიოსნად იშრომონ თავის თანამოქალაქეთა სასარგებლოდ, მათ მართებდათ არა ჭორებისა და ცილისწამებისათვის მიმართვა, არამედ ბრძოლა თავისი პროგრამის წამოყენების გზით. მათ უნდა აუხსნან ამომრჩევლებს თუ რა ზომებით და საშუალებებით ცდილობენ ბიუჯეტისა და ქალაქის საქმეების მოწესრიგებას. თუ პირადი ანგარიშსწორება პრინციპულ ნიადაგზე გაშლილი ბრძოლით შეიცვლება ეს ხელს შეუწყობს ამომრჩეველთა აღზრდას

[1] „ივერია“, 1888, № 29.

და ამით თავიდან იქნება აცილებული ის სამარცხვინო მდგომარეობა, როცა არჩევნების შემდეგ დასვრილი რჩებიან არა მარტო გაშავებულნი, არამედ თანამდებობებზე არჩეული პირებიცო“ [1].

კენჭის ყრის შემდეგ არჩეულ ქალაქის თავად, როგორც აღვნიშნეთ, გამოცხადდა ლ. ასათიანი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ საჩივრები გაისმა. ერთ-ერთმა ხმოსანმა ასათიანის არჩევა არასწორად მიიჩნია, რადგან ყაითმაზოვისათვის მის მიერ მიცემულმა შავმა გადაწყვიტა საკითხიო. „ნოვოე ობოზრენიე“ გამოეხმაურა ამ ამბავს და განაცხადა: ქალაქის თავის სავარძელს ასათიანი შეინარჩუნებს თუ ქალაქის თავად ყაითმაზოვი გახდება, სულ ერთია, არც ერთ მათგანს არ ექნება უფლება თავი ჩათვალოს საზოგადოების რჩეულად. სინამდვილეში ორივე იქნება საზოგადოებისათვის შემთხვევით თავს მოხვეული, რომელმაც არც ერთი არ სცნო ქალაქის თავობის ღირსადო [2].

ლ. ასათიანი სამჯერ იქნა ზედიზედ არჩეული ქუთაისის ქალაქის თავად, 1879—1892 წლებში მისი ხელმძღვანელობით საქმიანობდა ქუთაისის თვითმმართველობა. პირველ ხანებში ლ. ასათიანი ქუთაისის საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობდა, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ლ. ასათიანის მეთაურობით ქუთაისის მუნიციპალიტეტს ბევრი არაფერი გაუკეთებია ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, არც სახალხო განათლების და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოუჩენია თავი. ამას მნიშვნელოვანწილად ობიექტური მიზეზები განაპირობებდა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მეღავნდებოდა ქალაქის თავის და გამგეობის წევრების უუნარობა თავი გაერთმიათ რთული საქალაქო მეურნეობის მართვა-გამგეობისათვის. ამიტომ, ბუნებრივია, ქუთაისის საზოგადოებამ თანდათან პოზიცია შეიცვალა, ბევრი ამომრჩეველი და საზოგადო მოღვაწე ოპოზიციაში ჩაუდგა ძველ გამგეობას. ეს ცვლილება საზოგადოების განწყობილებაში აშკარად გამომჟღავნდა 1888 წლის არჩევნების დროს, როცა ლ. ასათიანმა მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა. მაშინ ქალაქის თავად მესამეჯერ არჩეულმა ლ. ასათიანმა პირობა დადო, რომ ყოველგვარ ზომებს იხმარდა ჩავარდნების აღმოსაფხვრელად და ქალაქის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ვერც თავისი

[1] «Новое обозрение», 1888, № 1409.
[2] «Новое обозрение», 1888, № 1425.

მოღვაწეობის მესამე ოთხწლეულში გაამართლა ხმოსნებისა და ქალაქის საზოგადოების იმედი. ასეთ სიტუაციაში ოპოზიციას მომხრეები მიემატა და იგი ორგანიზებული დაჯგუფების სახით ჩამოყალიბდა.

1892 წლის დამდეგს უნდა ჩატარებულიყო სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანთა და გამგეობის არჩევნები. ქუთაისის მთელი საზოგადოების ყურადღება ამ მოვლენისადმი იყო მიპყრობილი. „სხვადასხვა დასის მოთავეებმა — წერდა „ივერია“, — წელს მთელი თავისი მოხერხება და მხნეობა უნდა გამოიჩინონ. ზოგ მათგანს იმედი და სურვილი აქვს, რომ საბჭო და გამგეობა განახლებული იქნება. აგრეთვე მეტისმეტ ცდასა და მოხერხებას იჩენენ ისინიც, ვისაც განზრახვა აქვთ სათვითმმართველო სარბიელზე ახლად გამოვიდნენ და მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდონ“ [1].

პირველი თანრიგის ხმოსანთა არჩევნები დანიშნული იყო 9 იანვარს. ცენზიან მოქალაქეთა გარდა არჩევნებს ესწრებოდა ძალიან ბევრი გარეშე ხალხი და გაზეთების კორესპონდენტები. ასევე დიდი აჟიოტაჟი შეინიშნებოდა 13 და 16 იანვარს მეორე-მესამე თანრიგის ხმოსანთა არჩევნების დროსაც. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება მესამე თანრიგის ხმოსანთა არჩევნებზე. სხდომაზე 400-მდე ამომრჩეველი გამოცხადდა. დასახელებულ იქნა ხმოსნობის 200-მდე კანდიდატურა. მართალია, 70 მათგანმა კენჭის ყრაზე უარი თქვა, მაგრამ კანდიდატი მაინც იმდენი დარჩა, რომ კენჭის ყრა რამდენიმე დღე გაგრძელდა. გამომჟღავნდა მთელი რიგი დარღვევები, რის გამო ქალაქის თავმა კრება არაკანონიერად გამოაცხადა [2].

„ივერიამ“ ქუთაისის მესამე თანრიგის ამომრჩეველთა ჩაშლილ კრებას მოწინავე წერილი მიუძღვნა. დასები და დაჯგუფებანი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ქუთაისელთა დასობანას ქიშპი, შური, მტრობა უდევს საფუძვლად და არა იდეური წინააღმდეგობანიო [3]. ქუთაისის მესამე თანრიგის ამომრჩეველთა განმეორებითი კრება დაიწყო 7 თებერვალს და 4 დღე გრძელდებოდა.

ქუთაისელთა გაჭიანურებულ საარჩევნო ბრძოლას „ნოვოე

---

[1] „ივერია“, 1892, № 9.
[2] იქვე, № 11, № 14.
[3] იქვე, № 16.

ობოზრენიეც“ გამოეხმაურა. გაზეთის აზრით, კრების ჩაშლა არ იყო შემთხვევითი ხასიათისა. საკუთარი კორესპონდენტის ცნობებზე დამყარებით რედაქცია აუწყებდა მკითხველებს, რომ საარჩევნო კამპანიის ესოდენ გამწვავება კალისტრატე ჩიკვაიძის პარტიის „დამსახურებაა“. ეს უკანასკნელი ცდილობს საქალაქო საქმეებშიც ისევე გაბატონდეს, როგორც გაბატონებულია საადგილმამულო ბანკში და სათავადაზნაურო საკრებულოშიო.

ამ ახალი პარტიის სულის ჩამდგმელი ქუთაისის ახალგაზრდა ადვოკატი 1890 წლამდე უცნობი იყო თვით ქუთაისელთათვისაც კი. აღნიშნულ წელს ბანკის მმართველობის არჩევის დროს უცბად გაჩნდა მთელი დაჯგუფება, რედაქციის გამოთქმით „პარტია“, რომელმაც ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დ. დადიანის ნაცვლად გაიყვანა კ. ჩიკვაიძე.

ამის შემდეგ კ. ჩიკვაიძის ავტორიტეტი სწრაფად გაიზარდა და მისი მომხრეთა დასი შეეცადა ქუთაისის სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებშიც გაბატონებულიყო. ბანკის გამგეობაში მყარი მდგომარეობის შენარჩუნების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ჩიკვაიძის პარტიას საქალაქო თვითმმართველობაში გაბატონება მიაჩნდა.

„ნოვოე ობოზრენიე“ სვამდა კითხვას ვინ არიან ეს ახალი მოღვაწეები, რომელნიც თავგამოდებით ცდილობენ ქუთაისის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულების თავის ხელში აღებას, იქნება თუ არა მათი გამარჯვება წინ გადადგმული ნაბიჯი პროგრესის გზაზე? გაზეთის კორესპონდენტი კ. ჩიკვაიძის პარტიის გამარჯვებას, თუ ეს მოხდებოდა, საზოგადოების მარცხად მიიჩნევდა[1].

რამდენიმე ხნის შემდეგ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ გარკვეული კორექტივი შეიტანა თავის პოზიციაში. გაზეთის მოწინავე მკითხველებს აცნობებდა, რომ მესამე თანრიგის ხმოსანთა არჩევნების შედეგები მეორედაც გაუქმდა და იგი მესამედ უნდა ჩატარდეს, ასეთი რამ კი არასოდეს მომხდარა არც ქუთაისში და არც ამიერკავკასიის სხვა ქალაქშიო. ამ მოვლენას რედაქცია უკავშირებდა დემოკრატიული ფენებისა და ინტელიგენციის აქტიურობას. ვაჭარ-მრეწველთა წინააღმდეგ გამოსვლის პირველი ნიშანი თბილისმა მისცა, მის კვალს, როგორც ჩანს, ქუთაისიც მიჰყვება.

---

[1] «Новое обозрение», 1892, № 2778.

ლ. ასათიანი დიდხანს ოპოზიციის გარეშე მოქმედებდა. ახლა კი მისი წინააღმდეგია ამომრჩეველთა ნახევარი. ამასთან ერთად რედაქცია სინანულით აღნიშნავდა, რომ ბრძოლა წარმოებს არა საზოგადოებრივი იდეალებისათვის, არამედ მხოლოდ პირადი სიმპათია-ანტიპათიის ნიადაგზე. ასათიანის მომხრეები ხმამაღლა გაჰყვირიან მის პატიოსნებაზე, ხოლო მოწინააღმდეგენი ხაზს უსვამენ ასათიანის უმოქმედობას. მიუხედავად ამისა, ასეთი ბრძოლა მაინც უკეთესია, ვიდრე წინანდელი უძრაობა. თუ ქუთაისელები მოახერხებენ პატიოსანი და ქალაქის საქმეთა ერთგული პირის ქალაქის თავად არჩევას, ჯერჯერობით მათ მეტი არ მოეთხოვებათო [1].

თებერვლის ბოლოს „ივერიის“ კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ორთვიანი ცხარე ბრძოლის შემდეგ როგორც იქნა დამთავრდა ქუთაისის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები და ახალი შემადგენლობა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო სათათბირომ დაამტკიცა. 1892 წლის 10 მარტს სათათბიროს დარბაზში შეიკრიბა 47 ხმოსანი. დღის წესრიგში იდგა ქალაქის თავისა და გამგეობის ერთი წევრის არჩევა. ქალაქის თავის თანამდებობაზე დასახელებულ იქნა ორი კანდიდატურა — ლუკა ასათიანი და ლუარსაბ ლოლუა. 12 წლიანი სუსტი მუშაობით სახელგატეხილი ძველი ქალაქის თავი დამარცხდა, მან მიიღო 17 თეთრი და 30 შავი. ლუარსაბ ლოლუა, რომელმაც მიიღო 28 თეთრი და 18 შავი, სათავეში ჩაუდგა ქუთაისის მუნიციპალიტეტს. საქალაქო გამგეობის წევრად არჩეულ იქნა ი. მურადოვი, ქალაქის თავის მოადგილედ — ა. გაბაშვილი, ქალაქის მდივნად — ნ. მდივანი [2].

გაჭიანურებული საარჩევნო კამპანია ქუთაისში დამთავრდა ქალაქის თავად ი. ლოლუას არჩევით, — აცნობებდა „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია მკითხველებს, — ლ. ლოლუა როგორც საზოგადო მოღვაწე ჯერ კიდევ არაა ცნობილი. ერთ დროს იგი ქუთაისის საადგილმამულო ბანკში ასრულებდა სამეთვალყურეო კომიტეტის წევრის მოვალეობას და აქტიური როლი შეასრულა კ. ჩიკვაიძის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევაში. ლ. ლოლუას კანდიდატურა ოპოზიციამ წამოაყენა და მისი გამარჯვება მნიშვნე-

---

[1] «Новое обозрение», 1892, № 2808.
[2] „ივერია“, 1892, № 57.

ლოვანწილად განაპირობა კ. ჩიკვაიძის პარტიის მხარდაჭერამ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ თავი შეიკავა ქალაქის ახალი მმართველის დახასიათებისაგან. იგი იმედოვნებდა, რომ ქუთაისის ახალი ქალაქის თავის მიმართ საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ გამოთქმული ეჭვები არ გამართლდება და ის ღირსეულად შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას [1].

1892 წლის დამდეგს ჩატარებული არჩევნებით არსებითად დამთავრდა ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის მოღვაწეობის პირველი პერიოდი. ამის შემდეგ, რუსეთის იმპერიაში გატარდა საქალაქო კონტრრეფორმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქალაქთა ცხოვრებაში. ახალი 1892 წლის დებულების გატარებით მუნიციპალიტეტების საქმიანობაში, საერთოდ, და ქუთაისის თვითმმართველობის საქმიანობაში, კერძოდ, იწყება მეორე პერიოდი.

რას წარმოადგენდა ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა, ვინ განაგებდა მას და ვის ინტერესებს გამოხატავდა ეს დაწესებულება?

აღნიშნული იყო, რომ თვითმმართველობა მიენიჭა ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ ზედაფენას, ვაჭარ-მრეწველებს და სახლთმფლობელებს. 1876-დან 1892 წლამდე ქუთაისის ოთხივე შემადგენლობის სათათბიროში არჩეულ იქნა 180 ხმოსანი. აქედან, 77 ხმოსანი იყო ვაჭარი, 21 სასამართლოს მოხელე, 13 ადმინისტრაციის მოხელე, 28 საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურე და 41 თავისუფალი პროფესიის პირი [2]. როგორც ვხედავთ, ქუთაისის ცენზიანი მოქალაქენი უფრო მეტ ნდობას უცხადებდნენ ვაჭარ-მრეწველებსა და მოხელეებს, ისინი შეადგენდნენ ხმოსანთა უმრავლესობას და განსაზღვრავდნენ როგორც სათათბიროს, ისე საერთოდ თვითმმართველობის სოციალურ ფიზიონომიას. ქუთაისის თვითმმართველობა ბურჟუაზიული დაწესებულება იყო და, ბუნებრივია, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს იცავდა.

განათლების ცენზის მიხედვით ოთხი ოთხწლეულის განმავლობაში არჩეული 180 ხმოსნიდან 46 იყო უმაღლესი განათლებით,

---

[1] «Новое обозрение», 1892, № 2826.
[2] Там же, № 2763.

67 საშუალო განათლებით, დანარჩენი დაბალი განათლებით[1]. ინტელიგენციის ნაწილი, პროგრესული საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ ბურჟუაზიული მუნიციპალიტეტი ქალაქის მთელი მოსახლეობის საერთო ინტერესების დონემდე აემაღლებინათ, მაგრამ ამ ცდებს არსებითი წარმატება არ მოჰყოლია.

ქუთაისის თვითმმართველობაში გაბატონებული ვაჭარ-მრეწველები და მოხელეები ვიწრო კლასობრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, თავს არ იწუხებდნენ ქალაქის კეთილმოწყობის ამაღლების, სწავლა-განათლების სისტემის გაუმჯობესების და ჯანმრთელობის დაცვის მოწესრიგებისათვის. განსაკუთრებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქალაქის განაპირა უბნები, სადაც უპირატესად ღარიბები ცხოვრობდნენ. აჯამებდა რა ქუთაისის თვითმმართველობის საქმიანობის პირველ პერიოდს, გაზ. „ივერია“ წერდა: „აგერ თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისშიც შემოიღეს საქალაქო დებულება 1870 წლისა ... პირველად, როცა ასეთი წესი თვითმართველობისა შემოიღეს აქ, ქუთაითურების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ფიქრობდნენ, რომ ახალი მმართველობა მხნედ მოეკიდება ქალაქის გაძლიერების საქმეს, მოსძებნის ‚ხვადასხვა წყაროს მისი შეძლების შესამატებლად და დროთა ვითარებისაგან დაჩაჩანაკებული ქუთაისის გასაახლებლად. მაგრამ ყველა ეს იმედი ტკბილი სიზმარი გამოდგა და ჩვენი ქუთაისი ისევ ის ქუთაისია, რაც ამ თხუთმეტი წლის წინათ იყო ... რაც გინდა ბევრი ჩხრიკო და ქექო, დიოგენის ფანარი რომ იქონიო, აქ იმისთანა საკეთილო საქმეს ვერ ნახავთ, რომელიც საქალაქო თვითმართველობას დაეწყოს და სანატრელად დაეგვირგვინებიოს“. წერილის ავტორი აკრიტიკებს თვითმმართველობის პრაქტიკოს მოღვაწეებს, რომლებმაც თითქმის ვერაფრით ვერ გააუმჯობესეს კომუნალური მეურნეობა. მაგრამ ამის მიზეზი, ავტორის აზრით, მარტო თვითმმართველობის მოღვაწეთა ცუდი მუშაობა როდია. უმთავრესი მიზეზი ქალაქის შემოსავლის სიმცირეა, რაც ვაჭრობა-მრეწველობის დაცემის გამო არ იზრდებაო[2].

საქმეში უფრო კარგად ჩახედული და გაბედული პუბლიცისტები აშკარად მიუთითებდნენ თვითმმართველობათა კრიზისის

---

[1] «Новое обозрение», 1892, № 2763.
[2] „ივერია“, 1892, № 111.

ობიექტურ მიზეზებზე, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მუნიციპალიტეტების კომპეტენცია-ფუნქციათა შეზღუდულობაზე, მოითხოვდნენ საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას და მის უფლებათა გაფართოებას, მაგრამ ცარიზმი გასაქანს კი არ აძლევდა პროგრესულ საზოგადოებრივ ძალებს, არამედ ყოველნაირად ცდილობდა უკან წაეღო 60-იანი წლების დათმობები. 1892 წლის ახალმა დებულებამ თვითმმართველობათა უფლებანი კიდევ უფრო შეზღუდა, მის საქმიანობაზე დაამყარა ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლი.

1870 წლის საქალაქო დებულების თანახმად, არჩევნებში გადასახადის გამლები ყველა მოქალაქე მონაწილეობდა. 1888 წლის მონაცემებით ქუთაისში 832 ცენზიანი მოქალაქე, ამომრჩეველი ითვლებოდა. მათგან 82 გადასახადების სახით ქალაქის სალაროს აძლევდა 1 მან-მდე, 529 კაცი (64%) კი — 10 მან-მდე. 1892 წლის დებულების თანახმად არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო მხოლოდ იმ მოქალაქეს, რომელიც იხდიდა 10 მანეთზე მეტ გადასახადებს. ამდენად, ქუთაისის ამომრჩეველთა რიცხვი ახალი დებულების გატარების შემდეგ 70 პროცენტით შემცირდა, ქალაქის წვრილბურჟუაზიულმა ფენამ დაკარგა თვითმმართველობის მუშაობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ამიტომ პროგრესული პრესა კრიტიკით შეხვდა ახალ დებულებას.

ქონებრივი ცენზის გადიდების გამო ამომრჩეველთა რიცხვის მინიმუმამდე შემცირების შემდეგ აღარ იყო თანრიგებად მათი დაყოფის საჭიროება და ქალაქში, მათ შორის ქუთაისში, დაწესდა ერთიანი საარჩევნო კრებები. ახალი დებულების საფუძველზე ქუთაისში არჩევნები პირველად ჩატარდა 1894 წლის ივნისში. საარჩევნო სიაში მოხვდა მხოლოდ 434 კაცი, რომელთაგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 288 კაცმა. არჩეულ იქნა სათათბიროს 38 ხმოსანი [1].

ქუთაისის ქალაქის თავად ლ. ლოლუას არჩევის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობის ძველი მოღვაწეები ოპოზიციაში გადავიდნენ. ბრძოლისათვის ისინი პრესას იყენებდნენ. ერთ-ერთი მათგანი „ნოვოე ობოზრენიეში“ წერდა, რომ ქუთაისის ახალი გამგეობის საქმიანობას ხმაურიანი და მოჩვენებითი ხასიათი აქვს მხო-

[1] „ივერია“, 1894, № 118 და 120.

ლოდ, საქმე კი არ კეთდება. მართალია, განხილულ იქნა პროექტები წყალსადენის, ელექტროგანათების, ქალაქის სახლის აგების და სხვ. შესახებ, მაგრამ მათი განხორციელებისათვის არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. ახალმა გამგეობამ მხოლოდ ის მოახერხა, რომ გადასახადთა ნარჩენების აკრეფას მეტი ენერგიით შეუდგა და რაღაც 3—4 ათასი მანეთისათვის ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეავიწროვა. ლოლუას წინადადებით „ნედოიმკების“ აკრეფა მიენდო აგენტებს, რომელთაც გასამრჯელოდ შემოსავლის მესამედი აღუთქვეს. ამ ხელსაყრელი წინადადებით წახალისებული აგენტები ენერგიულად ამოქმედდნენ. ბევრი მოქალაქე აიძულეს თავისი ქონების ნაწილი გაეყიდა ან დაეგირავებინა და ამ გზით დაეფარა გადასახადები. მართალია, საკმაო თანხა შეგროვდა, მაგრამ თანხის მესამედი იმავე აგენტებს მიჰქონდათ ოფიციალურად, ბევრსაც ფარულად ითვისებდნენ. ქალაქის სალარომდე მიაღწია მხოლოდ 3—4 ათას მან. ამისათვის კი არ ღირდა მოსახლეობის აწიოკებაო. იგივე კორესპონდენტი ბრალს დებდა ახალ გამგეობას ქალაქის ფინანსების უანგარიშო ხარჯვაში.

ახალმა გამგეობამ ჩვეულებრივი ბიუჯეტის დამატებით მიიღო 166 ათასი მან. საზოგადოებისათვის ცნობილია თუ რაზე დაიხარჯა 48 ათასი მან. დანარჩენ ხარჯზე კი წარმოდგენაც არავის აქვს. ახალი ქალაქის თავი, — ირონიულად შენიშნავს ავტორი, — თავის გამოსვლა-ანგარიშებში ისე ლაპარაკობს ამა თუ იმ საკითხსა და პროექტზე, თითქოს ისინი პირველად მან დასვა დღის წესრიგში. ნამდვილად კი ყველა ეს პროექტები განიხილებოდა წინა მმართველობის დროსაც. თუ რამ ახალი კეთდება ამისათვის იყენებენ სესხებს და ქალაქს ვალებით ტვირთავენ. ძველად კი თვითმმართველობა სესხის გარეშეც იოლად გადიოდა და თანაც ქალაქის კეთილმოწყობისათვის ნაკლებ ღონისძიებებს როდი ატარებდაო. წერილის ავტორი უკიჟინებს ახალ გამგეობას, რომ თქვენ განკარგულებაში მოხვედრილი თანხები საკმაო იყო ქალაქის მდგომარეობის საგრძნობლად გასაუმჯობესებლად ამის სურვილი და უნარი რომ გამოეჩინა თვითმმართველობას, კერძოდ, ქალაქის თავს. ერთი სიტყვით, ქალაქს სჭირდებოდა შრომისმოყვარე, ქალაქის ინტერესების სწორად გამგები მოღვაწე და არა ისეთი პირი, რომელიც მართალია, ქალაქში ცხოვრობს 30 წელი, მაგრამ აქამდე

ცნობილი იყო მხოლოდ კერძო იურისტის ვიწრო სპეციალობითო [1].

ძველი გამგეობის წარმომადგენელთა კრიტიკას, ოპოზიციის შემოტევას ახალი გამგეობის მომხრეებმა კონტრშეტევით უპასუხეს. ქუთაისის სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანმა (გვარს არ აწერს) „ნოვოე ობოზრენიეში“ მოათავსა წერილების სერია, რომელშიც იგი იძლევა ძველი და ახალი გამგეობის საქმიანობისა და მუშაობის სტილის შეფასებას. ავტორს მოჰყავს კონკრეტული ფაქტები, ასაბუთებს, რომ ძველ გამგეობას და ქალაქის თავს ასათიანს აკლდა პრაქტიკული მუშაობის უნარი, სათათბიროს სხდომებზე ბევრი საკითხები განიხილებოდა, მაგრამ თითქმის არც ერთი საკითხი არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი, არც ერთი პროექტი განხორციელებული. ახალმა გამგეობამ კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მხოლოდ 3 წელი საქმიანობს, პრაქტიკულად უფრო მეტი გააკეთა ვიდრე ძველმა 12 წლის განმავლობაშიო [2].

კამათმა ძველი და ახალი გამგეობის მუშაობის შეფასების გარშემო საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო და გადაიზარდა საარჩევნო ბრძოლაში. არსებული გამგეობის მომხრენი აკრიტიკებდნენ ძველ მოღვაწეთა საქმიანობას და ხოტბას ასხამდნენ ლ. ლოლუას პრაქტიკულ ნიჭსა და უნარს. ოპოზიციის ლიდერები კი პირიქით, ძველი გამგეობის მუშაობის ნაკლოვანებებს ობიექტური პირობებით (საშემოსავლო ბიუჯეტის სიმცირე და სხვ.) ხსნიდნენ, ახალ გამგეობას კი ბრალს სდებდნენ უპატიოსნობასა და ქალაქის მცხოვრებთა მხოლოდ მცირე ნაწილის ინტერესთა დაცვაში. ძალიან ხშირად, მეტ-ნაკლებად ორივე მხარე ღალატობდა ჭეშმარიტებას, საკმაოდ აჭარბებდნენ როგორც ქებაში, ისე ძაგებაში, მაგრამ მოწინავე ინტელიგენციის ცდას საარჩევნო ბრძოლა გადაეყვანა პრინციპულ ნიადაგზე, წარმატება არ მოჰყოლია [3].

1898 წლის ივნისისათვის დაინიშნა სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ქუთაისში ტრადიციულად ერთმანეთს უპირისპირ-

---

[1] «Новое обозрение», 1895, № 3861, № 3941.
[2] Там же, № 4043, № 4048.
[3] Там же.

დებიან რიონის მარცხენა და მარჯვენა მხარის მოსახლეობა. აქამდე ჰეგემონობა ხელთ უპყრია მარცხენა მხარეს. მაგრამ ახლა გამოინახა უფრო საფუძვლიანი მიზეზი ბრძოლისა ვიდრე რიონის ნაპირთა ანტაგონიზმია. გარკვეულმა ჯგუფმა მტრობა ჩამოაგდო იმერლებსა და მეგრელებს შორის. ერთ მხარეს დაირაზმა ადგილობრივი ინტელიგენცია, ძირითადად იმერლობა. მეორე მხარეს თითქმის მხოლოდ მეგრელები, რამდენიმე კალისტრატისტი და სომხობა. ეს უკანასკნელი პარტია, რომელსაც ქალაქის თავი ლ. ლოლუა ხელმძღვანელობს, დემოკრატიული ფრაზებით გამოდის, რაც მიმართულია ინტელიგენციის წინააღმდეგ, იგი გამოდის ლოზუნგით ძირს პრაქტიკული საქმიანობის უნარს მოკლებული ინტელიგენტებიო. ლ. ლოლუა იმასაც კი არ თაკილობს, რომ თავისი მოწინააღმდეგეები საარჩევნო სიიდან ამოიღოსო (მას სიიდან ამოუღია სხვათა შორის გ. ზდანოვიჩიც) [1].

მოახლოვდა არჩევნების დღე — 14 ივნისი, — წერდა „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი პუბლიცისტი, და ქუთაისის მოსახლეობა ღელავს. საქმე ეხება საქალაქო სათათბიროსა და გამგეობის რადიკალურ განახლებას. ქალაქის თავის პარტიისა და ოპოზიციის ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. ლოლუას ზეიმი ოპოზიციის სრული განადგურების მომასწავებელი იქნება და პირუკუ. მღელვარებამ კულმინაციურ წერტილს მაშინ მიაღწია, როცა საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ ლოლუას მომხრე დღემდე უცნობი პირები შეტანილი არიან ხმოსნობის კანდიდატთა სიაში, ბევრი ცნობილი მოღვაწე კი სიის გარეთ დარჩაო. არჩევნების დღეს, — განაგრძობს შემდეგ პუბლიცისტი, — ხალხი დილის 7 საათზე მოვიდა ქალაქის თეატრში, 10—11 საათზე კი გიმნაზიის ქუჩაზე უკვე გავლაც გაჭირდა. თავმჯდომარემ (ქალაქის თავი) 20-დე პირი დაასახელა ასისტენტად, რომელთაგან მხოლოდ 3—4 იყო ნეიტრალური, დანარჩენი კი გამოირჩეოდნენ ქალაქის თავის თავგამოდებული მომხრეობით. ამან, ბუნებრივია, ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია. ხმის მიცემის დაწყების შემდეგ თვით თავმჯდომარე დადიოდა საარჩევნო ყუთებს შორის, უცერემონიოდ ერეოდა ასისტენტთა საქმეში. ოპოზიციის ლიდერთა მოთმინების ფიალა აივსო და კ. ლორთქიფანიძემ მკაცრად შენიშნა ქალაქის

---

[1] «Новое обозрение», 1898, № 4958.

თავს: „სარჩევნო ყუთებს შორის სიარულით, თქვენს თავზე ასისტენტის ფუნქციების მიღებით, ბატონო თავმჯდომარე გავლენას ახდენთ ამომრჩევლებზე“. ლ. ლოლუა თავისას არ იშლიდა, რითაც დაიმსახურა ოპოზიციის მეორე ლიდერის დ. ნაზაროვის შენიშვნაც [1].

ხმის მიცემა დამთავრდა საღამოს 10 საათზე. ყუთების გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ოპოზიციამ სათათბიროში გაიყვანა ხმოსანთა 52%. ეს შედეგი „ნოვოე ობოზრენიემ“, „კვალმა“ და სხვ. გაზეთებმა ოპოზიციის დიდ გამარჯვებად გამოაცხადეს [2], მაგრამ პროგნოზი ნაადრევი გამოდგა.

ლოლუას პარტიას, ბუნებრივია, არ მოეწონა არჩევნების შედეგები. თავდაპირველად იგი შეეცადა საჩივარი შეეტანა არჩევნების ვითომდა არაკანონიერად ჩატარების თაობაზე, მაგრამ ამაოდ. ამის შემდეგ მათ შეცვალეს ტაქტიკა, კომისია გამოყვეს არჩევნების შედეგების შესამოწმებლად. ბოლოს და ბოლოს ლოლუას პარტიამ მოახერხა ის, რომ სათათბიროდან გამოიყვანა ოპოზიციის თითქოსდა უკანონოდ არჩეული ორი კანდიდატი და შეიყვანა თავისი წარმომადგენელი. ამ მანიპულაციის შედეგად უმრავლესობა სათათბიროში კვლავ ლოლუას მხარეზე აღმოჩნდა [3].

1898 წლის 12 ივლისს შეიკრიბა ქუთაისის სათათბიროს ახალი შემადგენლობა მუნიციპალიტეტის ახალი მეთაურის ასარჩევად. ამ „სანახაობას“ დიდი რაოდენობით ესწრებოდა გარეშე ხალხიც. წამოყენებულ იქნა ოთხი კანდიდატი — ლ. ლოლუა, მ. ქიქოძე, მ. დარახველიძე და დ. ნაზაროვი. ორმა უკანასკნელმა თავის კანდიდატურას აცილება მისცა. კენჭი იყარეს ლოლუამ და ქიქოძემ. ლოლუამ მიიღო 31 თეთრი და 27 შავი, ქიქოძემ კი — 24 თეთრი და 33 შავი [4].

„ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთი პუბლიცისტი წერდა, რომ ლ. ლოლუამ ქალაქის თავის სავარძლის შენარჩუნება დიდი ენერგიის დახარჯვით და ძალადობით მოახერხა. იგი ზეიმობს გამარჯვებას, მაგრამ ეს განა გამარჯვებაა? თუ თვით ლოლუას არ შეუძ-

---

[1] «Новое обозрение», 1898 № 4970, 1899, № 5424.
[2] Там же, № 4970; კვალი, 1898, № 26.
[3] «Новое обозрение“, 1898, № 5036.
[4] Там же, № 4991.

ლია უპასუხოს ამ კითხვაზე, უახლოესმა თანამებრძოლებმა განუმარტონ, რომ ასეთი გამარჯვება ყველა მარცხზე უარესია. სათათბიროს თავმჯდომარედ დ. ბაქრაძის არჩევა იმის ცხადი მაჩვენებელია, რომ ქალაქის თავს სათათბიროს უმრავლესობის მხარდაჭერა არ ექნებაო [1].

1898 წელს არჩეულ ქუთაისის სათათბიროს პრესამ „წარმომადგენლობითი“ უწოდა, რადგან იქ თითქმის თანაბარი რაოდენობის ხმოსნები გაიყვანა მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ. ქალაქის თავი ლოლუა, რომელსაც ყოველთვის უჭირდა ამა თუ იმ საკითხის კენჭის ყრით გადაწყვეტისას უმრავლესობის მიღება, იძულებული იყო ფრთხილად მოქცეულიყო, გარკვეული ღონისძიებები განეხორციელებია ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის. ამდენად, ორპარტიული სათათბირო გაცილებით ნაყოფიერად საქმიანობდა წინა შემადგენლობის ერთპარტიულ სათათბიროსთან შედარებით.

აჯამებდა, რა 1898 წელს არჩეულ სათათბიროს საქმიანობას, „ნოვოე ობოზრენიეს“ ქუთაისელი კორესპონდენტი წერდა: „ჩვენი საქალაქო სათათბიროს ახლანდელ შემადგენლობას უთავდება მოქმედების ვადა. წარმავალი სათათბირო, რომლის მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ მოქცეული იყო ვიწრო ჩარჩოებში, თავის შემდეგ დატოვებს გარკვეულ კვალს. წყალსადენის გაყვანის, ტრამვაის მოწყობის, შეფასებითი გამოსაღების საკითხები, როგორც არასდროს წინწამოწეულია სერიოზულად. განათლების, ქალაქის კეთილმოწყობის და ჯანმრთელობის საკითხებსაც მიმავალი სათათბირო საკმაო ყურადღებას აქცევდა. საერთოდ, ეს იყო, თუ შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ, ზომიერ-პროგრესული სათათბირო, რომელსაც, მართალია, „ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ არც უმოქმედოდ ატარებდა დროს. მინუსები მის მოღვაწეობაში, რა თქმა უნდა იყო, თანაც საკმაოდ სერიოზული, მაგრამ ხმოსანთა საუკეთესო ნაწილს (რომელიც სასურველია სათათბიროს მომავალ შემადგენლობაშიც ვიხილოთ) ამისათვის ბრალი არ დაედება. ამაში დამნაშავენი არიან ის ხმოსნები, რომელნიც პირად ინტერესებს და იაფ პოპულარობას ყველაფერზე მაღლა აყენებენ“.

---

[1] «Новое обозрение», 1898, № 5036.

მოსახლეობის წარმომადგენლობა ქალაქის თვითმმართველობაში, — განაგრძობს კორესპონდენტი, — მრავალმხრივი უნდა იყოს. მოსახლეობის ყველა ფენას, ქალაქის ყველა ნაწილს უნდა ჰყავდეს სათათბიროში თავისი წარმომადგენლები. ერთმხრივი წარმომადგენლობა თავიდან უნდა ავიცილოთ. ამის გარეშე ყველა წოდებისათვის საერთო, ყველას გამაერთიანებელ ამ დაწესებულებას მიეცემა მისთვის უცხო კასტობრივი სახე. ჯგუფობრივ ბრძოლას ქალაქის თვითმმართველობაში, ბოროტების გარდა, კარგის მოტანა არ შეუძლია. ასეთი ბრძოლის ფაქტი მხოლოდ ამომრჩეველთა საზოგადოებრივი ინტერესების სივიწროვეზე მეტყველებს და იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჯგუფები იბრძვიან არა მთელი ქალაქის კეთილდღეობისათვის, არამედ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ქუთაისელი ამომრჩევლები საზოგადოებრივ ინტერესებს უფრო ფართოდ შეხედავენ და ხელს შეუწყობენ ყოველთვის წარმომადგენლობითი სათათბიროს შექმნას. რაც უფრო ინტელიგენტური იქნება ეს წარმომადგენლობა, მით უკეთესი იქნება ქალაქისათვისო.

„საზოგადოებრივი მოღვაწეობა, — დასკვნიდა ბოლოს ქუთაისელი კორესპონდენტი, — საზოგადოებრივ ინტერესებისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულება ... სამსახურებრივი და პროფესიული მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულება, გარკვეული საზოგადოებრივი მიზანი — აი ამ მოთხოვნილებებს უნდა უყენებდნენ ამომრჩევლები ხმოსნებს. თუ ეს საზომი იქნა გამოყენებული, ღირსეულ პირთა გაშავებას და უღირსთა არჩევას ადგილი არ ექნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისელი ამომრჩევლები საქმეს შეგნებულად მოეკიდებიან და ახალ სათათბიროში ღირსეულ ხმოსნებს შეიყვანენ“ [1].

1902 წელს ქუთაისში ერთიმეორეს მიყოლებით ჩატარდა სათავადაზნაურო საკრებულოს, საადგილმამულო ბანკის გამგეობის და სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. თითქმის ყველგან კ. ჩიკვაიძე — ლ. ლოლუას პარტიამ მარცხი განიცადა და ოპოზიციამ იზეიმა გამარჯვება. ქუთაისის ქალაქის თავად არჩეულ იქნა დ. ლორთქიფანიძე, გამგეობის წევრად გრ. გველესიანი. ამ ამბავს სიხარულით შეხვდა პუბლიცისტთა უმეტესობა. „ნოვოე ობოზრე-

[1] «Новое обозрение», 1902, № 6055.

ნიეს“ რედაქცია წერდა: „ამჟამად ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მბრძანებელი სიმაღლეები დაიკავა ადგილობრივი საზოგადოების სიმპათიურმა ნაწილმა. ყბადაღებული კალისტრატოვშჩინა და მისი მსგავსი არა სიმპათიური მოვლენები უარყოფილ იქნა. მათი გავლენა მეტ-ნაკლებად პარალიზებულია. ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ საზოგადოებრივ დაწესებულებებში ხელმძღვანელი მდგომარეობა მოიპოვეს პროგრესულმა ელემენტებმა. მაგრამ გამარჯვება უფლებას არ აძლევს ამ უკანასკნელთ გულხელი დაიკრიფონ და მოწყალეთ უყურონ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. საჭიროა დაპყრობილი პოზიციების განმტკიცება“. წერილის ავტორი ურჩევდა პროგრესულ ძალებს ნდობა არ გამოეცხადებინათ დამარცხებულთათვის, არ მიეცათ მათთვის ადგილები საზოგადოებრივ დაწესებულებებში [1].

უფრო კრიტიკულად აფასებდა შექმნილ სიტუაციას „კვალი“. ამ გაზეთის პუბლიცისტები, მართალია, მიესალმნენ კალისტრატოვშჩინის დამხობას. მაგრამ ქება-დიდება არც გამარჯვებული ოპოზიციისათვის შეუსხამთ. „კვალი“ არ იზიარებდა „ივერიის“, „ცნობის ფურცლის“, „მოამბის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქუთაისის საზოგადოება იყოფოდა ორ ნაწილად: „ერთს ეკუთვნოდა კალისტრატე ჩიკვაიძე თავის მონა-მორჩილებით და მეორეს ე. წ. სულმოსავი წმინდა ინტელიგენცია, რომელიც მუდამ საზოგადო ინტერესებისათვის ზრუნავს და თავისი სინდისიერი ყოფაქცევით და მაგალითით ქვეყანას იცავს გახრწნისა და გათახსირებისაგან“. პირველი შეხედვით, წერდა „კვალის“ პუბლიცისტი, ეს თითქოს ასეა და ამიტომ საზოგადოებას დიდხანს სჯეროდა ინტელიგენტი საზოგადო მოღვაწეებისა. მაგრამ მას შემდეგ რაც ოპოზიცია საზოგადოებრივ დაწესებულებათა სათავეში აღმოჩნდა და პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა, გამოაშკარავდა მისი სრული არარაობა და დაჩქარდა მისი ზნეობრივი გახრწნა. თითქმის ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ოპოზიციას ბევრი რამ ჰქონდა საერთო „კალისტრატიზმთან“. გამოაშკარავდა, რომ „ოპოზიციის“ დანიშნულება რაიმე აზრის, მიმართულების დაცვაში და გატარებაში კი არ მდგომარეობს,

[1] «Новое обозрение», 1902, № 6146.

არამედ მარტოდმარტო პირადი ინტერესების განხორციელებაში, ე. ი. იმაშივე რისთვისაც იგი ასე დევნიდა და აძაგებდა მოწინააღმდეგე პირებსო [1].

როგორც ვხედავთ, „კვალის“ პუბლიცისტი სიტყვიერი საბურველის მიღმა კარგად ხედავდა თვითმმართველობაში გაბატონებისათვის მებრძოლ დაჯგუფებათა ბურჟუაზიულ შინაარსს, ააშკარავებდა მათ შეზღუდულობას და უუნარობას ამაღლებულიყვნენ ქალაქის საერთო საჭიროების, მთელი მოსახლეობის ინტერესების დონემდე. მაგრამ კორესპონდენტი იმასაც სიამოვნებით აუწყებდა საზოგადოებას, რომ „ოპოზიციაში“ თავი იჩინა განხეთქილებამ და შეიძლება ჭეშმარიტად პროგრესული დაჯგუფების დაბადების მოწმენი გავხდეთო. ჯერ კიდევ საადგილმამულო ბანკის არჩევნების დროს პროგრესულმა ელემენტებმა ეჭვი შეიტანეს ოპოზიციის საზოგადოებრივ მიზნებში. ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნების დროს თვით ოპოზიციასაც გაუჩნდა საკუთარი ოპოზიცია. ახალგაზრდების ერთმა ჯგუფმა ოპოზიციის კანდიდატებთან ერთად რამდენიმე საკუთარი კანდიდატიც წამოაყენა. მაღალფარდოვანი სიტყვებით შენიღბული ოპოზიციის ნამდვილი ფიზიონომიის გამოაშკარავება, — აღნიშნავდა კორესპონდენტი, — ბუნებრივია, და ეს ჩვენ არ გვაწუხებს. „ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ იმ პატარა ჯგუფის ბედი, რომელმაც თავი იჩინა ოპოზიციაში და რომელმაც... თითქოს კიდევაც დაგმო მისი უშვერი მოქმედება. რას იზამს იგი მომავალში? სრულიად განშორდება დღევანდელ „ოპოზიციას“, თუ დროებით ჩამოცილდება მას? ... ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აირჩევს იგი თავის მიზნათ: პირადი ინტერესების სამსახურს, თუ ნამდვილ საზოგადოებრივ მოღვაწეობას“ [2].

„კვალის“ კორესპონდენტი არაფერს ამბობს ზემოხსენებული პატარა პროგრესული ჯგუფის იდეურ-პოლიტიკურ ფიზიონომიაზე. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ XX ს. დამდეგიდან საქალაქო თვითმმართველობაში მოღვაწე ბურჟუაზიულ დაჯგუფებებს იდეურ-პოლიტიკურად დაუპირისპირდნენ, ნამდვილ ოპოზიციაში ჩაუდგნენ სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ახერხებდნენ ზოგიერთ

---

[1] „კვალი“, 1902, № 28.

[2] იქვე.

ქალაქთა სათათბიროებში ხმოსნებად გასვლას და ახალი სიო შეჰქონდათ მათ საქმიანობაში. ამის მიუხედავად, როგორც ყველა ქალაქების, ისე ქუთაისის თვითმმართველობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ბურჟუაზიულ დაწესებულებას წარმოადგენდა, ქალაქის ზედაფენის ინტერესებს ემსახურებოდა.

II. ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა

1. ქუთაისის ბიუჯეტი

საქალაქო რეფორმის გატარების პირველ 1876 წელს ქუთაისის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში დამტკიცდა 69 464 მან. ოდენობით [1]. მაგრამ შემოსავლის ზოგი მუხლი ვარაუდზე ემყარებოდა და ფაქტიური შემოსავალი ნაკლები იყო. კერძოდ, გადასახადთა ნარჩენების აკრეფის შედეგად ქალაქის ბიუჯეტს უნდა შემატებოდა 24 468 მან., ფაქტიურად კი ამის ნახევარიც არ შემოსულა. არასრულად იკრიფებოდა მოქალაქეთა უძრავ ქონებაზე დადებული შეფასებითი გამოსაღებიც.

1876 წლის საგასავლო ბიუჯეტიდან თვითმმართველობის შტატზე დაიხარჯა 9490 მან., პოლიციაზე — 16 387 მან., ჯარზე — 10 286 მან., ქალაქის ქუჩების კეთილმოწყობაზე — 2000 მან., ხიდების შეკეთებაზე — 4095 მან., სასაკლაოს საჭიროებისათვის — 1471 მან., სახალხო განათლებაზე — 1355 მან., ჯანმრთელობის დაცვაზე — 590 მან. და სხვ. [2] საერთოდ, ქალაქის შემოსავალი თითქმის ვერასდროს ვერ ფარავდა გასავალს, ქუთაისის ბიუჯეტი დეფიციტური იყო და თვითმმართველობის დავალიანება წლიდან წლამდე იზრდებოდა.

1885-დან 1892 წლამდე ქ. ქუთაისის ფაქტიური წლიური შემოსავალი საშუალოდ 80 ათას მან. შეადგენდა, რაც ვერასდროს ვერ ფარავდა ფაქტიურ გასავალს. საქალაქო გამგეობა, ქალაქის თავი ლ. ასათიანი, მართალია, ცდილობდა შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვას, მაგრამ ამ ცდას არსებითი წარმატება არ მოჰყოლია. ამიტომ, ბიუჯეტის დეფიციტის გასწორების მიზნით

---

[1] „დროება", 1876, № 12.

[2] ი ქ ვ ე.

ქუთაისის სათათბირომ შუამდგომლობა აღძრა პოლიციის შენახვის ხარჯისაგან თვითმმართველობის გათავისუფლების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორმა აღიარა ქუთაისის ფინანსური გაჭირვება, შეუძლებლად სცნო თვითმმართველობისათვის ასეთი „შეღავათის“ მიცემა.

1892 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტს, როგორც აღნიშნული იყო, სათავეში ჩაუდგა ლ. ლოლუა. ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტის გადიდების მიზნით მან უფრო ენერგიულ ღონისძიებებს მიმართა; გაცილებით მეტ სიმკაცრეს იჩენდა გადასახადების აკრეფაში და რამდენადმე შეამცირა მისი ნარჩენთა ოდენობა, მიიღო სუბსიდია მთავრობისაგან და სხვ. ერთი ცნობით, თავისი მმართველობის პირველ სამ წელს ლ. ლოლუამ ჩვეულებრივი ბიუჯეტის დამატებით სულ მიიღო 166 ათასი მან. ჩვეულებრივი საშუალო წლიური ბიუჯეტიც გაიზარდა, მიაღწია 100 ათას მან.[1]. შემოსავლის ზრდის კვალობაზე შესაძლებელი ხდებოდა მეტი სახსრების გადადება ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა ქუთაისმა თავი ვერ დაღწია ბიუჯეტის დეფიციტურობას, ვერ მოხერხდა ქალაქის ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება. „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტი ქუთაისიდან იწერებოდა, რომ ახალი შემადგენლობის სათათბირო ძილის მდგომარეობიდან როგორც იქნა გამოერკვა და პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო. მაგრამ წერილის ავტორი აკრიტიკებდა ქალაქის ქონება-მამულების ექსპლუატაციის საიჯარო მეთოდს. ამ მეთოდის „წყალობითაა“, რომ ქალაქი საღორიის ტყიდან (900 დესეტინა) წლიურად 3000 მან. იღებს, კარგი პატრონის ხელში კი ეს ტყე ათეული ათასობით მან. შემოიტანდაო[2].

პროგრესულ მოღვაწეთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა თვითმმართველობის მიმართ მთავრობის ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლი და აუცილებელი ხარჯების სიდიდე. 1899 წლის „კვალის“ კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ქუთაისის ფინანსების უმეტესი ნაწილი ადმინისტრაციაზე იხარჯება. 1899 წლის ბიუჯეტიდან (148 000 მან.) პოლიციაზე დახარჯულა 30 000 მან. (20%), თვით-

---

[1] «Новое обозрение», 1895, № 3941.
[2] Там же, № 2890.

მმართველობის შტატზე და კანცელარიაზე 25 000 მან. (17%), ჯარზე — 16 000 მან. (11%), სანიტარიულ ღონისძიებებზე — 18 000 მან. (12%). სახანძრო რაზმზე — 1000 მან. (3%), ქუჩებსა და ხიდებზე — 17 000 მან. (11,5%), განათლებაზე — 8896 მან. (6 %).

ამ ცნობების მოტანის შემდეგ კორესპონდენტი ეხება ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის შემოსავლის წყაროებს და ბოლოს დაასკვნის: „ქუთაისის უძლურება იქიდან წარმოდგება, რომ მეოჯახე, მართალია, ჰყავს, მაგრამ თავისი ოჯახი, თავისი მეურნეობა არ აქვს. ამას შემოსავლის გადახედვაც დაგვანახებს ... მისი შემოსავლის 70%-ს შეადგენს სამიკიტნოებისა, არაყის ქარხნებისა და სხვა მაგვარად გაწერილი გადასახადი. მაშ ქალაქის თვითმმართველობას მომავალი ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი. ან ჩვეულ გზას უნდა გაჰყვეს, სამიკიტნოების და ყავახანების გამრავლებას უნდა უყუროს, მათ შემოსავალს ელოდოს და ამ მოლოდინში ერთგვარ ცოცხალ-მკვდრულ მდგომარეობას მიეცეს. ანდა თავი დაანებოს ამ სიკვდილის გზას და საწარმოვო, სასიცოცხლო გზაზე გამოვიდეს“. შემდეგ წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ეკლარის ქვის სატეხი, რომელიც დიდ შემოსავალს უნდა იძლეოდეს, 300 მან-ად აქვს აღებული მოიჯარადრეს. განა ქალაქს არ შეუძლია თვით განაგებდეს ქვის სამტეხლოსო? „მაშინ როდესაც მთელი დედამიწის ზურგზე არსებული ქალაქები ცდილობენ ყოველ თავის საქმეს თვითონ გაუძღვნენ, ჩვენი საბჭო ლატარიას თამაშობს — რობის მივცეთ ქუთაისი თუ მიხაილოვსო... ქალაქის საბჭო ხელს იღებს შემოსავლიან საქმეზე, საქმიანობას გაურბის და თავის უფლებას, თავის ძალას და მომავალს ჰყიდის. რატომ? იმიტომ, რომ საქმეს შრომა უნდა, საზოგადოებისათვის შრომა კი ადვილი არაა ამ ბურჟუაზიულ დროში“ [1].

„კვალის“ კორესპონდენტი სისწორით გადმოგვცემს ფაქტიურ ვითარებას. ქუთაისის თვითმმართველობის მოღვაწენი ვერ ბედავდნენ სამეურნეო ინიციატივის გამოჩენას, მუნიციპალურ საწარმოდაწესებულებათა მოწყობას. ისინი იჯარას და კონცესიას ამჯობინებდნენ. სწორედ, ამიტომ საშემოსავლო ბიუჯეტში მთავარი იყო

---

[1] „კვალი“, 1899, № 8.

მოსახლეობისაგან შემოსული გადასახადები და შედარებით უმნიშვნელო მუნიციპალურ საწარმო-დაწესებულებათა შემოსავალი.

1901 წელს ქუთაისის საშემოსავლო ბიუჯეტი დამტკიცდა 205 463 მან., 1902 წელს—226 001 მან., 1903 წელს—233 279 ათასი მან. ოდენობით [1]. შემოსავლის ძირითადი წყარო ამ პერიოდშიც მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღები, ვაჭრობა-მრეწველობის სანებართვო მოწმობების ფასი და ქალაქის ქონებასაწარმოები იყო. გასავალში კვლავ დიდი ადგილი ეკავა აუცილებელ ხარჯებს, ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს პოლიცია და ჯარი ნთქავდა.

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქუთაისის ბიუჯეტის დეფიციტი კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. გადასახადთა ნარჩენებმა იმატა, შემოსავლის ახალი წყაროები კი არ ჩანდა.

1908 წლიდან ქუთაისის თვითმმართველობამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ქალაქის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზაზე. ამას იგი ახერხებდა ძირითადად შემოსავლიან სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოწყობის გზით. თვითმმართველობამ მოაწყო სატელეფონო ქსელი, რომლის წლიური შემოსავალი 9 ათას მან. აჭარბებდა. თვითმმართველობისაგან გახსნილი ქალაქის ორი აფთიაქის წლიური მთელი შემოსავალი 65 ათას მან. აღწევდა, რაც ფარავდა ხარჯებს და ქალაქს მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა. საღორიის აგარაკში გაიხსნა ქალაქის საავადმყოფო, მკურნალობისათვის დაწესებული ქირის სახით თვითმმართველობის სალაროში წლიურად 47 ათასი მან. შედიოდა [2].

XX ს. 10-იან წლებში ქუთაისის ბიუჯეტმა 300 ათას მან. გადააჭარბა. შემოსავალში ისევ პირველი ადგილი ეკავა მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებით გამოსაღებს. 1912 წლისათვის ამ მუხლიდან ელოდნენ 137 793 მან. სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის სანებართვო მოწმობების გაცემით უნდა შემოსულიყო 30 ათასი მან., ქალაქის უძრავი ქონებისა და საღალაო მუხლებისაგან — 67 294 მან. [3].

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ., 6, ს. 757, ფურც. 2—4; ს. 909, ფურც. 3; ს. 961, ფურც. 3; ს. 1023, ფურც. 3.

[2] „იმერეთი“, 1912, № 46.

[3] იქვე, № 42.

მიუხედავად შემოსავლის ზრდისა, იგი მაინც ვერ ფარავდა მზარდ ბასავალს. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა შემოსავლის ჩვეულებრივი წყაროებით შეუძლებელი ხდებოდა. ქუთაისის პროგრესული მოღვაწეები იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ხსნა მხოლოდ სესხების აღებაში მდგომარეობდა.

ქუთაისის საქალქო გამგეობის წევრი გრ. გველესიანი პრესის საშუალებით ეწეოდა სესხის აღების აუცილებლობის პროპაგანდას, ცდილობდა დაეძლია ხმოსანთა შიში და გაუბედაობა. „წინათაც გვითქვამს, — წერდა იგი, — სესხის შიში ჩვენს ხმოსანთა შორის დიდია. თუ შემოსავლიან საქმისათვის სესხის აღებას რის ვაივაგლახით ეთანხმებიან, იმისთანა საქმეზე ვალის აღება, რომელიც შემოსავალს არ გვპირდება, მათ საზარალოთ, ქალაქის დამღუპველად მიაჩნიათ... ასეთი შეხედულება ჩვენ შემცდარ, ყალბ შეხედულებად მიგვაჩნია“ [1].

მომგებიან საქმისათვის სესხის აღება, აცხადებდა გრ. გველესიანი, „ტვირთად კი არ აწვება ქალაქს, არამედ ხშირად დიდი მოგების საფუძველი ხდება. ასევე სასარგებლოა სესხის აღება სკოლისა და საავადმყოფოს შენობების აგებისათვის, რადგან ამით ქალაქი თავისუფლდება დაქირავებული შენობების ყოველწლიური ქირის გადახდისაგან. ამის გარდა არის ფინანსური მხრით „უნაყოფო“ საქმეები, ქალაქის კეთილმოწყობა. „ამისთანა საქმეებზე სესხის აღებას ჩვენი საზოგადოება, ხმოსნები ალმაცერად უყურებენ. მიზეზი მათი შემოუსავლობაა; ეს საქმეები სარგებელსა და თავს თვით ვერ ისტუმრებენო.

მაგრამ თუ საკითხს უფრო ფართოდ დავხედავთ, — განაგრძობს ეს მუნიციპალური მოღვაწე, — ჩვენ სრულიად სხვა დასკვნამდის მივალთ ... თავისთავად და პირველი შეხედვით სუფთა, კარგად მოწყობილი ქუჩები, სადეზინფექციო კამერები, პარკები და სხვ. თითქოს მართლაცდა „უნაყოფო“, ნივთიერად „საზარალო“ საქმეა, მაგრამ თუ მომავლის თვალით განვსჯვრიტეთ საგანი, ეს მართალი არ გახლავთ. ის რაც უნაყოფოა დღეს, მეტად ნაყოფიერი გამოდგება ხვალ. როდესაც ქალაქი დიდ სისუფთავეს იცავს... განა იგი ამით კასას არაფერს მატებს? კეთილმოწყობილ, სანიტარიისა და ჰიგიენის მხრით მაღალ დონეზე მდგომმა ქალა-

---

[1] „იმერეთი“, 1913, № 31.

ქებმა არც კი იციან ეპიდემიური სენი — შავი ჭირი, ხოლერა და სხვ., ხოლო სადაც მეტი ავადმყოფია იქ ქალაქი იძულებულია მეტი ხარჯებიც გასწიოს“.

დასავლეთ ევროპამ, აღნიშნავს შემდეგ გრ. გველესიანი, კარგა ხანია შეიგნო ეს უბრალო ჭეშმარიტება. იქ ყოველგვარი საქმეებისათვის იღებენ გრძელვადიან სესხებს. იქ სრულიად სამართლიანად მიაჩნიათ, რომ სესხის ტვირთი მომავალმა თაობებმაც გასწიონ, რადგან ამა თუ იმ სიკეთით ისინიც ისარგებლებენო.

„მაშ რატომ უნდა გვეშინოდეს გრძელვადიანი სესხების აღებისა? თუ ქუჩებისათვის ვალი ავიღეთ, ეს ჩვენი მხრით დიდი სირეგვენე რატომ იქნება, ხოლო თუ შემოსავლის უხვი წყაროები — წყალსადენი, განათება და სხვ. კონცესიონერებს გადავეცით, ეს დიდ სიბრძნედ რატომ ჩაგვეთვლება?“ სვამს კითხვებს გრ. გველესიანი და იქვე პასუხობს: „რაციონალურ მუნიციპალურ პოლიტიკას ბევრი რამ შეუძლია: ისიც შეუძლია, რომ შემოსავალი გაიჩინოს და ისიც, რომ ვალების დიდი ტვირთი არაფრად დაიჩნიოს. ვისაც ჰგონია, რომ ყოველივე ეს თეორიაა, ის ძალიან ცდება. თეორია არ გახლავთ ის, რაც ცხოვრებამ უკვე ნათლად დაგვანახა“ [1].

შემდეგ ავტორს მოჰყავს დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მაგალითები. ინგლისის ქალაქები აღებული სესხების 44%-ს „უნაყოფო“ საქმეზე, ქალაქის კეთილმოწყობისათვის ხარჯავენ. პეტერბურგს ასეთსავე საქმეებზე დაუხარჯავს სესხების 41%, ხოლო ოდესას — 43%. პეტერბურგის თვითმმართველობას ახლა ნება დართეს გამოუშვას 60 მლნ მან. საობლიგაციო სესხი, საიდანაც 26 მლნ მან. „უნაყოფო“ ხარჯებისთვისაა გათვალისწინებული. მაგრამ დედაქალაქს სამაგიეროდ ბლომად აქვს შემოსავლიანი დაწესებულებანი და თუ ერთ საქმეზე დაუბრუნებელ ხარჯებს ეწევა, სამაგიეროდ მეორე საქმე იმდენ შემოსავალს იძლევა, რომ თავის თავსაც ინახავს და სხვა საქმის ზარალსაც ფარავსო.

„ვერცერთი ქალაქი, — დაასკვნის ქუთაისის საქალაქო გამგეობის წევრი, — რაც უნდა ღარიბი იყოს იგი ... ხელს ვერ აიღებს ისეთ საქმეებზე, რომელსაც შემოსავალი ან სრულიად არ მოაქვს, ან მხოლოდ მცირეოდენი. უარს ვერ იტყვის ასეთ საქმეზე იმიტომ,

---

[1] „იმერეთი“, 1913, № 31.

რომ თვით ცხოვრება უკარნახებს ქალაქის მოღვაწეებს მათ აუცილებელ საჭიროებას. ხოლო იმავე დროს ვერც ერთი ქალაქი თანამედროვე პირობებში, რუსეთში მაინც, უსესხოთ ასეთ საქმეებს ვერ განახორციალებს ... სესხი, რა თქმა უნდა, გაჭირვებისაა, მაგრამ დღეისათვის ჩვენ სხვა გზა არ ვიცით. ორში ერთი უნდა ვქნათ — ან ქალაქის გაუმჯობესებაზე ხელი ავიღოთ, ან არა. პირველს ვერ ვიზამთ, ხოლო მეორისათვის სხვა სახსარი არ გვაქვს გარეშე სესხისა" [1].

მოკლევადიანი სესხების აღების პრაქტიკას ქუთაისის თვითმმართველობა უკვე XIX ს. 80—90-იან წლებში მიმართავდა, თანხას იღებდა როგორც საკრედიტო დაწესებულებების, ისე კერძო პირებისაგან. გრძელვადიანი საობლიგაციო სესხის გამოშვების საკითხი კი მწვავედ დაისვა XX ს. დამდეგს. მაგრამ ქუთაისის თვითმმართველობა ნდობით ვერ სარგებლობდა მთავრობის წრეებსა და საკრედიტო დაწესებულებებში, რის გამო საკითხი გაჭიანურდა. 1913 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისის საქალაქო სათათბირომ მიიღო დადგენილება აღეძრა შუამდგომლობა 2 775 000 მან. საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვის შესახებ [2]. ამ შუამდგომლობამ უმაღლეს მთავრობამდე, მართალია, მიაღწია, მაგრამ მის განხილვა-დამტკიცებამდე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და საქმე ჩაიშალა.

ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური კრიზისი რევოლუციამდე გრძელდებოდა. სახსრების სიმცირე და აუცილებელი ხარჯების სიდიდე განაპირობებდა ქუთაისის კომუნალური მეურნეობის მოუწყობლობას, სწავლა-განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მოუგვარებლობას.

2. ქუთაისის თვითმმართველობის საქმიანობა კომუნალური მეურნეობის სფეროში

ქუთაისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ეს სიძველე მას XIX ს-ის მეორე ნახევარშიც აძლევდა თავისებურ ელფერს. ქუთაისის ძირითადი და ცენტრალური ნაწილი რიონის მარცხენა მხარეს მდებარეობდა, მარჯვენა მხარეს კი მოსახლეობა შედარებით

---

[1] „იმერეთი", 1913, № 31.

[2] იქვე, № 175.

ნაკლები იყო. XIX ს-ის 70—90-იან წლებში მოსახლეობის ზრდის პარალელურად ფართოვდებოდა ქალაქის ტერიტორიაც.

1898 წლისათვის ქ. ქუთაისის ტერიტორია 800 ჰა-ს აღწევდა. ქალაქის ქუჩების, შესახვევებისა და გასასვლელების სიგრძე 83 ვერსს უდრიდა.

ქ. ქუთაისის გეგმის შედგენის საკითხი თვითმმართველობის გახსნის პირველ წლებშივე დაისვა, მაგრამ 20 წლის განმავლობაში პრაქტიკულად ბევრი არაფერი გაკეთებულა.

1876 წელს ახლად ორგანიზებულმა ქუთაისის თვითმმართველობამ ქუჩების შეკეთებისათვის მხოლოდ 2000 მან. გაიღო [1]. 1881 წელს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე დაიხარჯა 3000 მან. [2]. 80-იან წლებში ქუჩებსა და მოედნებზე წლიურად საშუალოდ 4 ათასი მან. იხარჯებოდა, რაც არასაკმარისი იყო მათი კეთილმოწყობისათვის.

„ივერიის“ კორესპონდენტი ქუთაისიდან იწერებოდა: „ჩვენს შორიდან კეკლუცს, მაგრამ ახლოდგან ტალახიან და მტვრიან ქუთაისში ბევრი იმისთანა ქუჩაა, რომ კაცს არ გაევლება. აი, მაგალითად, ივანოვის ქუჩა. ერთ წელიწადზე მეტი იქნება ისეთნაირად წახდა, რომ აედარში, არამც თუ ქვეითად ვერ გაივლი, არამედ ცხენითა და ფაიტონითაც ძლიერ გასაჭირი და საშიშია: ამ ქუჩაზე ალაგ-ალაგ ისეთი ხრამები და ტალახებია, რომ თუ ჩავარდი (რაც ღამე ძალიან ადვილია), მშვიდობით... თუ მშველელი არ გყავს შენს მტერს რაც საქმე დაგემართოს ... ნუთუ დრო არ არის, რომ ჩვენმა ქალაქის თვითმმართველობამ და პოლიციამ ყურადღება მიაქციონ ამ გვარს უწესობას?“ [3].

კორესპონდენტი ამაოდ მიმართავდა პოლიციას, მის ფუნქციებში უკვე აღარ შედიოდა კომუნალურ მეურნეობაზე ზრუნვა. ქალაქის თვითმმართველობა კი თანხების სიმცირის გამო ვერ ახერხებდა ქუჩა-მოედნების წესრიგში მოყვანას.

არქიელის გორის ქალაქთან დასაკავშირებლად არ არსებობდა საურმე გზა, რაც ამ უბნის მოსახლეობას ძნელ მდგომარეობაში აყენებდა. თვითმმართველობის უყურადღებობით აღშფოთებულმა მცხოვრებლებმა საჩივარი გუბერნატორთან შეიტანეს. საჩივარს

---

[1] „დროება“, 1876, № 12.

[2] „დროება“, 1881, № 19.

[3] „ივერია“, 1889, № 198.

ებნის 100-მდე მცხოვრებთან ერთად ხელს აწერდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელიც. მაგრამ ძალიან დიდხანს მას შედეგი არ მოჰყოლია. მხოლოდ 1895 წელს იქნა გაყვანილი ეს საოცნებო გზა.

1888 წელს იმპერატორს ქუთაისშიც ელოდნენ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით თვითმმართველობამ მოკირწყლა თბილისის, გერმანელთა, ალექსანდროვსკის, ორპირის, ვორონცოვის, გიმნაზიის, ჰოსპიტლისა და სხვ. ქუჩები [1]. იმპერატორის გაცილების შემდეგ თვითმმართველობას ქუჩებისათვის თანხა აღარ გააჩნდა. ამიტომ, სათათბირომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად მწყობრიდან გამოსული ქუჩები თვით მცხოვრებლებს უნდა შეეკეთებინათ თავისი ხარჯით. ეს დადგენილება საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ არ დაამტკიცა. ამის შემდეგ გამგეობამ სცადა გაეყვანა კანონი ქუჩების კეთილმოწყობისათვის სპეციალური გამოსაღების დაწესების შესახებ, მაგრამ ამაოდ. თვითმმართველობამ დასვა სესხის აღების საკითხიც. მას შემდეგ რაც ეს ღონისძიებები არ განხორციელდა სათათბირომ, როგორც ამის შესახებ „ნოვოე ობოზრენიე“ იუწყებოდა, მიიღო დადგენილება „საქმე გადაეცეს კომისიას — რთული საკითხების ამ ჩვეულებრივ სასაფლაოს“ [2].

1875 წელს ქალაქის ორი ნაწილის შემაერთებელი ხიდი ჩაინგრა, რომლის აღდგენას დასჭირდა თვითმმართველობისა და მოსახლეობის საკმაო თანხა. შემოწირულების სახით შეგროვდა 2485 მან. 15 ათასი მან. გაიღო თვითმმართველობამ და 1884—1885 წლებში ხიდის აღდგენა დამთავრდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გამგეობა თავის ანგარიშში წერდა, რომ ეს იყო ერთადერთი სერიოზული ნაგებობა, რომელიც განახორციელა ქალაქმა თვითმმართველობის 11 წლიანი არსებობის განმავლობაშიო. ლ.. ასათიანი და გამგეობის წევრები დიდ მიღწევად სთვლიდნენ აგრეთვე ქალაქის ბაღის რკინის მოაჯირით შემოკავებას, რაც სამი წელი გაგრძელდა და თვითმმართველობის სალაროს 10 ათასი მან. დაუჯდა [3].

ახალი ქუჩების გაყვანა და ძველების შეკეთება წლობით ჭია-

---

[1] «Новое обозрение», 1896, № 4144.
[2] «Новое обозрение», 1895, № 4048.
[3] «Новое обозрение», 1895, № 4043; 1896, № 4144.

ნურდებოდა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქალაქის გამგეობა ივსებოდა თხოვნა-საჩივრებით ქუჩების შეკეთების თაობაზე. ქუჩების მდგომარეობის აღწერის დროს ჩვეულებრივი გახდა გამოთქმები: „გაუვალი“, „უმსგავსო“, „გამორიცხავს ეკიპაჟითა და ფეხით გავლის შესაძლებლობას“ და სხვ. ამ გამოთქმებს ხმარობდნენ არა მარტო მცხოვრებნი, არმედ თვით ქალაქის თვითმმართველობის მოღვაწეებიც. ლ. ასათიანისა და ლ. ლოლუას მეთაურობით მოქმედმა მუნიციპალიტეტმა თითქოს აღიარა თავისი უუნარობა და დახმარება პოლიცმეისტერს სთხოვა. რამდენიმე ქუჩის გაყვანა-შეკეთება, მართალია, ქალაქის სახსრებით, მაგრამ პოლიციის მოხელეთა ხელმძღვანელობით ჩატარდა [1].

1895—1898 წლებში საქალაქო თვითმმართველობა ქალაქის კეთილმოწყობას შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა. ამ პერიოდში გაკეთდა და შეკეთდა ქუჩები 12 ვერსზე, რაშიც დაიხარჯა 100 ათასი მან. ამავე პერიოდში ნიკოლაევის ხიდის ხის ნაწილები შეიცვალა რკინის ნაწილებით [2].

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ქალაქის ქუჩების უმეტესობა კვლავ მოუწყობელი რჩებოდა. „კვალის“ კორესპონდენტი 1899 იწერებოდა, რომ ქუთაისის ქუჩებში „თუ ცოტა წამოწვიმა გავლაც კი არ შეიძლება, მუხლამდე ლაფში უნდა იაროთ ... სანიტარული მხრითაც ჯერ კიდევ ბევრი სანატრელი და სასურველი დაგვრჩენია. ზოგიერთ ქუჩებსა და ეზოებში დიდი უსუფთაობაა ... ღამღამობით არემარე მოცულია ჯოჯოხეთური სიბნელით, ფარნები მთელი ვერსის მანძილზეა ერთი მეორეს დაშორებული და რაც არის ისიც საცოდავათ ბჟუტავენო“ [3].

1898 წლისათვის ქ. ქუთაისის ქუჩების, შესახვევებისა და გასასვლელების სიგრძე 83 ვერსს უდრიდა, ფართობი კი 212 289 კვ. საჟენს შეადგენდა. აქედან მოკირწყლული იყო 4300 კვ. საჟენი, შოსირებული — 65 000 კვ. საჟენი, დანარჩენი ქუჩები სოფლის საურმე გზებს დიდად არ სჯობდა. ქუჩებში იდგა 772 ნავთის ფარანი [4].

XX ს-ის პირველ ათწლეულში ქ. ქუთაისის ცენტრალური ქუ-

---

[1] «Новое обозрение», 1895, № 4043; 1896, № 4144.

[2] Там же, 1898, № 5043.

[3] „კვალი“, 1899, № 49.

[4] სსრ კავშირის ცსია, ფ. 1287, ანაწ. 28, ს. 784, ფურც. 1—6.

ჩები წინა პერიოდთან შედარებით უკეთ გამოიყურებოდა. განაპირა უბნებში კი პროგრესი თითქმის არ შეიმჩნეოდა. ვინმე „ბალახვნელი“ ჩიოდა, რომ ეს უბანი ღვთის ანბარადაა მიტოვებული, ტალახითა და სიბინძურითაა სავსე, ვისაც ბალახვნის „სიმშვენიერე“ უნახავს, იგი ვერ იტყვის რომ ქალაქს პატრონი ჰყოლიაო. „არც დარაჯია ჩვენთვის და არც სანიტარი, მოიღეთ მოწყალება, მოგვეშველეთ“-ო [1].

XIX ს. ბოლოს ქუთაისში დაიწყეს ელექტროენერგიის გამოყენება. ელექტროენერგია, სხვათა შორის, ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკაშიც დაინერგა. მას მიზნად დაუსახავს მოგების გადიდება და ქალაქის თვითმმართველობაში „წინადადება შეუტანია — ნება მომეცით თბილისის, მიხაილოვის და გიმნაზიის ქუჩებზე სახლები და მაღაზიები გავანათოო... გამგეობას, — გვაუწყებს „კვალის“ კორესპონდენტი, — უარი გადაუწყვეტია ... რადგან იგი თვითონ აპირებს ელექტრონით ქალაქის განათებას. მხოლოდ მას ჯერ ვერ დაუდგენია თვითონ შეებმება ამ საქმეს, თუ კერძო კაცს ან ამხანაგობას გადასცემს“. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სათათბირომ დაადგინა მოლაპარაკება გაემართა ფირალოვთან და სხვა მსურველებთან [2].

ქუთაისში საქალაქო ტრანსპორტის თითქმის ერთადერთი სახე იყო ეტლი, რომელიც სიძვირის გამო მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენებისათვის წარმოადგენდა ხელმისაწვდომს. ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობა, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო იაფი მასობრივი ტრანსპორტის დანერგვით.

ქუთაისში ცხენის რკინიგზის მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ XIX ს. 80-იან წლებში დაისვა. ვინმე ავალიანმა წინადადება მისცა ქალაქს ცხენის რკინიგზის მოწყობის შესახებ, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და უარყო ეს საქმე. მასთან ერთად კონკის მოწყობას ხელი შეუშვა საქალაქო თვითმმართველობამაც [3]. კონკის შესახებ უფრო დაჟინებით ალაპარაკდნენ 90-იანი წლების დამლევს. 1898 წლის ერთ-ერთ ნომერში „კვალის“ კორესპონდენტი წერდა: „ქუთაისში დღეს ყველას კონკა აკერია პირზე. საითაც არ

---

[1] „იმერეთი“, 1912, № 8.

[2] „კვალი“, 1903, № 7.

[3] «Новое обозрение», 1895, № 4043.

გაივლი, ყოველი მხრიდან კონკის შესახებ გესმის საუბარი. ქალაქის საბჭოსაც თითქოს ყველაფერი დავიწყნია და მის უკანასკნელ კრებებზე სულ კონკის შესახებაა სჯა-ბაასი". წერილის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ქალაქის თვითმმართველობას უსახსრობის გამო არ შეუძლია პრაქტიკულად განახორციელოს ეს საქმე. ამიტომ სათათბირომ მისაღებად მიიჩნია ვინმე არზუმანიანცის წინადადება, რომელიც კისრულობს ვალდებულებას თავისი ხარჯით გამართოს კონკა, თუ მას მიეცემა 30 წლიანი კონცესიაო [1].

კონკისა და ტრამვაის გამართვის საკითხი, რომელმაც ქალაქის სათათბიროში და ქუთაისის მოსახლეობაში ესოდენ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თეორიულ სტადიას არ გასცილებია. მართალია, XX ს. პირველ ათწლეულში კიდევ იყო ლაპარაკი ტრანსპორტის ამ სახეობათა სამეურნეო წესით მოწყობის თუ კონცესიად გაცემის თაობაზე, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა. ქუთაისელებს რევოლუციამდე მასობრივი ტრანსპორტი არ ღირსებიათ.

* *

ფეოდალიზმის ხანაში ქუთაისის მოსახლეობა სასმელად რიონისა და მცირედებეტიანი წყაროების წყალს იყენებდა. XIX ს. მეორე ნახევარში, ქალაქის ზრდის პარალელურად თანდათან უფრო შესამჩნევი ხდებოდა მდინარე რიონის გაბინძურება და სასმელად მისი ხმარება უკვე აღარ შეიძლებოდა. ადგილობრივი წყაროები კი არასაკმარისი იყო მზარდი ქალაქისათვის. დღის წესრიგში დგებოდა წყალსადენის მოწყობის საკითხი.

წყალსადენი დიდ სახსრებს მოითხოვდა, რაც ქალაქის ფინანსურ შეძლებას აღემატებოდა. მუნიციპალიტეტის მეთაურები იძულებულნი იყვნენ კონცესიონერებისათვის მიემართათ. წყალსადენი თავისთავად შემოსავლიან საწარმოდ ითვლებოდა. ამიტომ, ბევრი ვაჭარ-მრეწველი იყო დაინტერესებული წყალსადენის კონცესიის მიღებით. ქალაქის თვითმმართველობას შესაძლებლობა ჰქონდა კონკურენცია გაემართა ამ საქმის ამღებთა შორის და თავისათვის შედარებით ხელსაყრელი ხელშეკრულება გაეფორმებინა.

---

[1] „კვალი", 1898, № 47.

1887 წელს თვითმმართველობას წყალსადენის მოწყობის წინადადებით მიმართეს თავადმა დ. ნიჟარაძემ და ინჟ. განემანმა.

„ივერიის“ რედაქციის გადმოცემით, ქუთაისის თვითმმართველობა ბეჯითად მოეკიდა ამ საყურადღებო წინადადებას, ორი სხდომა დაუთმო მის განხილვას. სათათბირომ დაადგინა უარი თქვას წყალსადენის მოწყობის სამეურნეო-ოჯახურ წესზე და საქმე კონცესიონერებს გადასცეს, მაგრამ ჯერ ვერ გადაეწყვიტა ნიჟარაძესა და განემანთან დაედო სათანადო ხელშეკრულება თუ უფრო ხელსაყრელ წინადადებას დალოდებოდა [1].

ხელსაყრელი წინადადების ლოდინი კი ქუთაისის თვითმმართველობას ძალიან დიდხანს დასჭირდა. 1898 წელს ქუთაისის სათათბიროს ორ სხდომაზე გაირჩა წყალსადენის საკითხი. სხდომაზე მიწვეული ყოფილა გეოლოგი სიმონოვიჩი, რომელსაც უფრო ადრე მიუღია დავალება ქუთაისის ახლოს მდებარე წყაროების შესწავლის თაობაზე. სათათბიროს სხდომაზე სიმონოვიჩმა აუწყა ხმოსნებს, რომ ორი კარგი წყარო შევისწავლე. ფაცრის წყალის სადღეღამისო დებეტი 270 ათასს, ხოლო „გრუდოს“ დებეტი 150 ათასს ვედროს უდრისო. ამ წყაროების ანალიზი მოუხდენია პროფ. პეტრიაშვილს და საკმაოდ კარგი შეფასება მიუცია [2].

შედგენილი პროექტების თანახმად, წყალსადენის მოწყობის ხარჯი ნავარაუდევი იყო 300 ათასი მან. ოდენობით, რაც აღემატებოდა ქალაქის საბიუჯეტო შეძლებას. წამოყენებულ იქნა წყალსადენის გამართვის რამდენიმე ფინანსური გეგმა: მთავრობის სესხით, საობლიგაციო სესხით ან საკონცესიო წესით, რადგან სესხის მიღება შეუძლებელი გახდა, მიღებულ იქნა დადგენილება კონცესიონერთა გამოწვევის შესახებ. გამგეობაში შევიდა კონცესიის ოთხი წინადადება. მათი განხილვის შემდეგ დღის წესრიგში დარჩა მხოლოდ ინჟ. მიხაილოვის პროექტი, რომელიც თანდათან შეივსო და ზოგ პუნქტებში შეიცვალა კიდეც.

მიხაილოვთან დადებული საკონცესიო ხელშეკრულების ძირითადი მუხლები ასეთია: 1) კონტრაჰენტი ვალდებულებას კისრულობს თავისი ხარჯით და პასუხისმგებლობით მოაწყოს და ექსპლუატაცია გაუწიოს წყალსადენს. ქალაქს დღე-ღამეში მიაწოდოს 350

---

[1] „ივერია“, 1887, № 144.

[2] «Новое обозрение», 1898, № 5125.

ათასი ვედრო კარგი სასმელი წყალი; 2) წყალი გამოყვანილი იქნება რიონიდან. წყლის გასაწმენდათ მოეწყობა აუზები და ფილტრები; 3) წყალსადენის ქსელის სიგრძე იქნება 18 კმ; 4) კონტრაჰენტი ვალდებულია ყოველწლიურად ქალაქს გადაურიცხოს წყალსადენის შემოსავლის 20%: 5) კონცესიის ვადათ წესდება 34 წელი, რის შემდეგ წყალსადენი უფასოდ გადადის ქალაქის ხელში; 6) კონცესიის 20 წლის თავზე და მის შემდეგ ქალაქს უფლება აქვს თავის საკუთრებაში გამოისყიდოს წყალსადენი; 7) საგარანტიოდ კონცესიონერმა ქალაქის სალაროში უნდა შეიტანოს 20 ათასი მან.[1].

ეს პროექტი მოიწონა ქალაქის სათათბირომ, შემდეგ კი დამტკიცა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებმა. 1901 წელს მიხაილოვმა კიდეც დაიწყო წყალსადენის მოწყობის სამუშაოები. მაგრამ მალე ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო, რომ მიხაილოვი ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლს არღვევსო. 1902 წლის 7 მარტს ქუთაისის სათათბიროს სხდომაზე სწორედ ეს საკითხი იქნა განხილული. ხმოსანმა ფონ შულცმა განაცხადა, წყალსაცავი უხარისხოდ კეთდება. ხელშეკრულების თანახმად მიხაილოვს ერთ წილ ცემენტზე ორი ნაწილი სილა უნდა ეხმარა, ის კი ხუთ ნაწილ სილას ხმარობს და ხშირად ცემენტის მაგიერ კირს იყენებს. ასი ათასი ვედრო ტევადობის უმთავრესი აუზის კედლების სიმაღე მეტად შემცირებულია და აუზის კედლები ნახევრად სიპ კლდეზე, ნახევრად კი ქვიშაზეა ამოყვანილი, რაც მას მალე დანგრევას უქადისო. წყალსადენი დროებით ეკუთვნის მიხაილოვს, საბოლოოდ იგი ქალაქის კუთვნილება უნდა გახდეს და თუ თვითმმართველობამ ამ ნაგებობის ხარისხს ახლავე არ მიაქცია ყურადღება, გამოუსადეგარი წყალსადენი შერჩებაო. ხმოსანმა მოითხოვა წყალსადენის მშენებლობისადმი კონტროლის დაწესება[2].

გამოირკვა, რომ რამდენიმე ხმოსანი მიხაილოვის მიერ ჩამოყალიბებული საპაიო-აქციონერული საზოგადოების წევრი ~ ყოფილა. ამიტომ ფონ შულცის წინადადებამ მათი უკმაყოფილება გამოიწვია. „ერთი მხრით, მოზრდილი პროცენტები, საკუთარი ჯიბე, — შენიშნავდა „კვალის“ კორესპონდენტი, — მეორე მხრით, ქალაქის ინტერესები. როგორ ემსახუროს ბ. ხმოსანი ერთსა და იმავე

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 604, ფურც. 2—15.

[2] „კვალი“, 1902, № 34.

დროს ორ ღმერთს — თავის ჯიბესაც და ქალაქსაც? ხმოსან დარაბველიძეს განუცხადებია, — ვისაც მიხაილოვის და კომპანიის პაიები გაქვთ ახლავე გაყიდეთ, თორემ თავს შეირცხვენთო. ბევრმა სული განაბა, ვითომ აქ არაფერიო, მხოლოდ რამდენიმე ხმოსანმა დაუჭირა მხარი ამ სამართლიან განცხადებას"[1]. თავმჯდომარის წინადადებით, წყალსადენის მშენებლობის კონტროლისათვის არჩეულ იქნა სპეციალური კომისია კ. ლორთქიფანიძის, ფონ შულცისა და ვ. ჭელიძის შემადგენლობით.

1902 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე სპეციალურმა კომისიამ განაცხადა, რომ მიხაილოვი არ აკეთებს ისეთ აუზებს, როგორც ხელშეკრულების ძალით უნდა გაეკეთებიაო. კომისიის წერილობითი მოხსენება მიხაილოვს გადაეგზავნა, რომელმაც მისთვის წაყენებული ბევრი პრეტენზია გადამეტებულად მიიჩნია, ზოგი მუხლის დარღვევა კი ტექნიკურ პირობებს გადააბრალა. სათათბირომ სარწმუნოდ მიიჩნია კომისიის მოხსენება და მიხაილოვს დაავალა ემოქმედა ტექნიკური პროექტის თანახმად, არაფერი შეეცვალა მასში სათათბიროს დასტურის გარეშე[2]. მიუხედავად მიღებული ღონისძიებისა, მხარეების კონფლიქტი კვლავ გრძელდებოდა: საბოლოოდ ქუთაისის თვითმმართველობამ მიხაილოვს წყალსადენის კონცესია ჩამოართვა და ახალი კონტრაჰენტის ძებნა დაიწყო.

XX ს-ის პირველ ათწლეულში, როგორც ვხედავთ, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა ქალაქის ელექტრონული განათების, ტრამვაის და წყალსადენის მოწყობის საკითხი, რაც ბუნებრივია, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ქართული პრესა თითქმის ყოველთვის აკრიტიკებდა ქუთაისის მუნიციპალურ მოღვაწეებს სამეურნეო ინიციატივისა და პრაქტიკული საქმიანობის უნარის უქონლობისათვის, გმობდა კომუნალური მეურნეობის მოწყობა-მართვის საიჯარო და კონცესიურ მეთოდს. მუნიციპალიზაციის მოწინააღმდეგე ქუთაისის თვითმმართველობისადმი ირონიითაა გამსჭვალული, მაგალითად „იმერეთის" ერთი პატარა ცნობა: „გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ყველა ნაცნობთა და ნათესავთა ქუთაისის თვითმმართველობის გარდაცვალებას... როგორ, როდის,

---

[1] „კვალი", 1902, № 34.

ასე მოულოდნელად? ქუთაისის საბჭომ დიდი ბჭობა მოანდომა იმის გადაწყვეტას: ქალაქის საჭიროების დასაკმაყოფილებლად ჩვენ ვისაქმოთ, თუ სხვა ვასაქმოთო; წყლის გამოყვანა ჩვენ ვიკისროთ, თუ სხვას ვაკისროთო; იკივლა, იწივლა და გაწვალებით ერთი პატარა, მაგრამ მარგალიტი აზრი შვა: ჩვენ საქმე არ მოგვენდობა, ჩვენ პირადი ინტერესების მიმდევარი ვართ, ერთი სიტყვით, ჯერჯერობით უსუსურები ვართ და ამიტომ წყლის გამოყვანა კონცესიით გაიცესო; ჩვენ მოსავლელს სხვამ მოუაროსო. ეს შვა და კიდეც გარდაიცვალა. საცოდავი თვითმმართველობა თვითონ აღარ მართავს, საუკუნო იყოს სახსენებელი მისი" [1].

იუმორესკა საქმეს ვერ შველოდა. ქუთაისის თვითმმართველობის სამეურნეო უმოქმედობა კვლავ გრძელდებოდა. 1902—1912 წლებში ბევრი არაფერი გაკეთებულა. წყალსადენი, კონკა და ელგანათება კვლავ საოცნებო საგნებს წარმოადგენდა. ამიტომ, თვითმმართველობის ყოველი ცდა მოქალაქეთა შორის იმედის ნაპერწკალს ბადებდა.

მართალია, ქუთაისის სათათბირომ ბოლოს და ბოლოს აღიარა კომუნალური მეურნეობის მოწყობა-გამართვის მუნიციპალური წესის უპირატესობა და დაგმო კონცესიები, მაგრამ ქართული პრესის პუბლიცისტთა სკეპტიციზმი გამართლდა. წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროგანათებისა და ტრამვაის მოწყობის პროექტთა ხორცშესხმისათვის პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაკეთებულა. მალე ქუთაისის თვითმმართველობის ფინანსურ უძლურებას პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული სიძნელეები დაემატა. ჩამოთვლილი პროექტები არქივის მტვერით დაიფარა. მათი განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

3. ქუთაისის თვითმმართველობის საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სფეროში

აუცილებელი ვალდებულებებით (პოლიციისა და ჯარის შენახვის ხარჯები) მძიმედ დატვირთულ ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობას მეტად მცირე თანხა რჩებოდა ჯანმრთელობის დაცვისა და

[1] „იმერეთი", 1913, № 161.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსებისათვის.

XIX ს. 70—80-იან წლებში ქ. ქუთაისი სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1884 წელს „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტი წერდა. რომ ქუთაისი ჭუჭყში იხრჩობაო. განსაკუთრებით დიდი სიბინძურეა ბაზრებში, ხორცის დუქნებში, თევზის სავაჭროებში. მდინარე რიონის სანაპირო სავსეა ნაგვით, სანიტარიული კომისია კი არსად ჩანსო [1]. სიბინძურის ნამდვილ ბუდეს წარმოადგენდა, კერძოდ, ქუთაისის ებრაელთა უბანი. ამ უბანს ეკავა ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მდინარის მარცხენა მხარეს. თავისი ბუნებრივი პირობებით, აღნიშნავდა სანიტარიული კომისია, ებრაელთა უბანი ქალაქის საუკეთესო ნაწილი იქნებოდა, რომ იგი დამახინჯებული არ იყოს ებრაელთა პატარა ნაგებობებით. იქ არაა დაცული სანიტარიის ელემენტარული მოთხოვნები, რის გამო ხშირად ჩნდება გადამდები სნეულებანიო [2].

ცუდად იყო დაყენებული ქალაქიდან ნაგვის გატანის ორგანიზაცია. XIX ს-ის 80-იან წლებში ნაგვის გასატანად ქალაქს ჰქონდა მხოლოდ 6 ხის კასრი და ერთი ოთხთვალა. ქალაქს არ გააჩნდაო სასაკლაო. ყასბები სახორცე პირუტყვს ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ფარდულებში კლავდნენ, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა სანიტარიული წესების დაცვას. 1896—1897 წლებში თვითმმართველობამ, როგორც იქნა, მოახერხა სასაკლაოს აგება. მოეწყო აგრეთვე საასენიზაციო აღალი, რომელშიც ირიცხებოდა 10 ოთხთვალა და 10 ჰერმეტულად დახურული რკინის კასრი [3].

საქალაქო რეფორმის გატარების პირველ წელს ქუთაისის თვითმმართველობას თავის შტატში ჰყავდა მხოლოდ ერთი გინეკოლოგი და ერთი ფერშალი. 90-იან წლებში სამედიცინო და სანიტარიული ნაწილის შტატი თანდათან ფართოვდებოდა. 1900 წელს სანიტარიასა და სამედიცინო მომსახურებაზე ქუთაისის თვითმმართველობამ დახარჯა 16 494 მან., საიდანაც ქალაქის საავად-

---

1 «Новое обозрение», 1884, № 46.
2 საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 24, ს. 265.
3 «Новое обозрение», 1898, № 5048.

მყოფოს დაფინანსებას დასჭირდა 3444 მან., პოლიკლინიკას — 1565 მან., სამედიცინო პერსონალს — 1630 მან., სანიტარიულ ღონისძიებებს — 2445 მან., საასენიზაციო აღალს — 3350 მან. და სხვ. [1].

XX ს. დამდეგს ქალაქის თვითმმართველობამ ახალი კარგად მოწყობილი ორი აფთიაქი გახსნა ქუთაისში, საკმაო რაოდენობით გაადიდა ექიმთა და დაბალი სამედიცინო პერსონალის შტატები. 1903 წელს სანიტარიასა და სამედიცინო მომსახურებაზე თვითმმართველობამ დახარჯა 22 821 მან. [2].

1903 წელს, ანდერძის ძალით, საქალაქო თვითმმართველობის ხელთ გადავიდა გარდაცვლილ ექიმ სამსონ თოფურიას კერძო საავადმყოფო. 1914 წელს კი ქუთაისის გარეუბანში, საღორიაზე გაიხსნა ქალაქის ახალი 100-ადგილიანი საავადმყოფო, რაც ქართულმა პრესამ ქუთაისის თვითმმართველობის მნიშვნელოვან მიღწევად აღიარა. და მართლაც იმ პირობებში მეტის გაკეთება თითქმის არ შეიძლებოდა.

* *

თვითმმართველობის გახსნის პირველ წლებში ქალაქის უწყებაში არც ერთი სკოლა არ ირიცხებოდა. 1876 წელს თვითმმართველობამ 1355 მან. გაიღო მთავრობის უწყებაში მყოფი ქუთაისის სკოლების დაფინანსებისათვის. 1881 წელს ქუთაისის თვითმმართველობამ სკოლებზე დახარჯა 3046 მან. 1890 წელს თავისი ინიციატივითა და ხარჯით თვითმმართველობამ დააარსა ვაჟთა დაწყებითი სკოლა [3].

1898 წლისათვის ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის უწყებაში იყო 1 დაწყებითი სკოლა 178 მოსწავლით, 1 საკვირაო სკოლა უფროსთათვის 300 მოსწავლით, ბიბლიოთეკა 4396 წიგნით, სამკითხველო და 620 ადგილიანი საქალაქო თეატრი [4]. ქუთაისის თვითმმართველობა სწავლა-განათლებაზე თავის ბიუჯეტის 6%-ს ხარჯავდა მხოლოდ, რაც პროგრესულ ინტელიგენციას არასაკმარისად მიაჩნდა.

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 689, ფურც. 3, 32—31.
[2] იქვე, ს. 1023, ფურც. 3.
[3] «Новое обозрение», 1898, № 5050.
[4] სსრ კავშირის ცსია, ფ. 1287, ანაწ. 28, ს. 784, ფურც. 1—6.

1899 წელს „კვალის“ კორესპონდენტი წერდა: „ქალაქს (ლაპარაკია ქუთაისზე — ა. ბ.) თავისი განმანათლებლური დაწესებულებანი თითქმის არ მოეპოვება, მაგრამ ის არც სხვებს უწყობს ხელს განათლების საქმეში. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე დაარსებულ იაფფასიან სამკითხველოსაც კი უარი უთხრა ჩვენმა საბჭომ, ვერ დაგეხმარებითო. სულ ქალაქი ხარჯავს განათლებისათვის 8,896 მან. (6%), მაგრამ ამ ჯამიდან უნდა გამოვიდეთ განათლებაზე დადებული ბეგარა, შემოსავალი, რომელსაც შეადგენს სწავლის ფული და ბიბლიოთეკის გადასახადი. გამოვა რომ ნამდვილად ქალაქი ხარჯავს არა 8896 მან., არამედ 2144 მან., ასეთია ქუთათური ზრუნვა განათლებაზე“ [1].

1900 წლის ბიუჯეტიდან ქუთაისის დაწყებითი სკოლის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 3910 მან., საკვირაო სკოლისათვის — 300 მან., ქალაქის ბიბლიოთეკისათვის — 2366 მან. მთავრობის უწყებაში მყოფი ვაჟთა გიმნაზიის შენობის აგებას უნდა მოხმარებოდა 11 927 მან., საქალაქო სკოლას — 1358 მან., ქალთა კერძო სკოლას — 1400 მან., სტიპენდიებს — 300 მან. ქალაქის თეატრის საჭიროებისათვის გათვალისწინებული იყო 3020 მანეთი. სულ სახალხო განათლებასა და კულტურაზე 1900 წელს ქუთაისის თვითმმართველობამ დახარჯა 21 776 მან. [2].

1905—1907 წლების რევოლუციის შემდეგ ქუთაისის თვითმმართველობამ შედარებით მეტი ყურადღება მიაქცია სახალხო განათლებასა და კულტურას, შედარებით მეტ თანხებს გამოჰყოფდა მისი დაფინანსებისათვის. მაგრამ საერთოდ, თვითმმართველობა ამ სფეროში მცირე როლს თამაშობდა. ქალაქის სწავლა-განათლების სისტემა მთავრობის ადმინისტრაციის უწყებაში იმყოფებოდა.

---

[1] „კვალი“, 1899, № 8.

[2] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 689, ფურც. 3, 20—29.

ფოთის საქალაქო თვითმმართველობა

ძველი ქალაქი ფაზისი (ფოთი) თითქმის ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობასა და ვაჭრობაში. 1578 წელს ფოთი და საქართველოს შავი ზღვისპირეთის დიდი ნაწილი თურქებმა დაიპყრეს. მართალია, 1640 წელს ქართველებმა დაიბრუნეს ქალაქი, მაგრამ XVIII საუკუნის 20-იან წლებში თურქები მტკიცედ დამკვიდრდნენ ფოთში და იქ თავიანთი ფაშა დასვეს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები, ქართველი ხალხი არასდროს არ შერიგებიან შავი ზღვისპირეთის, კერძოდ, ფოთის დაკარგვას, ყოველთვის იბრძოდნენ მისი განთავისუფლებისათვის.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართველმა პოლიტიკოსებმა მტრებისაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის განთავისუფლების საკითხი რუსეთის განმათავისუფლებელ მისიას დაუკავშირეს.

1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუს-ქართველთა შეერთებული ჯარის ნაწილების მიერ ფოთის აღების ცდა მარცხით დამთავრდა. უფრო წარმატებით განვითარდა შავი ზღვის პირეთში რუს-ქართველთა ჯარის ოპერაციები 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთი აღებულ იქნა, მაგრამ 1812 წლის ზავის პირობების თანახმად რუსეთმა ფოთი ისევ თურქეთს დაუბრუნა.

1828 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ახალი ომი გაჩაღდა. იმავე წლის 15 ივლისს რუსეთ-ქართველთა ჯარებმა ფოთი თურქთა ბატონობისაგან საბოლოოდ გაანთავისუფლეს. ფოთისა და საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიების შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „ოსმალეთის 300 წლიანი სავაჭრო მონოპოლია. — წერდა ამ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი, — წარსულს ჩაბარდა და ბურჟუაზიული ევროპიდან ალმო-

სავლეთში ახალი სატრანზიტო გზა ოსმალეთის გვერდის ავლით დაისახა"[1]. საქართველო-ამიერკავკასია შავი ზღვით დასავლეთ ევროპას დაუკავშირდა, იგი მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში ჩაერთო.

დედა სამშობლოსთან დაბრუნებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ფოთის, როგორც ქალაქ-ნავსადგურის მნიშვნელობა განპირობებული იყო საგარეო და საკაპოტაჟო ნაოსნობა-ვაჭრობით. საქართველო-ამიერკავკასიის სავაჭრო ბრუნვის გაფართოება ხელს უწყობდა ფოთის ზრდა-განვითარებას.

ფოთში ნავსადგურის მოწყობის საკითხი ქალაქის შემოერთებისთანავე დაისვა. სამხედრო ინჟინერმა ჩადაევმა და გენერალ-მაიორმა პოტიემ შეადგინეს ფოთის ნავსადგურის მშენებლობისა და შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე სამდინარო ნაოსნობის გამართვის პირველი პროექტები. 1832 წელს ამიერკავკასიის მთავარმმართველ ბარონ როზენის განკარგულებით სახელმწიფო საბაჟო დაწესებულებანი ყულევიდან ფოთში იქნა გადატანილი. 1836 წელს ფოთის ნავსადგურის მშენებლობას გენერალ-მაიორი ესპეხო ჩაუდგა სათავეში. დაიწყო ჭაობების ამოშრობა, ტყის გაკაფვა. მაგრამ მთავრობისაგან დაშვებული სახსრების სიმცირის გამო, მუშაობა მალე შეჩერდა. ამის მიუხედავად ნავსადგურის მოწყობის საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა ვორონცოვის დროსაც.

1858 წლის 25 იანვარს ბარიატინსკიმ ფოთის შესახებ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობაში. იმავე წლის 3 აპრილს იმპერატორმა დაამტკიცა კავკასიის კომიტეტის დადგენილება ფოთის ქალაქად გამოცხადებისა და ნავსადგურის გახსნის თაობაზე.

ფოთს არ გააჩნდა ბუნებრივი ბოღაზი. დიდ ნავსადგურად ფოთის გადაქცევის წინა პირობას წარმოადგენდა ხელოვნურ ნაგებობიანი გემთმისადგომის მოწყობა, მისი დაცვა ზღვის ღელვისა და რიონის შლამისაგან. 1858 წელს ნავსადგურის მშენებლობის ახალი პროექტი შეადგინა ინჟ. ბოგუშევიჩმა, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა. 1861 წელს ფოთში მივლინებით გა-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 312.

იგზავნა სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი ნ. შავროვი. მან დააპროექტა ნავსადგურის მშენებლობა რიონის ჩრდილოეთი ტოტის შესართავთან. ნავმისადგომის შლამისაგან დაცვის მიზნით ააგეს ხის ჯებირი, რაც მალე ზღვის ღელვამ დაანგრია. ამის შემდეგ გადაწყდა ქვის ჯებირის მოწყობა. 1870 წლის თებერვალში კავკასიის კომიტეტმა განიხილა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის შედეგები და ჩატარებული სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად ცნო [1].

ნავსადგურის მშენებლობის გაჭიანურება, პროექტების ხშირი შეცვლა უარყოფით გავლენას ახდენდა ქალაქის ზრდა-განვითარებაზე. პირველი პროექტები ნავსადგურის მოწყობას ითვალისწინებდა რიონის სამხრეთი ტოტის შესართავთან, შავროვის პროექტი — ჩრდილოეთ ტოტზე. ქალაქი კი ძირითადად ნავსადგურის მისადგომებზე უნდა გაშენებულიყო. „აი იმის მიზეზი, — წერდა ნ. ნინიკოლაძე 1871 წელს, — რომ აქამდე ფოთი „დროებით“ ცხოვრობს და „დროებით“ იცდის ... ეს დროებითი ხასიათი მეტის მეტად ატყვია ყველაფერს, რაც კი ფოთში რამეა. სახლები თითქმის ყველა ხისაა, ორიოდე შენობის მეტი ქვიტკირის არ მოიპოვება. სახელმწიფო შენობები თითქმის სულ არ მოიძებნება ფოთში“ [2].

XIX ს-ის 70—80-იან წლებში ფოთის ნავსადგურის პროექტები მთავრობაში წარმოადგინეს ფროლოვმა, ზეზენმანმა, მეიერმა და სხვებმა. 1889 წელს ნავსადგურის მშენებლობა სამხედრო სამინისტროდან გზათა სამინისტროს ხელში გადაეიდა. 1891 წლის ბოლოსათვის ფოთის ნავსადგურის კეთილმოწყობაზე უკვე დახარჯული იყო 7 მლნ მან. ნავსადგურს იცავდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯებირები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გემების უშიშროებისათვის. 1893 წელს, მაგალითად, ძლიერმა ქარიშხალმა და ზღვის ღელვამ ღუზას მოსწყვიტა და დააზიანა ფოთში მდგარი რამდენიმე გემი [3].

1894 წელს ფოთის ნავსადგურის გადაკეთების ახალი და ყველასაგან განსხვავებული გეგმა-პროექტი შეადგინა კომერციული ნავსადგურის მომწყობი კომისიის უფროსმა პროფ. ნ. ვოზნე-

---

[1] მ. პაჭკორია. ფოთის წარსულიდან, 1967, გვ. 85—89.

[2] ნ. ნიკოლაძე. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 549.

[3] В. Сахаров. Потийский порт, материалы, 1894, стр. 79—80.

სენაკიმ. მისი აზრით, ჯებირებით შემოზღუდული ტერიტორია გამოყენებული უნდა ყოფილიყო წინა ნავსადგურად, ხოლო გემების დაცადგომად და დასატვირთად ზღვის პირზე უნდა გათხრილიყო ვრცელი აუზი. ამასთან ერთად, საჭირო იყო ნავსადგურის არხით შეერთება მდ. რიონთან, სადაც მოეწყობოდა საკაპოტაჟო გემების სადგომი. ამ გეგმა-პროექტის პრაქტიკული განხორციელება წილად ხვდა ნ. ნიკოლაძეს.

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ფოთი კარგახანს სოფელს ჰგავდა, ძალიან ნელა ღებულობდა ქალაქის სახეს. მოქალაქეებზე სამოსახლო მიწების გაყიდვა და ფოთის გაშენება თითქმის ყოველგვარი გეგმის გარეშე მიმდინარეობდა. ზოგი რიონის პირზე სახლდებოდა, ზოგი — პალიასტომსა და მდ. კაპარჭინასთან, ზოგიც — ნავსადგურის მიდამოებში.

1858 წლის შემდეგ მთავრობის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებანი გაატარა ქალაქის დაგეგმვისათვის, მაგრამ იგი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იმ პირობებში, როცა მთავრობა სახსრებს ვერ იმეტებდა რიონის ნაპირების გამაგრებისა და ჭაობების ამოშრობისათვის, ფოთში დასახლების მსურველნი თვითონ ირჩევდნენ სამოსახლოს შემაღლებულ ადგილებზე, თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ქალაქის დაგეგმვის პროექტს.

ფოთის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა. 1863 წელს იქ მხოლოდ 1039 მცხოვრები ითვლებოდა. 1886 წელს ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა 4079, 1908 წელს — 13 764, 1910 წელს — 17 080 კაცს. 1886 წლისათვის ფოთის მოსახლეობის 63% იყვნენ ქართველები, 10% — სომხები, 9% — ბერძნები. 5% — რუსები და სხვ. ფოთის მცხოვრებთაგან 3208 კაცი მეშჩანთა წოდებას ეკუთვნოდა, დანარჩენი ვაჭრები და თავადაზნაურობა იყო. მომდევნო ხანაში ფოთის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მართალია, ისევ ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ საგრძნობლად შეიცვალა მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშებისა და ხელოსნების რაოდენობა.

ფოთის გაფართოება-განაშენიანება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ნავსადგურის ტვირთბრუნვის, საგარეო და საკაპოტაჟო ვაჭრობის ზრდით. 1861 წელს ნავსადგურის ბრუნვა 1 780 000 მან. უდრიდა, 1862 წელს მან შეადგინა — 2 347 000 მან., 1863 წელს — 4 413 000 მან. ამ დროს, ფოთის წილად მოდიოდა

საქართველოს შავი ზღვის ყველა ნავსადგურის ბრუნვის 80%. 1874 წელს ფოთიდან უცხოეთში გაიგზავნა 5 306 000 მან. საქონელი, ხოლო რუსეთში — 1 731 000 მან. იმავე წელს საზღვარგარეთიდან შემოვიდა 8 მლნ. მან., ხოლო რუსეთიდან — 7 მლნ მან. საქონელი.

XIX ს-ის 80—90-იან წლებში ფოთის ნავსადგურმა საერთო ტვირთბრუნვის მოცულობით, მართალია, პირველი ადგილი ბათუმს დაუთმო, მაგრამ უპირატესობა შეინარჩუნა მარგანეცისა და სიმინდის ექსპორტის საქმეში. 1889 წელს ფოთის ნავსადგურით გაიტანეს 14 მლნ ფუთი საქონელი, 1895 წელს — 23 მლნ ფუთი, 1902 წელს — 44 მლნ ფუთი, 1913 წელს — 65 მლნ ფუთი. საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა ფოთი უცხოური საქონლისა და რუსული ნაწარმის შემოტანაში. 1887 წელს ფოთის ნავსადგურში შემოვიდა 475 გემი, 1897 წელს — 1214, 1907 წელს — 1324, 1909 წელს — 1698 გემი [1].

XIX ს-ის 60-იანი წლებიდან სწრაფად იზრდებოდა ფოთის სავაჭრო-კომერციული მნიშვნელობა. აქ საფუძველი ეყრებოდა ადგილობრივ და უცხოელ კაპიტალისტთა სავაჭრო ფირმებს, მრავლდებოდა საკრედიტო დაწესებულებები, საწყობები და დუქან-მაღაზიები. 1887 წელს ფოთში 370 სავაჭრო დაწესებულება ითვლებოდა. მრეწველობა ფოთში შედარებით სუსტად იყო განვითარებული. XIX ს-ის 90-იან წლებში იქ 700—800 ხელოსანი საქმიანობდა. მათი უმრავლესობა წვრილი საქონელმწარმოებელი იყო. სახელოსნოთა მხოლოდ მცირე ნაწილში გამოიყენებოდა დაქირავებული მუშახელი. 1897 წელს ფოთში მოქმედებდა შედარებით მსხვილი ათი სამრეწველო საწარმო, რომლებშიც დასაქმებული 52 დაქირავებული მუშა წლიურად ამზადებდა 58 ათასი მან. პროდუქციას. 1907 წელს ფოთში ითვლებოდა 845 ხელოსანი ოსტატი, ქარგალი და შეგირდი. ამის გარდა, 12 კაპიტალისტურ საწარმოში, რომელთა წლიური პროდუქციის ღირებულება 113 ათას მან. უდრიდა, დასაქმებული იყო 96 მუშა [2].

რევოლუციამდე ფოთი მსხვილ სატრანზიტო პუნქტს წარმოადგენდა, მის ეკონომიკაში ტონის მიმცემი იყო საქონლის იმ-

---

[1] მ. პაპკორია. ფოთის წარსულიდან, გვ. 155; ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/132.

[1] «Обзор Кутаисской губернии за 1907 г.», Ведомость № 8.

პორტთან და ექსპორტთან დაკავშირებული დაწესებულებები, რომელნიც ყიდვა-გაყიდვის მსხვილ ოპერაციებს აწარმოებდნენ. ამან განაპირობა ფოთში ბირჟის გახსნის საჭიროება.

ფოთის ბირჟის წესდება დამტკიცდა 1908 წლის 3 დეკემბერს. ფოთის ბირჟის საზოგადოება შედგებოდა ადგილობრივი პირებისა და უცხოელებისაგან, რომელნიც ეწეოდნენ ვაჭრობა-მრეწველობას. ისინი იხდიდნენ გარკვეულ გამოსაღებს, ფარავდნენ საბირჟო კომიტეტის შენობის ხარჯებს. საბირჟო საზოგადოების მუდმივმოქმედი ორგანო იყო საბირჟო კომიტეტი, რომელიც შედგებოდა თავმჯდომარისა და 6 წევრისაგან. მის ფუნქციებში შედიოდა საბირჟო საზოგადოების ქონების გამგებლობა, ბირჟაზე არაკანონიერი მაკლერობის აღკვეთა, სადავო სავაჭრო საქმეებში შუამავლობა, მთავრობის შეკითხვებზე პასუხის გაცემა, უმაღლეს ინსტანციებში სხვადასხვა წინადადებების წარდგენა ვაჭრობა-მრეწველობის აღმავლობის თაობაზე და სხვ. საბირჟო ბიულეტენების შედგენა და გამოქვეყნება ევალებოდა განსაკუთრებულ დამფასებელ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ ვაჭრობა-მრეწველობის ყველა დარგის წარმომადგენლები. იგივე კომისია ვალდებული იყო აღენუსხა ყველა მსხვილი გარიგებანი. ფოთის ბირჟაზე მოქმედებდნენ ბირჟის მაკლერები, აუქციონერები და საბირჟო ექსპერტები [1].

ფოთის როგორც ნავსადგურისა და სავაჭრო ქალაქის აღნიშნული თავისებურებანი განაპირობებდა ფოთის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის ხასიათსაც.

I. ფოთის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

1870 წლის საქალაქო დებულება ფოთში საკმაოდ მოგვიანებით, 1882 წელს გატარდა. გარკვეული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 11 ნოემბერს მოხდა პირველი და მეორე თანრიგის ხმოსანთა, 15 ნოემბერს კი მესამე თანრიგის ხმოსანთა არჩევნები. ფოთის საქალაქო სათათბიროში გავიდნენ: ლ. ჭიჭინაძე, ს. ჭოჭუა, ა. ჯალალოვი, ე. თურქია, ქ. ხუმარაძე, გ. დიდია, ს. გუგუშვილი, ნ. სიორიძე, ა. გუგუშვილი, კ. რუხაძე, დ. ერაგია, ე. ავგერინო და სხვები.

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 48/126.

ფოთის პირველ ქალაქის თავად თვით მთავრობამ დანიშნა გენერალ-მაიორი ივ. ვახრამოვი. მისი თავმჯდომარეობით 1882 წლის 21 ნოემბერს შედგა ფოთის სათათბიროს პირველი სხდომა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით „დროების“ კორესპონდენტი ფოთიდან იწერებოდა: „დიდი ლოდინის შემდეგ ჩვენც ვეღირსეთ სამოქალაქო თვითმმართველობას ... კვირას მღვდელმა გ. მაჭაროვმა პარაკლისი გადაიხადა და ხმოსნები დააფიცა. ფიცის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოკლე ... სიტყვით მიმართა“. ივ. ვახრამოვს იმედი გამოუთქვამს, რომ სათათბირო და გამგეობა შეთანხმებულად და პატიოსნად იშრომებდა ქალაქის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის [1].

პირველი შემადგენლობის სათათბირომ და გამგეობამ ბევრი ვერაფერი გააკეთა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. მოსახლეობის მოლოდინი ჯერჯერობით არ გამართლდა. მათ ძველებურად აწუხებდათ ჭაობი და უსუფთაობა, კომუნალური მეურნეობის მოუწყობლობა. ამასთან ერთად გამოაშკარავდა თვითმმართველობის ზოგი მოხელის უყაირათობა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტებიც. მოსახლეობას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ გამგეობის მიერ მიღებული ქალაქის კუთვნილი ტყეების ექსპლუატაციის ფორმა ხელსაყრელი იყო ზოგი თანამდებობის პირისათვის და დიდ ზარალს აყენებდა თვითმმართველობის სალაროს. საქმე გახმაურდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეკითხვა გამოუგზავნია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის — ნამდვილად ჰქონდა თუ არა ფოთში ადგილი იმ ბოროტმოქმედებას, რაზეც პრესაში დაიწერაო. მდგომარეობის გამოსარკვევად ფოთში მივლინებულ იქნა პოდპოლკოვნიკი პრინცი. ამასთან დაკავშირებით, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია სურვილს გამოთქვამდა, რომ გამოკვლევის შედეგები კანცელარიის არქივში არ დაემჟავებინათ, დროზე ეცნობებინათ საზოგადოებისათვის. „თვითმმართველობა ყველგან მითაა კარგი, — წერდა რედაქცია, — რომ ის ასწავლის მოსახლეობას საზოგადოებრივ საქმეთა სწორ და პატიოსნად გამგებლობას. თვითმმართველობა მინერვა არაა, რომ დაბადებისთანავე უცოდველობის პრეტენზია განაცხადოს. მხოლოდ საჯარო და მკაცრი განხილვა მისი პირველი ნაბიჯებისა გამოიმუშავებს მას-

[1] „დროება“, 1882, № 247.

ში სიწმინდისა და წესრიგის ჩვევებს. თუ ფოთის თვითმმართველობაში მართლა ჰქონდა ადგილი ბოროტმოქმედებას, ყველამ ვისთვისაც ძვირფასია თვითმმართველობის ინტერესები, ხელი უნდა შეუწყოს მის გამომჟღავნებას და არა დაფარვას. არ უნდა შეგვეშინდეს იმისი, თითქოს ამით ლაქა მოეცხებათ ფოთელებს. სამარცხვინო ბოძზე მხოლოდ ანგარი, დამნაშავე პირები იქნებიან გაკრულნი და არა ფოთის მცხოვრებნი და თვითმმართველობა. ამიტომ, მოსახლეობამ აუცილებლად უნდა გამოიკვლიოს ჩადენილი იყო დანაშაული თუ არა"[1]. დიდი დანაშაულის ფაქტი არ დადასტურდა. მთავრობამ ვერ იპოვა არსებითი მიზეზი სახელი გაეტეხა საზოგადოებრივი თვითმმართველობისათვის. მაგრამ ფაქტია, რომ ახალფეხადგმული ფოთის თვითმმართველობა ჯერ ვერ იჩენდა ქალაქის მართვა-გამგეობისათვის საჭირო უნარს.

1887 წლის იანვარში ფოთელმა ცენზიანმა მოქალაქეებმა აირჩიეს მეორე შემადგენლობის სათათბირო. 28 ხმოსნიდან 21 ქართველი იყო, 3 რუსი, 2 სომეხი, 1 ებრაელი, 1 ბერძენი[2]. ქალაქის თავის პოსტზე ვახრამოვის კანდიდატურა არავის წამოუყენებია. ფოთელებმა, როგორც „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია იუწყებოდა, „დაიწყეს ახალგაზრდა და ენერგიული პირის ძებნა, რომელიც შეძლებდა ქალაქის მეურნეობის მოწესრიგებას". უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ნესტორ ალექსანდრეს ძე თავდგირიძეს. ხმოსნებმა ნდობა გამოუცხადეს უმაღლეს განათლებას, ახალგაზრდობას, პატიოსან რეპუტაციას, რითაც სარგებლობდა თავდგირიძე და იგი ქალაქის თავად აირჩიეს.

რამდენიმე წლის შემდეგ „ნოვოე ობოზრენიე" აუწყებდა მკითხველებს, რომ თავდგირიძეზე დამყარებული ფოთელთა იმედი არ გამართლდაო. საქალაქო მეურნეობა 1887—1891 წლებში თითქმის არაფრით არ გაუმჯობესებულა. საზოგადოების ერთი ნაწილი ფოთის თვითმმართველობის წარუმატებლობის მიზეზად თვლიდა ქალაქის თავ თავდგირიძის არაპრაქტიკულობას, ზოგი მის ავადმყოფობას. ამ მიზეზის დადგენა თითქმის არაფერს ცვლიდა საქმის ვითარებაში. ამიტომ, დასახელებული გაზეთის რედაქციას ამ წარუმატებლობის მეორე მხარე აწუხებდა. თავდგირიძის ჩა-

---

[1] «Новое обозрение», 1888, № 1499.
[2] „ივერია", 1887, № 16, № 18.

ვარდნა მან ინტელიგენციისათვის სახელის გამტეხ მოვლენად მიიჩნია და მოითხოვა სათანადო დასკვნის გაკეთება. „ინტელიგენციამ უნდა გაიგოს, — ეკითხულობთ გაზეთში, — რომ მოსახლეობა ენდობა მის წარმომადგენლებს, იმედოვნებს, რომ ისინი ერთგულად და ენერგიულად მოემსახურებიან ქალაქს და თუ ეს იმედი არ გამართლდა, მოსახლეობა განუდგება არა მარტო არჩეულებს, არამედ მთელ ინტელიგენციას ... ერთეულთა წარუმატებლობა და მარცხი ჩირქსა სცხებს მთელ ინტელიგენციას“ [1]. ამის დამადასტურებლად გაზეთს მიაჩნდა ფოთის საქალაქო სათათბიროსა და გამგეობის 1891 წლის არჩევნები, რის შედეგადაც სათათბიროში ინტელიგენტ ხმოსანთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

1891 წლის იანვარში სათათბიროს ხმოსნებად არჩეულ იქნენ: დ. პილიდი, ა. მიხელაშვილი, ი. ღოღობერიძე, მ. მენდელი, დ. შერბინა, ბ. თელია, ბ. საბახტარაშვილი, მ. ალხაზოვი, ნ. ნიკოლაძე, ლ. ყრუაშვილი, ნ. ნამიჭეიშვილი, ა. ჭანტურია, ა. ალანია, ი. თურქია, ი. ვახრამოვი, ი. მეუნარგია, ი. გროდსკი, ნ. როგოჟინი, მ. სინიცკი, გ. ძიძიგური, ე. გაბუნია და სხვ. არჩეულ ხმოსანთაგან 16 იყო ქართველი, 8 რუსი, 5 სომეხი და 1 ბერძენი. ახალ სათათბიროში აბსოლუტურ უმრავლესობას ვაჭარ-მრეწველები და მოხელეები შეადგენდნენ. საზოგადო მოღვაწეები ფოთის სათათბიროში ამჯერად მეტად მცირე რაოდენობით მოხვდნენ. პრესის ერთ-ერთი კორესპონდენტი შენიშნავდა, რომ ხმოსანთა არჩევნებში მთავარ როლს მ. მენდელი ასრულებდა, მასზე იქნებაო დამოკიდებული ქალაქის თავის არჩევაც [2].

ინტელიგენციამ ახალი არჩევნების შედეგად სათათბიროში, მართალია, დაკარგა რამდენიმე ხმა, მაგრამ დემოკრატიული ფრთა ბრძოლას განაგრძობდა, იგი ცდილობდა გამგეობაში გაეყვანა თავისი წარმომადგენლები. მათ ფოთისაკენ მოუწოდეს ნ. ნიკოლაძეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ მისი ავტორიტეტი გადამწყვეტ გავლენას მოახდენდა გამგეობის შემადგენლობის განსაზღვრაზე. სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძემ ვერ მოახერხა ფოთში ჩასვლა, რითაც თავისდაუნებურად საგრძნობლად შეასუსტა ფოთელ დემოკრატთა ბანაკი.

---

[1] «Новое обозрение», 1891, №№ 2429, 2435, 2445.
[2] იქვე.

ფოთის სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანთა კრებამ ქალაქის თავის კანდიდატებად დაასახელა ნ. თავდგირიძე, გენერალ მაიორი ივ. ვახრამოვი, დ. დადიანი და ი. მეუნარგია. სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის ცხარე ბრძოლა ატყდა. „ქალაქის თავის კანდიდატურის დასახელებამ, — ატყობინებდა ი. მეუნარგია ნ. ნიკოლაძეს, — ფეხზე დააყენა გურიელები, დადიანები, ჩიჩუები, სალაყაიები, კახიძეები, მხეიძეები, ერი და ბერი“ [1].

ქალაქის თავის არჩევნებისადმი მიძღვნილი ფოთის სათათბიროს სხდომა 1891 წლის 1 თებერვალს გაიმართა. მ. თავდგირიძემ უარი თქვა კენჭის ყრაზე. ვახრამოვმა მიიღო 17, დადიანმა — 12, მეუნარგიამ კი — 9 ხმა. ფოთელთა ასეთი პოზიციის და ვახრამოვის გამარჯვების მიზეზად „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას მიაჩნდა წინანდელი ქალაქის თავის ნ. თავდგირიძის სუსტი მუშაობა. ფოთელებს ახსოვდათ, რომ ვახრამოვი ყოველ შემთხვევაში ცდილობდა, მან ასე თუ ისე შეძლო ზოგი საკითხის შესახებ შუამდგომლობის აღძვრა. გაითვალისწინეს რა ინტელიგენტ ნ. თავდგირიძის ქალაქის თავად მუშაობის სავალალო შედეგი, ფოთელებმა უცხო დადიანსა და მეუნარგიასთან შედარებით უპირატესობა ნაცნობ ვახრამოვს მიანიჭეს და ის გაიყვანეს ქალაქის თავად. რედაქცია ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ფოთის სათათბიროს არ ახასიათებს ნაციონალური განკერძოებულობა. ხმოსანთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მართალია, ქართველები შეადგენენ, მაგრამ ქალაქის თავად ქართველი როდი აირჩიეს. მათ გააშავეს დადიანი და მეუნარგია, ქალაქის თავად გაიყვანეს სომეხი ვახრამოვი, რადგან მიაჩნდათ, რომ იგი უკეთ შეძლებდა ქალაქის მართვა-გამგეობას, მის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობის ამაღლებას [2]. თვით ქალაქის თავობის მეორე კანდიდატი დ. დადიანი კი თავისი ჯგუფის არჩევნებში დამარცხებას შემთხვევით მოვლენად თვლიდა. ატყობინებდა რა ამ ფაქტს, იგი ნ. ნიკოლაძეს უსაყვედურებდა ფოთში ჩამოუსვლელობას. ამის შედეგი იყო ჩვენი ჯგუფის დამარცხება და ქალაქის თავად უღირსი ვახრამოვის არჩევა [3].

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 13/146.
[2] «Новое обозрение», 1891, № 2445.
[3] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 14/236.

ი. ვახრამოვს არ დასცალდა ქალაქის თავის სავარძელში ჯდომა. იგი 1892 წელს გარდაიცვალა. ქალაქის თავის მოვალეობის შესრულება ახალ არჩევნებამდე ი. მეუნარგიას დაეკისრა. გამგეობის წევრებად ა. ღოღობერიძე და ი. თურქია მუშაობდნენ. მათ, მართალია, გარკვეული ღონისძიებანი გაატარეს ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ფოთელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ნავსადგურის მშენებლობის საქმე ოდნავადაც ვერ წასწიეს წინ. ამის გამო მოსახლეობა ოპოზიციაში ჩაუდგა 1891—1894 წლების შემადგენლობის თვითმმართველობას. ოპოზიციამ ვადის გასვლამდე მოითხოვა ახალი ქალაქის თავის არჩევა და კანდიდატად ნ. ნიკოლაძე დასახელა.

1894 წლის სექტემბრისათვის დაინიშნა ფოთის მეოთხე მოწვევის სათათბიროს არჩევნები. ოპოზიცია ფოთის პორტის მშენებლობა-გადაკეთების პროგრამით გამოვიდა და არჩევნებში გაიმარჯვა. ძველი ხელმძღვანელები გაშავდნენ. სათათბიროში გავიდნენ: ნ. ნიკოლაძე, მ. დიდია, ვ. თოფურიძე, ნ. პამიჩეიშვილი, ან. შესტერნიოვი, ე. გაბელია, სტ. გოგინავა, თ. ლესნიცკი, ნ. ჟვანია, ს. ჩოჩუა, გრ. ხუმარაძე, დ. მაკალათია, ალ. გუგუშვილი, ა. ხოშტარია, ყრუაშვილი და სხვ. [1].

ფოთელები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქალაქის თავად ღირსეული პირის არჩევას. ასეთ პირად კი კარგა ხანია ნ. ნიკოლაძე იყო მიჩნეული. სათათბიროს ახალი შემადგენლობის უმრავლესობამაც მხარი დაუჭირა ფოთის მოქალაქეთა საყოველთაო მოთხოვნას და ნ. ნიკოლაძეს წერილი გაუგზავნა: „ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ფოთის სათათბიროს ხმოსნები მოგმართავთ თქვენ თხოვნით, რომელიც, ვიმედოვნებთ, არ მოგეჩვენებათ თავხედობათ ჩვენი მხრიდან. ქალაქი ფოთი მძიმე ავადმყოფს გავს, რომლის განკურნებისათვის აუცილებელია გამოცდილი ექიმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უარს არ იტყვით მის დახმარებაზე. ჩვენ 25 წელზე მეტი თვალს ვადევნებთ თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ვხედავთ, რომ არ იშურებთ ცოდნასა და ენერგიას, არ ჩერდებით არავითარი დაბრკოლებების წინაშე და სასახელოდ ატარებთ მოწინავე კავკასიელის დროშას, იბრძვით ქვეყნის წარმატებისათვის. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ფოთის სათათბიროს თქვენი დიდი სახელიც ამშვენებს.

[1] „ივერია“, 1894, № 194.

ჩვენი ქალაქის მძიმე მდგომარეობის პირობებში, — განაგრძობენ ხმოსნები, — საფუძველი გვაქვს მოგმართოთ თქვენ თხოვნით ჩაუდგეთ მას სათავეში. ... გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა წამოვაყენოთ თქვენი კანდიდატურა ქალაქის თავის თანამდებობაზე. თქვენ იქნებით ერთად ერთი კანდიდატი. ვიმედოვნებთ, რომ დადებითად გვიპასუხებთ“ [1].

დიდ საზოგადო მოღვაწეს ნ. ნიკოლაძეს უარი არ უთქვამს პატარა ფოთის ქალაქის თავობაზე და სათათბიროს ხმოსნებს მათ თხოვნაზე თანხმობით უპასუხა. 1894 წლის 25 ოქტომბერს ჩატარდა არჩევნები. ფოთის ქალაქის თავად ერთხმად გავიდა ნ. ნიკოლაძე [2].

„ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ ნ. ნიკოლაძის გაზეთიდან წასვლა დიდ დანაკლისად ჩათვალა. მაგრამ სამართლიანად აღნიშნა, რომ ხანგრძლივი წარუმატებლობისა და მარცხის შემდეგ ქალაქმა ფოთმა ბოლოს და ბოლოს ნიჭიერი და საქმიანი მეთაური იპოვაო. და მართლაც, ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ფოთის საქალაქო თვითმმართველობამ ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღა ქალაქისა და ნავსადგურის კეთილმოწყობის, სანიტარიულ-სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის. გარდატეხა ისეთი სწრაფი და თვალსაჩინო იყო, რომ ნ. ნიკოლაძემ მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ნ. ნიკოლაძის პრაქტიკულ-მუნიციპალურ მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა რუსულ-ქართულმა პრესამ.

ქალაქის თავს ნ. ნიკოლაძეს ბუნების სტიქიამ თითქოს მკაცრი გამოცდა მოუწყო. 1895 წელს წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა ფოთს, ქუჩები შლამით აავსო, ბევრი ფოთელის კარმიდამო მიწასთან გაასწორა, დაწესებულებათა შენობები დააზიანა. ქალაქის თავი ფოთელებს მზრუნველ მამად მოევლინა, მთელი თავისი შესაძლებლობა გამოიყენა წყალდიდობის შედეგების აღმოფხვრისათვის. „წარსულმა წელმა, — იწერებოდა „ივერიის“ კორესპონდენტი, — წარმოუდგენელი წარმოგვიდგინა და დაუჯერებელი დაგვაჯერა. მართლაც, ვინ წარმოიდგენდა, თუ ფოთი ასე ჩქარა აღსდგებოდა

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საქ. 48/13.

[2] „ივერია“, 1894, № 229, № 275.

ნაოხართაგან და გალამაზდებოდა? ჩვენის თვითმმართველობის შრომითა და მეცადინეობით დღეს ფოთი სრულიად გარდაქმნილია და უზრუნველი ჩვეულებრივი სტიქიური მოვლენებისაგან. მისის დაუღალავი მუშაობით დამბები რიონისა და კაპარჭინას ნაპირზედ სრულიად დამთავრდა. გაუვალი ქუჩები... გამგეობისავე მეცადინეობით სრულიად გაასწორდა. ქალაქის ბაღი, რომელიც უნუგეშო მდგომარეობაში იყო, დღეს გალამაზდა და გაფართოვდა. მალე ამ ბაღს ორი კარგი შენობაც დაამშვენებს, ერთი სამკურნალო ქალაქისა, რომლის შენებაც მალე დამთავრდება და მეორე, საკათედრო ეკლესია, რომლის საძირკველსაც მალე ჩაყრიან. თვითმმართველობამვე გააპრევინა ზღვამდის რამდენიმე არხი ნაწვიმარის წყლის გადასაწურად, რომელიც დღემდის ტბად იდგა და მეტად აწუხებდა აქაურ მკვიდრთ“ [1].

ფოთის ქალაქის თავის და საერთოდ გამგეობის ნაყოფიერი მუშაობა „გაზ. „ივერიას“ იმის საწინდრად მიაჩნდა, რომ ფოთელები აუცილებლად ისევ აირჩევდნენ მათ. „კიდევ რამდენიმე დღე, — აუწყებდა მკითხველებს „ივერიის“ კორესპონდენტი, — და ძველი თვითმმართველობა განახლდება. უნდა აირჩიონ ახალი ხმოსნები, ქალაქის თავი და გამგეობის წევრნი. ხმოსნებისა კი რა მოგახსენოთ, საზოგადოება მოინდომებს, რომ უფრო ღირსეულნი გაათეთრონ და უღირსნი გააშაონ. ხოლო რაც შეეხება გამგეობას, თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ მოცილე არავინა ჰყავს და ჩვენში ვერც უკეთესს იშოვნიან ასარჩევათ...“ [2]. 1898 წლის სექტემბერში ჩატარდა ფოთის სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები. მალე სათათბიროს ახალმა შემადგენლობამ ქალაქის თავად ერთხმად ისევ ნ. ნიკოლაძე აირჩია. გამგეობის ძველმა წევრებმა ყრუამეილმა და ჯალალოვმაც შეინარჩუნეს თანამდებობები. ნ. ნიკოლაძემ მადლობა გადაიხადა ნდობისათვის და აღთქმა დადო, რომ ყოველგვარ საშულებებს იხმარდა ქალაქის კეთილდღეობის ამაღლებისათვის [3].

ჯერ კიდევ 1895 წელს 1892 წლის საქალაქო დებულების შესაბამისად შედგენილ იქნა სპეციალური ინსტრუქცია ფოთის სა-

---

[1] „ივერია“, 1897, № 12.
[2] „ივერია“, 1898, № 239.
[3] ი ქ ვ ე.

ქალაქო გამგეობის მუშაობის რეგლამენტაციისათვის, რომელიც მცირე შესწორებების შემდეგ დაამტკიცა ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ.

ინსტრუქციის თანახმად ფოთის საქალაქო გამგეობას, რომელიც ქალაქის თავისა და ორი წევრისაგან შედგებოდა, ევალებოდა ქალაქის მეურნეობის პრაქტიკული ხელმძღვანელობა, ეძლეოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. იგი პასუხს აგებდა ოთხივე განყოფილების (განმკარგულებელი, ფინანსური, სამეურნეო, სამშენებლო) საქმეთა დროული და ხარისხიანი შესრულებისათვის. პირველი განყოფილების ფუნქციებში შედიოდა საარჩევნო სიების შედგენა, ქალაქის თანამდებობის პირთა დანიშვნა, სასკოლო საქმეების გამგებლობა. მეორე განყოფილება ხელმძღვანელობდა ბუღალტერიასა და სალაროს, კონტროლს უწევდა შემოსავალ-გასავალს, გადასახადების აკრეფის საქმეს, ადგენდა ბიუჯეტის პროექტებს, აწარმოებდა ქალაქის უძრავი ქონების შეფასებას, საობლიგაციო სესხების გამოშვება-რეალიზაციას, სტატისტიკური ცნობების შეკრებას და სხვ. სამეურნეო განყოფილება სათავეში ედგა ქუჩების, მოედნების, არხების კეთილმოწყობის სამუშაოებს, მეთვალყურეობას უწევდა ვაჭრობას, იჯარით სცემდა ქალაქის კუთვნილ მიწას და ნაგებობებს, კონტროლს უწევდა სასაკლაოს მუშაობას, სანიტარიის დაცვას. სამშენებლო განყოფილებას ევალებოდა კერძო მშენებლობათა კონტროლი, სახლების გეგმა-პროექტების დამტკიცება, ქალაქის ნაგებობების აშენება და რემონტი, ქუჩების მოწყობა-შეკეთება, ტელეფონისა და ელექტროგაყვანილობათა ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა და სხვ.

ქალაქის თავს ევალებოდა საერთო ხელმძღვანელობა, თანამდებობის პირთა კონტროლი. საქალაქო გამგეობის კოლექტიურ ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა: გამგეობის წევრთა შორის საქმეების განაწილება, სათათბიროს დადგენილებათა სისრულეში მოყვანა, გუბერნატორის მითითებათა შესრულება, ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ქალაქის თანხისა და საერთოდ ქონებრივი მდგომარეობის რევიზია, ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებისათვის ინსტრუქციების შედგენა, ხელშეკრულებების გაფორმება, იჯარა და კონცესიები, სამსახურში მიღება-დათხოვნა.

ინსტრუქცია სულ 49 მუხლს შეიცავდა. მისი შესრულება ფოთის საქალაქო თვითმმართველობის არჩეულ თანამდებობის პირთა

და მოწვეულ-დანიშნულ მოსამსახურეთა ნორმალური მუშაობის წინა პირობად იყო მიჩნეული [1].

ფოთის თვითმმართველობა, რომლის სათათბიროსა და გამგეობაში ქართველი საშუალო და წვრილი ბურჟუაზია იყო გაბატონებული, ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ქალაქის წამყვან, მაორგანიზებელ ძალად გადაიქცა. ფოთის მუნიციპალიტეტმა თავის მჩქეფარე საქმიანობით თითქმის სრულიად დაჩრდილა მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაცია. ფოთელი ცენზიანი მოქალაქეები დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ არჩევნებს, ცდილობდნენ კიდევ უფრო გაეუმჯობესებინათ სათათბიროს შემადგენლობა. ხმოსანთა კონტინგენტი მუდმივად, ყოველი არჩევნების დროს მეტ-ნაკლებად იცვლებოდა. შეუცვლელი მხოლოდ ნ. ნიკოლაძე იყო. იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში განაგებდა ქ. ფოთს, სათავეში ედგა დიდი მასშტაბის სამუშაოებს.

ნ. ნიკოლაძის თანამებრძოლებსა და თანამგრძნობთ საარჩევნო აგიტაციის დროს ქალაქის თავის სასარგებლოდ ბევრი კარგი ჰქონდათ სათქმელი. 1907 წელს დაბეჭდილ ერთ-ერთ მოწოდებაში, მაგალითად, ვკითხულობთ: „ფოთის ქალაქის გამგეობას რომ გული გადავუშალოთ ბევრ რამეს გვეტყვის საგულისხმოს, მაგრამ ამას შემდეგი დროისათვის გადავდებთ. დღეს კი, რადგან ქალაქის არჩევნები მოახლოვებულია, მოკლედ აღვნიშნავთ იმას, თუ რა გააკეთა ცნობილმა პუბლიცისტმა ნ. ნიკოლაძემ 1895—1907 წლებში და რის განხორციელების განზრახვა აქვს მას მომავალში ქალაქის საბედნიეროთ:

1) წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთს ულმობელ სტიქიისაგან შველა სჭირდებოდა, ამის გამო ქალაქს ირგვლივ ჯებირი (დამბა) შემოავლო.

2) შავს ვარსკვლავზე დაბადებული პორტი მკვდრეთით აღდგომას ლამობდა და გააცოცხლა ნავსადგურის განახლებით...

3) გადაჭიმა სამი ხიდი, რომელთაგან ორი ქალაქსა და დიდ კუნძულს პორტთან აერთებს, მესამე კი — ფოთელების მასაზრდოებელ გურიასთან.

4) ააშენა ელექტრონის სადგური, რომელიც პორტსა და ქალაქს ანათებს.

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 20/1.

5) გააბა ტელეფონის ქსელი.

6) ნაცვლად დაძველებული საქალაქო და სახელოსნო სასწავლებელთა შენობებისა, ააგო ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების 2 სართულიანი შენობები.

7) მოაწყო სასაკლაო.

8) განაახლა ქალაქის კოშკი და მის გვერდით ამართა უზარმაზარი ეკლესია.

9) მოუპოვა სამკურნალოს და პოლიციას საკუთარი ბინა.

10) მოაწყო ცხენის რკინიგზა.

11) მოკირწყლა ნავსადგურისაკენ მიმავალი ქუჩები.

12) პორტში ააგო საქონლის საწყობები და ელევატორები.

13) დააარსა ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ბიუჯეტის სიმტკიცისათვის.

ნ. ნიკოლაძეს, — ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, — განზრახული აქვს: 1) რიონის შეერთება არხით პორტთან. 2) რკინიგზის საქონელზე ბაჟის დადება ქალაქის სასარგებლოთ. 3) საავადმყოფოს დაარსება. 4) ქალაქის საზოგადო ბანკის გახსნა. 5) სამასწავლებლო სემინარიისა და ინსტიტუტის დაარსება. 6) საოჯახო და სამეურნეო სკოლის გახსნა. 7) ნავსადგურის შიდა აუზის არხებით შეერთება მდ. კაპარჭინასთან, სუფსასთან და ხობის წყალთან. 8) წყალვარდნილების გამოყენება ელექტროენერგიის მიღებისათვის. 9) ფოთის გარშემო არსებული ჭაობების ამოშრობა და ნაკვეთების გაყიდვა ფერმების მოსაწყობად. 10) ფოთსა და პალიასტომს შუა კურორტის მოწყობა. 11) სახალხო სახლისა და თეატრის აშენება.

ჩამოთვლილი პროექტების შემდეგ, — დაასკვნის სააგიტაციო ფურცლის ავტორი, — ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ ნიკოლაძეს დღეგრძელობა ვუსურვოთ, ჩვენი ქვეყნის ასაყვავებლად, ევროპული კულტურის გადმონერგვით, რომლის მთესველად იგი დიდი ხანია აპპარეზზე გამოვიდა“ [1].

ნ. ნიკოლაძის მეთაურობით ფოთის საქალაქო თვითმმართველობა ნაყოფიერად საქმიანობდა 1913 წლამდე. მართალია, ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობდა საარჩევნო ბრძოლები, ხდებოდა სათათბიროსა და გამგეობის შე-

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/118.

შადგენლობის გადახალისება ახალ-ახალი პირებით, მაგრამ ნ. ნიკოლაძე, შეიძლება ითქვას, კონკურენციის გარეშე იდგა. იგი ცდილობდა ყველა პარტიისა და დაჯგუფების წარმომადგენელთა ენერგია ერთი მიზნისაკენ წარემართა, ქალაქის კეთილდღეობის ამაღლებისათვის მოეხმარებია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მომენტი: გაზეთ „სიმართლის“ 1906 წლის ერთ-ერთ სარედაქციო სტატიაში აღნიშნულია, რომ ფოთის თვითმმართველობა სოციალ-ფედერალისტებისაგან არის შემდგარი და მათ ბუდეს წარმოადგენსო. ნ. ნიკოლაძემ საპასუხოდ აცნობა რედაქციას, რომ ეს ბრალდება ცილისწამებაო. „ფოთის გამგეობაში, — წერდა ნიკოლაძე, — მე გახლავართ მეთაური და ფედერალისტი რომ არ ვარ, ფედერალისტებს რათ გავაბატონებდი? ვინც ფოთის ქალაქის გამგეობას ცოტაოდნათ მაინც იცნობს, მან ჩინებულად იცის, რომ არც ერთი თანამდებობის პირს ნებას არ ვაძლევ სამსახურში შემოაპაროს რაიმე პარტიული, რწმუნებული თუ ნაციონალური მიდრეკილება. ყველასაგან ვთხოულობ მარტო ერთგულ სამსახურს ქალაქის სასარგებლოთ“ [1]. მართლაც, ფოთის მუნიციპალიტეტისათვის არ იყო დამახასიათებელი უკიდურესი ნაციონალისტური და ვიწროკლასობრივი მიმართულება. ამით იგი საგრძნობლად განსხვავდებოდა თბილისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებისაგან.

II. ფოთის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა

1. ფოთის ბიუჯეტი

თვითმმართველობის მიღების მომენტში ფოთი ღარიბ, უპერსპექტივო ქალაქად ითვლებოდა. მისი მეტად მცირე შემოსავალი თითქმის ვერასდროს ვერ ფარავდა გასავალს.

ფოთს ეკუთვნოდა 3000 დეს. მიწა, მაგრამ ამ ფართობის დიდი ნაწილი გაუვალ ჭაობს წარმოადგენდა, ტყით დაკავებული ნაკვეთების ექსპლუატაციაც არ იყო დაყენებული რაციონალურად, რის გამო ქალაქი მეტად მცირე შემოსავალს იღებდა. თვითმმართველობას გარკვეულ შემოსავალს აძლევდა ქალაქში არსებული

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 5/20.

სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები, აგრეთვე მოქალაქეთა უძრავი ქონების (ეზო, სახლი) დაბეგვრა. დებულების თანახმად ქალაქის სალაროში უნდა შესულიყო თვითმმართველობის მიერ მოწყობილი წარმოება-დაწესებულებებისა და ნაგებობების შემოსავალი, მაგრამ პირველ ხანებში ასეთი ობიექტები ქ. ფოთს არ გააჩნდა. ასეთ პირობებში ფოთის შემოსავალი მეტად ნელა იზრდებოდა, იგი ვერ ფარავდა გასავალს, ქალაქის ბიუჯეტი დეფიციტური იყო.

1885 წელს ფოთის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში ნავარაუდევი იყო 55 645 მან. ოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 35 856 მან. 1890 წელს შემოსავალი დაიგეგმა 64 223 მან. რაოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 39 708 მან. 1894 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებულ 55 588 მან. ნაცვლად მიღებულ იქნა 40 500 მან. ასეთ პირობებში ი. მეუნარგია (რომელიც ქალაქის თავის მოვალეობას ასრულებდა 1892—1894 წლებში) პასუხობდა რა გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს“ საყვედურზე (უნაყოფოდ მოღვაწეობდით), თავის გასამართლებლად არც თუ უსაფუძვლოდ აცხადებდა — ყოველი სოფელი მსგავსი სამტრედიისა უფრო მდიდარია, ვიდრე ეს მოჩვენებითი ქალაქი [1].

ფოთის ჩვეულებრივი შემოსავალი, როგორც აღვნიშნეთ, არასდროს არ ფარავდა გასავალს. ამიტომ ბიუჯეტის დეფიციტის აღმოსაფხვრელად დამატებითი სახსრების გამონახვა ხდებოდა საჭირო. მთავრობამ ანგარიში გაუწია ფოთის მძიმე მდგომარეობას და 1887 წელს საქალაქო თვითმმართველობას უფლება მისცა ნავსადგურში გავლილ ყოველ ფუთ საქონელზე აეღო 1/4 კაპიკი გამოსაღები. მთავრობის მითითების თანახმად მიღებული თანხა ძირითადად ნავსადგურის საჭიროებას უნდა მოხმარებოდა. მაგრამ 1893 წელს ფოთის თვითმმართველობას ნება დართეს საფუთო გამოსაღებიდან ქალაქის საერთო საჭიროებისათვის დაეხარჯა პირველ ხუთ წელს 15 ათასი მან., ხოლო მეორე ხუთ წელს 10 ათასი მან. ყოველწლიურად.

მას შემდეგ რაც ფოთის თვითმმართველობას ნ. ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქის ბიუჯეტის წონასწორობის დამყარებას, დეფიციტის აღმოფხვრას.

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 17/18.

ახალმა გამგეობამ უარი თქვა დეფიციტის სესხების აღებით დაფარვის მეთოდზე, მიზანშეწონილად მიიჩნია გასავალი რეალური შემოსავლის საფუძველზე განესაზღვრა [1].

1898 წლისათვის ფოთის მოქალაქეთა უძრავი ქონების ნაწილი დაბეგრილი იყო წლიური შემოსავლის მიხედვით (გამოსაღების მაქსიმუმი შემოსავლის 10%), ნაწილი კი ღირებულების მიხედვით (გამოსაღები 1%). ფოთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა წვრილი მესაკუთრე იყო. ზემოაღნიშნულ წელს შემოსავლის მიხედვით დაბეგრილი ობიექტებიდან 26 მათგანის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 10 მანეთს, 202 ობიექტის შემოსავალი უდრიდა 10—30 მან., 319 ობიექტისა—30—100 მან., 123 ობიექტისა — 100—150 მან., 121 ობიექტისა — 150—300 მან., 61 ობიექტისა — 300—1000 მან., 12 ობიექტისა — 1000—5000 მან. ღირებულების მიხედვით დაბეგრილი ობიექტების ფასი მერყეობდა 100-დან 10 ათას მან-მდე [2].

ქ. ფოთის საკუთრებაში იყო 3322 დეს. მიწა. აქედან ქალაქის ფარგლებში — 513 დეს., ქალაქგარეთ — 2809 დეს. აღნიშნული ფართობიდან მოედნებს ეკავა 14 დეს., ბაღ-ბულვარებს — 28 დეს., ქუჩებს — 69 დეს., სახლებსა და ეზოებს — 266 დეს., სახნავს — 32 დეს., ბაღ-ბოსტნებს — 40 დეს., სათიბებს — 43 დეს., საძოვრებს — 150 დეს., ტყეს — 1257 დეს., უვარგის ნაკვეთებს — 1305 დეს. [3], ქალაქის კეთვნილი ამ მიწებიდან 1898 წელს იჯარით იყო გაცემული 521 დეს.

ფოთის თვითმმართველობას გარკვეულ შემოსავალს აძლევდა სასაკლაო და საქონლის სადგომი ბაკი. 1898 წელს ფოთში ჩამორეკეს და ბაკში გაიარა 2184 სულმა მსხვილფეხა, 1477 სულმა წვრილფეხა საქონელმა. აღნიშნულ წელს სასაკლაოზე დაიკლა 2153 სული მსხვილფეხა და 1770 სული წვრილფეხა საქონელი [4].

ქ. ფოთის შინასავაჭრო ბრუნვა 1896—1898 წლებში 3-დან 4 მლნ მან. მერყეობდა, სამრეწველო საწარმოთა წლიური შემოსავალი კი 100—130 ათას მან. არ აღემატებოდა. ფოთის შინაგანი ვაჭრობა და მრეწველობა არც მომდევნო წლებში იზრდებოდა

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 17/18.

[2] სსრ კავშირის ცსია, ფ. 1287, ანაწ. 28, ს. 784, ფურც. 24.

[3] იქვე.

[4] იქვე.

სწრაფი ტემპით, რის გამო თვითმმართველობის შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებიდან შედარებით უმნიშვნელო იყო.

1895 წლის მარტში ფოთის საქალაქო სათათბირომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ქალაქში საწყობების აშენებისა და ამისათვის საპორტო გამოსაღებიდან თანხის დახარჯვის თაობაზე. ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილ შუამდგომლობაში კარგად იყო დასაბუთებული მარგანეცის, ნავთობის, ქვანახშირის, სიმინდისა და სხვ. საქონლის საწყობთა გახსნის მიზანშეწონილობა. ამ შუამდგომლობას ქუთაისის გუბერნატორმაც დაუჭირა მხარი, მთავარმმართველს მისწერა, რომ მსხვილი საწყობების დაარსება ხელს შეუწყობს ფოთის ვაჭრობის გაფართოებას და რამდენადმე გაზრდის ფოთის ნავსადგურის მნიშვნელობას, რაც ბათუმის შემოერთების შემდეგ საგრძნობლად დაეცაო. ეს შუამდგომლობა უარყოფილ იქნა, მთავრობამ მიზანშეუწონლად ჩათვალა ნავსადგურის საჭიროებისათვის გადადებული თანხების საწყობების მშენებლობაზე დაბანდება[1]. მიუხედავად ამისა, ფოთის თვითმმართველობამ ჩვეულებრივი შემოსავლიდან მაინც შეძლო რამდენიმე საწყობის აგება, რომელთა იჯარის ქირა რამდენადმე ზრდიდა ქალაქის შემოსავალს.

ნ. ნიკოლაძე და ფოთის სხვა მუნიციპალური მოღვაწეები თვითმმართველობის შემოსავლის ზრდას და ამდენად ქალაქის კეთილდღეობის ამაღლებას უკავშირებდნენ ნავსადგურსა და საგარეო ვაჭრობას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 1887 წელს ფოთის თვითმმართველობას უფლება მიეცა ფოთში ზღვით შემოტანილ და გატანილ ყოველ ფუთ საქონელზე აეღო გამოსაღები მეოთხედი კაპიკის ოდენობით. ეს უდავოდ მნიშვნელოვანი პრივილეგია იყო და მისი სარგებლიანობა მით უფრო ცხადი გახდებოდა, რაც უფრო დიდ მასშტაბებს მიაღწევდა ნავსადგურის ბრუნვა. საფუთო გამოსაღები ქალაქის ბიუჯეტის ჩვეულებრივი შემოსავალ-გასავლის მუხლებში არ შედიოდა, ამ თანხას სპეციალური დანიშნულება ჰქონდა, იგი მხოლოდ ნავსადგურსა და მისკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობას ხმარდებოდა, მაგრამ ესეც ხელს უწყობდა ქალაქის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1891 წელს საფუთო გამოსაღებმა შეადგინა 45 ათასი მან.[2]. იგი უტოლდებოდა ქალაქის ჩვეულებრივ შემოსავალს.

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 130, ფურც. 1—2, 10—11.
[2] „კვალი“, 1896, № 33, გვ. 582—583.

ნ. ნიკოლაძემ, როგორც კი ქალაქის თავის თანამდებობა დაიკავა, მყისვე აღძრა შუამდგომლობა საფუთო გამოსაღების მეოთხედი კაპიკიდან ნახევარ კაპიკამდე გადიდების თაობაზე. მთავრობამ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. ამდენად, სპეციალური დანიშნულების ეს შემოსავალი ერთბაშად ორჯერ გაიზარდა, რამაც თვითმმართველობის ახალ შემადგენლობას საშუალება მისცა ნავსადგურის მოწყობა-გადაკეთების გეგმა-პროექტები რეალურ ნიადაგზე დაეყენებია, თანაც შედარებით მეტი თანხა გამოეყო ქალაქის საერთო საჭიროებისათვის.

მაგრამ დროის მოთხოვნილების შესაბამისი ვრცელი ნავსადგურის მოწყობას ქ. ფოთის ჩვეულებრივი შემოსავალი და სპეციალური სახსრები (საფუთო გამოსაღები) არ ეყოფოდა. აუცილებელი იყო სხვა თანხების გამონახვა. აქ გამომჟღავნდა ნ. ნიკოლაძის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჭკუა. მან ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია, რომელმაც ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა კარგად დასაბუთებული შუამდგომლობა საობლიგაციო სესხის გამოშვების თაობაზე. მთავრობამ ხელსაყრელად ჩათვალა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის ხარჯებიდან სახელმწიფო ხაზინის განთავისუფლება, თან იმაშიც დარწმუნდა, რომ ნახევარ-კაპიკიანი გამოსაღები საშუალებას მისცემდა ფოთს დაეფარა გრძელვადიანი კრედიტის თავნი და სარგებელი. ამიტომ საქმეს მთავრობის ინსტანციებში დაბრკოლება არ შეხვედრია, ფოთის თვითმმართველობამ მიიღო საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა.

1896 წელს ფოთის თვითმმართველობამ გამოუშვა 1 400 000 მანეთიანი საობლიგაციო სესხი. მისი რეალიზაცია მოახდინა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკმა კურსით 95 მან. 100-ზე [1].

1900 წლის 9 ივნისს ქ. ფოთმა მიიღო მეორე საობლიგაციო, 2 მილიონიანი, სესხის გამოშვების უფლება. ამ სესხის რეალიზაციაც იმავე ბანკმა მოახდინა, ამჯერად კურსით 90 მან. 100-ზე. ფოთის თვითმმართველობამ 2 მილიონიანი სესხის რეალიზაციის შედეგად ნაღდად მიიღო 1 772 000 მან. [2].

1904 წელს ფოთის თვითმმართველობამ გამოუშვა მესამე სა-

---

[1] სსრ კავშირის ცსია, ფ. 1287, ანაწ. 28, ს. 784, ფურც. 31.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 48/73.

ობლიგაციო სესხი 2 მლნ. მან. ოდენობით. ამ სესხის რეალიზაციის პირობები გაცილებით ცუდი იყო, რის გამო ქალაქმა ნაღდად მხოლოდ 1 468 000 მან. მიიღო [1].

სამივე საობლიგაციო სესხის რეალიზაციით ქ. ფოთმა სულ მიიღო 5 420 980 მან. ბრუნვაში გაშვებული იყო 100, 500 და 1000-მანეთიანი ობლიგაციები, რომელთაც ახლდა საკუპონო ფურცლები პროცენტის მისაღებად. ობლიგაციის მფლობელი თავის კაპიტალზე წლიურად იღებდა 5% სარგებელს. საობლიგაციო სესხების დაფარვის ვადად 50 წელი იყო დაწესებული. საობლიგაციო სესხების რეალიზაციის შედეგად ფოთის ბიუჯეტი მკვეთრად გაიზარდა.

1900 წელს ფოთის შემოსავალმა შეადგინა 174 371 მან., რომლის ნახევარზე მეტი სპეციალურ სახსრებზე მოდიოდა [2].

1901 წელს ფოთის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 802 526 მან. უდრიდა. უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღების აკრეფით მიღებულ იქნა 12 775 მან., სავაჭრო-სამრეწველო სანებართვო მოწმობებიდან — 6518 მან., სხვადასხვა ბაჟებიდან — 2907 მან., ქალაქის უძრავი ქონებიდან — 26 835 მან., ქალაქის წარმოება-დაწესებულებებიდან — 7050 მან., მეორე საობლიგაციო სესხის რეალიზაციის შედეგად — 723 525 მან., სხვა წყაროებიდან — 22 756 მან. [3].

1902 წელს ქ. ფოთის ბიუჯეტმა 1 045 526 მან. შეადგინა. აქედან 943 241 მან. მიღებულ იქნა საობლიგაციო სესხებითა და საპორტო გამოსაღებით. დანარჩენი თანხა ქალაქის ჩვეულებრივ საშემოსავლო მუხლებზე მოდიოდა. ბიუჯეტის გასავალში ძირითადი იყო ნავსადგურის მშენებლობის ხარჯები (686 673 მან.) და სესხების დაფარვა (188 777 მან.). გასავლის სხვა მუხლებში არსებითი ცვლილება არ მომხდარა, წინა წელთან შედარებით უმნიშვნელოდ გაიზარდა [4].

1902 წლის 1 იანვრიდან არსებითი ცვლილება მოხდა საპორტო (საფუთო) გამოსაღების აკრეფა-დახარჯვის წესებში. ამიერიდან

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/73.
[2] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 664, ფურც. 2—15.
[3] იქვე, ს. 853, ფურც. 36.
[4] იქვე, ს. 964, ფურც. 52—53.

იმპერიის სანავსადგურო ქალაქებში საფუთო გამოსაღებით მიღებული თანხის $^2/_5$ უნდა ჩარიცხულიყო ხაზინაში, $^3/_5$ კი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საპორტო საქმეთა კომიტეტის სპეციალურ ფონდში. კომიტეტს ეს თანხა თავისი შეხედულებისამებრ უნდა გაენაწილებია სხვადასხვა სანავსადგურო ქალაქებისათვის. მთავრობა აღიარებდა, რომ ახალი კანონის წყალობით სანავსადგურო ქალაქებმა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო დაკარგეს. ნავსადგურების კომიტეტისაგან ისინი იმის ნახევარ თანხასაც კი ვერ მიიღებდნენ, რასაც აქამდე ღებულობდნენ. მაგრამ ნ. ნიკოლაძემ ამ კრიტიკულ მომენტშიც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ფოთს. მან აქტიური მიმოწერა გააჩაღა მთავრობის ინსტანციებთან, პირადად ჩავიდა პეტერბურგში და საქმე ისე მოაწყო, რომ საფუთო გამოსაღების აკრეფა-ხარჯვის წესთა შეცვლის შედეგად ფოთის თვითმმართველობას ზარალი არ განუცდია. ფოთის მუნიციპალიტეტმა ნავსადგურების საიმპერიო კომიტეტისაგან მიიღო: 1904 წელს — 224 405 მან., 1905 წელს — 282 431 მან., 1906 წელს — 290 039 მან., 1907 წელს — 287 200 მან., 1908 წელს — 370 380 მან. ეს მაშინ, როცა თვით ფოთის ნავსადგურის შემოსავალი, საფუთო გამოსაღები, რაც ნავსადგურების კომიტეტში იგზავნებოდა, წლიურად 90—100 ათას მან. არ აჭარბებდა. როგორც ჩანს ფოთისათვის ასეთი უპირატესობის მიცემამ იმპერიის სხვა სანავსადგურო ქალაქთა მამების დიდი უკმაყოლება გამოიწვია. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს, მართალია, არ უარუყვია ფოთის ნავსადგურის დიდი მნიშვნელობა და მისთვის თანხების გამოყოფის საჭიროება, მაგრამ სხვა ქალაქების ხარჯზე ფოთისათვის გადამეტებული მფარველობის გაწევა მომავლისათვის შეუძლებლად მიიჩნია [1].

ქ. ფოთი შემოსავლის შემცირების საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ ფოთის თვითმმართველობის მოღვაწეებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. მათ მიზნად დაისახეს საფუთო გამოსაღების აღდგენა და მეოთხე საობლიგაციო სესხის გამოშვება.

1907 წელს ფოთის საქალაქო სათათბირომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ფოთის სასარგებლოდ განსაკუთრებული საფუთო გამოსაღების დაწესების

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/131.

შესახებ. იქ შესანიშნავადაა დასაბუთებული, რომ აღნიშნული გამოსაღების დაარსების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნავსადგურის შემდგომი კეთილმოწყობა, საობლიგაციო სესხების დაფარვა და ქალაქის ბევრი აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილება.

ფორმალური შუამდგომლობის აღძვრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ფოთის მუნიციპალურმა მოღვაწეებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ თუ დოკუმენტს ადამიანი არ გაუვებოდა პეტერბურგში, ისე საქმე ან დიდხანს გაჭიანურდებოდა ან სულაც ჩავარდებოდა. ამიტომ ფოთის საქალაქო სათათბირომ საფუთო გამოსაღების საქმეზე ნ. ნიკოლაძე მიავლინა პეტერბურგში.

ნ. ნიკოლაძემ ერთხანს სასურველ წარმატებას ვერ მიაღწია მთავრობის ინსტანციებში, რის შესახებაც აცნობა ფოთელ თანამებრძოლებს. ამის საპასუხოდ ი. მეუნარგია, 1907 წლის 2 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „მომივიდა დღეს შენი გოდება ... არც ასეთი სულმოკლეობა ვარგა. თუ დღეს არ მოხერხდა საქმე, ხვალ იქნება, ზეგ იქნება. თუ არა და ქალაქის კლიტეებს გუბერნატორს ჩავაბარებთ და თავი იტეხონ. რა შენი ბრალია, რომ პორტმა დიდი ხარჯი მოითხოვა. ნოლდეს ვუთხარი (ღმერთო ეს რა ქარაფშუტა კაცი ყოფილა, ესაა კავკასიის წარმომადგენელი ხელმწიფესთან და ამან უნდა გააკეთოს ქვეყნის საქმე?) საშველი არ გვაქვს, ყოველ ოცს (ჯამაგირების გაცემის დღე — ა. ბ.) ვიმალები-თქო. პასუხად მასხრულად მითხრა — ნიკოლაძე პეტერბურგში გადასახლდა და შენც ისე ქენიო“. შემდეგ ი. მეუნარგია უბრუნდება საფუთო გამოსაღების საკითხს და ფოთის ქალაქის თავს სწერს: „ეხლა ნიკოჯან, რადგან უეჭველია, რომ უდუმოთ საქმეს ვერ გავიტანთ, უნდა შეურიგდე იმ აზრს, რომ შენი ფოთში ჩამოსვლა არ შეიძლება სანამ ამ საქმეს არ დააყენებ კარგ გზაზე. უნდა გახდე მეთაურად ყველა პორტის ქალაქებისა, ყველა აღძრა, აალაპარაკო, სწერო გაზეთებში, დაუახლოვდე გავლენიან დეპუტატებს და საქმე მოიგო. აქ რომ მოხვიდე რა უნდა გააკეთო? უფულო კასას მეც ვეყოფი მომვლელად“ [1]. 1909 წლის 21 თებერვალს ი. მეუნარგია და ლ. ყრუაშვილი ნ. ნიკოლაძეს სწერდნენ: „ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ სანამ ნახევარი კაპიკის საქმე არ გადაწყდება

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 11/16.

ჩვენდა სასარგებლოდ ... ჩვენი უპრავა ან უნდა დაიკეტოს, ან მისი ხარჯები სანახევროდ მაინც უნდა შემცირდეს“ [1].

ქ. ფოთისათვის საფუთო გამოსაღების დიდი მნიშვნელობა ყველაზე უკეთ ნ. ნიკოლაძეს ეცმოდა. მან კარგად დასაბუთებული შუამდგომლობა შეიტანა მთავრობაში და ცოდნა, გამოცდილება და ენერგია არ დაუშურებია საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ფოთის ქალაქის თავის საქმიანობამ ნაყოფი გაჩიღო. ფოთის თვითმმართველობის შუამდგომლობის საფუძველზე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეადგინა სათანადო კანონპროექტი და შეიტანა იგი მინისტრთა საბჭოში. მცირე შესწორებების შემდეგ კანონპროექტი განსახილველად გადაეცა სახელმწიფო სათათბიროს.

კარგად დაწყებული საქმე რამდენიმე ხანს შეაფერხა ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭომ, რომელმაც სადავოდ გახადა ფოთის თვითმმართველობის უფლება დაებეგრა ნავსადგურებზე გაკლილი საქონელი, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ გააბათილა შავი ქვის მრეწველთა საბჭოსა. და მისი ლიდერის გ. ზდანოვიჩის არგუმენტები. იგი წერდა, რომ ფოთის ნავსადგურის კეთილმოწყობით ყველაზე მეტად მარგანეცის მრეწველ-ექსპორტიორები უნდა იყვნენ დაინტერესებული, რადგან არა მარტო გემების დატვირთვის ღირებულება, არამედ საზღვაო ფრახტის ოდენობაც მნიშვნელოვანწილად ნავსადგურის კეთილმოწყობაზეა დამოკიდებული. როცა ფოთის ნავსადგური ერთდროულად დიდი რაოდენობის გემებს ვერ იღებდა, ადგილი ჰქონდა გემების მოცდენას და ამიტომ საზღვაო ფრახტი ფოთიდან ლონდონამდე 16—20 კაპ. შეადგენდა ფუთზე, შემდეგ კი, ფოთის პორტის კეთილმოწყობის პარალელურად იგი თანდათან შემცირდა 7—8 კაპიკამდე. ამით, ბუნებრივია, მოგებული დარჩნენ მარგანეცის მრეწველ-ექსპორტიორები. ამიტომ გაუგებარია მრეწველთა საბჭოს უარყოფითი დამოკიდებულება საფუთო გამოსაღების დაწესებისადმი. თუ რკინიგზის სადგურებს აქვს საქონლის დაბეგვრის, ტარიფის დაწესების უფლება, დაუშვებელია ასეთი უფლება წაერთვას ფოთის საქალაქო თვითმმართველობას, რომელმაც ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის უკვე 10 მლნ მან. დახარჯაო [2].

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 11/39.

[2] «Батумскій голос», 1908, № 180.

სახელმწიფო სათათბირომ ძირითადად მოიწონა კანონპროექტი და მცირე შესწორებების შემდეგ იგი სახელმწიფო საბჭოს გადაუგზავნა. 1909 წლის 24 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მიერ მოწონებული „კანონი ფოთის სასარგებლოდ ნავსადგურში გავლილ საქონელზე განსაკუთრებული ნახევარკაპიკიანი გამოსაღების დაწესების შესახებ". ამ კანონის თანახმად ნახევარკაპიკიანი გამოსაღები დაედო თითქმის ყველა საქონელს, დაბეგვრიდან გათავისუფლდა მხოლოდ სამშენებლო ხე-ტყე, ქვა, ქვიშა და სხვა მეტად მცირე ღირებულების საქონელი. დამატებით ნახევარკაპიკიან გამოსაღებს კრეფდა ფოთის საბაჟო და ნაწილი მიმდინარე ანგარიშზე შეჰქონდა ადგილობრივ ხაზინაში ფოთის საერთო საჭიროებისათვის, მეორე ნაწილი კი ირიცხებოდა ქ. ფოთის დეპოზიტში. საქალაქო თვითმმართველობა მთავრობის მითითების თანახმად დამატებით საფუთო გამოსაღებზე აწარმოებდა განსაკუთრებულ ანგარიშს, ყოველწლიური შემოსავლის 4/5 იყენებდა ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის, დანარჩენს კი ხარჯავდა ისეთი საჭიროებისათვის, რაც აგრეთვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნავსადგურის ნორმალურ მუშაობასთან (ნავსადგურის სამმართველოსა და პოლიციის შენახვა, ნავსადგურებისაკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობა. გემების დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზაცია, საზღვაოსნო სასწავლებლის დაფინანსება და სხვ.) [1].

საფუთო გამოსაღების დაწესების შემდეგ ფოთის ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მას გაუჩნდა მუდმივი შემოსავალი, რაც ნავსადგურის ტვირთბრუნვის გაფართოების პარალელურად თანდათან იზრდებოდა. 1910 წელს მან შეადგინა 260 ათასი მან., 1913 წელს 300 ათას მან. გადააჭარბა. განსაკუთრებული საფუთო გამოსაღები საშემოსავლო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ იქცა.

მაგრამ ფოთის საქალაქო თვითმმართველობის მიერ განზრახული სამუშაოთა მასშტაბი იმდენად ფართო იყო, რომ მისი დროულად დამთავრებისათვის აუცილებელი ხდებოდა დიდი ერთდროული თანხები, გრძელვადიანი კრედიტის აღება. 1909—1911 წლებში ფოთის თვითმმართველობა მიმოწერას აწარმოებდა მთავ-

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/74.

რობის სხვადასხვა ინსტანციებთან მეოთხე საობლიგაციო სესხის (2 500 000 მან. 50 წლის ვადით) გამოშვების ნებართვისათვის. ამ თანხის გამოყენება ნავარაუდევი იყო მარგანეცის ელევატორის მოწყობისათვის, რიონ-ნავსადგურის, რიონ-კაპარჭინა, მალთაყვა-სუფსის არხების გაყვანისათვის, რიონის ჩრდილო ტოტზე გემმისადგომის მოწყობის, ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა ნაგებობათა მშენებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარკაპიკიანი საფუთო გამოსაღები გრძელვადიანი სესხის თავნისა და პროცენტის დაფარვის საიმედო გარანტიას იძლეოდა, მთავრობამ თავი შეიკავა. ნ. ნიკოლაძის ენერგიულმა საქმიანობამ ამ შემთხვევაში სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო, ფოთის თვითმმართველობამ მეოთხე საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა ვერ მიიღო.

სესხის მიღების ამ წარუმატებელი ცდის შემდეგ ფოთის თვითმმართველობამ სცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებია 1910 წლის 2 მარტის კანონი, რაც მუნიციპალიტეტებს აძლევდა რკინიგზით ქალაქებზე გატარებული საქონლის დაბეგვრის უფლებას. ეს საკითხი ფოთის სათათბირომ 1911 წლის 13 დეკემბრის სხდომაზე განიხილა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფოთის თვითმმართველობას არ ყოფნის შემოსავალი და ყოველ წელს 50—60 ათასი მან. დეფიციტით ამთავრებსო. ამიტომ აუცილებელია ზემოაღნიშნული კანონის გამოყენება ფოთის ფინანსების გასაძლიერებლადო. საქალაქო გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული გამოსაღების 10 წლის ვადით დაწესება. მის ვარაუდათ იგი ქალაქს ყოველწლიურად 4—5 ათას მანეთს მისცემდა.

სათათბიროს მიერ აღძრული სათანადო შუამდგომლობა თავდაპირველად საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოში მოხვდა. ამ დაწესებულების მოხელეებმა დამატებითი ცნობები მოითხოვეს ქალაქის ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც დროულად იქნა გაგზავნილი, მაგრამ საქმე მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის ინსტანციებს არ გასცდენია [1].

ნ. ნიკოლაძის ფოთში მოღვაწეობის დროს ქალაქის ჩვეულებრივი შემოსავალიც გაიზარდა, გაორმაგდა და გასამკეცდა, მაგრამ მთავარი მაინც სპეციალური სახსრები იყო, რაც მიიღებოდა სა-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 48/84, 48/94.

ფუთო გამოსაღებითა და საობლიგაციო სესხებით. 1906 წელს ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტი უდრიდა 740 069 მანეთს, საიდანაც საობლიგაციო სესხის წილად მოდიოდა 369 539 მანეთი. 1907 წლის საშემოსავლო ბიუჯეტს (723 731 მან.) საობლიგაციო სესხმა შემატა 262 580 მან., 1908 წლის ბიუჯეტს (983 731 მან.) 538 355 მან. [1].

1910 წელს ფოთის შემოსავალმა შეადგინა 788 577 მან. 1911 წელს — 516 001 მან, 1912 წელს — 548 460 მან., 1913 წელს — 600 997 მან. ფოთის საშემოსავლო ბიუჯეტის მკვეთრი შემცირება 1910 წლის შემდეგ განაპირობა იმან, რომ ამ დროისათვის უკვე დამთავრდა მესამე საობლიგაციო სესხის რეალიზაცია, ხოლო მეოთხე საობლიგაციო სესხის გამოშვების უფლება, როგორც აღნიშნული იყო, ფოთის თვითმმართველობამ ვერ მიიღო.

ფოთის თვითმმართველობის შემოსავლის დიდი ნაწილი ნავსადგურის მშენებლობა-ექსპლოატაციის დაფინანსებას ხმარდებოდა. მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფოდა აგრეთვე თვითმმართველობის აპარატის და პოლიციის შენახვისათვის, კომუნალური მეურნეობის განვითარების, სამედიცინო მომსახურებისა და სახალხო განათლების საჭიროებისათვის.

1913 წელს ქ. ფოთის ვალი 5 378 384 მან. შეადგენდა. ამ მხრივ იგი პირველ ადგილზე იყო საქართველოს ქალაქთა შორის. მაგრამ ეს ნ. ნიკოლაძისა და ფოთის სხვა მუნიციპალურ მოღვაწეთა დაუდევრობა-უყაირათობაზე როდი მეტყველებს. გრძელვადიანი კრედიტებით, საობლიგაციო სესხების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით იქნა აგებული შესანიშნავი ნავსადგური, რამაც დიდად გაზარდა მისი სავაჭრო ბრუნვა, ამან კი თავის მხრივ განაპირობა ფოთის სავაჭრო ფირმების, საწყობ-მაღაზიების ქსელის გაფართოება. საგრძნობლად გაიზარდა ვაჭარ-მრეწველ-ხელოსანთა მოგება და მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება. ჩვეულებრივი საბიუჯეტო შემოსავლით ნავსადგურებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა ათეული წლით გაგრძელდებოდა, საობლიგაციო სესხების გამოშვების გზით მობილიზებული მსხვილი თანხებით კი საამშენებლო სამუშაოები სწრაფად დამთავრდა და სწრაფადვე

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 18/28.

გაიზარდა ქალაქის შემოსავალიც. ამიტომ 50-წლიანი საობლიგაციო სესხები და საკრედიტო დაწესებულებებიდან აღებული ვალები მძიმე ტვირთად როდი დააწვა ქალაქის ბიუჯეტს. რევოლუციამდე, მართალია, ამ ვალების მეხუთედიც კი არ ყოფილა დაფარული, მაგრამ ამით ფოთის თვითმმართველობა და საერთოდ ქალაქის მოსახლეობა მოგებული დარჩა, ფაქტიურად გაცილებით იაფი დაუჯდათ ნავსადგური და ქალაქის კეთილმოწყობა. იზარალეს მხოლოდ ბანკებმა და კერძო პირებმა, რომელთაც მოახდინეს საობლიგაციო სესხების რეალიზაცია. მათ მხოლოდ ფარატინა ქაღალდები შერჩათ ხელში.

2. ფოთის თვითმმართველობის საქმიანობა ნავსადგურისა და კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესების სფეროში

„ფოთის მომავალი თითქმის არავის არ სწამს, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1871 წელს, — დღეს ვართ, ამბობენ ფოთელები, ხვალ არაო. ხან რიონი მოდიდდება და ჭაობზე გადაივლის, ხან პალიასტომის ტბიდან გამომავალი კაპარჭინა გადაივლის ზედ, ხან ზღვის ქარი ახდის სახლებს სახურავებს... ხან ნისლი დამალავს მთელ ქალაქს, ხან მზე გადაწვას დაუპირებს“ [1].

1895 წლის 30—31 ოქტომბერს გამუდმებულმა წვიმამ დიდი წყალდიდობა გამოიწვია. რიონიდან ვეებერთელა ნაკადი გადავიდა პალიასტომის ტბაში, აქედან კი მდინარე კაპარჭინაში, რომელმაც გაგლიჯა ჯებირები და ქ. ფოთს მოედო. ქუჩები მდინარეებად იქცა. წყალს მოჰქონდა ხე-ტყის მასალა, აუარებელი შეშა, დაუხერხავი მორები.

წყალდიდობამ ქ. ფოთს და მის მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა. „დღეს ფოთი, — იწერებოდა ივერიის კორესპონდენტი,— მტრისაგან აკლებულ ქალაქს ჰგავს ... დიდი ზარალი მიეცა სამხერხაოების მექარხნეებს და მეშეშეებს; ზარალი თვით ქალაქისა ერთობ დიდია, რადგან წყალმა ქუჩები დააფუჭა, სამოცამდე რკინის ფანრები დალეწა და წააქცია, ბოგირები დაგლიჯა დ წაახდინა“ [2]. ნ. ნიკოლაძის მითითებით მდინარეებად ქცეულ ქალაქის ქუ-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. თხზ., ტ. 2, 1962, გვ. 549.

[2] „ივერია“, 1895, № 254.

ჩებში ნავების ფლოტილია გაუშვეს და მოსახლეობა სამშვიდობო ადგილებში გამოიყვანეს. ადამიანთა მსხვერპლი თითქმის არ ყოფილა.

ფოთის ქალაქის თავმა, თვითმმართველობის სხვა მუშაკებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ფოთის აღდგენისა და მომავალში წყალდიდობისაგან მისი დაცვისათვის. მდ. რიონზე აგებულ იქნა ახალი ჯებირი 1014 მეტრი სიგრძისა და შეკეთდა მიწის ზღუდე 724 მეტრზე. მდ. კაპარჭინაზე აიგო 820-მეტრიანი ახალი ჯებირი და შეკეთდა ძველი ჯებირი 1931 მეტრ სიგრძეზე. ქალაქსა და მის მიდამოებში გაიყვანეს 8 კმ სიგრძის საწრეტი არხები, რომელნიც წყალდიდობის შემთხვევაში მდინარეებიდან გამოვარდნილ წყალსაც გაატარებდნენ.

„რა არ შეუძლიან ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანსა? — აღფრთოვანებით წერდა „ივერიის“ კორესპონდენტი, — ხალხს ყოველთვის სჭიროდა და სჭირია პრომეთეოსი, რომ თვით ღმერთებსაც კი წაართვას ცეცხლი ... ასეთი ბელადი იყო ამ საშინელ დღის ბატონი ნიკო ნიკოლაძე. თავგანწირულობამ ქალაქის მოურავისამ ხალხს სული ჩაუდგა, გაამხნევა და შეაშიდა ბუნების შოვლენას“ [1].

გამოყოფილმა კომისიამ დაადგინა, რომ, მას შემდეგ რაც რკინიგზა გაკეთდა, მდ. რიონს მოესპო მარჯვენა მხარეს თავისუფლად გაშლის საშუალება. წყალდიდობის დროს იგი მარცხნივ იშლებოდა, გადადიოდა მდ. ფიჩორში, რომელიც პალიასტომის ტბას ერთვის, ეს ტბა და მისგან გამდინარე კაპარჭინა ვეღარ იტევდა ამდენ წყალს და მის პირზე გაშლილი ფოთი ხდებოდა წყალდიდობის მსხვერპლი. ფოთის თვითმმართველობის მიერ ჩატარებული ზემოაღნიშნული სამუშაოები, მართალია, მნიშვნელოვანწილად სპობდა წყალდიდობის საშიშროებას, მაგრამ უსახსრობის გამო ქალაქის დამცავი ჯებირი ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. დაპროექტდა მდ. კაპარჭინას რიონთან არხით შეერთება. იგი საანასნოდ გამოდგებოდა და ექნებოდა წყლის მარეგულირებელი არხის დანიშნულებაც. შედგენილ იქნა აგრეთვე 2292 საჟენი ჯებირის აგების გეგმა-პროექტი, რომლის განხორციელებისათვის ნავარაუდევი იყო 89 803 მან. მთელი ქალაქის ჯებირით შემო-

[1] „ივერია“, 1895, № 254.

ზღუდვა კი მოითხოვდა 248 ათას მან., რადგან ქალაქის თვითმმართველობას საჭირო თანხა არ გააჩნდა, მთავრობისაგან იქნა გამოთხოვილი 42 ათასი მან. წყალდიდობის შედეგების სალიკვიდაციოდ და 248 ათასი მანეთი დამცველი ჯებირების ასაგებად. მთავრობის დაწესებულებებმა უარი თქვეს ამ გეგმა-პროექტების დაფინანსებაზე. ბედის ანაბარა მიტოვებულმა ფოთის თვითმმართველობამ მთელი სისრულით ვერ ჩაატარა განზრახული სამუშაოები. მაგრამ რაც გაკეთდა საიმედოდ იცავდა ქალაქს მთელი 20 წლის განმავლობაში[1]. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ფოთელები უფრო საიმედოდ გრძნობდნენ თავს. მალე ქალაქში გაჩნდა ახალი უბნები, საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობა. ქალაქის გაშენება სწარმოებდა დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

ნ. ნიკოლაძის ქალაქის თავად არჩევით ახალი ხანა დაიწყო არა მარტო ფოთის თვითმმართველობის, არამედ ნავსადგურის ისტორიაშიც. 30—40 წლის განმავლობაში მთავრობამ ფოთის ნავსადგურის მშენებლობაზე 7 მლნ მანეთი დახარჯა, მაგრამ ამაოდ. ნავსადგურის მოსაწყობად ფოთი არახელსაყრელ ადგილად გამოცხადდა, მთავრობამ უარი თქვა მის დაფინანსებაზე.

„...ახლად არჩეულმა ქალაქის საბჭომ და მისმა თავმა,— ვკითხულობთ გაზ. „კვალში“,— მიიღეს ფოთის ქალაქის საქმეები ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში. ფოთის პორტის საქმეს საუკუნოდ მისძინებოდა და უიმისოდ კი ქალაქის წარმატება შეუძლებელი იყო. ახალმა საბჭომ ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქცია და გადაწყვიტა... ყოველ მხრით აწონილ-დაწონილი მოხსენება წარედგინა მთავრობისათვის ფოთის პორტის გასაუმჯობესებლად“. იმის გამო, რომ მთავრობას შეუძლებლად მიაჩნდა ფოთის ნავსადგურის საჭიროებისათვის კიდევ გამოეყო ხაზინის სახსრები, ნ. ნიკოლაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შუამდგომლობის იმ ნაწილს, რომელიც მშენებლობის დაფინანსებას შეეხებოდა. იგი არწმუნებდა უმაღლეს მთავრობას, რომ ნავსადგურის აშენება ხაზინის სახსრების გარეშეც შეიძლებოდა, რომ თვით საქალაქო თვითმმართველობა მოახერხებდა საჭირო თანხის მობილიზებას, თუ მთავრობა დაეხმარებოდა მას გრძელვადიანი

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 3/49.

კრედიტის მიღებაში, რომლის საიმედობა გარანტირებული იქნებოდა თვით ნავსადგურის შემოსავლით.

ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოქმედმა კომისიამ დაარღვია ფართოდ გავრცელებული ვერსია იმის თაობაზე, თითქოს ფოთის ნავსადგურში გემების შესვლა და დგომა შეუძლებელია. ყველა დაარწმუნა, რომ ნავსადგურში გემები ადვილად შედიან და უშიშრად დგანან, მაგრამ სიმცირის გამო ნავსადგური ყველა გემს ვერ იტევს, ღია ზღვაში დარჩენილი ხომალდები კი, რა თქმა უნდა, დაზღვეული არ არიან ხიფათისაგანო. კომისიის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ XIX ს-ის ბოლოს ფოთის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მხოლოდ 25 მლნ ფუთს აღწევდა, მომავალში კი იგი სწრაფად გაიზრდება, რადგან ფოთი უფრო ახლოსაა რუსეთისა და უცხოეთის ნავსადგურებთან ვიდრე ბათუმი. კომისიამ მთავრობას წარუდგინა ნავსადგურის აშენების პროექტი და თანაც მოითხოვა, რომ ეს საქმე თვითმმართველობის კომპეტენციაში ყოფილიყო გადაცემული.

ნავსადგურების მშენებლობას ყველგან რუსეთის იმპერიაში და მათ შორის ფოთშიც მთავრობის მოხელეები და მათგან დანიშნული ინჟინრები აწარმოებდნენ. „აქომამდე უმაღლეს მთავრობას, — წერდა „კვალის“ კორესპონდენტი, — ასეთი საქმეების მართვა მხოლოდ თავის მოვალეობათ მიაჩნდა და ადვილათ არ ანებებდა ადგილობრივ ეროვნულ დაწესებულებათ ... მაგრამ ფოთის ქალაქის საბჭომ და მისმა თავმა აქაც გონიერი საბუთებით და საუკეთესო უცხო ქვეყნების პორტების მაგალითებით დააჯერეს მინისტრების კომიტეტი, რომ თვითონ ფოთის ქალაქის გამგეობა, როგორც ნამდვილი პატრონი საქმისა და ხარჯის გამღები, უფრო ერთგულათ წაიყვანდა ფოთის პორტის მშენებლობას, ვიდრე გარეშე პირი და თუნდ მთელი დაწესებულებაც, რომელშიც მხოლოდ ფორმალურად მოექცეოდნენ ასეთ საქმეს და უფრო საკუთარი სარგებლობის მიხედვით იმოქმედებდნენ. ასეთ თვითმოქმედებაზე მთავრობა რომ დაყაბულდა, — დაასკვნიდა წერილის ავტორი. — ეს დიდი მაგალითია და მარტო ფოთისათვის როდი აქვს დიდი მნიშვნელობა (ხაზგასმა ჩვენია — ა. ბ.)... ვისურვებთ მხოლოდ, რომ ფოთის საქალაქო გამგეობამ ღირსეულად გაამართლოს მთავრობის ნდობა და კავკა-

სიის საერო თვითმოქმედებას ფოთის მაგალითით აზალი ხანა დადგომოდეს“ [1].

ნ. ნიკოლაძე და ფოთის საქალაქო თვითმმართველობის სხვა მოღვაწენი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ; წარმატებით გაუძღვნენ ამ რთულ საქმეს. 1896—1897 წლებში ნ. ნიკოლაძე ნავსადგურის საქმეებზე რამდენჯერმე ჩავიდა პეტერბურგს. მისი წარდგენით გზათა მინისტრმა განიხილა ფოთის ნავსადგურის გაფართოება-გაუმჯობესების პროექტი და მოიწონა იგი. 1898 წელს ფოთში თვით გზათა მინისტრი ხილკოვი ჩავიდა. ამით ისარგებლა ნ. ნიკოლაძემ და მის წინაშე დასვა ფოთის ნავსადგურის მშენებლობის დაჩქარების საკითხი. იმავე წელს ფოთის თვითმმართველობამ ოდესიდან მიიღო მიწის სათხრელი მანქანა, რაც აუცილებელი იყო ნავსადგურის აუზის გაღრმავება-გაფართოებისათვის.

1899 წელს უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა ინჟ. ეოზნესენსკის მიერ შედგენილი ფოთის ნავსადგურის მშენებლობის პროექტი და მყისვე დაიწყო მისი პრაქტიკული განხორციელება. ნავსადგურის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ სადილზე ინჟ. მეიერმა ნ. ნიკოლაძის დამსახურების შესახებ განაცხადა: „ნავსადგურის საქმე იმ ლაფში ჩაფლული ურმის ბედს მომაგონებდა, რომელსაც გარს აუარებელი ხალხი დასტრიალებდა სიცილხარხარით, საშველად კი თავს არავინ იწუხებდა. მას შემდეგ კი, რაც ნავსადგურის მშენებლობის საქმეს ნ. ნიკოლაძე ჩაუდგა სათავეში, მდგომარეობა მყისვე გამოსწორდა. მართალია. დაბრკოლებები ბევრი იყო, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ ყველა სიძნელე გადალახა და საქმე ბოლომდე მიიყვანა. ვუსურვოთ მას მრავალჟამიერ სიცოცხლე, დაე მის გამჭრიახ გონებას კიდევ ბევრი რამ გაეკეთებინოს ერისა და მამულის სასარგებლოდ“ [2].

ფოთის თვითმმართველობამ, როგორც აღნიშნული იყო, ნავსადგურის მშენებლობისათვის საჭირო თანხების მობილიზაცია საობლიგაციო სესხების გამოშვებით მოახერხა. 1899-დან 1907 წლამდე ნავსადგურისა და დამხმარე ნაგებობების მშენებლობაზე 5 420 000 მანეთი დაიხარჯა. სამუშაოები მაღალხარისხოვნად ჩა-

---

[1] „ცვალი“, 1896, № 33. გვ. 581—584.

[2] „იბერია“, 1899, № 75.

ტარდა. სახელმწიფო სათათბირომ ფოთის ნავსადგური ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარა მთელ რუსეთში [1].

ნ. ნიკოლაძემ რამდენჯერმე იმოგზაურა უცხოეთში. იგი განსაკუთრებული გულისყურით ეცნობოდა ევროპისა და აფრიკის ნავსადგურებს, განსაკუთრებით აინტერესებდა იაფი საქონლის დატვირთა-გადმოტვირთვის ორგანიზაცია. უცხოეთში მიღებული ცოდნა ნ. ნიკოლაძემ სამშობლოში პრაქტიკულად გამოიყენა. შეადგინა ფოთში ორი ელევატორის მოწყობის პროექტი. მართალია, ამ პროექტის რეალიზაციას ყოველნაირად უშლიდა ხელს გერმანული ფირმა „გელზენკირხენი", რომელსაც სურდა საკუთარი მონოპოლიური მარგანეცის ელევატორით აღჭურვილი ნავსადგური მოეწყო ქობულეთში, მაგრამ ნ. ნიკოლაძემ ამ ბრძოლაშიც გაიმარჯვა. 1905 წლის 25 აპრილს ფოთის თვითმმართველობამ ხელშეკრულება დასდო ბუნგე-პალაშკოვის ფირმასთან ორი ელევატორის მოწყობის თაობაზე. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ელევატორები 375 ათასი მან. ჯდებოდა. მარგანეცის ელევატორის მშენებლობა 1908 წელს ძირითადად დამთავრდა [2].

დიდი ხნის განმავლობაში ფოთის გაშენება გეგმის გარეშე წარმოებდა, რის გამო იგი სოფლის იერს ატარებდა. ამ საქმეში არსებითი გარდატეხა XIX ს-ის ბოლოს მოხდა. ნ. ნიკოლაძის მითითებით შედგა ქალაქის დეტალური გეგმა, განისაზღვრა ქალაქის ზრდის ძირითადი მიმართულებანი. რიონის კუნძული, რომელიც ქალაქის მნიშვნელოვან უბანს შეადგენდა, საკმაოდ ფართო მაგისტრალმა გადაკვეთა, დანარჩენი ტერიტორია კი ჭადრაკულად დაგეგმარდა და მთავარ მაგისტრალს შეერწყა. უკვე იმ დროს გამოიკვეთა ფოთის რადარულ-რკალური და ჭადრაკული დაგეგმარება.

ქალაქის გაშენების საკითხში ნ. ნიკოლაძეს თავისი შეხედულებები ჰქონდა. იგი უპირატესობას ქვის შენობებს ანიჭებდა. მისი განცხადებით ქვის შენობები შნოსა და ლაზათს მატებდა ქალაქს, თანაც ნოტიო ფოთში ქვითკირის შენობა უფრო პასუხობდა სანიტარიის მოთხოვნილებას. 1903 წლის 18 იანვარს ფოთის თვითმართველობამ გამოაქვეყნა განცხადება ქალაქის დაგეგმარებულ

---

[1] «Закавказская речь», 1915, № 212.

[2] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/110.

ტერიტორიაზე სამოსახლო ნაკვეთების გაყიდვის შესახებ. ნაკვეთის მყიდველს ვალდებულება უნდა ეკისრა, რომ იგი 3 წლის ვადაში ააგებდა ქვის სახლს. თუ ეს პირობა შესრულდებოდა ახალმოსახლე მიწაზე საკუთრების უფლებას ღებულობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იგი კარგავდა ნაკვეთსაც და მასში გადახდილ ფულსაც [1].

ფოთის თვითმმართველობა, რა თქმა უნდა, საჭიროდ თვლიდა ქალაქის ქუჩა-მოედნების მოკირწყვლა-მოასფალტებას, მაგრამ, სახსრების სიმცირის გამო, ეს საქმე ძალიან ნელა მიდიოდა წინ. შედარებით მეტი ყურადღება ექცეოდა ნავსადგურისაკენ მიმავალ ქუჩებს. მათი კეთილმოწყობისათვის მთავრობის ნებართვით „საპორტო გამოსაღების თანხას იყენებდნენ. 1911 წლისათვის ფოთის 289 570 კვ. საჟენი ფართობის ქუჩებიდან მოკირწყლული იყო მხოლოდ 13 207 კვ. საჟენი [2]. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა ქალაქის განაპირა უბნები, რომელთა ქუჩები წვიმის დროს წყლითა და ლაფით ივსებოდა.

1896 წლამდე ფოთში მხოლოდ ერთი ხის ხიდი იყო, რომელიც ფოთის ნავსადგურს დიდ კუნძულთან აკავშირებდა. რიონის სამხრეთ ტოტზე ხიდი არ არსებობდა, კავშირი ნავებით ხორციელდებოდა. 1897—1899 წლებში ფოთის საქალაქო სათათბირომ რამდენიმე დადგენილება მიიღო ქალაქის ტერიტორიაზე ხიდების მშენებლობის შესახებ. შედგა სათანადო პროექტები, გამოცხადდა კონკურსი სამშენებლო ფირმების საყურადღებოდ [3]. რიონის სამხრეთ ტოტზე 105 საჟენი სიგრძის გასახსნელი ხიდი, რომლის მშენებლობას მოიჯარადრე კეშელავა აწარმოებდა, 1898 წელს დამთავრდა. ქალაქს იგი 22 ათასი მანეთი დაუჯდა. იმავე წელს რიონზე აიგო მეორე ხიდი, რომელიც ქალაქს ნავსადგურთან აკავშირებდა. უფრო მოგვიანებით ხიდი გადებულ იქნა მალთაყვაზე და ქალაქი მჭიდროდ დაუკავშირდა გურიას.

ნ. ნიკოლაძის ქალაქის თავად არჩევამდე ფოთში, მართალია, არსებობდა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, მაგრამ მას სატელეფონო ქსელი არ გააჩნდა. 1897 წელს ფოთში გაიხსნა სატელე-

---

[1] „ივერია“, 1903, № 45.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 48/94.

[3] „ცნობის ფურცელი“, 1897, № 153, 280, 341.

ფონო სადგური, რომლით სარგებლობა ყოველ მოქალაქეს შეეძლო [1].

ფოთის თვითმმართველობა საკმაო ყურადღებას აქცევდა საქალაქო ტრანსპორტის გაუმჯობესებას. 1899 წელს ნ. ნიკოლაძემ დასვა ნავსადგურიდან ქალაქის ცენტრამდე ელექტროტრამვაის ვაყვანის საკითხი. მშენებლობა ამ ხაზისა, რომლის სიგრძე 3 კმ აკარბებდა, 47 ათასი მან. ჯდებოდა. მაგრამ ამ თანხის გამონახვა თვითმმართველობამ ვერ შეძლო და ამიტომ იგი უფრო იაფი ცხენის რკინიგზის — კონკის მოწყობას უნდა დასჯერებოდა. 1904 წელს ნ. ნიკოლაძე სპეციალურად ჩავიდა თბილისში, შეხვდა ბელგიელ ინჟინრებს და მათთან სათანადო მოლაპარაკებაც აწარმოვა. იმავე წელს დამტკიცდა ფოთის კონკის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (23 000 მან.). მუშაობა სწრაფი ტემპით წავიდა. 1905 წელს ფოთის კონკა ექსპლუატაციაში შევიდა [2].

XIX ს-ის ბოლომდე ქუჩების, წარმოება-დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების გასანათებლად ნავთის ფარნებს იყენებდნენ. XX ს. დამდეგს ფოთში ელექტრონათურა გაჩნდა, მაგრამ საჭირო ელექტროენერგიას ორთქლის მანქანებისა და დიზელის ძრავების საშუალებით იღებდნენ. ამ მეთოდით მიღებული ენერგია ძვირი (წლიურად 21 ათასი მან.) ჯდებოდა და თანაც არასაკმარისი იყო. ჰიდროელექტროსადგურთა ქსელით საქართველოს დაფარვა ნ. ნიკოლაძის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. მან საამისოდ არაერთი პროექტი შეადგინა, მაგრამ ცარიზმის ბატონობის პირობებში მათი განხორციელება არ ხერხდებოდა. 1911 წელს ნიკოლაძემ ინჟ. ცინცაძე წაიყვანა მდ. აბაშის ხეობაში, მონახეს ჰიდროელექტროსადურის ასაგები ადგილი და სათანადო პროექტიც შეადგინეს. დაპროექტებული ელექტროსადგურის სიმძლავრე 1250 ცხენის ძალა უნდა ყოფილიყო. პროექტის განხორციელების გზაზე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ საქმე შეჩერდა [3].

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად ფოთი საკმაოდ კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა.

---

[1] „ცნობის ფურცელი", 1897, № 233, 275.

[2] მ. პაპკორია. ფოთის წარსულიდან, გვ. 133—134.

[3] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/91; „ივერია", 1904, № 282.

ჯერ კიდევ 1904 წელს „ივერიის“ კორესპონდენტი წერდა: „საოცარი ცვლილებაა! ფოთი ათი წლის წინ და ფოთი ახლა. ფოთი ციებ-ჭაობისა და მილიარდ ბაყაყთა ყოფილი ბუნაგი, ფოთი აზიური, წუმპე-ტალახიანი, უფულო და მივიწყებული და ფოთი ახლა — საქონლით სავსე, პორტის მქონე მრავალ გემთა საყუდელი, ფოთი ტკეცილი გზებით, ფოთი ელექტრონით გაშუქებული“[1]. კიდევ უფრო მეტის თქმის საფუძველი ჰქონდათ ქართული პრესის მოღვაწეებს 1914 წელს. ფოთი საკმაოდ კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა. ამ მხრივ იგი მხოლოდ თბილისსა და ბათუმს ჩამოუვარდებოდა. იგი წინ უსწრებდა საქართველოს ყველა დანარჩენ ქალაქს, მათ შორის საგუბერნიო ცენტრ ქუთაისსაც.

3. ფოთის თვითმმართველობის მოღვაწეობა სამედიცინო მომსახურეობისა და სახალხო განათლების სფეროში

ფოთის საპოლიციო მმართველობა და შემდეგ კარგა ხანს თვითმმართველობაც თითქმის არაფერს არ აკეთებდნენ მოსახლეობის სანიტარიულ-სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ჭაობებით დაფარულ ფოთში მალარია და სხვ. დაავადებანი მძვინვარებდა. XIX ს-ის 80—90-იან წლებში ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას მხოლოდ ორი ექიმი ემსახურებოდა. მართალია, ფოთში არსებობდა სამხედრო საავადმყოფო, მაგრამ იგი, უწყებრივი შეზღუდულობის გამო, სამოქალაქო პირებს სამედიცინო დახმარებას არ უწევდა. ქალაქში სამოქალაქო საავადმყოფოს გახსნის შესახებ არაერთ შუამდგომლობას შედეგი არ მოჰყოლია. ასეთ პირობებში ხელმოკლე მოქალაქენი, რომელთაც კერძო ექიმებთან მკურნალობის სახსარი არ გააჩნდათ, მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ.

ნ. ნიკოლაძემ ქალაქის თავად არჩევის შემდეგ ამ სფეროშიც ნაყოფიერი საქმიანობა გაიაღა. 1896 წელს ფოთის თვითმმართველობამ დაიწყო ექვსოთახიანი სახლის მშენებლობა. ორი წლის შემდეგ ამ ახალ სახლში გაიხსნა ამბულატორია, ცოტა მოგვიანებით საავადმყოფოც. მეტი ყურადღება მიექცა ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებასაც. ნ. ნიკოლაძის წინადადე-

---

[1] „ივერია“, 1904, № 282.

ბით ბაზრის ახლოს მდებარე სასაკლაო, რომელიც ქალაქის ცენტრში ანტისანიტარიის ბუდეს ქმნიდა, გარეუბანში, მდ. კაპარჭინას პირას იქნა გადატანილი. იქ აშენდა ახალი სასაკლაო. მასში ჰიგიენა-სანიტარიის ყველა პირობები იყო დაცული. მალე ფოთის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების სამსახურში ჩადგა სადეზინფექციო კამერა.

რეფორმამდე ქ. ფოთში სახალხო განათლების კერები თითქმის სულ არ არსებობდა. 1868 წელს გაიხსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ვაჟთა სამაზრო სასწავლებლად გადაკეთდა. იმავე ხანებში ფოთში დაარსდა ქალთა კერძო სკოლა, მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია [1].

1879 წელს ფოთში გაიხსნა ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომლის კურსდამთავრებულებს რეალურ სასწავლებელსა და გიმნაზიაში სწავლის გაგრძელების უფლება ეძლეოდათ.

1880 წელს ფოთში გაიხსნა საზღვაო სკოლა, რომელიც შტურმანებსა და შკიპერებს ამზადებდა. ეს სასწავლებელი ძირითადად ხაზინის ხარჯზე ინახებოდა. მაგრამ მას ფინანსურ დახმარებას ქალაქის თვითმმართველობაც უწევდა [2].

1880 წელს ფოთში აღდგენილი იქნა ქალთა სასწავლებელი, რომელსაც ფოთის მოსახლეობა აფინანსებდა კერძო შეწირულებათა გზით. იგი ბოლომდე არსებობდა როგორც საქველმოქმედო საზოგადოების დედათა სასწავლებელი. ფოთის მოსახლეობაში საკმაო პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე ჭრა-კერვისა და ქსოვა-ქარგვის სკოლა.

1889 წლის 8 მაისს ფოთში ჩავიდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი იანოვსკი. ოთხკლასიანი სკოლის დათვალიერების შემდეგ მასთან გამოცხადდა ქალაქის წარმომადგენლობა და სწავლების ქართულ ენაზე დაწესება მოსთხოვა. იანოვსკი ფოთელებს „დახმარებას“ შეჰპირდა, მაგრამ ეს დაპირება ფოთიდან წასვლისთანავე დაივიწყა. ცარიზმის ეს მოხელე, რა თქმა უნდა, იზიარებდა მთავრობის პოლიტიკას და ძალას არ ზოგავდა კავკასიაში მისი გატარებისათვის.

XIX ს-ის 80-იან წლებში ფოთელებმა ბრძოლა დაიწყეს

---

[1] ნ. ნიკოლაძე. თხზ., ტ. 2, გვ. 447.

[2] «Отчет попечителя Кавказского уч. округа», 1896, с. 61.

შობლიურ ქალაქში საშუალო სკოლის დაარსებისათვის. 1887 წელს ფოთის თვითმმართველობამ შუამდგომლობა აღძრა რეალური სასწავლებლების დაარსების თაობაზე, მაგრამ მთავრობამ იგი არ დააკმაყოფილა [1].

სკოლებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქცია ფოთის ქალაქის თავმა ნ. ნიკოლაძემ. 1896 წელს მთავრობამ მიიღო საქალაქო თვითმმართველობის წინადადება და ფოთის ოთხკლასიანი სასწავლებელი ექვსკლასიანად გადაკეთდა. მალე საქალაქო თვითმმართველობამ ააგო არსებულ ქალთა სასწავლებლის შენობა, 1897 წელს კი ნ. ნიკოლაძის წინადადებით სათათბირომ შუამდგომლობა აღძრა ფოთში ექვსკლასიანი ქალთა სასულიერო სასწავლებლის გახსნის თაობაზე. მართალია, განზრახული სკოლის შენობისათვის მიწის ნაკვეთს საქალაქო თვითმმართველობა გამოყოფდა და იგი სკოლის ყოველწლიურ დაფინანსებასაც კისრულობდა, მაგრამ მთავრობამ ეს შუამდგომლობა მაინც არ დააკმაყოფილა [2].

ფოთის თვითმმართველობა კარგად ითვალისწინებდა სავაჭრო-სანავსადგურო ქალაქისათვის კომერციული სასწავლებლის დიდ მნიშვნელობას. სათანადო შუამდგომლობა სათათბირომ 1899 წელს აღძრა. მთავრობამ, მართალია, ეს თხოვნა არ შეიწყნარა, მაგრამ საქმეს ფოთელთა კერძო ინიციატივამ უშველა. ფოთის მდიდარმა მოქალაქეებმა კ. გიგინეიშვილმა და დ. დოლიძემ თავისი ხარჯით გახსნეს კერძო კომერციული კურსები [3].

1902 წლისათვის ფოთის ექვსკლასიანი სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 528-მდე გაიზარდა. სასწავლებელი ძველ შენობაში ვეღარ ეტეოდა. ფოთის თვითმმართველობამ კრედიტი აიღო და 1904 წელს ექვსკლასიანი სასწავლებლისათვის ორსართულიანი ქვის შენობა ააგო [4].

1902 წელს ნ. ნიკოლაძის ინიციატივით და მთავრობის სახსრებით ფოთში გაიხსნა დაბალი ტიპის სახელოსნო სასწავლებელი,

---

[1] „ივერია“, 1887, № 161.

[2] მ. პ ა ჭ კ ო რ ი ა, ფოთის წარსულიდან, გვ. 179.

[3] „ივერია“, 1899, № 202; „Отчет попечителя...“, 1900, стр. 12.

[4] „ცნობის ფურცელი“, 1904, № 2443.

რომელიც უშვებდა დურგლებს, ხარატებს, მჭედლებს და სხვ. დარგის ხელოსნებს. სასწავლებლისათვის აშენდა საკმაოდ კარგი შენობები, რომელთა დიდი ნაწილი გამოყენებული იყო სახელოსნოსათვის, დანარჩენი კი მასწავლებლებისა და მოსწავლეთა საცხოვრებლად.

ფოთის მცხოვრებთა და საქალაქო თვითმმართველობის მოღვაწეთა საოცნებო საგანს გიმნაზიის დაარსება წარმოადგენდა. ჯერ კიდევ 1902 წელს ფოთის თვითმმართველობამ მიწის ნაკვეთი გამოყო მომავალი ვაჟთა გიმნაზიისათვის შენობის ასაგებად. შედგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მშენებლობა 75 ათასი მან. ჯდებოდა, რომლის ნაწილს თვითმმართველობა და ხაზინა კისრულობდა, დანაკლისი კერძო შეწირულებებს უნდა შეევსო. 1904 წლისათვის გიმნაზიის სამშენებლო კომიტეტს კერძო შეწირულების სახით უკვე 12 ათასი მან. ჰქონდა მიღებული. მშენებლობა დაიწყო და იგი 1906 წელს დამთავრდა. ფოთში რეკლასიანი ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა. თავდაპირველად წლიურ სწავლის ქირად 50 მანეთი დაწესდა, მალე იგი 100 მანეთამდე გაიზარდა.

ამგვარად, ფოთის მუნიციპალიტეტისა და მისი მეთაურის ნ. ნიკოლაძის ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად ფოთის დაწყებითი და საშუალო განათლების სკოლების ქსელი საკმაოდ გაფართოვდა. 1907—1912 წლებში ფოთის სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 1300—1500-მდე აღწევდა. მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა ზედაფენებიდან იყო გამოსული. მუშების, ხელოსნებისა და გლეხთა ბავშვებს ამ ფასიან სასწავლებელში, სიღარიბის გამო, შესვლა არ შეეძლოთ.

ფოთის თვითმმართველობა გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის.

1889 წელს „ივერიის“ კორესპონდენტი სინანულით იუწყებოდა, რომ ფოთს ერთი პატარა სამკითხველოც კი არ გააჩნიაო. 1892 წელს ვინმე ნოდიამ ფოთში გახსნა წიგნის მაღაზია და მასთან მცირე სამკითხველოც. 1893 წელს ფოთში სამკითხველო გახსნა ტუღუშმა. მის ფონდში 200-მდე წიგნი ითვლებოდა, რაც ქალაქისათვის, რა თქმა უნდა, არასაკმარისი იყო.

ფოთის ინტელიგენციას გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება. 1899 წელს მართლაც მო-

ხერხდა ფოთში საჯარო სამკითხველოს გახსნა, რაც დიდი ზეიმით აღინიშნა. სამწუხაროდ სამკითხველოთი სარგებლობისათვის დაწესდა 2—8 მან. წლიურად, რის გამო იგი დაბალი მასისათვის ხელმიუწვდომელი იყო [1].

საჯარო სამკითხველო ფოთის კულტურულ კერად გადაიქცა. იქ იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. იქვე ჩამოყალიბებული იყო სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელიც მართავდა საღამო-წარმოდგენებს. სამკითხველო დარბაზში იმართებოდა თბილისისა და ქუთაისის თეატრთა საგასტროლო სპექტაკლებიც [2].

ფოთში აღინიშნა პუშკინის, გოგოლის, ტოლსტოისა და სხვათა დაბადების წლისთავები. განსაკუთრებული ზეიმით ფოთელებმა აკაკის იუბილე იდღესასწაულეს. 1909 წლის 23 აპრილს თვით აკაკი ჩავიდა ფოთში, რომლის პატივსაცემად გაიმართა გრანდიოზული საიუბილეო ზეიმი.

1909 წელს ფოთის ბიბლიოთეკა-სამკითხველო ახალ კეთილმოწყობილ შენობაში გადავიდა, მისი საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. მასთან გაიხსნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილება. ფოთში დიდი წარმატებით მოღვაწეობდა მომღერალთა გუნდი ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით. ფოთის საზოგადოების კულტურული დონის ამაღლებაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ნ. ნიკოლაძის, ი. მეუნარგიას, ი. ფანცხავას და სხვ. მოწინავე პირთა იქ ხანგრძლივი მოღვაწეობა.

* *

ამგვარად, ფოთის საქალაქო თვითმმართველობა ნაყოფიერად საქმიანობდა თითქმის ყველა სფეროში. განსაკუთრებით მაღალი შეფასება დაიმსახურა ფოთის მუნიციპალიტეტის მეთაურმა ნ. ნიკოლაძემ. 1913 წელს ჟურნ. „კლდის“ კორესპონდენტი წერდა: „ამ ოცი წლის წინათ პირველად ვიხილე ფოთი. იმ დროს იგი უფრო მოზრდილ სოფელს ჰგავდა, ვინემ ქალაქს. წუმპე-ტალახიანი ბნელი ქუჩები, ხის პატარა სახლები, ჭუჭყიანი უშნო დუქ-

---

[1] „ივერია“, 1904, № 271.

[2] „ცნობის ფურცელი“, 1900, № 994.

ნები, ციებ-ცხელებით შებყრობილი, უძალღონო, უფერული ხალხი, ირგვლივ ჭაობები .. აი რა იყო იმ დროს ფოთი...

ამ დღეებში, — განაგრძობს ავტორი, — შემთხვევა მომეცა კვლავ მენახა ეს ოდესღაც საცოდავი ფოთი. ღმერთო ჩემო! რა ნახა ჩემმა თვალებმა! ნუთუ ცხადია და არა სიზმარი! თილისმას გარდაუქმნია იგი ამ ოც წელიწადში მშვენიერ ქალაქად: დამშრალა ჭაობები ... ვრცელი და სწორი მოკირწყლული ქუჩები, ხისა და ქვის ორსართულიანი ლამაზი სახლები, საქონლით სავსე მინით გადახურული ბაზარი და კოხტა დუქნები, პატარა წყალსადენი, ცხენის კონკა და ელექტრონით განათება, — აი რა ვნახე დღეს ფოთში...

ნეტა ვინ მოახდინა სასწაული?! ვინ არის ის ჯადოსანი, რომელმაც გააცოცხლა მკვდარი ფოთი და გარდაქმნა იგი მშვენიერ ქალაქად?! ვინ ააყვავა დამპალ ჭაობში საქართველოს ეს ქალაქი და აქცია იგი პირველხარისხოვან ბოღაზად, რომლის ნავსადგური სავსეა დღეს ოკეანის გემებით და რომლის საქონლის გატანა-შემოტანა უდრის წლიურად 100 მილიონ ფუთს?! ვინ აღძრა და აამოძრავა ფოთის სიცოცხლის ძარღვი?! ეს გახლავთ ნ. ნიკოლაძე“ [1].

წერილის ავტორის აღფრთოვანება რამდენადმე გადაჭარბებულია, მაგრამ ფაქტია, რომ ცარისტული რეჟიმის შავბნელ ხანაში ქართველ მუნიციპალურ მუშაკთა შორის ნ. ნიკოლაძემ ყველაზე ნაყოფიერად იმოღვაწა და ამით იყო გამოწვეული ფოთელებისა და საერთოდ მოწინავე ინტელიგენტთა აღფრთოვანება.

* *

პირველი მსოფლიო ომის დაწყება მყისვე უარყოფითად აისახა ფოთის თვითმმართველობის საქმიანობაში. შავი ზღვის საომარ ასპარეზად გადაქცევამ, სრუტეების ჩაკეტვამ შეწყვიტა ამიერკავკასიის სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ფოთის ნავსადგურის საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციები თითქმის ნულამდე დავიდა, რის შედეგადაც ქალაქის თვითმმართველობას შემოსავლის წყარო უცბად დაუშრა.

---

[1] „კლდე“, 1913, № 33, გვ. 8—12.

ასეთ რთულ პირობებში ფოთის თვითმმართველობას კიდევ უფრო ესაჭიროებოდა ისეთი ბრძენი და გამოცდილი მეთაური როგორიც ნ. ნიკოლაძე იყო. მაგრამ ეს გამოცდილი მუნიციპალური მოღვაწე ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე აიძულეს ფოთის ქალაქის თავის თანამდებობიდან გადამდგარიყო. იგი იმსხვერპლა უმაღლესი მთავრობის ადგილობრივ თვითმმართველობათა წინააღმდეგ გამოსვლამ.

მეფისა და მინისტრთა საბჭოსათვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო სათათბირო ნდობით ეკიდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობას და საჭიროდ არ მიაჩნდა მათი მუშაობის გადაჭარბებული კონტროლი. ეს კი ერთგვარი კორექტივი იყო მთავრობის ტრადიციულ პოლიტიკაში და, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია გამოიწვია. სურდა რა დაემტკიცებინა, რომ საერობო და საქალაქო თვითმმართველობანი თავიანთი საქმიანობით არ იმსახურებდნენ იმ ნდობას, რასაც მათ უცხადებდა სახელმწიფო სათათბირო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სტოლიპინმა გამოითხოვა უმაღლესი ნება სენატორ ნეიდგარტისათვის დაევალებინა საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა რევიზია.

სენატორი საქმეს 1911 წელს შეუდგა და რევიზია მოსკოვ-პეტერბურგიდან დაიწყო. დედაქალაქების თვითმმართველობათა შემოწმებამ ცხადყო, რომ მექრთამეობას და მევახშეობას ეწეოდნენ მხოლოდ ის გენერლები და მთავრობის მოხელეები, რომლებიც საქალაქო სათათბიროებმა თანამდებობებზე აირჩიეს იმის გამო, რომ მთავრობა მათ ენდობოდა. ამის შემდეგ მთავრობამ „ბოროტმოქმედთა“ ძებნა სხვაგან დაიწყო და მზერა მიაპყრო ფოთის თვითმმართველობას, რადგან იმ ხანებში ყველაზე დიდ სამუშაოებს მთელი იმპერიის მასშტაბით ფოთის მუნიციპალიტეტი აწარმოებდა. მთავრობის მოხელეები ფოთში გამოცხადდნენ და ნავსადგურის სამშენებლო კანტორის ანგარიშები შეამოწმეს. აღმოჩნდა „საეჭვო“ უსახელო ჩანაწერები, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო იმდროინდელ სამრეწველო დაწესებულებათა ანგარიშსწორებაში. ამის საფუძველზე მოხელეებმა შეადგინეს უქვეშევრდომილესი მოხსენება, ტრაგიკული ტონით აუწყეს მთავრობას, რომ ფოთში გაიხსნა დიდი ბოროტმოქმედების საქმე, რომლის სრული გამოაშკარავებისათვის საჭირო იყო მთავრობის რევიზია სენატორ ნეიდგარტის ხელმძღვანელობით. უმაღლესი ბრძანებით ნეიდგარტს, მართლაც მიენიჭა

განსაკუთრებული უფლება-თავის შეხედულებისამებრ გაერჩია საქმე, თანამდებობიდან გადაეყენებია და პასუხისგებაში მიეცა დამნაშავენი.

ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილმა სენატორმა ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში გაიწვია, შემდეგ მოითხოვა ქალაქის თავის პირადი ქონლლდები და ფოთის პორტის მშენებლობის მთელი არქივი. საქმეებში საეჭვო არაფერი იყო, მაგრამ უსახელო ჩანაწერები მიჩნეულ იქნა სამსახურებრივი დანაშაულის აქტებად და იგი ქალაქის თავს მიაწერეს. დანაშაულის დამტკიცების მიზნით მთავრობის მოხელეები მიმართავდნენ ძალდატანებას, მოწმეთა მოსყიდვას, სენატორის ავტორიტეტის გამოყენებას. ბევრს ეცადნენ ისინი ფაქტებზე ძალდატანებით და უსახელო ჩანაწერების თვითნებური განმარტებით გაემტყუნებინათ ფოთის ქალაქის თავი, მაგრამ ამაოდ. მთავრობამ დაუსაბუთებლად მიიჩნია ეს ბრალდება და გაკიცხვა სენატორ ნეიდგარტის სარევიზიო საქმიანობაც.

ფოთის თვითმმართველობისა და ნ. ნიკოლაძის საქმე გასარჩევად საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოს გადაეცა. ამ უკანასკნელმა გარკვეული საბრალდებო დასკვნა შეადგინა, რომლის მოსმენის შემდეგ ნ. ნიკოლაძემ თავდაპირველად პროტესტი განაცხადა საქმის პროცესიალური მხარის დარღვევის გამო. როგორც საკრებულოს ოქმიდან ჩანს, მისი შემადგენლობა არაკანონიერი იყო და თანაც მოხსენება წარუდგენია ისეთ პირს (მეფის ნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე ლ. გ. ევანგულოვს), რომელიც არაა საკრებულოს წევრი. ამით კი დარღვეული იქნა საქალაქო დებულების მე-17 მუხლი. კანონის დარღვევაა ისიც, რომ წინასწარ ჩემგან არავითარი ახსნა-განმარტება არ მოუთხოვიათო. ჩემი საქმე გადაწყდა არა მარტო კამათისა და მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის წესის დარღვევით, არამედ არაკანონიერი მომხსენებლის განცხადების შემოწმების გარეშეც. საკრებულომ ფორმალურად შეასრულა უმაღლესი მთავრობის მითითებაო.

ნ. ნიკოლაძემ არსებითად დაარღვია ყველა ბრალდება, მაგრამ აღიარა ფოთის ნავსადგურის მშენებლობაში მონაწილე ზოგი პირისა და ფირმის დანაშაული. მე ვცდილობდი თვითმმართველობაში და პორტის მშენებლობაში პატიოსანი ხალხი მყოლოდა, მაგრამ ეს ყოველთვის არ გამოდიოდაო. ნავსადგურის მშენებლობის

მუნიციპალიზაცია მთელი რუსეთის მასშტაბით ახალი მოვლენა და მეტად რთული საქმეაო. „ჩემი დანაშაული როდია, — გულისტკივილით აცხადებდა ნ. ნიკოლაძე, — თუ აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ვიოცნებოთ ზნეობათა სამოთხისებურ სიწმინდეზე, თუ ჩვენი საუკეთესო ფირმები ჯერ კიდევ არ არიან თავისუფალნი ეშმაკობისა და სხვადასხვაგვარი ხრიკის გამოყენების ცდუნებისაგან ... მე ვამტკიცებ, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ არ შეიძლება არც ერთი საერთო საბარგებლო საქმის გაკეთება, თუ მზგავსი ეკლით არ გაიკაწრე. მაგრამ ასეთი სახის დანაშაულის გარჩევა მთავრობისა და მისი სასამართლოს კომპეტენციაში როდი შედის, ამის შესახებ მსჯავრი საზოგადოებრივი სინდისის სასამართლომ უნდა გამოიტანოსო“ [1].

ბრალდების არასაკმარისი საბუთიანობის მიუხედავად მთავრობამ ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავის თანამდებობიდან გადაყენა, მაგრამ ამით საზოგადოების თვალში სახელი ვერ გაუტეხა ადგილობრივ თვითმმართველობას. ფოთელებისათვის ცნობილი იყო მთავრობის მიზანდასახულება. მათ არასოდეს არ შეუტანიათ ეჭვი ნ. ნიკოლაძის პატიოსნებაში. კიდევ მეტი, ფოთის საქალაქო თვითმმართველობამ მთავრობის მოხელეთა უღირსი საქციელის წინააღმდეგ პროტესტი იმით გამოთქვა, რომ მისგან შერისხულ, მაგრამ ფოთის კეთილდღეობის სამსახურში გაჭაღარავებულ ნ. ნიკოლაძეს ყოველწლიური 5 ათას მანეთიანი პენსია დაუნიშნა და ყოველნაირად ცდილობდა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ამ ღვაწლმოსილი ქალაქის თავის ხაზი გაეტარებინა.

მართალია, ნ. ნიკოლაძემ უარი განაცხადა ფოთის მუნიციპალიტეტში მუშაობაზე, მაგრამ 1914 წლის საარჩევნო კომპანია მისი პიროვნების გარშემო მიმდინარეობდა. არჩევნებში ნ. ნიკოლაძის მიმდევრები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ. მათ წინააღმდეგ ბლოკი შეუკრავთ ერთი მხრივ ტუღუშისა და რუსიას, ხოლო მეორე მხრივ ესაკიას დაჯგუფებებს. ფოთის 500 ცენზიანიდან არჩევნებში მონაწილეობა 321 კაცმა მიიღო. მათგან ნ. ნიკოლაძის მიმდევრებს ხმა მისცა 80—90 პროცენტმა. „ბლოკი“ სამარცხვინოთ დამარცხდა. სურდა რა დაეფარა ბლოკის კანდიდატთა გაშავების ფაქტი, მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ გაზ. „ახალ აზრში“

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 36/14.

ასეთი მოკლე კორესპონდენცია მოათავსა: „ფოთი. ქალაქის ხმოსანთა არჩევნები მოხდა 8 სექტემბერს და დიდი ხმის უმეტესობით გავიდა ნ. ნიკოლაძე და მისიანები, ხოლო მ. ესაკიას პარტია გამოვიდა. დემოკრატიას არჩევნებში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია“ [1].

ამ კორესპონდენციის პასუხად ნ. ნიკოლაძემ რედაქციას მისწერა: „ამ ცნობაში მოამბეს თქვენთვის თითქმის იმდენი შეცდომა შემოუპარებია, რამდენიც სტრიქონიც მოუწერია: ალბათ ამბავიც მიტომ დაგვიანებია, რომ დიდხანს დასჭირვებია ფიქრი, თუ მარცხი როგორ დაეფარა.

ჯერ ერთი, „მომხრის“ მაგიერ „მისიანი“ ტყუილათ უხმარია. ფოთის ახალ ხმოსნებში არც ერთი ჩემი ნათესავი არ ურევია. მეტსაც მოგახსენებთ: მათგან არავისთან არავითარი საქმიური განწყობილება არც მქონია და არც მაქვს. როდის აქეთ აზროვან თანხმობას ქართულ სტამბაში „მისიანობა“ დაერქვა?

შეორე, მ. ესაკიას პარტია ... თვითონ კი არ გამოვიდა ფოთის საბჭოდან, ძალაუნებურად განდევნილ იქნა. მისმა წევრებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს ხმოსნების შესარჩევათ. ასე გასინჯეთ, თავისი ბელადიც კი გამორიცხეს სიიდან, გრძნობდნენ, რომ მისი გვერდს ამოდგომა ბევრს გააშავებდა. ჩემი დროშაც კი ააფრიალეს თავის რაზმზე, ჩემი სახელი დაბეჭდეს თავიანთ სიის სათავეში! ამაო ამაოთა: ყველა მაინც უმოწყალოთ გაშავდა...

მართალია, ეხლანდელ ომთან შედარებით, — დაასკვნიდა ნიკოლაძე, — ყოველი სხვა მოვლენა ინტერესს მოკლებულია. მაგრამ წლევანდელ ფოთის არჩევნებს საზოგადო მნიშვნელობა მიეცა, სამაგალითო ხასიათიც დაემკვიდრება. პირველჯერ ქართულ ქალაქების თვითმმართველობაში, არჩევნების წინ პრესაში დაწვრილებით და დალაგებით გამოხატული იყო ყველა სადაო საქმეები და საკითხები ... პირველჯერვე არჩევნები მოხდა თვით ხალხის ინიციატივით და არა ზეგარდმო შთაგონებით. ქალაქის ყოველმა უბანმა თავის დელეგატი აირჩია. მათ შეადგინეს ხმოსნობის კანდიდატთა სიები. ასეთი აქტიურობა ამომრჩევლებისა სხვა დროს და სხვაგან არ ყოფილა შემჩნეული“ [2].

---

[1] „ახალი აზრი“, 1914, № 21.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 48/98.

1914 წელს ფოთის საქალაქო სათათბიროს ხმოსნებად არჩეულ იქნენ: ი. ფალავა, ნ. ნიკოლაძე, ე. მეიერი, გ. ტყემალაძე, კ. მიქაბერიძე, ს. ხოშტარია, კ. რუხაძე, პ. ტარხოვი, ა. ზაგორსკი, ა. ჟვანია, კ. გაბუნია, ი. ლომიძე, ე. ბოლქვაძე, ა. ცანავა, ს. გოგინავა, ვ. ესებუა, დ. ცეკვაშვილი, ა. იმნაძე, ი. ჯაიანი, ი. კიღურაძე, გ. სტავრიდი, ა. თოფურიძე, ს. ჩიჩუა, ა. ბებია, ნ. პაიჭაძე, მ. გაბელია, კ. მახარაძე, ზ. ფარულავა, მ. გვიჩია, ნ. სალუქვაძე, გ. კირტაძე, ზ. გვალია, ვ. ჩხაიძე, ს. კვინიხიძე, დ. ფანცულაია, კ. სალაყაია, ე. გაბელია, ზ. ალხაზოვი, ა. მატახერია, კ. დავითაია. როგორც ვხედავთ ეროვნული შემადგენლობით ახალი სათათბირო თითქმის წმინდა ქართული იყო. არც სოციალურ შემადგენლობაში მომხდარა არსებითი ცვლილება. ხმოსნების უმრავლესობას წერილი და საშუალო ბურჟუები წარმოადგენდნენ, საკმაო იყო ინტელიგენტთა რაოდენობაც [1].

მალე სათათბიროს ხმოსნებმა აირჩიეს გამგეობა. ქალაქის თავად გავიდა ნ. ნიკოლაძის მიმდევარი გ. ტყემალაძე. გამგეობის წევრებადაც ნ. ნიკოლაძის კურსის მომხრეები (ს. ხოშტარია და კ. გამყრელიძე) იქნენ არჩეული. თვითმმართველობის ახალ შემადგენლობას ომით გამოწვეულ სიძნელეთა ვითარებაში უხდებოდა მუშაობა, რაც, ბუნებრივია, დაღს ასვამდა მისი საქმიანობის ხასიათს.

1914 წლის ქ. ფოთის ბიუჯეტს თან ახლდა ნ. ნიკოლაძის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ანდერძს გამგეობის ძველი შემადგენლობისა ახლისადმი. ფოთის თვითმმართველობამ შეძლო ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ და მეტად გაეზარდა, 1914 წელს იგი 723 ათას მან. შეადგენსო. რა თქმა უნდა, ქალაქს, რომლის მოსახლეობა არ აღემატება 20. ათას კაცს, ასეთი შემოსავალი არ შეეძლო გაეჩინა საკუთარი საშუალებებით, და მართლაც ჩვეულებრივი შემოსავალი ბიუჯეტის მხოლოდ მესამედს იძლევა, დანარჩენს კი სპეციალური სახსრები ქმნიან. ფოთის ზრდის საფუძველი, ნათქვამია შემდეგ განმარტებით ბარათში, საგარეო ვაჭრობა და პორტია. ამიტომ ქალაქის თვითმმართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა ნავსადგურის გასაუმჯობესებლად. ახლა ახალი ხანა დადგა, საჭიროა პორ-

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, სამ. 48/100.

ტის თანამედროვე გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად მოწყობა. პირველ რიგში საჭიროა ნავსადგურის გაღრმავება იმდენად, რომ იქ 10 ათასი ტონა წყალწყვის გემები შემოვიდნენ, ფოთის ნავსადგური კეთილმოწყობით ინგლისის, გერმანიის და ჰოლანდიის საუკეთესო ნავსადგურებს უნდა გაუტოლდესო. ქ. ფოთი, რომელსაც შეუძლია შემოსავლიანი დაწესებულებების მოწყობისათვის ყოველწლიურად 100—200 ათას მან. ხარჯავდეს, ნახნედ და დამშვიდებით უნდა შეჰყურებდეს თავის ფინანსურ-ეკონომიკურ მომავალს და ეს ასეც იქნება თუ კვლავაც გაგრძელდება ნავსადგურის კეთილმოწყობაო. ნ. ნიკოლაძე თავის მემკვიდრეებს იმასაც შეახსენებდა, რომ ფოთის თვითმმართველობამ 1900 წელს ყველაზე პირველად დასვა ქალაქების საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების გაფართოების საკითხი. ეხლა ამ მიზნისათვის ყველა ქალაქები იბრძვიან და ფოთის თვითმმართველობამაც ამ ბრძოლაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოსო [1].

ნ. ნიკოლაძის მიმდევრებმა, როგორც აღნიშნული იყო, ნახნედ მოკიდეს ხელი ქ. ფოთის მართვა-გამგეობას, მაგრამ მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ომით გამოწვეულ სიძნელეთა ვითარებაში მათ ვერ შეძლეს ნ. ნიკოლაძის მითითებათა ცხოვრებაში გატარება.

1914 წლისათვის ქ. ფოთის საშემოსავლო ბიუჯეტი, მართალია, 723 ათასი მან-ით განისაზღვრა, მაგრამ იგი წარმატებით სრულდებოდა მხოლოდ წლის პირველ ნახევარში. ომის დაწყებისთანავე შეწყდა ნავსადგურის საავაჭრო ოპერაციები და მასთან ერთად საფუთო გამოსაღების აკრეფაც. ფოთმა თითქმის მთლიანად დაკარგა სპეციალური შემოსავალი, საგრძნობლად შეუმცირდა ჩვეულებრივი შემოსავალიც.

ომის დაწყების შემდეგ ფოთი დასტოვა მოხელეობამ და ვაჭარმრეწველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა. საავაჭრო კანტორები და ფირმები ქვეყნის სიღრმეში გადავიდნენ. ადგილზე დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც წასვლის უფლება არ ჰქონდა, ან ხელმოკლეობის გამო წასვლა არ შეეძლო. საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების შეწყვეტამ შინაგანი ვაჭრობის დაცემა განაპირობა, ყველაფერმა ერთად კი საქალაქო თვითმმართველობის შემოსავლის შემცირება გამოიწვია.

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 17/18.

1914 წელს ჩვეულებრივმა შემოსავალმა, დაგეგმილი 269 361 მან-ის ნაცვლად 167 807 მან. შეადგინა. 1915 წელს შემოსავალი დაგეგმილი იქნა 162 ათასი მან-ის ოდენობით, ფაქტიურად კი მხოლოდ 90 ათასი მან. შემოვიდა.

ფოთის ჩვეულებრივი შემოსავალი, როგორც ვხედავთ, ორ-სამ-ჯერ შემცირდა, მაგრამ შეუძლებელი გახდა გასავლის ესოდენ საგრძნობლად შემცირება. ასეთ პირობებში ბიუჯეტის დეფიციტი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თვითმმართველობის მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ ომის დამთავრებამდე საკუთარი სახსრებით, ჩვეულებრივი შემოსავლით ბიუჯეტის დეფიციტურობას ვერ აღმოფხვრიდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, მათ მთავრობას სთხოვეს დახმარება. ომის დაწყებისთანავე ფოთის თვითმმართველობამ მთავრობას სთხოვა ომით გამოწვეული გადაუდებელი ხარჯებისათვის დეპოზიტში გადარიცხული თანხის, 60 ათასი მან-ის, გამოყენების უფლება. მთავრობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ფოთის თვითმმართველობამ რამდენიმე ხნით სული მოითქვა, მაგრამ ფინანსური კრიზისის აღმოფხვრა ვერ შეძლო [1].

ფოთელთა საეალალოდ ომით გამოწვეულ სიძნელეებს სტიქიური უბედურებაც ზედ დაერთო. 1915 წლის 28—30 ივნისს ქალაქს თავს დაატყდა წყალდიდობა. პალიასტომის ტბიდან და მდ. კაპარჭინიდან გადმოსულმა ნაკადმა დაანგრია დამცავი ჯებირი და მთლიანად დაფარა ფოთის ძველი უბანი. მდინარეებად ქცეულ ქუჩებში მოქალაქენი მხოლოდ ნავებით ახერხებდნენ მიმოსვლას. მცხოვრებთა უმრავლესობამ მოასწრო სახლებიდან ღირებული ქონების გაზიდვა და გადარჩენა, ბევრის კარ-მიდამო და ქონება კი ბედისანაბარა დარჩა. ყველაფერი, რაც სარდაფებსა და ეზოებში ინახებოდა წყალმა შთანთქა, განადგურდა აგრეთვე ბოსტნები. დაინგრა ღობეები, დაზიანდა შენობათა ფუნდამენტი, გაფუჭდა ქვაფენილები, ქუჩები შლამით აივსო, საწრეტი არხები ჭაობებად იქცა.

ფოთის თვითმმართველობამ წყალდიდობისაგან 60 ათას მანეთამდე ზარალი განიცადა. გაცილებით მეტი იყო თვით მოქალაქეთა ზარალი, რის გამორკვევასაც პოლიცია და საქალაქო სათათბიროსაგან გამოყოფილი კომისია შეუდგა [2].

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. № 3/49.

[2] იქვე, საბ. 3/49.

1915 წლის 9 ივლისს წყალდიდობასთან დაკავშირებით საქალაქო სათათბიროში მოხსენებით ქალაქის თავი გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ მსგავსი წყალდიდობა ფოთში პერიოდულად ხდება. 1895 წლის გამოცდილებამ, ნ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით აგებულმა ჯებირებმა ცხადყო, რომ ქალაქის წყალდიდობისაგან დაცვა შესაძლებელია. იმ დროს მთავრობას ქალაქისათვის, რომ საკმაო დახმარება გაეწია, ბოლომდე დამთავრდებოდა დამცავი ჯებირის მშენებლობა და ახლა ეს უბედურება არ დაგვატყდებოდაო. ქალაქის თავმა სათათბიროს წარუდგინა ძველი ჯებირების აღდგენისა და ახლის მშენებლობის გეგმა-პროექტი, რომლის განხორციელებისათვის ნავარაუდევი იყო 153 ათასი მანეთი. რადგან თვითმმართველობის სალარო თითქმის ცარიელი იყო, სათათბირომ მთავრობას სთხოვა უპროცენტო სესხი ოცი წლის ვადით. ფოთის მუნიციპალურ მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ ხაზინის ხარჯზე უნდა მისცემოდა დახმარება ყველაზე უფრო დაზარალებულ მოქალაქეებსაც. მაგრამ მთავრობამ წყალდიდობისაგან აკლებულ ფოთელთა დასახმარებლად თანხა ვერ გაიმეტა [1].

ფოთის სათათბიროს იმავე სხდომაზე განიხილეს ქალაქის ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენის საკითხი. ქალაქის თავის მოხსენების მოსმენის შემდეგ სათათბიროს ხმოსნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ომის დამთავრებამდე ბიუჯეტის დეფიციტი დაეფარათ ხაზინაში შენახული ფოთის საქალაქო გამგეობის დეპოზიტიდან. ყოველთვიურად დეპოზიტიდან უნდა დახარჯულიყო 6 ათასი, წლიურად 72 ათასი მან. დახარჯული თანხა ომის შემდეგ თვითმმართველობას უკან უნდა დაებრუნებია, კვლავ დეპოზიტში ჩაერიცხა. სათათბირო იმედოვნებდა, რომ მთავრობა დააკმაყოფილებდა სათანადო შუამდგომლობას, რადგან დეპოზიტში არსებული 380 ათასი მანეთის დახარჯვა პორტის კეთილმოწყობაზე ომის დამთავრებამდე მიზანშეწონილი არ იყო [2].

მეფის ნაცვლის საბჭომ და ნავსადგურის სამმართველომ ფოთელთა შუამდგომლობა მიუღებლად ცნო. ეს თხოვნა ეწინააღმდეგება საფუთო გამოსაღების შესახებ 1909 წლის კანონს და თანაც დეპოზიტში გადარიცხული თანხა საჭიროა მარგანეცის ელევატო-

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, სამ. 3/49.

[2] იქვე.

რის გამოსყიდვისათვისო. მეფისნაცვალი ფოთის საქალაქო გამგეობას ურჩევდა საჭირო თანხა აეღო ქალაქის სპეციალური სახსრებიდან (220 ათასი მან.), რაც შენახული იყო ფოთის ურთიერთდამკრედიტებელ საზოგადოებაში. მეფისნაცვლის უარყოფითი პოზიციის მიუხედავად, ფოთის საქალაქო თვითმმართველობამ თავისი გაიტანა. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საპორტო საქმეთა განყოფილებამ მხარი დაუჭირა მის შუამდგომლობას. უმაღლესმა მთავრობამ ფოთის თვითმმართველობას მისცა დეპოზიტის დახარჯვის უფლება [1].

1916 წლის 5 მარტს ფოთის თვითმმართველობამ სუბსიდია გამოსთხოვა მთავრობას. მიღებული დახმარების გამოყენებას იგი ვარაუდობდა დეპოზიტიდან დახარჯული თანხის შევსებისა და ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრისათვის. ომის დამთავრებამდე ყოველწლიურად ფოთს უნდა მიეღო 100 ათასი მან. შუამდგომლობაში ლაპარაკი იყო ფოთის სპეციფიკაზე, მის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე. სანავსადგურო ქალაქ ფოთს არ შეუძლია დაფაროს დიდი ხარჯები ჩვეულებრივი შემოსავლიდან, ამით იყო განპირობებული ნახევარკაპიკიანი გამოსაღების დაწესებაც და დეპოზიტიდან თანხების დახარჯვაცო. ამ თანხის უკან დაბრუნება ქალაქს არ შეუძლია, რის გამო ხაზინის დახმარება მისთვის აუცილებელიაო [2].

მთავრობას, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად და მომენტის შესაფერისად მიაჩნდა დახმარების გაწევა ფრონტისპირა ქალაქ ფოთისათვის, რადგან იგი მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მთავრობის ასეთი შეხედულებით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ ფოთის თვითმმართველობას არა მარტო დეპოზიტის თანხის დახარჯვის უფლება მიეცა, არამედ მალე მან მთავრობის ფინანსური დახმარებაც მიიღო.

მთავრობა, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ მოქმედებდა. მან, მართალია, სუბსიდია გამოუყო ქ. ფოთს, მაგრამ ამასთან ერთად მითითება მისცა საქალაქო თვითმმართველობას მიღებული თანხა უპირველეს ყოვლისა საცხედრო საჭიროებისათვის გამოეყენებია. ამიტომ ფოთის ფინანსების სიმტკიცე ომის წლებში მოჩვენებითი

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/101.

[2] იქვე, საბ. 48/101.

იყო. თვითმმართველობას საკმარისი თანხა არ გააჩნდა კომუნალური მეურნეობის მოვლა-პატრონობის, სამედიცინო მომსახურებისა და სწავლა-განათლების დაფინანსებისათვის.

მშვიდობიანობის დროს ქალაქის თვითმმართველობა სურსათსანოვაგეზე ნიხრის დაწესებით კმაყოფილდებოდა, ვაჭრობაში უშუალოდ არ ერეოდა. ომით გამოწვეულ სასურსათო კრიზისის პირობებში მოსახლეობა საქალაქო თვითმმართველობისაგან ვაჭართა მადის ალაგმვასა და მუნიციპალური ვაჭრობის ორგანიზაციას მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ 1915 წელს სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. გამგეობის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ომის დაწყების შემდეგ თითქმის მთლიანად შეწყდა ფოთის მომარაგება ზღვით და რკინიგზით, რამაც გამოიწვია პროდუქტების ნაკლებობა და არნახული სიძვირე. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში უმუშევრად დარჩენილი ქალაქის დაბალი ფენა აღმოჩნდა. ფოთის 16 ათასი მცხოვრებისათვის, გამგეობის გაანგარიშებით, ყოველწლიურად საჭირო იყო 5200 ფუთი ფქვილი, 4000 ფუთი თევზი, 4000 ფუთი ხორბალი, 1500 ფუთი შაქარი, 2400 ფუთი ნავთი, 12 ფუთი ჩაი, სულ წლიურად 70 ათასი მან. პროდუქტები. გამგეობას საჭიროდ მიაჩნდა მთავრობისაგან სესხად 25 ათასი მან. აღება, რითაც შეესყიდული და ქალაქში შემოტანილი იქნებოდა აუცილებელი პროდუქტების ნაწილი მაინც.

ხმოსანმა მიქაბერიძემ განაცხადა, რომ ვაჭრობის სფეროში თვითმმართველობის უშუალოდ ჩარევა სარისკოა. ამით უკმაყოფილო დარჩებიან ვაჭრები და ისინი შეეცდებიან ხელოვნურად ფასების შემცირებით თვითმმართველობა აზარალონო. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ამ საქმის კოოპერაციულ ორგანიზაციებისათვის მინდობა. მიქაბერიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს გაბუნიამ და ჟვანიამ. სათათბირომ საკითხი შესასწავლად სპეციალურ კომისიას გადასცა [1].

სასურსათო კრიზისსა და მოახლოებული შიმშილობის პირობებში თანდათან მეტი ფასი ედებოდა ქალაქის კუთვნილ მიწებს. მის ათვისებას უკავშირებდნენ მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საკითხს.

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, სან. 3/49.

ჯერ კიდევ 1912 წლის 28 ნოემბერს ნ. ნიკოლაძემ სათათბიროში წაიკითხა მოხსენება „ფოთის მიწათმოწყობის შესახებ“. ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქალაქის კუთვნილი 3000 დესეტინა მიწის წლიური შემოსავალი 712 მანეთს არ აღემატება. ქალაქის მიდამოებში განვითარებული არაა მეხილეობა-მებოსტნეობა, თივასაც კი ქალაქის მოსახლეობა შორიდან ღებულობს. ეს კი გამოწვეულია არა ადგილმდებარეობის ხასიათით, არამედ ქალაქის გარეუბნების აგრარული რეჟიმითო. ქალაქის მიდამოებში არსებული მიწების ნაწილი მინგრელსკისა და ბანკებს ეკუთვნის. იქ დამთავრებული არაა გამიჯვნა და ამიტომ მიწების დამუშავება მხოლოდ მოიჯარეთა მეშვეობით სწარმოებს. აქაური მიწების მდგომარეობა კი ისეთია, რომ იჯარის საფუძველზე მისი რაციონალური ექსპლოატაცია შეუძლებელიაო. მიწების დიდი ნაწილი, — განაგრძობდა ნ. ნიკოლაძე, — ჭაობ-ქვიშნარია. აუცილებელია მათი ამოშრობა და გაპატივება. ამას კი დიდი შრომა, ხარჯი სჭირდება, რასაც მოიჯარე სხვის მიწაზე არ გასწევს. მოიჯარეს არც მრავალწლიანი კულტურების გაშენების ხალისი გააჩნია. ამიტომ მიწის ნაკვეთების მხოლოდ მცირე ნაწილი გაიცემა იჯარით.

ქალაქში უკვე არიან კერძო მესაკუთრენი, რომელთაც გაშენებული აქვთ კარგი ბაღები. უდავოა, რომ თუ ქალაქგარეთ მდებარე მიწები კერძო საკუთრებად გაიცემა, იქაც აღმოცენდება ისეთივე ხუტორები, როგორიც მრავლადაა ქუთაისის გარშემო. იქ გაშენდება ხეხილი, დაფნა, ბამბუკი და სხვ. ნ. ნიკოლაძე წინადადებას იძლეოდა ქალაქის გარშემო არსებული მიწები დაეყოთ 5—10 დესეტინიან ხუტორებად, რადგან უფრო მცირე ნაკვეთებზე საწრეტი არხების გაყვანას, გაპატივებას და სხვ. ხარჯების გაწევას აზრი არა აქვსო. მიწის ფასი მცირე უნდა დაწესდეს და თანაც განვადებით. თუ მყიდველი 3 წელში არ მოახდენს ნაკვეთის ათვისება-კულტივირებას, მას მიწა უნდა ჩამოერთვასო. ეს ღონისძიება, დაასკვნიდა ნ. ნიკოლაძე, ქალაქს მისცემს შემოსავალს მიწის ფასის სახით და თანაც ხელს შეუწყობს ფოთის ირგვლივ სოფლის მეურნეობის განვითარებას, გაზრდის ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობასო [1].

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 3/49.

ნ. ნიკოლაძის გადადგომის შემდეგ მისი ეს წინადადება დავიწყებას არ მისცემია. ომის დროს, მართლაც, შეიქმნა ხუტორები ფოთის გარშემო, მაგრამ არა ისეთი რაოდენობითა და მასშტაბით, როგორზეც მხცოვანი მოღვაწე ოცნებობდა. ამ ტერიტორიის ათვისება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მოხერხდა.

ამ საყოველთაო კრიზისის დროს ფოთის თვითმმართველობამ ქალაქის შემოსავლის გაზრდა საზოგადოებრივი ბანკის გახსნასაც დაუკავშირა.

ფოთის საქალაქო თვითმმართველობასთან საზოგადოებრივი ბანკის დაარსების შესახებ შუამდგომლობა ჯერ კიდევ 1908 წელს აღიძრა. 1909 წლის სექტემბერში ეს შუამდგომლობა უმაღლესმა მთავრობამ დააკმაყოფილა, ფოთის თვითმმართველობამ საზოგადოებრივი ბანკის დაარსების ნებართვა მიიღო, მაგრამ ადგილობრივი ოპოზიციის გამოსვლამ მისი გახსნა შეუძლებელი გახადა.

ხმოსანთა ერთი ნაწილი საზოგადოებრივი ბანკის დაარსების წინააღმდეგ იმ მოტივით ილაშქრებდა, რომ თბილისისა და აზოვ-დონის კომერციული ბანკების ფოთში არსებული განყოფილებები საზოგადოებრივი ბანკის ოპერაციების გაშლას შეუძლებელს გახდის და იგი გაკოტრდებაო. ომის დაწყებისთანავე ეს დაბრკოლება მოიხსნა. ზემოთ დასახელებულმა ბანკებმა მოახდინეს ფოთიდან თავიანთ განყოფილებათა ევაკუაცია. ქალაქში დარჩენილი ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება კი ვერ აკმაყოფილებდა ფოთის მოთხოვნილებას. ასეთ პირობებში საზოგადოებრივი ბანკის დაარსება აუცილებლობად იქცა. ფოთის საზოგადოებრივი ბანკი განსაკუთრებულ საჭიროებას თვით საქალაქო თვითმმართველობისათვის შეადგენდა. სათათბიროს სხდომაზე აღინიშნა, რომ დღემდე თვითმმართველობა თავის თანხებს სხვა ბანკებში ათავსებს და თანაც ანგარიშსწორებისათვის ფულს ხარჯავსო. როცა საკუთარი ბანკი გვექნება, ქალაქის კაპიტალს იქ შევინახავთ და ანგარიშსწორებასაც ჩვენივე ბანკი მოახდენსო.

ქალაქის თავის ტყემალაძის მოსაზრებით საზოგადოებრივ ბანკს კრედიტები უნდა გაეცა უძრავი მამულებისა და სხვა ძვირად ღირებული ქონების გირაოს ქვეშ, ერთდროულად უნდა შეესრულებინა საადგილმამულო, სამრეწველო და კომერციული ბანკების ფუნქციები. მართალია, ძირითადი კაპიტალის სიმცირის გამო, ბანკის ოპერაციები თავდაპირველად ფართოდ ვერ გაიშლება,

მაგრამ იგი მოსახლეობას მაინც დიდ დახმარებას გაუწევსო. ქალაქის თავი ხაზს უსვამდა საქმის მეორე მხარესაც. ფოთის საქალაქო თვითმმართველობა რუსეთის იმპერიაში ერთადერთია, რომელსაც აქვს ნავსადგურის კეთილმოწყობა-ექსპლუატაციის უფლება-მოვალეობა. იგი იღებს საპორტო გამოსაღებს, რითაც ფარავს საობლიგაციო სესხების თავნსა და პროცენტებს. ასეთი რთული ფუნქციების შემსრულებელ ფოთის საქალაქო თვითმმართველობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საზოგადოებრივი ბანკი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთი ბანკი საჭიროა თვით ქალაქის თავისუფალი თანხების მოსათავსებლად. აქამდე კაპიტალს სხვა ბანკებში ვინახავდით, მათ ვაძლევდით მოგების მიღების შესაძლებლობას, საქალაქო თვითმმართველობას კი საგრძნობი ზარალი მოსდიოდა.

სათათბირომ მოიწონა გამგეობის მოხსენება და დაადგინა ფოთის საზოგადოებრივ ბანკს, რომლის ძირითადი კაპიტალი 10 ათასი მანეთით განისაზღვრა, 1915 წლის 1 სექტემბრიდან დაეწყო მოქმედება [1].

სურდა რა უფრო აქტიურად ჩაება ბურჟუაზია ომის გამარჯვებით დამთავრების სამსახურში, ცარიზმმა თავისი არსებობის ბოლო წლებში რამდენადმე გააფართოვა საქალაქო თვითმმართველობების კომპეტენცია და უფლება-მოვალეობანი. მაგრამ იგი უარს ამბობდა ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიზაციაზე. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეიყვანეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემაში. გაუქმდა საარჩევნო ცენზი, მოხდა თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია. მათ ხელში აიღეს ქალაქთა მართვა-გამგეობის ყველა სადავეები.

1917 წლის აგვისტო-სექტემბერში ფოთის საქალაქო სათათბიროს არჩევნები ახალი, დემოკრატიული დებულების საფუძველზე ჩატარდა. ბრძოლის ასპარეზზე თითქმის ყველა პარტია და დაჯგუფება გამოვიდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფოთის ორგანიზაციამ საქალაქო სათათბიროს კანდიდატებად წამოაყენა: კ. საბახტარაშვი-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს არქივი, საბ. 3/49.

ლი, კ. ხოფერია, გ. ჩიტაია, ლ. მეგრელიძე, ი. კობახიძე, ს. ღოღობერიძე, პ. ქუთათელაძე, ლ. ტუღუში, ი. ფაჩულია, ს. თოფჩიშვილი და სხვ., სულ 31 კაცი. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მიერ შედგენილ კანდიდატთა სიაში ირიცხებოდნენ: ფანცხავა, ჯაფარიძე, ესაკია, კვინიკაძე, ქამუშაძე, სამსონია, ჩიჩუა, ხოშტარია და სხვ. მალე გამოქვეყნდა კანდიდატთა კიდევ ახალი სია, რომელიც შეადგინა ფოთის მცხოვრებ „თავისუფალ მოაზროვნეთა პარტიამ". ამ სიაში ფიგურირებდნენ: ნ. ნიკოლაძე, მიქაბერიძე, აბდუშელიშვილი, ქავთარაძე, თურქია, ცეკვაშვილი, ზოდელავა, ბობოხიძე, კუცია, გოგია, ქოიავა და სხვ., სულ 27 კაცი. ცოტა მოგვიანებით ფოთელებისათვის ცნობილი გახდა ინტერნაციონალისტ ბოლშევიკთა მიერ წამოყენებული ხმოსნობის კანდიდატთა ვინაობაც: შ. ლეჟავა, ა. ღამბაროვი, ა. კაციტაძე, გ. ჭაბუკიანი, მ. გაბუნია, პ. კასრაძე, კ. კახიძე, ი. ანდღულაძე, ნ. ჩიხლაძე, მ. კალაძე და ა. მესხი [1].

ახალ სათათბიროში შედარებით უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო. მეტ-ნაკლები რაოდენობით იქ სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც შევიდნენ. ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საქალაქო სათათბირო. გამგეობაში კი სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები გაბატონდნენ. ბუნებრივია, ფოთის საქალაქო თვითმმართველობის მუშაობის მეთოდებში გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაგრამ ეს ამჯერად არ შედის ჩვენი კვლევის სფეროში.

---

[1] ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 48/125.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა

XIX ს. 60—70-იან წლებში თურქეთის ერთ-ერთი განაპირა ქალაქი ბათუმი არსებითად პატარა დაბას წარმოადგენდა. იქ ყურადღებას იქცევდა მხოლოდ შესანიშნავი ბუნებრივი ნავსადგური, რომელშიც თავისუფლად შედიოდნენ და უშიშრად დგებოდნენ დიდი საოკეანო გემებიც კი. ქართველი ხალხი, მართალია, არასდროს არ შერიგებია ცარიზმის ბატონობას, მაგრამ კარგად ხედავდა იმასაც, რომ რუსეთი შავი და კასპიის ზღვების მიმართ ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა. ქართველები ხალისით მონაწილეობდნენ თურქეთის საწინააღმდეგო ომებში, რადგან ამას შედეგად მოსდევდა ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება, საქართველოს აღდგენა მის ისტორიულ საზღვრებში. ამ მხრივ რუსეთისა და კერძოდ, საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1877—1878 წლების ომს, რომლის ძლევამოსილად დამთავრების შედეგად, ბერლინის ტრაქტატის ძალით, რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემოვიდა და საქართველოს შემოუერთდა თურქებისაგან ჯერ კიდევ XVI—XVII სს. მიტაცებული აჭარა, შავშეთი, იმერხევი, არტაანი და სხვ. რაიონები. ამ ომის შედეგად მიღებულ ყველაზე დიდ შენაძენად აღიარებული იქნა ქ. ბათუმი და მისი ნავსადგური.

ბერლინის ტრაქტატის ძალით ქ. ბათუმი, მართალია, პოლიტიკურად რუსეთის იმპერიის შემდგენელ ნაწილად იქნა აღიარებული, მაგრამ ამავე დროს იგი თავისუფალ საერთაშორისო სავაჭრო ქალაქად, პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. ყველა ქვეყნის ვაჭრებს უფლება ჰქონდათ უბაჟოდ შემოეტანათ საქონელი ბათუმში, გაეხსნათ იქ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები. პორტო-ფრანკოს სტატუსი, მართალია, არახელსაყრელი იყო მეტროპოლიის კაპიტალისტებისათვის, რადგან მას საბაჟო ზღუდეების გარეშე თვით იმპერიის საზღვრებშიც არ შეეძლო უცხოური კაპიტალის კონკუ-

რენციისათვის გაეძლო, მაგრამ ქალაქ ბათუმისათვის პორტო-ფრანკოს დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პატარა ქალაქს დიდი რაოდენობით მოაშურეს ვაჭარ-მრეწველებმა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. ბათუმი გადაიქცა საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტად, რამაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო მის ზრდა-განვითარებას.

რუსი კაპიტალისტები ვერ ურიგდებოდნენ პორტო-ფრანკოს სტატუსს, რომლის წყალობით ბათუმი ყველა ჯურის კონტრაბანდისტთა ბუდედ გადაიქცა. მათ განწყობილებას, რა თქმა უნდა, ანგარიში გაუწია მთავრობამ და 1886 წლის ცალმხრივი აქტით ბათუმის პორტო-ფრანკო გაუქმებულად გამოაცხადა. ამან, ბუნებრივია, გააადვილა ბათუმის ეკონომიკური შერწყმა იმპერიასთან, მაგრამ რუსი კაპიტალისტების ძალა და გავლენა მაინც შედარებით ნელა იზრდებოდა. ქ. ბათუმში, მის ვაჭრობა-მრეწველობაში თითქმის ბოლომდე გაბატონებული მდგომარეობა უცხოურმა კაპიტალმა შეინარჩუნა.

1883 წელს დამთავრდა ბათუმ-სამტრედიის რკინიგზის და მთელი ამიერკავკასიის მაგისტრალის მშენებლობა. ბათუმი მჭიდროდ დაუკავშირდა შავ ქალაქს ბაქოს. ბაქოს ნავთობის ამოღების ზრდა და საზღვარგარეთ მისი ექსპორტი გახდა ბათუმის ზრდა-განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

ბათუმის ნავსადგურიდან საზღვარგარეთის ქვეყნებში გატანილ იქნა ნავთობი: 1883 წელს — 3 348 000 ფუთი, 1886 წელს — 14 397 000, 1891 წელს — 48 879 000, 1899 წელს — 66 304 000, 1902 წელს — 78 338 000 ფუთი. ნავთობის ორი მესამედი გადიოდა ევროპაში, ერთი მესამედი კი აზიასა და აფრიკაში. ბაქოს ნავთობის ექსპორტის წყალობით ბათუმის ნავსადგური მსოფლიოს დიდ ნავსადგურთა რიგში ჩადგა. 1900 წელს, მაგალითად, ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა 1324 ორთქლისა და 3635 იალქნიანი გემი[1].

1901 წელს ბათუმიდან რუსეთში გატანილ იქნა 4 805 000 ფუთი საქონელი, საზღვარგარეთ კი—83 100 000 ფუთი. რუსეთიდან ბათუმში შემოვიდა 9 464 577 ფუთი, საზღვარგარეთიდან კი — 5 516 060 ფუთი საქონელი. 1901 წელს ბათუმის ნავსადგურის მთელი ტვირთბრუნვა უდრიდა 103 მლნ ფუთს, 1902 წელს მიაღ-

---

[1] «Батум и его окрестности», 1906, стр. 310—316.

წია 108 მლნ ფუთს. ნავსადგურის ტვირთბრუნვის 80 პროცენტზე მეტი ნავთობზე მოდიოდა [1].

ბაქოს ნავთობის ექსპორტს ემსახურებოდა არა მარტო ბათუმის ნავსადგური, არამედ ამ ქალაქის მრეწველობაც. ჯერ კიდევ 1883 წელს ბუნგემ და პალაშკოვმა ბათუმში ააშენეს ნავთის ჭურჭლის მაწარმოებელი პირველი ქარხანა, რომელიც უფრო მოგვიანებით ინგლისელი კაპიტალისტის როტშილდის ხელში გადავიდა. 1885 წელს და მომდევნო ხანაში ამუშავდა სიდერიდისის, რიხნერის, ხაჩატურიანის, მანთაშევის, ცოვიანოვისა და სხვ. კაპიტალისტთა ქარხნები. 1894 წლისათვის ბათუმში მუშაობდა ნავთის ტარის 9 ქარხანა. ეს საწარმოები, რომლებშიც დასაქმებული იყო 3500 მუშა, ყოველდღიურად უშვებდა 50 000 ხის ყუთს და 100 000 თუნუქის ბიდონს. XIX ს. 90-იან წლებში ნავთის ტარის ქარხნების წლიური პროდუქციის ღირებულება მერყეობდა 3—6 მლნ მან. შორის [2]. 1900 წელს მათ გამოუშვეს 7 338 500 მან-ის პროდუქცია [3].

ბათუმის მრეწველობამ ორ ათეულ წელიწადში განვლო მარტივი ფორმიდან უმაღლეს ფორმამდე განვითარების რთული გზა. თუ შეერთების მომენტში იქ გაბატონებული იყო ხელოსნობა, XIX ს. 80-იანი წლების ბოლოს უპირატესობა უკვე მანუფაქტურამ და ქარხანამ მოიპოვა. 90-იან წლებში დამთავრდა ტექნიკური გადატრიალება და ბათუმში თითქმის განუყოფლად საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა გაბატონდა.

ტექნიკურ პროგრესს თან სდევდა კონკურენციის გამწვავება და წარმოების კონცენტრაციის პროცესის გაძლიერება. XIX—XX სს. მიჯნაზე ნავთის ტარის წარმოებასა და ნავთობის ექსპორტში გაბატონდა 3 მსხვილი ფირმა (როტშილდის, მანთაშევისა და ნობელისა), რომელთა წილად მოდიოდა ბაზრებზე გატანილი ნავთობის ორი მესამედი. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია როტშილდმა, რომელმაც ჩამოაყალიბა კასპია-შავი ზღვის სავაჭრო-სამრეწველო (აქციონერული) საზოგადოება და მიზნად დაისახა ბაქოს ნავთობის ამოღება-გადამუშავებისა და ექსპორტის მონოპოლისტი გა-

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 259—262.

[2] ვ. სიპინავა. ბათუმის ისტორიიდან, 1958, გვ. 123—129.

[3] ე. ხოშტარია. მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 183.

მხდარიყო. ამ საზოგადოებას ეკუთვნოდა ბათუმში არსებული ნავთის ტარის საწარმოები, რომელშიც 1500-მდე მუშა იყო დასაქმებული. ასეულობით და ზოგჯერ ათასეულობით მტვირთავი მუშა ემსახურებოდა საზოგადოების გემებს, რომელთაც ნავთობი გაჰქონდათ მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეში.

მართალია, ბათუმის მრეწველობა ძირითადად ბაქოს ნავთობის ექსპორტს ემსახურებოდა, მაგრამ ქალაქში სხვა დარგის საწარმოებიც ჩნდებოდა. ფართოვდებოდა ქალაქის შინაგანი ვაჭრობის ქსელი. XIX—XX სს. მიჯნაზე ბათუმში ითვლებოდა 350—380 სამრეწველო და 1000-ზე მეტი სავაჭრო დაწესებულება [1].

ბათუმში თანდათან მრავლდებოდა აგრეთვე საკრედიტო დაწესებულებანი, რომელნიც ასრულებდნენ საშუამავლო როლს კაპიტალისტთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. 1886 წელს ქალაქში გაიხსნა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, მაგრამ ქალაქში კიდევ მეტ როლს ასრულებდნენ უფრო გვიან დაარსებული კერძო საკრედიტო დაწესებულებანი. 1890 წელს ბათუმში ოპერაციები დაიწყო თბილისის კომერციული ბანკის განყოფილებამ, 1895 წელს კი სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილებამ. იქვე ოპერაციები გაშალეს თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებმაც. 1895 წელს ბათუმში გაიხსნა ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოება. ყველა ეს საკრედიტო დაწესებულება აწარმოებდა ანაბრების მიღებას, სესხების გაცემას, ვექსილების აღრიცხვა-განაღდებას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კაპიტალების გადარიცხვას და სხვ. გაცხოველებული ვაჭრობა-მრეწველობის წყალობით ბათუმში არსებულ საკრედიტო დაწესებულებათა ბრუნვა და შესაბამისად მოგებაც ძალიან სწრაფად იზრდებოდა.

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა და ეკონომიკაში მომხდარი ძვრების შესაბამისად იცვლებოდა მოქალაქეთა სოციალური შემადგენლობა, მათი საქმიანობის ხასიათი.

1878 წელს ბათუმში ითვლებოდა დაახლოებით 3000 მცხოვრები. 1882 წელს მოსახლეობამ მიაღწია 8671, 1890 წელს — 18 123, 1897 წელს — 28 508, 1903 წელს — 35 000 სულს [2].

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 408—417.
[2] Там же, стр. 460.

ამგვარად, ოციოდე წელიწადში ბათუმი პატარა აზიური, ფეოდალური ქალაქიდან, გადაიქცა ევროპულ-კაპიტალისტურ ქალაქად, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად, რომელიც ბაქოსა და თბილისთან ერთად ტონს აძლევდა ამიერკავკასიის კაპიტალისტურ განვითარებას. ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი თვითმმართველობის ისტორიის შესწავლა საბჭოთა ისტორიკოსების საპატიო მოვალეობაა.

I. ბათუმის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ, ათი წლის განმავლობაში ქ. ბათუმს პოლიცია განაგებდა. 1878 წელს ბათუმის პირველ პრისტავად და პოლიცმეისტერად დაინიშნა ნადვორნი სოვეტნიკი დ. შ. ჟურული. ქალაქის მოსახლეობის ზედაფენას (სახლთმფლობელები და ვაჭარ-მრეწველები) უფლება ჰქონდა თავისი წრიდან აერჩია ოთხი დეპუტატი, რომელთაც პოლიცმეისტერი იყენებდა მხოლოდ გადასახადების გაწერა-აკრეფის საქმეში. სხვა არავითარი უფლება ქალაქის მოსახლეობის ამ წარმომადგენლობას არ ჰქონია. ბათუმის დაგეგმარების, განაშენიანების, კომუნალური მეურნეობის, კულტურისა და სხვ. საკითხებს წყვეტდა პოლიცმეისტერი ბათუმის ოლქის უფროსსა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით.

საპოლიციო მმართველობის დროსაც ქ. ბათუმს საოლქო მმართველობისაგან გამოყოფილი თავისი ცალკე ფინანსები ჰქონდა. ქალაქის საბიუჯეტო შემოსავლის მთავარი წყაროები იყო იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთთა ქირა, მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღები, სასაკლაოთი, სასწორებითა და ნავებით სარგებლობისათვის დაწესებული ქირა, ვაჭრობა-მრეწველობისა და თევზჭერის სანებართვო გამოსაღები, ნავმისადგომთა და საბანაოთა იჯარა და სხვ.

1879 წელს ქ. ბათუმის შემოსავალი უდრიდა 21 010 მან., 1882 წელს — 68 094 მან., 1885 წელს — 85 994 მან., 1887

წელს — 116 394 მან.[1]. შემოსავლის დიდი ნაწილი ბათუმის პოლიციის შენახვაზე იხარჯებოდა, დანარჩენი კი ხმარდებოდა ქალაქის განათებას, წყლით მომარაგებას, დასუფთავებასა და სხვ. საჭიროებას. პოლიცმეისტერი ქალაქის ფინანსებს უკონტროლოდ ხარჯავდა, თავს არ იწუხებდა ანგარიშის შედგენისათვის.

1885 წელს ბათუმის 90-მდე მცხოვრებმა თხოვნით მიმართა კავკასიის მთავარმმართველს მათ ქალაქში 1870 წლის დებულების გატარების თაობაზე. მხოლოდ თვითმმართველობას, წერდნენ ისინი, შესწევს უნარი გამოასწოროს ქალაქის საქმეები, მხოლოდ გავლენიან ქალაქის თავს შეუძლია დააყენოს კომუნალური მეურნეობა მტკიცე საფუძველზე. საქალაქო დებულების გატარებით მოელებაო ბოლო ჩვენს ქალაქში საპოლიციო მმართველობის უკონტროლო და უანგარიშო საქმიანობას[2].

გაზ. „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია მოწონებით შეხვდა ბათუმელთა ამ ნაბიჯს. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ამ ერთადერთი მზარდი ქალაქის მცხოვრებთა ეს თხოვნა დროულია და მის დაკმაყოფილებას მთავრობის წრეებში დაბრკოლება არ უნდა შეხვდეროდა. რედაქცია აღიარებდა საერთოდ და ამჯერადაც იმეორებდა, რომ ქალაქთა საზოგადოებრივი მმართველობის სისტემას აქვს ნაკლოვანებანი, მაგრამ იგი მაინც უფრო მაღლა დგას საპოლიციო მმართველობაზე. ამიტომ ცოდვა იქნება თვითმმართველობის უფლება არ მიენიჭოს ისეთ ბრწყინვალე მომავლის ქალაქს როგორიც ბათუმიაო[3].

ასევე როდი ფიქრობდნენ მეფის მთავრობის მოხელეები, ბათუმის პოლიცმეისტერმა ვოზნესენსკიმ, რომელსაც დასკვნისათვის გადაეგზავნა ბათუმელთა ზემოთ მოტანილი თხოვნა, მართალია, აღიარა თვითმმართველობის სარგებლიანობა, მაგრამ ეს ბათუმისათვის ჯერ კიდევ ნაადრევად მიიჩნია. საამისოდ ქალაქს ჯერ არც საკმარისი ფინანსური სახსრები აქვს და არც თვითმმართველობისათვის საჭირო ინტელიგენტური ძალები ჰყავსო[4]. ცხადია, ბათუმის პოლიცმეისტერს ეძნელებოდა თბილი ადგილის დატოვება, არ სურდა ხელიდან გაეშვა ქალაქის სალარო, რომელსაც, უდავოა, იყენებდა პირადი საჭიროებისათვისაც.

---

[1] «Батум и его окрестности», 1906, стр. 482.
[2] Там же, стр. 483.
[3] «Новое обозрение», 1885, № 530.
[4] «Батум и его окрестности», стр. 484.

1887 წელს გამოაშკარავდა ბათუმის საპოლიციო მმართველობის მოხელეებისა და დეპუტატებისაგან ქალაქის ფულის მითვისების ფაქტები. თავდაპირველად ქალაქის სახსრების გაფლანგვაში ბრალი დასდეს დეპუტატ აივაზოვს, მაგრამ მის მიერ თავის მართლებისათვის წარდგენილმა დოკუმენტებმა ცხადი გახადა არა დეპუტატის უდანაშაულობა, არამედ მთელი საპოლიციო მმართველობის მონაწილეობა ქალაქის ქონების მითვისებაში [1].

მალე მოხდა უფრო სენსაციური ამბავი. ბათუმიდან უკვალოდ გაქრა ქალაქის საპოლიციო მმართველობის სამეურნეო ნაწილის გამგე ლანკო. ამასთან დაკავშირებით ჩატარდა რევიზია და გამოირკვა, რომ ლანკოს განყოფილებაში გაფლანგული იყო 4000 მანეთი. ამ ფაქტს სათანადო შეფასება მისცა პროგრესულმა პრესამ. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციამ მოითხოვა ბათუმის საპოლიციო მმართველობის საქმიანობის დეტალური გამოკვლევა და დამნაშავე მოხელეების სასტიკი დასჯა.

„ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია იქვე შენიშნავს, რომ რეფორამდელი ტიპის ბათუმის მმართველობაში, ეკატერინე მეორის კანონის თანახმად, ყოველწლიურად ახალ-ახალი დეპუტატები უნდა აირჩეოდნენ, მაგრამ ბათუმში დეპუტატების არჩევნები მხოლოდ ერთხელ, რუსული მმართველობის დამყარების დროს მოხდა და მას შემდეგ დეპუტატები, მოსახლეობის არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, არავის აურჩევიაო. ამდენად ახლანდელი დეპუტატები არიან არა თანამდებობის პირები, არამედ თვითმმარქვია ელემენტები და ისინი განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაისაჯონო. რედაქცია გადაკვრით მიუთითებდა აგრეთვე პოლიციის მოხელეების პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობაზე [2].

მთავრობის მოხელეები გრძნობდნენ, რომ სწრაფად მზარდი ბათუმის დატოვება თვითმმართველობის გარეშე დიდხანს არ შეიძლებოდა. 1887 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა თვითონ გამოიჩინა ინიციატივა და ბათუმში საქალაქო რეფორმისათვის წინასწარი სამუშაოების შესასრულებლად სპეციალური კომისია ჩამოაყალიბა. კომისიაში შევიდნენ: სევერინი (თავმჯდომარე), ახმედ ბეგ აბაშიძე, ჰუსეინ ეფენდი ყარა ზადე, კოინდერი, მუედლიშვილი, პასეკი, სიმეონიდი, ციმერმანი, შადინოვი და სხვ.

---

[1] «Новое обозрение», 1888, № 1399.
[2] Там же.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ დარღვეული იყო საკანონმდებლო პროცედურა (უმაღლესი ნებართვა არ ყოფილა დაშვებული ბათუმში საქალაქო რეფორმის გატარების თაობაზე). კომისიამ მუშაობა შეწყვიტა და შეგროვილ-დამუშავებული მასალა პოლიციას გადასცა. პეტერბურგში კი შუამდგომლობა გაიგზავნა ქ. ბათუმისათვის თვითმმართველობის მინიჭების შესახებ [1].

1888 წლის 28 აპრილს გაიცა უმაღლესი ბრძანება ბათუმში ადგილმმართველობის შემოღების თაობაზე, მაგრამ იმ პირობით, რომ გარკვეულ დრომდე ქალაქის სამშენებლო ნაწილი დარჩებოდა საგუბერნიო მმართველობის გამგებლობაში და პირველ ოთხწლეულში ქალაქის თავის მოვალეობას შეასრულებდა არა სათათბიროსგან არჩეული, არამედ მთავრობისაგან დანიშნული პირი. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა დაევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა კავკასიის მთავარსამმართველოს კანცელარიის მოხელე კ. დ. გავრონსკი.

გავრონსკის კომისიამ შეისწავლა ბათუმის მცხოვრებთა ქონებრივი მდგომარეობა, ამომრჩეველთა სიაში შეიტანა 525 მოქალაქე. 1888 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა სამივე თანრიგის ამომრჩეველთა კრებები. არჩეული იქნა სათათბიროს 36 ხმოსანი. ჩამოყალიბდა სამწევრიანი გამგეობა [2].

არჩევნების დამთავრების შემდეგ, 1 ოქტომბერს მოხდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საზეიმო გახსნა. ქალაქის თავად დანიშნულმა გავრონსკიმ ილაპარაკა ბათუმისათვის თვითმმართველობის მინიჭების დიდ მნიშვნელობაზე და იმედი გამოთქვა, რომ სათათბირო და გამგეობა გაამართლებენ ამომრჩეველთა ნდობასო [3].

ბათუმის საქალაქო სათათბიროსა და გამგეობის არჩევნები საკმაოდ მწვავე ვითარებაში ჩატარდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდა ადგილობრივი ბურჟუაზია და უცხოური კაპიტალის აგენტურა. უცხოელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა როტშილდი, რომელიც ცდილობდა ქალაქის თვითმმართველობის ორგანოებში თავისი ფირმის მოსამსახურეების გაყვანას. „ნოვოე ობოზრენიეს“

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 485—486.
[2] Там же. стр. 486—487.
[3] «Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г.». стр. 139—141.

კორესპონდენტი მკითხველებს აუწყებდა, რომ როტშილდის აგენტი ექიმი „ს“ ქალაქის თავის სავარძლისათვის იბრძვის, „ზ“ და „ვ“ კი საჭიროდ თვლიან სათათბიროში ხმოსნებად გავიდნენო. წერილის ავტორი, ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ როტშილდის ამ აგენტებმა თავიანთი გენერლური გარეგნობით, მედიდური საქციელით, ხალხის უგულებელყოფით ადგილობრივ მკვიდრთა სიძულვილი დაიმსახურეს და ბათუმელმა ცენზიანებმა ისინი გააშავეს. მაგრამ რაღაც მახინაციებით სათათბიროში მაინც გავიდნენო. ექიმი „ს“, მართალია, ქალაქის თავის სავარძლის ნაცვლად საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა (ბრალად ედებოდა ჰოსპიტალში მუშაობისას თანამდებობის ბოროტად გამოყენება), მაგრამ იგი ხალხში ავრცელებდა ხმებს, რომ როგორც კი უსაფუძვლო ბრალდებისაგან გათავისუფლდებოდა, მყისვე დაინიშნებოდა მთავრობის მიერ ქალაქის თავად. მისი გამოსვლები არ მოსწონდა ბათუმის მოქალაქეებს და, ბუნებრივია, ცდილობდნენ პატივმოყვარის კბილები დაეძროთ ქალაქის თავობის მაძიებელ როტშილდის ამ აგენტისათვის [1].

თვითმმართველობის მიღების შემდეგ ბათუმის მოსახლეობის ზედაფენა დამშვიდდა. სათათბიროსა და გამგეობის პირველი რიგის ამოცანად იქცა ბათუმის პოლიციის მიერ დაშვებული უკანონობის გამოსწორება. სხვაგვარი მიზნები ჰქონდათ როტშილდის აგენტებს და მათ შორის ექიმ „ს“, რომელიც აგრეთვე გავიდა სათათბიროში. ისინი ყოველგვარი საშუალებებით იბრძოდნენ როტშილდის ფირმის ინტერესების დაცვისათვის. ადგილობრივი ბურჟუაზიის წარმომადგენლობა წინააღმდეგობაში აღმოჩნდა როტშილდის აგენტებთან. სათათბიროში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა.

ასეთი იყო სიტუაცია, როცა ბათუმის სათათბიროში გაირჩა როტშილდის თხოვნა ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაში ნავთსადენი მილების გაყვანის ნებართვის თაობაზე. ნავთის ამ მაგნატის ყოვლისშემძლეობით გაღიზიანებულმა ხმოსნებმა, ბუნებრივია, ხელიდან არ გაუშვეს ეს ხელსაყრელი შემთხვევა. მათ მოსახლეობაში დაიწყეს აგიტაცია, უხსნიდნენ ხალხს, რომ ნავთობის ტანკერებით ექსპორტის დანერგვის როტშილდისეული წამოწყება განადგურებით ემუქრება ქალაქში არსებულ ნავთის ტარის ქარხნებს და იქ

[1] «Новое обозрение», 1888, № 1727.

დასაქმებულ მუშახელსო. აგიტაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია. როტშილდის წინააღმდეგ განეწყო ბათუმის თითქმის მთელი მოსახლეობა.

როტშილდის თხოვნის განხილვის დროს სათათბიროს შენობასთან თავი მოიყარა ათასობით ბათუმელმა. ყველა დიდი ინტერესით ელოდა საქმის გადაწყვეტას. ხმოსნების გამოსვლების შინაარსი რაღაც საშუალებებით მყისვე ცნობილი ხდებოდა გარეთ მომლოდინე ხალხისათვის. უმრავლესობის გამოსვლა ოვაციას იწვევდა, უმცირესობისა კი რისხვასა და დაგმობას. მოხდა კომიკური ეპიზოდიც. ერთმა ხმოსანმა ალღო ვერ აუღო შექმნილ სიტუაციას და დაიწყო იმის მტკიცება, რომ ნავთობის გადასხმით (ტანკერებით) გაზიდვას ეკუთვნის მომავალი და ამიტომ როტშილდისათვის ნავსადგურის მიმართულებით ნავთსადენის გაყვანაზე უარის თქმა უსამართლო იქნებაო. როცა გარეთ მომლოდინე ხალხმა გაიგო, რომ ეს ებრაელი ხმოსანი როტშილდს იცავდა, ჯავრი მის მეეტლეზე იყარა, სცემა მას. მეეტლე შინისაკენ გაიქცა და ქალბატონს შექმნილი სიტუაციის შესახებ მოახსენა. ამ უკანასკნელმა ქმარს წერილით აცნობა მომხდარი ამბავი, ურჩია ჩუმად გამოპარულიყო სხდომიდან. შეშინებულმა ებრაელმა ხმოსანმა სწრაფად წაიღო უკან თავისი ნათქვამი და აშკარად მისცა ხმა როტშილდის თხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ. ასევე გაკეთეს როტშილდის ფირმის სხვა აგენტებმაც [1].

გაზ. „ჩრდილოეთის სააგენტომ“ ბათუმის სათათბიროს ეს გადაწყვეტილება ქალაქის მოსახლეობის თვითმმართველობისათვის მოუმზადებლობის მაუწყებლად მიიჩნია. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია არ დაეთანხმა ამ თვალსაზრისს. გაზეთის კორესპონდენტმა მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში ნავთის ექსპორტის ფორმის საკითხი როდია გადამწყვეტი. ბათუმის სათათბიროს დადგენილება ვერ შეაფერხებს ტანკერების მომავალს და არც როტშილდს გააღარიბებს ნავთსადენი მილების რამდენიმე ხნით დაგვიანებით გაყვანა. მაგრამ ბათუმის სათათბიროს დადგენილება ცხადყოფს, რომ ჩვენი მხარის მოსახლეობა მომწიფებულია თვითმმართველობისათვის, შეუძლია მინიჭებული უფლებები თავისი ინტერესების დაცვისათვის გამოიყენოსო [2].

---

[1] «Новое обозрение», 1888, № 1727.
[2] Там же.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას თავიდანვე დაჰყვა ყველა ის ნაკლოვანება, რაც ახასიათებდა რუსეთის იმპერიის საქალაქო თვითმმართველობებს საერთოდ და რაც განპირობებული იყო მეფის მთავრობის კანონმდებლობა-პოლიტიკით. საქალაქო დებულება თვითმმართველობას აძლევდა არა ქალაქის მთელ მოსახლეობას, არამედ მხოლოდ უძრავი საკუთრებისა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მფლობელებს. ამასთან ერთად დებულება უზრუნველყოფდა სათათბიროსა და გამგეობაში ერთი მუჭა მდიდარი მოქალაქეების ბატონობას. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლებს სათათბიროში გაჰყავდათ ხმოსანთა ორი მესამედი, რომელნიც ახერხებდნენ გამგეობაშიც მსხვილ მესაკუთრეთა ინტერესების გამომხატველ პირების არჩევას. მაგრამ კონტრასტი სხვადასხვა თანრიგის ამომრჩევლებს შორის განსაკუთრებით დიდი აღმოჩნდა ქ. ბათუმში.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები მეორე ოთხწლეულისათვის უნდა ჩატარებულიყო 1892 წელს. კიდეც დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა თანრიგების მიხედვით, მაგრამ გამგეობა წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომელსაც, ი. მესხის გადმოცემით, ადგილი არ ჰქონია რუსეთის იმპერიის არცერთი ქალაქისა და არც თვით სენატის პრაქტიკაში. გამოირკვა, რომ ქ. ბათუმის ცენზიან მოქალაქეთა ქონების ერთი მესამედი ეკუთვნოდა კასპია — შავი ზღვის საზოგადოებას, კერძოდ, უმსხვილეს კაპიტალისტ როტშილდს და ამდენად, დებულების თანახმად, მხოლოდ ის უნდა შესულიყო ამომრჩეველთა პირველ თანრიგში და მხოლოდ მას უნდა აერჩია ხმოსანთა მესამედი (12 ხმოსანი). ასეთი უპრეცედენტო შემთხვევის გამო, საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ შესაძლებლად ჩათვალა ბათუმის ამომრჩევლები დაეყოთ ორ თანრიგად, მაგრამ ამანაც ვერ უშველა საქმეს. ახალი დაყოფის პირველ თანრიგში მოხვდა მხოლოდ 6 მსხვილი მესაკუთრე, რომელნიც ფლობდნენ ბათუმელთა უძრავ-მოძრავი ქონების ნახევარს და რომელთაც სათათბიროში უნდა აერჩიათ ხმოსანთა ნახევარი (18 ხმოსანი), სხვა დანარჩენ ცენზიან მოქალაქეებს (500-ზე მეტ კაცს) კი ხმოსანთა მეორე ნახევარი. ასეთ პირობებში ბათუმის საქალაქო გამგეობამ მოითხოვა არჩევნების გაერთიანებულ საარჩევნო კრებაში ჩატარების ნებართვა. კავკასიის მთავარმმართველმა შეუძლებლად სცნო

1870 წლის დებულების სათანადო მუხლის დარღვევა. მაგრამ სამაგიეროდ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელა არსებულ სათათბიროს იმ დრომდე, ვიდრე არ გატარდებოდა ახალი დებულება, რომელიც აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს და სანქციას იძლეოდა ყველა ცენზიანისათვის საერთო-საარჩევნო კრების ჩამოყალიბების თაობაზე [1].

ახალი საქალაქო დებულება უმაღლესად დამტკიცდა 1892 წლის 11 ივნისს. იგი, მართალია, აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ სამაგიეროდ რამდენჯერმე ადიდებდა საარჩევნო ცენზს. 1870 წლის დებულების მესამე თანრიგის ამომრჩეველები (წვრილი მესაკუთრენი) თითქმის მთლიანად კარგავდნენ ხმის უფლებას. საარჩევნო სიებში შეჰქონდათ მხოლოდ საშუალო და მსხვილი მესაკუთრენი. კერძოდ ქ. ბათუმში ხმის უფლება ეძლეოდა იმ მოქალაქეებს, რომელნიც ფლობდნენ 1000 მან-ზე მეტი ღირებულების ქონებას ან ჰქონდათ პირველი და მეორე გილდის ვაჭრის მოწმობა. თუ 1888 წელს 14 ათას მცხოვრებიდან ბათუმში ხმის უფლება ჰქონდა 525 კაცს, 1894 წელს ბათუმის 25 ათას მცხოვრებიდან ცენზიანი იყო მხოლოდ 318 კაცი.

ჯერ კიდევ 1892 წლის 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად სცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი დებულება მისი სრული სახით. ბათუმის ქალაქის თავს წინადადება მიეცა შეედგინა ახალი საარჩევნო სიები. მაგრამ მთავრობისაგან დანიშნული ქალაქის თავი გავრონსკი არ ჩქარობდა. 1894 წლის 27 იანვარს ბათუმში კვლავ მოვიდა კატეგორიული ბრძანება ახალი საქალაქო დებულების გატარების თაობაზე, რომლის შესრულება, იმ დროს უკვე გადამდგარ გავრონსკის ნაცვლად, მოუხდა ქალაქის თავის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ა. კოინდერს. შედგა ამომრჩეველთა ახალი სიები. სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები 1894 წლის 12 ოქტომბრისათვის დაინიშნა. გაჩაღდა წინასაარჩევნო აგიტაცია.

ამიერკავკასიის სხვა ქალაქების მსგავსად ბათუმშიც შეინიშნებოდა გაბატონებული ფენების შინაკლასობრივი ბრძოლის ნაციონალური ელფერით შემოსვის ტენდენცია, მაგრამ ამ ბრძოლას აქ არ ახასიათებდა ისეთი სიმწვავე როგორც, ვთქვათ, თბილისში. 1894

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 492—493.

წლის მარტში „ივერიის“ ბათუმელი კორესპონდენტი იუწყებოდა: „ჯერჯერობით ბათუმელ კენჭოსნებისას კაცი ვერას გაიგებს. ისეა არეული მათი აზრები, და სურვილი, რომ გარკვევით ვერ ითქმის... ვინ რა მიმართულებას მიემხრობა, მით უმეტეს ამისთანა (მრავალი) ერის წარმომადგენელთა ქალაქში, როგორიც ბათუმია, გვარტომობრივი ბრძოლა პირველობას ვერ დაინარჩუნებს და არც თუ მოსახერხებელია. ეს კი აშკარად ჩანს, რომ ბათუმელები უცებ გამოაღვიძა ამ ახალმა, მათთვის სანეტარო ამბავმა. მოსალოდნელია ახლო ხანში რაზმებად დაწყობილმა კენჭოსნებმა ბათუმი გადააქციონ ლელოს გასატან საბრძოლველ მოედნად“.

კორესპონდენციის ავტორის აზრით, ბათუმელთა აქტიურობა ახალ არჩევნებში იმით იყო გამოწვეული, რომ მათ „შეიგნეს და იგემეს თვითმმართველობის ღირსება“. მოქალაქეთა უკმაყოფილება კი საადგილმამულო საკითხის გადაუჭრელობის შედეგი ყოფილა. „ერთის სიტყვით, — დასკვნის ავტორი, — საშდურავი დღევანდელისა და სურვილი უკეთესისა ისეა არეული ერთმანეთში, რომ შეუძლებელია ცალკე ყველაფრის აღნუსხვა... ვნახოთ თანდათან რა გამოირკვევა“ [1].

მალე მოვლენათა განვითარებას სიცხადე შეუტანია ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფის განლაგებაში. იგივე კორესპონდენტი 17 მარტს ბათუმიდან იწერებოდა, რომ თანდათან ყალიბდება დასები და მომავალ არჩევნებში მოსალოდნელია დიდი ბრძოლაო. „როგორც ყოველ ახალდაბადებულთ, — გვაუწყებს იგი, — კენჭოსანთა დასებსაც სხვადასხვა სახელებს უწოდებენ: „დასი სამთა კავშირისა“, ე. ი. ქართველები, რუსები და ბერძნები. დასი „განდეგილნი“ — მაჰმადიანები და დასი „მდევნელი დევნილთა“ — სომხები“.

სამთა კავშირის საფუძველი, კორესპონდენტის აზრით, მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. სომეხთა დასი იმას ცდილობდა ისე არ განდევნილიყო ბათუმის საქალაქო თვითმმართველობიდან, როგორც თბილისის თვითმმართველობიდან იყვნენ განდევნილი ქართველები.

„განდეგილნი“ (მაჰმადიანები) კი ნეიტრალიტეტს აცხადებდნენ და თავს ყველასაგან დაჩაგრულად თვლიდნენ.

---

[1] „ივერია“, 1894, № 54.

„განდეგილთა“ (მაჰმადიან ქართველთა) მიმხრობის ისტორიული საფუძველი, წერილის ავტორის აზრით, ყველაზე მეტად ქართველებს ჰქონდათ. შემოერთების დროს ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ამ ჩვენს ძმებზე, მაგრამ შემდეგ სიტყვას საქმე შედარებით მცირე მოჰყვა და ამიტომ მაჰმადიანების თავისკენ გადაბირების იმედს სხვა დასებიც ამჟღავნებენო [1].

ბათუმელ ცენზიანთა აქტიურობა მეორე არჩევნების დროს, უდავოა, იმითაც იყო განპირობებული, რომ მათ მიიღეს ქალაქის თავის არჩევის უფლება, რასაც აქამდე მოკლებული იყვნენ. ბუნებრივია, ყველა დასი თუ დაჯგუფება ცდილობდა ამ თანამდებობაზე გაეყვანა თავისი კაცი.

1894 წლის 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსნებად არჩეულ იქნა 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი და 3 პოლონელი. როგორც ვხედავთ არჩევნებში სრული გამარჯვება სამთა კავშირმა იზეიმა. განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვეს ქართველებმა, მათ სათათბიროში გაიყვანეს ხმოსანთა 55%. მეორე მოწვევის სათათბიროში ქართველებიდან, კერძოდ, შედიოდნენ: დ. ბარათაშვილი, მ. ბარკალაია, ე. ბერძენიშვილი, მ. ბეთანიშვილი, ა. გუგუშვილი, გ. ელიავა, ი. ლომინაძე, კ. მგელაძე, ი. მესხი, ს. მხეიძე, ნ. საბაშვილი, ს. საბაშვილი, ი. საბახტარაშვილი, ა. შარვაშიძე და სხვ. [2].

სათათბიროს უმრავლესობას, ბუნებრივია, სურვილი ჰქონდა თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში, გამგეობაშიც თავის კანდიდატები გაეყვანა. მაგრამ „ივერიის“ კორესპონდენტის გადმოცემით ქართველი ცენზიანები და ხმოსნები ვერ იჩენდნენ საჭირო ერთსულოვნებას. „დაიბადა ჩვენებური, ძველებური მითქმა-მოთქმა და წვრილმანობა, სენად ქცეული შენ-ჩემობა“. ქართველებს სათათბიროში 19 ადგილი აქვთ, მაგრამ ისინი ორად არიან გაყოფილი და ქალაქის თავის არჩევისათვის საჭირო უმრავლესობას ვერ ქმნიანო [3].

„ივერიის“ კორესპონდენტის შეშფოთება ნაადრევი გამოდგა. ქალაქის თავის არჩევნებში ქართველი ხმოსნები ერთსულოვნად

---

[1] „ივერია“, 1894, № 63.
[2] «Памятная книжка...», стр. 56—65.
[3] „ივერია“, 1895, № 13.

ვამოვიდნენ. მათმა ხმებმა უზრუნველყო ლუკა ასათიანის გამარჯვება. მისი მოწინააღმდეგეები ბიკოვი და სევერიანი გაშავდნენ. გამგეობის სამი წევრის ადგილზე 9 კაცმა იყარა კენჭი. აქაც გამარჯვება ქართველმა ხმოსნებმა იზეიმეს — გამგეობის წევრად გაიყვანეს გ. ვოლსკი, ქალაქის მდივნად კი — ი. მესხი. გამგეობის მეორე წევრად არჩეულ იქნა ი. ივანოვი [1].

ბათუმის მეორე მოწვევის სათათბირო და მისი აღმასრულებელი ორგანო, გამგეობა შედარებით აქტიურად საქმიანობდა, რის შედეგადაც რამდენადმე გაუმჯობესდა ქალაქის კომუნალური მეურნეობა, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე, მაგრამ ყველა ცენზიანი კმაყოფილი როდი იყო. გამგეობის პარტიის მოწინააღმდეგე დაჯგუფებანი კვლავ აგრძელებდნენ კრიტიკულ გამოსვლებს და რევანშის აღებას მომავალი არჩევნებისას ვარაუდობდნენ.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს მესამე შემადგენლობის არჩევნები 1898 წლის ოქტომბრისათვის დაინიშნა. ორიოდე თვით ადრე დაიწყო წინასაარჩევნო აგიტაცია. უკანასკნელ მომენტამდე დაჯგუფებანი არ ამჟღავნებდნენ თავის განზრახვასა და გეგმებს, საიდუმლოდ ამზადებდნენ „მებრძოლ რაზმებს“. „ნოვოე ობოზრენიეს“ პუბლიცისტი 13 ოქტომბერს მკითხველებს აუწყებდა, რომ ბათუმის სათათბიროს არჩევნებამდე მხოლოდ ხუთი დღე დარჩა, მაგრამ მდგომარეობა, მებრძოლ ძალთა განლაგება ჯერაც გაურკვეველია. არ ჩანს პარტიების ნამდვილი ძალა და განზრახვა, არავინ იცის რა შედეგით დამთავრდება საარჩევნო კამპანიაო. წერილის ავტორი უბრუნდება წარსულ არჩევნებს და აღნიშნავს, რომ მაშინ პარტიებად გათიშვას ორმაგი ხასიათი ჰქონდაო. 1894 წელს პარტიებს შორის ძირითად მიჯნას ქმნიდა განსხვავება ქონებრივ მდგომარეობაში, ერთ მხარეს იყვნენ დარაზმული მსხვილი მესაკუთრენი, მეორე მხარეს კი წვრილი ვაჭარ-ხელოსნები. საშუალო მდგომარეობა ეკავა ინტელიგენციას, რომელიც ცდილობდა პარტიების ეგოისტურ მისწრაფებათა აღმოფხვრას და სათათბიროში დემოკრატიული ელემენტების გაყვანას. ცენზიანთა დაჯგუფებების სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის მიუხედავად საარჩევნო ბრძოლამ ნაციონალური ელფერი მიიღო და ამიტომ ბევრმა გა-

---

[1] „ივერია“, 1895, № 26.

მოიტანა დასკვნა, რომ ბათუმის თვითმმართველობაში გასაბატონებლად ქართული და სომხური პარტიები იბრძვიან. შეიძლება ასეთი დაყოფა ზოგისათვის მისაღები და მოსაწონია, მაგრამ სინამდვილე, აღნიშნავს გაზეთის კორესპონდენტი, საფუძველს არ იძლევა სათათბიროს პარტიების ეროვნული ნიშნით დაყოფისათვის. საარჩევნო სიიდან ჩანს, რომ არც ქართველებს აქვთ აბსოლუტური უმრავლესობა და არც სომხებს. არჩევნების შედეგებზე დიდ გავლენას ახდენენ რუსები, ბერძნები და სხვ. ერთა წარმომადგენლები. მათ დაუხმარებლად გამარჯვება არც ქართველებს შეუძლიათ და არც სომხებს. ხოლო ძირითადმა პარტიებმა რომ მოიპოვონ სხვათა დახმარება მათ უნდა მიატოვონ ეროვნული საფუძველი, რადგან არ შეიძლება აიძულო რუსები, ბერძნები, ებრაელები და სხვ. განიმსჭვალონ ქართული ან სომხური ნაციონალური ინტერესებით და უარი თქვან სოციალ-ეკონომიკურ ინტერესებზე. ამიტომ ნაციონალური ნიშნით დაყოფის გარდა იყო მეორე უფრო საფუძვლიანი დაყოფა. არსებობდა მოქმედი გამგეობის პარტია და მის წინააღმდეგ მებრძოლი ოპოზიციური დაჯგუფება [1].

წარსული მოვლენების შეფასების შემდეგ წერილის ავტორი უბრუნდება 1898 წლის საარჩევნო კამპანიას და აღნიშნავს, რომ ცენზიანთა პარტიებად დაყოფის იგივე საფუძველი ახლა უფრო აშკარად ჩანსო. სტატიაში მოტანილი ფაქტიური მასალა ცხადყოფს, რომ 1898 წელსაც არსებობდა გამგეობის პარტია. მართალია, მასში ქართველებს გარდა რუსები და სომხებიც შედიოდნენ, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ და ამიტომ ბევრი მოქალაქე ამ დაჯგუფებას ქართველთა პარტიას უწოდებდა. ჩამოყალიბებულა აგრეთვე გამგეობის საწინააღმდეგო დაჯგუფება, რომელშიც შედიოდა ყველა ცენზიანი სომეხი, რუსთა დიდი ნაწილი, ბერძენთა ნახევარი და 20-მდე ქართველი. ამ დაჯგუფებას სომხური უმრავლესობა აძლევდა ტონს, რის გამოც იგი სომხურ პარტიად მონათლეს. საარჩევნო აგიტაცია რომ ნაციონალურ დაპირისპირებათა საფუძველზე არ სწარმოებდა, ამას პრესის პუბლიცისტები იმით ასაბუთებდნენ, რომ მეორე მოწვევის სათათბიროსა და გამგეობას ბრალად დებდნენ არა სხვა ეროვნება-

---

[1] «Новое обозрение», 1898, № 5072.

თა ინტერესების იგნორირებას, არამედ ქალაქის მეურნეობის უხეირო ხელმძღვანელობას და თვითმმართველობის ფინანსების უანგარიშოდ დახარჯვას. სომხები და მათი მომხრენი საკუთრივ ქართველების წინააღმდეგ როდი იბრძოდნენ. ისინი აგიტაციას ეწეოდნენ არსებული სათათბიროსა და გამგეობის მთელი შემადგენლობის გაშავებისათვის. მათი მიზანი იყო ზოგი ხმოსნის გამოცვლა და გამგეობის გადაყენება. სომხებმა წინადადება მისცეს ქართველებს ხმოსნობის კანდიდატთა ერთიანი სიის შედგენის თაობაზე. გამგეობის პარტიას ეს წინადადება პრინციპულად არ უარყვია, მაგრამ თანახმა იყო სომხური პარტიისათვის სათათბიროში მიეცა არა 15 ადგილი, როგორც ის მოითხოვდა, არამედ მხოლოდ 8—10 ადგილი. ამდენად, ადგილების განსაზღვრის პრინციპზე აზრთა სხვადასხვაობამ შეუძლებელი გახადა პარტიების შეთანხმება. ყველაფერი უნდა გადაწყვეტილიყო თვით არჩევნების პროცესში [1].

გამგეობის პარტია, როგორც ჩანს, საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში კი აღმოჩნდა თითქმის ყველა მსხვილი მესაკუთრე. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ გამგეობისათვის, უყენებდნენ მას მთელ რიგ ბრალდებებს. კრიტიკოსთა განცხადებით გამგეობაში, მართალია, პატიოსანი ხალხი იყო არჩეული, მაგრამ მათ აკლდათ პრაქტიკული მოღვაწეობის უნარი. გამგეობა მომჭირნეობით ვერ ხარჯავს ქალაქის სახსრებს, არამწარმოებლურ სფეროებში აბანდებს ფულს, რითაც კომუნალურ მეურნეობას ზარალს აყენებსო. მათი სიტყვით სათათბირომ და გამგეობამ თავიანთი რწმენების 4 წლიან პერიოდში დახარჯეს 1 მლნ. მან. სპეციალური კაპიტალიდან და ამის გარდა მოითხოვეს 600 ათას მანეთიანი საობლიგაციო სესხის გამოშვება, რომლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის გამოყენებას ვარაუდობდნენ გიმნაზიის შენობის, ქალაქის სახლის, დუქნების, სასაკლაოს, წყალსადენისა და სხვათა აგებისათვის, რაც ქალაქის აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენსო. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია გადაჭარბებულად თვლიდა ასეთ კრიტიკას. მისი აზრით გამგეობას დაუდევრობაში არ უნდა ჩათვლოდა გიმნაზიის შენობის აგება, ზრუნვა საშუალო

---

[1] «Новое обозрение», 1898, № 5076.

სკოლების კეთილმოწყობისა და მით უმეტეს კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ამასთან ერთად, რედაქცია მიუთითებდა ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობის სუსტ მხარეებზე, მის მიერ დაშვებულ ზოგიერთ შეცდომაზე. მაგრამ საერთოდ, „ნოვოე ობოზრენიეს" რედაქცია დადებითად აფასებდა მეორე მოწვევის სათათბიროსა და გამგეობის მოღვაწეობას. თვითმმართველობის ეს ორგანოები მუშაობდნენ ენთუზიაზმით, თავის ინიციატივას ავრცელებდნენ ქალაქის მეურნეობის ყველა სფეროზე. ამას აღიარებენ სათათბიროსა და გამგეობის როგორც მომხრენი, ისე მოწინააღმდეგენი. ყველას მიაჩნია, რომ საქმისადმი სიყვარული დიდი ღირსებაა[1].

ბათუმის საქალაქო სათათბიროს მესამე შემადგენლობის არჩევნები ჩატარდა 1898 წლის 18 ოქტომბერს. მასში მონაწილეობა მიიღო 332 კაცმა. აქედან 147 იყო ქართველი, 110 სომეხი, 40 ბერძენი და სხვ. ხმოსნობაზე კენჭი იყარა 39 ქართველმა, 35 სომეხმა, 25 რუსმა, 7 ბერძენმა. ამომრჩეველთა და დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესი ვამოიჩინეს არჩევნებისადმი. პირველებმა კრების დარბაზში გაატარეს 20 საათი, მეორეებმა 17 საათი, ზოგი ამის მიზეზად თვლიდა ქართველ-სომეხთა ნაციონალურ ბრძოლას, მაგრამ უფრო შორსმჭვრეტელნი კარგად ხედავდნენ, რომ წინააღმდეგობას ჰქონდა კლასობრივი და შიდაკლასობრივი ხასიათი. პირველ დღეს არჩეულ იქნა 7 ქართველი, 6 ბერძენი, 4 სომეხი, 8 რუსი და სხვ. ეროვნების წარმომადგენელი[2].

არჩევნების ასეთი შედეგი ბევრისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ინტელიგენციისაგან შედგენილ ბათუმის სათათბიროსა და გამგეობას, რომელიც ქალაქის ინტერესებს ერთგულად ემსახურებოდა, „ნოვოე ობოზრენიეს" კორესპონდენტის აზრით, იმედი უნდა ჰქონოდა უანგარო ამომრჩეველთა მხარდაჭერისა. მაგრამ იმის გამო, რომ ეს არამყარი უმრავლესობა ორ ნაწილად გაითიშა, მან სათათბიროში გაიყვანა მხოლოდ 7 ხმოსანი.

მაგრამ გამგეობის (ქართველთა) პარტიამ მდგომარეობა დამატებით არჩევნებში გამოასწორა. მან სათათბიროში კვლავ მოიპოვა ადგილების შეფარდებითი უმრავლესობა. ქართველთა პარტიამ

---

[1] «Новое обозрение», 1898, № 5077.
[2] Там же № 5082.

უმრავლესობა მოიპოვა გამგეობაშიც. იქ გაიყვანა ლ. ასათიანი (ქალაქის თავი), გ. ვოლსკი და ი. მესხი. გამგეობაში შევიდა აგრეთვე ივანოვი. ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, წარმატებას მიაღწია მთავრობის წრეების დახმარებით.

1900 წლის ბოლოს ივანოვს გაუვიდა რწმუნების ვადა. ახალ არჩევნებში მან, მართალია, კენჭი იყარა, მაგრამ გაშავდა. გამგეობის წევრად სათათბირომ აირჩია მეტყველ მარკევიჩი. რატომღაც მთავრობამ გამგეობის წევრად მარკევიჩის არჩევა არ დაადასტურა, არ დაამტკიცა იგი თანამდებობაზე. ქუთაისის გუბერნატორმა ბათუმის ‘საქალაქო გამგეობის წევრად სათათბიროს მიერ გაშაეებული ივანოვი დანიშნა, რაც ბათუმის სათათბირომ სენატში გასაჩივრა. ქუთაისის საგუბერნიო ხელისუფლებასა და ბათუმის სათათბიროს შორის მომხდარ კონფლიქტში პრესამ ძირითადად სათათბიროს მხარე დაიკავა. „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქცია აღნიშნავდა, რომ საქალაქო თვითმმართველობის უფლებას, აირჩიოს თანამდებობის პირ ›, კანონი იცავს. ეს უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წაერთვას სათათბიროს, თუ იგი ვერ შეძლებს მის პრაქტიკულ განხორციელებას, ე. ი. როცა სათათბირო ვერ გამონახავს სანდო პირს. კანონის ძალით სათათბირო ამ უფლებას იმ შემთხვევაშიც კარგავს, როცა ირჩევს მთავრობისათვის არა საიმედო პირს. მარკევიჩის არჩევის შემთხვევაში კი ასე არ ყოფილა. ამიტომ ბათუმის გამგეობის წევრად მისი არჩევის გაუქმება, სათათბიროსათვის ამ არსებითი უფლების ჩამორთმევა, მოკლებულია კანონიერ საფუძველსო [1].

1901 წლის 25 ივნისის სხდომაზე ბათუმის ‘საქალაქო სათათბიროს ხმოსნებს გამოეცხადათ, რომ მთავრობამ არ მიიღო საჩივარი და გამგეობის წევრად ივანოვი დაამტკიცაო. იმავე სხდომაზე დაისვა ქალაქის თავის მოადგილის არჩევის საკითხი. კენჭი უყარეს გ. ვოლსკის და ივანოვს. ვოლსკიმ მიიღო 17 თეთრი და 3 შავი, ივანოვმა 3 თეთრი და 17 შავი [2]. ბათუმის სათათბიროს ინტელიგენტ ხმოსნებს, როგორც ვხედავთ, არ სურდათ თვითმმართველობის აპარატში ჰყოლოდათ ჩაქვის საუფლისწულო მამულის გამგე, მთავრობის წრეებში მიღებული ივანოვი. ისინი საზოგადოებრივი

---

[1] «Новое обозрение». 1901, № 5745.

[2] „კვალი“, 1901, № 23, გვ. 582—583.

თვითმმართველობის თანამდებობებზე უპირატესობას აძლევდნენ საზოგადო მოღვაწეებს.

1902 წლის ოქტომბერში რწმუნების ვადა გაუდიოდა მესამე მოწვევის სათათბიროს, ნოემბერში უნდა ჩატარებულიყო ხმოსანთა ახალი შემადგენლობის არჩევნები. უკვე აგვისტოში დაიწყო წინასაარჩევნო აგიტაცია, რომელშიც მეტ-ნაკლები აქტიურობით მონაწილეობდნენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური თუ ეროვნული დაჯგუფებანი. პრესა ახლაც ინტერესით ადევნებდა თვალს პარტიების ბრძოლას. გაზ. „კვალის“ კორესპონდენტის ვარაუდით ბათუმის სათათბიროს არჩევნები მწვავე შეტაკებების გარეშე ვერ ჩატარდებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ბათუმში უმთავრეს ძალას ახლაც ქართველები და სომხები შეადგენენ, სხვა ერთა წარმომადგენლები მათ შორის ნაწილდებიანო. თუ ქართველთა შორის განხეთქილება არ მოხდა და ბერძნებმაც ძველებურად მათ დაუჭირეს მხარი, საარჩევნო ბრძოლიდან გამარჯვებული ქართული პარტია გამოვალ[1].

ბათუმის სათათბიროს მომავალ არჩევნებს „კვალის“ რედაქცია უფრო დეტალურად შეეხო 1902 წლის 22 სექტემბრის ნომერში. „მოახლოვდა, — წერდა გაზეთის კორესპონდენტი, — ქალაქის არჩევნები. გამოქვეყნდა ამომრჩეველთა სია და შეიშმუშნა აქამდე მიძინებული ბათუმის საზოგადოება ... სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის ქალაქებში (რასაკვირველია ქუთაისსა და ფოთს გარდა) ყველგან თავი იჩინა ეროვნულმა შუღლმა და განკერძოებამ ქალაქის თვითმმართველობაში ... ყოველი განათლებული და შეგნებული ადამიანი მომხრე უნდა იყოს სხვადასხვა ეროვნებათა შორის სოლიდარულ განწყობილებისა და თანხმობისა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება ისეთ ნიადაგზეა აღმოცენებული და დამყარებული, რომ ეს შეუძლებელი ხდება. ... კერძო პიროვნული ინტერესებისა და პირადი სარგებლობისათვის ბრძოლა ისეა გამწვავებული, რომ გარეშე თავისა იშვიათად ვისმე რამე ახსოვს. ასეთ პირობებში კი ძნელია თანხმობით მოქმედება არამცთუ სხვადასხვა ეროვნებათა, არამედ ერთი რომელიმე ერის მოქალაქეთა შორისაც. სარგებლობენ რა ამ გარემოებით,—განაგრძობს წერილის ავტორი,—ქალაქის ამომრჩეველთა

[1] „კვალი“, 1902, № 35, გვ. 558.

ამა თუ იმ პარტიის ხელმძღვანელნი, პარტიული ბრძოლის მოტივათ ხდიან ეროვნებას, რადგან ამ ნიადაგზე უფრო აღწევენ თავიანთ მიზანს“ [1]. „კვალის“ იმავე წერილიდან ჩანს, რომ 1902 წელს ბათუმის ამომრჩეველთა შორის ქართველები იყვნენ 326, სომხები — 181, რუსები — 139, ბერძნები — 68. რუს ცენზიანთა ჯგუფს ქმნიდნენ დაწესებულებათა წარმომადგენლები და მოხელეები, ისინი „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორის პალმის მეთაურობით მოქმედებდნენ. სომეხი ამომრჩევლები შედგებოდნენ მსხვილ და საშუალო ვაჭარ-მრეწველთაგან, რომელთა ლიდერი იყო თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების გამგე ხუდადოვი. ქართველი ამომრჩევლების კონტინგენტს ძირითადად ქმნიდნენ წვრილი მესაკუთრენი, ვაჭარ-მრეწველნი და ხელოსნები, რომელთა მეთაურად ითვლებოდა ბათუმის ქართველ ინტელიგენტთა წრე. „კვალის“ რედაქციას მიაჩნდა, რომ ბათუმის თვითმმართველობაში ქართველები იყვნენ გაბატონებული და მათ ქალაქის საქმეების გამგებლობაში სირცხვილი არ უქამიათ“. მიუხედავად ამისა ხუდადოვისა და პალმის დაჯგუფებანი გარკვეულ ბრალდებებს უყენებდნენ სათათბირო-გამგეობის არსებულ შემადგენლობას, ცდილობდნენ მისთვის სახელის გატეხვას და თვითმმართველობაში თავიანთი მომხრეების გაყვანას. პალმმა საარჩევნო აგიტაცია იმით დაიწყო, რომ თავის გაზეთში ქართველ ამომრჩეველთა რიცხვი სანახევროდ შემცირებულად აჩვენა. ამასთან დაკავშირებით „კვალის“ კორესპონდენტი ირონიულად შენიშნავდა, რომ ბ-ნი პალმი ქართველ კათოლიკეებს, მაჰმადიანებს, იმერლებს, მეგრელებს, გურულებს და სხვ. ქართველებად არ თვლის და ასეთი „უნებლიე“ შეცდომა მიტომ დაუშვაო. პალმმა სააგიტაციო მასალად გაიხადა თურმე ტრიანდეფილიდისის ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმის თანამდებობიდან დათხოვნა და ამით უნდოდა ქართველ-ბერძენთა შორის შუღლის დათესვა, ამ უკანასკნელთა თავის ბანაკში გადაბირება. „ასეა თუ ისე, — დაასკვნის „კვალის“ კორესპონდენტი, — აგიტაცია ქართველების წინააღმდეგ დაწყებულათ უნდა ვცნოთ. რა გვარი კომბინაციები მოხდება არჩევნების დროს, ეს ძნელი გამოსაცნობია ჯერჯერობით. ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ქართველების მოწინააღმდეგე ელემენტები სხვადასხვა ეროვნებიდან

[1] „კვალი“, 1902, № 39, გვ. 631—632.

პალმისა და მის მოძმეთა მეთაურობით იჩენენ თავს და შეერთდებიან ქართველების დასამარცხებლად“ [1].

ქართველთა პარტიის მიერ ამ შეერთებული ძალის გამკლავებისა და ბათუმის თვითმმართველობაში წამყვანი მდგომარეობის შენარჩუნების წინაპირობად „კვალის“ კორესპონდენტს მიაჩნდა: 1) საარჩევნო სიების შესწორება-შევსება, იქ გამოტოვებულ პირთა შეტანა, 2) გადასახადთა ნარჩენების დაფარვა და ამით ქართველ ამომრჩეველთა რიცხვის გადიდება, 3) არასაზოგადოებრივი ხასიათის შინაურ, კერძო კინკლაობაზე ხელის აღება, ქართველთა გაერთიანება განურჩევლად რელიგიური რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. ქართველთა შეერთებულ ძალას, რედაქციის აზრით, გამარჯვების გზა უნდა გაეწალდა ზნეობრივი ძალით, ხმოსნობის კანდიდატებად უნდა წამოეყენებია საზოგადო ინტერესებით გამსჭვალული პირები და კანდიდატთა სიაში ქართველებთან ერთად სხვა ერთა წარმომადგენლებიც შეეტანა [2].

„კვალის“ ზემოთ ციტირებული ავტორი, როგორც ჩანს, ბურჟუაზიული რწმენის პუბლიცისტია. იგი ხელაღებით იწონებს ქართველთა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული დაჯგუფებების საქმიანობაა. მაგრამ ამ გაზეთში სოციალ-დემოკრატიული რწმენის პუბლიცისტებიც თანამშრომლობდნენ. ისინი პროლეტარული და ფართო დემოკრატიული თვალთახედვით აფასებდნენ მოვლენებს და ამიტომ, ბუნებრივია, როგორც რუსთა და სომეხთა დაჯგუფების, ისე ქართველთა პარტიის მუნიციპალურ მოღვაწეობაში ბევრ ნაკლს ამჩნევდნენ. „საქალაქო თვითმმართველობის დასაწყისიდან, — წერდა ერთი მათგანი, — ბათუმის საბჭოში ხმოსანთა უმრავლესობა ყოველთვის ქართველობა იყო ... თუ გულზე ხელს დავიდებთ და არ ვუღალატებთ სიმართლეს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ პარტიის სუსტი და ცუდი მხარეები გაცილებით სჭარბობს მის კარგ მხარეებს. აქ უთუოდ შემომიყვირებენ, რას ამბობ, განა ამ პარტიამ არ დააარსა ვაჟებისა და ქალების გიმნაზიები, მოკირწყლა ქუჩებიო? მართალია, მაგრამ „შემომყვირებლებიც“ დამერწმუნებიან, რომ იმ ფულით, რომელიც ბათუმის თვითმმართველობის განკარგულებაში იყო ... გაცილებით იმაზე უფრო მეტი გაკეთდე-

---

[1] „კვალი“, 1902, № 39, გვ. 631—632.

[2] იქვე.

ბოდა, რაც დღემდის გაკეთებულა. დაარსდებოდა პირველდაწყებითი სასწავლებლები, დაარსდებოდა სახალხო ბიბლიოთეკა, თეატრი, გაკეთდებოდა კონკა და სხვა ბევრი სასარგებლო რამ, რომ ქალაქს სათავეში ჰყოლოდა ენერგიული, შრომისა და ჯაფის მოყვარე პირები". შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქართველთა პარტიის ლიდერად გრ. ვოლსკი ითვლება, რომელსაც დიდ ქართველ მოღვაწედ აცხადებენ. მაგრამ მის მიერ შექმნილი პარტია არასდროს არ ამაღლებულა საზოგადო ინტერესების დონემდე. ეს პარტია ვიწრო კლასობრივი (წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული) ინტერესებით მოქმედებს. თანაც ქართველ ხმოსნებში 4—5 კაცია აქტიური, რომელნიც სათათბიროს სხდომებზე სიტყვებს წარმოსთქვამენ, სხვები უვიცობის გამო „მჟევრმეტყველურად" დუმანო. ხმოსნობის ღირსი ქართველები ბათუმში ბევრი არიან, მაგრამ ვოლსკი და მისი პარტია ყველას როდი ენდობა. ბათუმის ცენზიანი ქართველები დაბალი მასიდან გამოსულ პირებს ახლოსაც არ იკარებენ. მართალია, ბევრ ნიჭიერ ქართველს, შენიშნავს წერილის ავტორი, ცენზი არ აქვს, მაგრამ „რიგიანი მეთაური მოახერხებდა, რომ ეშოვა ამგვარი ქართველებისათვის სააპეკუნო ან სამზრუნველო ცენზი ... ვოლსკის პარტია კი, როგორც ვთქვით, გაურბის ასეთი ქართველების ხმოსნობას, რადგან კარგად იცის, რომ ასეთი ხმოსნები ყურმოჭრილ ყმებად ვერ გაუხდებიან ვოლსკის ... გაურბის კიდევ იმიტომ, რომ ამგვარი ხმოსნები კერძო ინტერესებს უარყოფენ და მის ალაგს წამოაყენებენ საზოგადო ინტერესებს". ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ ვოლსკის პარტიას ხანგრძლივი არსებობა არ უწერია. საზოგადოების გამოფხიზლებას თან მოჰყვება ასეთი პარტიის მოსპობა. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვოლსკის პარტიამ უნდა მოსჭამოს თავისი დრო, ვფიქრობთ, რომ უნდა გაიწმინდოს ის დამდორებული ატმოსფერო, რომელშიც ეს პარტია ტრიალებს და მის მაგივრად წარმოიშვას ახალი ძალები, რომელნიც მეტ სიცოცხლეს, მეტ უნარს, მეტ ენერგიას და მეტ სინათლეს შეიტანენ საბჭოში. თუ რამდენად მომზადებულია ამისათვის ბათუმის ქართველი საზოგადოება, ამას მალე დავინახავთ" [1].

---

[1] „კვალი", 1902, № 45, გვ. 726—728.

ციტირებული წერილის ავტორი მართებულად აკრიტიკებს ბურჟუაზიული პარტიებისა და მათ შორის ქართველთა პარტიის ვიწრო კლასობრივ პოლიტიკას, მაგრამ მას რატომღაც ავიწყდება, რომ საქალაქო თვითმმართველობების ბურჟუაზიული არსი და ბურჟუაზიული პოლიტიკა განპირობებული იყო ცარიზმის კანონმდებლობით. საქალაქო დებულება, მაღალი საარჩევნო ცენზი მოსახლეობის ფართო დემოკრატიულ ფენებს საქალაქო თვითმმართველობის მიღმა სტოვებდა და ამიტომ, გასაგებია, რაც არ უნდა მომზადებული ყოფილიყო საზოგადოება, კერძოდ, დაბალი მასის ინტერესების გამომხატველი პარტია, არჩევნების გზით იგი ვერ შეძლებდა საქალაქო სათათბიროს შემადგენლობის არსებით შეცვლას და საქალაქო თვითმმართველობის ამაღლებას ქალაქის დემოკრატიული ფენების ინტერესთა დონემდე.

ბათუმის საქალაქო სათათბიროს მეოთხე შემადგენლობის ხმოსანთა არჩევნები 1902 წლის 10—11 ნოემბერს ჩატარდა. სათათბიროში გავიდა 17 ქართველი, 8 სომეხი, 10 რუსი, 2 ბერძენი[1]. ახალ არჩევნებს კლასობრივ ძალთა განლაგებაში არსებითი ცვლილება არ მოუხდენია.

ბათუმის პირველი ოთხი მოწვევის სათათბიროში არჩეული ხმოსნები სოციალური წარმოშობით და მდგომარეობით ძირითადად ბურჟუაზიული კლასებიდან იყვნენ და მათ ინტერესებს გამოხატავდნენ.

1888 წლიდან 1915 წლამდე ბათუმში 6-ჯერ ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები, 6-ჯერ მოხდა სათათბიროს შემადგენლობის ნაწილობრივი გადახალისება. ამ ხნის მანძილზე ხმოსნად არჩეულ იქნა: 15 ინჟინერი, 16 ექიმი, 10 იურისტი, 28 სამხედრო პირი, 7 აფთიაქარი, 54 სახლთმფლობელი, 76 ვაჭარ-მრეწველი, 11 ბანკირი, 3 პედაგოგი, 20 თავისუფალი პროფესიის პირი[2]. როგორც ვხედავთ, სათათბიროს ხმოსანთა ნახევარზე მეტი გამოსული იყო ვაჭარ-მრეწველებისა და სახლთმფლობელთა წრიდან. ინტელიგენციის წარმომადგენლობაც, ერთი შეხედვით, საკმაოდ ჩანს, მაგრამ მათი უმრავლესობა მოხელე იყო. თავისუფალი პროფესიის საზოგადო მოღვაწეთა რიცხვი კი არ აღემატებოდა 20 კაცს. და ისინიც სათათბიროს

---

[1] „კვალი“, 1902, № 47, გვ. 751; № 50, გვ. 805—806.

[2] «Памятная книжка...», стр. 56—57.

კარს აღებენ უფრო მოგვიანებით, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების ხანაში. მართალია, პროგრესული ინტელიგენცია ცდილობდა თვითმმართველობის საქმიანობა აემაღლებინა ქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესთა დონემდე, მაგრამ ბურჟუაზიულ უმრავლესობას თავისი გაჰქონდა. იგი ქალაქის ზედაფენების ინტერესთა შესაფერის პოლიტიკას ატარებდა.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობას ქართველი ხმოსნები აძლევდნენ ტონს. მათ თითქმის ყოველთვის აბსოლუტური უმრავლესობა ჰქონდათ სათათბიროსა და გამგეობაში. ბათუმის თვითმმართველობის არსებობის მთელ მანძილზე ხმოსნად გავიდა 113 ქართველი, 45 რუსი, 38 სომეხი, 26 ბერძენი, 13 პოლონელი, 4 გერმანელი და 2 ებრაელი [1].

1895-დან 1901 წლამდე ბათუმის ქალაქის თავად იყო ლ. ასათიანი, მის შემდეგ 1915 წლამდე ქალაქის თავის პოსტი ეკავა ივ. ანდრონიკაშვილს. გამგეობის წევრებად სხვადასხვა დროს მუშაობდნენ დ. ბიკოვი, ა. კოინდერი, გ. ვოლსკი, გ. ჟურული, ე. რეჯებ ბეგ ნიჟარაძე, ი. შადინოვი, ი. ივანოვი და სხვ. სათათბიროს და გამგეობის მდივნად მთელი ამ ხნის განმავლობაში შეუნაცვლებლად მუშაობდა ი. მესხი [2].

XIX—XX სს. მიჯნაზე ბათუმში ადგილი ჰქონდა მუშათა ეკონომიკურ გაფიცვებს, რამაც მალე მიიღო პოლიტიკური ხასიათი. პროლეტარიატის გავლენა ბურჟუაზიული საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობაზე შედარებით თვალსაჩინო გახდა 1902 წლის მარტის გრანდიოზული დემონსტრაციის შემდეგ. ამის უშუალო გამოხატულება იყო მემარცხენე პარტიათა წარმომადგენლების სათათბიროში არჩევა.

რუსეთის პირველი რევოლუციის სულისკვეთება ბათუმის საქალაქო სათათბიროშიც შეიჭრა. ხმოსნები და თვით ქალაქის თავიც კი რადიკალურად ალაპარაკდნენ, მოითხოვეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლებანი და მშრომელთა ზოგი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მაგრამ რევოლუციური პრაქტიკული საქმიანობის უნარი და სურვილი ბურჟუაზიულ სათათბიროს, რა თქმა უნდა, არ გააჩნდა.

---

[1] «Памятная книжка...», стр. 74—75.

[2] Там же, стр. 56—57.

1905 წლის 24 იანვარს გაიმართა ბათუმის სათათბიროს სხდომა, რომელსაც ხმოსნების გარდა გარეშე საზოგადოებაც ესწრებოდა. დიდი ინტერესით ელოდნენ გამგეობის ერთი წევრის გადარჩევის შედეგს. კენჭი უყარეს ი. ივანოვისა და გ. ვოლსკის კანდიდატურებს. ეს უკანასკნელი გასულ წელს დიდი უმრავლესობით აირჩია სათათბირომ გამგეობის წევრად, მაგრამ რაღაც მიზეზით მთავრობის ადმინისტრაციამ გ. ვოლსკი არასაიმედო პირად სცნო და თანამდებობაზე არ დაამტკიცა. ახლა, რევოლუციის დაწყების მომენტში, გ. ვოლსკი კვლავ დაასახელეს გამგეობის წევრობის კანდიდატად და დიდი უმრავლესობითაც აირჩიეს, მისი კონკურენტი, მთავრობის სანდო კაცი ი. ივანოვი კი გააშავეს. „ამ არჩევანს, — წერდა „ცნობის ფურცელის“ კორესპონდენტი, — დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; მან უნდა დაგვანახოს, მართლა შეიცვალა რამ ჩვენ ქვეყანაში თუ არა, ე. ი. მართლა მოდის „მთავრობის ნებართვით“ „გაზაფხული“ თუ ისევ სუსხიანი ზამთარი მეფობს“ [1].

შექმნილ სიტუაციაში ქუთაისის გუბერნატორმა ვერ გაბედა ბათუმის სათათბიროს ნების წინააღმდეგ წასვლა და ამჯერად გ. ვოლსკი ბათუმის საქალაქო გამგეობის წევრად დაამტკიცა, მაგრამ ასეთი მცირე დათმობები, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა მთავრობის ნებართვით „გაზაფხულის“ დადგომას. უმნიშვნელო დათმობებით და რეფორმების დაპირებით მეფის მთავრობის ადმინისტრაციას სუსტი ბურჟუაზიული ოპოზიციის აღმოფხვრა, ამ კლასის გადაბირება და მისი რევოლუციის ჩასახშობად გამოყენება სურდა.

„ცნობის ფურცლის“ კორესპონდენტი წერდა, რომ მეფის მთავრობის მოხელეები თვითმმართველობის დაუძინებელი მტრები არიანო. ეს საგრძნობია მთელ რუსეთში, მაგრამ ბათუმის თვითმმართველობას თავისი განსაკუთრებული მტრებიც ჰყავსო. მათ შორის, კორესპონდენტი პირველ ადგილზე აყენებდა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორს პალმს, რომელიც ყოველთვის მარჯვნიდან აკრიტიკებდა ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობას, ცდილობდა მუნიციპალური მოღვაწეებისათვის სახელის გატეხას. პალმის გაზეთის ტენდენციურ და ცილისმწამებლურ სტატიებს თვითმმართველობის სხვა მტრებიც იყენებდნენ და ბათუმის სათათბიროს სხდომებზე დაძაბულობის ატმოსფეროს ქმნიდნენ. გამგეობის წევ-

[1] „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2737.

რები ირონიული ღიმილით უარყოფდნენ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სტატიებზე დაფუძნებულ ბრალდებებს, მაგრამ მემარჯვენე ოპოზიციას ეს არ აკმაყოფილებდა. ერთმა მათგანმა, ინჟ. გაიდებუროვმა კატეგორიულად მოითხოვა, თუ გაზეთში მოყვანილი ცნობები ტყუილია, საქალაქო გამგეობამ რედაქციას პროტესტი უნდა გაუგზავნოსო.

გაიდებუროვის გამოსვლის საპასუხოდ ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა განაცხადა, რომ „ჩერნომორსკი ვესტნიკში“ თითქმის ყოველდღე იბეჭდება უთვალავი დაუსაბუთებელი შენიშვნები და ცილისმწამებლური სტატიები. გაზეთი განგებ ამახინჯებს ყველაფერს, რაც ბათუმის თვითმმართველობას ეხება, ცდილობს მუნიციპალურ მოღვაწეებს სახელი გაუტეხოს მოსახლეობის თვალში. მე შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ გაზეთის მიერ მოყვანილ ცნობათა 99% სიმართლეს მოკლებულია. არაერთხელ გვიმსჯელია გამგეობაში საკითხზე — გავცეთ თუ არა პასუხი „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ წერილებს და ყოველთვის იმ აზრამდე მივსულვართ, რომ უსაფუძვლო ცილისწამებაზე პასუხი არ შეშვენის საქალაქო თვითმმართველობისა და მის წარმომადგენელთა ღირსებას [1].

სოციალ-დემოკრატი მენშევიკები დ ფედერალისტები, მართალია, მარცხნიდან აკრიტიკებდნენ ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობას, მაგრამ ისინი არ თაკილობდნენ ბურჟუაზიულ სათათბიროსა და გამგეობაში გასვლას, ბურჟუაზიულ-პრაქტიკულ საქმიანობას. ერთადერთი ჭეშმარიტად რევოლუციური ბოლშევიკური პარტია კი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მეფის მთავრობის ცენტრალური მმართველობისა და ადგილობრივი ბურჟუაზიული თვითმმართველობების ორგანოების დამხობისათვის. ბოლშევიკებს დაუშვებლად მიაჩნდათ რაიმე კომპრომისი და შეთანხმება ბურჟუაზიასთან.

რეაქციის დაწყებისთანავე ბათუმის სათათბიროს ხმოსანთა ოპოზიციური და „რევოლუციური“ განწყობილება ჩაქრა. მათ უკან წაიღეს თითქმის ყველა თავის მოთხოვნა. მაგრამ მთავრობა უკვე ნაკლებ ნდობას უცხადებდა მუნიციპალურ მოღვაწეებს.

რეაქციის ხანაში რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ცნობები მოითხოვა საქალაქო თვითმმართველობების შემადგენლო-

---

[1] „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2737.

ბასა და მუშაობაზე. სათანადო მასალა ბათუმის ოლქის უფროსმაც წარადგინა. იგი წერდა, რომ ბათუმის სათათბიროში გაბატონებული არიან ქართველი ნაციონალისტები და ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატებს შედარებით მცირე ადგილი უკავიათო. შეიმჩნევა პოლიტიკური მსოფლმხედველობის საფუძველზე ამ პარტიების შემშიდროება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერი იყო 1905 წელს, როცა რევოლუციაში მეტ-ნაკლები აქტიურობით ყველა ხმოსანი მონაწილეობდაო [1].

აღნიშნული იყო, რომ XIX ს. 90-იან წლებში თვითმმართველობის გარშემო ხსვადასხვა დასების დაჯგუფება სარწმუნოებრივ-ეროვნული ნიშნით ხდებოდა. XX ს. დამდეგიდან მდგომარეობა შეიცვალა. დასობრივი დაჯგუფების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა პოლიტიკური მსოფლმხედველობა. შეცვლილ სიტუაციაში შემცირდა ქართველი და სომეხი ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, შესამჩნევი გახდა მათი დაახლოების ტენდენცია. სამაგიეროდ მართლმადიდებლური ქრისტიანობის საფუძველზე 90-იან წლებში შეკოწიწებული სამთა კავშირი (ქართველები — რუსები — ბერძნები) დაიშალა. რუს ცენზიანთა უმეტესობა ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლების სადარაჯოზე დადგა და დაუპირისპირდა ადგილობრივ ხალხთა წარმომადგენლობას.

1907 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, წერდა სამხედრო გუბერნატორი, ქართველ ამომრჩეველთა პარტია გაძლიერებულ იქნა სომხების მიერ, რის გამო ბრძოლა გაჩაღდა თითქმის მხოლოდ ქართულ ნაციონალურ ნიადაგზე. ამ მძლავრ დაჯგუფებას უპირისპირდება რუსთა მცირე ჯგუფი, რომელსაც მხარს უჭერს სომეხთა და მაჰმადიანთა ნაწილიო.

ქართველთა წარმატებით უკმაყოფილო სამხედრო გუბერნატორი ცილისწამებასაც არ ერიდებოდა და თვითმმართველობის მუშაობის ყველა ნაკლში ბრალს ქართველებს სდებდა. ქართული შემადგენლობის თვითმმართველობა გამოირჩევა უყაირათობით და ამიტომ ქალაქის ინტერესებისათვის არახელსაყრელიაო. ქართველების წყალობითაა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალაქს 1 მლნ მან. ვალი აქვს, რაც დაგროვდა ძირითადად 1904 წლის შემდეგო [2].

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, 1556, ფურც. 91—92.

[2] იქვე, გვ. 304.

გუბერნატორი სრულიად არაობიექტურად აშუქებს ფაქტიურ ვითარებას. ქართველები ყოველთვის გაბატონებული იყვნენ ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში. ამდენად მათ თანაბარი წილი მიუძღოდათ მიღწეევა-წარუმატებლობაში. ქალაქის ფინანსური კრიზისი 1904 წლიდან გამოწვეული იყო არა თვითმმართველობის ქართველ მოღვაწეთა უუნარობით, არამედ ობიექტური პირობებით. ქალაქს წაერთვა საფუთო გამოსაღების აკრეფის უფლება, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემის გამო შემცირდა ქალაქის ჩვეულებრივი შემოსავალი და ბიუჯეტი დეფიციტური გახდა.

რევოლუციით შეშინებულ დიდ მოხელეს ბურჟუაზიული ლიბერალებიც მემარცხენე სულისკვეთებით გამსჭვალულად ეჩვენებოდა. ქალაქის თავს ი. ანდრონიკაშვილს იგი მემარცხენე მიმართულების ქართველ ნაციონალისტს უწოდებდა. ქალაქის მდივან ი. მესხის შესახებ კი წერდა, რომ იგი არის ფედერალისტი სოციალ-რევოლუციონერის მნიშვნელოვანი ელფერით. ი. მესხი ყოველთვის გამგეობის ზურგს უკან მოქმედებს და ასრულებს უკიდურესი მემარცხენეების პროგრამასო [1].

მართალია, მემარცხენე პარტიებმა საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვეს ბათუმის სათათბიროში, მაგრამ ამით ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სოციალური ბუნება არ შეცვლილა. ეს დაწესებულება ბოლომდე ქალაქის მოსახლეობის ზედაფენის, ძირითადად ბურჟუაზიის სამსახურში იდგა და მის შესაფერის პოლიტიკას ატარებდა.

II. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა

1. ბათუმის ბიუჯეტი

დებულების თანახმად ბათუმის თვითმმართველობას უფლება ჰქონდა დაებეგრა მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონება, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები, ტრანსპორტის სხვადასხვა სახეები. ქალაქის შემოსავალს იღებდა აგრეთვე მის საკუთრებაში მყოფი

[1] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1556, ფურც. 92—93.

მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემით, სახლების გაქირავებით და სხვ.

ღირებულების მიხედვით დაბეგრილ ობიექტებიდან 110 ობიექტის ღირებულება აღწევდა 100—1000 მან., 104 ობიექტისა — 1000—3000 მან., 36 ობიექტისა — 3000—10 000 მან., 26 ობიექტისა — 10 000—50 000 მან., 4 ობიექტისა — 50 000—100 000 მან., 3 ობიექტისა — 100 000—500 000 მან., 3 ობიექტისა — 500 000—1 მლნ მან. [1].

1903 წლის აღწერის დროს ბათუმის მცხოვრებთა უძრავი ქონების ღირებულება განისაზღვრა 19 234 190 მან-ით. აქედან საცხოვრებელი სახლებისა — 8 230 338 მან., ქარხნებისა — 4 813 410 მან., მიწის ნაკვეთებისა — 6 190 442 მან. [2]. უძრავი ქონების ღირებულების ზრდის შესაბამისად მატულობდა შეფასებითი გამოსაღები, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტში მიდიოდა.

საპოლიციო მმართველობის უკანასკნელ 1888 წელს ქ. ბათუმის ფაქტიური საშემოსავლო ბიუჯეტი უდრიდა 121 696 მან. ბათუმისათვის თვითმმართველობის მინიჭების პირველსავე წლებში ქალაქის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, გადააჭარბა 200 ათას მანეთს. ეს აიხსნება არა მარტო ქალაქის ზრდა-განვითარებით, არამედ იმითაც, რომ მოქალაქეები თვითმმართველობის მოპოვების შემდეგ შედარებით ნაკლებად არიდებდნენ თავს გადასახადების გაღებას, რადგან იმედოვნებდნენ, რომ თვითმმართველობის სალაროში შესული ფინანსური სახსრები ძირითადად მოხმარდებოდა ქალაქის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მართალია, ბათუმის ბიუჯეტი თანდათან იზრდებოდა, მაგრამ კანონმდებლობით ნავარაუდევი ჩვეულებრივი შემოსავალი სწრაფად მზარდ ქალაქის საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდა. ბათუმის თვითმმართველობამ იმთავითვე მოითხოვა საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების გაფართოება.

1889 წლის 9 მაისს უმაღლესი ბრძანებით დაწესდა ბათუმის ნავსადგურზე გავლილი საქონლიდან საფუთო გამოსაღების აკრეფა, რომლის ოთხი მეხუთედი უნდა შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში, ერთი მეხუთედი კი უნდა გადასცემოდა ბათუმის თვით-

---

[1] «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1899 г.», стр. 8; ЦГИА СССР, ф. 1287, сп. 28, д. 784, л. 10.

[2] «Батум и его окрестности», стр. 512.

შმართველობას ნავსადგურის კეთილმოწყობისა და პორტისაკენ მიმავალი ქუჩების მოკირწყვლის საჭიროებისათვის.

1889 წლიდან 1901 წლის ჩათვლით საფუთო გამოსაღებმა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის სალაროს შემატა 1 974 521 მან. საფუთო გამოსაღების შემოსავალ-გასავალზე, მთავრობის ბრძანების თანახმად, ცალკე, სპეციალური ანგარიში დგებოდა. შემოსავალი ყოველთვის და მთლიანად როდი შეჰქონდათ ბიუჯეტში. ეს დამოკიდებული იყო ამა თუ იმ მომენტში ქალაქის ფინანსურ საჭიროებაზე.

მართალია, საფუთო გამოსაღების სახით მიღებული თანხა კანონის ძალით მხოლოდ ნავსადგურისა და მისკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ თვითმმართველობა ახერხებდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ქალაქის სხვა საჭიროებისათვის გამოყენებას. ეს კი აუმჯობესებდა ბათუმის თვითმმართველობის ფინანსურ მდგომარეობას. მისი ბიუჯეტის 30—40%-ს სწორედ საფუთო გამოსაღები იძლეოდა [1].

მიუხედავად აღნიშნულისა, ბათუმის თვითმმართველობა ხშირად განიცდიდა ფინანსების ნაკლებობას, ახალი ობიექტების მშენებლობისათვის სახსრები არ ჰყოფნიდა. იგი იძულებული იყო საკრედიტო დაწესებულებებისაგან მოკლევადიანი სესხები აეღო, რომლის საკმაოდ მაღალი პროცენტი მძიმედ აწვებოდა ბიუჯეტის საგასავლო მუხლებს. მუნიციპალური მოღვაწეები ლოგიკურად მივიდნენ გრძელვადიანი სესხების აღების აუცილებლობის შეგნებამდე.

1897 წელს ბათუმის საქალაქო სათათბირომ დაადგინა აღეძრა შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე 600 ათას მანეთიანი საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვის მისაღებად. სათათბიროს დავალებით გამგეობამ შეადგინა ერცელი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ნათქვამია: რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმი მეტად სწრაფად იზრდება. მრეწველობის განვითარებისა და სავაჭრო ბრუნვის ზრდის წყალობით სწრაფად მატულობს ქალაქის შემოსავალი, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად იზრდება მისი ხარჯები — გასავალი.

---

[1] «Памятная книжка...», стр. 103—107; აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 71, ფურც. 103—112.

ქალაქის ჩვეულებრივი შემოსავლის მთავარი მუხლებია შეფასებითი გამოსაღები, რაც წლიურად საშუალოდ 89 269 მან. შეადგენს და ქალაქის მიწების საიჯარო ქირა — 30 000 მან. ნავსადგურის საფუთო გამოსაღების სახით უკვე მიღებულია 653 ათასი მან. და სხვ.

მიუხედავად ამ ხელსაყრელი პირობებისა, რის წყალობითაც ამ ბოლო დრომდე ბათუმი ვალის გარეშე რჩება (ეს კი იშვიათი მოვლენაა რუსეთის იმპერიაში) მზარდი მიმდინარე ხარჯები საშუალებას არ გვაძლევს დავიწყოთ ახალი მშენებლობანი. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ქალაქმა სესხად აიღო 60 ათასი მან., რაც საჭირო იყო სახანძრო რაზმის, გიმნაზიის შენობისა და რამდენიმე დუქნის მშენებლობის დასაწყებად. თვითმმართველობას იმედი ჰქონდა ამ ობიექტების შემდგომი დაფინანსებისათვის გამოეყენებია 322 ათასი მან., რაც მას ერგება ნავსადგურისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთების საზღაურად, მაგრამ გზათა სამინისტროსაგან ამ თანხის დროული მიღება საეჭვოა.

ამდენად, ქალაქის თვითმმართველობა იძულებული ხდება ან უარი თქვას თავის განზრახვათა შესრულებაზე განუსაზღვრელი ვადით, ან გამოითხოვოს დიდი გრძელვადიანი სესხების აღების ნებართვა. ჩვენ მეორე გამოსავალი ვარჩიეთ და მთავრობის წინაშე ვშუამდგომლობთ საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვის თაობაზეო [1].

უმაღლეს მთავრობამ ქ. ბათუმი საიმედო გადამხდელად სცნო და საქალაქო თვითმმართველობას საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა მისცა [2].

1899 წლის საბიუჯეტო გეგმით ქ. ბათუმის შემოსავალი განისაზღვრა 825 261 მან. ოდენობით, ფაქტიურად შემოვიდა 532 105 მან. ფაქტიურ ბიუჯეტში ქალაქის ჩვეულებრივმა საშემოსავლო მუხლებმა შეადგინა 221 679 მან., საობლიგაციო სესხის რეალიზაციამ — 55 048 მან., საფუთო გამოსაღებმა — 75 958 მან. [3].

1900 წლისათვის ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტი განისაზღვრა 639 895 მანეთით, ფაქტიურად შემოვიდა 680 996 მანეთი. ჩვეუ-

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 433, ფურც. 2—9.

[2] იქვე, 16—17.

[3] აჭარის ასსრ ცსია, ფ. 6, ს. 201, ფურც. 32—33.

ლებრივი საქალაქო სახსრებიდან შემოვიდა 233 340 მან., საობლიგაციო სესხის რეალიზაციით — 144 567 მან., საფუთო გამოსაღებიდან — 146 716 მან.[1].

1902 წელს ქ. ბათუმის მთელი შემოსავალი უდრიდა 575 438 მან., საიდანაც ქალაქის ჩვეულებრივი სახსრების წილად მოდიოდა 263 233 მან., საობლიგაციო სესხზე — 67 500 მან., საფუთო გამოსაღებზე — 244 705 მან.[2].

ბათუმის თვითმმართველობა ცდილობდა ქალაქის ქონება-საკუთრების რაციონალური მოვლა-ექსპლუატაციის შედეგად გაეზარდა მისი შემოსავალი. საკმაო თანხა დაიხარჯა ქალაქის ფარგლებში არსებული ჭაობების ამოშრობისათვის, მაგრამ დანახარჯი მალე იქნა ამოგებული ამ ნაკვეთების იჯარით გაცემის გზით. ქალაქის შემოსავლის გაზრდას ემსახურებოდა აგრეთვე ზოგი ახალი ობიექტის აშენებაც. მართალია, ნურიის მოედან-ბაზარში სავაჭრო რიგების მოწყობა 80 ათას მანეთზე მეტი დაჯდა, მაგრამ დუქნების სუფთა შემოსავალმა მალე დაფარა ხარჯი და ქალაქი მათი გაქირავებით ყოველწლიურად კარგ მოგებას ღებულობდა. საობლიგაციო სესხის ნაწილი — 25 000 მან. გამოყენებულ იქნა ახლად გახსნილ ლომბარდის ძირითად კაპიტალად. ლომბარდის მოკლევადიანი კრედიტით ძირითადად ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სარგებლობდა. 1901 წელს ლომბარდმა სესხად გასცა 70 694 მან., 1903 წელს — 77 989 მან., 1906 წელს — 95 489 მან., 1913 წელს — 97 974 მან., 1901 წელს ლომბარდის სუფთა შემოსავალი — 523 მან. უდრიდა, იგი თანდათან იზრდებოდა და 1913 წელს 3593 მან. მიაღწია[3]. ლომბარდის მოგებაც თვითმმართველობის ბიუჯეტს ემატებოდა. უფრო გვიან მომგებიან წარმოება-დაწესებულებებს შეემატა სასაკლაო, წყალსადენი, ელექტროსადგური და სხვ. ობიექტები.

ქ. ბათუმის 1899 წლის საგასავლო ბიუჯეტით მთავრობის დაწესებულებათა შენახვაზე დაიხარჯა 23 457 მან., ჯარზე — 4185 მან., პოლიციაზე — 32 364 მან., საპყრობილეზე — 2120 მან. და სხვ.[4]. ბათუმის როგორც სანავსადგურო ქალაქის საგასავლო ბიუჯეტში

---

[1] აჭარის ასსრ ცსია, ფ. 6, ს. 214, ფურც. 7—8.

[2] «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1902 г.».

[3] «Памятная книжка...», стр. 116—121.

[4] «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1899 г.», стр. 5—7.

სავალდებულოდ ითვლებოდა აგრეთვე ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის თანხის გაღება, რადგან ნავსადგური ხაზინის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვანი წყარო იყო. ბათუმის ნავსადგურისა და მისკენ მიმავალი ქუჩების კეთილმოწყობის ხარჯები ბათუმის საგასავლო ბიუჯეტის მეოთხედს და ზოგჯერ მეტსაც შეადგენდა.

1902 წლისათვის ქ. ბათუმის საგასავლო ბიუჯეტი გათვალისწინებული იყო 575 346 მანეთის ოდენობით. აქედან უნდა დახარჯულიყო: 1 მთავრობის დაწესებულებებზე — 1538 მან., 2 ქალაქის თვითმმართველობის შტატზე — 42 456 მან., 3 ჯარისათვის ბინების დასაქირავებლად — 4595 მან., 4 პოლიციაზე — 36 116 მან., 5 სახანძრო რაზმზე — 6583 მან.; 6 ქალაქისა და ნავსადგურის კეთილმოწყობაზე — 257 386 მან., 7 თვითმმართველობის საუწყებო წარმოება-დაწესებულებებზე — 8430 მან., 8 სახალხო განათლებაზე — 37 520 მან., 9 საზოგადოებრივ მზრუნველობაზე — 4990 მან., 10 სამედიცინო, სანიტარიულ და ვეტერინალურ მომსახურებაზე — 45 740 მან., 11 გადასახადების გადახდაზე — 1500 მან., 12 ქალაქის უძრავი ქონების მოვლა-პატრონობაზე — 77 100 მან., 13 ვალების დაფარვაზე — 40 700 მან., 14 დანარჩენი ხარჯები — 10 722 მან. გასავალი შეადგენდა მთლიანად 575 346 მან., საიდანაც ქალაქის ჩვეულებრივი სახსრები იყო 263 141 მან., საობლიგაციო სესხის თანხა — 67 500 მან., საფუთო გამოსაღების თანხა — 244 705 მან. [1].

მთავრობის მიერ დაწესებული საფუთო გამოსაღების მეხუთედი, რაც ქალაქის თვითმმართველობის განკარგულებაში გადადიოდა, ბიუჯეტის არსებით ნაწილს შეადგენდა, მაგრამ გამგეობა ვერ ახერხებდა ამ თანხის დროულად ათვისებას. 1889 წლიდან 1901 წლის ჩათვლით საფუთო გამოსაღების თანხამ (პროცენტებთან ერთად) შეადგინა 2 მლნ მან., საიდანაც დაიხარჯა 1 294 521 მან., ასათვისებელი კი რჩებოდა 715 903 მან. საქალაქო თვითმმართველობა დარჩენილი თანხის გამოყენებას ვარაუდობდა ახალი ობიექტების მშენებლობისათვის, მაგრამ დაიგვიანა. 1901 წლის 8 ივნისს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება (კანონი) საპორტო შესაკრებელთა რეორგანიზაციის შესახებ. ამ კანონის ძალით სა-

---

[1] «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1902 г.».

ფუთო გამოსაღებთა შეკრება დაევალა საბაჟოებს, რომელთაც თანხა უნდა შეეტანათ სახელმწიფო ხაზინაში. დაგროვილი თანხის ორი მეხუთედი უნდა ჩარიცხულიყო სახელმწიფო ბიუჯეტში, სამი მეხუთედი კი ფინანსთა სამინისტროს სპეციალურ ფონდში, საპორტო საქმეთა კომიტეტის განკარგულებაში, რომელიც იმავე კანონის ძალით, ადგილებიდან მოსულ შუამდგომლობათა კვალობაზე, ყოველწლიურად გადასცემდა ქალაქებს სახსრებს ნავსადგურების მოვლა-გაუმჯობესებისათვის.

ამ კანონმა ფრიად დააზარალა სანავსადგურო ქალაქები. თუ აქამდე ბათუმი, მაგალითად, საფუთო გამოსაღებიდან ყოველწლიურად იღებდა საშუალოდ 200 ათას მან., ამის შემდეგ შეეძლო მიეღო მხოლოდ 30—40 ათასი მან. ამასთან ერთად, წინა წლებში დაგროვილი და ჯერაც აუთვისებელი თანხა, მართალია, დეპოზიტის სახით საქალაქო თვითმმართველობის განკარგულებაში რჩებოდა, მაგრამ მის დახარჯვაზე დაწესდა მკაცრი კონტროლი: იგი უნდა გამოყენებულიყო მხოლოდ ნავსადგურის კაპიტალურ სამუშაოებზე. აუთვისებელი თანხა კი 715 903 მან. უდრიდა.

ბუნებრივია, ქალაქის ინტერესების გამომხატველი პირები, ვინც საქმის კურსში იყო, საყვედურს გამოთქვამდა თვითმმართველობის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელმაც ვერ მოახერხა დროულად აეთვისებინა საფუთო გამოსაღების თანხა, მოეხმარა იგი არა მარტო ნავსადგურის, არამედ საერთოდ ქალაქის კეთილმოწყობისათვის. ისინი, არცთუ უსაფუძვლოდ, შენიშნავდნენ, რომ ამ თანხის გამოყენება 1889 და 1891 წლების კანონთა ლიბერალური მუხლების წყალობით ადვილად შეიძლებოდა ქალაქის საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ეს არ უნდა გაჭირვებოდა, კერძოდ, იმდროინდელ ქალაქის თავს ლ. ასათიანს, რომელიც ძალიან კარგ განწყობილებაში იყო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ შალიკაშვილთან და ამიტომ საფუთო გამოსაღების ხარჯვაში თითქმის უკონტროლოდ მოქმედებდაო [1].

მართალია, სპეციალური სახსრების დაკარგვა-ამოწურვის შემდეგ ბათუმის მთლიანი ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ბათუმის თვითმმართველობის ჩვეულებრივი შემოსავალი ზრდას განაგრძობდა, რის გამო კატასტროფულ უკანსვლას ადგილი არ ჰქონია.

[1] «Памятная книжка...», стр. 103—107.

1901 წელს ბათუმის ფაქტიური საშემოსავლო ბიუჯეტი უდრიდა 426 051 მან., 1902 წელს — 315 665 მან., 1903 წელს — 407 179 მან., 1904 წელს — 380 529 მან., 1905 წელს — 407 218 მან., 1906 წელს — 555 520 მან., 1907 წელს — 522 871 მან., 1908 წელს — 448 298 მან., 1909 წელს — 497 976 მან., 1910 წელს — 465 879 მან. [1].

თანდათან იცვლებოდა შემოსავლის სხვადასხვა წყაროების როლი და მნიშვნელობა ბათუმის ბიუჯეტში. 1890-დან 1900 წლამდე საფუთო გამოსაღების თანხამ და საობლიგაციო სესხმა ბიუჯეტს შემატა 2 600 000 მან. შეფასებითმა გამოსაღებმა — 618 124 მან., ქალაქის მიწის ნაკვეთთა საიჯარო ქირამ — 264 143 მან., თვითმმართველობის კუთვნილ შენობების ქირამ — 88 350 მან., შედარებით უმნიშვნელო იყო სასაკლაოს, წყალსადენისა და სხვ. წარმოება-ნაგებობათა შემოსავალი [2].

1901—1910 წლებში ქ. ბათუმის შემოსავალმა სულ შეადგინა 4 427 191 მან., საიდანაც სპეციალურ სახსრებზე (საფუთო გამოსაღების ნაშთები, სესხები, ლომბარდის მოგება და სხვ.) მოდიოდა 1 268 754 მან., შეფასებით გამოსაღებზე — 1 085 221 მან., ქალაქის კუთვნილ მიწისა და შენობების იჯარა-ქირაზე — 638 617 მან., მუნიციპალურ საწარმო-დაწესებულებებზე — 410 955 მან., სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის სანებართვო მოწმობებზე — 324 827 მან., სხვადასხვა სახის არაპირდაპირ შემოსავლებზე — 645 579 მან. [3].

ამგვარად, თუ 1890—1900 წლებში ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტში სჭარბობდა სპეციალური სახსრები (საფუთო გამოსაღები, საობლიგაციო სესხი და სხვ.), მომდევნო ათწლეულში, როცა მთავრობამ უკან წაიღო შეღავათები, გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა ქალაქის ჩვეულებრივმა შემოსავალმა (შეფასებითი გამოსაღები, მიწის საიჯარო ფასი და შენობების ქირა, ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა შემოსავალი, გამოსაღები ვაჭრობა-მრეწველობიდან და სხვ.). მაგრამ ეს ჩვეულებრივი შემოსავალი არ იყო საკმარისი ბათუმის სწრაფად მზარდ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და სპეციალური სახსრების დაკარგვის შემდეგ ქალაქს დაუდგა ფინანსური კრიზისის ხანა.

---

[1] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 71, ფურც. 54—55.

[2] «Памятная книжка..», стр. 126—127.

[3] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 71, ფურც 54—55.

2. ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობა კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესებისათვის

ბათუმისათვის თვითმმართველობის მინიჭების შემდეგაც კარგა ხანს ქალაქის სამშენებლო ნაწილი ისევ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის გამგებლობაში რჩებოდა. ბათუმის მცხოვრებნი ვალდებული იყვნენ ახალი სახლების აგებისა და ძველის გადაკეთების პროექტები ქუთაისში გაეგზავნათ და დიდხანს ეცადათ პასუხისათვის. ამ სიძნელის გამო ბევრი მოქალაქე ყოველგვარი პროექტის გარეშე, უნებართვოდ იწყებდა მშენებლობას და არასასურველი დისონანსი შეჰქონდა ქალაქის დაგეგმარება-გაშენებაში.

1891 წელს ბათუმის თვითმმართველობამ აღძრა შუამდგომლობა სამშენებლო ნაწილის მის გამგებლობაში გადაცემის თაობაზე, მაგრამ ამაოდ. 1895 წელს კვლავ გაიგზავნა ანალოგიური შუამდგომლობა ზემდგომ ინსტანციებში, რაზეც ისევ უარით უპასუხეს. ამის შემდეგ ქალაქის თავმა ლ. ასათიანმა საჩივრით სენატს მიმართა. იგი უკანასკნელი ინსტანციის ამ საკანონმდებლო ორგანოს შეახსენებდა, რომ უმაღლესი ბრძანებით ქ. ბათუმში 1892 წლის დებულება უნდა გატარებულიყო სრული სახით და ამდენად ქუთაისის საგუბერნიო მმართველობა უმაღლეს ნებას არღვევს, როცა ქ. ბათუმის სამშენებლო ნაწილს თავის გამგებლობაში იტოვებსო. ბათუმიდან ნაკრული იყო სწორად მოხვდა ნიშანში. როგორც კი სენატი ასათიანის განცხადების სისწორეში დარწმუნდა, მყისვე გამოუგზავნა კავკასიის მთავარმმართველს მითითება დაშვებული შეცდომის გამოსწორების თაობაზე. 1898 წელს, სათანადო მიმოწერის შემდეგ, ბათუმის სამშენებლო ნაწილი შევიდა საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციაში [1].

ბათუმის თვითმმართველობის პრაქტიკაში თავიდანვე დაინერგა ფუნქციების განაწილების წესი. ქალაქის თავის უშუალო გამგებლობაში იყო ახალი ნაგებობებისა და ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, ქალაქის უძრავ-მოძრავი ქონების მოვლა-პატრონობა. გამგეობის ერთ წევრს ევალებოდა ზრუნვა ქალაქის წყლით მომარაგებაზე, განათებაზე, ფინანსებზე, გადასახადების აკრეფაზე და

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 516—517.

სხვ. გამგეობის მეორე წევრის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო სახალხო განათლება, სამედიცინო, სანიტარიული და ვეტერინალური ნაწილი. ქალაქის მდივანს ევალებოდა მეთვალყურეობა არჩევნებზე, თხოვნა-შუამდგომლობების შედგენა, ქალაქის თავის მიმოწერის გაფორმება, თვიური და წლიური ანგარიშების შედგენა, რევიზიის წარმოება და სხვ. თვითმმართველობის კანცელარიაში იდგა სხვადასხვა მაგიდა — საადგილმამულო, სასამართლო. ადმინისტრაციული, სამშენებლო, საავადმყოფოს, წყალსადენის, ქალაქის განათებისა და სხვ. ყოველ მაგიდას ხელმძღვანელობდა საქმის მწარმოებელი [1].

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ახალფორმირებულ სამშენებლო ნაწილში შევიდა არქიტექტორი, მხაზველი, მწერალი და ორი ათისთავი. ბუნებრივია, ბათუმში არსებული ეს დაწესებულება უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობდა საქმეს. შემცირდა მშენებლობათა პროექტების დამტკიცების გაჭიანურების შემთხვევები, გამოსწორდა ქალაქის დაგეგმარება-გაშენებაში დაშვებული ზოგი შეცდომა.

ოსმალთა ბატონობის დროს ბათუმი იყოფოდა 4 უბნად: „აზიზიე“, „ნურიე“, „ახმეტიე“ და „მუფთიე“. რუსული მმართველობის დამყარების პირველ წლებშივე ბათუმს კიდევ ერთი ახალი კვარტალი მიემატა, რომელსაც „სარი სუ“ (რუსული ნომენკლატურით „გოროდოკი“) უწოდეს. ქალაქის ეს კვარტალი იმთავითვე სახაზინო საკუთრებად გამოცხადდა.

1878 წელს რუსმა კარტოგრაფებმა შეადგინეს ქ. ბათუმის მიახლოებითი გეგმა, რომელიც თითქმის მთლიანად ემთხვეოდა პორტოფრანკოს ფარგლებს. მასში შედიოდა მცირე ტერიტორია 3,5 კვ. ვერსი ფართობით, რაც არასაკმარისი იყო მზარდი ქალაქის გაშლა-გაფართოებისათვის [2].

1893 წელს დაისვა ქ. ბათუმისათვის ე. წ. „ცივი გარეუბნის“ შეერთების საკითხი. ამ მომენტში ქალაქის თავად მთავრობის მოხელე გავრონსკი მუშაობდა. იგი ზედმეტად თვლიდა ქალაქის გაფართოებას და უარი თქვა ახალი რაიონის შემოერთებაზე. მისი გავლენით გამგეობის წევრები და სათათბიროს ხმოსნებიც ქალაქის

---

[1] «Памятная книжка...», стр. 47—52.

[2] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 288, ფურც. 63—66.

საზღვრების გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდნენ იმ მოტივით, რომ მოუწყობელი გარეუბანი დიდ ტვირთად დააწვება თვითმმართველობის ბიუჯეტსო. მცირე ხნის შემდეგ შეხედულება შეიცვალა. 1895 წელს, როცა ბათუმს უკვე არჩეული ქალაქის თავი ლ. ასათიანი განაგებდა, საქალაქო სათათბირომ დაადგინა „ციცი გარეუბანი" შეეტანა ქალაქის ფარგლებში და დაავალა ქალაქის თავს აღეძრა საკანონდო შუამდგომლობა [1].

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა საკმაო ყურადღებას აქცევდა ბათუმის გეგმის შედგენისა და ქალაქის გაფართოების პრობლემას. თავდაპირველად ქალაქის გეგმის შედგენა დაეკალა სპეციალურ კომისიას (თავმჯდომარე რჩეულიშვილი), რომელმაც კეთილსინდისიერად იმუშავა და მალე გამგეობას წარუდგინა როგორც ქალაქის, ისე გარეუბნის გეგმები. ამასთან ერთად კომისიამ სასურველად მიიჩნია ქალაქის საზღვრების გაზრდა გარეუბნების ხარჯზე, რაც აუცილებელი იყო ახალმშენებლობებისა და საგარეუბნო მეურნეობების მოწყობისათვის. ახალი გეგმის მიხედვით ქალაქის ფართობი უდრიდა 676 დესეტინას, გარეუბნების ჩათვლით კი — 13 500 დესეტინას. ქალაქის გეგმის ეს პროექტი მთავრობამ არ დაამტკიცა და ბათუმის თვითმმართველობას კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდა გეგმის შედგენა-გადაკეთებაზე.

1910 წელს აღძრულ შუამდგომლობაში ქალაქის თავი ი. ანდრონიკაშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ ბათუმის საზღვრების გაფართოების საკითხი ჯერაც გადაუჭრელიაო. ქალაქის გენერალური გეგმა, წერდა იგი, შედგა 1885 წელს, რომლის მიხედვით ქალაქის ფარგლებში შეტანილ იქნა მხოლოდ 3,5 კვ. ვერსი ტერიტორია. მოსახლეობა სწრაფად გაიცდა მის საზღვრებს. ქუჩები და სახლები შენდებოდა ყოველგვარი გეგმის გარეშე, რადგან საზოგადოებრივ მმართველობას ხელი არ მიუწვდებოდა ოფიციალურად დადგენილ ფარგლებს გარეთო. ქალაქის თავი ეხებოდა აგრეთვე საძოვრების საკითხს და მთავრობას შეახსენებდა, რომ ვეებერთელა რუსეთის იმპერიაში ბათუმი ერთადერთი ქალაქია, რომელსაც საძოვრები სრულიად არ გააჩნია. ბათუმისათვის სახაზინო საძოვრების მიზომვის საკითხი ჯერ კიდევ 1888 წელს აღიძრა, მაგრამ დღემდე არ გადაჭრილაო [2].

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 12, ანაწ. 6, ს. 1089, ფურც. 6—8.

[2] აჭარის ასსრ ცსია, ფ. 6, ს. 288, ფურც. 63—66.

ი. მეხის გადმოცემით ქალაქისათვის საძოვრების გამოყოფის შუამდგომლობას სათანბირო ასე ასაბუთებდა: 1. ბათუმის გარეუბნები მისი კარგი კლიმატის წყალობით მომავალში გადაიქცევა სანატორიუმად და თუ ქალაქის საზღვრები არ გაფართოვდა, თვითმმართველობას საშუალება არ ექნება მონაწილეობა მიიღოს კურორტების მშენებლობაში, 2. ბათუმი მარტო კომერციული ქალაქი როდია. იგი მნიშვნელოვანი სიმაგრეცაა დიდი გარნიზონით. ქალაქისა და სამხედრო გარნიზონის ხილბოსტნეულით მომარაგების საჭიროება მოითხოვს საგარეუბნო მეურნეობების შექმნას, 3. გარეუბანშია ახალი წყალსადენის სათავე და იქ ტყის მასივის დაცვა შეუძლებელია ისე, თუ იგი არ გადაეცა ქალაქს, 4. გარეუბნების შემოერთების შემდეგ თვითმმართველობა იზრუნებს გზების კეთილმოწყობაზე, რაზეც მოსახლეობა დიდიხანია ოცნებობს[1].

დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით გამოყოფილმა კომისიამ ბათუმისათვის გადასაცემად ივარაუდა ტერიტორია ყოროლის წყალსა და მეჯინას შორის 1885 დესეტინა ფართობით[2]. უფრო გვიან, 1896 წელს ბათუმის საზოგადოებრივ მმართველობას აცნობეს, რომ ქალაქისათვის გამოთხოვილი საძოვარი სადავოა ხაზინასა და იოსელიანს შორის და ამ დავის გადაწყვეტამდე საკითხი ვერ გადაიჭრებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ სასამართლომ სადავო საქმე გაარჩია, მაგრამ ქალაქისათვის საძოვრების მიზომვის საკითხი კვლავ ღიად დარჩა. გადაუჭრელი რჩებოდა ქალაქის ფარგლებში არსებული სახაზინო ნაკვეთების თვითმმართველობისათვის გადაცემის საკითხიც. 1917 წლამდე ქ. ბათუმის ოფიციალურად აღიარებულ საზღვრებში მოქცეული იყო მხოლოდ 3.5 კვ. ვერსი ფართობი, რომელსაც მნიშვნელოვნად გასცდა ქალაქის ფაქტიური ტერიტორია. მთავრობის ასეთი პოლიტიკა ზღუდავდა ბათუმის ზრდის შესაძლებლობებს, აძნელებდა მის წესიერ დაგეგმარებაგაშენებას ოფიციალურ საზღვრებს მიღმა.

1899 წლისათვის ქ. ბათუმის ქუჩების სიგრძე 33 ვერსს, ფართობი კი 148 870 კვ. საჟენს უდრიდა, საიდანაც შოსირებული იყო 8425 კვ. საჟენი, მოკირწყლული რიყის ქვით — 72 347 და მოასფალტებული 8673 კვ. საჟენი[3].

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 509—510.

[2] აჭარის ასსრ ცსია, ფ. 6, ს. 288, ფურც. 63—66.

[3] «ЦГИА СССР, ф. 1287, оп. 28. д. 784, лл. 11—15.

მომდევნო ხანაში მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. 1903 წლისათვის ბათუმში მოკირწყლულ-მოასფალტებული იყო 25 ვერსი სიგრძისა და 93 028 კვ. საჟენი ფართობის ქუჩები. მოუკირწყლავი რჩებოდა 12 ვერსი სიგრძისა და 52 102 კვ. საჟენი ფართობის ქუჩები. მოასფალტებული ტროტუარების სიგრძე 24 ვერსს შეადგენდა [1].

ქ. ბათუმის განუყოფელ კომპონენტს შეადგენდა ნავსადგური. თუ შემოერთების მომენტში ბათუმის ნავსადგურის ბრუნვა არ აღემატებოდა 0,5 მლნ ფუთს, 1885 წელს ტვირთბრუნვამ მიაღწია 8 მლნ, ხოლო XIX—XX სს. მიჯნაზე 100 მლნ ფუთს გადააჭარბა. მეფის მთავრობა, რომელიც დიდ შემოსავალს იღებდა ნავსადგურებიდან, ბუნებრივია, შედარებით მეტს ზრუნავდა ბათუმის პორტის კეთილმოწყობისათვის.

ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება საკმაო თანხას ხარჯავდა ბუნების მიერ შექმნილი ბათუმის ნავსადგურის ხელოვნური ნაგებობებით გასაუმჯობესებლად. ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალის გამართვის შემდეგ, როცა ცხადი გახდა ნავთობის ექსპორტის არნახული მასშტაბით ზრდის პერსპექტივა, დღის წესრიგში დადგა ბათუმში ე. წ. „ნავთობის ნავსადგურის“ მშენებლობის საკითხი. 1885—1895 წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, თანდათან შევიდა ექსპლუატაციაში ნავთის საექსპორტო გემების რამდენიმე მისადგომი. 1895 წელს ბათუმის პორტის ტვირთბრუნვამ მიაღწია 80 მლნ ფუთს, საიდანაც 58 მლნ ფუთი ნავთობის ნავსადგურზე მოდიოდა, მაგრამ მალე შესამჩნევი გახდა მისი გამტარიანობის არასაკმარისობა. ნავსადგურის გაფართოების სამუშაოთა დასაფინანსებლად კვლავ გამოიყო თანხები. სულ 1884-დან 1907 წლამდე ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობაზე სახელმწიფო ხაზინამ დახარჯა 6 541 000 მან., საქალაქო თვითმმართველობამ კი — 1 200 000 მან. [2].

ბათუმის ტერიტორია, მართალია, დიდი არ იყო, მაგრამ მაინც იგრძნობოდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროება. ქალაქში კონკის მშენებლობის საკითხი პირველად დაისვა 1895 წელს, როცა თვითმმართველობას სათანადო კონცესია გამო-

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 529.

[2] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, საქ. 1541, ფურც. 110—111.

სთხოვა რუსეთის ცხენის რკინიგზების აქციონერულმა საზოგადოებამ. ორი წლის შემდეგ ბათუმის თვითმმართველობას ტრამვაის მშენებლობის პროექტები წარუდგინეს ფრანგმა ინჟინერმა დიუნანგმა და ვინმე პოლიაკოვმა. ამ წინადადება-პროექტების შედარებითი განხილვის შემდეგ, 1897 წელს ბათუმის საქალაქო სათათბირომ მიიღო დადგენილება ტრამვაის მშენებლობის ხელშეკრულება გაეფორმებინა რუსეთის სააქციო საზოგადოებასთან. მაგრამ მალე გამგეობაში შემოვიდა ბათუმელ მოქალაქეთა თხოვნა ელექტრული ტრამვაის მშენებლობის კონცესიის მიცემის თაობაზე. ბათუმის სათათბირომ უპირატესობა მისცა ბათუმელებს, გადაწყვიტა საკონცესიო ხელშეკრულება დაედო თანამოქალაქეებთან, თუ ისინი შესძლებდნენ აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბებას და საჭირო კაპიტალის მობილიზებას. სამწუხაროდ ბათუმელმა მოქალაქეებმა ამ რთულ საქმეს თავი ვერ გაართვეს. სავალალო ისიც იყო, რომ ბათუმელთა საქმეში გასვლამ ჩაშალა ქალაქსა და რკინიგზების სააქციო საზოგადოებას შორის თითქმის უკვე გაფორმებული ხელშეკრულება.

1902—1904 წლებში ბათუმის საქალაქო სათათბირომ კვლავ იმსჯელა ტრამვაის მშენებლობის პრობლემაზე. ხმოსანთა ერთი ნაწილი მოითხოვდა ტრამვაის მოწყობას სამეურნეო წესით, მეორე ნაწილი მიზანშეწონილად თვლიდა კონცესიონერთა გამოწვევას. მაგრამ ამაოდ. ბათუმის თვითმმართველობამ სახსრები ვერ გამონახა, ტრამვაის მოწყობა-ექსპლუატაციის გეგმები განუხორციელებელი დარჩა.

ბათუმის თვითმმართველობა საკმაო ყურადღებას აქცევდა ქალაქის განათების საქმეს. 1899 წლისათვის ბათუმის ქუჩებში იდგა „მოლნიას“ სისტემის 785 ნავთის ფარანი. ყოველი ფარნის განათებაში პოდრიადჩიკი თვითმმართველობისაგან იღებდა წლიურად 13 მან. 1899 წლის ბიუჯეტით ქალაქის განათებაზე დაიხარჯა 11 106 მან. [1].

ნავთის ფარნები და მათი ექსპლუატაციის პოდრიადული სისტემა უკვე ჩამორჩა დროის მოთხოვნებს. ჯერ კიდევ 1892 წელს დაისვა ქ. ბათუმის ელექტრულ განათებაზე გადაყვანის საკითხი.

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 634—636.

გამოთხოვილ იქნა ამ საქმეში საფუთო გამოსაღებით მიღებული თანხის გამოყენების ნებართვა, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქს უარით უპასუხა.

1897 წელს ქალაქის თავი სათათბიროს ხმოსნებს მოახსენებდა, რომ ჩვეულებრივი სახსრები ჩვენ არ გაგვაჩნია, რაც გვაიძულებს დროებით მოვხსნათ დღის წესრიგიდან ქალაქის ქუჩების განათების საკითხი და დაშვებული თანხა მხოლოდ ნავსადგურის ელექტროგანათებისათვის გამოვიყენოთო. სათათბიროს მისაღებად ჩათვალა ქალაქის თავის წინადადება და მიიღო დადგენილება სათანადო სპეციალისტების გამოწვევის თაობაზე.

1898 წლის აპრილში უკვე მზად იყო პროექტი ხელშეკრულებისა, რომელიც უნდა დადებულიყო პოდობედოვის ფირმასა და ბათუმის ქალაქის თავს ლ. ასათიანს შორის, ფირმა ვალდებულებას კისრულობდა აეგო თბოელექტროსადგური, ნავსადგურში დაედგა 55 ელექტროლამპიონი და ყველა სამუშაოები დაემთავრებინა 12 თვეში, რაშიც იგი ბათუმის თვითმმართველობისაგან მიიღებდა 130 ათას მანეთს. მაგრამ ეს პროექტი არ დამტკიცებულა [1].

ქალაქის სათათბიროს შეიცვალა აზრი. ხმოსნების უმრავლესობამ მოითხოვა უარი ეთქვათ ნავსადგურის ცალკე განათებაზე, დაეკავშირებინათ იგი მთელი ქალაქის განათების საქმესთან. 1898 წლის 30 ივლისს სათათბიროს დაადგინა ელექტროსადგურისა და ელექტროგაყვანილობის მოწყობა 100 ათას მან-ად გადაეცა რომელიმე ფირმისათვის, რომელიც იკისრებდა ვალდებულებას ქალაქის ქუჩებში დაედგა 166, ხოლო ნავსადგურში 55 ელექტროლამპიონი.

ელექტროსადგურის აგებისა და ელექტროგაყვანილობის მოწყობის ტექნიკური პროექტის შედგენა ზემოხსენებულმა პოდობედოვის ფირმამ იკისრა და ვალდებულება სწრაფად შეასრულა. 1897 წლის დეკემბერში გზათა სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროექტი ბათუმის თვითმმართველობას გადმოეგზავნა. 1898 წლის დამდეგს საქალაქო გამგეობამ გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება, იწვევდა მშენებელ ფირმებს, რომელნიც იკისრებდნენ დამტკიცებული პროექტის ხორცშესხმას, ელექტროსადგურის აგე-

---

[1] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 137, ფურც. 134—135.

ბასა და ელექტროგაყვანილობის მოწყობას. განცხადებას რამდენიმე ფირმა გამოეხმაურა. გამგეობამ უპირატესობა მისცა „ოლშევიჩი და კერნის“ ფირმას (კიევი)[1].

გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მშენებლობა დაიწყო 1899 წლის დამდეგს. 1901 წლისათვის „ოლშევიჩი და კერნის“ ფირმამ ყველა სამუშაო დაამთავრა. საქალაქო თვითმმართველობის კომისიამ ელექტროსადგური და ელექტროგაყვანილობა მაღალხარისხოვნად ჩათვალა და წინადადება მისცა გამგეობას ანგარიში გაეწორებინა მშენებელი ფირმისათვის[2].

მართალია, 1901 წლიდან ბათუმის ქუჩების უმეტესობა და ნავსადგური ელექტრონულ განათებაზე იქნა გადაყვანილი, მაგრამ ელექტროსადგურის მუშაობაში მალე გამომჟღავნდა დეფექტები. სპეციალურმა კომისიამ საჭიროდ ჩათვალა თბოელექტროსადგურის გადაკეთება, ორთქლის მანქანების შეცვლა დიზელმოტორებით. ეს გადაკეთება დამთავრდა მხოლოდ 1912 წელს. ამის შემდეგ ელექტროსადგური დენს შეუფერხებლად აწოდებდა ნავსადგურს, ქალაქის ქუჩებს, მთავრობისა და თვითმმართველობის ყველა დაწესებულებას. 1913 წლისათვის ბათუმის ელექტროსადგურს ჰყავდა 106 კერძო აბონენტი[3].

ბათუმის თვითმმართველობა საკმაო დროსა და თანხას უთმობდა ქალაქის წყლით მომარაგების საქმეს.

შეერთების მომენტში ბათუმს ჰქონდა თიხისმილებიანი წყალსადენი, რომელიც სავსებით საკმარისი იყო მისი 2—3 ათასი მცხოვრებისათვის. შემდეგ, მოსახლეობის სწრაფი ზრდის პირობებში, არსებული წყალსადენი არასაკმარისი აღმოჩნდა და ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეული სამუშაოები ჩაეტარებინა წყალსადენის გადაკეთება-გაფართოებისათვის. მისი სადღეღამისო დებიტი გადიდდა 60 ათას ვედრომდე, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს წყალსადენი მაინც ვერ აკმაყოფილებდა ბათუმის მოსახლეობისა და ნავსადგურში შემოსული გემების მოთხოვნილებას.

თვითმმართველობის შემოღების მეორე წელსვე უფრო აქტიურად დაისვა ახალი წყალსადენის მოწყობის საკითხი. მიზანშეწო-

[1] «Батум и его окрестности», стр. 631—633.

[2] «Памятная книжка...», 187—190.

[3] Там же.

ნილად მიიჩნიეს გაეთვალისწინებიათ ქალაქის შორეული მომავლის ინტერესები და მოეწყოთ მძლავრი წყალსადენი დღე-ღამეში 600 ათასი ვედრო დებიტით. გაზ. „ნოვოსტში“ გამოქვეყნებულ განცხადების პასუხად საქალაქო გამგეობაში შემოვიდა მხოლოდ ერთი პროექტი, რომელიც უვარგისად იქნა მიჩნეული.

XIX ს. 90-იან წლებში ახალი მძლავრი წყალსადენის საჭიროება თანდათან მწვავედ იგრძნობოდა. თვითმმართველობის მოღვაწეები მეტი ენერგიით მუშაობდნენ ამ პრობლემის გადაჭრაზე. სწარმოებდა ლეჩასა და თამარის წყაროების ქიმიური გამოკვლევა, დგებოდა წყალსადენის ახალ-ახალი პროექტები. მას შემდეგ რაც ცნობილმა ავსტრიელმა სპეციალისტმა ლინდლეიმ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, წყალსადენის საკითხის შესწავლა დაევალა ინჟ. მიხაილოვს. ამ უკანასკნელმა უპირატესობა მიანიჭა ლეჩას წყაროს და გაიანგარიშა, რომ იქ წყალსადენის სათავის მოწყობა დაჯდებოდა 60 000 მან. საქალაქო სათათბირომ გაითვალისწინა მიხაილოვის მოსაზრება და დაადგინა: 1. ახალი წყალსადენი გამოყვანილ იქნას ლეჩადან. 2. ეთხოვოს ქუთაისის გუბერნატორს პროექტის შედგენისათვის საფუთო გამოსაღებიდან დაუშვას 7 ათასი მან. 3. დაევალოს გამგეობას შეადგინოს ხელშეკრულების პროექტი და წყალსადენის პროექტის შედგენა მიანდოს კარგ სპეციალისტს [1].

1899 წლის 13 ივლისს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გასცა სათანადო ნებართვა და ბათუმის საქალაქო გამგეობამ 14 ივლისს ხელშეკრულება გააფორმა ინჟ. მიხაილოვთან. მან იკისრა წყალსადენის პროექტის შედგენა და მისი პრაქტიკული განხორციელება. 1900 წლის მარტში პროექტი უკვე მზად იყო. მასში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა საგუბერნიო ინჟინერმა და ქალაქის გამგეობამ. პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით 600 ათასი ვედრო სიმძლავრის ახალი წყალსადენის მოწყობა ჯდებოდა 450 ათასი მანეთი [2].

ახალი წყალსადენის მშენებლობა დაიწყო 1901 წელს და დამთავრდა 1908 წელს. მისი სიგრძე ქალაქსა და გარეუბნებში უდრიდა 38 ვერსს. ბათუმის ახალი წყალსადენი როგორც წყლის ხა-

---

[1] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 48, ფურც. 184—214.

[2] იქვე. ფურც. 223—224, 268—270.

რისხითა და სიმძლავრით, ისე თავისი კონსტრუქციით აღიარებულ იქნა ერთ-ერთ სოლიდურ ნაგებობად, რომელიც პასუხობდა იმ დროის მაღალ მოთხოვნებს [1].

ბათუმის თვითმმართველობა თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს ხარჯავდა სასაკლაოს საჭიროებისათვის. პირველ ხანებში გამოყოფილი თანხა ხმარდებოდა ძველ სასაკლაოს შეკეთება-გადაკეთებას. XX ს. დამდეგს აშენდა ახალი სასაკლაო ქალაქგარეთ.

ბევრი სამუშაოები ჩაატარა თვითმმართველობამ ქალაქის ბაღის შექმნა-გაუმჯობესებისათვის. ალექსანდრეს სახელობის ბაღს შავი ზღვის სანაპიროზე საფუძველი ჩაეყარა 1881 წელს. 1884 წელს დაიწყო ბულვარის მოწყობაც. ბაღ-ბულვარისათვის შერჩეული ადგილი წარმოადგენდა ზღვისპირა რიყეს, სადაც ნიადაგი ხელოვნურად შეიქმნა მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად. ბაღი და ბულვარი, რომელთაც ეკავა 40 615 კვ. საჟენი ფართობი, თანდათან ივსებოდა სუბტროპიკული მცენარეებით. ბაღთან დაარსებული სანერგე, რომელსაც თვალისჩინივით უვლიდა აგრონომი ლიონიძე, ნერგებს აწოდებდა არა მარტო ბათუმის ბაღ-ბულვარის, არამედ ქუჩების გამწვანებისთვისაც. 1912 წლისათვის ბაღისა და სანერგეს შემოსავალმა მიაღწია 7576 მან. რითაც იფარებოდა მათზე გაწეული ხარჯების ნახევარი [2].

ამგვარად, თვითმმართველობის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად XIX—XX ს. მიჯნაზე ქ. ბათუმი უკვე წარმოადგენდა ევროპულად გამართულ საკმაოდ სუფთა ქალაქს. იგი დასერილი იყო სწორი, მოკირწყლულ-მოასფალტებული ქუჩებით და მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

3. ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

რუსეთთან შეერთებამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არ ყოფილა არც ერთი სამოქალაქო სკოლა. მუსლიმანური სკოლები არსებობდა მეჩეთებთან, რომლებშიც ისწავლებოდა მხოლოდ ყურანი. ქ. ბათუმში 1861 წლიდან მოქმედებდა აგრეთვე ბერძნული საეკლესიო სკოლა [3].

---

[1] «Памятная книжка...», стр. 184—187.
[2] Там же, стр. 191—193.
[3] «Батум и его окрестности», стр. 588.

ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება არ ზრუნავდა ხალხის ფართო მასების სწავლა-განათლებისათვის. თვითმმართველობის შემოღებამდე ქ. ბათუმში ძველი მუსლიმანური და ბერძნული საეკლესიო სკოლების გვერდით დაარსდა ერთი ქართული დაწყებითი სკოლა („წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა"), ქალთა დაწყებითი სასწავლებელი და ერთი სამკლასიანი საქალაქო სკოლა, რომელიც უფრო მოგვიანებით ექვსკლასიანად გადაკეთდა. 1888 წელს დაისვა ტექნიკუმის დაარსების საკითხი, მაგრამ გაიხსნა სახელოსნო სასწავლებელი.

1889 წელს ქალთა სკოლა, რომელსაც აქამდე განაგებდა ბათუმის საქველმოქმედო კომიტეტი, გადავიდა თვითმმართველობის უწყებაში და მისი გამგებლობა დაეკისრა განსაკუთრებულ სასკოლო კომისიას. ქალთა სკოლისათვის აიგო ახალი შენობა. მისი საჭიროებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფოდა 3—5 ათასი მან. [1].

1893 წელს დაისვა ვაჟთა გიმნაზიის გახსნის საკითხი. მაგრამ მთავრობამ უარი თქვა აეყვანა იგი ხაზინის ხარჯზე. მას შემდეგ რაც საქალაქო თვითმმართველობამ იკისრა გიმნაზიის შენობის აგების მთელი ხარჯები და მისთვის ყოველწლიური 15 ათასი მან-ის სუბსიდიის დანიშვნა, განათლების სამინისტრომ გასცა ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების ნებართვა (1897 წლის 22 მარტი). ვაჟთა გიმნაზიის შენობის აგებაზე საქალაქო თვითმმართველობამ 215 ათასი მან. დახარჯა. თვითმმართველობა ფარავდა აგრეთვე ყოველწლიური ხარჯების უდიდეს ნაწილსაც. XIX—XX სს. მიჯნაზე ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა კონტინგენტი 200-მდე აღწევდა [2].

1897 წელს სათათბიროს ერთ-ერთ სხდომაზე ხმოსანმა ნ. დუმბაძემ მოითხოვა ბათუმში ქალთა საშუალო სკოლის დაარსება. მომდევნო წელს კი გ. ვოლსკიმ სათათბიროში წარადგინა მოხსენება ბათუმში არსებული მარიას სკოლის ქალთა გიმნაზიად გადაკეთების თაობაზე. სათათბირომ კიდეც აღძრა ხათანადო შუამდგომლობა, მაგრამ იანოვსკიმ გაილაშქრა მარიას სკოლის გიმნაზიად გადაკეთების წინააღმდეგ. მარიას სახ. დაწყებითი სკოლები

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 594.
[2] Там же, стр. 600—603.

საჭიროა დაბალი კლასების წარმომადგენელთათვის, ამით ჩვენ ვიცავთ არსებულ გიმნაზიებს დემოკრატიული ელემენტების შემოსევისგანო [1].

მართალია, მარიას სკოლის გიმნაზიად გადაკეთების პროექტი უარყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, მაგრამ ბათუმის თვითმმართველობას ქალთა საშუალო სკოლის დაარსებისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ მთავრობა დათმობაზე წავიდა, 1901 წელს ბათუმში გახსნა ქალთა გიმნაზია. თავდაპირველად ეს სასწავლებელი ვაჟთა გიმნაზიის შენობაში მოთავსდა. უფრო მოგვიანებით თვითმმართველობამ ქალთა გიმნაზიისათვის ააგო ცალკე შენობა, რომელიც 80 ათასი მანეთი დაჯდა.

მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი სკოლების დაფინანსება ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მოვალეობას შეადგენდა. მაგრამ თითქმის ყველა ეს სასწავლებელი იმყოფებოდა მთავრობისა და სასწავლო ოლქის გამგებლობაში. გარდატეხა იწყება 1898 წლიდან, როცა თვითმმართველობის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 2000 მან. ქალთა ქართული სკოლის გახსნისათვის. მალე ამის შემდეგ თვითმმართველობამ თანდათან გახსნა ვაჟთა და ქალთა ქართული, რუსული, თურქული, სომხური და ბერძნული დაწყებითი სკოლები, აგრეთვე პედაგოგიური კურსები, რომელნიც იმყოფებოდა თვითმმართველობასთან არსებულ სასწავლო კომისიის გამგებლობაში. XX ს. დამდეგს თვითმმართველობა ამ სკოლებზე ხარჯავდა წლიურად 14 792 მან. ამას გარდა ეხმარებოდა სახაზინო სკოლებს (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, 6 კლასიანი საქალაქო სკოლა) 26 285 მან-ით, ხოლო კერძო და საზოგადოებრივ სკოლებს — 2900 მან-ით [2].

1908 წელს ქალაქის სკოლასთან გაიხსნა სამოსწავლო მუზეუმი, რომელიც 1912 წელს გადაკეთდა ბათუმის საქალაქო მუზეუმად. იქ წარმოდგენილი იყო ფლორა-ფაუნის, მინერალოგია-გეოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, ფიზიკა-გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, ეთნოგრაფიის, ისტორიის, არქეოლოგიის, მხატვრული და მუნიციპალური განყოფილებები.

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 608.
[2] Там же, стр. 614—616.

სასწავლო-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის თვითმმართველობის მიერ ამ სფეროში გაწეული ხარჯები. ერთდროული თანხების გარდა, რაც ხმარდებოდა სასკოლო შენობების აგებას, თვითმმართველობის საგაკვავლო ბიუჯეტში ყოველწლიურად იყო გათვალისწინებული ე. წ. მიმდინარე ხარჯები, რაც 1888 წელს შეადგენდა 2300 მან., 1890 წელს — 5300 მან., 1892 წელს — 8610 მან., 1898 წელს — 23 583 მან., 1901 წელს — 38 821 მან., 1904 წელს — 44 963 მან., 1907 წელს — 97 302 მან., 1911 წელს — 84 394 მან., 1914 წელს — 70 930 მან. [1]. სახალხო განათლებაზე ბათუმის თვითმმართველობა ხარჯავდა თავისი ბიუჯეტის 10—15 პროცენტს.

1914 წლისათვის ქალაქის 8 დაწყებით სკოლაში ითვლებოდა 902 მოსწავლე — 506 ვაჟი და 396 ქალი. მათგან რუსი იყო 219, ქართველი — 308, სომეხი — 176, ბერძენი — 148, მუსლიმანი — 7, ებრაელი — 6, სხვა ეროვნებისა — 32.

სოციალური წარმოშობის მიხედვით, დაწყებითი სკოლების 30 მოსწავლე იყო თავად-აზნაური, 83 — საპატიო მოქალაქე და ვაჭარი, 129 — მეშჩანი, 515 — გლეხი, 145 — სხვა წოდებისა [2]. დაბალ მასაში დაწყებითი, ელემენტარული ცოდნის შეტანა პასუხობდა მთავრობის, თვითმმართველობისა და გაბატონებული ფენების ინტერესებს, რადგან ტექნიკური პროგრესის პერიოდში ყოვლად უმეცარი მუშა დამქირავებლებს არ გამოადგებოდა. მუშა ხალხისათვის საშუალო და მით უმეტეს, უმაღლესი განათლების მიცემისათვის კი არავინ ზრუნავდა. ბათუმის გიმნაზიებში ძირითადად ზედაფენებიდან გამოსული ბავშვები სწავლობდნენ, მათზე იხარჯებოდა ბურჟუაზიული თვთმმართველობის მიერ სწავლა-განათლებისათვის გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილი.

* *

რუსეთთან შეერთების პერიოდში ქ. ბათუმის სანიტარიული მდგომარეობა მეტად ცუდი იყო. ქალაქის გარეუბნებსა და თვით ცენტრშიც კი საკმაო ადგილი ჭაობებით იყო დაფარული. ადგი-

---

[1] «Памятная книжка...», стр. 175—181.
[2] Там же, стр. 88—89.

ლობრივმა მთავრობამ თავიდანვე საკმაო ყურადღება მიაქცია ჭაობების ამოშრობის საქმეს, ხუთ წელიწადში მასზე დახარჯა 80 ათასი მანეთი. 1884 წელს მელიორაციის სამუშაოები შეჩერდა და არსებითად განახლდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, როცა ქალაქის თვითმმართველობამ ნება მიიღო საფუთო გამოსაღების თანხა ჭაობების ამოშრობისთვისაც გამოეყენებია. 1900 წელს ჭაობების ამოშრობაზე დაიხარჯა 153 567 მან., 1905—1909 წლებში კი — 218 ათასი მან.[1]. ბათუმის გარეუბნებში ამის შემდეგაც ბლომად რჩებოდა ჭაობები, მაგრამ ჩატარებულმა სამელიორაციო სამუშაოებმა ენიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქის სანიტარიული მდგომარეობა.

ჩამოყალიბების პირველსავე წელს ბათუმის თვითმმართველობამ შექმნა ქალაქის სანიტარიული კომისია, რომელიც ოთხ საპოლიციო უბნის შესაბამისად ოთხ რაზმად გაიყო. ყოველ რაზმში შედიოდა ორი ექიმი, ორი მოქალაქე, თითო ხმოსანი და პოლიციელი[2].

1892 წლის ქოლერის ეპიდემიამ და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებამ დაარწმუნა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სანიტარიულ დაწესებულებათა გაძლიერებას. 1893 წელს დაწესდა სანიტარიული ექიმისა და ფერშლის თანამდებობები. 1895 წელს შეიქმნა სათათბიროს სანიტარიული კომისია. 1903 წელს ბათუმში დაარსდა სანიტარიულ-სტატისტიკური ბიურო. 1904 წლისათვის ქალაქის სანიტარიულ დაწესებულებათა სისტემაში შედიოდა ქალაქის საავადმყოფო ყველა განყოფილებით, სანიტარიულ-სტატისტიკური ბიურო, სანიტარიულ-საექიმო საბჭო, ქალაქის სანიტარიულ-ვეტერინალური სადგური და სადეზინფექციო კამერა[3].

საქალაქო თვითმმართველობის შემოღებამდე ბათუმში არსებობდა ერთი პატარა საავადმყოფო 25 საწოლით. 1892 წელს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა ბათუმში 60-საწოლიანი საავადმყოფოს მოწყობის თაობაზე. მაგრამ კარგა ხანს საკითხი ადგილიდან არ დაძრულა. 1896 წელს საავადმყოფოს ერთი მთავარი განყოფილება ხანძარმა იმსხვერპლა. ქალაქის თავ-

---

[1] «Памятная книжка...», стр. 169—172.
[2] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 53, ფურც. 4—5, 15.
[3] «Батум и его окрестности», стр. 564—567.

მა ასათიანმა მოიწვია სპეციალისტები (ინჟინრები და ექიმები) და წინადადება მისცა მათ ყოველმხრივ შეესწავლათ ბათუმში ახალი დიდი საავადმყოფოს მოწყობის საკითხი. ამ სპეციალისტთა რჩევით სათათბირომ აღძრა შუამდგომლობა 120 საწოლიან საავადმყოფოს მშენებლობის შესახებ. 1898 წელს სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ, დამტკიცდა მშენებლობის ტექნიკური და ფინანსური პროექტები. ახალი საავადმყოფო, რომლის აგებამოწყობა 194 102 მან. დაჯდა, ექსპლუატაციაში შევიდა 1902 წელს. მას ჰქონდა ექვსი შენობა-განყოფილება — ადმინისტრაციული, თერაპევტიული, გინეკოლოგიური, გადამდებ სნეულებათა, ქირურგიული და ვენერიული. საავადმყოფოს შტატში ჩაირიცხა 4 ექიმი, 10 ფერშალი და 40-მდე სხვა მოსამსახურე (დამხმარე პერსონალი) [1]. საავადმყოფოში მკურნალობისათვის პაციენტები იხდიდნენ გარკვეულ თანხას, მაგრამ იგი ვერ ფარავდა ხარჯებს. თვითმმართველობის ბიუჯეტით საავადმყოფოსათვის გათვალისწინებულ იქნა: 1890 წელს — 6638 მან., 1898 წელს — 13 667 მან., 1902 წელს 47 181 მან., 1913 წელს — 60 538 მან. [2].

საერთოდ სამედიცინო-სანიტარიულ და ვეტერინალურ მომსახურებაზე ბათუმის თვითმმართველობამ დახარჯა: 1901 წელს — 37 370 მან., 1903 წელს — 55 751 მან., 1905 წელს — 87 970 მან., 1907 წელს — 67 401 მან., 1910 წელს — 65 407 მან. [3] ეს კი შეადგენდა საგასავლო ბიუჯეტის 11—14 პროცენტს.

* *

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა და მისი საქმიანობის შედეგიანობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების დონით. 1888 წლიდან 1904 წლამდე ქ. ბათუმი აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, თანდათან იზრდებოდა ნავსადგურის ტვირთბრუნვა, სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის ღირებულება, შესაბამისად იზრდებოდა საქალაქო თვითმმართველობის საშემოსავლო ბიუჯეტიც. მომდევნო

---

[1] «Батум и его окрестности», стр. 569—577.

[2] «Памятная книжка...», стр. 128—129.

[3] აჭარის ასსრ ცსა, ფ. 6, ს. 71, ფურც. 55—62.

პერიოდში ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა, ნავთობის ექსპორტის შემცირების წყალობით, თითქმის განახევრდა, დაიხურა ნავთის ტარის ქარხნები. ბათუმის მოსახლეობის შემოსავალი და შესაბამისად გადახდისუნარიანობა შემცირდა, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია თვითმმართველობის შემოსავლის საგრძნობი შემცირება, მისი ბიუჯეტი დეფიციტური გახდა.

1913 წლის 1 ოქტომბერს გაიმართა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის 25 წლის იუბილე. მღვდელმა ნ. კალისტოვმა პარაკლისის გადახდის შემდეგ განაცხადა: შესრულდა მეოთხედი საუკუნე ბათუმის თვითმმართველობის გახსნის დღიდან. ვდღესასწაულობთ რა ამ თარიღს, არ შეგვიძლია მადლობა არ შევწიროთ ღმერთს და კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ მუნიციპალური მოღვაწეები, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ქალაქს. მადლობა მათ, ვინც ბათუმს მისცა კეთილმოწყობილი სახე, გაამდიდრა მრავალგვარი დაწესებულებებით და უზრუნველყო მისი შესვლა ევროპის ქალაქთა პლეადაში. სახელი და დიდება ბათუმის მოქალაქეებსაც, რომელნიც თვითმმართველობის ორგანოებში ყოველთვის ირჩევდნენ ნიჭიერ და უნარიან ადამიანებსო [1].

პარაკლისის შემდეგ ქალაქის თავმა ანდრონიკაშვილმა გახსნა ბათუმის საქალაქო სათათბიროს საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ოლქის უფროსი და სხვა მოხელეები, მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები და საზღვარგარეთელი კონსულები. ქალაქის თავი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო თვითმმართველობის საქმიანობას. მან, მართალია, ხაზი გაუსვა თვითმმართველობის წარმატებებს ქალაქის კეთილმოწყობის, განათლების, სამედიცინო მომსახურებისა და სხვ. სფეროში, მაგრამ ყურადღება გაამახვილა მთელ რიგ სიძნელეებზე, რაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად აფერხებდნენ თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას.

ქალაქის თავმა მორიდებულად აღნიშნა, რომ მთავრობის ზოგიერთმა ღონისძიებამ (პორტო-ფრანკოს გაუქმება, საფუთო გამოსაღების წილის დაკარგვა, საექსპორტო ნავთობზე ტარიფის

---

[1] «Памятная книжка...», стр. 142—145.

გადიდება და სხვ.) არსებითად დაარღვია ქალაქის ეკონომიკური განვითარების აქამდე არსებული პირობები და სერიოზული ზარალი მიაყენა თვითმმართველობის სალაროს, გამოიწვია საშემოსავლო ბიუჯეტის შემცირება 40 პროცენტით, რამაც ძალიან გააძნელა თვითმმართველობის დაწესებულებათა და კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაო [1].

ქ. ბათუმის ფაქტიურ შემოსავალს 1903 წლის შემდეგ ყოველთვის აჭარბებდა ფაქტიური გასავალი. ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 1904 წელს 227 270 მან., 1905 წელს — 214 313 მან., 1906 წელს — 57 228 მან., 1907 წელს — 213 656 მან., 1908 წელს — 60 452 მან. დეფიციტი იფარებოდა სპეციალური კაპიტალებით, რაც ალმავლობის პერიოდში იყო შექმნილი, და სესხებით. 1910 წლის 1 ივლისისათვის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას ჰქონდა 1 008 141 მან. ვალი [2].

ვაჭრობა-მრეწველობის დაქვეითებამ და ქალაქის ბიუჯეტის შემცირებამ გამოიწვია ბათუმის მოქალაქეების სულიერი დაცემა, რაც სათათბიროს სხდომებზეც იჩენდა თავს. ხმოსანთა ერთი ნაწილი აშკარად ლაპარაკობდა ბათუმის შესაძლო დაღუპვაზე, მოითხოვდა გასავლის შემცირებას და მუნიციპალურ დაწესებულებათა გაუქმებას.

მთავრობა ბათუმის დეფიციტური ბიუჯეტის გამოსწორების მიზნით წინადადებას იძლეოდა კიდევ უფრო შეემცირებინათ არაუცილებელი ხარჯები. 1912 წლის ბიუჯეტის განხილვის შემდეგ, მაგალითად, ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველი სწერდა ბათუმის სამხედრო გუბერნატორს, რომ თვითმმართველობის აპარატისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული 30 ათასი მან. უნდა შემცირდეს 26 ათას მან-მდე, მუნიციპალური სასახლის ხარჯები უნდა შეიკვეცოს 4970 მან-ით, ქალაქის კეთილმოწყობის ახალი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული 6391 მან. კი ამოღებული უნდა იქნას მთლიანადო. სახაზინო პალატის მმართველი მოითხოვდა აგრეთვე საგასავლო ბიუჯეტიდან პენსიების, ჭაობების ამოშრობისა და კანალიზაციისათვის გათვალისწინებული 6 ათასი მან-ის ამოღებას. ეს გაუადვილებს ქალაქს საგასავლო ბიუჯეტის საავალდე-

---

[1] «Памятная книжка...», стр. 150—153.
[2] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1541, ფურც. 123—124.

ბულო მუხლების (რაც ითვალისწინებდა ჯარის, პოლიციისა და მთავრობის დაწესებულებისათვის თანხის გამოყოფას) შესრულებასო [1].

ფინანსური კრიზისის მიუხედავად ბათუმის მუნიციპალურ მოღვაწეთა ერთი ნაწილი მდგომარეობის გამოსწორების იმედს როდი კარგავდა. ოპტიმისტები ბათუმის მომავალს უკავშირებდნენ ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისებას, ქალაქისა და მისი პორტის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდგომარეობას, საგარეუბნო მეურნეობისა და კლიმატურ-ბალნეოლოგიური სადგურის მოწყობას და სხვ. ისინი ახერხებდნენ კრიზისის პერიოდშიც შენარჩუნებინათ მემკვიდრეობით მიღებული თვითმმართველობის დაწესებულებანი.

ცდილობდა რა ფინანსური კრიზისის დაძლევას, 1907 წელს ბათუმის საქალაქო სათათბირომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქისა და მისი ნავსადგურის შემდგომი კეთილმოწყობისათვის განსაკუთრებული საფუთო გამოსაღების დაწესების თაობაზე. ეს შუამდგომლობა, რომელსაც მხარს უჭერდა მეფისნაცვალი, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ თავდაპირველად გამოუგზავნა ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობას. ამ უკანასკნელმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხაზინის სასარგებლოდ უკვე დაწესებული საფუთო გამოსაღების ნაწილი ყოფილიყო გამოყენებული ბათუმის თვითმმართველობის საჭიროებისათვის, ხოლო თუ ახალი ნახევარკაპიკიანი გამოსაღები დაწესდებოდა, იგი არ შეეხებოდა ნავთის პროდუქტებს.

საკითხის განხილვა ძალიან გაჭიანურდა. 1909 წელს ბათუმის თვითმმართველობამ რამდენადმე შეცვალა თავისი თავდაპირველი შუამდგომლობა. ახალი ვარიანტის მიხედვით საფუთო გამოსაღებით მიღებული თანხა უნდა გამოყენებულიყო არა მარტო საკუთრივ ქალაქის, არამედ მისი გარეუბნის ე. წ. „ნავთობის ქალაქის“ კეთილმოწყობისათვისაც.

ასაბუთებდა რა ამ შუამდგომლობას, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა ეხებოდა თავის წარსულ საქმიანობას. ნავსადგურისა და ქალაქის კეთილმოწყობის, სკოლების, საავადმყოფოსა და სხვ. ობიექტების დაფინანსებისათვის საკმარისი არ იყო ჩვეულებრივი შემოსავალი და მივმართავდით სესხების აღებასაც. ბათუმის

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1561, ფურც. 1—2.

თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა შეირყა 1902 წლიდან, როცა ქალაქმა დაკარგა საფუთო გამოსაღების მეხუთედი ნაწილი, რაც საშემოსავლო ბიუჯეტის 42 პროცენტს იძლეოდა. რუსეთ-იაპონიის ომმა და რევოლუციამ, რასაც მოჰყვა ბათუმის ქარხნების დახურვა, თვითმმართველობის ფინანსური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა. თვითმმართველობა იძულებული გახდა ახალი სესხები აეღო და ახლა ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდება ვალის თავნისა და პროცენტის დაფარვას, დარჩენილი თანხით კი შეუძლებელიაო ქალაქის საჭიროებათა დაკმაყოფილება. ამასთან ერთად შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ 1900 წლიდან მთავრობამ „ნავთის ქალაქის“ კეთილმოწყობაც თვითმმართველობას დააკისრა, რისთვისაც პორტიდან მიღებული შემოსავალი სრულიად არასაკმარისია. ამ ახალი უბნის მარტო ქუჩების მოკირწყვლისათვისაა საჭირო ერთდროულად 1 400 000 მან. და ყოველწლიურად 30 000 მან. დღის წესრიგში დგას აგრეთვე წყალსადენის გაყვანა სახანძრო რაზმისათვის, რასაც 258 000 მან. დასჭირდება. „ნავთობის ქალაქში“ არსებული დაწესებულებანი მხოლოდ ნავთობის ექსპორტის საქმეს ემსახურებიან და ამიტომ ნავთის პროდუქტებიდან საფუთო გამოსაღების აკრეფა სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოსო [1].

შინაგან საქმეთა სამინისტროში აღიარეს, რომ ქ. ბათუმის ფინანსური მდგომარეობა ძალიან გაუარესდა 1902 წლიდან, რომ საფუთო გამოსაღების თანხის დახარჯვის ახალმა წესმა ბათუმის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად შეამცირა. ქალაქის თვითმმართველობა კვეცავდა გასავალს, მაგრამ მისი შემდგომი შემცირება უკვე შეუძლებელი იყო. არ შეიძლებოდა ელექტროსადგურის გაჩერება, საავადმყოფოს, დაწყებითი სკოლების დახურვა.

სამინისტრომ ქ. ბათუმის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის წინა პირობად მიიჩნია მისთვის ისეთივე უფლების მინიჭება, როგორიც 1909 წელს მიენიჭა ქ. ფოთს. ეს მართლდება „ნავთის ქალაქის“ განსაკუთრებული მდგომარეობით, სადაც ყველაფერი ემსახურება ნავთობის ექსპორტის ინტერესებს. ექსპორტიორებმა უნდა გაიღონ თავისი უბნის კეთილმოწყობისათვის საჭირო თანხაო.

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1541, ფურც. 107—110.

1911 წლის 28 მარტს ვაჭრობა-მრეწველობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა დაადგინეს: 1. ნება მიეცეს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობას ნავსადგურში მოხვედრილ საქონლიდან აიღოს დამატებითი შესაკრებელი არა უმეტეს 0,5 კაპიკისა ფუთზე, 2. მიღებული თანხის ხარჯვაზე თვითმმართველობამ უნდა აწარმოოს განსაკუთრებული ანგარიში, თანხის 4/5 დახარჯოს პორტის კეთილმოწყობაზე, დანარჩენი კი ქალაქის კეთილმოწყობაზე [1].

სამინისტროს ეს დადგენილება განსახილველად გადაეცა სახელმწიფო სათათბიროს. 1911 წლის 21 ოქტომბერს სახელმწიფო სათათბიროს ფინანსური კომისიის თავმჯდომარე ატყობინებდა ბათუმის ქალაქის თავს, ანდრონიკაშვილს, რომ ბათუმის თვითმმართველობის სასარგებლოდ ნახევარკაპიკიანი გამოსაღების დაწესების კანონ-პროექტი განხილულ იქნება ქალაქებისა და ერობების ბიუჯეტთა საერთო კანონ-პროექტის განხილვის შემდეგო. ეს უკანასკნელი კი ჯერაც არ იყო შეტანილი სათათბიროში. ბუნებრივია, ბათუმის მუნიციპალურ მოღვაწეებს არ მოეწონათ საქმის ასეთი გაჭიანურება და დახმარებისათვის მეფისნაცვალს მიმართეს. როგორც ჩანს, მეფისნაცვალმა იშუამდგომლა ბათუმელთა კანონ-პროექტის განხილვის დაჩქარების თაობაზე. 1912 წლის 2 ივნისს ფინანსური კომისიის წარდგინებით სახელმწიფო სათათბირომ დაამტკიცა კანონ-პროექტი ბათუმის თვითმმართველობის სასარგებლოდ მეოთხედკაპიკიანი გამოსაღების დაწესების თაობაზე, მაგრამ უკანასკნელმა ინსტანციამ, სახელმწიფო საბჭომ უარყო იგი და გადასამუშავებლად დაუბრუნა ფინანსთა სამინისტროს [2].

ბათუმის თვითმმართველობისაგან მოითხოვეს დამატებითი ცნობები ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის მიღების შემდეგ სამინისტრომ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კანონ-პროექტში. 1913 წლის 27 იანვარს სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა კანონ-პროექტი ბათუმის თვითმმართველობის სასარგებლოდ მეოთხედკაპიკიანი საფუთო გამოსაღების დაწესების შესახებ,

---

[1] საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1541, ფურც. 110—123.
[2] ი ქ ვ ე, ფურც. 26—27.

რომელსაც იმპერატორმა ხელი მოაწერა 1913 წლის 20 დეკემბერს [1].

1909 წელს ბათუმის თვითმმართველობამ გამოითხოვა 3 402 000 მან-ის მეორე საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. თანხა უნდა მოხმარებოდა ქალაქის კანალიზაციას, ჰიდრავლიკურ სადგურს, თეატრს, კურზალს, ყარსის გზას, ჭაობების ამოშრობას, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას და სხვ. მაგრამ საქმე დიდხანს გაჭიანურდა. ბოლოს იგი დაუკავშირეს საფუთო გამოსაღების დაწესების საკითხს და ამ უკანასკნელის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ საბოლოოდ მოხსნეს დღის წესრიგიდან [2].

1908 წლიდან შესამჩნევი გახდა ბათუმის შინაგანი ვაჭრობის აღორძინება, ნავსადგურის ტვირთბრუნვის ზრდა, საგარეუბნო ძვირფასი კულტურების მეურნეობის გაფართოება. დაისახა საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების პერსპექტივა. თანდათან ქრებოდა პესიმიზმი. მუნიციპალური მოღვაწეების ერთი ნაწილი და მათ შორის ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი თვლიდა, რომ საქალაქო მეურნეობის აყვავების (1889—1904 წწ.) და კრიზისის (1905—1907 წწ.) შემდეგ, ბათუმის თვითმმართველობა 1908—1909 წლიდან გადადიოდა თავისი არსებობა-მოღვაწეობის მესამე, აღმავლობის პერიოდში [3].

1909 წლისათვის ქ. ბათუმის საშემოსავლო ბიუჯეტი დამტკიცდა 639 149 მან. ოდენობით (შემოსავალში ნავარაუდევი იყო შეფასებითი გამოსაღების ნარჩენთა 199 667 მან. აკრეფა, რაც სანახევროდაც კი ვერ შესრულდებოდა). საგასავლო ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო: საზოგადოებრივი მმართველობის შენახვაზე — 51 931 მან., ჯარზე — 13 380 მან., პოლიციაზე — 24 445 მან., სახანძრო რაზმზე — 13 729 მან.. ქალაქის კეთილმოწყობისათვის — 104 257 მან., ქალაქის საწარმოო-დაწესებულებებზე — 32 911 მან., სახალხო განათლებაზე — 76 855 მან.. სამედიცინო მომსახურებაზე — 58 322 მან., ქალაქის უძრავი ქონების მოლაპატრონობაზე — 20805 მან., ვალების დაფარვაზე — 207 410 მან. და სხვ. [4]. როგორც ვხედავთ, ქალაქის ფაქტიური შემოსავლის

---

[1] «Памятная книжка...», стр. 195.
[2] Там же, стр. 155.
[3] «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1909 год», 1910.
[4] «Памятная книжка...», стр. 155.

თითქმის ნახევარი აუცილებლად უნდა მოხმარებოდა ვალების დაფარვას. მიმდინარე ხარჯებისათვის კი მეტად მცირე თანხა რჩებოდა.

1912 წლისათვის ქ. ბათუმის შემოსავალი დამტკიცდა 679 180 მან., გასავალი კი 678 837 მან. ოდენობით. მაგრამ საშემოსავლო ბიუჯეტი თავის ზოგიერთ მუხლში ფიქტიური იყო, გამგეობამ კარგად იცოდა, რომ იგი 70 პროცენტით თუ შესრულდებოდა. 1913 წლისათვის შემოსავალი გათვალისწინებულ იქნა 548 504 მან. ოდენობით, შეეცადნენ დაახლოებოდნენ ფაქტიურ ვითარებას. მიუხედავად ამისა გამგეობამ დანამდვილებით იცოდა, რომ ფაქტიური შემოსავალი არ გადააჭარბებდა 437 816 მან. რაც რა თქმა უნდა, ვერ დაფარავდა გასავალს, დეფიციტი უდრიდა 105 638 მან. [1].

ფინანსური კრიზისის ხანაში ბათუმის თვითმმართველობა დიდ იმედს ამყარებდა მუნიციპალურ საწარმო-დაწესებულებებზე, ცდილობდა რაციონალური ექსპლუატაციის გზით თანდათან გაეზარდა მათი შემოსავალი. 1913 წელს, მაგალითად, თვითმმართველობის საწარმო-დაწესებულებათა მთელი შემოსავალი შეადგენდა 112 000 მან., მათი საექსპლუატაციო ხარჯები კი — 71 ათას მან. [2]. სუფთა მოგება უდრიდა 41 ათას მან. რაც ხმარდებოდა ქალაქის სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

თანდათან მეტ როლს ასრულებდა ბიუჯეტში თვითმმართველობის კუთვნილი მიწისა და შენობების შემოსავალი. 1913 წელს მიწის ნაკვეთების იჯარამ და შენობების ქირამ შეადგინა 54 ათასი მან., რომლის მხოლოდ ნახევარი დაიხარჯა თვით ამ ობიექტზე [3].

საშემოსავლო ბიუჯეტის სხვა მუხლები ან ძალიან ნელა იზრდებოდა (უძრავი ქონების შეფასებითი გამოსაღები) ან შემცირების ტენდენციასაც კი ამჟღავნებდა. დეფიციტური ბიუჯეტის უმთავრესი მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, საფუთო გამოსაღების წილის დაკარგვა იყო.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრისათვის. ამცირებდა მიმდინა-

---

1 «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1909 год».

2 «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1913 год», стр. 5—7.

3 საქართველოს ცსია, ფ. 13, ანაწ. 2, ს. 1561, ფურც. 9, 25—29.

რე ხარჯებს, დიდი ხნის განმავლობაში არაფერი გაუღია მას ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის და სხვ. დეფიციტის აღმოფხვრის მიზანს უსახავდნენ მეორე საობლიგაციო სესხსაც, მაგრამ მისი გამოშვების ნებართვა ქალაქმა ვერ მიიღო.

ძალიან დაგვიანებით, როგორც აღნიშნული იყო, ბათუმის თვითმმართველობამ მიიღო საფუთო გამოსაღების დაწესების უფლება. საქალაქო სათათბიროს განსაზღვრით და მთავრობის ნებართვით საპორტო გამოსაღები დაწესდა: 1 ფუთ ნავთობზე $^1/_8$ კაპ., მარგანეცზე — $^1/_{10}$ კაპ., სხვა საქონელზე — $^1/_4$ კაპ-ის ოდენობით. ამ გამოსაღების ხაზით 1914 წლის 24 თებერვლიდან 1 მაისამდე თვითმმართველობის სალაროში შემოვიდა 31 458 მან.[1]. როგორც ჩანს, წლის განმავლობაში საპორტო გამოსაღები თვითმმართველობის ბიუჯეტს შემატებდა 180—200 ათას მანეთს, რაც უდავოდ შექმნიდა საკმაოდ კარგ საფუძველს ფინანსური კრიზისის დაძლევისათვის, მაგრამ შემოსავლის ეს ახალი წყარო ბათუმის თვითმმართველობას მალე დაუშრა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წყალობით 1914 წლის აგვისტოში შავი ზღვის სრუტეები ჩაიკეტა, შეწყდა საქონლის ექსპორტიც და იმპორტიც. ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვა მინიმუმამდე შემცირდა. 1916 წელს საფუთო გამოსაღების შემოსვლა ნავარაუდევი იყო მხოლოდ 10 ათასი მან. ოდენობით. ომის ვითარებაში შემცირდა საქალაქო თვითმმართველობის შემოსავლის სხვა მუხლებიც[2].

1915 წელს არჩეული უნდა ყოფილიყო ახალი შემადგენლობის სათათბირო, მაგრამ ქალაქის თავმა მოითხოვა არჩევნების გადადება ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე. ეს წინადადება ბათუმის საქალაქო საქმეთა საოლქო საკრებულომ დაუსაბუთებლად და მიუღებლად მიიჩნია. კონკრეტული ვითარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ომის დაწყების გამო საზღვრისპირა ქალაქი ბათუმი დატოვა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, იქ რჩებოდა მხოლოდ 7385 მცხოვრები, ომამდელი მოსახლეობის 20%. პანიკას მოჰყვა ბევრი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების დახურვა, მოსახლეობის გადახდისუნარიანობის შემცირება და თვითმმართველობის ბიუჯეტის დეფიციტურობის გაძლიერება. მიუხედავად ამ სიძნელეებისა მთავრობის ბრძანებით არჩევნები მაინც ჩატარდა.

---

1 «Памятная книжка...», стр. 110—115.

2 «Смета доходов и расходов по гор. Батуму на 1916 год», стр. 17.

ახალი შემადგენლობის სათათბიროში შევიდა 41 ხმოსანი. ქალაქის თავად კვლავ ივ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს, მის მოადგილედ კრონიკი [1].

ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის მოცულობას მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა განაპირობებდა, ხოლო ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ქალაქის საშემოსავლო ბიუჯეტის ოდენობაც. მაგრამ საქალაქო თვითმმართველობების საერთო კრიზისის ძირითადი მიზეზი იყო მეფის მთავრობის კანონმდებლობა.

1892 წლის საქალაქო დებულება ძალიან კვეცავდა თვითმმართველობათა კომპეტენციას, მათ საბიუჯეტო-ფინანსურ უფლებებს. თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ არსებული კანონმდებლობის პირობებში არ შეიძლებოდა თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია და არც მათი კრიზისიდან გამოყვანა. ამ ნიადაგზე რუსეთის იმპერიაში თავს იჩენდა სუსტი ბურჟუაზიული ოპოზიცია, რომელიც პირველი რევოლუციის ხანაში, გამოცოცხლების და რეაქციის დროს შეწყვეტის შემდეგ, 1910 წლიდან კვლავ ამჟღავნებდა გააქტიურების ტენდენციას.

ბათუმის თვითმმართველობის მოღვაწეები იზიარებდნენ საერთო თვალსაზრისს. 1913 წელს, საიუბილეო ზეიმზე გამოსულ სიტყვაში ბათუმის ქალაქის თავი ივ. ანდრონიკაშვილი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა თვითმმართველობის საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების გაფართოების აუცილებლობას. ხმოსანთა უმრავლესობა მის გამოსვლას მოწონებით შეხვდა. მთავრობის მოხელეებმა კი უკმაყოფილების დაფარვა ვერ მოახერხეს [2].

ამგვარად, ბათუმის მუნიციპალური მოღვაწეები ქვეყნის კაპიტალისტური განვითარებით ნაკარნახევ რეფორმების გატარებას ქადაგებდნენ, ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებს არ სცილდებოდნენ, მაგრამ თვითმპყრობელობა ყრუ იყო მათი ვედრებისადმი. ამიტომ ბურჟუაზიული ლიბერალები სიხარულით შეხვდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, ცარიზმის დამხობას და დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას. ამ გადატრიალებას დაუკავშირეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უკეთესი მომავალი.

---

[1] აპარის ასსრ ცსა, ფ. 7, ს. 580. ფურც. 134; საქმე 602, ფურც. 11.

[2] «Памятная книжка...», стр. 155—157.

საქალაქო თვითმმართველობის კრიზისი და ბრძოლა მისი უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის

მოწინავე მუნიციპალური მოღვაწეები კარგად ხედავდნენ, რომ ცარისტული კანონმდებლობის მიერ ვიწრო ჩარჩოებში ჩაყენებული, უფლება-კომპეტენცია შეზღუდული საქალაქო თვითმმართველობები მთელი რუსეთის მასშტაბით კრიზისს განიცდიდნენ. მათი აზრით კანონმდებლობის შეცვლის, ახალი დებულების შედგენა-დამტკიცების გარეშე შეუძლებელი იყო საქალაქო თვითმმართველობის რეორგანიზაცია და მისი კრიზისიდან გამოყვანა.

რუსეთში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებისა და დემოკრატიზაციისათვის ბრძოლა ბურჟუაზიული რეფორმების გატარებისთანავე დაიწყო. მალე ამ ბრძოლაში იმპერიის განაპირა ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს მოწინავე მუნიციპალური მოღვაწეებიც ჩაებნენ. საერობო ოპოზიციასთან ერთად მუნიციპალური ოპოზიციაც თანდათან ამრავლებდა თავის მომხრეთა რიგებს.

1899 წელს ნ. ნიკოლაძე წერდა: „დადგა დრო, როცა თვით თბილისის თვითმმართველობის ახლანდელმა მესვეურებმა აღიარეს, რომ მათ არ შეუძლიათ გაამართლონ მოსახლეობის იმედი. შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, რადგან თვითმმართველობას არ აქვს მტკიცედ ჩამოყალიბებული სამოქმედო პროგრამა. მაგრამ მათ ვერ გაუგიათ. — განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, — რომ ბოროტების წყარო წარუმატებლობის მიზეზი არ მოიხსნება, ვიდრე არსებობს ახლანდელი „საქალაქო დებულება“. თვითმმართველობის არსებული პირობები გონიერი პროგრამის წამოყენების შესაძლებლობას რომ იძლეოდეს, ნუთუ ქალაქის თავის სავარძლის ესოდენ ბევრ მაძიებელთა შორის არ აღმოჩნდა აქამდე ისეთი პირი, რომელიც შესძლებდა საარჩევნო ყუთის გვერდით დროშაც აღემართა? თუ ასეთი პროგრამის შედგენა და განხორციელება

დამოკიდებულია ჩვენს მოღვაწეობაზე, რით აიხსნება ყველა ქალაქის თავის ჩავარდნა 1891 წლიდან. რატომ გადადგა მატინოვი? რატომ მიბაძა მის მაგალითს ორგზის არღუთინსკიმ? რატომ გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე დაეცა სულით იზმაილოვი, ხოლო ეხლა თავის უმწეობის შეგნებით რატომ კარგავს გონებას ევანგულოვი? ცხადია ყველაფერს აქვს ერთი საერთო მიზეზი“ [1].

ნ. ნიკოლაძე შემდეგ აღნიშნავს, რომ თვით მოსკოვ-პეტერბურგშიაც კი ვერ გაამართლეს თვითმმართველობებმა მათზე დამყარებული იმედი. ჩვენი მუნიციპალიტეტები პროგრესულად გამოიყურებიან ქალაქთა მმართველობის რეფორმამდელ, პოლიციურ ტიპთან შედარებით, დასავლეთ ევროპის მუნიციპალიტეტებთან შედარებაზე კი ლაპარაკიც არ შეიძლებაო. კიდევ მრავალი წელია საჭირო, რომ რუსეთის მოწინავე ქალაქები გაუსწორდნენ დასავლეთ ევროპის საშუალო ქალაქებს და ეს ასეა იმიტომ, რომ დასავლეთში საქალაქო მეურნეობის გამგებლობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მისი წარმატებით დაინტერესებული დემოკრატია, რამდენადაც იქ უკვე შემოღებულია საყოველთაო-საარჩევნო სისტემა. რუსეთში კი მოქმედებს 1892 წლის საქალაქო დებულება, რომელიც თვითმმართველობას აძლევს მხოლოდ მოსახლეობის ზედაფენას. ხმის უფლების ჩამორთმევა არა მარტო „შავი მასის“, არამედ ინტელიგენციისათვისაც არ შეიძლება უარყოფითად არ ასახულიყო საქალაქო მეურნეობის მდგომარეობაზე. ყველა ვინც ითვალისწინებს თვითმმართველობის კრიზისის მიზეზებს, ვისთვისაც ძვირფასია პროგრესის ინტერესი, დაასკვნის ბოლოს ნ. ნიკოლაძე, დაგვეთანხმება, რომ ბოროტება შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული საყოველთაო-საარჩევნო უფლების დაწესებით და თვითმმართველობის მუშაობაში ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობით. ამ აუცილებელი, ცხოვრების მიმდინარეობით ნაკარნახევი რეფორმის გატარება არ შეიძლება დიდხანს გადაიდოსო [2].

1904 წელს მოსკოვის საქალაქო თვითმმართველობამ გადაწყვიტა ქალაქის თავების თათბირის მოწვევა და დაიწყო სათანადო პროგრამის შედგენაც. იმავე წლის 29 ნოემბერს თბილისის საქა-

---

[1] Н. Николадзе, Органические пороки городского самоуправления, см. газ. «Кавказ», 1899, № 18.

[2] Там же.

ლაქო სათათბიროს სხდომაზე ა. ბაბოვმა და სტ. ჭრელაშვილმა განაცხადეს, აუცილებელია მოსკოველთა წამოწყებას გამოვეხმაუროთო. სათათბირომ სპეციალურ კომისიას დაავალა მომავალ თათბირზე თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლის გამოსვლის ტექსტის შედგენა. მაგრამ რუსეთის პირველი რევოლუციის დაწყების გამო თვით ბურჟუაზიული პარტიების მოქმედების ტაქტიკაც კი საგრძნობლად შეიცვალა. თათბირის მოწვევის იდეა უარყოფილ იქნა.

პირველი რევოლუციის წლებში, როცა მშრომელი მასების პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოსვლით შეშინებული მეფე და მისი მოხელეებიც კი სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაციის საჭიროებაზე ალაპარაკდნენ, მუნიციპალური მოღვაწეები გააქტიურდნენ. თბილისის საქალაქო სათათბირომ გამოყო კომისია (ბაბოვი, დოლუხანოვი, ჭრელაშვილი), რომელსაც დაევალა ახალი საქალაქო დებულების პროექტის შედგენა. ამ კომისიის მიერ შედგენილი პროექტი თბილისის სათათბირომ 1905 წლის სექტემბერში დაამტკიცა.

თბილისელთა პროექტი ითვალისწინებდა საყოველთაო-საარჩევნო უფლების დაწესებას, საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენციისა და მისი საბიუჯეტო-ფინანსური უფლების გაფართოებას. თუ 1892 წლის დებულება კრძალავდა სახაზინო ქონების დაბეგვრას, პროექტი საქალაქო თვითმმართველობის სასარგებლოდ ასეთი ქონების დაბეგვრასაც აწესებდა. პროექტი მოითხოვდა თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას, მის უწყებაში ქალაქის პოლიციის გადასვლას [1].

1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როცა სახალხო რევოლუცია კულმინაციურ წერტილს უახლოვდებოდა, რუსეთის მუნიციპალური მოღვაწეები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მოითხოვეს არა მარტო საქალაქო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოება, არამედ მთელი სახელმწიფო წყობილების გარდაქმნა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა რეფორმათა გატარების დაპირებებით გამოსულიყო, რამაც საბაბი მისცა თვითმმართველობის მესვეურებს დაეწყოთ სათანადო გამოკვლევებისა და პროექტების შედგენა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა, წერდა

---

[1] «Известия...», 1916, № 4—6, стр. 25—40.

იმ დროს ა. მიხაილოვსკი, რუსეთი გადაიყვანა წარმომადგენლობითი მმართველობის ქვეყნების რიგში. სახელმწიფო სათათბირო, თავისი არასრული სახითაც კი, წარმოადგენს არჩევით ორგანოს, რომელიც რამდენადმე ზღუდავს მმართველი ბიუროკრატიის თვითნებობას. სახელმწიფო მმართველობის გარდაქმნასთან ერთად უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა რეორგანიზაცია. უახლოესი ამოცანა, კერძოდ, საქალაქო რეფორმის გატარებაა.

ძველი აბსოლუტიზმი, აცხადებდა ა. მიხაილოვსკი, საზოგადოებრივი თვითმოქმედების დაუძინებელი მტერი იყო. მისი კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი საქალაქო თვითმმართველობა იმდენად არადამაკმაყოფილებელია, რომ მისი რეორგანიზაციის საჭიროებას, მოსახლეობის ყველა ფენასთან ერთად, მთავრობაც კი აღიარებს. მაგრამ ეს არ კმარა. მთავრობას დღემდე არ შეუმუშავებია საქალაქო დებულების ახალი პროექტი. ზოგი ქალაქის სათათბიროებმა, მართალია, ხელი მოჰკიდეს ამ საქმეს, მაგრამ მარტო მოქალაქეთა ვიწრო წრის ეს წარმომადგენლობა ყველასათვის მისაღებ კანონ-პროექტს ვერ შეიმუშავებს. საკანონმდებლო საქმიანობაში მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები და მათ შორის მეცნიერებიც უნდა მონაწილეობდნენო.

ა. მიხაილოვსკი მიუთითებდა მოქმედი დებულების უარყოფით მხარეებზე, რამაც საქალაქო თვითმმართველობა ნახევრად საზოგადოებრივ და ნახევრად ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაქცია. მოქმედების დამოუკიდებლობის გარეშე, აცხადებდა იგი, წარმოუდგენელია თვითმმართველობა. საყოველთაო-საარჩევნო უფლების დაწესება, კომპენტენციის და საბიუჯეტო უფლებების გაფართოება აამაღლებს თვითმმართველობის ავტორიტეტს და ამ დაწესებულებას საქმიანობის უნარს შემატებსო [1].

მეფემ საქალაქო რეფორმის პროექტის შედგენა სტოლიპინს დაავალა. ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოსული „საერობო და საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა რეორგანიზაციის პროექტი“ ითვალისწინებდა ცენზის შემცირების გზით ადგილობრივ მმართველობაში საზოგადოებრივი საწყისის რამდენადმე გაძლიერებას, არჩევით დაწესე-

[1] А. Михайловский. Реформа городского Самоуправления в России, 1905.

ბულებათა კომპეტენციის გაფართოებას. სამინისტრო ვარაუდობდა საგარნიზონო ჯარების უზრუნველყოფის ხარჯებისაგან საქალაქო თვითმმართველობების განთავისუფლებას და მათთვის მეურნეობის ყოველი დარგის სახელმძღვანელოდ განსაკუთრებული აღმასრულებელი ორგანოს ჩამოყალიბების უფლების მიცემას.

მუნიციპალურმა მოღვაწეებმა დაიწუნეს სამინისტროს პროექტის ის მუხლები, რომლებიც საქალაქო თვითმმართველობებზე მთავრობის კონტროლის დაწესებას ვარაუდობდა. პროექტის მეოთხე მუხლი, მაგალითად, უფლებას აძლევდა შინაგან საქმეთა მინისტრს დაეთხოვა საქალაქო სათათბირო და ექვსი თვის შემდეგ დაენიშნა ახალი არჩევნები. რთულ სიტუაციაში კი მას შეეძლო საქალაქო თვითმმართველობა რამდენიმე ხნით სულაც შეეცვალა მთავრობის მმართველობით. მიუხედავად ამ ნაკლისა თვითმმართველობის მესვეურები მხარს უჭერდნენ სტოლიპინის პროექტის საკანონმდებლო წესით განხილვას, რადგან იმედოვნებდნენ, რომ სახელმწიფო სათათბირო გაწმენდდა მას ასეთი არა სასურველი მუხლებისაგან [1].

საქალაქო რეფორმის პროექტი გადაეგზავნა მინისტრთა საბჭოს, რომელსაც განხილვის შემდეგ მისთვის სათანადო მსვლელობა უნდა მიეცა. მაგრამ რამდენიმე წელი ამ მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. საქალაქო რეფორმის გატარება კვლავ გადაიდო. რატომ დარჩა სტოლიპინის რეფორმა „კეთილ“ განზრახვად, ვინ ჩაშალა მისი გატარება, რა მიზეზებმა დააბრკოლა ესოდენ მომწიფებული გარდაქმნები, რასაც მოითხოვდა ყველა მუნიციპალური მოღვაწე მსოფლმხედველობის განურჩევლად? სვამდა კითხვას რუსეთის ლიბერალური პრესა და თვითვე პასუხობდა: ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ თავისებურებაში დედაქალაქის ბიუროკრატიული მანქანისა, რომელმაც ვინ იცის რამდენჯერ დაამსხვრია მოსახლეობის იმედი და ოცნება, რამდენჯერ ჩაკლა რუსეთის ცხოვრების მოძრავი სული. არც კი გვინდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა მოჰყვება მთავრობის მიერ გადაუდებელის გადადებას და საქალაქო თვითმმართველობების გამოუვალ ჩიხში მოქცევასო [2].

1911 წელს ა. ნემიროვსკი წერდა, რომ აქამდე მოქმედი საქალაქო დებულებები საზოგადოებამ დაიწუნა და მათი ნაკლოვანება

---

[1] «Известия...», 1911, №5—6, отд. II,стр. 52—54.
[2] Там же, стр. 52—54.

მთავრობამაც აღიარაო. 1910 წელს დაიწყო მუშაობა ახალი საქალაქო დებულების შედგენისათვის. მაგრამ მთავრობის წრეები მხოლოდ ორ საკითხზე მსჯელობენ, მოითხოვენ საარჩევნო სისტემისა და კონტროლის წესების გადასინჯვას, პრობლემის სხვა მხარეს არ ეხებიანო.

ა. ნემიროვსკი აღიარებდა საარჩევნო სისტემის შეცვლის საჭიროებას, მაგრამ თვითმმართველობის გაჯანსაღების მთავარ, აუცილებელ წინა პირობად თვლიდა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო-ფინანსური უფლების გაფართოებას. საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა (სათათბირო, გამგეობა, კომისიები) წესიერად მოწყობა, მათი ურთიერთდამოკიდებულების ნორმების მიზანშეწონილი განსაზღვრა, ნემიროვსკის აზრით, მეტ დადებით როლს შეასრულებდა, ვიდრე საარჩევნო უფლების გაფართოება.

ა. ნემიროვსკი ასაბუთებდა, რომ დებულებით გათვალისწინებული გამგეობის წევრთა რიცხვი (3—8 კაცი) საკმარისი არაა. ისინი ვერ სწვდებიან თვითმმართველობის ყველა საქმეებს. დასავლეთ ევროპაში ამას დიდი ხნის წინათ მიხედეს და გამგეობის წევრთა რიცხვი 20—50 კაცამდე გაადიდესო. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქთა გამგეობებში ირჩევენ სპეციალისტებს (იურისტი, ბუღალტერი, ინჟინერი და სხვ.). რუსეთის ქალაქთა გამგეობებში კი ხშირად უცოდინარი ადამიანები ხვდებიან, რაც საქმიანობას ამუხრუჭებსო. იგი წინადადებას იძლეოდა გამგეობაში შტატიან, ხელფასიან წევრებთან ერთად შეეყვანათ საპატიო-უხელფასო წევრები, გამგეობაში აერჩიათ მხოლოდ უმაღლესი და საშუალო განათლება მიღებული პირები, 6 წლამდე გაედიდებინათ აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების ვადა, გაეფართოებინათ მისი უფლება-კომპეტენცია, გამგეობა გაეთავისუფლებინათ სათათბიროს გადამეტებული კონტროლისაგან [1].

მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ა. ნემიროვსკი ილაშქრებდა საყოველთაო-საარჩევნო სისტემის შემოღების წინააღმდეგ, გმობდა მემარცხენეთა მიერ წამოყენებულ ლოზუნგს —

---

[1] А. О. Немировский. Реформа городского самоуправления, с. Петербург, 1911, стр. 24—29, 40—46.

„ყველაფერი ქალაქის მოსახლეობის უქონელი კლასებისათვის“. ღარიბი ფენების გავლენის ზრდის საშიშროება შეგნებული აქვთ დასავლეთ ევროპის მუნიციპალურ მოღვაწეებს და ამიტომ ისინი ცდილობენ გზა გადაუღობონ უქონელ კლასებს. დასავლეთ ევროპაში პარლამენტის საყოველთაო-საარჩევნო უფლების საფუძველზე ირჩევენ, მუნიციპალიტეტების არჩევნებში მონაწილეობისათვის კი გარკვეული ქონებრივი ცენზია დაწესებული. თანაც დასავლეთ ევროპის ბევრ ქალაქში მთელი ძალაუფლება მერს ეკუთვნის და არა მთელ გამგეობას. ამიტომ იქ არ აშინებთ ისეთი შემთხვევებიც კი, როცა მუნიციპალიტეტი ნახევრად სოციალ-დემოკრატიულია. რუსეთში, ღვთის მადლით, საყოველთაო-საარჩევნო უფლება არ არსებობს. მისი შემოღება გააძლიერებდა მემარცხენე პარტიების გავლენას, რაც საჭირო არაა.

ბოლოს ა. ნემიროვსკი წინადადებას იძლეოდა საერთო პოლიციის გვერდით შექმნილიყო მუნიციპალური პოლიცია, რომელიც კეთილსინდისიერად შეასრულებდა სათათბიროსა და გამგეობის ყველა დადგენილებას [1].

ა. ნემიროვსკის თვალსაზრისმა მხარდაჭერა მხოლოდ მსხვილი ბურჟუაზიის წრეებში პოვა. მუნიციპალურ მოღვაწეთა უმრავლესობა უფრო არსებით გარდაქმნებს მოითხოვდა.

1910 წელს ოდესაში ჩატარდა რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი თათბირი, მაგრამ მეფის მთავრობამ შეზღუდა მისი პროგრამა, აკრძალა საქალაქო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებისა და მოძველებული დებულების გადასინჯვის საკითხის განხილვა. ამიტომ თათბირის მუშაობას რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია.

1912 წელს ქ. მოსკოვისაგან არჩეულმა სახელმწიფო სათათბიროს წევრმა მ. ნოვიკოვმა შეადგინა ახალი საქალაქო დებულების ძირითადი თეზისები, რომელიც თავდაპირველად „გოროდსკოე დელო“-ში გამოქვეყნდა. მალე ეს თეზისები თბილისის თვითმმართველობის ორგანო „იზვესტიამაც“ გადმობეჭდა. თეზისების მიხედვით თვითმმართველობის უწყებაში უნდა შესულიყო ქალაქის ქონება-მეურნეობის მართვა და მოქალაქეთა საზოგადოებრივი და პირადი უშიშროების დაცვა. საქალაქო თვითმმართველობას მინი-

[1] А. О. Немировский. Реформы городского самоуправления, с. Петербург, 1911, стр. 132—175.

ჭებული უფლება-კომპეტენციის ფარგლებში უნდა ემუშავა სრულიად დამოუკიდებლად, მთავრობას კონტროლი უნდა გაეწია მხოლოდ მისი მოქმედების კანონიერებისათვის. თეზისები თვითმმართველობის არჩევითი ორგანოების უფლებამოსილების ვადას ხუთი წლით განსაზღვრავდა და თანაც აწესებდა საყოველთაო-საარჩევნო უფლებას [1].

თეზისების ეს პროექტი, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის მნიშვნელოვან გაფართოებას ვარაუდობდა, მუნიციპალურ მოღვაწეთა უმრავლესობამ მოიწონა, მაგრამ მთავრობის უარყოფითი შეხედულების გამო მის საფუძველზე დებულების პროექტი შედგენილი არ ყოფილა.

საქალაქო მეურნეობის გართულებამ გამოიწვია თვითმმართველობათა მუშაობის კოორდინაციისა და ცენტრალური ორგანოების დაარსების საჭიროება. სწორედ ამან განაპირობა ოდესის თათბირის მოწვევა. თათბირმა შეიმუშავა პროექტი დებულებისა რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების პერიოდული ყრილობების მოწვევის თაობაზე, რაც 1913 წლამდე პროექტად რჩებოდა. დიდი ცდის შემდეგ, 1913 წლის დამდეგს კიევის საქალაქო სათათბირომ მიიღო უფლება სათავეში ჩადგომოდა სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი ყრილობის მოწვევის საქმეს.

1913 წლის მარტში დამტკიცდა ყრილობის მუშაობის პროგრამა, ივლისში კი კიევის ქალაქის თავმა მოსაწვევი ბარათები გაუგზავნა რუსეთის 102 საგუბერნიო და 309 სამაზრო ქალაქის თვითმმართველობას.

სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა 1913 წლის 10 სექტემბერს გაიხსნა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) ქალაქების ფინანსური პოლიტიკის საერთო მიმართულების გამომუშავების შესახებ, 2) ქალაქთა არსებული შემოსავლის წყაროების უკეთ გამოყენების შესახებ, 3) საერთო-სახელმწიფოებრივი ვალდებულებებისაგან საქალაქო თვითმმართველობების განთავისუფლების შესახებ, 4) შემოსავლის ახალი წყაროების გამონახვაში საქალაქო თვითმმართველობათა უფლებების გაფართოების შესახებ, 5) ქალაქების კრედიტით უზრუნველყოფის შესახებ; 6) ქალაქებისათვის მთავრობის დოტა-

---

[1] «Известия...», 1913, № 3, стр. 25—27.

ციის გაზრდის აუცილებლობის შესახებ, 7) ქალაქების საფინანსო მეურნეობის მოწესრიგების შესახებ და სხვ.

პირველ საკითხზე მოხსენებებით გამოვიდნენ გ. დ. ჟურული (თბილისი), დ. ს. ივანენკო (მაიკოპი), ნ. ფ. სტარდოვსკი (კიევი), ა. ვ. ტუპალკი (ვილნო). ოთხივე მოხსენებაში არსებითად ერთი და იგივე აზრი იყო გატარებული. საქალაქო თვითმმართველობათა საგადასახადო სისტემიდან მომდინარე წყაროები უკვე ამოიწურა. მათ შესაძლებლობა არ აქვთ საკუთარი სახსრებით დააკმაყოფილონ მოქალაქეთა სამეურნეო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამედიცინო-სანიტარიული საჭიროებანი. ამიტომ მუნიციპალიტეტები მთავრობისაგან მოითხოვენ დახმარებას. გ. ჟურულმა. კერძოდ, მთავრობის მისამართით განაცხადა: მოგვეცით კარგი ფინანსები და შევიმუშავებთ კარგ მუნიციპალურ პოლიტიკას. საქალაქო თვითმმართველობებმა მთავრობისა და მოსახლეობის წინაშე თავიანთი ვალდებულებანი რომ შეასრულონ, მათ ფიქტიურის ნაცვლად ფაქტიური ფინანსური ხელისუფლება უნდა მიეცეთო. ჟურულმა საყვედური გამოთქვა მთავრობის წრეების მიმართ, რომელნიც უარს ამბობდნენ შეეყვანათ საქალაქო თვითმმართველობები სახელმწიფო აპარატის სისტემაში, დაეყენებინათ ისინი მტკიცე ფინანსურ ბაზაზე. მან მთავრობას მოსთხოვა თვითმმართველობებისათვის სუბსიდიების გამოყოფა [1].

ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუნიციპალიზაციის საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენელმა მ. ა. ჯაბარამ. მოსახლეობის მომსახურებისათვის შექმნილი საზოგადოებრივ-სამეურნეო დაწესებულებათა გაფართოება და გამგებლობა, მომხსენებლის აზრით, საქალაქო თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა. ამ სფეროში მოგების მიზნით აღმოცენებული კერძო ინიციატივა საზარალოა საზოგადოებისათვის. მუნიციპალურ მეურნეობაში ფისკალიზმი დაუშვებელია. სასაკლაოს, წყალსადენის და სხვ. მსგავსი ობიექტების შემოსავალი არსებითად მოსახლეობაზე დადებული არაპირდაპირი გადასახადია, რაც განსაკუთრებით მძიმედ ღარიბ ფენებს აწვებაო. ჯაბარამ ისიც აღნიშნა, რომ მუნიციპალური საწარმოების შემოსავლის ზრდა არასაკმარისია ფინანსური კრი-

---

[1] «Известия...», 1913, № 10—11, стр. 3—7, 20—30.

ზისის დასაძლეკად. საჭიროა პირდაპირი გადასახადების გადიდება. საქალაქო თვითმმართველობების ფინანსური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება, ჯაბარას აზრით, შეიძლებოდა მხოლოდ მათი საბიუჯეტო უფლებების გაფართოებით და საერთოდ თვითმმართველობის დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაციით [1].

მ. ჯაბარამ თავისი გაბედული გამოსვლით ყრილობის თავმჯდომარის შენიშვნა დაიმსახურა. გაზ. „კიევსკი მისლი" ამასთან დაკავშირებით წერდა, თბილისის დელეგატის მოხსენება გამოირჩეოდა საკითხის ფართოდ დაყენებით და დემოკრატიული მიზანსწრაფვით. მხოლოდ დასანანია, რომ თავმჯდომარის შენიშვნამ საშუალება არ მისცა ჯაბარას ბოლომდე დაესაბუთებინა თავისი სწორი თვალსაზრისიო [2].

მოსმენილი მოხსენებისა და კამათში გამოსულთა თვალსაზრისის საფუძველზე ყრილობამ დაადგინა: უძრავი ქონების პირდაპირმა დაბეგვრამ უკვე მიაღწია მაქსიმუმს და მისი შემდგომი გაზრდის გზით ფინანსების გაჯანსაღება შეუძლებელია. ამიტომ საქალაქო თვითმმართველობების მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულების აუცილებელ წინა პირობად ჩაითვალოს მათ განსაკუთრებულ სარგებლობაში რეალური გადასახადების გადაცემა. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია დაწესდეს ადგილობრივ საჭიროებათა მომსახურე საწარმო-დაწესებულებათა დაფინანსება თვითმმართველობის სახსრებით, საერთო სახელმწიფო მოთხოვნილებანი (ჯარი, პოლიცია) კი დაფინანსდეს ხაზინის სახსრებით.

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში, სამდინარეო გზით ქალაქებში შეტანილ საქონელზე საფუთო გამოსაღების დაწესება. სასურველია საქალაქო თვითმმართველობის სასარგებლოდ შეფასებითი გამოსაღებით დაიბეგროს სახაზინო ქონებაც. შემოღებულ იქნას საშემოსავლო გადასახადი და საბინაო შესაკრებელი. თვითმმართველობებს მიეცეს სატელეფონო ხაზების გაყვანის უფლება, რაც აგრეთვე გაზრდის მათ შემოსავალს [3].

ეს დადგენილება ცხადყოფს, რომ რუსეთის მუნიციპალური მოღვაწეები ერთხმად მოითხოვდნენ საქალაქო თვითმმართველობათა საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების გაფართოებას და ამას

---

[1] «Известия...» 1913 № 10—11, стр. 43—45.
[2] Там же.
[3] Там же, № 10—11, стр. 64—71.

თვლიდნენ კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად.

პრესა აღნიშნავდა, რომ სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომომადგენლების პირველი ყრილობა ძალიან მორჩილია, ვერ ბედავს გადაუხვიოს პროგრამას და წინასწარ შედგენილი დღის წესრიგიც კი ვერ ამოსწურაო. მუნიციპალურმა მოღვაწეებმა ოპოზიციური სულისკვეთება მხოლოდ ყრილობის ბოლო დღეს გამოამჟღავნეს, როცა გაბედეს და მთავრობისაგან მოითხოვეს ფართო პოლიტიკური რეფორმების გატარება. ამ უკანასკნელმა სხდომამ გადაარჩინა. მოწინავე პუბლიცისტთა განცხადებით, ქალაქთა წარმომადგენლების პრესტიჟი დემოკრატიული საზოგადოებრიეი აზრის თვალში[1].

მუნიციპალურ მოღვაწეთა ნაწილი ფიქრობდა, რომ ქალაქის წარმომადგენლების ყრილობები მოკლებული იყო პრაქტიკულ მნიშვნელობას. უმრავლესობას კი მიაჩნდა. რომ ყრილობებს, მართალია, არ ჰქონდა საკანონმდებლო უფლება, მაგრამ მათ მიერ მიღებული რეზოლუცია-დადგენილებანი დადებით როლს ასრულებდა, რამდენადაც მათ ეყრდნობოდნენ თავიანთ საკანონმდებლო საქმიანობაში მუნიციპალიტეტების მიერ არჩეული სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები. კავკასიელი მოღვაწეები ამასთან ერთად აღნიშნავდნენ. რომ მხარის პატარა ქალაქებში იგრძნობოდა მომზადებული მუნიციპალური კადრების სიმცირე, რის გამო მუშაობაში ბევრ შეცდომებს უშვებდნენ. ამიტომ საქალაქო მეურნეობის რთული საკითხების კოლექტიურ განხილვას ჩვენ პირობებში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვსო. ასეთმა ყრილობებმა იდეურად უნდა გაერთიანოს კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლები, ვისაც ადგილობრივი თვითმმართველობის უნუგეშო მდგომარეობა აღონებს და მუნიციპალიტეტების გაჯანსაღებისათვის იღწვისო[2].

კავკასიის მუნიციპალური მოღვაწეები, რომელნიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქთა წარმომადგენლების სრულიად რუსეთის თათბირსა და ყრილობაში. ლოკალურ, კავკასიური მასშტაბის ყრილობებსაც ატარებდნენ.

---

1 «Известия...», 1913, № 10—11, стр. 64—71.

2 «Известия...», 1914, № 1, стр. 12—13.

ჯერ კიდევ 1911 წლის მაისში მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ნებართვით თბილისში ჩატარდა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა, რომელსაც 130 დელეგატი ესწრებოდა. ყრილობამ, მოსმენილი 30 მოხსენების საფუძველზე, 100-მდე დადგენილება მიიღო. პირველმა ყრილობამ თბილისის ქალაქის თავს ხატისოვს დაავალა უახლოეს მომავალში აღეძრა შუამდგომლობა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობის მოწვევის თაობაზე.

მეფისნაცვალმა სათანადო ნებართვა გასცა და თვითვე წინასწარ დაამტკიცა მეორე ყრილობის მუშაობის პროგრამა: 1) ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, 2) შავი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია, 3) კავკასიის ქალაქების სანიტარიული მდგომარეობის გამორკვევა და სანიტარიული კეთილმოწყობის ღონისძიებანი [1]. როგორც ვხედავთ, კავკასიის ადმინისტრაციამ ხელოვნურად შეზღუდა ქალაქთა წარმომადგენლების საქმიანობის სფერო, მან მხოლოდ „სანიტარიული ყრილობის“ მოწვევის უფლება დართო. მაგრამ ყრილობის მუშაობა გასცდა პროგრამის ჩარჩოებს, განხილულ იქნა სხვა საჭირბოროტო საკითხებიც.

კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობა 1913 წლის 17 ნოემბერს გაიხსნა. შესავალი სიტყვა თავმჯდომარემ ა. არღუთინსკიმ წარმოთქვა. მან რუსეთისა და მათ შორის კავკასიის ქალაქების კრიზისული მდგომარეობის მიზეზად თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის სივიწროვე გამოაცხადა. მუნიციპალიტეტთა ფინანსური უფლება, დასძენდა არღუთინსკი, შეზღუდული და მკაცრად ნორმირებულია. საქალაქო დაბეგვრას ის ექვემდებარება, რაც სახაზინო დაბეგვრის შემდეგ რჩება. არის გადასახადები, რომელნიც თვითმმართველობის სალაროს უნდა ავსებდნენ, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტში შედიან. სავალალო ისიცაა, რომ საქალაქო თვითმმართველობას მძიმე ტვირთად აწევსო საერთო-სახელმწიფო ვალდებულებანი (ჯარისა და პოლიციის შენახვა).

ყრილობის თავმჯდომარემ გადაუდებელ საქმედ გამოაცხადა საქალაქო თვითმმართველობათა საბიუჯეტო-ფინანსური უფლების გაფართოება, დაბეგვრის ობიექტების გამრავლება, ქალაქებისათ-

---

[1] «Известия...», 1914, № 1, стр. 10—14.

ვის ზოგი სახელმწიფო გადასახადის გადაცემა, მათი განთავისუფლება საერთო-სახელმწიფო ვალდებულებებისაგან და სხვ. თუ ეა არ მოხდა ქრონიკული დეფიციტი საბოლოოდ დაარღვევსო ისედაც შერყეულ საქალაქო მეურნეობას [1].

მეორე ყრილობაზე მოხსენებით გამოსულმა ქუთაისის ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა შენიშნა, რომ კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების პირველმა ყრილობამ აღძრა შუამდგომლობები ერობის შემოღების, ქალაქების საერთო-სახელმწიფო ვალდებულებებისაგან გათავისუფლების და სხვათა შესახებ, რაც ორნახევარი წლის შემდეგაც დაუკმაყოფილებელი რჩებაო. მაგრამ ჩვენ ბრძოლაზე ხელი როდი უნდა ავიღოთ, კვლავ უნდა გავიმეოროთ თხოვნა-შუამდგომლობები. იმედია ბოლოს და ბოლოს ცდას შედეგი მოჰყვება, მუნიციპალურ წამოწყებათა სფეროში თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენცია გაფართოვდებაო [2].

19 ნოემბრის სხდომაზე საბინაო საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ა. ს. ბაბოვი. მან წინადადება წამოაყენა საცხოვრებელი ბინების საჭიროების შესწავლისათვის საქალაქო თვითმმართველობებთან განსაკუთრებული ბიუროების ჩამოყალიბების შესახებ. მისი აზრით გადაუდებელ საქმედ უნდა ჩათვლილიყო ქალაქების გაფართოებისათვის სამშენებლო გეგმების შედგენა, იაფი ბინების მშენებლობის საქმის მუნიციპალიზაცია, ბინათმშენებელი კოოპერაციებისათვის დახმარების გაწევა, იაფი და ჯანმრთელი ბინების დაპროექტება-მშენებლობისათვის ფულადი პრემიების დაწესება [3].

მ. ჟურულმა და მ. ჯაბარამ გაიმეორეს რამდენიმე თვის წინ კიევის ყრილობაზე უკვე წაკითხული მოხსენებები საქალაქო თვითმმართველობათა ფინანსურ საჭიროებათა თაობაზე და თბილისის ყრილობის დელეგატებს მოუწოდეს მხარი დაეჭირათ კიევის ყრილობის მიერ ამ საკითხზე მიღებული რეზოლუციისათვის [4].

მოხსენებების მოსმენისა და კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავკასიის დიდი ქალაქები კეთილმოწყობის საქმეში ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდნენ დროის მოთხოვნილებას, ხოლო მცირე ქალაქების კეთილმოწყობისათვის

---

[1] «Известия...», 1914, № 1, стр. 14—15.
[2] Там же, стр. 16—18.
[3] «Известия...», 1914, № 1, стр. 20—22.
[4] Там же.

ჯერ ელემენტარული და ძირითადი ამოცანებიც კი არაა გადაწყვეტილი. თვითმმართველობის მოღვაწეებს შეგნებული აქვთ კავკასიის ქალაქთა საჭიროებანი. მაგრამ სახსრების სიმცირისა და მუნიციპალიტეტების უფლება-კომპეტენციის სივიწროვის გამო არ შეუძლიათ დასძლიონ კრიზისი და ქალაქები განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანონ.

გამოთქმულ მოსაზრებათა საფუძველზე კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მეორე ყრილობამ დაადგინა: 1) მხედველობაში ღებულობს რა სახსრების სიმცირის გამო ქალაქის კეთილმოწყობაში არსებული ხარვეზების გარდაუვალობას, ყრილობას მდგომაოეობის გამოსწორების წინა პირობად მიაჩნია საქალაქო რეფორმის გატარების შედეგად თვითმმართველობათა საბიუჯეტო უფლებისა და მოქმედების სფეროს გაფართოება. მუნიციპალიტეტებს უნდა მიეცეს ნამდვილი ფინანსური ხელისუფლება. თუ სახელმწიფო და საქალაქო შემოსავლის წყაროების გამიჯვნა შეუძლებელია, მაშინ მთავრობამ უარი უნდა თქვას ნახევარზომებზე და გადავიდეს დოტაციების სისტემაზე, როგორც ეს მიღებულია დასავლეთ ევროპაში. დოტაციების შესახებ კანონ-პროექტი, სათათბიროში განხილვამდე, საქალაქო თვითმმართველობებს გადაეცეს მასში საჭირო დამატებების შესატანად. 2) მხედველობაში ღებულობს რა კავკასიის ქალაქების სამედიცინო-სანიტარიულ და ფინანსურ სფეროში კავკასიის ქალაქების უნუგეშო მდგომარეობას, რის ერთ-ერთი მიზეზი ერობის შემოუღებლობაც არის, მეორე ყრილობა უერთდება საზოგადოებრივი ძალებისა და სახელმწიფო სათათბიროს მიერ არაერთხელ გამოთქმულ სურვილს და მოითხოვს კავკასიაში საერობო თვითმმართველობის დაწესებულებათა დაარსებას.

ყრილობამ სპეციალური რეზოლუციები მიიღო აგრეთვე ქალაქების სურსათით მომარაგების გაუმჯობესების, მუნიციპალური პურსაცხობებისა და ხორცის მაღაზიების მოწყობის, წყალსადენისა და კანალიზაციის, სამაცივრო მეურნეობის გამართვისა და სხვ. საკითხებზე [1].

მაგრამ დადგენილებები თითქმის მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, მათი შესრულება არ ხერხდებოდა. ამასობაში დაიწყო პირ-

---

[1] «Известия...», 1914, № 1, отд. 2, стр. 35—49.

ველი მსოფლიო ომი. მთავრობამ მოუწოდა ადგილობრივ თვით-მმართველობებს და საერთოდ საზოგადოებრივ ძალებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ ომის გამარჯვებამდე მიყვანის ღონისძიებებში. მუნიციპალურმა მოღვაწეებმა ეს მოწოდება მიიღეს, მაგრამ მყისვე მოითხოვეს თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენციის გაფართოება, უამისოდ ბევრს ვერაფერს გავაკეთებთო.

1914 წლის 8—9 აგვისტოს გამართულ რუსეთის ქალაქის თავთა პირველ სრულიად რუსეთის თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალაქთა კავშირის შექმნის შესახებ. თავდაპირველად სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირში 140 ქალაქი შევიდა. 1915 წლის ბოლოსათვის კი კავშირის წევრთა რიცხვი 464-მდე გაიზარდა. ჩამოყალიბდა ერობათა კავშირიც. 1915 წლის ივლისში ერობათა და ქალაქთა კავშირი გაერთიანდა.

მეფის მთავრობა ეჭვით შეხვდა ერობათა და ქალაქთა კავშირების შექმნას. როცა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკომ არმიის ჩექმებით მომარაგების საკითხის გადაწყვეტა ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევას დაუკავშირა, შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო ყრილობის მოწვევის იდეა. ჩვენ ვიცნობთ თქვენ ყრილობებს, გინდათ რომ ჩექმების საკითხის საფარქვეშ ყრილობა მოიწვიოთ, მთავრობას სხვადასხვა მოთხოვნილებანი წაუყენოთ და მათ შორის ათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა კომიტეტის შექმნა მოითხოვოთო [1].

მეფემ ძალაუნებურად მომხდარ ფაქტად სცნო ქალაქთა კავშირის შექმნა, მაგრამ შეეცადა მისი საქმიანობა ვიწრო ჩარჩოებში (დაჭრილთა მოვლა-პატრონობა, ინვალიდთა სახლების შექმნა) ჩაეყენებია. როცა ქალაქთა კავშირმა თავისი კავკასიური განყოფილების მეშვეობით ხელი მოჰკიდა თურქეთიდან ლტოლვილი სომხების მოწყობის საქმეს და პრეტენზია განაცხადა პოლიტიკური როლის შესრულებაზე, ნიკოლოზ მეორე გაცხარდა და ქალაქთა კავშირს „თვითნებური“ და „თვითმარქვია“ ორგანიზაცია უწოდა. კატეგორიულად აკრძალა მისი ჩარევა მთავრობის პოლიტიკაში.

1915 წელს გალიციაში განცდილი მარცხის შედეგ მეფის მთავრობა იძულებული გახდა შერიგებოდა ერობათა და ქალაქთა კავშირის არსებობას, რადგან ამ კავშირების დახმარების გარეშე

---

[1] «Падение царского режима», т. VII, 1927, стр. 124.

არ შეეძლო დაჭრილთა და ლტოლვილთა საქმის მოგვარება. 1915 წლის 1 ნოემბრისათვის ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში 164 ათასი საწოლი ითვლებოდა. 1916 წლის 1 იანვრამდე კავშირმა დახმარება გაუწია 600 ათას ლტოლვილს. დიდ როლს ასრულებდა იგი ჯარის ტანსაცმლით მომარაგების საქმეშიც[1].

მაგრამ ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ მეფის მთავრობას მომწიფებული რეფორმების გატარება და ომის გამარჯვებამდე მიყვანა არ შეეძლო. ბურჟუაზიული ოპოზიცია გაძლიერდა. მან „ნდობის სამინისტროს" ჩამოყალიბება მოითხოვა. სახელმწიფო სათათბიროს „პროგრესული ბლოკის" წევრებმა დასვეს საკითხი აგრეთვე უკვე ჩამოყალიბებულ ერობათა და ქალაქთა კავშირების საკანონმდებლო წესით გაფორმება-დამტკიცების შესახებ. ბურჟუაზიას ამით სურდა ეს მონაპოვარი ომის შემდეგაც შეენარჩუნებია.

ერობათა და ქალაქთა კავშირის როლი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათან იზრდებოდა, რაც ოპოზიციას გამბედაობას მატებდა. 1916 წლის 12—14 სექტემბერს ორივე კავშირის გაერთიანებულმა ყრილობამ წამოაყენა მოთხოვნა მართვა-გამგეობაში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დაშვების, სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნის შესახებ.

ბურჟუაზიული ოპოზიციის გააქტიურებამ მეფე შეაშფოთა. მან საიდუმლოდ დაავალა გუბერნატორებს ძირი გამოეთხარათ ერობათა და ქალაქთა კავშირისათვის. ეს უკანასკნელნი ურჩევდნენ ცალკეულ თვითმმართველობებს გამოსულიყვნენ კავშირიდან, თუ ამას გააკეთებთ მთავრობა გაცილებით იმაზე მეტ დახმარებას გაგიწევთ, რასაც კავშირისაგან იღებთო[2]. მაგრამ ასეთ ძირგამომთხრელ საქმიანობასაც არ მოჰყოლია მეფის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. მთელი ომის პერიოდში პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია იყო ერობათა და ქალაქთა კავშირის განმტკიცება და ბურჟუაზიული ოპოზიციის გაძლიერება, რაც რამდენადმე უწყობდა ხელს რევოლუციური სიტუაციის მომზადებას.

რუსეთ-თურქეთის ფრონტზე საომარი მოქმედების დაწყებისთანავე კავკასიაშიც ჩამოყალიბდა ერობათა და ქალაქთა კავშირის

---

[1] Ш. И. Басилая. Закавказье в годы первой мировой войны, докторская диссертация, 1965, стр. 297—300.

[2] «Падение царского режима», т. V, стр. 307—308.

განყოფილება. ჩრდილოეთ კავკასია ერობათა მოქმედების ზონად გამოცხადდა, ამიერკავკასია — საქალაქო თვითმმართველობებისა.

1914 წლის 9—10 ნოემბერს კავკასიის ქალაქთა ბიურომ დაადგინა ამიერკავკასიაში მოეწყო ლაზარეთები 25 ათასი საწოლითა და გაემართა 30 სანიტარიული მატარებელი დაჭრილთა ზურგში გადმოსაყვანად. დადგენილება შესრულდა. 1917 წლის დამდეგამდე სულ გაიხსნა ლაზარეთები 28 ათასი საწოლით. ამის გარდა შეიქმნა 6 სანიტარიული-სატრანსპორტო რაზმი, 19 საექიმო პუნქტი, 6 სადეზინფექციო კამერა.

კავკასიის ქალაქთა კავშირმა ლტოლვილების მომსახურებისათვის გახსნა 35 საექიმო პუნქტი 3000 ადგილით, 49 საექიმო-საფერშლო პუნქტი, 8 საჩაიე, 36 აბანო და სხვ. ქალაქთა კავშირს ჯარისა და ლტოლვილთა მომსახურებისათვის დაარსებულ დაწესებულებებში დასაქმებული ყავდა 17 ათასი კაცი. კავკასიის ქალაქთა კავშირმა ომით გამოწვეულ საჭიროებათა დაფინანსებისათვის დახარჯა სულ 56 მლნ. მან., რაც ძირითადად მიიღო ცენტრალური კავშირისაგან [1].

კავკასიისა და ანატოლიის ფრონტის ჯარის ნაწილები დადებით შეფასებას აძლევდნენ ქალაქთა კავშირის დაწესებულებათა საქმიანობას. ზურგში მდგარი სამხედრო უწყება და კავკასიის ადმინისტრაცია კი უნდობლად ეკიდებოდა კავშირს, მაგრამ უიმისოდ აღარ შეეძლოთ საქმიანობა და ამიტომ ურიგდებოდნენ კავშირის მიერ დაარსებულ დაწესებულებათა არსებობას.

კავკასიის მუნიციპალური მოღვაწეები მიესალმნენ ქალაქთა კავშირის შექმნას და იგი უფრო დიდი გარდაქმნების საფუძვლად გამოაცხადეს. თბილისის თვითმმართველობის მდივანი მ. ჯაბარა აღნიშნავდა, რომ მარტო ომმა როდი გვიკარნახა მუნიციპალიტეტების ღონისძიებათა გაერთიანების საჭიროება. საზოგადოებრივი თვითმოქმედების განვითარებისაკენ მისწრაფებას მტკიცე საფუძველი ჯერ კიდევ გამათავისუფლებელი მოძრაობის წლებში ჩაეყარა, ომმა კი ეს პროცესი დააჩქარაო. განსაკუთრებული ისტორიული მომენტის ამოცანებმა, მისი აზრით, აუცილებელი გახადა აგრეთვე საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე ადმინისტრაციის

---

[1] «Краткий отчет о деятельности Кавказского отдела всероссийского союза городов с начала объявления войны с турцией по июль 1917 года», стр. 20—30.

გადამეტებული კონტროლის მოხსნა და საზოგადოებრივი ძალებისადმი მეტი ნდობის გამოჩენა. მ. ჯაბარა იმედს გამოთქვამდა, რომ ომის პირობებში შექმნილი ქალაქთა კავშირი ომის შემდეგაც დარჩებოდა. იგი მუნიციპალურ მოღვაწეთა უმთავრეს ამოცანად ქალაქთა კავშირის განმტკიცებასა და მის უფლება-კომპეტენციის გაფართოებას აცხადებდა [1].

მეფის მთავრობა ქალაქთა კავშირს თითქმის მთლიანად ომის გამარჯვებამდე მიყვანის სამსახურში აყენებდა. მაგრამ განსაკუთრებულმა ვითარებამ წარმოშვა სხვა ამოცანებიც, რომელთა გადაუჭრელად მუნიციპალურ მოღვაწეებს არ შეეძლოთ მოსახლეობის კეთილგანწყობილების მოპოვება. ქალაქთა კავშირის კავკასიური განყოფილება გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა, კერძოდ, სიძვირის აღმოფხვრისა და მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგებისათვის.

სამხედრო ამოცანების დასაფინანსებლად საჭირო თანხებს კავკასიის ქალაქთა კავშირი ცენტრიდან ღებულობდა. სამოქალაქო მოსახლეობის მომსახურებისათვის საჭირო სახსრები კი საქალაქო თვითმმართველობებს თვითონ უნდა გამოენახათ. ამიტომ ომის პირობებში კიდევ უფრო მწვავედ დაისვა მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების გაფართოების საკითხი, რომლის დადებითად გადაჭრა საქალაქო თვითმმართველობების გაერთიანებულ მუშაობას მოითხოვდა.

1914 წლის სექტემბერში ჩატარდა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების III ყრილობა, რომელმაც თითქმის მხოლოდ დაჭრილებისათვის დახმარების გაწევის საკითხზე იმსჯელა [2]. მუშაობის გაცილებით ფართო პროგრამა ჰქონდა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების IV ყრილობას, რომელიც 1915 წლის მაისში ჩატარდა თბილისის თვითმმართველობის ინიციატივით. ყრილობამ, კერძოდ, განიხილა სიძვირისა და ეპიდემიებთან ბრძოლის, აგრეთვე კავკასიის კურორტების დაჭრილ მეომართა მკურნალობისათვის გამოყენების საკითხები.

ცხოვრების გაძვირების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ყრილობამ დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პირ-

---

1 «Известия...», 1915, № 1—2, стр. 13—16.

2 «Известия...». 1915, № 5—6, стр. 27—28.

ველი მოთხოვნილების საგნებით მოსახლეობის მომარაგების სფეროში ქალაქთა კავშირის კომპეტენციის გაფართოებისა და გრძელვადიანი კრედიტის გახსნის თაობაზე, 2) მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქალაქთა კავშირისა და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასურსათო პრობლემაზე მომუშავე მთავრობის კომისიებში, 3) გადაუდებელ საქმედ გამოცხადდეს ქალაქის თავების ხელმძღვანელობით საგუბერნიო და საბაზრო სასურსათო კომისიების ჩამოყალიბება, 4) სასურსათო კაპიტალი შეიქმნას ყველა ქალაქებისაგან მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად სათანადო შესატანის დაწესების გზით, 5) მუნიციპალური სავაჭრო ქსელი მოეწყოს კომერციულ საწყისებზე, რადგან საქონლის თვითღირებულების მიხედვით გაყიდვა საფრთხეს შეუქმნის კერძო ვაჭრობას და მიგვიყვანს საქალაქო თვითმმართველობათა მიერ სასურსათო საქმის მონოპოლიამდე, რაც პრაქტიკულად განუხორციელებელია, 6) იმის გამო, რომ ნიხრის დაწესებას არ შეიძლება მოჰყვეს ფასების არსებითი შეცვლა, მიზანშეწონილია პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ნორმირება მოხდეს მათი წარმოების ადგილზე, რის მოგვარებაც თავის ხელთ უნდა აიღოს ცენტრალურმა საიმპერიო სასურსათო საქმის საუწყებათაშორისო კომიტეტმა, 7) სიძვირის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია რკინიგზების ცუდი მუშაობა, რკინიგზის აგენტების ბოროტმოქმედება, რომლის აღკვეთაც მთავრობის მოვალეობას შეადგენს, 8) სიძვირესთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კოოპერატივებმა და ამიტომ მათ უნდა გაეწიოს ფინანსური დახმარება, 9) გადაუდებელ საქმედ ჩაითვალოს ერთიანი კოოპერატიული კანონის გამოცემა, რაც გააადვილებს კოოპერატივების დაარსებასა და მუშაობას, 10) მიზანშეწონილია განსაკუთრებული სტატისტიკური ბიუროების დაარსება. მათ დაეკისრება სურსათის მარაგისა და მისი მოხმარების ზომის აღრიცხვა, ფასების მოძრაობის რეგისტრაცია, 11) გადაუდებელ საქმედ ჩაითვალოს ერობის შემოღება[1].

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კავკასიური ბიუროს მიერ მოწვეული ყრილობები კონკრეტული საკითხების გადაჭრას უწყობდნენ ხელს. საქალაქო თვითმმართველობის ახალ საფუძველზე

---

[1] «Известия...», 1915, № 6—7, стр. 60—65.

რეორგანიზაციის პრობლემის შესახებ კი სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის კომიტეტი მუშაობდა, რაშიც კავკასიის მუნიციპალური მოღვაწეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. 1916 წლის დამდეგს კომიტეტის მიერ მოწვეულმა თათბირმა შეიმუშავა თეზისები, რაც საფუძვლად უნდა დადებოდა ახალ საქალაქო დებულებას.

თეზისების ავტორები გამოდიოდნენ იმ ფაქტიდან, რომ ომის პირობებში მოხდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და საქალაქო თვითმმართველობის ფუნქციათა დაახლოება, ბევრ შემთხვევაში მათ შორის ზღვარის წაშლაც კი და ამიტომ საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებად აცხადებდნენ. თეზისების მიხედვით საქალაქო თვითმმართველობის უწყებაში შედიოდა ადგილობრივი მმართველობის ყველა საქმეები, რაზეც ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება უშუალოდ არ ვრცელდებოდა. კერძოდ, საქალაქო თვითმმართველობის გამგებლობის სფეროში უნდა შესულიყო კომუნალური მეურნეობა, კულტურა, სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება და სანიტარია, შრომის დაცვა, მოსახლეობის სურსათით მომარაგება, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, მოქალაქეთა პირადი და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა, მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევა და სხვ.

თეზისების მიხედვით საქალაქო თვითმმართველობას თავის კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა. მთავრობა კონტროლს უწევდა მხოლოდ საქალაქო თვითმმართველობის მოქმედების კანონიერებას. საარჩევნო ხმის უფლება ეძლეოდა 25 წელ შესრულებულ, გადასახადის გამომღებ პირებს, აგრეთვე საქველმოქმედო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ქალაქში ფლობდნენ უძრავ ქონებას. საქალაქოსათათბირო აღიჭურვებოდა განმკარგულებელი ხელისუფლებით, გამგეობას კი აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. ქალაქის თავს ევალებოდა თვითმმართველობის საერთო ხელმძღვანელობა. ქალაქის თავისა და გამგეობის წევრების თანამდებობიდან განთავისუფლება ხდებოდა სარევიზიო კომისიის ორი მესამედისა და სათათბიროს ხმოსანთა სამი მეოთხედის მოთხოვნით.

თეზისების ავტორთა თვალსაზრისით საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური სახსრები უნდა შეექმნა მოქალაქეთა უძრავი ქონების შეფასებით გამოსაღებს, მიწის ფასის ზრდის გამოსაღებს, ვაჭრობა-მრეწველობის სანებართვო მოწმობების ფასს, საზოგადოებრივი და კერძო ტრანსპორტის ტარიფს, საბინაო გამოსაღებს. საჭიროების შემთხვევაში საქალაქო თვითმმართველობის განკარგულებაში უნდა გადაცემულიყო სახელმწიფო გადასახადებისაგან მიღებული თანხის ნაწილი [1].

თეზისებში განვითარებულია ლიბერალური ბურჟუაზიის მუნიციპალური პროგრამა. ავტორები ძალაში სტოვებდნენ საარჩევნო-ქონებრივ ცენზს, საქალაქო თვითმმართველობა შეჰყავდათ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში და ამით რამდენადმე აფართოებდნენ მის უფლება-კომპეტენციას. ამ თეზისების საფუძველზე შექმნილი საქალაქო დებულება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია არავითარ საფრთხეს არ შეუქმნიდა არსებულ წყობილებას, მაგრამ მიუხედავად ამისა მთავრობის წრეებში მან მხარდაჭერა ვერ პოვა.

მუნიციპალურმა მოღვაწეებმა, ბუნებრივია, დაკარგეს მეფის მთავრობის იმედი. ისინი სიხარულით შეხვდნენ 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რომელმაც შექმნა პირობები საქალაქო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოებისა და მისი დემოკრატიზაციისათვის. თბილისის თვითმმართველობის ორგანომ „იზვესტიამ“ ამ დიდ მოვლენას მოწინავე სტატია მიუძღვნა. „საქალაქო თვითმმართველობებმა, — ნათქვამი იყო სტატიაში, — განსაკუთრებით ცხადად შეიგრძნეს მთავრობის ადმინისტრაციის ჩაგვრისაგან განთავისუფლება. ახლა მათ წინაშე იშლება ფართო პერსპექტივები. ძირეული შეცვლა საარჩევნო კანონისა, რომელიც დაფუძნებულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, არსებითად შეცვლის საქალაქო თვითმმართველობების სტრუქტურას. ადმინისტრაციის კონტროლისაგან განთავისუფლება საზოგადოებრივ ძალებს თავისუფლად გაშლის საშუალებას მისცემს და უფლება-კომპეტენცია გაფართოებულ საქალაქო თვითმმართველობას განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანსო“ [2].

---

[1] «Известия...», 1916, № 4—5, стр. 3—21.
[2] Там же, 1917, № 1, 2, 3, стр. 4—5.

მოწინავე მუნიციპალურმა მოღვაწეებმა 1917 წლის თებერ-ველს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ახალი ერას დასაწყისად გამოაცხადეს. ბურჟუაზიული დემოკრატიის ერა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. სოციალისტურმა რევოლუციამ ძველ სახელმწიფოებრივ მანქანასთან ერთად ბურჟუაზიული საქალაქო თვითმმართველობებიც უარყო და ქვეყანა მუშურ-გლეხური საბჭოების ფართო ქსელით მოფინა.

შინაარსი

შესავალი 3

თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 18

I. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება 21
II. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა 63

ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობა 116

I. ქუთაისის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება 119
II. ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა 143

ფოთის საქალაქო თვითმმართველობა . 167

I. ფოთის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება. 172
II. ფოთის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა . 183

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა . 223

I. ბათუმის თვითმმართველობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება 227
II. ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობა . 251

საქალაქო თვითმმართველობის კრიზისი და ბრძოლა მისი უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის . . 283